

მამული ენა სარწმუნოება

2

ქართლის ცხოვრება

მატიანე ქართლისა

•

ცხოვრება წმიდა მეფე
დავით აღმაშენებელისა



საეკლესიო გამომცემლობა
„აბაღალი ივერონი“
თბილისი
2012

ექვნიება სოფლის მასწავლებელს

ტექსტები ძველი ქართულიდან
ახალ ქართულზე გადმოიტანეს
და კომენტარები დაურთეს:

ნინო მელიქიშვილი
ნანა ჩიკვატია
თამარ მარგიანი

რედაქტორი:

დეკანოზი მაქსიმე ჭანტურია

მხატვარი:

სპარტაკ ცინცაძე

გარეკანის გაფორმება:

გიორგი წერეთელი

ტექნიკური რედაქტორები:

ირაკლი ხუციშვილი
ნინო ბურდული

© გამომცემლობა „ახალი ივერონი“

ISBN 978-99940-900-1-3

ISSN 2233-3428



მაციანე ქართლისა

[249] ქართლის ორმოცდამეხუთე მთავრები,
იოვანე და ძმა მისი ჯუანშერი, წმიდა მონამის,
არჩილ მეფის ძენი. ხოსროიანნი*



მიდა მონამის, არჩილის აღსასრულის შემდეგ დარჩნენ მას შვილები – იოვანე და ჯუანშერი. წავიდა იოვანე ეგრისში და თან წაიყვანა დედა და ორი და. ჯუანშერი და მისი ორი და კი დარჩნენ ქართლსა და კახეთში. ჯუანშერის უმცროსი და სახით მშვენიერი იყო. ესმა ამის შესახებ ხაზართა მეფეს, ხაკანს. გამოუგზავნა ჯუანშერს მოციქული და სთხოვა შუშანი ცოლად, თან დახმარებას შეპირდა სარკინოზთა წინააღმდეგ. ხაკანის მოციქულის მოსვლა ჯუანშერმა ძმასა და დედას შეატყობინა. მათ არ ინებეს ხაკანის თხოვნაზე დათანხმება და ჯუანშერს უთხრეს: „თუ ჩვენი ყოფა გაუსაძლისი შეიქნება, სჯობს საბერძნეთს შევადაროთ თავი და ვიყოთ ქრისტიანებთან, ვიდრე შეიგინოს შვილი ჩვენი წარმართთა მიერ.“ და შუშანიც რისხვით კიცხავდა ხაზართა მეფეს.

სამი წლის შემდეგ ხაკანმა გამოგზავნა თავისი სპასალარი, ბლუჩანი. ლეკეთის გზის გავლით შემოვიდა ის კახეთში; მოადგა ციხეს, სადაც შეფარებულნი იყვნენ ჯუანშერი და მისი და, შუშანი. რამდენიმე დღეში აიღო ციხე და დაატყვევა ისინი; ააოხრა ქალაქი ტფილისი, დაიპყრო ქართლი და მთელი ეს მხარე.

[250] როდესაც დაადგნენ დარიალანის გზას, ერთ დღეს შუშანმა უთხრა ძმას: „წარმართთაგან შეგინებას სიკვდილი მირჩევნია, რათა

უფალმა ღირსად ჩამთვალოს წმიდა დედებთან ყოფნისა.“ ჰქონდა მას ბეჭედი, ამოუგდო თვალი, რომლის ქვეშაც სანამლავი იყო – ამოსწოვა და მაშინვე სული განუტევა.

წარსდგა ბლუჩანი ხაკანის წინაშე, მიჰგვარა ჯუანშერი და შეატყობინა მისი დის, შუშანის სიკვდილის შესახებ. ხაკანი განურისხდა ბლუჩანს შუშანის ნეშტის არმიტანისათვის, რომლის ხილვაც სურდა. შეიპყრეს ბლუჩანი, შეაბეს ყელზე თოკი და მისცეს ორ ცხენოსანს აქეთ-იქით სათრევად – დაუნდობლად მოსწყვიტეს თავი. შვიდი წლის ტყვეობის შემდეგ დიდად დასაჩუქრებული ჯუანშერი ხაკანმა თავის ქვეყანაში გამოისტუმრა.

ამ დროიდან იწყოს შესუსტება ხოსროიანთა დიდთა მეფეთა ძლიერებაში. სარკინოზთა უფლებები დიდად გაიზარდა და ისინი დროდადრო მთელ ამ ქვეყანას არბევდნენ და აოხრებდნენ. შემდეგ მომრავლდნენ მთავრები ქართლში, დაუნყეს ერთმანეთს მტრობა და ბრძოლა. თუ ვინმე გამოჩნდებოდა ვახტანგის შვილთა შორის მეფობის ღირსი, სარკინოზები მას ავიწროვებდნენ. რადგან დაიპყრეს აგარიანებმა ქალაქი თბილისი, აქციეს ის თავიანთ სამკვიდრებელად. იღებდნენ ამ ქვეყნისგან ხარკს, რომელსაც ჰქვია ხარაჯა. ღვთის განგებით, ჩვენი ცოდვების სიმრავლის გამო, განდიდდა აგარიანთა მოდგმა.

[251] [უსჯულო მაჰმადის მოძღვრება მოედო ქვეყანას და მრავალმა ერმა მიიღო ის. ამის შემდეგ გამოჩნდნენ სპარსელები და პონტომდე მოაღწიეს – მთელი კაბადუკია დაიპყრეს 766 წელს].

ჯუანშერმა ცოლად შეირთო ბაგრატოვანთა გვარის ქალი, ადარნასეს ასული, სახელად ლატავრა. გააკიცხა ამის გამო ჯუანშერი დედამ, რადგან არ იცოდა, რომ ისინი დავით წინასწარმეტყველის მოდგმისანი იყვნენ, რომელიც უფლის ხორციელ წინაპრად იქნა მიჩნეული. მაგრამ როდესაც იხილა თავისი ძის ცოლი, შეუყვარდა ის, აკურთხა და დალოცა.

გავიდა ამის შემდეგ მრავალი წელი, დაჯდა ამირად აგარიანი, სახელად ხუასრო, რომელიც განაგებდა სომხითს, ქართლსა და ჰერეთს. მან ხაზართაგან მოოხრებული ქალაქი ტფილისი კვლავ აღაშენა.

როდესაც ბერძენნი დაუძღურდნენ, განუდგა მათ აფხაზთა ერისთავი, სახელად ლეონ, ლეონ ერისთავის ძმისწული, რომელსაც მემკვიდრეობით ჰქონდა მიღებული აფხაზეთი. იყო მეორე ლეონი, ხაზართა მეფის ქალიშვილის ვაჟი; ხაზართა დახმარებით განუდგა ბერძნებს,

დაიპყრო აფხაზეთი და ეგრისი ლიხამდე, იწოდა აფხაზთა მეფედ, რადგან იოვანე გარდაცვლილი იყო, ხოლო ჯუანშერი – დაბერებული. ცოტახნის შემდეგ ჯუანშერიც მიიცვალა.

ჯუანშერის სიცოცხლეშივე ადარნასე ბაგრატიონმა გაცვლის გზით დაიმკვიდრა მესამედი კლარჯეთის, შავშეთის, აჭარის ნიგალის, ასისფორის, არტანისა და ქვემო ტაოსი და აგრეთვე იმ ციხეების, რომლებსაც ფლობდნენ ვახტანგ მეფის შვილიშვილები. წავიდა ადარნასე კლარჯეთში და იქ აღესრულა, [252] [რადგან მისი მამა, ნერსე, ძე ვარაზ-ბაკურ ანთიპატრიკისა, და ამ ვარაზ-ბაკურის მამა, სახელად გუარამ კურაპალატი, ძე პირველი სტეფანოზისი და დემეტრეს ძმა, გარდაცვლილნი იყვნენ; და აღარც ძმანი ამ ადარნასესი, სახელად ფილიპე და სტეფანოზი, იყვნენ ცოცხლები].

ქართლის ორმოცდამეექვსე კურაპალატი, აშოტი, ძე ადარნასესი. ბაგრატიონი

ადარნასეს სიკვდილის შემდეგ განადიდა უფალმა აშოტ კურაპალატის მეფობა: დაეუფლა ის ქართლსა და მის სასაზღვრო მხარეებს. იმ დროს საბერძნეთზე გაილაშქრა მასლამამ, მაგრამ დაბრუნდა იქიდან დასუსტებული და განზილებული. მაშინ ბერძენთა მეფემ აშოტს კურაპალატობა უბოძა. სარკინოზები დაუძღურებულნი იყვნენ, ხოლო აშოტი – განდიდებული. ტფილისში არავინ დარჩა სარკინოზთაგან გარდა ალისა, შუაბის ძისა. ამ დროს კახეთში გრიგოლი მთავრობდა.

გაილაშქრა აშოტ კურაპალატმა და მიეხმარა მას აფხაზთა მეფე თევდოსი, ლეონ მეორის ძე, რომელიც აშოტ კურაპალატის სიძე იყო. კახეთიდან გრიგოლი დაიძრა – მას მხარში ამოუდგნენ მთიულეები, წანარები და ტფილისის ამირა. ქსანზე შეეხნენ ერთმანეთს აშოტი და გრიგოლი. გააქციეს კახეთის მთავარი გრიგოლი [253] და დაიპყრეს ქართლის ის მხარე, რომელიც მას მიტაცებული ჰქონდა. დაიპყრო აშოტმა მიწები კლარჯეთიდან ქსნამდე.

ამის შემდეგ მოვიდა ხალილ იზიდის ძე, არაბი, და დაიპყრო სომხეთი, ქართლი და ჰერეთი. მოკლეს აშოტ კურაპალატი გარდაბანში, ეკლესიაში. მაშინ დათხეული მისი სისხლი ახლაც, როგორც ახალი, ამჩნევია იქაურობას.

[254] კვლავ დაეუფლნენ სარკინოზები ქართლს. როდესაც წავიდა ხალილი, დატოვა ამირად ალი, შუაბის ძე. იმ დროს მოილაპარაკეს გარდაბანელებმა და ქორეპისკოპოსად აირჩიეს დაჩი, ძე იოვანე ქვაბულის ძისა, მის შემდეგ კი ქორეპისკოპოსად დასვეს სამოელ დონაური. მეორედ კვლავ მოვიდა იგივე ხალილ არაბი. შეეზნენ მას გარდაბანელნი გავაზთან და გააქციეს ხალილი – ბრძოლაში მრავალნი დაიღუპნენ.

[255] კვლავ დაჯდა ამირად ტფილისში საჰაკ ისმაილის ძე, ხოლო ხალილი მოვიდა მესამედ და მოკლეს ის ჯავახეთში. ქართლში შემოვიდა ძე მისი მოჰამედი. მიემხრო მას ბაგრატი, ძე აშოტ კურაპალატისა, და მისცა მოჰამედმა ბაგრატს ქართლი.

ორმოცდამეშვიდე კურაპალატი, ბაგრატი, ძე აშოტ კურაპალატისა და ძმა ადარნასესი და გუარამისი. ბაგრატოვანი

[ბაგრატი და მისმა ძმებმა დაიპყრეს არტანუჯის გამოღმა თავიანთი მამის ყოფილი მამულები. ისინი ემორჩილებოდნენ სარკინოზებს, ხოლო როდესაც მოვიდა მოჰამედი ქართლში და მიემხრო მას ბაგრატი კურაპალატი, მაშინ] გამოვიდა საჰაკ, ტფილისის ამირა, ლაშქრით და დაბანაკდა რეხთან. მოჰამედმა და ბაგრატი დაიკავეს უფლისციხე. მოვიდნენ საჰაკის მოსაშველებლად გარდაბნელი კახელები. შეიზნენ რეხთან და გაჩაღდა მათ შორის ბრძოლა: არც ერთმა მხარემ არ დაიხია უკან, სანამ არ დაშორიბოდნენ. აიყარა მოჰამედი და წავიდა ბარდავში.

[ბაგრატი დაადგინა კათალიკოსობა აფხაზეთში ქრისტეს აქეთ წელსა 830-სა].

სარკინოზთა სჯულისდამდები მოჰამედის გამოჩენიდან ამ დრომდე გასული იყო ორას ცხრამეტი წელი.

[256] მაშინ მოვიდა დიდი ლაშქრით ბულა თურქი, მონა, რომელიც ბაღდადიდან გამოგზავნა ამირ-მუმნმა. ააოხრა მთელი სომხითი და დაატყვევა ყველა მათი მთავარი. მოვიდა და ალყაში მოაქცია ტფილისი, რადგან არ ემორჩილებოდა მას ამირა სააკი: მოკლა სააკი, ააოხრა ტფილისი, გადანვა და მოაოხრა მისი შემოგარენი.

აფხაზთა მეფე თევდოსი გამოვიდა მის წინააღმდეგ და დაიბანაკა კვერცხობში. როდესაც ბულამ ეს შეიტყო, გაგზავნა თავისი სპასალარი ზირაქი და ბაგრატი, აშოტ კურაპალატის ძე: შეიზნენ და გააქციეს

აფხაზნი, დაილუპა ურიცხვი მეომარი. მეფე თევდოსიმ უკან დაიხია დვალეთის გზისკენ.

უკან მობრუნებულ ლაშქარს წინ გადაუდგნენ ჯვარისგვერდთან კვლავ გარდაბნელები და დიდი ზიანი მიაყენეს. როდესაც ბულამ ეს შეიტყო, აიყარა იქიდან, მოვიდა ქართალეთში და იქ დაბანაკდა. მთიულთაგან მძევლად აიყვანა სამასი კაცი და ლამობდა ოვსეთში შესვლას – მიაღწია ცხავატამდე. სომეხთა ერისთავმა აბულაბაზმა და გუარამ, აშოტის ძემ, მისწერეს მთიულებს, რათა არ შეეშვათ. და მათ განირეს თავიანთი მძევლები. უშველა ღმერთმა: მოვიდა თოვლი, წინ გადაელობნენ და შეეხნენ. მიანიჭა ღმერთმა გამარჯვება და მოკვდა ურიცხვი სარკინოზი. მათმა ცხენებმა მოძოვეს იელი და ბევრი დაიხოცა. მაგრამ მრავალრიცხოვან ლაშქარს არ ეტყობოდა შემცირება, რადგან მისი რიცხვი იყო ას ოცი ათასი.

უკან დაიხია ბულამ და გამოიზამთრა ბარდავში. შეიპყრო ვინმე მღვდლის შვილი, რომელიც გამთავრდა და შემუსრა გარდაბანი. განალო დარუბანდის კარი, გამოიყვანა ხაზართა სამასი ოჯახი და დაასახლა შამქორში. დარიალანით გამოიყვანა [257] ოვსთა ასი ოჯახი და დაასახლა დმანისში – განზრახული ჰქონდა ზაფხულში ოვსეთში შესვლა. როდესაც ამირ-მუმნმა შეიტყო, რომ იგი მოლაპარაკებას აწარმოებდა თავის თანატომელებთან, ხაზარებთან, უბრძანა ბუდას, რომ დაეტოვებინა ქართლი ჰუმედისათვის, ხალილის ძისათვის. წავიდა ბულა და ამირად დაჯდა ჰუმედი, ხალილის ძე. გადააყენა ამირმა ჰუმედი და დაადგინა მის ნაცვლად ჰუმედისავე ნათესავი, ისე შიხეს ძე.

ქორეპისკოპოსი იყო გაბრიელ დონაური, სამოელ ქორეპისკოპოსის ძმა. ისეს წასვლის შემდეგ ამირად დაინიშნა აბრაჰამი. შემდეგ კვლავ დაბრუნდა ამირად ხალილის ძე ჰუმედი და უფრო საფუძვლიანად დაიპყრო მთელი ეს მხარე: სომხითი, ქართლი და რანი.

წავიდა ხალილის ძე და დადგა ამირად ვინმე სააკის მონათაგანი, სახელით გაბულოც. გუარამმა, აშოტ კურაპალატის ძემ, შეიპყრო გაბულოცი და გაგზავნა ის საბერძნეთში, რადგან ძალიან იყო გაძლიერებული გაბულოცი და ემორჩილებოდნენ მას გარდაბანელნი.

მტრობა იყო აშოტსა და მის მამის ძმისწულს, გუარამის ძმას შორის. გუარამმა დაიპყრო ჯავახეთი, თრიალეთი, ტაშირი, აბოცი და არტანი; ებრძოდა სარკინოზებს: ზოგჯერ გუარამი იმარჯვებდა, ზოგჯერ – სარკინოზები. გუარამმა თავისი სამფლობელოები გაუყო ძმებს – ადარნასესა და ბაგრატს, ხოლო აბოცი – თავის ცოლის ძმას, სომეხთა მეფეს.

[ამის შემდეგ გარდაიცვალა ადარნასე, ამ გუარამის ძმა და აშოტ კურაპალატის ძე.

[258] გარდაიცვალა ბაგრატ კურაპალატი, ამ ადარნასეს ძმა, ქორონიკონსა 96-სა (876 წ.). დარჩა მას სამი ძე: დავითი, აშოტი და ადარნასე. გარდაიცვალა ეს ადარნასე ქორონიკონსა 94-სა (874 წ.).

გარდაიცვალა აშოტ, ამ ადარნასეს ძმა და ბაგრატ კურაპალატის ძე, ქორონიკონსა 105-სა (885 წ.).

ამ დროს აფხაზთა მეფემ, გიორგიმ, თეოდოსისა და დემეტრეს ძმამ, ლეონის ძემ, დაიპყრო ქართლი და ერისთავად ჩიხაში დატოვა დემეტრეს ძე. აფხაზთა მეფის, გიორგის გარდაცვალებისას დემეტრეს ვაჟი მცირეწლოვანი იყო, ერქვა მას ბაგრატი. ის იმით არის ცნობილი, რომ განდევნილ იქნა. გიორგი მეფის ცოლმა მოკლა დემეტრეს ძე, ჩიხის ერისთავი: მოატყუა ივანე, შავლიანის მთავარი, და ჩააგდეს ბაგრატი ზღვაში. მაგრამ ღმერთმა გადაარჩინა ბაგრატი და ჩააღწია მან კონსტანტინოპოლში. მეფე იოვანემ თავის ძეს, ადარნასეს, ცოლად შერთო აშოტის ძის, გუარამის ასული. როდესაც მოკვდა აფხაზთა მეფე ივანე, გამეფდა მისი ძე ადარნასე. დაიპყრო ლიპარიტმა თრიალეთის მიწები, ააგო კლდეკარის ციხე და თავის პატრონად დავით ბაგრატის ძე გამოაცხადა.

[თეოდოსი მეორე გარდაიცვალა თავის ცოლ-შვილიანად და გამეფდა გიორგი, რომლის საუფლისწულო იყო აღწევი. ამიტომ ეწოდა მას გიორგი აღწეველი. თეოდოსიმ იბატონა ოცდაშვიდი წელი].

ორმოცდამერვე მეფე, დავით კურაპალატი, ძე ბაგრატ კურაპალატისა. ბაგრატოვანი

[დავით კურაპალატს მტრად მოეკიდა ნასრა, გუარამ მამფალის ძე, რომელიც ამ დავითის მამის ძმა იყო].

[259] გუარამის ძე ნასრა და გურგენი აფხაზებს ემხრობოდნენ, დავითი და ლიპარიტი კი სომხებს ეხმარებოდნენ: სომხები და აფხაზები ერთმანეთს ებრძოდნენ ქართლში გაბატონებისათვის. ამ დროს გუარამი ბერად შედგა.

[ამ დავით კურაპალატმა ააშენა ხახულის ეკლესია].

როდესაც მოკვდა კახთა ქორეპისკოპოსი გაბრიელ დონაური, დაჯდა ქორეპისკოპოსად მის ნაცვლად ფადლა არევიანელი, კაცი ბრძენი და საქმეში გამოცდილი.

ნასრამ, გუარამის ძემ, მიიტყუა დავითი, ბაგრატის ძე, თავისი მამის ძმისწული, და მოკლა ის

ჩანართი

[ქორონიკონსა 101-ს (881 წ.) და დატოვა ძე, სახელით ადარნასე, რომელიც გამეფდა თავისი მამის შემდეგ.

გარდაიცვალა აშოტ კეკელა, აშოტ დიდის ძის, ადარნასეს ვაჟი, ქორონიკონსა 87-სა (867 წ.).

გარდაიცვალა სუმბატ მამფალი არტანუჯელი, ძმა აშოტ კეკელასი და აშოტ დიდის ძის, ადარნასეს ძე, ქორონიკონსა 109-სა (889 წ.).

გარდაიცვალა ძე ამ სუმბატისა, დავით მამფალი, ბერად შემდგარი, ქორონიკონსა 169-სა (949 წ.).

გარდაიცვალა სუმბატ ერისთავთერისთავი, ძე იმ დავით მამფალ მონაზონისა, ქორონიკონსა 208-სა (988 წ.). დარჩა მას ორი ძე: დავითი და ბაგრატი.

გარდაიცვალა ეს ბაგრატი, ძე სუმბატისა და ძმა დავითისი, ქორონიკონსა 208-სა (988 წ.), იმავე წელს, როდესაც აღესრულა მისი მამა სუმბატი. დატოვა ორი ძე: გურგენი და სუმბატი.

ხოლო გურგენმა დატოვა ერთი ძე, სახელით დემეტრე; სუმბატმაც დატოვა ერთი ძე, სახელით ბაგრატი.

გარდაიცვალა გურგენ კურაპალატი, ძმა სუმბატ მამფალ არტანუჯელი-სა და ძე ადარნასესი, აშოტ დიდის ძმის, ქორონიკონსა 111-სა (891 წ.).

[260] გარდაიცვალა აშოტ კუხი, რომელმაც აღაშენა ტბეთის საეპისკოპოსო, ძე იმ გურგენ კურაპალატისა, ქორონიკონსა 138-სა (918 წ.).

გარდაიცვალა ადარნასე ერისთავთერისთავი, ძე გურგენ კურაპალატისა, ძმა აშოტ კუხისა, ქორონიკონსა 116-სა (896 წ.), და დატოვა ორი ძე: დავით ერისთავთერისთავი და გურგენ ერისთავთერისთავი.

გარდაიცვალა ეს გურგენ ერისთავთერისთავი, ძმა დავით ერისთავისა, ქორონიკონსა 104-სა (884 წ.).

გარდაიცვალა ბაგრატ მამფალ-არტანუჯელი, ადარნასეს ძის, სუმბატ მამფალ ანთიპატ არტანუჯელის ძე, ძმა დავით მამფალ მონაზონ-ქმნილისა, ქორონიკონსა 129-სა (909 წ.).

გარდაიცვალა ადარნასე-ყოფილი და მონაზონ-ქმნილი ზასილი, ძე იმ ბაგრატ მამფალ-არტანუჯელისა, ქორონიკონსა 165-სა (945 წ.).

გარდაიცვალა აშოტ, ძმა ადარნასე მონაზონ-ქმნილისა, ძე ბაგრატ მამფალ-არტანუჯელისა, ქორონიკონსა 159-სა (939 წ.).

გარდაიცვალა დავით ერისთავთერისთავი, ძე ბაგრატ მამფალ არტანუჯელისა, ძმა ადარნასე-ყოფილ ბასილისა, ქორონიკონსა 128-სა (908 წ.).

გარდაიცვალა გურგენ ერისთავი, ძმა ამ დავით ერისთავთერისთავისა, ძე ბაგრატ მამფალ-ართანუჯელისა, ქორონიკონსა 143-სა (923 წ.).

გარდაიცვალა გურგენი, ბაგრატ მამფალ-ართანუჯელის ძის, გურგენის ძე, ქორონიკონსა 188-სა (968 წ.).

ხოლო ჩვენ დაეუბრუნდეთ ამბავს დავით კურაპალატისა, რომელიც მოკლა ნასრამ, მისმა მამის ძმისწულმა, გუარამ მამფალის ძემ].

ნასრას წინააღმდეგ გაერთიანდნენ სომეხნი, ლიპარიტი და ქართველნი, აგრეთვე აშოტი, ძე დავითისა, მათთან ერთად სარკინოზნი. შეებნენ ნასრას, გააქციეს და ჩამოართვეს ციხეები. წავიდა ნასრა საბერძენეთში, ბერძენთა მეფესთან.

გარდაიცვალა გუარამი, ძე აშოტისა. დამარხეს ის მის მიერ აღორძინებულ ოპიზაში.

[261] ორმოცდამეცხრე მეფე, ადარნასე, ძე დავით მეფე კურაპალატისა, ბაგრატიონი

[დასვეს ქართველთა მეფედ ადარნასე, დავით კურაპალატის ძე. ამ ადარნასემ, თავისი მეფობის დროს, ააშენა ბანა კვირიკე ბანელის ხელით, რომელიც გახდა პირველი ბანელი ეპისკოპოსი].

ბაგრატი, აფხაზთა მეფის, დემეტრეს ძე, იმყოფებოდა საბერძენეთში, კონსტანტინეპოლში. მისცა მას ბერძენთა მეფემ ლაშქარი, გამოამგზავრა ზღვით. გემით შემოვიდა ბაგრატი აფხაზეთში, მოკლა ადარნასე, იოვანეს ძე, და დაიპყრო აფხაზეთი. შეერთო ცოლად ადარნასეს ცოლი, გუარამის ასული. გამოიყვანა ბაგრატი, აფხაზთა მეფემ, თავისი ცოლისძმა, ნასრა, საბერძენეთიდან და მისცა მას ლაშქარი. ხოლო ნასრამ დაიპყრო სამცხეში სამი ციხე: ოძრხე, ჯვარისციხე და ლომსიანთა, გვარამის მიერვე აშენებულნი.

მოვიდნენ გურგენი და ადარნასე, დავითის ძე. მიეშველნენ მათ სომხები; შეიბნენ მტკვართან. დამარცხდნენ აფხაზნი, მოკლეს ნასრა და ბაყათარი, ოვსთა მთავარი და აფხაზთა ერისთავი.

[262] გაძლიერდა ფადლა ქორეპისკოპოსი და დაიმორჩილა გარდაბანელნი. მის შემდეგ ქორეპისკოპოსად დაჯდა კვირიკე. ქართლში გაბატონდნენ აზნაურნი.

მოვიდა ამ დროს კოსტანტი, აფხაზთა მეფე. დაიპყრო ქართლი. გადაემტერა მას სომეხთა მეფე, სუმბატ ტიეზერაკალი: გამოილაშქრა დიდი ჯარით, მოადგა უფლისციხეს. მოზიდეს უნაგირები, დაანყვეს ერთმანეთზე და ამ ხერხის მეშვეობით აიღეს ციხე. მაგრამ შემდეგ მოილაპარაკეს ერთმანეთთან სუმბატმა და კოსტანტიმ და დააბრუნა სუმბატმა უფლისციხე და მთელი ქართლი.

ამის შემდეგ მოვიდა აგარიანთა ამირა, სახელად აბულ-კასიმი, ძე აბუ-საჯისა. გამოგზავნა ის ამირ-მუმნმა დიდი და ურიცხვი ლაშქრით, რომელსაც ვერ იტევდა ქვეყანა. რადგან იგი თავიდან სომხეთში შემოვიდა, გაანადგურა მთელი სომხეთი: სივნეთი, გაედორი და ასფურაგანი. სომეხთა მეფე სუმბატმა ვერ გადალახა მის წინაშე შიში და გაიქცა: შეაფარა თავი აფხაზეთის მთებს და იქ იმყოფებოდა.

[263] მოადგა აბუ-საჯის ძე ტფილისს. იმ დროს იქ ამირად იჯდა ჯაფარი, ალის ძე. მოვიდა და მოადგა უჯარმას. შიგნით სამასი კაცი იყო გამაგრებული, რომლებიც იბრძოდნენ მრავალი დღის მანძილზე. როდესაც მიხვდნენ, რომ ვერ შეინარჩუნებდნენ ციხეს, დატოვეს ის ღამით და გადაიხვეწნენ: ზოგმა მოახერხა გაქცევა, ზოგს დაენივნენ და დახოცეს. როდესაც ბოჭორმის მეციხოვნეებმა შეიტყვეს უჯარმის აღების შესახებ, მიატოვეს ციხე და გადაიხვეწნენ. მოვიდნენ და ნახეს მიტოვებული ციხე, თქვეს: „იმისთვის, რაც საქონლის სადგომზე მეტი არ იყო, თავდადებულად იბრძოდნენ, ხოლო ნამდვილი ციხე დაუტყველად მიატოვეს“. აიღეს ბოჭორმა, გამაგრდნენ ციხეში, ხოლო უჯარმის გალავანი დაანგრიეს.

როდესაც კვირიკე ქორეპისკოპოსმა დაინახა, რომ არ შესწევდა წინააღმდეგობის გაწევის ძალა, მიენდო მის ფიცს და ეახლა. ჰკითხა მას საჯმა: „ვინ გირჩია აქ მოსვლა?“ უპასუხა მას ქორეპისკოპოსმა: „მირჩია დედაჩემმა“. და თქვა საჯმა: „არ ვატყენ გულს ერთადერთი შვილის მყოფს“. შეიყვარა მისი სიკეთისათვის და განუტევა, ბოჭორმა კი თვითონ დაიკავა.

ამის შემდეგ შემოვიდა საჯი ქართლში და მოაოხრა ის. მის მოსვლამდე უფლისციხის კედლები დაანგრიეს, რათა ვერ გამაგრებულიყვნენ მასში. გადავიდა იქიდან სამცხეში, ააოხრა სამცხე და ჯავახეთი; მოადგა თმოგვის ციხეს – როდესაც იხილა მისი სიმტკიცე და სიმაგრე,

მიატოვა იქაურობა, მოადგა ყველისციხეს და დაიწყო ბრძოლა მის ასაღებად.

იყო იქ ერთი ჭაბუკი, სახელად გობრონი. იბრძოდა შიგნიდან მრავალი დღის მანძილზე თავის თანამომძმებთან ერთად. როდესაც ციხე აიღეს, შეიპყრეს [264] წმიდა გობრონი და აწამეს: მისი წამება ვრცლად აღწერა ჩვენმა წმიდა მამამ, მტბევარის ეპისკოპოსმა, სტეფანემ.

აიყარა საჯი იქიდან და დაიძრა ქალაქ დვინისკენ. ეახლნენ და შეატყობინეს, რომ სუმბატ მეფე შევიდა კაპოეტის ციხეში. სწრაფად დაიძრა იქიდან და უბრძანა თავის ლაშქარს, რომ ყოველი კაცი, ვისაც კი ცოცხალს ნახავდნენ, მიეყვანათ მასთან. მოვიდა და მოადგა კაპოეტის ციხეს. ციხის დამცველთა ოჯახის წევრები, ვინც კი ციხის გარეთ იყო, ყველა შეიპყრო. ამის გამო იძულებულნი შეიქნენ, ციხე მისთვის ჩაებარებინათ. შეიპყრო სუმბატი, წაიყვანა დვინში, ჩამოკიდა ძელზე და ასე მოკლა.

ამის შემდეგ, როდესაც გავიდა რამდენიმე წელი და კვლავ აღორძინდა ქვეყანა, უხმო კვირიკე ქორეპისკოპოსმა აფხაზთა მეფეს, კოსტანტის. ჩავიდნენ ჰერეთში და ალყა შემოარტყეს ვეფინის ციხეს: აფხაზთა მეფე ზედა მხრიდან მოადგა, კვირიკე – ქვემოდან. როდესაც აღარაფერი აკლდა ციხის აღებას, მოვიდა პატრიკი ადარნასე, პარასკევ დღეს ჯვარში შესთავაზა დაზავება და მისცა აფხაზთა მეფეს არიში და გავაზნი, ხოლო კვირიკეს – ორჭობი. ზავის დადების შემდეგ დაიძრნენ იქიდან: აფხაზთა მეფე კოსტანტი მოვიდა ალავერდში, ილოცა წმიდა გიორგის წინაშე და ოქროთი შეამკო მისი ხატი. ლაშქრის დიდი ნაწილი გაამგზავრა. კვირიკე ქორეპისკოპოსმა დიდი პატივი სცა მას. ამის შემდეგ წავიდა კოსტანტი თავის ქვეყანაში.

მცირე ხნის შემდეგ გარდაიცვალა აფხაზთა მეფე კოსტანტი. გარკვეული დროის მანძილზე იყო არეულობა აფხაზეთის ქვეყანაში, რადგან ჰყავდა კოსტანტი მეფეს ორი ძე: [265] ერთი – უფროსი და მეორე – უმცროსი, რომელიც უშვა მას მეორე ცოლმა. უფროსს ერქვა გიორგი, უმცროსს – ბაგრატი. და იყო მათ შორის დიდი ბრძოლა, რის შესახებაც დაწვრილებით შეგიძლია შეიტყო მათ შესახებ დაწერილი ცხოვრებიდან.

ეს ბაგრატი იყო გურგენ ერისთავთერისთავის სიძე. როგორც კი შეეძლო, ეხმარებოდა მას გურგენი. სანამ ბაგრატი არ გარდაიცვალა, ვერ დამყარდა მშვიდობა. მისი სიკვდილის შემდეგ აფხაზთა სრულუფლებიანი მეფე გახდა გიორგი. იყო გიორგი აღსავსე სიკეთით, მხნეობითა და ახო-

ვანებით; იყო ღვთისმოყვარე – ყველა სხვაზე მეტად მაშენებელი ეკლესიებისა; გლახაკთა შემწყალებელი, უხვი და თავმდაბალი, ყველანაირი სიკეთითა და სათნოებით სავსე. თავისი მამულისა და სამეფოს ყველა საქმე მოაწესრიგა და მოაგვარა: ააშენა ჭყონდიდის საყდარი, დააარსა საეპისკოპოსო და დაამშვენა ის მონამეთა მრავალი წმიდა ნაწილით.

იმ დროს გარდაიცვალა კვირიკე ქორეპისკოპოსი და დაჯდა ქორეპისკოპოსად ფადლა, კვირიკეს ძე. მან ააშენა ლონობანის ციხე. იმავე დროს მოვიდნენ სარკინოზნი, რომლებიც იწოდებოდნენ საჯებად, და მოაოხრეს კახეთი, დაწვეს ჯვარი და მცხეთა და გაბრუნდნენ. ნავიდნენ და თან წაიღეს ნაჭერ-ნაჭერ დანაწილებული ჯვარი პატიოსანი. ამის შემდეგ დაემართათ მათ მუცლის ავადმყოფობა და მიხვდნენ, რომ ჯვრის მიერ დაისაჯნენ. შეკრიბეს ნაწილები და აღადგინეს ჯვარი, ჩადეს თავის ბუდეში და კვლავ აღმართეს ძველ ადგილას.

[266] ჰერეთში, იშხანის მეფობამდე, ყველა მისი წინამორბედი მწვალებელი იყო. ხოლო იშხანი გურგენ ერისთავთერისთავის დისწული იყო და იგი მისმა დედამ, დინარ დედოფალმა, მოაქცია მართლმადიდებლობაზე. იმ დროს სალარებმა დაიპყრეს ბარდავი და ადარბადაგანი.

აფხაზთა მეფემ, გიორგიმ, მისცა ქართლი თავის უფროს ძეს, კოსტანტის

ჩანართი

[რადგან მაშინ გარდაცვლილი იყო მეფე ადარნასე, ქორონიკონსა 143-სა (923 წ.).

და გარდაიცვალა ამ ადარნასე მეფის ძე, აშოტ კურაპალატი, ქორონიკონსა 174-სა (954 წ.).

გარდაიცვალა ძმა ამ აშოტ კურაპალატისა, მეფე დავითი, ქორონიკონსა 157-სა (937 წ.).

გარდაიცვალა ამათი ძმა, ადარნასე მეფის ძე, ბაგრატ მაგისტროსი კურაპალატი, ქორონიკონსა 165-სა (945 წ.).

გარდაიცვალა ამ ბაგრატის ძე, ადარნასე კურაპალატი, ქორონიკონსა 181-სა (961 წ.).

გარდაიცვალა ბაგრატი, ამ ადარნასე კურაპალატის ძე, ქორონიკონსა 189-სა (969 წ.).

გარდაიცვალა დავით ერისთავთერისთავი, ძმა ამ ბაგრატისა, ქორონიკონსა 186-სა (966 წ.).

გარდაიცვალა სუმბატი, მეფე-კურაპალატი, ადარნასე მეფის ძე, ძმა დავით მეფისა, ქორონიკონსა 178-სა (958 წ.), და დატოვა ორი ძე: ბაგრატ რეგვენი, რომელიც მამის შემდეგ გამეფდა, და ადარნასე კურაპალატი.

გარდაიცვალა ეს ადარნასე კურაპალატი ქორონიკონსა 203-სა (983 წ.).

გარდაიცვალა ამ ადარნასეს ძე, დავით დიდი კურაპალატი, სიკეთით აღსავსე, რომლის ამბავსაც ქვემოთ მოთხრობილი ნათელ-ყოფს, ქორონიკონსა 221-სა (1001 წ.).

გარდაიცვალა მამის ძმა ამ დავით კურაპალატისა, ძე სუმბატ მეფე-კურაპალატისა, ბაგრატ რეგვენი, ქორონიკონსა 214-სა (994 წ.).

გარდაიცვალა ძე ამ ბაგრატ რეგვენისა, სუმბატი, ქორონიკონსა 212-სა (992 წ.), და არ დაუტოვებია შვილი].

[267] ქართლის ორმოცდამეათე მეფე, აფხაზთა მეფის ძე, კოსტანტინე

გაატარა რა სამი წელი კოსტანტინემ ქართლის მმართველად, დაუნყო მამას მტრობა და მცდელობა, ხელში ჩაეგდო მეფობა. როდესაც ეს გამოაშკარავდა, შევიდა იგი უფლისციხეში და მხარი დაუჭირეს მას ტბელებმა და კიდევ სხვა მრავალმა აზნაურმა.

როდესაც დარწმუნდა მეფე გიორგი ძის განდგომაში, გამოილაშქრა მთელი თავისი ძალით, წამოიყვანა ტაოელი მეფეები და ფადლა ქორეპისკოპოსი, შემოერტყნენ უფლისციხეს და იბრძოდნენ მრავალი დღის მანძილზე, მაგრამ ვერაფერს ავნებდნენ ციხეს, რადგან ბევრი იცავდნენ მას შიგნიდან. იბრძოდნენ ხან ამხედრებულნი, ხან ქვეითად.

მაშინ გიორგიმ ასეთი გზით გადაიბირა საზვერელი აზნაურები: „გამოდი, ჩვენ გადაგიყვანთ აფხაზეთში, დაჯდები შენ მეფედ, ხოლო მამა შენი დარჩება მის საზღვრებს გარეთ.“ დაიჯერა კოსტანტინემ და ენდო, თუმცა აზნაურნი, რომლებიც მასთან ერთად იყვნენ, არ ურჩევდნენ ამის გაკეთებას. კოსტანტინემ არ მიიღო მათი რჩევა, გამოვიდა ღამე ტივით მტკვარზე. გასცდა თუ არა მტკვრის ნაპირს, ველარ მოითმინეს მისმა მოწინააღმდეგეებმა და დაედევნნენ შესაპყრობად. როდესაც მიხვდა კოსტანტინე მათ ბოროტ განზრახვას, მიაბრუნა ტივი, რათა კვლავ ციხეში შესულიყო. ველარ დაიმორჩილა ტივი და

გადმოხტა იმ ადგილას, სადაც ტივები დგებოდნენ. ატყდა ხმაური, გამოვიდა მეფე და მთელი ლაშქარი და ალყა შემოარტყეს ციხეს. როდესაც გათენდა, დაიწყეს კოსტანტინეს ძებნა, რომელიც წყლიდან უკვე გამოსულიყო და კლდის ნაპრაღში იმალებოდა. იპოვა ის ერთმა არასანდო კაცმა, შეიპყრეს და მიჰგვარეს მეფეს. მეფემ კოსტანტინე სასტიკად დასაჯა: ჯერ თვალები ამოშანთეს, [268] შემდეგ დაასაჭურისეს და მოკვდა. აზნაურებს, რომლებიც ციხეში იყვნენ, მეფემ დანდობის პირობა მისცა და ასე გამოიყვანა იქიდან: ტბელები მშვიდობიანად გაანთავისუფლა და გაგზავნა ასფურაგანში.

გარდაიცვალა ფადლა ქორეპისკოპოსი. დაჯდა ქორეპისკოპოსად კვირიკე. ამის შემდეგ განდგნენ გარდაბანელი აზნაურები და დაიწყეს გიორგისთან მოლაპარაკება. გამოილაშქრა მეფე გიორგიმ, ჩავიდა კახეთში, გადაწვა იქაურობა, ამოწყვიტა ხალხი და გაბრუნდა თავის ქვეყანაში. კვლავ ატენში დაბანაკდა. მისი ძე, ლეონი, ქართლის ერისთავი იყო. მისცა გიორგიმ მას მთელი ლაშქარი, რათა კვლავ შესულიყო კახეთში. როდესაც მიხვდა კვირიკე, რომ ვერ გაუწევდა წინააღმდეგობას, ეახლა მათ. შემდეგ კვლავ მოინდომა ვერაგულად გაპარვა, მაგრამ შეიპყრო იგი ლეონმა და გაემართა კახეთისკენ, რათა ხელში ჩაეგდო მთელი მისი ოჯახი. ქართლის აზნაურებმა აცნობეს მათ ეს და გადაიხვეწნენ.

შურტა, ქორეპისკოპოს კვირიკეს ძმა, გადავიდა გიორგი მეფის მხარეზე და გადასცა მას უჯარმოს ციხე. კახეთის სხვა ციხეებსაც ისინი დაეუფლნენ, სამის გარდა: ნახჭევანის, ბოჭორმისა და ლონობანთასი.

ლონობანნი ეკუთვნოდა ივანე არშის ძეს. გამაგრდა მასში, უღალატა პატრონს. ააგეს შურისციხე და განალაგეს მასში ლაშქარი. მარანის ციხეს ფლობდა მაშინ ხახუა, ივანეს ძმა, იმავე არშის ძე. თავისი ძმის მსგავსად, ისიც ძალით ცდილობდა ციხის შენარჩუნებას. მოვიდა მეფე და უბრძანა ლაშქარს ბრძოლით აღება ციხისა. მათ ხერხით მოახერხეს ციხის ხელში ჩაგდება და შეპყრობილი ხახუა მოუყვანეს მეფეს. მეფემ დატყვევებული ჯიქეთში გაგზავნა.

ნახჭევანის ციხეს ფლობდა კვირიკეს ძე, ფადლა. ისიც შიგნით გამაგრდა. როდესაც ქორეპისკოპოსმა კვირიკემ დაინახა, რომ აღარ შეეძლო წინააღმდეგობის გაწევა, ითხოვა პირობა [269] მისთვის სიცოცხლის შენარჩუნებისა და გადაულოცა კახეთი მეფე გიორგის. ლეონს, მეფის ძეს, არ სურდა კვირიკეს გაშვება, რადგან არც პირველი შეპყრობისას იყო თანახმა მისი განთავისუფლებისა, მაგრამ არ ის-

მინა მამამ ლეონისა. კვირიკემ ითხოვა პირობა, რომ იმ ზამთარს არ აიღებდნენ ბოჭორმის ციხეს, ხოლო აღვსების შემდეგ დატოვებდა იქაურობას. დართეს ამის ნება. სანაცვლოდ აიღეს ნახჭევანის ციხე და კვირიკეს უმცროსი შვილი, დავითი, დაიტოვეს მძევლად. ლამპრობის დღეს² განუტევეს.

წავიდა მეფე აფხაზეთში და შევიდა კვირიკე ბოჭორმაში. ემზადებოდა და სურდა აღვსების შემდეგ წასვლა. მაშინ მოეთათბირნენ მას ქართლისა და მათთან ერთად კახეთის აზნაურნი: გოდერძი მგდეური, მამა ყანჩაელი, დაჩი კორინთელი, დაჩი და ივანე სხვილოსელი, ძმანი ფხუენელი – სარა და გრიგოლი და მათთან ერთად კიდევ სხვა ორმოცდაათი აზნაური. გადავიდნენ კვირიკეს მხარეზე, დაიწყეს ბრძოლა ციხეთა ასაღებად და მოკლე ხანში ხელში ჩაიგდეს ყველა ციხე; დაანგრიეს შურისციხე და ლონობანთა და კვლავ დაეუფლა კვირიკე თავის ქვეყანას.

ეახლნენ და შეატყობინეს მეფე გიორგის კახეთის დაკარგვა. დიდად შეწუხდა და ბრალს სდებდა ყველას, ვინც ურჩია კვირიკე ქორეპისკოპოსის გაშვება. როდესაც დასრულდა ზამთარი, კვლავ გაგზავნა ლაშქარი თავისი ძის, ლეონის მეთაურობით. ჩავიდა ლეონი და გადანწვა კახეთი. ლაშქრობის დროს შეატყობინეს მას დიდი და ღვთისმოყვარე გიორგი მეფის გარდაცვალება. მაშინ იხმო ლეონმა ქორეპისკოპოსი კვირიკე. შეხვდნენ ერთმანეთს ბაზალეთის ტბის პირას, თითო ცხენოსნის თანხლებით. მთელი დღე გრძელდებოდა მოლაპარაკება, სანამ შეატყობინა ლეონმა თავისი მამის გარდაცვალება, დაარწმუნა სიყვარულში და დაპირდა კვირიკეს მისი ძის სიძედ გახდომას. როდესაც ეს კვირიკემ მოისმინა [270], ჩამოხტა ცხენიდან, მადლიერებით თაყვანი სცა ლეონს და გაიხარა ზავისა და სიყვარულის გამო, განსაკუთრებით კი – მომავალი დამოყვრების დაპირებით.

დაბრუნდა ლეონი და დაიწყო მართვა თავისი მამულისა და სამეფოსი, რადგან მაშინვე შევიდა აფხაზეთში. განადიდა უფალმა მისი მეფობა, ისევე როგორც მისი მამისა. იყო ისიც ღვთისმოყვარე და ყველანაირი სიკეთით სავსე. ააშენა მან მოქვის ეკლესია და დააარსა იქ საეპისკოპოსო, აკურთხა და უზრუნველყო ყველაფერი აუცილებელით. როდესაც გამეფდა, შეუსრულა კვირიკე ქორეპისკოპოსს დადებული პირობა და მიათხოვა თავისი ასული მის ძეს. მოკლე ხანში გარდაიცვალა ლეონის ასული.

კვლავ დაუნყოფი ლეონმა მტრობა კვირიკეს და ისევ ცდილობდა კახეთის ხელში ჩაგდებას. გაილაშქრა დიდი ჯარით, განლაგდა არაგვის პირას, დაარბია მუხნარი, ხერკი და ბაზალეთი. ამ ლაშქრობის დროს დასნეულდა და გარდაიცვალა.

ლეონის შემდეგ გამეფდა ქართლში მისი ძმა, დემეტრე. გავიდა ხანი, სანამ მან სამეფოს საქმენი მოაწესრიგა. მისი ძმა თეოდოსი საბერძნეთში იყო. ამ ქვეყნის ზოგიერთმა კაცმა იხმო იგი, რათა გამოსულიყო თავისი ძმის წინააღმდეგ. აფხაზთა მეფემ, დიდმა გიორგიმ, თავის სიცოცხლეშივე გაგზავნა ორი შვილი საბერძნეთში, თეოდოსი და ბაგრატი, რომ იქ გაზრდილიყვნენ და მისი სიკვდილის შემდეგ არ ყოფილიყო მათ შორის ბრძოლა და მტრობა.

გამოვიდა თეოდოსი საბერძნეთიდან, მოვიდა სამცხეში, დაბანაკდა მარგის მერეში, იხმო მესხთა აზნაურები, აგროვებდა ლაშქარს და სურდა ძალით დამორჩილება თავისი მამულის. დემეტრე მეფემ გაგზავნა ლაშქარი, დაესხნენ მოულოდნელად და გააქციეს თეოდოსი. წავიდა ქართლში, მივიდა ძამის მთავართან, ადარნასესთან [271]; შეიყვანეს იგი ძამის ციხეში და იქიდან ცდილობდა თავისი საქმის მოგვარებას.

მაშინ დემეტრე მეფემ გაგზავნა ლაშქარი, შემოერთებენ ძამის ციხეს და იბრძოდნენ სამიოდე თვის მანძილზე. ციხის გარშემო მოსახლეობას დიდი ზიანი ადგებოდა. როდესაც ციხის დამცველთა გაუჭირდათ, ითხოვეს ფიცი და პირობა, რომ უვნებლად გაუშვებდნენ თეოდოსის. მიიღეს, რასაც ითხოვდნენ: გაუშვეს თეოდოსი მშვიდობით. წავიდა იგი დავით კურაპალატთან და დაჰყო იქ ერთი წელი.

[ეს ის დავით კურაპალატია, ვისი სიკვდილიც ზემოთ აღვწერეთ, ქორონიკონის 221-ში (1001 წ.). ის იყო სუმბატ მეფე-კურაპალატის ძის, ადარნასე კურაპალატის ძე, ბაგრატიონი].

კვლავ წამოვიდა ტაოდან და მოვიდა კახეთში. მაშინ გამოუგზავნა მოციქული დემეტრე მეფემ თეოდოსის და კვირიკე ქორეპისკოპოსს და შემოუთვალა: „რადგან ჩამოვიდა ძმა ჩემი საბერძნეთიდან, არ დასრულდება ჩვენ შორის ბრძოლა, გამონვეული მის ჩამომყვანთა მიერ; შენი თავდებით მომანდე ძმა ჩემი და თანაბრად ვმართავთ ჩვენს მამულს, როგორც ამას ადრე ვაკეთებდით მე და ლეონი; მიიღე ჩემგან პირობა და შუამავალნი და მე დიდად მაღლიერი ვიქნები შენი ამისთვის“. როდესაც შეიტყო კვირიკე ქორეპისკოპოსმა დემეტრე მეფის შემონათვალი, მოიყვანა თეოდოსი, შესთავაზა მინდობოდა ძმას და

უთხრა: „მე ვიძიებ შენ გამო შურს“. მიანდო ძმას და გაგზავნა.

წაიყვანეს თეოდოსი მტკიცე ფიცით, რომელიც დადეს სვეტიცხოვლის წინაშე კათალიკოსმა, მღვდელთმოდღვრებმა და ყოველთა დიდებულთა. [272] როდესაც მოვიდა თეოდოსი ძმასთან, დაჰყო იქ მცირე ხანი. დემეტრემ დაივიწყა შუამდგომლობა ღვთისა და კაცთა და გაბედა ფიცის გატეხვა: შეიპყრო თეოდოსი და ამოშანთა თვალები. იხილეს რა ეს მის სამეფოში მყოფებმა, დაიწყეს ძებნა თეოდოსის ძმის, რომელსაც ერქვა ჩალა-მეფე, მაგრამ ვერ მოახერხეს მისი პოვნა, რადგან იყო მეფე დემეტრე მხნე და ახოვანი. დემეტრე მეფის აღსრულების შემდეგ დაინახა იმ ქვეყნის ყველა მკვიდრმა, რომ აღარ იყო დარჩენილი აფხაზეთისა და ქართლის მემკვიდრე, გამოიყვანეს თეოდოსი და გაამეფეს.

მაშინ გამოვიდნენ კახნი და მოადგნენ უფლისციხეს. იყო იმ დროს ქართლის ერისთავი ივანე მარუშის ძე, ძლიერი და მრავალი ქვეშევრდომის პატრონი. მან გაგზავნა მოციქული დავით კურაპალატის წინაშე და შესთავაზა, რომ გამოეღაშქრა თავისი ძალებით და აეღო ქართლი: ან თვითონ დაეკავებინა ის, ან ებოძა ბაგრატიონის, გურგენის ძისთვის, რომელიც იყო აფხაზეთა მეფის, გიორგის ასულის ვაჟი და ეკუთვნოდა აფხაზეთი და ქართლი მემკვიდრეობით დედის მხრიდან. ამ ივანე მარუშის ძეს სურდა ბაგრატიონის გამეფება. როდესაც მოისმინა დავით კურაპალატმა ივანე მარუშის ძის შემონათვალი, მთელი თავისი ძალით გამოემართა და მოვიდა ქართლში. შეიტყვეს რა კახთა მისი მოსვლის შესახებ, გაიქცნენ და დატოვეს ქართლი.

მოვიდა დავით კურაპალატი, დაბანაკდა ქვახვრელში. მიეგება მას ქართლის ერისთავი ივანე მარუშის ძე. მიიღო მისგან დავითმა უფლისციხე და უბოძა ის ბაგრატს და მის მამას, გურგენს, რადგან არ ჰყავდა შვილი დავით კურაპალატს და ბაგრატი, გურგენის ძე, გაეზარდა როგორც შვილი.

[273] ეს დავით კურაპალატი ყველა ტაოელ მეფეზე აღმატებული შეიქნა.

ჩანართი

[ამ დროს ბერძენთა მეფეს განუდგა სკლიაროსი და მთელი სამფლობელო დაიპყრო; მეფენი და დედოფალი შეამწყვდია ქალაქში, სადაც ისინი დიდ გასაჭირში იყვნენ. ამ დღეში მყოფებმა გადაწყვიტეს: „არავინ არის ჩვენი შემწე დავით კურაპალატის გარდა“. დაწერეს ვე-

დრების წერილი და გამოგზავნეს დავით კურაპალატთან ქართველი თორნიკე, რომელიც იმყოფებოდა მთაწმინდის დიდ ლავრაში, დიდი ათანასეს მონასტერში, რათა დახმარებოდა მათ.

გაიგო რა ეს კურაპალატმა, დიდად გაიხარა: მიიღო ბერძენთა მეფის წერილები – საქმის მთელი ვითარება მას თორნიკემ ამცნო. გადანყვიტეს, რომ ლაშქარი გაეგზავნათ საბერძნეთში და მხედართმთავრად თორნიკე დანიშნეს. თორნიკემ ბერძენთა მეფეს გაუგზავნა კურაპალატისა და თავისი წერილები და კურაპალატის ნება აუწყა. მაშინ უბოძა ბერძენთა მეფემ კურაპალატს საბერძნეთში ზემო მიწები, რათა თავისი სიცოცხლის მანძილზე ყოფილიყო მისი მფლობელი.

ბერძენთა მეფემ დავით კურაპალატისგან მძევლად აზნაურთა შვილები ითხოვა. მისცა მძევლად უფლისწულები. და ისევ ითხოვა: მიჰგუარეს ბერძენთა მეფეს მამა იოანეს ცოლისძმებმა მისი ძე ეფთვიმე. ეს რომ იოანემ შეიტყო, სურდა თუ არა, იძულებული გახდა თვითონაც გამოცხადებულიყო იქ და ჩავიდა სატახტო ქალაქში. რადგან მეფენი იცნობდნენ აბუჰარბს, იოანეს სიმამრს, იოანეს მიმართაც დიდი სიყვარული გამოავლინეს და კეთილად მოიკითხეს. ამის შემდეგ შედგა ხანგრძლივი კამათი იოანესა და მის სიმამრს შორის ეფთვიმეს გამო. არ სურდა იოანეს მისი მიცემა, ადანაშაულებდა აბუჰარბს და ეუბნებოდა: „რა არის ეს? ნუთუ თქვენ არა გყავთ შვილები? განა ცხადი არ არის, რომ მათ სწყალობთ როგორც თქვენ შვილებს, ხოლო ჩემი შვილი, როგორც ობოლო, მძევლად განირეთ. მაგრამ უფალმა შეგინდოთ“. და ამგვარად, საღმრთო განგებითა და მეფეთა გადანყვიტებით მიიყვანა თავისი შვილი, ხოლო თვითონ კვლავ ულუმბოზე დაბრუნდა.

ხოლო თორნიკემ მისწერა კურაპალატს: „ვიცი, რომ ღმერთი არის შენი შემწე და იყავი ჩვენი ერთგული: თუ ღმერთი ხელს მოგიმართავს და გაიმარჯვებ ყველა ჩვენ მოწინააღმდეგეზე, მთელი ალაფი შენი იყოს“. ამ საქმისათვის მისცა კურაპალატმა თორნიკეს თორმეტი ათასი რჩეული მხედარი. ქრისტეს შენევნით დაამარცხა თორნიკემ სკლიაროსი და სპარსეთში გააქცია. შემდეგ, მეფეთა თხოვნით, დაბრუნდა და დაატყვევა საბერძნეთის ყველა დიდებული, მოაოხრა მათი მონაგები – ზოგი ლაშქარს გაუნაწილა, ზოგიც, ურიცხვი და დიდი ალაფი, თვითონ დაიტოვა: ოქრო და ვერცხლი, ოქრომკედით ნაქსოვი ქსოვილები და სხვა ბევრი მსგავსი რამ. შემდეგ დაბრუნდა, მოიკითხა კურაპალატი და დიდად მოიმაძლიერა³.

[274] რადგან იყო დავით კურაპალატი თავიდანვე ღვთისმოყვარე და გლახაკთმოწყალე, თავმდაბალი, მშვიდი და ბოროტების მიმტევებელი, ეკლესიათა მაშენებელი, კეთილი, უხვი, კაცთმოყვარე, ბერების მოყვარული, ყველასთვის კეთილისმყოფელი და აღსავსე ყველანაირი სიკეთით. მან ააშენა მონასტერი და საყდარი ღვთისა – ხახულის წმიდა ეკლესია.

და როდესაც იქიდან წამოვიდა, დატოვა უფლისციხეში გურგენი და ძე მისი ბაგრატი. იმ დროს ბაგრატი ჯერ არასრულწლოვანი იყო, ამიტომ თანაგამგებლად დაუტოვა თავისი მამა, გურგენი. შეკრიბა ქართლის აზნაურნი და უბრძანა: „ეს არის მემკვიდრე ტაოსი, ქართლისა და აფხაზეთისა, შვილი და გაზრდილი ჩემი, და მე ვარ მისი მოურავი და თანაშემწე; ამას დაემორჩილეთ ყოველნი“. დაჰყო კიდევ მცირე ხანი და წავიდა].

ორმოცდამეთერთმეტე მეფე, ბაგრატი, ძე მეფეთ მეფე გურგენისა, ბაგრატოვანი

გარკვეული დროის გასვლის შემდეგ ქართლის აზნაურებმა, თავიანთი ჩვეულებისამებრ, კვლავ დაიწყეს ვერაგობა: მოელაპარაკნენ ნაქურდევლებსა და საბოტარელებს, ჩამოიყვანეს ლაშქარი კახეთიდან, ჩააბარეს უფლისციხე, შეიპყრეს გურგენი და მისი ძე ბაგრატი, აგრეთვე დედოფალი გურანდუხტი და წაიყვანეს კახეთში.

როდესაც ეს დავით კურაპალატმა შეიტყო, შეწუხდა ძალიან, გამოილ-აშქრა მთელი თავისი ძალით, მოვიდა თრიალეთში, რათა შესულიყო კახეთში. შეიტყეს რა ეს კახთა, მიუგზავნეს მოციქული დავითს და შესთავაზეს ზავის პირობები: გაეთავისუფლებინათ [275] გურგენი, ბაგრატი და გურანდუხტი, დაებრუნებინათ ქართლი და უფლისციხე, ხოლო წირქვალის ციხე და გრუი თავიანთთვის დაეტოვებინათ. იმ დროს უფლისციხე და ქართლი გურანდუხტ დედოფალს ეკუთვნოდა. ეს გურანდუხტ დედოფალი იყო აფხაზთა მეფის, გიორგის, ასული და დედა ბაგრატისა.

ამ ამბის შემდეგ, სამი წლის მანძილზე, მეფობდა აფხაზეთში თეოდოსი მწუხარე. წახდა ქვეყანა, შეიცვალა წესი და განგება, პირველ მეფეთა მიერ დადგენილი. როდესაც ეს დაინახეს იმ ქვეყნის წარჩინებულებმა, დიდ მწუხარებაში ჩაცვივდნენ.

ამავე ივანე მარუშის ძემ ინება, რომ გაემეფებინა ბაგრატი აფხაზეთში. მასთან ერთად აფხაზეთისა და ქართლის ყველა დიდებულმა,

ერისთავმა და აზნაურმა, გამოითხოვა ბაგრატი მეფე დავით კურაპალატისაგან. დავითმა დიდი იძულებითა და ძალდატანებით ალასრულა მათი თხოვნა; როგორც თავიდან ვთქვი, უშვილო იყო დავით კურაპალატი და ბაგრატი შვილად ჰყავდა გაზრდილი, ტაოს ორივე მხარის მპყრობელად. მაგრამ რადგან უმემკვიდრეოდ დარჩა ქართლი და აფხაზეთი, დართო მათ ნება, მიიღო რა პირობა და მძევალი.

ჩაიყვანეს ბაგრატი აფხაზეთში, დალოცეს მეფედ და დაემორჩილა ყველა მის ბრძანებას, რადგან იყო უკვე სრულწლოვანი. ორი წლის მანძილზე ამის შემდეგ განაგებდა, აგვარებდა და ასწორებდა ყველანაირ საქმეს თავისი პაპის, დიდი გიორგი მეფის, მსგავსად, შეიძლება უკეთესადაც, რადგან ქცევით ყველაფერში დამსგავსებოდა თავის გამზრდელს, დიდ მეფეს, დავით კურაპალატს. ბაგრატის მიერ ყველა საქმე მხოლოდ კეთილად აღესრულებოდა. თავისი დედის ძმა, თეოდოსი, გამოგზავნა ტაოში დავით კურაპალატთან, რადგან [276] უმჯობესად მიიჩნია, რომ ყველას, დიდსა თუ პატარას, უკეთესის იმედი დავითისგან ჰქონოდა და ასევე, სასჯელის შიშიც უნესო საქციელის გამო.

ამის შემდეგ გადმოვიდა ქართლში, რათა მოენსერიგებინა ქართლის არეული საქმეები. შემოვიდა და განლაგდა თიღვაში. იმ დროს ქართლის ზოგიერთ აზნაურს არ სურდა ბაგრატის მოსვლა, რადგან ქართლის საქმეებს თავიანთი შეხედულებისამებრ განაგებდნენ, თუმცა ვითომ გურანდუხტს ემორჩილებოდნენ.

წინამძღვრად ქავთარ ტბელი აირჩიეს, ბრძოლით შეეგებნენ და განლაგდნენ მოღრისის თავზე. იხილა რა ეს ბაგრატი აფხაზთა მეფემ, შეუძახა თავის მხედრებს, მივიდნენ და შეებნენ. გააქციეს ქართლელნი: ზოგი დახოცეს, ზოგი შეიპყრეს, დანარჩენები, გაქცეულები, გადაიხვეწნენ და დაიფანტნენ. მოვიდა უფლისციხეში, ჩაიბარა ციხე თავისი დედისაგან, დაჰყო იქ რამდენიმე ხანი, მცირედ მოაწესრიგა საქმენი ქართლისანი; ამის შემდეგ წაიყვანა თან დედა და წავიდა აფხაზეთში. როგორც მენავეთა გამოცდილმა მეთაურმა, ისე განაგო აფხაზეთის საქმეები: მალევე ამხილა ყველა, ვინც კი ჰპოვა ურჩი და მის ადგილზე განადიდა თავისი ერთგული და სანდო.

ამასობაში გავიდა რამდენიმე წელი. იმ დროს კლდეკარის ერისთავი იყო რატი. მის გამგებლობაში იყო ატენის ციხე და მტკვრის სამხრეთით მდებარე მთელი ქართლი: თრიალეთი, მანგლის-ხევი და სკვირეთი. არ ემორჩილებოდა ის ბაგრატი მეფეს.

მოულოდნელად შეკრიბა ბაგრატ მეფემ მთელი თავისი ჯარი და შე-
მოვიდა ქართლში: რატი ერისთავის შეპყრობა სურდა. მაშინ სწრაფად
აუწყეს დავით კურაპალატს და ასეთნაირად უთხრეს: „არსად სხვაგან
არ წავა, არამედ მზად არის [277] შენ მოსაკლავად“. გურგენი, მამა
ბაგრატიისი, იარაღსხმული იყო, რათა შეერთებოდა თავის შვილს. და-
ვით კურაპალატი სწრაფად წამოვიდა, მოუხმო ლაშქარს და სომხითის
ყველა მეფეს. მაშინ ჯერ კიდევ ცოცხალი იყო ბაგრატიის პაპა, ბაგრატ
ქართველთა მეფე. ისიც გამოცხადდა დავით კურაპალატთან, რადგან
ემინოდა, რომ მისი ძე, გურგენი, ჩამოართმევდა მეფობას. მოვიდა და
დაბანაკდა დღივით დიდი მხედრობით, რომლის დათვლაც შეუძლე-
ბელი იყო, და გაგზავნა ლაშქარი გურგენის წინააღმდეგ. შეიბნენ
„გარდათხრილთან“⁴, შავშეთის მთასთან. გააქციეს გურგენი. გაქციუ-
ლი ჩავიდა და თავი შეაფარა წეფთის ციხეს.

ამ დროისათვის ბაგრატი მოსული იყო თრიალეთში; დაბანაკდა კარ-
უშეთში. გაგზავნა მოციქული, დაათვალიერა ლაშქარი და დარწმუნდა,
რომ წინააღმდეგობას ვერ გაუწევდა დავით კურაპალატს. მაშინ და-
ტოვა მხედრები იქ, სადაც იყვნენ, თვითონ კი მარტო ეახლა დავითს,
ითხოვა მისგან შენდობა და აუწყა: „მოვედი არა სხვა მიზნით, არამედ
იმისათვის, რომ არ დავემორჩილო რატის“. ხოლო დავითმა გაგზავნა⁵
და უბრძანა ასე: „მითხრეს, რომ ჩემ მოსაკლავად იყავი წამოსული,
მაგრამ ახლა დავრწმუნდი, რომ უდანაშაულო ხარ. გაძლევ უფლებას
გაილაშქრო რატის წინააღმდეგ. დაიმორჩილე, როგორც გსურდეს“.

მაშინ წამოვიდა ბაგრატი სიხარულით აღსავსე, წავიდა მაშინვე
აფხაზეთში, რათა ვერ შეეტყო რატის და მოულოდნელად მისულიყო,
როდესაც არ ელოდა. დადგა რა ზამთარი, მოვიდა მთელი თავისი ძალით
და მოადგა კლდეკარს. იხილა ეს რატიმ, გამოვიდა ციხიდან, გამოიყვანა
თავისი შვილი ლიპარიტი, შეაგედრა ის [278] ბაგრატს, აფხაზთა მეფეს,
ჩააბარა მას ციხე, ხოლო თვითონ დაჯდა არგვეთში, თავის მამულში.

[ხოლო ამ დროისათვის გარდაცვლილი იყო დავით დიდი კურაპალატი,
როგორც ზემოთ ვთქვით. და როდესაც მოკვდა ეს დავითი, არ დარჩა მას ძე.

აოხრდა იმიერ-ტაო. მოვიდა ბასილი, ბერძენთა მეფე, და ჩააბარეს
ამ დავითის აზნაურებმა მას ციხეები. დაიპყრო ბასილ მეფემ მამული
დავით კურაპალატისი.

ეახლნენ მას ბაგრატ, აფხაზთა მეფე, და მისი მამა გურგენი. უბოძა პა-
ტივის ნიშნად ბასილმა გურგენს მაგისტროსობა, ხოლო ბაგრატს – კურა-

პალატობა. ამით სურდა ერთმანეთისთვის გადაემტერებინა მამა-შვილი. ამ ხერხით ივერაგა ბასილმა. მაგრამ გურგენი წრფელი იყო და მართალი: ამ მიზეზით ვერ აღუძრა მას გულში ზაკვა და ვერ მიაღწია მიზანს.

რამდენიმე წლის შემდეგ გარდაიცვალა ეს მეფეთ მეფე გურგენი, მამა ამ ბაგრატ მეფისა და ძე ბაგრატ მეფე რეგვენისა, ქორონიკონსა 228-სა (1008 წ.).

როდესაც გავიდა რამდენიმე ხანი, როგორც უკვე ვთქვი, მოაგვარა ბაგრატმა აფხაზეთის საქმეები: ურჩნი გადააყენა მაღალი თანამდებობებიდან, მათ ადგილებზე დაადგინა ერთგულნი და მისი ბრძანების უსიტყვოდ აღმსრულებელნი. თავისი საქმეებით იგი აფხაზეთისა და ქართლის ყველა მეფეზე აღმატებული შეიქნა და ყველა დროსთან შედარებით განამრავლა თავისი ლაშქარი.

გამოილაშქრა მთელი თავისი მხედრობით, გადმოვიდა ქართლში, გაგზავნა მოციქულები კახეთში, ითხოვა ქართლის ციხეები, რომლებიც კახელებს ჰქონდათ ხელში ჩაგდებული. იმ დროს ქორეპისკოპოსი იყო დავითი. მან არ ინება ციხეების ჩაბარება, არამედ ასე შეუთვალა: „თუ გსურს ციხეების მიღება, გადანყვიტოს ეს ამბავი ჩვენ შორის ძალამ და ომმა. მე შემოგხვდები ქსანზე“.

განურისხდა მას აფხაზთა და ქართველთა მეფე. მაშინ კურაპალატი დლივში იყო, რადგან განაგებდა ტაოსა და ქართლის საქმეებს: თვით მას ეპყრა ტაო თავისი მამის, მეფეთ მეფე გურგენის გარდაცვალების შემდეგ. სწრაფად გაგზავნა კაცი [279], იხმო ჯარი აფხაზეთიდან და ქართლიდან, თვითონ კი გამოემართა ზემო ლაშქრით, გაიარა თრიალეთი, გადაიარა მცხეთის ხიდი. შეუერთდნენ მას აფხაზნი და ქართველნი. დაბანაკდა თიანეთში და დაიწყო კახეთის შემუსვრა. ვერ გაუწია მას წინააღმდეგობა დავითმა, რადგან ბაგრატის ძალა ურიცხვი იყო: დაიწყო ბრძოლა ციხეების ასაღებად და ამასობაში აიღო ჰერეთის ქვეყანა, მთავრად დაადგინა აბულალი და დაბრუნდა შინ.

წამოვიდა თუ არა ბაგრატ, აფხაზთა მეფე, განუდგნენ ჰერეთელები და გადავიდნენ დავითის მხარეზე. აიღო დავითმა ჰერეთი. ცოტა ხნის შემდეგ გარდაიცვალა იგი. კვლავ შემოვიდა მთელი თავისი ჯარით ბაგრატი, მეორედ აიღო ჰერეთი. შეიპყრო დედოფალი დინარი და დაიწყო მცდელობა კახეთის დაპყრობისა. თავისი უსაზღვრო ძალით ორ წელიწადში ხელში ჩაიგდო კახეთის ყველა ციხე. დაამწყვდია კვირიკე ბოჭორმაში და დაუყენა მთელი წლით ციხეს გარშემო მცველნი; ხელში

ჩაიგდო ბოჭორმაც. მთლიანად დაიპყრო ჰერეთი და კახეთი, წამოიყვანა კვირიკე და ჰყავდა ის თავის კარზე.

იმ დროისთვის გაძლიერდა ფადლონი, განძის ამირა. დაიწყო ჰერეთისა და კახეთის ერისთავთა შევიწროვება: დროდადრო თავს ესხმოდა, არბევდა და იკლებდა სხვადასხვა ადგილებს. როდესაც დიდმა მეფე ბაგრატმა იხილა მისი თავხედობა, განრისხდა და შურისძიების გრძნობით აივსო. მოამზადა ჯარი, გაგზავნა მოციქული სომეხთა მეფესთან, გაგიკ შაჰნაშასთან და მოინვია ფადლონზე შურის საძიებლად. სომეხთა მეფემ გაიხარა დიდი სიხარულით და სწრაფად მოუხმო [280] მთელ თავის ჯარს, გამოემართა და მოვიდა ბაგრატ, აფხაზთა მეფის წინაშე. შეიკრიბნენ ორივენი ძორაკერტში, გაემართნენ დიდად განლაღებული, ქრისტიანთა მოძულე ფადლონისკენ, რომელსაც სურვილი ჰქონდა მოესპო ჯვრის ყველა მსახური. როდესაც ფადლონმა დაინახა მათი უძლეველი ძალა, შეშინდა, უკან დაიხია და თავი შეაფარა ციხეებს.

ამ დიდმა და ყველანაირად ძლევამოსილმა მეფე ბაგრატმა ააოხრა რანის ქვეყანა, მოადგა ქალაქ შანქორს, დააყენა იქ ქვისსასროლი მანქანები და რამდენიმე დღეში დალენა შანქორის გალავანი. მეორე დღეს ფიქრობდა ამ ქალაქის შემუსვრას და აოხრებას. იმ ღამეს გამოუგზავნა მას ფადლონმა მოციქული, ითხოვა შენდობა; აღუთქვა სიცოცხლის ბოლომდე სამსახური, დაინესა ხარკი და დაუდო პირობა, რომ თავისი ლაშქრით იბრძოლებდა მისი მტრის წინააღმდეგ. მაშინ იხმო ბაგრატმა და შეიკრიბა ყველა დიდებული მის წინაშე; თავიდან შესთავაზა თავიანთი ძალით აეღოთ ქალაქი. მოსინჯეს ნიადაგი და მოახსენეს, რომ არავის ეყოფოდა ამისთვის ძალა, მთავარი მიზეზი კი ის იყო, რომ ვერ მოიცლიდნენ სხვა სალაშქრო საქმეთაგან.

კვლავ მოუწოდა დიდებულებს და შეატყობინა, რომ განზრახული ჰქონდა ფადლონთან დაზავება. ყველამ ბრძნულად გადამწყვიტა, რომ უმჯობესი იყო ზავის დადება. ბრძანა და გაგზავნა მოციქული, მისცა თანხმობა ზავზე. მაშინ განიხარა ფადლონმა დიდი სიხარულით და ყველაფერი, სიტყვით აღთქმული, საქმით აღასრულა: უძღვნა დიდი და ურიცხვი ძღვენი, აავსო ყველა დიდებული უთვლელი საჩუქრით. დაბრუნდა ბაგრატი გამარჯვებული.

[ამის მეფობისას იყო წმიდა მამა ჩვენი ეფთვიმე ქართველი, ქართველთათვის წიგნების მთარგმნელი].

[281] ამავე დიდმა მეფემ ააშენა ბედიის ტაძარი და დააარსა იქ საეპისკოპოსო; გააუქმა გუდაყვის საეპისკოპოსო, შეწირა ახლად დაარსებულ საეპისკოპოსოს მრავალი სოფელი თავიანთი ხევებითა და მიმდებარე ადგილებით, აღჭურვა ყველაფერი აუცილებლით, შეამკო ეკლესია ყველა საჭირო ნივთით, აკურთხა და დასვა ეპისკოპოსი. თუ ვინმეს სურს შეიგრძნოს და შეწვედეს ბაგრატის დიდების სიმაღლეს, პირველ რიგში იხილოს ბედიის ეკლესიის მშვენიერება და ამით მიხვდება, რომ არავინ ყოფილა მისი მსგავსი მეფე ქართლისა და აფხაზეთის ქვეყანაში.

მანვე აკურთხა ქუთათისის ეკლესია განგებითა დიდითა და მიუწვდომელით, რადგან შეკრიბა ყველა მახლობელი ქვეყნის ხელმწიფენი, კათალიკოსნი, მღვდელთმოდვარნი და ყველა მონასტრის წინამძღვარნი, ყველა დიდებული, ზემონი და ქვემონი, მის სამეფოსა და მამულში მყოფნი და ყველა სხვა სახელმწიფოსანი.

[ამ ბაგრატი მეფემ, კურაპალატმა, დაიპყრო მთელი კავკასია ჯიქეთიდან გურგენამდე; ადარბადაგანი და შირვანი სომხეთის მეფის მოხარკეებად აქცია. თავისი სიბრძნისა და ძლიერების წყალობით სპარსთა მეფე გაიერთგულა და მთელი თავისი სახლეულობით მეგობრად აქცია; ბერძენთა მეფესაც მისი შიში ჰქონდა].

ეს ბაგრატი, აფხაზთა და ქართველთა მეფე, ყოველმხრივ აღემატებოდა ყველა ხელმწიფეს. მას ეპირფერებოდნენ და მისი შემახვენარნი იყვნენ მახლობელი ქვეყნის ხელმწიფენი, მისი მამულისა და სამეფოს მეთაურები, ერთგულნი, როგორც მისი საკუთარი მოლაშქრეები. დაუმორჩილა ბაგრატს ღმერთმა ყველა მტერი და მონინა აღმდეგე; უბოძა მისი მმართველობის ჟამს მშვიდობა და დიდი დაწყნარება [282] ქვეყნისა. და თუ ვინმე ინებებს სათითაოდ მოგვითხროს მის საქმეთა შესახებ, არ ეყოფა ძალა. მათგან მხოლოდ მცირედი წარმოვთქვი, რათა ჟამთა მსვლელობაში არ მიეცნენ ისინი დავიწყებას.

ვიტყვი კიდევ იმას, რომ დიდი მეფის, ვახტანგ გორგასალის შემდეგ არავინ გამოჩენილა ბაგრატის მსგავსი სხვა ვინმე თავისი დიდებით, ძალითა და გონებით: იყო ეკლესიათა მაშენებელი, გლახაკთა მოწყალე და სამართლიანი ყველას მიმართ.

[მოკვდა კათალიკოსი სვიმონი და დასვა ამ მეფემ კათალიკოს-პატრიარქად მელქისედეკი, წარმოშობით დიდებული, თავისი ნათესავი და გაზრდილი. ნავიდა ეს წმიდა მეფე კონსტანტინოპოლში, ბერძენთა მეფესთან, ბასილთან, რათა ეთხოვა მისთვის შემწეობა: დაძველებუ-

ლიყო დიდი კათოლიკე სამოციქულო ეკლესია, სვეტიცხოველი; ჟამთა სვლამ დაანგრია მისი სტოანი და ბჭენი. არავინ ჩანდა შემძლებელი მისი განახლებისა და არავის შესწევდა ამის ძალა. მივიდა და მოახსენა ქართველთა გასაჭირი და თავისი სათხოვარი.

მაშინ მეფე ბასილმა უბოძა მონასტერი კესტორია, რომელსაც ჰქონდა 105 სოფელი, განძი და ეკლესიათა შესამკობელნი: ხატები და ჯვრები და ყველანაირი სამღვდელთმთავრო და სამღვდელო სამკაული. ნამოვიდა და ჩამოვიდა ქართლში, თავის ქვეყანაში და სამეფო ქალაქ მცხეთაში. დაიწყო შენება გარეთა ბჭეებისა და ირგვლივ სტოებისა გადახურვითურთ და ყველაფერი დაასრულა. და მისცა ღმერთმა ძალა განახლებისა ქალაქი მცხეთაც. შეამკო დიდი კათოლიკე სამოციქულო ეკლესია სვეტიცხოველი ყველანაირი სამკაულით, ოქროთი და ვერცხლით, თვლებითა და მარგალიტით; შესჭედა სვეტიცხოველი ოქროთი და ვერცხლით; შესჭედა წმიდა საკურთხეველი ოქროთი და ვერცხლით, თვლებითა და მარგალიტით; მოჭედა კანკელი და საკურთხეველის კარნი ოქროთი და ვერცხლით; დაამშვენა წმიდა სამარტილო ოქროთი და ვერცხლით, თვლებითა და მარგალიტით; გააკეთა ორი ჯვარი, შემკულნი თვლებითა და მარგალიტით; დაასვენა იქ აურაცხელი წმიდა ნაწილი და კიდევ სხვა ჯვრები; თვლებითა და მარგალიტით მოჭედილი ხატები, შემკულნი ოქროთი და ვერცხლით, რიცხვით ორმოცდათხუთმეტი; მოჭედილ-მოუჭედელი წიგნები, რომლებიც თვითონ დაანერინა, სულ ოცდახუთი].

ჩანართი

[ისიც ვთქვათ, რომ ბაგრატიონი მეფეები და კურაპალატები, რომელთა შესახებაც ზემოთ ვწერდით, ზოგნი ქართლში მეფობდნენ, ზოგნი – სამცხე-ტაოში [283] ამ ბაგრატის გამეფებამდე. და როდესაც ის გამეფდა, ზოგი უკვე გარდაცვლილი იყო, ზოგიც იმ დროს მიიცვალა. მის დროს სხვა ბაგრატიონი აღარავინ იყო დარჩენილი, გარდა სუმბატისა და მისი ძმის, გურგენისა, ბაგრატ არტანუჯელის ძეთა, რომლებიც მეფობდნენ კლარჯეთში და რომელთა სიკვდილი ზემოთ აღვწერეთ.

სუმბატის სიკვდილი, 231 ქორონიკონზე (1011 წ.).

მისი ძმის, გურგენის, სიკვდილი, 232 (1012 წ.) ქორონიკონზე.

გარდაცვალება მათი ამგვარად მოხდა: როდესაც იმ დროს ამ ბაგრატ მეფემ, კურაპალატმა, მოიყვანა სადარბაზოდ ეს ორი ძმა,

კლარჯთა ხელმწიფენი, სუმბატი და გურგენი, ბაგრატ არტანუჯელის ძენი, ფანასკერტის ციხეში; იქ შეიპყრო ისინი და აიღო მათი ციხეები და ქალაქები. სუმბატი და გურგენი თმოგვის ციხეში ჰყავდა დატყვევებული, სადაც გარდაიცვალნენ კიდეც.

ამათი შვილები წავიდნენ კონსტანტინოპოლში ბასილთან: გურგენის ძე დემეტრე და სუმბატის ძე ბაგრატი. კლარჯთა მეფეთა შთამომავალნი, რომლებიც ჯერ კიდეც იყვნენ ცოცხლები, პატიმრობაში დაიხოცნენ].

ჩანართი

[ამის შემდეგ ბაგრატ მეფემ მოიარა მთელი თავისი სამეფო, აფხაზეთი, ჰერეთი და კახეთი; მოვიდა და გამოიზამთრა ტაოს ხევში. ზაფხული რომ დადგა, დაბრუნდა ფანასკერტის ციხეში, წელსა მესამესა. და იქ გარდაიცვალა ეს ბაგრატ მეფე].

იმეფა ოცდათექვსმეტი წელი და, ჭალარით დამშვენებული, გარდაიცვალა ქორონიკონის 234-ს (1014 წ.), მაისის შვიდში, პარასკევ დღეს. გარდაცვალებისას ტაოში იმყოფებოდა. წამოიღო მისი გვამი ზვიად ერისთავთ-ერისთავმა და დამარხა ბედიანში.

გამეფდა ბაგრატის შემდეგ მისი ძე გიორგი. იყო ის აღსავსე ყველანაირი სიკეთით].

[284] ორმოცდამეთორმეტე მეფე, გიორგი, ძე ბაგრატ აფხაზთა და ქართველთა მეფისა, ბაგრატოვანი

ეს გიორგი თავისი მამულისა და სამეფოს გამგებელი შეიქნა სიყრმისა და სიჭაბუკის ჟამს, რადგან გამეფებისას იყო თორმეტი წლის.

[იმ დროს ამ ქვეყანას განუდგა ჰერეთ-კახეთი და აზნაურთა სივერაგით შეიპყრეს ერისთავნი. მათ მიწებს კვლავ დაეუფლნენ მათი პატრონნი, რომელთაც თავიდანვე ეკუთვნოდათ ეს ქვეყნები].

გიორგის მეფობის მეშვიდე წელს ბერძენთა მეფემ, ბასილმა, გამოილაშქრა მასზე საბერძნეთის მთელი ჯარითა და ურიცხვი უცხოტომელებით. გიორგი მეფე დიდი ჯარით გამოვიდა მის დასახვედრად. ორივე ლაშქარი ბასიანის ქვეყანაში იყო დაბანაკებული მრავალი დღის მანძილზე და არც ერთი მხარე არ იწყებდა ბრძოლას. გამოერიდა გიორგი მეფე, მოვიდა და დაწვა ქალაქი ოლთისი. იქიდან წამოვიდა კოლაში. გამოედევნა მას ბერ-

ძენთა მეფე ბასილი. შეხვდნენ ერთმანეთს გიორგის ლაშქრის უკანა და ბასილის მხედრობის მოწინავე რაზმები. მოხდა დიდი ბრძოლა სოფელთან, რომელსაც ჰქვია შირიმნი. ორივე მხრიდან მრავალი დაიღუპა, მოკლეს ერისთავნი და დიდებულნი: ლიპარიტის ძე რატი და ხურსი. გვიან მიაღწია გიორგი [285] მეფემდე ამბავმა, რომ იბრძოდნენ უკანა რაზმები. მაშინ უბრძანა გიორგიმ თავის მხედრებს და სწრაფად მოემზადნენ საბრძოლველად. ჩაება ბრძოლაში თვით მეფეც, რადგან იყო ახოვანი და უშიშარი, ვითარცა უხოცო, და მასთან ერთად მისი მრავალი მეომარი. მოვიდა მეორე მხრიდან მეფე ბასილი მთელი თავისი ლაშქრით. შეიკრიბნენ ორივე მხრიდან, მოხდა დიდი ბრძოლა, მრავალი ბერძენი დაიღუპა. წამოიღეს დიდი ნადავლი. ბრძოლა ისე გაგრძელდა, რომ ბასილი უკან დასახეევად მოემზადა.

მაგრამ ქართველები მოუთმენელნი აღმოჩნდნენ, განერიდნენ და წამოვიდნენ. გამოედევნენ მათ ბერძნები და ძალიან ბევრნი ხმლით დახოცეს. მოაღწია ბერძენთა ლაშქარმა არტანს, დაიპყრო და მოაოხრა ის. როდესაც წავიდა მეფე გიორგი თრიალეთში, გამოჰყვა მას ბასილი, გაანადგურა ჯავახეთის მხარე და გადავიდა თრიალეთში. კვლავ შეხვდნენ იქ ერთმანეთს. გაძლიერებული იყო ამ დროისათვის მეფე გიორგი, რადგან მიიღო დახმარება კახეთიდან და ჰერეთიდან, მაგრამ მეორედ შებმაში ხელი შეუშალეს.

უკან დაიხია მეფე ბასილმა თრიალეთიდან, გადაიარა ჯავახეთი და არტანი. კვლავ უსასტიკესად მოაოხრა ეს მხარეები. წავიდა და გამოიზამთრა ხალდის ქვეყანაში, ქალაქ ტრაპიზონის მახლობლად. და დადიოდნენ მათ შორის მოციქულები, რათა დამყარებულიყო ზავი და სიყვარული.

იმ დროს მოხდა დიდი არეულობა საბერძნეთში. გაერთიანდნენ სპასპეტი და წარვეზი [286], ფოკა განდგომილის ძე, და დაიკავეს აღმოსავლეთის ქვეყანა. დიდად შეძრწუნდა ამის გამო ბასილი. მაგრამ წყალობა უყო ღმერთმა და მოკლა ქსიფემ წარვეზი, ხოლო მისმა მომხრეებმა უკან დაიხიეს. ქსიფეს მიეგო წარვეზის მიმართ ჩადენილი ორგულობისათვის: შეიტყუეს იგი დალასანოსებმა ციხეში ფოკას ძის დაღვრილი სისხლის გამო, შეიპყრეს და [287] მოჰგვარეს მეფე ბასილს. ბასილმა ის რომელიღაცა კუნძულზე გადაასახლა, ხოლო მის მრავალ მომხრეს ხმლით მოჰკვეთა თავი. მათ შორის იყო ფერისი, ჯოჯიკის ძე, წარმოშობით ტაოდან. დანარჩენები ბერძნები იყვნენ.

კვლავ დაბრუნდა ბასილი, მოვიდა ბასიანში, ითხოვდა მიწებსა და ციხეებს და აღუთქვამდა ზავსა და მშვიდობას. შეიტყო რა ეს მეფე

გიორგიმ, გაგზავნა ზვიად ერისთავი ლაშქრით და უბრძანა, რომ ზავზე საუბრით ცოტა ხნით შეეყოვნებინა ბასილი ადგილზე, თვითონ კი უკან გაჰყვა ძლიერი ჯარით. ასე ფიქრობდა: „თუ მეფე ბასილი ინებებს დაზავებას, იყოს ასე; თუ ინებებს ომს, ამისთვისაც მოვემზადოთ.“ ვისაც არ სურდა მშვიდობა, დაიწყეს ბრძოლისათვის მზადება. და მივიდნენ იმ ადგილას, სადაც დაბანაკებული იყო ბასილი მეფე, და უწოდებენ მას სვინდაქსს⁶.

დაიწყეს ბრძოლა და ბასილის ლაშქრის ნაწილი გააქციეს. განრისხდა მეფე ბასილი, ბრძანა ჯვრის მოტანა, დააფინა მიწაზე წმიდა მანდილი და თქვა: „თუ ჩამადებ მტრის ხელში, აღარ ვიქნები შენი თაყვანისმცემელი უკუნისამდე“. როდესაც გაგრძელდა მათ შორის ბრძოლა, კვლავ გაიქცნენ [288] ქართველი მხედრები და უკან დაიხიეს; მათგან ურიცხვი მოკლულ იქნა მახვილით, ზოგი დაატყვევეს. წაიღეს დიდი ნადავლი და სამეფო ხაზინა, რომელიც მეფე გიორგის თან ჰქონდა.

სდია უკან მეფე ბასილმა. დაიწყეს კვლავ სამშვიდობო მოლაპარაკება, როგორც თავიდან, რადგან დიდი შიში ჰქონდა ბასილს, კვლავ არეულობა არ მომხდარიყო საბერძნეთში. დაამყარეს მშვიდობა და დაზავდნენ. მისცა მეფე გიორგიმ მძევლად თავისი სამი წლის ვაჟი; დაუცალა და ჩააბარა ის ციხეები, რომლებიც ადრე აზნაურებმა გადასცეს; სხვა ციხეებიც, ადრე მიცემული, და კიდევ სხვა თოთხმეტი; აგრეთვე დავით კურაპალატის სამფლობელოები ტაოში, ბასიანში, კოლა-არტანში და ჯავახეთში. ამ მხარეთა ზოგი ეკლესია, სოფელი და ადგილი უბოძა ბასილმა გიორგი მეფეს. წავიდა ბასილი და თან წაიყვანა მძევლად ბაგრატი უფლისწული, [289], ჩვენი მეფის, გიორგის ძე. ფიცით დაუდო ბასილმა გიორგის პირობა: „მესამე წელს დაგიბრუნებ შენს ძეს“. და დაჰყო ბაგრატი სამი წელი სამეფო ქალაქ კონსტანტინეპოლში. და მესამე წელს, როგორც აღუთქვა, გამოგზავნა უკან.

სანამ ბაგრატი მოაღწევდა თავისი მამულისა და სამეფოს საზღვარს, მოაცილებდა მას აღმოსავლეთის კატაბანი. როდესაც კატაბანი მობრუნდა საბერძნეთისკენ, მოენია მას სწრაფად მანდატური და მოართვა კოსტანტინე მეფის წერილი, რომელშიც იგი წერდა: „ღვთის განგებით მიიცვალა სანატრელი ძმა ჩემი, ბასილი მეფე, და მის ნაცვლად მე გავმეფდი მთელ საბერძნეთში. და ან, სადაც არ უნდა იყოს ჩემი სამფლობელოს ფარგლებში ბაგრატი, ძე აფხაზთა ხელმწიფე გიორგისა, დააბრუნეთ დიდი სისწრაფით და წარსდგეს ჩვენ წინაშე“.

ნაიკითხა რა კატაბანმა მეფის ბრძანება, სურდა, რომ დაებრუნებინა ბაგრატი ბრძანებისაებრ. სწრაფად შემობრუნდა და დაედევნა უფლისწულს. როდესაც მიუახლოვდა, დაინახა, რომ დიდი სიმრავლე იყო გამოსული მის შესაგებებლად: დიდებულები, ერისთავები, ტაოელი აზნაურები, მესხნი და ქართველნი – უთვალავი რაოდენობით. დაბრუნდა კატაბანი და მანდატურს, რომელიც მას დაენია, უთხრა: „თუ ძალა შეგნევს, დააბრუნე. მე ამას ველარ შევძლებ“.

[290] ჰოი, დიდი საკვირველება და ღვთის მონყალება! როგორ სწრაფად გაანთავისუფლა მართალი იმათგან, ვისაც მისი ვერაგულად დაბრუნება სურდა. თუ ვინმეს გსურთ ამის გაგება, ღვთისმიერი შენევნით იხილეთ და შეიცანით ღვთის ურიცხვი მფარველობა აფხაზეთის დიდ მეფე ბაგრატზე, რომლის მსგავსი არც ერთ სხვა მეფეზე არ გადმოსულა და რომელთა შესახებაც გზადაგზა გაუწყებთ წინამდებარე თხრობა.

როდესაც წარსდგა ბაგრატი თავისი მამის, მეფე გიორგის წინაშე, მათ სახლში, ქუთათისში, მშობლებმა დაინახეს, რომ შვილი თავისი აუნერელი და ენით გადმოუცემელი სიკეთით მათივე მსგავსი იყო, ყველანაირად მშვენიერი – შეუძლებელია ადამიანმა გადმოსცეს მისი სრულყოფილება. დაინახეს რა ეს, განიხარეს უზომო სიხარულით და შეწირეს ღმერთს მადლობა. იყო მაშინ ქორონიკონის ორას ორმოცდახუთი წელი (1025 წ.).

[ამის შემდეგ წავიდა პატრიარქი მელქისედეკი კონსტანტინოპოლში კონსტანტინე მეფესთან. შეიწყნარა ის ბერძენთა მეფე კონსტანტინემ და მისცა ეკლესიათა შესამკობელნი: ხატები, ჯვრები, ყველანაირი სამღვდელთმთავრო და სამღვდლო შესამკობელი. მოვიდა კონსტანტინე თავის კუთვნილ მხარეში და სამწყსოში და იყიდა ტაოს სოფლები: ზადკარეკი ხუთი აგარაკითურთ, ძაღლისხევეში იყიდა სოფელი ოროთა სამი აგარაკითურთ. ეს ორივე სოფელი მათი აგარაკებით თავისი ძმის ქონებით იყიდა. კლარჯეთში შეიძინა ერთი სოფელი – სხლოანი, შავშეთში – დიდი სხლობანი თავისი აგარაკითა და ხევითურთ; ჯავახეთში – სოფელი ტონითო. კოლაში შეიძინა და დაასახლა სოფელი დიდი ოროტანი აგარაკითურთ. ფანავარში განაახლა ერთი სოფელი, მახაროვანი. საკოეთში დაიმორჩილა და განაახლა ორი სოფელი: ნაქალაქევი და ბერდაძონი და შეწირა წმიდა დედაქალაქ მცხეთას, სვეტსა ცხოველსა].

ორი წლის შემდეგ გარდაიცვალა ჯერ კიდევ ახალგაზრდა მეფე გიორგი, ყველანაირი სიკეთით სავსე. მის წინაპართა შორის არავინ იყო, ვინც

შეედრებოდა მას თავისი ახოვანებით, რაინდობით, სიმამაცით, გარეგნობითა და გონიერებით [291], სახელმწიფოს მართვის უნარით. გარდაიცვალა ქორონიკონის ორას ორმოცდაშვიდ წელს (1027 წ.), აგვისტოს თექვსმეტში, თრიალეთის მხარეში, ადგილას, რომელსაც ეწოდება მყინვარი, იგივე „ინრონი“. დატოვა გლოვა და მწუხარება თავისი მამულისა და სამეფოს ყველა მკვიდრში. გლოვობდა მას ყველა მისი სიკეთის, სიჭაბუკისა და ახოვანების გამო. წაიყვანეს და დამარხეს ქუთათისის საყდარში.

ჰყავდა მას ოთხი შვილი: ძენი – ბაგრატ და დემეტრე და ასულნი – გურანდუხტი და კატა. მეხუთე შვილი, მართა, გარდაცვლილი იყო. დიდი მეფის, გიორგის, გარდაცვალების შემდეგ გამეფდა ბაგრატი მთელ მამულში და სამეფოში, როგორც ზედაში, ასევე ქვედაში, ცხრა წლის ასაკში.

ქართლისა და აფხაზეთის ორმოცდამეცამეტე მეფე, ბაგრატი, ძე გიორგი მეფისა, ბაგრატოვანი

ამავე დროს ტაოელი აზნაურები წავიდნენ საბერძნეთში: ვაჩე კარიჭის ძე და ბანელი ეპისკოპოსი იოვანე; მათთან ერთად ტაოელ აზნაურთა სიმრავლე. ხოლო კოსტანტინე მეფემ ერთი წლის შემდეგ გამოგზავნა პარკიმანოზი ურიცხვი ლაშქრით [292]. მოვიდა პარკიმანოზი, დაბანაკდა და იგივე მხარე აიკლო, რომელიც თავის დროზე ააოხრა მეფე ბასილმა. მოვიდა თრიალეთში, კლდეკარის ციხის ძირში. მაშინ ამ ციხეს ფლობდა ლიპარიტ ერისთავთერისთავი, ლიპარიტის ძე. შემოიკრიბა ლიპარიტმა სხვა აზნაურებიც, გადაელობნენ ბერძნებს განძასთან და შეებნენ ციხის მისადგომებთან. როდესაც პარკიმანოზი მიხვდა, რომ ვერაფერს ავნებდა, გაბრუნდა. ამავ დროს წავიდა ჩანჩახი ფალელი საბერძნეთში, ჩააბარა მათ გარყობის ციხე და გადავიდა ბერძნეთა მხარეზე; არჯევან ჰოლოლას ძემ მისცა ბერძნებს წერეფთის ციხე.

როდესაც საბამ, მტბევარის ეპისკოპოსმა, იხილა, რომ შავშეთის დასაცავად სხვა გამოსავალი აღარ იყო, ტბეთის თავზე ააგო ციხე, დაიკავა შავშეთის მხარე და გამოიჩინა ბაგრატ მეფის მიმართ დიდი ერთგულება. მოუვლინა მას ღმერთმა მოწყალება და ვერ წაართვეს მტრებმა ეს მხარე. სწორედ ამ დროს გაგზავნა პარკიმანოზ-პროედროსმა იოვანე ბანელი ხარტულარი, რომელმაც თან წაიყვანა ვალანგი დიდი ლაშქრითურთ; გააყოლა მას აგრეთვე კლარჯელი დემეტრე, სუმბატის ძე, რათა ემოქმედა იმ

მხარის მკვიდრებზე და ამ გზით მიემხრო მრავალი იქაური მაცხოვრებელი დაბალი ფენებიდან. შემოვიდნენ იმავე ციხეში ეზრა ანჩელი და ის აზნაურები, რომლებიც დარჩნენ ბაგრატ მეფის ერთგულნი, და გამაგრდნენ.

[293] არტანუჯის ციხე ეკავა იოვანეს, აბუსერის ერისთავს. იმ დროს ამ მხარეებში მრავალი ბრძოლა, შუღლი და ურთიერთთავდასხმები ხდებოდა. და როდესაც ასეთი მღელვარება იყო ქვეყანაში, კვლავ მოწყალეების კალთა გადმოაფარა ღმერთმა ბაგრატს, აფხაზთა და ქართველთა მეფეს – სასიკვდილო სენი დაემართა კოსტანტინე მეფეს. მოსწერა პარკიმანოზ პროედროსს, უხმო უკან. იგი სწრაფად გაემართა საბერძნეთისკენ, მაგრამ სანამ ჩავიდოდა, მიიცვალა კოსტანტინე მეფე. გარდაცვალებამდე დასვა სხვა მეფე, სახელად რომანოზი, და შერთო ცოლად თავისი ასული ზოია.

[294] [წავიდა კათალიკოს-პატრიარქი მელქისედეკი კოსტანტინე-პოლში ბერძენთა მეფე რომანოზთან. მიიღო ის რომანოზმა და უბოძა ეკლესიის შესამკობელნი: ხატები და ჯვრები, სამღვდელთმთავრო და სამღვდლო სამკაული. დაბრუნდა ამის შემდეგ კათალიკოსი თავის ქვეყანაში და სამწყსოში].

მესამე წელს ამ ამბის შემდეგ ბაგრატ აფხაზთა მეფის დედა, დედოფალი მარიამი, წავიდა საბერძნეთში, რათა მოეპოვებინა მშვიდობა და ერთობა, აგრეთვე პატივი და კურაპალატობა თავისი ძისათვის, როგორი ჩვეულება და წესიც იყო მათ სამეფო სახლში; და სურდა დედოფალს ცოლის შერთვა თავისი ძისათვის.

[იმ დროს ცხოვრობდა წმიდა გიორგი მთაწმიდელი, მთარგმნელი; ის თან ახლდა დედოფალ მარიამს, ქრისტეს აქეთ 1068 წელს. დაუბრუნდეთ ჩვენს თხრობას].

როდესაც მარიამი ჩავიდა საბერძნეთში ბერძენთა მეფესთან, სიხარულით აღუსრულა დედოფალს ყველა თხოვნა: დაუდო ფიცი ერთობისა და სიყვარულისა და დაუმტკიცა ეს ოქრო-ბეჭდით, უბოძა ბაგრატს კურაპალატობის პატივი და მისცა ცოლად ელენე დედოფალი.

[295] ჩამოვიდა რა მარიამი თავისი ძის მამულში, ტაოს მხარეში, მოართვა კურაპალატობის პატივი; გადაიხადეს ქორწილი, ჯვარი დასწერეს ბაგრატს ბანაში].

მცირე ხნის შემდეგ მიიცვალა ელენე დედოფალი ქუთათისში; შეერთო ბაგრატ მეფემ ცოლად ბორენა დედოფალი, ოვსთა მეფის ასული, დორლოელის და.

გიორგი მეფეს მეორე ცოლისაგან, ოვსთა მეფის ასულისაგან, სხვა ძეც ჰყავდა, რომელიც ანაკოფიის ციხეში იმყოფებოდა. აზნაურთა შორის აქა-იქ იყო საუბრები მის შესახებ; ყრმა მცირეწლოვანი იყო, სახელად დემეტრე. ვერ გაამეფეს, თუმცა ზოგიერთს ჰქონდა ამისი სურვილი; ვერც ციხიდან მისი გამოტყუება მოახერხეს ბაგრატმა, მისმა დედამ და ამ სამეფოს თავადებმა და დიდებულებმა. ველარ გაძლო დემეტრემ, წავიდა სამეფოდან ბერძენთა მეფესთან და ჩააბარა მას ანაკოფია. ამ დროიდან დაიკარგა ანაკოფია აფხაზეთის მეფეთათვის.

[ამის შემდეგ წმიდა მეუფემ, კათალიკოს-პატრიარქმა მელქისედეკმა, შეიძინა ქართლში მონასტერი პალავრა ოთხი სოფლითურთ; ცუქითი თავისი გადასახადით; ყინცვისი თავისი გადასახადით; შინდების ნახევარით; კურბითში ერთი კარგი სააზნაურო სოფელი; ჩოჩეთში ერთი უბანი, მიწა და სამეფო ვენახი; ზეგანზე ერთი სოფელი, შიდარი; კახეთში, ახატანში, ერთი უბანი და ერთი სოფელი, ნოსორნა; ჰერეთში დიდი შეძლების მონასტერი, აგრეთვე ლაგოდები და კატეხის ეკლესია თავისი ბეგარით; კაკში თორმეტი ვაჭარი და ზიარი, დიდი სოფელი. ეს არის ის სოფლები, რომლებიც მან შეიძინა.

სხვა სოფლების შესახებ, რომლებიც ძველადვე ეკუთვნოდა სვეტსა ცხოველსა და კათოლიკე ეკლესიას, აგრეთვე იმ გადასახადების შესახებ, რომლებიც იყო დანესებული, მელქისედეკმა მოახსენა ბაგრატს; ბაგრატმა გაათავისუფლა ისინი გადასახადისაგან და მისცა ხელშეუხებლობის პირობა; კიდევ ზოგიერთ სხვა გადასახადს უხდიდნენ ამ წმიდა დედაქალაქს: ცხვარს, ცხენს, ამასთან ერთად, ღვინოს; და კიდევ თუ რაიმე იყო, ამირა ალიმ გააუქმა [296] და გაათავისუფლა მისგან ეს წმიდა კათოლიკე ეკლესია. ყველა სოფელი, რომელიც ეკუთვნის წმიდა კათოლიკე ეკლესიას, ააშენა, დადგა ყველგან სახლები და თითოეულ მათგანში – ეკლესია.

შემდეგ სამხრეთით, წმიდა მონამეთა სამარტვილოს საღიაკვანოში, მოიზადა საფლავი. დაუყენა მას მცველად თავისი გაზრდილი იოანე და დადგა იქ საკურთხეველი. დაუნესა ამ საკურთხეველს და მის ჟამისმწირველს შემდეგი: მისცა თემში გლეხი სამი სრული ფუძით, ერთი ვენახი, ერთი მამული, ერთი ნისქვილი, ჭალა; ოტათლოანს – გლეხი ერთი; ციხედიდს – გლეხი ერთი, ორივე სრული ფუძით და კიდევ ვენახი ერთი. მცხეთაში მისცა ერთი სენაკი, ბოსელი, ყანა, ვენახი. ყველაფერი ეს ბეგარისაგან იყო გაათავისუფლებული. დაიბარა თავისთვის სამკვიდრო

სასულიერო აღაპნი და მოსახსენებელი. გარდაიცვალა ეს წმიდა ადამიანი. მის შემდეგ მოუმართა ღმერთმა ხელი ოქროპირს, მელქისედეკის მიერ შვილად გაზრდილს: გახდა ოქროპირი კათალიკოს-პატრიარქი და მანაც ბევრი შემატა დიდ კათოლიკე სამოციქულო ეკლესიას. ააშენა ყოვლადწმიდა და კათოლიკე ეკლესიის დასავლეთის კუთხის სამხრეთ ნაწილში ეკვდერი წმიდა და თეთრი ქვისაგან. რაც კი სხვა ბეგარა ჰქონდათ დაწესებული, მათ შესახებაც მოახსენა ბაგრატ კურაპალატსა და კვირიკე კახთ მეფეს, კვირიკე მეფის დისწულს. მათგანაც გაათავისუფლეს და მისცეს ხელშეუხებლობის პირობა. წმიდა კათალიკოს-პატრიარქმა ოქროპირმა მრავალი ეკლესია ააშენა და განაახლა].

ამის შემდეგ განამტკიცა ბაგრატმა თავისი მდგომარეობა და განაგებდა სამეფოს ზედა და ქვედა მხარეებში.

დიდი ფადლონი მტრულად იქცეოდა და ქართველთა სამეფოს ყველა მეთაურს სწუნობდა. ჯერ კიდევ მაშინ, როდესაც ბაგრატი ყრმა იყო, შეიკრიბა სამეფოს მთელი ლაშქარი, მიიმხრეს ლიპარიტი და ივანე აბაზას ძე. მოვიდა დიდი კვირიკეც, რანთა და კახთა მეფე; დავითი, სომეხთა მეფე; ჯაფარი, ტფილისის ამირა: ესენი ყველანი კვირიკესთან მოლაპარაკების შემდეგ შეიკრიბნენ ეკლესიაში ფადლონის წინააღმდეგ; გააქციეს ფადლონი, განადგურეს მისი ლაშქარი, აიღეს ალაფი და ურიცხვი განძი. ამ დროდან სიკვდილამდე გაავეებული იყო ფადლონი.

ბაგრატ მეფის ყრმობის დროსვე ლიპარიტ ლიპარიტის ძემ და ივანე აბაზას ძემ, ქართლის ერისთავმა, მუხათგვერდში გამოიტყუეს ტფილისელი ამირა ჯაფარი, შეიპყრეს, დიდი ხანი ჰყავდათ პატიმრობაში და წაართვეს [297] ბირთვისი. შეინყნარა იგი შემდეგ აფხაზთა მეფემ და ისევ ტფილისის ამირად დააბრუნა. ამის შემდეგ დარჩა მტრობა ლიპარიტის მომხრეთა და ამირას შორის.

მცირე დროის შემდეგ ურჩია ლიპარიტმა ბაგრატს ტფილისის აღება. მოადგა ტფილისს მტკვრის აქეთა მხრიდან, ზემოთ და ქვემოთ, აფხაზთა მეფის ლაშქარი, ხოლო მეორე ნაპირიდან, ისნის მხრიდან, მოადგა კახთა და ჰერთა ლაშქარი. იმ დროს კახთა დიდი მეფე კვირიკე უკვე მოკლული იყო ვინმე ოვსი მონის მიერ, რადგან ბრძოლაში კვირიკე მეფემ მოკლა ოვსთა მეფე ურდურე, ხოლო კვირიკე მეფე სისხლის აღების მიზნით ფიდრაზის მთებში ნადირობისას მოკლა ოვსმა მონამ.

იმ დროს კახეთის მეფე იყო გაგიკი, ძე სომეხთა მეფის, დავითისა, სამშვილდარისა და ძორაკერტელისა, დისწული კვირიკესი. ბრძოლა ტფილი-

სისათვის გაგრძელდა ორ წელიწადს. იმ დროს ამირად იჯდა ჯაფარი, ალის ძე. ისეთ გასაჭირში ჩააგდეს ტფილისელები, რომ ვირის ხორცის ერთი ლიტრა ხუთას დრამად იყიდებოდა; ველარ უძლებდნენ შიმშილსა და ძლიერ ბრძოლებს. ტფილისელებმა გადანყვიტეს ქალაქის ჩაბარება. ტფილისისათვის ბრძოლისას აფხაზთა მეფის ლაშქარმა ხელში ჩაიგდო ორბეთისა და ფარცხისის ციხეები. ამირამ იწყო მწყობრში მოყვანა თავისი ლაშქრისა, მოამზადა ტივები და ნავეები, რათა ღამე წასულიყო განძაში ლაშქარიასთან, ფადლონის შვილთან. აფხაზთა მეფის ზოგიერთმა დიდებულმა, ლიპარიტისაგან ფარულად, ურჩია მეფეს არ გაეშვა ამირა და კვლავ ლიპარიტისაგან ფარულად ამ დიდებულებმა დადეს ამირასთან ზავი; განაცხადეს თავიანთი გადანყვიტელების შესახებ და დატოვეს იგი კვლავ [298] ტფილისის ამირად. გადაიბირა აფხაზთა მეფემ კახნი, ამოტ მთავარი მარილელი, კვირიკე მეფის დის ქმარი, და ხახვილა გურთა ჯვარისციხითურთ. აფხაზთა მეფემ ზავი დასდო ქალაქთან და გადაემტერა კახელებს. ამ დროიდან ჩაიდო ლიპარიტმა გულში თავისი პატრონის მტრობა.

გაილაშქრა აფხაზთა მეფემ კახეთზე, შეებრძოლა მათ და დაიკავა მიქელ-გაბრიელის მთა. ბრძოლის დროს შეიპყრო: სტეფანოზ ვარჯანის ძე, პანკისის ერისთავი; ვაჩე გურგენ ბერის ძე, ხორნაბუჯის ერისთავი; ჯედი, გოდერძის დისწული, შტორისა და მაჭელის ერისთავი. გადავიდა თიანეთში და დაწვა ბოდოჯის სასახლე, სახელოვანი სახლი, დიდი კვირიკე მეფის მიერ აგებული. ეს ერისთავები თვითონ სთხოვდნენ ჩაეზარებინა მათი ციხეები, მაგრამ ველარ ჩავიდა კახეთში, რადგან ლიპარიტმა იწყო მზადება ლალატისათვის.

მცირე ხნის შემდეგ ჩამოიყვანა ლიპარიტმა დემეტრე, ბაგრატის ძმა, საბერძნეთიდან ბერძენთა ლაშქრითურთ. შეუერთდა მათ ზოგიერთი დიდებული და აზნაურიც, შემოუარეს ზემო ქვეყნიდან და ჩამოვიდნენ ქართლში, მოადგნენ ატენს, ალაგ-ალაგ გადანვეს ეს მხარე.

მიეხმარნენ ლიპარიტს კახნი და ბერძენნი, მაგრამ ვერ აიღეს ატენი, რადგან ციხის მფლობელნი მტკიცენი იყვნენ თავიანთ ერთგულებაში ბაგრატ მეფის მიმართ, გარდა ფარსმან თმოგველისა და ბემქენ ჯაყელისა, თუხარისის ერისთავისა. გადავიდნენ ჯავახეთში და დაიწყეს ახალქალაქის გალავნის შენება, რადგან არ ჰქონდა მას მაშინ გალავანი. ახლოვდებოდა ზამთარი, ბერძნებს დაბრუნება სურდათ. დაუდო ლიპარიტმა ზავი აფხაზთა მეფეს; უბოძა მას მეფემ ქართლის ერისთავობა. წავიდნენ ბერძნები საბერძნეთში და თან წაიყვანეს დემეტრე.

[299] კვლავ გაძლიერდა და განდიდდა ბაგრატი თავის სამეფოში. კარგად წარემართა ბაგრატის ბედი: გადავიდა მის მხარეზე ვესტი ანისის ცხრა ციხითურთ, ამბერდისის გამოკლებით. და მისცეს ანელებმა ანისი ბაგრატის დედას, რადგან ჩამომავლობით ერთნი იყვნენ – მარიამ დედოფალი, ბაგრატის დედა, სომეხთა მეფის, სენაქერემის ასული იყო.

იდგა გაზაფხული და ბაგრატი აფხაზეთში იყო. მოადგა ანაკოფიას და თითქმის ხელში ჩაიგდო ის. ამ დროს ჩამოვიდნენ ტფილისელი უხუცესები, რადგან მომკვდარიყო ტფილისის ამირა ჯაფარი. შეპირდნენ ბაგრატს ქალაქს და სასწრაფოდ უხმეს ტფილისში. წამოვიდა ბაგრატი, ხოლო ანაკოფიის ალყა ჩააბარა ქვაბულელ ჭაჭას ძეს, ოთალოს, აფხაზეთის ლაშქრითურთ. წამოვიდა და მოვიდა ქუთათისში, წაიყვანა აქედან სამოქალაქოს ლაშქარი, აგრეთვე მოიყვანა ხუფათში აზნაურები გურიიდან და ლომისიანები. დადგეს ქვის სასროლი მანქანები და დაიწყეს ბრძოლა. წამოვიდა მეფე და ჩამოვიდა ქართლში. აქვე მოვიდნენ სხვა ტფილისელი უხუცესებიც, ისინი, რომლებმაც უხმეს მას.

გაემართა ბაგრატი ტფილისისაკენ და გამოეგებნენ ქალაქის უხუცესები, სასახლის მსახურნი; მხედრები შეეგებნენ დიღმის ველზე. მთელი მოსახლეობა, მოკაზმული, ხვდებოდა მას უმედეულში – იყო მოედანზე სიმრავლე ქალთა და კაცთა. იდგა ორივე მხრით გამაყრუებელი ხმა ბუკისა და ნალარისა: ქვეყანას აზანზარებდა ეს ხმაური. გამეფდა ორივე მხრით გასაოცარი სიხარული. შეიყვანეს და მოატარეს ქალაქი, აყრიდნენ დრამასა და დრაჰკანს; მორთვეს ქალაქის კლიტენი, შეიყვანეს ამირას სასახლეში. დაჯდა მეფე ბაგრატი ქვეყნის სამართავად. აიღო მან ქალაქის შემოსასვლელის დამცავი კოშკები და დააყენა იქ თავისი კაცები, აიღო ქალაქის ციხე, დარიჯელი, და კიდევ ორივე კოშკი – წყალყინისა და თაბორი. ჩააყენა მათში თავისი ლაშქარი და ერისთავები. ისნელებმა ჩაადგეს ხიდი და არ მისცეს ბაგრატს [300] ისანი. დადგეს ქვის სასროლნი და იბრძოდნენ ისნის ასაღებად, ესროდნენ ისრებს. მოვიდა ისნის ველზე კახთა მეფე გაგიკი და ერისთავთერისთავი გოდერძი, აგრეთვე კახეთის ყველადიდებული სადარბაზოდ ბაგრატთან და მშვიდობის სათხოვნელად. მაშინ გავიდა ბაგრატი მეფე ისნის ველზე, მოიყვანა კახნი, მიიღო ისინი თავისი მფარველობის ქვეშ და მშვიდობით განუტევა. იყო სიხარული და მშვიდობა, ხოლო სამეფოში საზრუნავი დღითიდღე იზრდებოდა.

როდესაც მიიღია ზაფხული, ლიპარიტმა კვლავ იწყო ვერაგულ საქმეთა მზადება. გამოიტყუა დედოფლისაგან ანისიდან აზუსერი, არ-

ტანუჯის ერისთავი, პატრონი ხიხას, ციხისჯვრისა და აწყურის ციხეების, აგრეთვე ივანე ერისთავი, ივანე დადიანი და გუარამ გოდერძის ძე, ბექის ციხის პატრონი, და შეიპყრო ისინი ანისის შესასვლელთან. დატოვა მეფემ ტფილისი და წავიდა ჯავახეთში.

ამის შემდეგ მანყვერელმა ბაგრატის სახსრებით გამოიყვანა მესხნი, რათა შეშველებოდნენ მეფეს. მეფე ღრტილაში იყო დაბანაკებული. ლიპარიტმა შეკრიბა კახნი და მოადგა ფოკას. გაექცა მანყვერელი მეფე ბაგრატს და გადავიდა ლიპარიტის მხარეზე. როდესაც ეს მეფემ შეიტყო, ზამთრის საშინელ ქარბუქში გადაიარა შავშეთზე და ჩავიდა ქართლში.

კვლავ გამოიყვანა ლიპარიტმა საბერძნეთიდან დემეტრე, ბაგრატ მეფის ძმა. ლიპარიტს ეხმარებოდა ბერძენთა მეფე სახსრებითა და ლაშქრით. ამან სამეფოში განხეთქილება გამოიწვია: ნაწილი დემეტრეს მხარეზე გადავიდა, ნაწილი ბაგრატის ერთგული დარჩა. ლიპარიტის ძე, ივანე, ბაგრატის ხელში აღმოჩნდა მძევლად. ითხოვა იგი ლიპარიტმა ბაგრატისაგან, სანაცვლოდ კი გაანთავისუფლა აბუსერი მისი ციხითურთ. ლიპარიტის თანამდგომნი იყვნენ კახნი თავიანთი ძალებით, აგრეთვე დავითი, სომეხთა მეფე, თავისი ძალითურთ. [301] მათი მეშვეობით გაძლიერდა ლიპარიტი ქართლის ამ მხარეში. მეფის მოწინააღმდეგეები აგრძელებდნენ თავიანთ ვერაგულ საქმიანობას.

მოვიდა სამი ათასი ვარანგი; განალაგა ისინი ლიპარიტმა ბაშში, თვითონ კი შვიდასი კაცი წამოიყვანა. მოვიდა ბაგრატი შიდა ლაშქრითურთ. ეს ვარანგები ველარ დაელოდნენ მესხებს, მივიდნენ და შეიბნენ სასირეთის ქალის შესასვლელთან. გაექცა შიდა ლაშქარი. ამ ბრძოლაში შეიპყრეს აბუსერი და მასთან ერთად სხვა დიდებულებიც, ვერ გაუწიეს მათ წინააღმდეგობა ვარანგებს. მისცა ლიპარიტმა პაშტინი⁷ და გაუმასპინძლდნენ მათ. და ასე გადაიარეს ლიხი.

ამ ამბებამდე გარდაიცვალა ბაგრატის ძმა, დემეტრე. ლიპარიტისაგან გაქცევის შემდეგ შეეშინდა ბაგრატს, რომ მოხდებოდა განხეთქილება მის სამეფოსა და მამულში. შეევედრა ლიპარიტს დაზავებოდა და მცირე რაოდენობის ცხენოსნებით მივიდა მასთან ხოვლეში. როდესაც ლიპარიტმა მისი მისვლის შესახებ შეიტყო, არ მოინდომა ბაგრატის ნახვა და გაერიდა. დაბრუნდა მეფეც და წავიდა აფხაზეთში.

მცირე ხნის შემდეგ მოილაპარაკეს სულამ, კალმახის ერისთავმა, და გრიგოლ, არტანუჯის ერისთავმა. მიიმხრეს სხვა მესხი აზნაურე-

ბიც, უხმეს ბაგრატი მეფეს. გამოემართა ბაგრატი ლაშქრით, გადმოი-
არა რკინის-ჯვრის უღელტეხილი და შეიკრიბნენ არყის ციხესთან.
შეიტყო ეს ლიპარიტმა, შეკრიბა თავისი ლაშქარი, შეიერთა კახნი და
სომეხნი, ბერძნებიც თან ჰყავდა. მოულოდნელად დაესხა თავს არყის
ციხეს და შეებნენ ერთმანეთს. ისევ ლიპარიტმა გაიმარჯვა და გააქცია
მეფე [302]. შეიპყრეს სულა, კალმახის ერისთავი. წამებისა და ძელზე
გასმის მუქარით მოსთხოვეს კალმახის ციხე, მაგრამ სულამ არ მის-
ცა. იმავე ბრძოლაში შეიპყრეს გრიგოლი, აბუსერის ძე, და სიკვდილის
მუქარით მოსთხოვეს არტანუჯი და მან მისცა. განამტკიცა ლიპარიტ-
მა თავისი ძალაუფლება ზემო ქვეყანაში, ხელში ჩაიგდო ციხეები, მი-
იმხრო თავადები და მათივე ჯარით კიდევ უფრო შორს წავიდა, დვინზე
გაილაშქრა. იბრძოდა ბერძენთა მეფის ინტერესებისათვის დვინელთა
წინააღმდეგ. შემდეგ დაბრუნდა თავის ქვეყანაში.

ერთი წლის შემდეგ ბასიანის მხარეში გამოჩნდნენ სულთან ბარა-
ჰიმ ილმისანის თურქები. გამოვიდა ბერძენთა ლაშქარი მათ წინააღმ-
დეგ. უხმეს ლიპარიტს. წავიდა ლიპარიტი ბერძენთა საშველად მთელი
ზემო მხარის ლაშქრითურთ. შეიბნენ ორდროსა და უკუმიას ქვემოთ
და გააქციეს თურქებმა ბერძენთა მთელი ლაშქარი, აგრეთვე ლი-
პარიტისა. შეიქნა დიდი ჟღერვა, შეიპყრეს ლიპარიტი და წაიყვანეს
ხუარასანში სულტანთან. მისი სამეფოს დიდებულებმა და ლიპარიტის
შვილებმა, ივანემ და ნინიამ, უსაფრთხოების მოსაპოვებლად მეფედ
ბაგრატი აღიარეს. კვლავ გაძლიერდა ბაგრატი, შეიპყრო ლიპარიტის
შვილები; აიღო უფლისციხე და გაანთავისუფლა ივანე.

გამაგრდნენ თურქები განძის მხარეში: დაკარგვის პირას იყო გან-
ძა. გამოგზავნა ბერძენთა მეფემ თავის ნაცვლად ლიხტური დიდი
ლაშქრით. იხმეს ბაგრატი მთელი თავისი ლაშქრით. ნაჰყვა მათ
ბაგრატი. გაემართნენ თურქებისკენ, მიადგნენ განძის კარიბჭეს; თავი
აარიდეს თურქებმა ბრძოლას, დატოვეს განძის მხარე. გამობრუნდნენ
ბერძნები და ბაგრატი მშვიდობით. ამის შემდეგ კვლავ უხმეს ტფილი-
სის მცხოვრებთ, გადასცეს ტფილისი ბაგრატს და შეიყვანეს ის ქალაქ-
ში. გამეფდა იქ სიხარული და დიდი მშვიდობა.

[303] ამის შემდეგ განთავისუფლდა ლიპარიტი თურქთაგან და შე-
მოვიდა ანისში. ლიპარიტის გამო მიატოვა ბაგრატი ტფილისი, გად-
მოიარა ქართლი და მოვიდა ჯავახეთში. გაძლიერდა ლიპარიტი, რად-
გან ბერძენთა მეფის სამსახურისათვის იყო დატყვევებული. წავიდა

საბერძნეთში, მოინახულა ბერძენთა მეფე, მიიღო მისგან დახმარება. ველარ გაუნია მას წინააღმდეგობა ბაგრატმა.

ამ ამბებამდე შეეძინა ბაგრატს ძე, გიორგი. დატოვა ის ქუთათისში აფხაზთა სამეფოს მეფედ და თვითონ საბერძნეთში წავიდა. იმ დროს საბერძნეთში მეფობდა კოსტანტინე მონომახი, მის შემდეგ – მიხაელი. ლიპარიტის გამოისობით მალევე ველარ დაბრუნდა ბაგრატი თავის მამულში: დაყო საბერძნეთში სამი წელი დიდ დიდებასა და პატივში.

[მაშინ წმიდა მამა ჩუენი გიორგი მთანმიდელი მოვიდა მთანმიდინდან, რათა თხოვნით წარმდგარიყო კოსტანტინე მონომახის წინაშე. შეიტყო რა, რომ კოსტანტინეპოლში ჩამოსულნი იყვნენ ბაგრატ მეფე და მისი დედა, დედოფალი მარიამი, ეახლა მათ. როდესაც მეფემ, დედოფალმა და ყველა წარჩინებულმა მთავარმა იხილეს იგი, დიდი სიხარულით გაიხარეს, რადგან გაგონილი ჰქონდათ მისი საღმრთო მოქალაქობის შესახებ. მიიღეს მისგან წმიდა ლოცვა და მადლი, ფრიადი სულიერი სარგებელი და მადლობა შესწირეს ღმერთს.

ამის შემდეგ დაემონაფა მას მარიამ დედოფალი, ბაგრატ მეფის დედა, და მიიღო მისგან სამონაზვნო კურთხევა. იყო იმ დროს კონსტანტინოპოლში წარმოშობით სამარიტელი, სვიმონ მოგვის ტომიდან. მას მხეცებზე გრძნეულების საკვირველი ძალა ჰქონდა. ამ გიორგიმ ჯვარი გამოსახა და გააუქმა მისი გრძნეულება. როდესაც მეფემ და მთავრებმა იხილეს ბერის მიერ ჩადენილი სასწაული, სიხარულით აღივსნენ და უამბეს ამის შესახებ მონომახ კოსტანტინეს.

ამის შემდეგ, იხილა რა მეფე ბაგრატმა მისი ამგვარი სიწმიდითა და ღირსებით აღსავსე მოღვაწეობა, უსხეულოთა მსგავსი ცხოვრება და მის მიერ ჩადენილი სასწაული, დიდად შეიყვარა როგორც ღვთის ანგელოზი და ეძებდა საშუალებას, რომ თავის მამულში წაეყვანა. უბოძა ჭყონდიდის საყდრის მღვდელთმოძღვრობა, სადაც ბაგრატს თავისთვის საფლავი ჰქონდა მომზადებული და დასვენებული [304] ჰყავდა მრავალი წმიდა მარტვილი. ამ წმიდა ბერმა არ მიიღო ბაგრატის შეთავაზება, რადგან ყველანაირად გაურბოდა კაცთა დიდებას, ამქვეყნიურ შფოთს და შეიტკობდა სიმდაბლეს. ამგვარად დაყო სამეფო ქალაქში რამდენიმე წელი.

ხოლო ჩვენ დავუბრუნდეთ ჩვენს სათქმელს].

სანამ ბაგრატი საბერძნეთში იყო, ითხოვა ლიპარიტმა დედისაგან და იმ ქვეყნის დიდებულთაგან უფლება, რათა მეფედ დაესვა ბაგრა-

ტის ძე, გიორგი. მოიყვანეს რუისის საყდარში და აკურთხეს მეფედ. დაუნიშნეს მას გამზრდელად ლიპარიტი, ხოლო პატრონად ბაგრატის და, გურანდუხტ დედოფალი, ყველანაირად სრულყოფილი, გარეგნობით მშვენიერი, აღსავსე სიბრძნით, სიკეთით, სიუხვით, ღვთისმსახურებით გამორჩეული. მცირე ხნის შემდეგ სთხოვა გურანდუხტმა ბერძენთა მეფეს ბაგრატის გამოშვება; გამოგზავნა ბერძენთა მეფემ ბაგრატი დიდი პატივით, ურიცხვი, ძვირფასი საჩუქრებით. მთელი ლაშქარი მიეგება მას აფხაზეთის ზღვის პირას, ხუფათში. იყო სიხარული და ღვთისადმი დიდი მადლიერების აღვლენა. ინება ბაგრატმა შემოსვლა თავის სახლში, ქუთათისში.

ლიპარიტი განაგებდა მთელ ზემო მხარეს. მასთან კეთილ ურთიერთობაში იყვნენ ხუარასანში სულტანი დოღლუბეგი და საბერძნეთში ბერძენთა მეფე; ზრდიდა ლიპარიტი ბაგრატის ძეს, ყრმა გიორგის, როგორც მეფეს. ბაგრატი განაგებდა მთელ ქვეყანას ლიხს ქვემოთ.

მცირე ხნის შემდეგ ამ სამეფოს დიდებულებს მოსწყინდათ ლიპარიტის ბატონობა. სულა კალმახელი და ყველა მესხი განუდგნენ ლიპარიტს, დღივში შეიპყრეს ის და მისი ძე, ივანე, ხოლო ნიანია გაიქცა და სურდა კლდეკარში შესვლა, მაგრამ მამის მეციხოვნეებმა არ შეუშვეს იქ და წავიდა ანისში ბერძნებთან. შეპყრობილი ლიპარიტი და ივანე სულამ კალმახში წაიყვანა. სწრაფად გაგზავნა მეფესთან მოციქულები და იხმო იგი სულაში. გურანდუხტი და [305] გიორგი, ბაგრატის ძე, ღრტილაში იმყოფებოდნენ. როდესაც იქ ცნობილი გახდა ლიპარიტის შეპყრობის შესახებ, შეიყვანეს დედოფალი და მისი ძე ახალქალაქში და დაელოდნენ ბაგრატის სულაში ჩამოსვლას. მოვიდა ბაგრატი და განუული სამსახურის სანაცვლოდ უბოძა სულას მემკვიდრეობით საკუთრებაში ციხისჯვარი და ოძრხე ბოდო-კლდითურთ და კიდევ სხვა ბევრი სიმდიდრე, ეკლესიის შესამკობელნი და ყველაფერი, რაც კი ისურვეს.

მოვიდა სულა ჯავახეთში მეფესთან, მოჰგვარა შეპყრობილი ლიპარიტი და სულა და მოახსენა, რომ ჩაიბარა ლიპარიტის ქვეშევრდომთაგან არტანუჯისა და ყველის ციხეები, უფლისციხე და ბირთვისი, მაგრამ კლდეკარს მტკიცედ იცავდნენ მეციხოვნეები, რადგან იქ გამაგრებული იყო ანამორი, ლიპარიტის მწიგნობართუხუცესი. მიიყვანეს ლიპარიტი და ივანე თრიალეთში, მაგრამ მათი თხოვნით ციხის დამცველებმა არ დათმეს კლდეკარი. მაშინ აღმართეს ძელნი და გასვეს მათზე ლიპარიტი და ივანე,

განირეს სასიკვდილოდ. რამდენიმე დღის შემდეგ ლიპარიტის ციხის დამცველებმა მოილაპარაკეს ამ სამეფოს მეფესთან და დიდებულებთან, რომ გაენთავისუფლებინათ მათ ლიპარიტი და ივანე და ჩააბარეს კლდეკარი. გამოიტანა ლიპარიტმა თავისი ქონება, ალიკვეცა ბერად და შეავედრა თავისი ძე მეფეს. დარჩა არგვეთის მამული ივანეს. ერთგულების ფიცი დაუდო ლიპარიტმა მეფეს და გაუშვეს, წავიდა სამეფოში.

მცირე ხნის შემდეგ გაიქცა ივანე საბერძნეთში და დაჰყო იქ რამდენიმე წელი. ნიანია ბერძენთა ქვეშევრდომობაში გარდაიცვალა, ხოლო ივანესთვის მისმა მამამ ითხოვა ბაგრატისგან შენდობა.

თვითონ ბაგრატმა იხმო და გამოიყვანა ივანე საბერძნეთიდან, უბოძა მამული არგვეთსა და ქართლში: ემორჩილებოდა ივანე ბაგრატს ერთგულებით; იყო ის ამ სამეფოს თავადი სხვა თავადთა შორის და სპასალარი მეფის სიკეთის გამოისობით. მიიცვალა ლიპარიტი [306] საბერძნეთში, სატახტო ქალაქ კონსტანტინოპოლში. წამოიყვანეს ის დიდი პატივით მისმა ერთგულებმა და გაზრდილებმა და დამარხეს კაცხში, თავისი მამის საძვალეში.

განდიდნა და გაძლიერდა ბაგრატი ამ ქვეყნის ყველა მეფეზე მეტად. ხელში ჩაიგდო ჰერეთისა და კახეთის ყველა ციხე, კვეტარისა და ნახჭევანის გარდა. ამის შემდეგ აღსრულდა დიდი საქმეები და შეექმნა განსაცდელი ბევრ დიდ მეფეს.

ბაგრატის მეფობის ჟამს გამოვიდა სულტანი არფასარანი, მეფე სპარსეთისა, და დაესხა თავს ქვეყანას. უეცრად მოვიდა, ააოხრა კანგარი და თრიალეთი. ერთი დღის მანძილზე მისმა დამარბეველმა ლაშქარმა მიაღწია ყველის ყურამდე, გადავიდა შავშეთში, კლარჯეთში და ტაოში ფანასკერტამდე. იმავე დღეს ჩამოვიდა თორში და ღვივისხევში, თვითონ კი სამი დღით დაბანაკდა თრიალეთში.

იმ დროს მოემართებოდა მეფე ტაოდან დედასთან, დასთან და თავის ძესთან, გიორგისთან ერთად. შეისვენეს მათ ხეკრებულთაში. როდესაც მოემზადნენ გზის გასაგრძელებლად, დაესხათ მათ თავს სულტნის ლაშქარი: მოვიდნენ და დაიკავეს ქედი. მაგრამ მეფემ და მისიანებმა მოასწრეს ქართლში ჩამოსვლა. წავიდა სულტნის ლაშქარი ჯავახეთში და შემოერტყა ახალქალაქს: მესხი აზნაურები და ზემო მხარისანი ძლიერად იცავდნენ ახალქალაქს და იბრძოდნენ სამი დღის მანძილზე. მაგრამ რადგან ახალქალაქის ზღუდის მშენებლობა არ იყო დასრულებული, ვერ გაუწიეს წინააღმდეგობა ძლიერ შემოტევას;

იარაღი აისხეს ქალაქში მყოფებმა, გააღეს ქალაქის ბჭენი, შეებნენ მომხვედურთ და დახოცეს მახვილით. შეცვივდნენ თურქები ქალაქში, ურიცხვი ქრისტიანი დაატყვევეს; ხელში ჩაიგდეს დიდძალი განძი და ტყვეები და შეღებეს სისხლით ახალქალაქთან ჩამომავალი მდინარე.

გამოუგზავნა სულტანმა ბაგრატ მეფეს ახალქალაქიდან მოციქული, შესთავაზა დანათესავება და [307] სთხოვა დისწული ცოლად. ჩავიდა სულტანი ანისში, ააოხრა ის და ხელში ჩაიგდო; დახოცა და ტყვედ აიყვანა უამრავი მაცხოვრებელი. ამის შემდეგ დაბრუნდა თავის ქვეყანაში, სპარსეთში, ანისი კი ჩამოართვა ბერძნებს და მისცა აბულასვარის ძეს, მანუჩას.

ბაგრატის დისწული, რომელსაც ითხოვდა სულტანი, იყო სომეხთა მეფის, კვირიკეს, ძმისწული. სთხოვა მას ბაგრატმა სულტნის სურვილის შესრულება, მაგრამ არ დართო სომეხთა მეფემ ნება. გაუგზავნა ბაგრატმა ბევრი მოციქული ერისთავ ვარაზ-ბაკურ გამრეკელის მეთაურობით. გადაიბირა ბაგრატმა სომეხთა მეფესთან დაახლოებული ადამიანებიც და ქვეშის ჭალაში შეიპყრეს მათ სამშვილდეში მიმავალი სომეხთა მეფე კვირიკე და მისი ძმა სუმბატი. აცნობეს ეს ამბავი ბაგრატს. ნავიდა ბაგრატი სასწრაფოდ ქვახვრელიდან და მიჰგვარეს მას შეპყრობილები კლდეკარის ციხის ქვეშ. მოსთხოვა მათ ბაგრატმა სამშვილდე, მაგრამ არ მისცეს, რადგან ერთი ძმა, ადარნასე, სამშვილდეში იმყოფებოდა. მაშინ მიიყვანეს ისინი სამშვილდესთან, აღმართეს ძელი და გასვეს მასზე სომეხთა მეფე კვირიკე სამი დღის მანძილზე. ითხოვეს მშვიდობა და მისცეს ბაგრატს სამშვილდე. იქ იმყოფებოდა ამ დროს სომეხთა მეფის ორი ერისთავი: ლუკიისა და კაქვაქარისა. კვირიკეს ძმა, სუმბატი, სთავაზობდა და აძლევდა ბაგრატს სამ ციხეს: ოფრეთს, კოშკსა და ვარზაქარს. შეიწყალა ბაგრატ მეფემ ისინი: დაუბრუნა და გაუნთავისუფლა ყველა ციხე სამშვილდის გარდა; არც სხვა ციხეთა პატრონნი, კაცნი დიდებულნი, შეუშვა ამ ციხეებში, არამედ მხოლოდ სამშვილდე დაიტოვა თავის რეზიდენციად და ამგვარად დაიმორჩილა სომეხნი.

[იმ დროს, როდესაც საბერძნეთს მართავდა დედოფალი თეოდორა, სთხოვა მან ბაგრატს მიეცა მისთვის შვილად აღსაზრდელად თავისი ასული მართა. ბაგრატ მეფემ დიდი სიხარულით გაუგზავნა შვილი ერთგულ ადამიანებთან ერთად.

იმ დღეებში, ღვთის განგებით, დედოფალი თეოდორა აღესრულა. მაშინ იქ იმყოფებოდა ბაგრატის დედა, დედოფალი მარიაძი. რალა-

ცა საქმეების გამო იყო იქ აგრეთვე ჩვენი წმიდა მამა, გიორგი მთაწმიდელი. ხოლო როდესაც მიიწვალა მოულოდნელად დედოფალი თეოდორა, როგორც უკვე ვთქვით, შემოიყვანეს სამეფოში მართა, ასული ბაგრატისი. იხილა რა წმიდა მამამ მართა, ყველას გასაგონად იწინასწარმეტყველა და თქვა: „უნყოფეთ ყველამ, რომ განვიდა დღეს დედოფალი და დედოფალი შემოვიდა“. [308] მაშინ მცირე ხანი დაჰყო იქ მართამ და კვლავ სამშობლოში დააბრუნეს. გარკვეული დროის შემდეგ ისევ მოსთხოვა მართა დუკიცმა ბაგრატს და რძლად შეიყვანა თავის სატახტო ქალაქში. როდესაც დაინახეს, რომ აღსრულდა წმიდა გიორგი მთაწმიდელის წინასწარმეტყველება, ყველა განცვიფრდა და მადლობა შესწირეს ღმერთს. მარიამ დედოფალმა, რომელიც მაშინ აღმოსავლეთში იყო, უთხრა წმიდა გიორგის: „მამაო, აღსრულდა შენი წინასწარმეტყველება მართას შესახებ, რომელიც ოდესღაც იწინასწარმეტყველე“].

დიდმა მეფე ბაგრატმა გაათხოვა თავის ასული მართა და შერთო ის ბერძენთა მეფეს.

[ამის შემდეგ მარიამ დედოფალი, ბაგრატ მეფის დედა, სამეფო ქალაქიდან ანტიოქიაში ჩავიდა: სურდა წმიდა ქალაქ იერუსალიმში წასვლა, რათა მოელოცა და თაყვანი ეცა წმიდა და სიცოცხლის მომნიჭებელი ადგილებისათვის. ანტიოქიის მთავარსა და პატრიარქს მეფისგან ჰქონდათ ნაბრძანები, რომ დიდებითა და პატივით წარეგზავნათ მარიამ დედოფალი. ხოლო პატრიარქმა და მთავარმა მამა გიორგისთან მოთათბირების შემდეგ გადაწყვიტეს, რომ „არ იქნება კარგი, თუ აღმოსავლეთის მეფის დედა სარკინოზთა მხარეში წავა, რადგან ჩვენი ცოდვების გამო მათ ხელშია ის ქვეყანა“. მოახსენეს ეს დედოფალს მისი მოძღვრის, გიორგის პირით და გადააფიქრებინეს წასვლა. იგი, მართალია, შეწუხდა, მაგრამ ღვთის ნებას წინ ვერ აღუდგა. მაშინ შეევედრა დედოფალი წმიდა ბერს, მთაწმიდელს, რათა შეეწყალებინა მისი სული, როგორც აქამდე ჰყავდა შეწყალებული, და ეზრუნა მისი გადარჩენისათვის, რადგან თვითონ ვერ შეიქნა ღირსი შესულიყო იმ წმიდა და თაყვანისსაცემ ადგილებში; აგრეთვე სთხოვა, რომ ის სიმდიდრე, რომლის თან წაღებაც ჰქონდა დედოფალს განზრახული, წაეღო იერუსალიმში და დაერიგებინა წმიდა ქალაქის გლახაკთა და დავრომილთათვის, წმიდა მონასტრებისათვის, რომლებიც მის გარშემო არის გაშენებული].

ამის შემდეგ გაათხოვა ბაგრატი თავისი დისწული და შერთო ის სპარსთა მეფეს, სულტანს. სამი წლის შემდეგ გამოვიდა სულტანი, შემოუარა რანს და მოულოდნელად შევიდა ჰერეთში. იმ ქვეყნის დიდებულები ბაგრატის მომხრეები და ერთგულნი იყვნენ. კახეთის მეფე აღსართანს, გაგიკის ძეს, იმ დროს მცირე ქონება ჰქონდა. ყველამ მიატოვა თავ-თავიანთი ციხეები და თავი შეაფარეს კავკასიის მთებს. ბაგრატი სალაშქროდ იყო წასული კახეთის ასაღებად და ლაშქარი წინ ჰყავდა გაგზავნილი ვეჟინის ერისთავთან, წირქვალელთან. დაბრუნდნენ მშვიდობით და უამბეს ბაგრატს სულტნის შემოსვლისა და ციხეთა მიტოვების შესახებ. შემობრუნდა მეფე სწრაფად და დაბრუნდა თავის ქვეყანაში, ქართლში.

[309] აღსართანი გადავიდა სულტნის მხარეზე. მიართვა დიდი ძღვენი, შეიცვალა რჯული, წინადაცვითა და აღუთქვა ხარკის გადახდა. სულტანმა მას ყველა მიტოვებული ციხე გადასცა: ისინი, რომლებიც მიატოვეს აფხაზთა მეფის ქვეშევრდომებმა და ისინიც, რომლებიც თვით აღსართანის ხალხმა დატოვა უპატრონოდ. სამი კვირის შემდეგ გამოემართა სულტანი აფხაზთა მეფის წინააღმდეგ. შეუერთდნენ მას სომეხთა მეფე და ტფილისელი ამირა, აგრეთვე აღსართანი. შემოვიდნენ ქართლში ჯაჭვის მხრიდან. გამთენიისას შემოუშვეს დამარბეველი რაზმი და სალამოსთვის მთელი ქართლი სავსე იყო მათით. მოხდა ეს დეკემბრის თვეში, ათ რიცხვში, სამშაბათ დღეს, ქორონიკონის ორას ოთხმოცდარვა წელს (1068 წ.).

იყო ქართლში პური და ღვინო უღევი. დაყო აქ სულტანმა ექვსი კვირა და დაიწყო მხარის აოხრება და მცხოვრებთა ხოცვა. მისი დამარბეველი რაზმი არგვეთში გადავიდა. მიაღწიეს მათ სვერის ციხემდე და გზად ყველაფერი დაარბიეს. დაილუპა და ტყვედ ჩავარდა ქრისტიანთა ურიცხვი სიმრავლე. საზარელი სანახავი შეიქნა ქართლი: გაიძარცვა ყველა ეკლესია, გვამების სიმრავლე ფარავდა მიწას; ზემოდან ცა ადასტურებდა ღვთის რისხვას ჩვენ ცოდვათა გამო; სისხლის მანვიმებელმა ღრუბელმა აღმოსავლეთიდან დაფარა ქართლი და უკუნი ღამე განათდა როგორც დღე. ამის ხილვა საშინელი და შემადრწუნებელი იყო; ალაგ-ალაგ ადამიანები სისხლის წვიმას ხედავდნენ. ზამთარიც სასტიკი დადგა. ვინც მთებში გადაიხვეწა, ისინიც ზამთრის ყინვებისგან დაილუპნენ. მთელ ქართლში თურქთა ლაშქარი იდგა, თვით მათი მეთაური სულტანი განლაგდა კარბში, შემდეგ ჩამოვიდა შერთულაში. შეაწუხა ისინი ზამთრის სიძნელეებმა და ძლიერმა ქარბუქებმა.

მიუგზავნა მეფე ბაგრატმა სულტანს მშვიდობის სათხოვნელად მოციქულად ივანე, ლიპარიტის ძე. ხოლო სულტანმა დააბრუნა იგი აფხაზეთში ბაგრატთან, მოსთხოვა ხარკის გადახდა [310] და შეჰპირდა მშვიდობას, მაგრამ ველარ გაუძლო ზამთრის ყინვებს და პასუხის მიღებამდე წავიდა ქართლიდან. მიმავალმა გზად ხელში ჩაიგდო ტფილისი და რუსთავი და მისცა განძის პატრონს, ფადლონს. არა მხოლოდ ჩვენი მეფეებისადმი მტრობის გამო მოსწყვიტა ტფილისი და რუსთავი ამ სამეფოს, არც იმის გამო გააკეთა ეს, რომ ამირები გაოურგულდნენ მას, არამედ იმიტომ, რომ სიკეთისა და სამსახურის ნაცვლად ყველას ბოროტებას მიაგებდნენ, რადგან უღმრთონი იყვნენ და ცბიერნი. ქართლის აოხრების ჟამს მისი ლაშქარი ხუთასი ათასი მეომრისაგან შედგებოდა.

დაბრუნდა სულტანი თავის ქვეყანაში. გაზაფხულის დადგომასთან ერთად დაიწყო დიდი წყალდიდობა, მტკვარი ველარ ეტეოდა თავის კალაპოტში, გადმოვიდა ველებზე და თან წაიღო მრავალი ადამიანი, ვინც სულტანს გადაურჩა.

ამის შემდეგ გაამპარტავანდა ფადლონი და დაიწყო ურჯულო საქმეების კეთება – ტფილისის მახლობლად მოსახლე ხელოსნების აყრა და გაყვანა. როდესაც გაზაფხული დადგა, გადმოვიდა მეფე ქართლში და ბინა დაიდო დიდგორში, რადგან ეს იყო მეფეთა საზაფხულო რეზიდენცია. ფადლონმა არაფრად ჩააგდო მეფის დიდგორში ყოფნა. ოცდაცამეტ ათასიანი ლაშქრით გამოემართა, მოვიდა ტფილისში და დაბანაკდა ისინი ველზე. დატოვა იქ გაშლილი კარვები, ღამით ამოვიდა მუხნარში და დაარბია ქართლის სასაზღვრო მხარეები.

ტფილისის საპირისპირო მხარეს მყოფმა აფხაზთა მეფემ შეიტყო ქართლის გასაჭირისა და ფადლონის თავდასხმის შესახებ; გამოგზავნა მდგომარეობის გასარკვევად ივანე, ძე ლიპარიტისა და ნინია, ძე ქვაბულისა, აგრეთვე ყველის ერისთავი, მურვან ჯაყელი და მათთან ერთად კიდევ მცირე რაოდენობით სხვა აზნაურები რჩეული ლაშქრით. ქართლში ველარ ჩამოუსწრეს ფადლონს და გაქცეულებს გადაუსწრეს [311] მუხნარის წინ, ნილკნის გორასთან. უკანა რაზმს შეებნენ და ხმლის პირველსავე მოქნევაზე გააქციეს ფადლონი. ფადლონის გაქცეული ლაშქარი მიადგა ნარეკვავის ხრამს. აფხაზთა მეფის ლაშქარი ხოცავდა და იპყრობდა მათ და ამოივსო ის ხრამი ცხენებისა და ადამიანთა გვამებით.

გაქცეულმა ზედა ლაშქარმა იწყო გასვლა შობოს ტყიდან. ფადლონის დამალულ მოლაშქრეებს ბაგრატის მხედრები, როგორც ბარტყები

მატლებს, ისე ათრევდნენ ტყეებიდან და ძეძვნარიდან. ღართის ვინრო გასასვლელთან მიუსწრეს ქართველებმა და ცოტა თუ ვინმემ მოახერხა გაქცევა. სდია ბაგრატის ლაშქარმა ხერკის მთამდე. გაანადგურეს და დაატყვევეს ფადლონის ლაშქარი, ხოლო ფადლონი მხოლოდ თხუთმეტ ცხენოსანთან ერთად გამოვიდა წილკნის გზაზე, გაიარა არაგვის პირი, გადარეცხილი გზით გავიდა ერწოსთან და თავი მოციქულად გამოაცხადა: „ფადლონის მოციქული ვარ და მახარობლად მივდივარ აღსართანთან, რათა ვაუწყო აფხაზთა მეფის ლაშქრის გაქცევა.“

დახვდა იქ კაცი, რომელიც იცნობდა ფადლონს და უთხრა: „არა ხარ შენ მოციქული, არამედ ხარ ამირათ-ამირა ფადლონი“.

უთხრა მას ფადლონმა: „მიიღე ჩემგან დიდძალი ოქრო და ვერცხლი და სიმდიდრე და ნუ გამამჟღავნებ; გადამიყვანე მინდორზე და წამომყევი მე“.

უპასუხა მას კაცმა: „ვერ გავაკეთებ მაგას, რადგან ამ ქვეყნის მკვიდრი ვარ. დამიჯერე და გამომყევი. მიგიყვან აღსართანთან და მან გაგგზავნოს შენს ქვეყანაში“.

არ სურდა ფადლონს ამისი გაკეთება, მაგრამ ველარსად წავიდოდა ერწოდან. წაუძღვა ეს კაცი და მიჰგვარა ჟალეთში ისაკ ტოლობაბელის ძეს [312], მესხ აზნაურს. როდესაც ამ უკანასკნელმა შეიტყო, რომ მის კარზე ფადლონი იყო მისული, გაძარცვა მისი ხალხი, ჩამოყარა ცხენებიდან, შეიპყრო, ხოლო ფადლონი შესვა ჯორზე. და არ გაახსენდა ისაკს აფხაზთა მეფე და ის, რომ მან აფხაზთა მეფისაგან გაქცეული ფადლონი შეიპყრო და რომ უნდა მიეყვანა ის ბოჭორმაში ბაგრატისათვის, არამედ სწრაფად წაიყვანა და მიჰგვარა თელავში აღსართანს. აღსართანმა მაშინვე წაიყვანა ხორნაბუჯში, რადგან ეშინოდა მეფის დადევნებისა. მიიყვანეს ფადლონი ხორნაბუჯში და ჩააბარა მან ხორნაბუჯი აღსართანს. წაიყვანეს შემდეგ არადეთში და ისიც ჩააბარა აღსართანს.

ბაგრატს შეეშინდა ფადლონის გაშვების, მისცა კახელებს ბოჭორმა და უჯარმა და წამოიყვანა ფადლონი. გასვეს ის ძელზე და ტფილისისკენ წამოვიდნენ; გაჭირვებით აიღეს ტფილისი, რადგან იქ მყოფს თვით სურდა ამირად დაჯდომა. და არ დაიკავა ბაგრატმა ტფილისი, არამედ მონახა დმანისში დატოვებული სითლა-არაბი, შემოიყვანა ტფილისში და ჩააბარა ქალაქი. თავისთვის ბაგრატმა დაიტოვა ციხეები: რუსთავი, ფარცხისი, აგარანი, გრიგოლ-წმიდანი, ქავაზინი; დაუნესა გადასახადი ორმოცდაოთხი ათასი დრაჰკანი და მძევლებად აიყვანა თავისი ძმისწული, მანუჩას ძე და განძის სამი თავადი.

[იმ დროს მთარგმნელები იყვნენ: იოანე პატრიკ ყოფილი, პეტრინი ფილოსოფოსი და სტეფანე].

გამოგზავნა სულტანმა სარანგი ალხაზი. მისი შუამდგომლობითა და სულტნის თხოვნით დაეზავა ბაგრატი ფადლონს და გაანთავისუფლა, გაგზავნა თავის სამეფოში, განძაში. სარანგიც თან წაჰყვა ფადლონს.

[313] მოართვეს ბაგრატს გაგის კლიტენი და აიღო აფხაზთა მეფემ გაგი. ამის შემდეგ დაარღვია ფადლონმა ფიცი და შუამდგომლობა დიდი სულტნისა, ხელში ჩაიგდო ქავაზინი. შემდეგ, როდესაც მეფე აფხაზეთში იყო, მოვიდა ფადლონი და მოადგა აგარანს; ციხისთავმა მისცა ფადლონს აგარანი. სწრაფად აღმოვიდა მეფე, გარს შემოერტყა აგარანს და დაიკავა ის.

გამოიყვანა ბაგრატმა დორლოლელი, ოვსთა მეფე, ორმოც ათასიანი ოვსთა ლაშქრით, წაუმძღვარა წინ თავისი ძე, გიორგი კურაპალატი. ააოხრა განძა, ხელში ჩაიგდო ურიცხვი ტყვე და ნადავლი და გაგზავნა თავის სამეფოში. ამის შემდეგ ოვსთა დიდმა მეფემ, დორლოლელმა, მოისურვა თავისი დის ქმრის, ბაგრატ სევესტოსის ნახვა და სთხოვა ბაგრატს მიეღო ის. ბაგრატმა ნება დართო და გახარებული ოვსთა მეფე ყველა ოვს თავადთან ერთად გამოემართა, გადაიარა აფხაზეთის გზა და ჩამოვიდა ქუთათისში. მოინახულა თავისი და, დედა გიორგი კურაპალატისა; გიორგი კურაპალატმა დაასწრო მას იქ ჩასვლა. ჩამოიყვანეს ქართლში ოვსთა მეფე. მეფე ბაგრატი ამ დროს ტინისხიდის ქალასთან იყო, ნადარბაზევში. გამოეგება ოვსთა მეფეს დიდი ზეიმით და პატივით.

შეხვდნენ ერთმანეთს კეზუნთან. იყო დიდი სიხარული, ხმა ბუკთა და ნალარათა აყრუებდა იქაურობას. დაჰყვეს იქ თორმეტი დღე და განისვენეს ყველანაირი განსვენებითა და სიხარულით. მოახლოებული ზამთრის გამო იძულებულნი გახდნენ აჩქარებულიყვნენ. დაასაჩუქრა ბაგრატმა მეფე და ოვსეთის ყველა დიდებული საჩუქრებითა და საბოძვარით და გაამგზავრა. წავიდნენ ისინი სიხარულით.

[გარდაიცვალა კათალიკოს-პატრიარქი ოქროპირი და მისი ადგილი დაიკავა გიორგი ტაოელმა. მცირე ხნის შემდეგ გარდაიცვალა გიორგი ტაოელი და დაჯდა სიხარულით კათალიკოს-პატრიარქად გაბრიელი].

[314] ამის შემდეგ უგზავნიდა სულტანი ბაგრატ მეფეს მოციქულებს ძღვენითურთ და ტკბილი ენით ითხოვდა მისგან ხარკს. არ დაადო ბაგრატმა ქვეყანას ხარკი, არამედ გზავნიდა ისიც მოციქულებს ძღვენითურთ. და იყო მათ შორის სიტყვით სიყვარული.

რამდენიმე წლის შემდეგ სამშვილდის ტბასთან მყოფ ბაგრატს უეცრად დაეწყო მუცლის ტკივილი. გაჩერდნენ მარაბდაში. გაუძლიერდა ტკივილი და მწოლიარე ხელით წამოიყვანეს, თან ახლდა გიორგი კურაპალატი და ყველა თავისი დიდებული. გიორგი კურაპალატი დაწინაურდა; ჩამოიყვანეს მეფე ქართლში და იქ ჩამოვიდა ყველა მისი დიდებული. მოვიდნენ მისი დედა, მარიამ დედოფალი, და ცოლი მისი ბორენა და ასული მისი მარიამი. რამდენიმე დღის შემდეგ ამ სამეფოს დიდებულთა წინაშე ბაგრატმა ძე თავისი, გიორგი კურაპალატი მეფედ გამოაცხადა. შეავედრა მას ყველა და უთხრა დედას: „დედაო, მებრალეები, რადგან ყველა შენგან შობილი შენზე ადრე წავიდა ამ ქვეყნიდან და შენ მათ შემდეგ გარდაიცვლები“. ამის შემდეგ მიიცვალა ბაგრატი თვესა ნოემბერსა, ოცდაოთხში, ქორონიკონის ორას ოთხმოცდათორმეტში“ (1072 წ.).

ბაგრატის სიკვდილის ჟამს მოკლულ იქნა სულტანიც ერთი მოხუცი თურქის მიერ კარავში, როდესაც თავის ლაშქართან ერთად იმყოფებოდა. გადაიარა სულტანმა ჯეონი⁸ შვიდასი ათასი კაცით, გაილაშქრა თურქთა მეფის წინააღმდეგ და გარს შემოერტყა რომელიღაცა ციხეს სამარყანდის მახლობლად. სწორედ იქ იქნა მოკლული ამ ციხის პატრონი თურქის მიერ. ველარ შეასწრო ამ თურქმა ციხეში – უმონყალოდ აჩეხეს მახვილით. ვერ შეიტყყეს ბაგრატმა და სულტანმა ერთმანეთის სიკვდილის შესახებ.

ამის შემდეგ გამეფდა ბაგრატის ძე, გიორგი კურაპალატი.

[315] იყო სრული მშვიდობა მის სამეფოში⁹. დიდებითა და პატივით წაიყვანეს და დამარხეს ჭყონდიდში. ეს მეფე ბაგრატი გამეფდა ცხრა წლისა და აღესრულა ორმოცდათექვსმეტისა. იგი ჯერ კურაპალატი იყო, შემდეგ – ნოველისიმოსი და მერე გახდა სევასტოსი. თავისი მშვენიერი გარეგნობით ყველა სხვას აღემატებოდა, იყო აღსავსე სიბრძნით, მეტყველი ფილოსოფიის ენაზე, ბედნიერი ბედის მქონე, აფხაზეთის ყველა მეფეზე მდიდარი, მონყალე შემცოდეთა მიმართ, უხვი ალაგთა¹⁰ ზედა. მაგრამ მისი მეფობის ჟამს არ იყო ქვეყანაში სიწყნარე: ეკლესიები და გლეხები, აზნაურნი და გლახაკნი სამართალს ვერ პოულობდნენ.

ქართლისა და აფხაზეთის ორმოცდამეთოთხმეტე მეფე, გიორგი, ძე ბაგრატიისი, ბაგრატიოვანი

გიორგი მეფე იყო მოწყალე და გლახაკთა განმკითხავი, კაცი მრისხანე და აფხაზეთის ყველა მეფეზე უხვი; აღმატებული თავისი სტუმართმოყვარეობით, გამორჩეული ცხენოსანი და მშვილდოსანი.

მამის სიკვდილის შემდეგ მშვიდობაში გაატარა ერთი ზამთარი და ზაფხულის ნახევარი. ხოლო შემდეგ ამ სამეფოს თავადებმა – ნიანია ქვაბულის ძემ, ივანე ლიპარიტის ძემ და ვარდან, სვანთა ერისთავმა, ვითომდა რალაცით დაზარალებულებმა [316] გიორგი მეფის ახალგაზრდა ასაკის გამო, აუშალეს ქვეყანა: ივანემ მიიმხრო კახნი და დადგა ქსნის პირას; ნიანიამ ხელში ჩაიგდო ქუთათისის საგანძური და დაიკავა ქუთათისი; ვარდანმა გააორგულა სვანნი, სიავის მდომნი, დაარბიეს და ამოწყვიტეს საეგრო.

ხოლო გიორგი მეფემ გაიმარჯვა მათზე სიკეთით, სიბრძნით და არც მათ მიერ ჩადენილი ბოროტება ჩაიხვია გულში: უბოძა ივანეს სამშვილდე; ივანეს ძეს, ლიპარიტს, ნაცვლად რუსთავისა, რომელიც კახელებს გადასცა, მისცა ლონობანნი; ნიანიას უბოძა თმოგვი და კიდეც სხვა გამორჩეული ქონება; ვარდანს, ივანეს რჩევით, მისცა ჯაყელთა ასკალანა და უთალუბო. ერთგული და ორგული, ყველა წყალობით აავსო და ასე დაიწყნარა თავისი მეფობა გიორგი მეფემ.

ისევ განუდგა ივანე ლიპარიტის ძე. შეიტყო ეს გიორგი მეფემ. ქუთათისიდან გადმოვიდა სამცხეში, შეიერთა მესხნი, გადმოიარა და მიადგა სამშვილდის კარს. მოიყვანა იქ კახთა მეფე აღსართანი. ვერ შეინარჩუნა ივანემ ციხე, თავი შეაფარა სამხრეთის მთებს. ვერ გასწიარა წინააღმდეგობა ივანემ, წაართვა აღსართანმა ლიპარიტს ლონობანნი. წავიდა გიორგი სამშვილდედან, გადავიდა ჯავახეთში, მიიყვანა იქ ივანე; დაიფიცეს ეკრანთაში და დაიმტკიცა ამ გზით ივანემ კლდეკარი და სამშვილდე.

ისევ განდგა ივანე. გამოსტყუა გიორგი მეფის მეციხოვნეებს გაგი და მიჰყიდა ის განძის პატრონს, ფადლონს. და მოვიდა ამ დროს სულტანი მალიქმა, ყველა ქრისტიანის მტერი. მიაგება მას წინ ივანემ თავისი ძე ლიპარიტი და შეავედრა; დაჰყო სულტანთან მცირე ხანი, შემდეგ კი გაეპარა. მოადგა სულტანი [317] სამშვილდეს, აიღო ის და დაატყვევა თვით ივანე ცოლით, შვილიშვილითა და ყველა აზნაუ-

რითურთ ოჯახებთან ერთად. დაიკავა სულტანმა სამშვილდე. იქ ყოფნისას ააოხრა ქართლი, წაიყვანა ურიცხვი ტყვე, წაიღო დიდი ალაფი და გაბრუნდა. ამის შემდეგ აიღო განძა, დატოვა იქ მმართველად სარანგი და დაუტოვა მას ორმოცდარვა ათასი კაცი, რათა ეწარმოებინა ბრძოლები გარშემო ქვეყნებთან. გამაგრდა ფადლონი ერთ მყარ ციხეში, მაგრამ ვერ გაუწია წინააღმდეგობა, გამოიყვანეს და ისიც დააპატიმრეს.

მცირე ხნის შემდეგ სარანგი მთელი თავისი და განძის ლაშქრით, აგრეთვე დვინისა და დმანისის ამირათა თანადგომით გამოემართა გიორგი მეფის წინააღმდეგ. შეკრიბა გიორგი მეფემ მთელი თავისი ლაშქარი, ზემო და ქვემო მხარეებისა; მოიწვია აღსართანიც, კახთა მეფე, და შეთანხმდნენ. განაძლიერა ღმერთმა გიორგი მეფე. ჯვარი პატრიოსნის ქვეშ დარაზმული ლაშქრით დაესხა თავს სარანგს ფარცხისის ქვემოთ და უკან დაახევინა მას, გააქცია და ამოწყვიტა. იყო მწუხრის ჟამი და სიბნელემ გადაარჩინა სარანგის ლაშქრის დარჩენილი ნაწილი, ხოლო მეფე გიორგი დანაკარგის გარეშე მშვიდობით დაბრუნდა თავის სამეფოში.

ამის შემდეგ, ღმერთის წყალობით, დაუბრუნდათ ქართველებს ბერძენთა მიერ წართმეული ციხეები. წაართვა მეფე გიორგიმ ბერძნებს ანაკოფია, აფხაზთა მთავარი ციხე; აგრეთვე მრავალი ციხე კლარჯეთის, შავშეთის, ჯავახეთისა და არტანისა. შემდეგ, კვლავ ღმერთის წყალობით, აიღო გიორგიმ ქალაქი კარი მისი ციხითა და მიწებით, აგრეთვე ვანანდისა და კარნიფორის სიმაგრეები და განდევნა თურქნი თავისი ქვეყნიდან.



ცხოვრება მეფეთ მეფისა დავითისი



მის შემდეგ მოვიდა სულტანი მალიქმა, მოადგა სამშვილდეს და ხელში ჩაიგდო ის, დაატყვევა ივანე, ლიპარიტის ძე, მოაოხრა სომხითი და წავიდა. იმავე წელს მოვიდა ხარანგი სულტნის ლაშქრით, დაბანაკდა სამშვილდის ბარში. მივიდა იქ გიორგი მეფის ლაშქარი, შეიბნენ ფარცხისში, გაიმარჯვეს გიორგის მხედრებმა და გააქციეს სპარსნი, რადგან დიდი ძლევა მიანიჭა ღმერთმა მეფეს.

წავიდა მეფე გიორგი თავის მამულში, ტაოში, და მოვიდა ბანაში.

და ესტუმრა იქ მას აღმოსავლეთის ზორვარი, გრიგოლ ბაკურიანის ძე, რომლის მფლობელობაშიც იყო ოლთისი, კარნუ-ქალაქი და კარი; დიდად გაიხარა ორივემ და განისვენეს. მისცა გრიგოლმა გიორგი მეფეს კარის ციხე-ქალაქი და მისი მიმდებარე მხარეები. ამის შემდეგ გამოეთხოვნენ ერთმანეთს. მეფე გიორგიმ დატოვა კარში შავშელი აზნაურები და დაბრუნდა შინ. თურქების გაძლიერების გამო უარი თქვეს ბერძნებმა იმ ქვეყნებზე, ციხეებსა და ქალაქებზე, რომლებსაც ფლობდნენ აღმოსავლეთში და წავიდნენ იქიდან. ამას ყველაფერს დაეპატრონნენ თურქნი და დამკვიდრდნენ ამ ადგილებში. რადგან ჩვენს საზღვრებს მოუახლოვდნენ და ჩვენი მეზობლები შეიქნენ, გა-

ძლიერდა შიში მათ მიმართ და გამრავლდა უბედურებანი, რომლებიც ჩვენზე მოაწიეს, რადგან იწყეს [319] იმ დროიდან ჩვენი, ქრისტიანების, რბევა, აკლება, აოხრება, გადანვა, ხოცვა და დატყვევება.

იმ დროს მეფე გიორგის, რომელსაც ალყაში ჰყავდა მოქცეული ყველი, მოულოდნელად დაესხნენ მრავალრიცხოვანი თურქნი. მათ აჰმადი მეთაურობდა, ძლიერი ამირა და ხელოვანი მოისარი, რომელსაც სწორედ იმ დროს ალებული ჰქონდა კარი. დაესხნენ ისინი გიორგის ქრისტიანთა ლალატის მეოხებით, გააქციეს მეფე და მისი ურიცხვი მხედრობა.

წაიღეს დიდძალი ალაფი და წავიდნენ: საჭურჭლეები, სამეფო ტაბლათა ოქროსა და ვერცხლის ჭურჭელი, ბაგრატიონთა კუთვნილი ძვირფასი სასმისები და დოქები, სამეფო და დიდებულთა კარვები. გაქცეული გიორგი მეფე აჭარის გავლით გადავიდა აფხაზეთში. თურქთა ამგვარი ნადავლით სავსე ლაშქარს შემოხვდნენ დიდი ამირები, ვინმე იასი და ბუჟღუში, და მათთან ერთად საბერძნეთში მიმავალი თურქთა ურიცხვი სიმრავლე. იხილეს რა უთვალავი ოქრო და სიმდიდრე, რაც ლაშქარს თან მიჰქონდა, შეიტყვეს გიორგის გაქცევის შესახებ და მოისმინეს შემხვედრ თურქთაგან შემდეგი: „რისთვის მიდიხართ საბერძნეთში? აი, ქვეყანა საქართველო, დაუტყველი და ასეთი სიმდიდრით სავსე“, შემობრუნდნენ და შეესივნენ მთელ ქვეყანას კალიებივით.

ივანობის დღეს თურქებით აივსო ასისფორნი და კლარჯეთი ზღვის სანაპირომდე, შავშეთი, აჭარა, სამცხე, ქართლი, არგვეთი, სამოქალაქო და ჭყონდიდი. გაიჟლიტა და დატყვევებულ იქნა ამ მხარეთა ყველა მკვიდრი. ერთ დღეში გადანვეს ქუთათისი, არტანუჯი და კლარჯეთის უღაბნონი. დარჩნენ [320] ამ მხარეებში თურქები თოვლის მოსვლამდე, გადაჭამეს ქვეყანა და ამოხოცეს ყველა, ვინც კი გადარჩა და თავი შეაფარა ტყეებს, კლდეებს, გამოქვაბულებს და ნებისმიერ სხვა ადგილს. ეს იყო პირველი და დიდი თურქობა და მოხდა ქორონიკონის 300-ში (1080 წ.). თუ ვინმე გადარჩენილი იყო მთიულეთში ან რომელიმე სიმაგრეში, ისიც დაიღუპა ზამთრის ყინვების, უსახლკარობისა და შიმშილის გამო.

გაგრძელდა ქრისტიანებზე დატეხილი ეს უბედურება, რადგან გაზაფხულის დადგომისას კვლავ ბრუნდებოდნენ თურქნი და იგივეს სჩადიოდნენ, ზამთარში კი მიდიოდნენ. აღარაფერი ითესებოდა და იმკებოდა იმ დროს: აოხრდა ქვეყანა და ტყედ გადაიქცა. ადამიანთა ნაცვლად მხეცნი და ველის ნადირნი დამკვიდრდნენ აქ. გაუსაძლის

გასაჭირში იყო ქვეყნის ყველა მკვიდრი, მანამდე გაგონილ და მომხდარ ყველა აოხრებასთან შეუდარებელსა და აღმატებულში. წმინდა ეკლესიები თურქებმა საჯინიბობად აქციეს, ღვთის საკურთხეველნი – მათი უწმინდურების ადგილებად; ზოგიერთი მღვდელი საღმრთო მსხვერპლის შეწირვისას თვითონ იქნა შეწირული და მახვილით განგმირული – მათი სისხლი მეუფის სისხლს შეერია; ზოგი მწარე ტყვეობაში ჩაადგეს; არ იბრალებდნენ მოხუცებს, ქალწულებს ნამუსს ხდიდნენ, ჭაბუკთ ასაჭურისებდნენ, ჩვილებს იტაცებდნენ. ყველაფერი გაანადგურა აქამდე წარმოუდგენელი სისასტიკის ცეცხლმა, წყლის ნაკადულთა ნაცვლად მოედინებოდნენ სისხლის მდინარეები და ირწყვებოდა ქვეყანა. გავიმეორებთ იერემიას ნათქვამს, რადგან მან კარგად უწყოდა ასეთი დროის შესაფერისი გოდება: „სიონის ძენი, პატიოსანნი და ბოროტებაში გამოუცდელნი, ტყვეობის უცხო გზებზე მოგზაურობენ, ხოლო სიონის გზები გლოვობენ მათზე მედლესასწაულეთა არყოფნის გამო. მოწყალე დედები ზრუნავენ არა შვილთა საზრდელის მიცემისათვის, [321] არამედ საკუთარ საზრდელად იყენებენ თავიანთ საყვარელ არსებებს“. და ამგვარ და ამაზე უარეს დღეში იყვნენ ესენი.

ხედავდა რა ყველაფერ ამას, მეფე გიორგიმ, რადგან არ ჩანდა არავითარი ხსნა და შეწევნა იმ უბედურებისაგან, რომელსაც მოეცვა მთელი ქვეყანა (ბერძნებიც დასუსტებულნი იყვნენ, რადგან ის მხარეები, რომლებიც ზღვის მიღმა, აღმოსავლეთში ჰქონდათ, თურქებმა დაიპყრეს), თავის დიდებულებთან ერთად მიიღო გადარჩევილება, რომ წასულიყო მაღალ სულტანთან, მალიქმასთან.

ასე განირა მეფემ საკუთარი სული და ხორცი ქრისტიანთა ხსნისათვის. მიენდო ღმერთს, წინ წაიმძღვარა ძელი ცხოვრებისა და წავიდა ასპანში, ნახა სულტანი, რომელმაც შეინწყნარა როგორც საყვარელი შვილი.

მალიქმა ძლიერი იყო არა მარტო როგორც შეუდარებელი მეომარი და ქვეყანათა მპყრობელი, არამედ სხვებზე აღმატებული იყო თავისი სიტკბოებითა და სახიერებითაც. ეს მრავალნაირად იყო გამოხატული: მის მართლმსაჯულებაში, მოწყალეობაში, ქრისტიანთა სიყვარულში. სიტყვა რომ არ გავაგრძელოთ, ვიტყვით, რომ მას სრულიად უბოროტო გონება ჰქონდა. ამიტომ შეუსრულა მეფე გიორგის ყველა თხოვნა, იმაზე მეტი, რისი იმედიც მეფეს ჰქონდა. გაანთავისუფლა მისი სამეფო მარბეველთაგან, დაუბრუნა კახეთი და ჰერეთი, მაგრამ გიორგის

სამეფოსაგან ითხოვა ხარკის მიცემა, რომელსაც იღებდა კიდეც ხანგრძლივი დროის მანძილზე. და ასე განდიდებული და პატივით შემკობილი გამოგზავნა მეფე გიორგი თავის სამეფოში და გამოაყოლა დიდი მხედრობა, რათა მშვიდობიანად ევლო და არავის წაერთმია მისთვის კახეთი. რთველობის დროს ჩამოვიდნენ კახეთში და მოადგნენ ვეჟინის ციხეს. სანამ ბრძოლა მიმდინარეობდა, მოვიდა თოვლი.

[322] მეფე გიორგის მოახსენეს აჯამეთში ნადირობის დანყების შესახებ. სხვაზე ველარაფერზე მოახერხა ფიქრი და ზრუნვა, აღარც ვეჟინის აღებასა და კახეთის დაბრუნებას დაელოდა, არამედ თურქთა ლაშქარს, რომელიც მალიქშამ გამოაყოლა, აჩუქა სუჯეთი და მთელი ივრისპირა კახეთი, რომელიც დღევანდლამდე მოხსრებულია. თვითონ გიორგიმ გადაიარა ლიხის მთა და ჩავიდა აფხაზეთში.

მაშინ კახეთის მეფე აღსართანი ეახლა მალიქშას, განუდგა ქრისტიანობას და გადავიდა სარკინოზთა რჯულზე. ამ გზით მიიღო სულტანისაგან კახეთი. მაშინ, როდესაც ეს ყველაფერი ხდებოდა, არ იყო მშვიდობა ქვეყანაში, ვერც ადამიანები ცხოვრობდნენ ბედნიერად თავიანთი უკეთურების გამო, რადგან ყველა ასაკისა და ყველა მდგომარეობისამან შესცოდა ღმერთს და გადაუხვია სწორ გზას. ბუნებით მონყალე და სახიერი ღმერთი ისე განარისხეს, რომ თავიანთ თავზე დაიტყხეს ის რისხვა, რომელიც უსჯულოებს ემუქრებოდა და რომელიც გამოთქმულია ესაიას მიერ შემდეგნაირად: „ვაი, ცოდვილ მოდგმას! ხალხში, რომელიც ფეხიდან თავამდე სავსეა უსჯულოებით, ვერ იქნება სიცოცხლე, ვერც წყლულებს მოიშუშებს“, და კიდეც: „ამიტომ განადგურდება თქვენი ქვეყანა, უცხოტომელები გადაჭამენ მას, ააოხრებენ და დააქცევენ“.

ეს ყველაფერი ასეც მოხდა და ჩვენი თვალთ ვნახეთ; მოხდა წარმოთქმულ მუქარაზე უფრო მეტიც, რადგან ვის შეუძლია სათითაოდ აღნუსხოს ყველა ის უბედურება, რაც თავს დაგვატყდა. მაგრამ ყველაფერი ამის შემდეგაც არ დაცხრა უფლის რისხვა, რადგან არ მოვიწანიეთ, გონს არ მოვეგეთ, არც [323] უფლის გზას დავუბრუნდით. ამის გამო ქვეყანაში ჩადენილ ბოროტებათა პასუხად ღვთის მიერ მოვლენილი სხვა გვემანიც დაგვატყდა თავს, რათა მცოდველთ არ ეთქვათ, რომ „წარმართთაგან უბედურება არა ჩვენი ცოდვების გამო დაგვატყდა თავს და არც ღვთისაგან იყო მოვლენილი, არამედ ეს ჟამთა სიავისა და შემთხვევითობის გამოისობით მოხდა-ო“.

ამიტომ აღვსების დღეს, თვით უფლისა ჩვენისა, იესო ქრისტეს აღდგომის დღეს, როდესაც სიხარული და განსვენება უნდა ყოფილიყო ყველგან, რისხვით გადმოგვხედა უფალმა და ქვეყანა ისეთი სისასტიკით შეარყია, რომ მაღალი მთები და მყარი კლდეები მტვრად იქცა, ქალაქები და სოფლები დაინგრა, ეკლესიები განადგურდა, სახლებს მიწამ უყო პირი და საფლავად გადაექცა მასში მყოფთ. დაიქცა თმოგვის ციხეც და ქვეშ მოიყოლა ნიანიას ძე კახაბერი ცოლითურთ. ეს საშინელი მიწისძვრები ერთ წლამდე გაგრძელდა, რომლის დროსაც ურიცხვი სიმრავლე ადამიანებისა დაიღუპა.

ამ რისხვის შემდეგ წყალობა გაიხსენა უფალმა, ის წყალობა, რომლითაც „წვრთნის თავის ყველა იმ შვილს, რომელიც უყვარს, კლავს და სიცოცხლეს ანიჭებს მათ“, მზად არის ყველა ჩვენგანს იმაზე მეტი მოწყალება მოგვანიჭოს, ვიდრე ეს ძალუძს მოწყალე მამას. როგორც წერილი ამბობს: „უფალს არ ჩაუგდია ჩვენში ის თესლი, რომლითაც სოდომად ვიქეციით და გომორელთ დავემსგავსეთ“. ამ დროის შემდეგ დაბერა ცხოვრების ნიავმა და გამოანათეს ხსნის ღრუბლებმა, რადგან თორმეტი წლის მანძილზე გაგრძელებულ გასაჭირთა შემდგომ უკუნეთიდან იწყო აღმოცისკრება მზემ ყოველი დროის მეფობისა, დიდმა [324] სახელითა და უდიდესმა თავისი საქმეებით, ღვთის მამის, დავითის მოსახლემ, ამ დავითის სამოცდამეთვრამეტე შვილმა, დავითმა.

იყო მამინ თექვსმეტი წლის, ქორონიკონსა 309-ში (1089 წ.). გიორგის მხოლოდშობილ ძეს მამამ დაადგა სამეფო გვირგვინი. ვალიაროთ ჭემმარიტება და ვთქვათ: „თვით ზეციურმა მამამ იპოვა დავითი, მონა თვისი, და ნმიდა საცხებელი სცხო, რადგან უფლის ხელი შეენეოდა მას და უფლის მკლავმა გააძლიერა ის“; „წყალობითა და ჭემმარიტებით იყო იგი შემოსილი“ და „განადიდა ის ამქვეყნის ყველა მეფეზე მეტად“; „ზღვებსა და მდინარეებზე განავრცო მეფობა მისი“. მაგრამ მხოლოდ დიდი შრომისა და ღვაწლის, მრავალი დღის შემდეგ მოხდა ის, რაც ჩვენ ზემოთ ვთქვით.

დავითის გამეფებისას აოხრებული იყო ქართლი და ციხეების გარდა მოსახლეობა არსად იყო, არც რაიმე ნაგებობა იდგა. იმ დროს ლიპარიტი განაგებდა თრიალეთსა და კლდეკარს და მის მიმდებარე მხარეებს და თითქოს ერთგული იყო მეფე დავითისა. ასევე შემოიკრიბნენ მის ირგვლივ კახაბერის ძე ნიანია და სხვა აზნაურებიც, ცოტ-ცოტანი, აქა-იქ გადარჩენილნი. სოფლების მკვიდრებმაც იწყეს ბარში ჩამოსვლა და დასახლება.

სამეფოს საზღვარი მაშინ ლიხის მცირე მთაზე გადიოდა, ხოლო მეფის რეზიდენცია ნალულის-თავი იყო. როდესაც ქართლის ჭალებში ან ნაჭარმაგევეში ნადირობა მოესურვებოდა, [325] სადაც მრავლად იყო ირმები და ტახები, ცხენოსნებს ჩამოგზავნიდნენ და დაზვერავდნენ იქაურობას. მხოლოდ ამგვარად ჩამოდიოდნენ სანადიროდ ბარში.

ასეთ ვითარებაში გავიდა ოთხი წელი; მოკვდა სულტანი მალიქმა და ლიპარიტიმ იწყო თავის მამა-პაპათა კვალზე სიარული – შეუდგა ვერაგობისა და უსჯულოების ქმნას. მართალია, ქრისტეს რჯულს აღიარებდა, მაგრამ მეფეთა ორგულობა და სიძულვილი გონებაში ჰქონდა გამჯდარი წინაპართაგან. რადგან არ ინება სიკეთის გზით სიარული, დაადგა ბოროტების გზას.

დაინახა რა ეს დავითმა, ინება მისი დასჯა. ამიტომ გარკვეული დროით დაატყვევა, რაც საკმარისი იქნებოდა გონიერისათვის ჭკუის სასწავლებლად. შემდეგ, ერთგულების მრავალი და მტკიცე ფიცის დამდები ლიპარიტი, შუამდგომლად ღვთის მომხმობი, გაანთავისუფლა და იგივე პატივი დაუტოვა, არ შეუცვალა: კეთილი ადამიანი, რომელიც სიბოროტეში არ არის განაფული და არც სხვისგან ელის ამას, არათუ მართალს, არამედ ბოროტსაც ადვილად შეიბრალებს.

ხოლო ლიპარიტი, როგორც ძალღი, მიუბრუნდა თავის ნათხევარს და, როგორც ღორი, ამოიგანგლა ტალახში: გამოუცხადა დავითს მტრობა და უმზადებდა უკეთურებას საკუთარ გარემოცვაში. როდესაც მშვიდმა და ღმრთივგანბრძნობილმა მეფემ დაინახა, რომ ძალღის კუდი არ გასწორდება, ვერც კირჩხიბი დაიწყებს სწორად სიარულს, მეორე წელს კვლავ შეიპყრო, ორი წელი დატყვევებული ჰყავდა, შემდეგ კი საბერძნეთში გაგზავნა. ლიპარიტი იქ გარდაიცვალა.

ამ დროს გამოვიდნენ ფრანგნი¹¹, აიღეს იერუსალიმი და ანტიოქია და, [326] ღვთის შეწევნით, აღორძინდა ქართლი, გაძლიერდა დავითი და გაამრავლა მხედრობა. აღარ გადაუხადა სულტანს ხარკი და ველარ იზამთრებდნენ თურქები ქართლში: ამ დრომდე, ზამთრის დადგომისას, თავიანთი მხედრობით ჩამოდგებოდნენ ხოლმე ავჭალაში და დიღომში, მტკვრის ქვემოთ და იორის პირას, რადგან მათ ეკუთვნოდათ ეს ადგილები.

კახეთში კვირიკე მეფობდა, „კაცი მეფობისავე თანა მეფე-ქმნილი ვნებათა ზედა“¹² და ჭეშმარიტი ქრისტიანი. მისცა ღმერთმა დავითს ხელსაყრელი დრო და წაართვა კვირიკეს ზედაზნის ციხე. იყო ქორონ-

იკონის 323 წელი (1103 წ.). დიდებისა და გამარჯვებების დრო დაუდგა დავითს. ყველაფერთან ერთად მოხდა კიდეც ის, რომ მოკვდა რატი, ლიპარიტის ძე, კაცი ორგული და ნამდვილად გველის ნაშობი. ასე დასრულდა ბალვივაშთა გვარი, გვარი გამამწარებელთა, რადგან რატიმ შესვა უკანასკნელი თხლე რისხვისა, ქვეყნის წინაშე შემცოდეთა სასამელი. მათი გვარიდან აღარავინ დარჩა მკვიდრი, რადგან გამოაშკარავდა უფლის წინაშე მამათა მათთა უსჯულოება და მათი მამული მეფემ შეიერთა.

ერთი წლის შემდეგ მიიცვალა მეფე კვირიკე; დასვეს კახთა მეფედ მისი ძმისწული აღსართანი, რომელსაც არ ჰქონდა მეფობის უნარი: იყო ავყია, უსჯულო, უსამართლო უმეცრების გამო და სრულიად განსხვავებული თავისი მამის ძმისაგან.

განჭვრიტა მეფემ გონების თვალთ და სწორად მიხვდა, თუ რა საქმე უნდა აღესრულებინა, რათა მოემადლიერებინა ღმერთი და დიდი სარგებლობაც მოეტანა.

[გარდაიცვალა კათალიკოსი გაბრიელ საფარელი და დაჯდა კათალიკოსად იოანე].

[327] ღვთის სახლნი, წმინდა ეკლესიები, ავაზაკთა თავშესაფრებად იყო გადაქცეული: საეპისკოპოსოები, როგორც ავაზაკებს, ხელში ჰქონდათ ჩაგდებული არა ღირსეულ ადამიანებს, არამედ ჩამომავლობით დიდგვაროვნებს, მაგრამ უწესოებსა და უღირსებს. ხუცესებად და ქორეპისკოპოსებად თავიანთი მსგავსნი ჰყავდათ დასმულნი, რომლებიც საღმრთო სჯულის ნაცვლად უსჯულოების მაგალითს აძლევდნენ მრევლს. თვით უფლის სახლიდან და მღვდელთაგან მოდიოდა ყველანაირი უსჯულოება და ცოდვა. ამას ყველაფერს ღვთის თვალი ხედავდა და, როგორც ზემოთ ვთქვით, განრისხებული იყო.

არ არის თანაბარი ცოდვა მღვდლისა და მხედრისა, მრევლისა და მღვდელთმთავრისა, მწყემსისა და სამწყსოსი. ამიტომ წერილში ნათქვამია: „მონა, რომელმაც იცის თავისი ბატონის ნება და არ მოიქცევა მისი სურვილისამებრ, იგვემება ფრიად“. ასეთი დიდი წყლულის განსაკურნავად მრავალმა ადამიანმა მოიყარა თავი. მეფე დავითმა საჭირო დროსა და ადგილზე შეკრიბა სამეფოს კათალიკოსი, მღვდელთმთავრები, მეუდაბნოენი, მოძღვარნი და განათლებული ადამიანები. მრავალი დღის მანძილზე დაწვრილებით, სრულად გამოიძიეს და ყველანაირი შეცდომა გაასწორეს, ყოველი მისაღები და მოსაწონი საღმრთო წესი

დაამტკიცეს, [328] ვინც უღირსად წარმოაჩინა თავი, განკვეთეს და შეაჩვენეს, გამოყარეს საყდრებიდან; ძნელად შესასრულებელი იყო ეს ყველაფერი, რადგან ესენი (უღირსნი) მთავართა და წარჩინებულთა შვილნი იყვნენ, რომლებმაც უნესო გზებით შეაღწიეს საყდრებში. მათ ნაცვლად ჭეშმარიტი მწყემსნი და ღვთისათვის მისაღებნი დაადგინეს; ჭეშმარიტი სარწმუნოების მშვენიერი ძეგლი¹³ შექმნეს, აღმწერელი და დამადასტურებელი თორმეტი წმიდა კრებისა. ყველა მონაწილე, დასაჩუქრებული, სამეფოდან თავ-თავიანთ სახლებში წარგზავნეს. დავით მეფემ ესეც, დიდი კოსტანტინეს მსგავსად, ყველა თავის კეთილ საქმეზე უწინარესად აღასრულა და აწ იხილეთ, თუ რა მოიმოქმედა სანაცვლოდ ღმერთმა, ისრაელის ფხიზელმა მცველმა.

აღსართანი, კახთა მეფე, ჰერეთის დიდებულებმა – არიშიანმა, ბარამმა და მათმა დედის ძმამ, ქავთარ ბარამის ძემ, შეიპყრეს და მეფეს გადასცეს. აილო მეფემ ჰერეთი და კახეთი, ერწუხში დიდი ბრძოლა გადაიხადა და მოიპოვა ცნობილი და დიდი გამარჯვება: მცირერიცხოვანი ლაშქრითა და თითქოს განწირული მხედრობით დახოცა სულტნის ურიცხვი მეომარი, განძის ათაბაგი და კახეთისა და ქვეყნის მოსახლეობის ის ნაწილი, რომელიც, როგორც მტერი, ისე შემოერტყა გარს ქართველებს. ასე ადვილად და სწრაფად უბოძა ყოვლისშემძლე ღმერთმა დავითს ეს გამარჯვება: ერთი მეომარი ათასს არათუ გააქცევდა, არამედ იპყრობდა კიდევ, ხოლო ორნი არამარტო ათი ათასს ამარცხებდნენ, არამედ ქრისტიანებს ისინი სანთლებით¹⁴ ტყეებიდან და ორმოებიდან ამოჰყავდათ და ატყვევებდნენ.

[329] თვით მეფე, როგორც ვინმე გარეშე, ზურგში კი არ ედგა თავის მეომრებს და შორიდან კი არ ამხნევებდა მათ, როგორც ერთი რომელიმე მთავართაგანი, არამედ წინ მიუძღოდა ლაშქარს და, როგორც ლომი, მაღალი ხმით შეუძახებდა, გრიგალის სისწრაფით დაქროდა; გოლიათებრ მრისხანებდა და მტკიცე მკლავით ამარცხებდა მამაცთ, ხოცავდა და ანადგურებდა თავის გზაზე ყველას. ხმლის ამდენი ტრიალისაგან მისი ხელი არა მხოლოდ მიეწება ხმლის ვადას ძველი დავითის ელიაზარის ხელის მსგავსად, არამედ ამ ხმლით დახოცილთა სისხლით აევსო წელი, რაც ცხადი გახდა ომის დასრულებისა და სარტყლის შეხსნის შემდეგ: იქიდან გადმოინთხა უზარმაზარი რაოდენობით შესქელებული, შეყინული სისხლი, რომელიც თავიდან თვით დავითის სისხლი ეგონათ. იმ დღეს მეფეს სამი ცხენი გამოუკლეს, მეოთხეზე

მჯდომმა დაასრულა ომი. ეს ყველაფერი, რაც აქ ვთქვით, არის მრავლისგან მხოლოდ მცირე და უმნიშვნელო.

განავრცო რა დავითმა თავისი მეფობა ჰერეთსა და კახეთზე, დაბრკოლების გარეშე ჩაიბარა მათი ციხეები და სიმაგრეები და ქვეყნის ყველა მკვიდრს გადააფინა მზისებრ წყალობა. და რადგან ღმერთი ამგვარად განაგებდა დავითის საქმეებს და წარმატებას ანიჭებდა ყველა მის წამოწყებას, დროდადრო საკვირველ გამარჯვებებს მოაპოვებინებდა და საოცარ თანადგომას უცხადებდა, არც მეფე იზარებდა ტალანტთა გამრავლებას, არამედ მთელი გულით ემსახურებოდა და იმას აკეთებდა, რასაც ღვთის ნებად და უფლისთვის სასურველად მიიჩნევდა. ეს ქვემოთ ნათქვამიდან ცხადი შეიქნება.

გადანყვიტა მეფემ მონასტრის აგება და ბრძანება გასცა შენებას შესდგომოდნენ ღვთის მაღლით შერჩეულ უმშვენიერეს და ყველანაირად უნაკლო ადგილზე. აქ, როგორც მეორე ცა, ისე გადმოაფარა დავითმა ყოვლადწმიდა და კურთხეული ღვთისმშობლის ტაძარი, [330] ყველა წინანდელზე აღმატებული როგორც თავისი მშვენიერებით, ისე სიდიდითა და შემკულობის სიკეთით და სიმრავლით, აგებული შეუდარებელი ოსტატობით, რისი მონმეც არის ყველა მისი მნახველი. აღავსო სინმიდეებით: წმიდანთა პატიოსანი ნაწილებით, წმიდა ხატებითა და სინმიდის სამსახურებელი დიდებული და შეუდარებელი საგნებით.

ყველაფერ ამასთან ერთად მოათავსა დავითმა ტაძარში ხოსროანთა დიდ მეფეთა „ტახტნი და საყდარნი, სასანთლენი და კიდელნი“¹⁵ ფერად-ფერადნი“, ალაფად მოპოვებულნი მის მიერ; გვირგვინნი და ყელსაბამნი, ფიალანი და სასმისები, რომლებიც ნადავლად აიღო არაბეთის მეფეებისაგან, როდესაც დაატყვევა ისინი. ყველაფერი ეს დავითმა ტაძარს შესწირა ღვთის სახელის უკვდავსაყოფად და იმ საკვირველი გამარჯვების სამადლობლოდ.

შეკრიბა იქ თავიანთი პატიოსანი ცხოვრებით ცნობილი ადამიანები, ყველანაირი სიკეთით შემკულნი; ისინი არა მარტო მისი სამეფოს მკვიდრნი იყვნენ, არამედ თუ სადმე არსებობდა სინმიდით, სიკეთით, სრულყოფილებით, სულიერი და ხორციელი სათნოებით აღვსილი ვინმე, გამოიძია, მოიყვანა და ადგილი მიუჩინა მონასტერში.

ლიპარიტთა მამული უმემკვიდრეოდ იყო დარჩენილი; ბევრ სხვა სოფელთან ერთად, რომელიც არ იყო სადავო და გასაყოფი, ისიც უბოძა მათ, ვინც მზად იყო ღვთისმშობლის სამსახურისათვის – ამით

მუდმივი საარსებო წყარო დაუდგინა. ამჟამად ეს მონასტერი მთელი აღმოსავლეთის მეორე იერუსალიმი, [331] ყველანაირი სიკეთის მასწავლელი ადგილი, სწავლულთა განმსწავლელი, „მეორე ათინა“, მასზე აღმატებული საღმრთო წესებითა და საეკლესიო მსახურების მშვენიერებით.

[მისი სახელია გელათი].

კიდევ ჩაიფიქრა დავითმა სხვა რამ, საკადრისი მოწყალე და ტკბილი ღვთისა და საკუთარი კაცთმოყვარებისა: შესაფერის, მშვენიერ ადგილას ააშენა თავშესაფარი, სადაც შეკრიბა სხვადასხვა სენით შეპყრობილი ძმები, უხვად და დაუნანებლად უზრუნველყო ყველაფერი აუცილებლით, დაუდგინა შემოსავალი მათთვის საჭირო ხარჯებისათვის. თვითონ მივიდა და დაათვალიერა იქაურობა, მოიკითხა და სათითაოდ ეამბორა; ანებივრებდა როგორც მამა, სწყალობდა და არაფერს აკლებდა, ამხნევებდა და მოთმინებას სთხოვდა; თავისი ხელით უმზადებდა სანოლს, სამოსელს და საგებელს, ჭურჭელს და მათთვის ყველაფერ აუცილებელს; თითოეულს მისთვის სამყოფ ოქროს აძლევდა, მათ მიმართ მორიდებას მოითხოვდა მომვლელებისაგან – მათთან დაკავშირებულ ყველანაირ საქმეს საუკეთესოდ და ღვთისმსახურებით აგვარებდა.

ამ დრომდე ქალაქი ტფილისი, რუსთავი და სომხითი, მთელი სამშვილდე და აგარანი თურქების ხელში იყო, თრიალეთსა და კლდეკარს კი განაგებდა თევდორე, ჭყონდიდელის დისწული, გონიერი და ძლიერი ადამიანი. როდესაც მეფე აფხაზეთში გადადიოდა, ნაკლებად ეშინოდათ თურქებსა და მათ მეციხოვნეებს. იმჯერად მეფე იმერეთში გადავიდა, ხოლო თევდორე, აბუღეთი და ივანე ორბელი ეახლნენ მწიგნობართუხუცესს, გიორგი ჭყონდიდელს და მარჯვედ ჩაიგდეს ხელში სამშვილდე.

ყველა დიდმა სიხარულმა მოიცვა, რადგან დღითიღვე ფართოვდებოდა სამეფოს საზღვრები. შეიტყვეს რა თურქებმა სამშვილდის აღება, სომხითის მრავალი ციხე [332] მიატოვეს და ღამით გაიქცნენ – ეს ციხეები ქართველთა ხელში გადავიდა. ამ დრომდე თურქები რთველის დადგომის ჟამს მთელი თავიანთი მხედრობით ჩამოდიოდნენ სომხითში, დაბანაკდებოდნენ ხოლმე გაჩიანში, მტკვრის პირას, ტფილისიდან ბარდავამდე, და იორის ნაპირებზე, ამ მშვენიერ გამოსაზამთრებელ ადგილებში, სადაც ზამთარში თივა ისევე ითიბება, როგორც გაზაფხულის ჟამს; უხვად არის შეშა და წყალი, სხვადასხვა ნადირთა სიმრავლე და ყველა პირობა განცხრომით ყოფნისათვის. ამ ადგილებში დგამდნენ

თავიანთ კარვებს. შეუძლებელი იყო აღრიცხვა მათი ცხენ-ჯორ-აქლემებისა და ცხვრების სიმრავლისა. სანატრელ ცხოვრებას იწყობდნენ: ნადირობდნენ, განსვენებასა და შვებას ეძლეოდნენ. არაფერი აკლდათ. თავიანთ ქალაქებში ვაჭრობდნენ, ხოლო ჩვენს სანაპირო მხარეებს კი არბევდნენ, ტყვეებსა და ალაფს იგდებდნენ ხელში. გაზაფხულზე კვლავ სომხითისა და არარატის მთებისკენ აუყვებოდნენ. ასევე შვებასა და მოსვენებაში იყვნენ ზაფხულობით: მათ ხელში იყო მშვენიერი, აბიზინებული მინდვრები, წყაროები და აყვავებული ადგილები. იმდენად ძლიერნი და მრავალნი იყვნენ, რომ ამბობდნენ: „მთელი ქვეყნის თურქობა იქ არისო“. არავის წარმოედგინა მათი გაძევება ან მათთვის ზიანის მიყენება, თვით სულტანსაც კი.

ქორონიკონის 330-ში (1110 წ.) სამშვილდე და ძერნა აიღეს. იმ წელს მოვიდა სულტანი დიდი ძალით, მთელი თურქობა, დაახლოებით ასი ათასი კაცი; სულტანი მოულოდნელად და დიდი მოხერხებულობით შემოვიდა. მეფე ამ დროს ნაჭარმაგევში იყო თავისი მსახურებითურთ. როდესაც სალამო ჟამს შეიტყო მათი თრიალეთში მოსვლის შესახებ, იმავე ღამეს მასლათაში წავიდა ათას ხუთასი კაცით, რადგან ამდენი აღმოჩნდა მასთან მყოფი. გამთენიისას მოვიდნენ თურქნი; სასტიკი ბრძოლა გაიმართა და, ღვთის შეწევნით, დაამარცხეს ქართველებმა მტერი. დღის ბოლოს [333] გააქციეს შეშინებულები და იმდენად მოჩქარენი, რომ კარვებისა და ჭურჭლის წასაღებადაც არ შეყოვნდნენ – ქონებაზე მეტად საკუთარ ფეხთა სისწრაფე დააფასეს და ასე დაბრუნდნენ თავ-თავიანთ ქვეყნებში.

მტრის ესოდენ საკვირველი გაქცევა იმდენად ვერ დაიჯერა თვით მეფემ და მისმა მხედრობამ, რომ არც არავინ დაედევნა მათ: ეგონათ, რომ მეორე დღისათვის გადაიდო ბრძოლა. გიორგი ჭყონდიდელმა მეფის მუხნარში ყოფნისას რუსთავიც ჩაიგდო ხელში – იყო ქორონიკონის 335 (1115 წ.). ეს თურქთათვის დიდად საწყენი აღმოჩნდა – იძულებულნი გახდნენ გამოსაზამთრებელ ადგილებსაც მორიდებოდნენ, რადგან დააზვერვინებდა ხოლმე მეფე წინასწარ იმ მიდამოს, რომელზე თავდასხმასაც აპირებდა, მოულოდნელად დაატყდებოდა თავს თურქებს და ჟღერდა. და ეს მოხდა არა ერთხელ და ორჯერ, გინდაც სამჯერ, არამედ მრავალგზის. ვიტყვით ახლა ერთ-ერთის შესახებ.

ტაოში თურქთა დიდი სიმრავლე კარვებში დაბინავდა: ეიმედებოდათ მკაცრი ზამთრისა და მაღალი მთების გამო. ქართველთა მეფემ ასეთ

ხერხს მიმართა: ქართლის მხედრობას მზადყოფნა უბრძანა, თვითონ კი ქუთათისში გადავიდა – ამით მტერს ეჭვი გაუქარწყლა. თებერვლის თვეში შეატყობინა ქართლებსა და მესხებს, რომ კლარჯეთში დახვედროდნენ მას, თვითონ კი შიდა ჯარით, ხუფთის გავლით, ჭოროხის ნაპირებით იარა. შეერთდა ჯარი და მოულოდნელად დაესხა მტერს თავს, რომელიც უშიშრად და მშვიდად გრძნობდა თავს და განლაგებული იყო ბასიანამდე და კარნიფორის მთაზე. იყო ქორონიკონის 336 (1116 წ.).

[334] გაჟლიტეს ურიცხვი თურქი; ხელში ჩაიგდეს მათი სახლეულობა, ცხენები, ცხვრები, აქლემები და მთელი მათი ქონება. აღივსო დავითის სამეფო ყველანაირი სიკეთით.

იმავე წელსა მეფემ თავისი ასული კატა გაგზავნა საბერძნეთში ბერძენთა მეფის რძლად. ამაზე ადრე პირმშო ასული, თამარი, გაგზავნილი ჰყავდა შარვანის დედოფლად, რათა როგორც ორ მნათობს მამისაგან მიღებული მზისებრი შარავანდედით გაეცისკროვანებინათ დედამინა, ერთს – აღმოსავლეთი, მეორეს – დასავლეთი.

[ამ დროს მოღვაწეობდნენ წიგნთა მთარგმნელები: ეფრემ მცირე, თეოფილე და არსენ იყალთოელი, აგრეთვე იოვანე ტაიჭის ძე, ქრისტეს აქეთ ქორონიკონის 1174 წელს].

შემდეგ წელს დავითმა შეიპყრო გრიგოლის ძენი, ასამ და შოთა, და აიღო გიშის ციხე. თავისი ძე, დემეტრე, ძლიერი მხედრობით შარვანში გაგზავნა სალაშქროდ. დემეტრემ გასაკვირი ბრძოლა გადაიტანა, რითაც გააოცა მხილველნი და მსმენელნი. ხელში ჩაიგდო ქალაქორის ციხე და ძლევაამისილი წარსდგა მამის წინაშე, სავსე ალაფითა და ურიცხვი ტყვეებით.

შემდეგ წელს, ბზობის დღეს, გამოემართა მეფე ლანუხიდან რახსისაკენ და იდღესასწაულა ნახიდურში. იქ შეატყობინეს თურქთა მიერ ბეშქენ ჯაყელის ჯავახეთში მოკვლის შესახებ. ამიტომ დიდებულები ეწინააღმდეგებოდნენ მეფის წასვლას. არ უსმინა მათ, არამედ დაესხა თურქებს, რახსის პირას მდგომთ, ამოჟლიტა დიდი სიმრავლე, წამოიყვანა ურიცხვი ტყვე და წამოიღო აურაცხელი ალაფი.

[335] იმ წელს აიღო სომხითის ციხე – ლორე. იმავე წელს, ივლისის ორში, გამთენიისას, ხელში ჩაიგდო აგარანი. ადრე ეს ციხე აღებული ჰქონდა მის პაპას, ბაგრატს, მაგრამ მხოლოდ სამთვიანი ბრძოლის შედეგად. იმავე წელს, აგვისტოში, მოკვდა სულტანი მალიქი, მალიქიძე ძე, და ალექსი, ბერძენთა მეფე. ვერ გაიგეს მათ ერთმანეთის სიკვდილი. მოხდა ეს ქორონიკონის 338-ში (1118 წ.).

ხედავდა მეფე დავითი, რომ მისი ძლევანი და გამარჯვებანი ღვთის მიერ მასზე მოვლენილი წყალობისა და შეწვევის შედეგი იყო, რომ ღმერთი აძლევდა მას სამეფოთა მხარეებს, ქალაქებსა და ციხეებს. მაგრამ არ ჰყავდა მას ისეთი სიმრავლე მხედრებისა, რომ საკმარისი ყოფილიყო აღებული ქალაქებისა და ციხეების შესანარჩუნებლად და, ამავე დროს, იმ ლაშქრობებშიც მონაწილეობის მისაღებად, რომელთაც დავითი დაუცხრომლად აწარმოებდა ზამთარ-ზაფხულ. ამიტომ მოიკრიბა დავითმა სწორი, ბრძნული გადაწყვეტილებების მიმღები გონება, „ვითარცა დავით, სულისა მიერ წმიდისა, აღილო მალლად თავი თვისი“, გადახედა ირგვლივ ყველაფერს და მეფური გამჭრიახობით სწორად დაასკვნა, რომ არ ჰყავდა საკმარისი ლაშქარი, რომელიც ფეხს აუბამდა მისი სულის მოძრაობასა და სურვილებს.

აღექსანდრეს მსგავსად მეფე დავითიც შეწუხდა, რადგან მასაც შეიძლება მივუსადაგოთ ერთი ფილოსოფოსის ნათქვამი: „არის მრავალი და ურიცხვი სამეფო, რომელთა სახელიც კი არ გსმენია შენ“. ამოიოხრა და თქვა: „თუ ესენი დაუმორჩილებელი დამრჩა, რა ფასი ექნება ჩემს მეფობას“. ამიტომ ამ მეორე აღექსანდრემ თავისი დიდი გონებით განიზრახა, რომ არ იყო სხვა გამოსავალი: [336] იცოდა ყივჩაყთა ტომის სიმრავლის შესახებ, უწყოდა მათი სიმაძაცის, სიმარჯვის, სიმარდისა და სისასტიკის შესახებ ბრძოლებში; ისიც იცოდა, რომ ადვილად სამართავნი იყვნენ და დაემორჩილებოდნენ მის ნებას. ამასთან ერთად, არ იყო რთული მათი მოყვანა, რადგან ახლოს იყვნენ და არაფერი გააჩნდათ. ამას ემატებოდა ის, რომ მრავალი წლის წინ თავის კანონიერ მეუღლედ და საქართველოს დედოფლად დავითმა მოიყვანა სანატრელი და სიკეთით განთქმული გურანდუხტ დედოფალი, შვილი ყივჩაყთა უპირველესი მთავრის, ათრაქა შარალანის ძისა. ამიტომ გაგზავნა მეფემ სანდო ადამიანები, იხმო ყივჩაყები და თავისი სიმამრი.

ყივჩაყებმა სიხარულით მიიღეს მისი მოწვევა. მხოლოდ ითხოვეს ოვსთაგან მშვიდობიანი გატარება. ამიტომ განიზრახა მეფემ ოვსეთში წასვლა და თქმისთანავე გაემართა კიდეც; თან გაიყოლა თავისი მწიგნობართუხუცესი, გიორგი ჭყონდიდელი, სულიერი და ხორციელი სიკეთით შემკული ადამიანი, აღსავსე სიბრძნითა და გონიერებით, რჩევის მიმცემი, „სვიანი და ფრთხილი, თანაალზრდილი აღმზრდელი პატრონისა“, ყველა მისი წამოწყების, საქმისა და ღვანლის მონაწილე.

შევიდნენ ოვსეთში და გამოეგებნენ მათი მეფეები და მთავრები; როგორც მონები დადგნენ მათ წინაშე. აიყვანა მძევლები დავითმა ორივე მხრიდან – ოვსებისა და ყივჩაყებისაგან და ამ გზით ადვილად მოარიგა ეს ორი ხალხი: დაამყარა მათ შორის ძმური სიყვარული და მშვიდობა. დაეუფლა დარიალას, ოვსეთის მისადგომებისა და კავკასიის მთიანეთის ყველა ციხეს. შეუქმნა უსაფრთხო გზა ყივჩაყებს; შემოიყვანა მათი დიდი სიმრავლე. დავითის სიმამრი და ცოლის ძმანი ამაოდ არ დამშვრალან; უშედეგო არ ყოფილა მათი შემოყვანა: ყივჩაყთა ხელით გაუნადგურა ქართველთა მეფემ სპარსეთს მთელი ძალა, შიშის ზარი დასცა სხვადასხვა ქვეყნის მეფეებს; ყივჩაყთა თანადგომით აღასრულა დავითმა დაუჯერებელი საქმენი, რაც შემდგომ ითქმება.

[337] ოვსეთში ყოფნისას გარდაიცვალა გიორგი ჭყონდიდელი. სიყრმიდან პატრონის სამსახურში იყო. დიდი პატივით ჩამოასვენეს ახალ მონასტერში და იქ დაკრძალეს. როგორც მამა და მამაზე მეტი ისე გამოიგლოვა ის მთელმა სამეფომ და თვით მეფემაც; შავით შეიმოსნენ ორმოცი დღის მანძილზე, ვიდრე არ იშვა ვახტანგი, რომლის დაბადების სიხარულმაც გადაფარა გლოვა.

დავითმა ყივჩაყები ოჯახებითურთ ნაყოფიერ ადგილებში დაასახლა. მათგან ლაშქარში ორმოცი ათასი მსახურობდა. ისინი ცხენებითა და საჭურვლით აღკაზმა. ხუთი ათასი ყივჩაყი, ყველა გაქრისტიანებული, სანდო და სიმამაცეში გამოცდილი, მუდმივად თავის გვერდით ჰყავდა მეფეს. ყოველდღიურად იზრდებოდა გაქრისტიანებულ ყივჩაყთა რაოდენობა, ურიცხვ სიმრავლეს იძენდა ქრისტე. შემოიკრიბა რა ყივჩაყები, დაანანილა ისინი რაზმებად, დაუდგინა სარდლები და წინამძღოლნი, შეიყვანა ამ რაზმებში თავისი სამეფოს რჩეული მხედრებიც, საუკეთესო იარაღითა და ცხენებით აღჭურვილნი, უღალატონი. მათ წინ დავითი მიუძღოდა, შეუდარებელი მხედართმთავარი და ბრძოლებში პირველი, რომელზეც შეიძლება გავიმეოროთ ძველად, ქაიხოსროზე მონაყოლი ამბები. იწყო სპარსეთის რბევა, შარვანისა და დიდი სომხითისა. არ ილღებოდა, არც ბეზრდებოდა, არამედ შესაფერის დროს გონივრულად წარმართავდა ლაშქრობებს, როგორც ეს მის დიდ გონებას ეკადრებოდა. ვინლა შეძლებდა მისთვის წინააღმდეგობის განევას ან ვინ მოახერხებდა თავს დასხმოდა? მართალია, წიგნებში მაკედონელი ფრთოვან ვეფხვს არის შედარებული თავისი თავდასხმების სისასტიკის, ქვეყნებში სწრაფი გადაადგილების, საომარ ხერხთა

და განზრახვათა მრავალფეროვნების გამო, მაგრამ [338] ჩვენი გვირგვინოსანი და ახალი ალექსანდრე, დროით მისი შემდგომი, საქმით, ჩანაფიქრებითა და სიმამაცით არ ჩამოუვარდებოდა მას: იმგვარ საქმეებში, რომლებითაც ალექსანდრე იყო განთქმული, დავითი მასზე ნაკლები არ იყო – მე ის ბევრად აღმატებული მგონია. ისევე, როგორც ალექსანდრე აღემატებოდა თავის თანამედროვეს¹⁶, ასევე საღმრთო რჯულისა და ქრისტეს მცნებების დაცვაში ყველაზე თავდადებულებს გადააჭარბა. და ეს ყველაფერი იმის ფასად, რომ არ მისცა თავს ძილისა და მოსვენების უფლება, არ აჰყვა ხორციელ სიამოვნებებსა და სურვილებს; არ დააკავა გონება სასმელ-საჭმელსა და სიმღერა-გართობაზე ფიქრით, არამედ იზრუნა მხოლოდ საღმრთო და სულიერი საქმეების გასრულებისათვის და ამისათვის მოიკრიბა მთელი თავისი ნებისყოფა. ისმინეთ მის მიერ ოთხი წლის მანძილზე აღსრულებულ საქმეთა შესახებ, რაც მხოლოდ მცირე ნაწილია მთელისა.

ჩვეულებად ჰქონდა მეფეს, რომ წინასწარი განზრახვით გადასულიყო ხოლმე აფხაზეთში და ამით ჩამოეტყუებინა თურქმენები მტკვრის პირას გამოსაზამთრებელ ადგილებში – მათი მსტოვრები კვალში ედგნენ დავითს და თვალყურს ადევნებდნენ მის გადაადგილებას. გადავიდა მეფე გეგუთში, იქიდან ხუფათში და ამით მტერს უსაფრთხოების შეგრძნება გაუჩინა. იყო ქორონიკონის 340 (1120 წ.). შეიტყეს რა თურქებმა მისი შორს ყოფნის შესახებ, ჩამოდგა მათი დიდი სიმრავლე ბოტორაში და დაბანაკდა გამოსაზამთრებლად. არ ეძინა მეფეს, ფრენით გამოიარა მთელი გზა და თებერვლის 14-ში მოულოდნელად დაესხა მათ თავს. ცოტა ვინმემ მოასწრო ცხენზე შეხტომა და თავის შველა. ჩაიგდეს ქართველებმა ხელში ტყვეები, ურიცხვი ალაფი და მოვიდნენ ღანუხში.

[339] მარხვის შვიდეულში¹⁷ აიღო დავითმა შარვანში ქალაქი ყაბალა და აავსო თავისი სამეფო ოქროთი, ვერცხლითა და ყველანაირი სიმდიდრით. წამოვიდა ქართლში, სწრაფად შეკრიბა ლაშქარი, ჩავიდა შარვანში მაისის შვიდში, დაარბია იქაურობა ლიჟათადან ვიდრე ქურდევანამდე და ხიშტალანთამდე: ალაფით დატვირთულნი დაბრუნდნენ ქართლში. იმ დღეებში შეებნენ ერთმანეთს შარვანელნი და დარუბანდელნი, მოკლეს აფრიდონი და ამონყვიტეს შარვანელნი.

ნოემბრის თვეში წავიდა მეფე ამორნიაში, დაესხა თურქმენებს, გაჟლიტა და დაატყვევა, წამოიღო ურიცხვი ნადავლი. უკან დაბრუნებისას,

გზად, ისევ თურქმენებს დაესხა სევეგელამეჯში და მოტირალიც კი არ დატოვა მათ კარვებში. და ეს ყველაფერი ერთ წელიწადში მოიმოქმედა.

იმავე ზამთარს ჩავიდა აფხაზეთში ბიჭვინთამდე და მოაწესრიგა იქაური საქმეები: წყალობის ღირსნი შეიწყალა, დამნაშავენი შეიპყრო და დასაჯა. იყო მკაცრი ზამთარი, იდო დიდი თოვლი. როდესაც თურქებმა შეიტყვეს, რომ მეფე შორს იყო, გულდამშვიდებით ჩამოდგნენ მტკვრის პირას, მაგრამ ლომს, რომელმაც ხერხი იხმარა, არც ომი ეზარებოდა და არც ეძინა, ვერც ვერავინ შეუშლიდა ხელს. სწრაფად წამოვიდა აფხაზეთიდან საშინელ თოვლში, გადაანმენდინა ლიხის მთა, სადაც თოვლის სიმაღლე სამი მხარი¹⁸ იყო. მხედრობა მზადყოფნაში დახვდა. სანამ ქართლში ცნობილი გახდებოდა მეფის ჩამოსვლის შესახებ, დაესხა თავს თურქებს ხუნანში. აავსო ლაშქარმა [340] მიდამო მთიდან მტკვრამდე და გაგიდან ბერდუჯამდე. მახვილით გაჟლიტეს მტერი ისე, რომ ამბის მიმტანიც არავინ გადარჩა. მოხდა ეს ქორონიკონის 341-ში (1121 წ.), მარტის თვეში.

ადიდდა გაზაფხულზე მტკვარი, კალაპოტი ველარ იტევდა. ამით გულმოცემული თურქმენები მშვიდად ჩამოდგნენ ბარდავში. მათაც მიაგნო მეფემ, ყივჩაყებთან ერთად გაცურა გაუყინავ წყალში ალონისკენ, გაჟლიტა ისინი, დაარბია ბარდავი, დაჰყო იქ ორი დღე და მშვიდად დაბრუნდა შინ ალაფით აღვსილი. იყო ივნისის თვე.

ამგვარად შევიწროვებული თურქმენები, აგრეთვე განძელტფილელ-დმანელი ვაჭრები, ეახლნენ სულტანს: სპარსეთში ჩასულეებმა შავად შეიღებეს ზოგმა პირი, ზოგმა ხელები, ზოგმაც მთელი სხეული. უამბეს სულტანს მათზე მონეული გასაჭირისა და უბედურების შესახებ – ამ გზით დახმარების მიღება სურდათ მისგან. იყო მათ შორის დიდი გლოვა.

იხმო მაშინ სულტანმა არაბეთის მეფე დურბეზი, სადაყას ძე, მისცა მას თავისი ძე მალიქი და მთელი ლაშქარი; მხედართმთავრად დაადგინა ელლაზი, არდუხის ძე, კაცი დაჰმანი¹⁹ და ვერაგი. უბრძანა სულტანმა მთელ თურქმენთა მოდგმას, სადაც კი ვინმე იყო ბრძოლის შემძლე დამასკოდან და ჰალაბიდან ამოღმა, თავი მოეყარათ სალაშქროდ; მათთან ერთად განძის ათაბაგს მხედრობითურთ და სომხითის ყველა ამირას. იყო ქორონიკონის 341 (1121 წ.).

შეიკრიბნენ ისინი, შეთანხმდნენ, შეიკვრნენ ვითარცა ზღვაში ქვიშა; [341] აივსო ამ მეომრებით ქვეყანა – აგვისტოს 18-ში მოადგნენ თრია-

ლეთს, მანგლისსა და დიდგორს – ფეხის დასადგმელი ადგილი აღარ იყო აქ. ხოლო როგორ შეებრძოლა მათ დავით მეფე, უშიშარი და გუ-ლით უდრეკი, როგორ წარმართა ყოველივე ბრძნულად, საქმის ცოდ-ნითა და მღელვარების გარეშე, როგორ უვნებელად დაიცვა თავისი მხედრები – ამის სრულად გადმოცემას არათუ ჩვენი, არამედ ქვეყნის ყველა ბრძენის ენაც კი ვერ შესძლებს.

პირველსავე ბრძოლაში განდევნა, გააქცია მათი რაზმი, რადგან უფლის ხელი შეეწეოდა და ზეციური ძალა იფარავდა დავითს; წმიდა მონამე გიორგი დაუფარავად და ყველას დასანახად წინ მიუძღოდა და საკუთარი მკლავით ჟღეცდა ურჯულო წარმართებს: თვით ეს ურჯუ-ლონი და უმეცარნი აღიარებდნენ ამას და ჰყვებოდნენ მთავარმონამე გიორგის მიერ ჩადენილი სასწაულის შესახებ, იმის შესახებ, თუ რა სიმამაცით გაჟლიტა მან არაბეთის სახელოვანი მებრძოლები, გაქ-ცეულები როგორი სიმარჯვითა და მონდომებით დევნა და ამოხოცა: აივსო მათი მძორებით ველები, მთები და ღელეები.

ჩვენი ლაშქარი და, საერთოდ, მთელი სამეფო აივსო ოქროთი და ვერცხლით, არაბული ცხენებით, ასურული ჯორებით, კარვებით, სრა-ფარდაგებით, ნაირგვარი, ჩვენგან განსხვავებული საბრძოლო აღ-ჭურვილობით; ქოსებითა და ფილაკავანებით²⁰, სანადიმო ტურფა სას-მისებით, ავზებითა და ათასგვარი ჭურჭლით²¹ – რომელი ფურცელი და მელანი იკმარებს ამის ჩამოსათვლელად! გლახებმა ისიც დაინახ-ეს, [342] თუ როგორ მოჰყავდათ დატყვევებული არაბთა მეფე. რაღა საჭიროა საუბარი თურქთა სხვა სახელოვან მებრძოლთა შესახებ.

შევუდექი რა ამის შესახებ თხრობას, სიბრალულის ღირსად ჩავთ-ვალე დიდი და განთქმული მჭევრმეტყველები; დავასახელებ მხოლოდ უმბროსსა²² და ბერძენ არისტოვლის, აგრეთვე იოსიპოს ებრაელს, რომელთაგან ერთმა შეამკო ტროელები და აქეველები, საქმენი აღამემნონისა და პრიამოსისა, აქილევსისა და ეკტორისა, ოდისეოსი-სა და ორესტისა – თუ რომელი რომელს შეება და ვინ ვინ დაამარცხა; მეორემ განადიდა ალექსანდრეს გამარჯვებანი, მისი სიმამაცე და ძლევამოსილება; მესამემ კი აღწერა ვესპასიანე-ტიტოს მიერ თავი-ანთ თანატომელებზე მოწეული უბედურებანი. რადგან მათ საკმარისი სათქმელი არ ჰქონდათ მომხდარის შესახებ, ამიტომ რიტორობის ხე-ლოვნებით გაავრცეს მონათხრობი. როგორც თვითონ ალექსანდრემ თქვა ოდესღაც, „დიდი არ იყავი აქილევსი, არამედ დიდმა უმბროსმა

შეგასხა ხოტბა“: ტროადელთა ოცდარვანლიანი ომის მანძილზე შესაქები არაფერი მომხდარა. ხოლო დავით მეფემ ასეთ ბრძოლაში სამ საათში გაიმარჯვა: მტერმა პირველი შეტევის მოგერიებაც კი ვერ შეძლო. იმ ბრძენ ადამიანებს მოსათხრობად ხელთ დავითის საქმენი რომ ჰქონოდათ და თავიანთი რიტორობის შესაფერისად აღენერათ, მაშინ წარმოითქმოდა საკადრისი ქება. „და ესენი ესოდენ“.

შემდეგ წელს პირველივე ბრძოლით აიღო მეფემ ქალაქი ტფილისი, ოთხასი წელი სპარსელთა ხელში ნამყოფი; დაუმკვიდრა თავის შთამომავლებს საუკუნო „საჭურჭლედ და სახლად“. იყო ქორონიკონის 342 (1122 წ.).

[343] შემდეგ წელს მოვიდა სულტანი შარვანში, შეიპყრო შარვანშა, აიღო შამახია და გამოგზავნა მოციქული მეფის წინაშე, მოსწერა წერილი და შემოუთვალა: „შენ ტყეების მეფე ხარ და ვერასდროს გამოხვალ ველებზე. რადგან მე შევიპყარი შარვანშა, ხარკს ვითხოვ შენგან; თუ ინებებ, გამოგზავნე ჯეროვანი ძღვენი, თუ არადა, გამოდი სამალავიდან და მნახე“. გაიგო თუ არა ეს მეფემ, სწრაფად უხმო თავის მხედრობას; ბრძანებისთანავე გამოცხადდა მასთან სამეფოს მთელი ლაშქარი. გაემართა სულტანთან შესაბამელად; ყივჩაყთა რაოდენობაც ცნობილი იყო. სულ ორმოცდაათი ათასი კაცი მზად იყო საბრძოლველად. როდესაც აუწყეს სულტანს დავითის ლაშქრის მოსვლის, მისი ძლიერებისა და სიმრავლის შესახებ, შეშინდა, აიყარა ველიდან, რომელზეც იყო დაბანაკებული, სწრაფად შევიდა ქალაქში და გამაგრდა მის ერთ ნაწილში ხეთაგან გავლებული ზღუდითა და თხრილებით, მეორე მხრიდან კი მას ქალაქ შამახიის ზღუდე იცავდა. შეიტყო რა ეს მეფემ, აღარ ჩათვალა საჭიროდ გაქცეულზე იერიშის მიტანა, არამედ დაეცა მუხლებზე, მადლობა შესწირა სახიერ და კაცთმოყვარე ღმერთს და იქვე დაბანაკდა.

მაშინ სულტანმა, მრავალი ხვეწნა-მუდარის შემოთვლითა და ძღვენის გამოგზავნით, როგორც გასაჭირში ჩავარდნილმა მონამ, ითხოვა არა ძღვენი ან შებრძოლება, არამედ გზა გასაქცევად; მრავალდღიანი შიმშილითა და წყურვილით შეწუხებულმა ითხოვა უკვე დიდი სიმდაბლით და არა ისე, როგორც სულტანს შეეფერებოდა.

[344] იმავე დღეს მეფის მხედრებმა გაანადგურეს დიდი ძალით სულტნის დასახმარებლად მიმავალი რანის ათაბაგ აღსუნღულის რაზმი, ოთხი ათას კაცამდე. მხოლოდ გაქცეულმა ათაბაგმა ძლივს მიაღწია სულტანამდე. ამის მხილველი სულტანი იმავე ღამეს გაიპარა

და სასდუნდანი გაქცეული სხვა გზით დაბრუნდა თავის ქვეყანაში. და დაბრუნდა ამგვარად გამარჯვებული და ღვთისათვის მადლობის შემწირველი მეფე. მცირე ხნით დაისვენა ამთენში.

შემდეგ თვეს, იენისში, კვლავ წავიდა დავითი შარვანში, საშინელ სიცხეში აიღო გულისტანი, შარვანის მთავარი ქალაქი, შეიერთა შარვანი და მისი ბრძანების ყველა მორჩილად შემსრულებელი სიკეთით აავსო. წამოვიდა ქართლში. რთველობის ჟამს გადავიდა გეგუთში, ინადირა, მოისვენა, იქაური საქმეები მოაგვარა და მარტში ისევ ქართლში დაბრუნდა, აიღო ქალაქი დმანისი. აპრილში თავს დაესხა დარუბანდელ შაბურანს, ამონყვიტა ქურდნი, ლეკნი და დარუბანდელი ყივჩაყნი, ხელში ჩაიგდო შარვანის ციხეები: ლასანნი და ხოზაონდი და მათი მიმდებარე მხარე.

არწივისამებრ, შეუჩერებლად განაგრძო დაწყებული: მაისის თვეში დაიპყრო სომხითის ციხეები: გაგნი, ტერონაკალი, ქავაზინნი, ნორბედი, მანასგომნი და ტალინჯაქარი; იენისში ლაშქრითურთ გადაიარა ჯავახეთი, კოლა, კარნიფორა, ბასიანნი სპერამდე და სადაც თურქმანი ნახა, ყველა გაჟლიტა და დაატყვევა; ჩამოიარა ბულთაყურზე და დაწვა ოლთისი: დიდი გამარჯვებით დაბრუნდა თრიალეთში. პატარა შუალედი გაჩნდა ბრძოლებს შორის და ლაშქარი დროებით თავ-თავის ადგილსამყოფელს დაუბრუნდა.

აგვისტოს 20-ში ეახლნენ დავითს ანელ თავადთა მოციქულნი²³ და მოახსენეს ბოჟანას წყაროს ზემოთ მდგარი ციხისა და ქალაქის მტრის ხელში გადასვლის შესახებ. სწრაფად დაგზავნა [345] მეფემ ლაშქრის შესაკრები წერილები და მესამე დღეს სამოცი ათასი მხედარი უკვე მის წინაშე იდგა. გაემართა დავითი იქითკენ და როდესაც მიაღწია დანიშნულ ადგილს, ადვილად აიღო მესამე დღეს ქალაქი ანისი და მისი ციხეები, აგრეთვე ანისის გარშემო სოფლები და მხარეები.

[შეიპყრო არფასლანიანნი და ამონყვიტა ისინი, ვინც ანისის საყდარი მისგითად აქცია, იქაურობა და ქალაქი ქრისტიანთა სისხლით მორწყა. სამაგიერო გადაუხადა მათ ღვთისმოყვარე დავით აღმაშენებელმა და თავიდან მორწყა იქაურობა მოლათა და დარიშმანთა სისხლით; საყდარი, რომელიც ბერძენთა დედოფლის, კატრონიტეს, აშენებული იყო და თვითონაც იქ განისვენებდა, თავიდან აკურთხა. მივიდნენ საფლავთან დავითი, კათალიკოსი, ეპისკოპოსნი და მთელი ლაშქარი, თავიდან აუგეს წესი და თვითონ მეფემ სამჯერ ჩასძახა საფლავში:

„გიხაროდეს, წმიდაო დედოფალო, რადგან იხსნა ღმერთმა შენი საყდარი უსჯულოთაგან”. მკვდრის ძვლებმა ამ დროს საფლავიდან ხმა გამოსცეს. მიცვალებულმა ღმერთს მადლობა შესწირა. განცვიფრდა მეფე და მთელი ერი. წამოვიდა იქიდან მეფე დავითი.

წამოიყვანა დავითმა ბუღასვარი თავის რვა ძესთან, მხეველებთან და რძლებთან ერთად და გაგზავნა აფხაზეთში; ანისის მცველად მესხი აზნაურები დატოვა, თვითონ კი ქართლში დაბრუნდა. მცირე ხნით დაასვენა მხედრები. შემდეგ გაემართა შარვანისკენ, აიღო ქალაქი შამახია და ბირიტის ციხე, დაიმორჩილა მთელი შარვანი და ციხეებსა და ქალაქებში ჰერთა და კახთა დიდი ლაშქარი ჩააყენა. ყველა იქაური საქმის გამგებელად და ზედამხედველად თავისი მნიგნობართუხუცესი სვიმონი, ჭყონდიდელი მთავარეპისკოპოსი, იმ დროს ბედიელ-ალავერდელი, დაადგინა, მსგავსი თავისი დედის ძმის, გიორგისა, ყველა ღირსებით შემკული და ბრძენი ადამიანი.

შარვანის ყველა საქმე მოაწესრიგა მეფემ, საბოძვართა და ყველანაირი სიკეთით აღავსო ქურდნი, ლეკნი, თარასნი. მოვიდა ქართლში – ყივჩაყებს გამოსაზამთრებლად სადგომი მიუჩინა, უზრუნველყო საზრდელით და დაუდგინა ზედამდგომნი. ყველაფერი მოაგვარა [346] ქართლსა, სომხთსა და ანისში. დიდი საქმეები ჰქონდა ჩაფიქრებული გაზაფხულზე და კიდევ უფრო ძლიერი ლაშქრობები, რადგან ვერავინ უწევდა წინააღმდეგობას: თვით სულტანიც კი, ყველგან, სადაც იყო, მისი შიშით ძრწოდა და ადრე დაპყრობილ ქალაქებსა და ქვეყნებსაც ველარ მიიჩნევდა თავისად; შორს მყოფსაც კი ძილში შიში არ ასვენებდა და მღვიძარეს სიკვდილი ელანდებოდა.

ამის გამო ზედიზედ გზავნიდა სულტანი მოციქულებს ძღვენით, რათა დაეცხრო მეფის რისხვა: გზავნიდა მძიმე საჭურჭლეებს, ტურფებსა და ნაირგვარს, უცხო და იშვიათ ფრინველებსა და ცხოველებს. ცდილობდა დაემყარებინა მშვიდობა, კეთილი ურთიერთობა და დაეცვა თავი ყივჩაყთა თავდასხმებისაგან. არაფრად აგდებდა განუელი ხარჯის სიდიდეს, ოღონდ კი საკუთარი თავისთვის, სადაც კი იქნებოდა, მშვიდობა და ხსნა მოეპოვებინა. მამაცი დავითის მიერ ხელში ჩაგდებული მხარეები, ტყეები და სიმდიდრე მრავალჯერ აღემატებოდა ადრე მის მამა-პაპათაგან წართმეულს. მშვიდობა დაამყარა ქვეყანაში, აავსო და გადაავსო ყველანაირი სიკეთით, ყველაფერი განადგურებული აღადგინა და გაამშვენა. ჩვენს სამეფოში, ნაცვლად

გარდასულ დღეთა განადგურებისა, ყველა დროზე აღმატებული მშვიდობა და კეთილდღეობა დამყარდა.

ასეთია დავითის მეფობრივი მიმოსლვანი, ბრძოლანი და ღვაწლანი, ძღვევანი, გამარჯვებანი, დაპყრობანი, ქვეყნისათვის დიდი და მრავალი მტრული სამეფოსა და სამთავროს ჩამოშორება. ეს ყველაფერი მან ქმნა და აღასრულა, ჩვენ მხოლოდ მცირედი წარმოვაჩინეთ და ისიც არა ისეთი აღმატებულებით, როგორსაც იმსახურებენ მის მიერ აღსრულებული დიდი და მოსაყოლად შეუძლებელი საქმეები. როგორც ლომის ბრჭყალის და ყვავილის მცირე ფესვის აღწერით ვერ გამოსახავ ლომსა და ყვავილს, ასევე, ჩვენი მცდელობით, მხოლოდ დავითის ჩრდილის წარმოჩენა მოვახერხეთ აქ.

[347] შეიძლება ვინმემ იფიქროს, რომ ამქვეყნიურ საქმეთა ასე წარმართველს როგორ უნდა მოეცალა საღმრთო და სულიერი სათნოებების არათუ ხორცშესახსმელად, არამედ მათზე საფიქრალადაც კი: ერთიმოკვდავი ადამიანისათვის სრულიად საკმარისია იმის გაკეთება, რაც დავითმა შეძლო – როგორი განადგურებული სამეფო რა სიმაღლემდე აიყვანა, ქვეყნის საზღვრები სადამდე გადასწია, დამარცხებულნი გამარჯვებულებად აქცია! ყველაფერ ამის ვერდამნახველნი კი არ უნდა შევიბრალოთ, არამედ უნდა ვაუწყოთ, რომ ვინც გამოიძიებს და ზედმინევით შეიტყობს დავითის საქმეებს, აქ ჩვენგან წარმოთქმული მის მიერ აღსრულებულ ამქვეყნიურ საქმეთა შესახებ უვარგისად და არაფრისმთქმელად მოეჩვენება – დამცრობილად და მალე დასავიწყებლად. საუკუნეებში დასარჩენ საღმრთო საქმეებზე, რომელთაც ის ამქვეყნიურზე მეტს აკეთებდა და უფრო საჭიროდაც მიიჩნევდა, ჩვენც გიამბობთ აქ, მრავლისგან მხოლოდ მცირეთა შესახებ, ისე, როგორც მტკვრიდან დასაღვევად ასაღებ ერთ პეშე წყალზე. სოლომონი ამბობს: „სიბრძნის დასაბამი სიბრძნეა“, ხოლო დავითი, მამა ღვთისა – „სიბრძნის დასაბამი უფლის შიშია“. უფლის შიში ჰქონდა დავითს სიყრმიდან და ასაკის მატებასთან ერთად უძლიერდებოდა: თავის დროზე ამან ისეთი ნაყოფი გამოიღო, რომ ორმხრივ შეამკო ის – მეფემ ისეთი საქმეები მოიმოქმედა, რომლითაც დაამშვენა თავისი როგორც ხორციელი, ასევე სულიერი ცხოვრება.

ისმინეთ: თავისი გონიერების წყალობით დავითმა სიბრძნის დედად უფლის შიში მიიჩნია, ღმერთად – საღმრთო წერილი. რაც კი მოიპოვებოდა სხვა ენათაგან გადმოღებული ქართულად, ყველაფერს თავი მოუყარა, ძველსა და ახალს, როგორც მეორე პტოლემეოსმა; მხოლოდ

ამის იმედი ჰქონდა და იმდენად შეიყვარა და შეითვისა, რომ თავისთვის სიცოცხლისა და გეზის მიმცემად აღიარა. [348] ეს იყო მისი საუკეთესო საზრდელი, ტკბილი და სანადელი სასმელი; შვება, რომელიც მისთვის ერთდროულად განცხრომაც იყო და სარგებლობის მომტანიც, ჭკუის სასწავლებელი. დღედაღამ განუწყვეტელ მომოსვლაში და მოუწყენელ ლაშქრობებში, დაუსრულებელ გარჯაში მყოფს მუდამ თან დაჰქონდა ჯორთა და აქლემთა სიმრავლეზე აკიდებული ნიგნები. სადაც კი ჩამოქვეითდებოდა, პირველ რიგში ნიგნს იღებდა ხელში და არ წყვეტდა კითხვას, სანამ არ დაასრულებდა.

ვახშმის შემდეგ, ძილის ან სხვა რაიმე საქმის ნაცვლად – კვლავ ნიგნის კითხვა. როდესაც თვალები დაეღლებოდა, ყურებს შეუნაცვლებდა: სხვათაშორის კი არ ისმენდა წამკითხველისაგან წარმოთქმულს, არამედ გულისყურით გამოიძიებდა, ჰკითხავდა, უფრო მეტად კი თვითონ განმარტავდა წაკითხულის სიღრმესა და აზრს. საოცარი რამ არის: ყველამ უწყით, რომ ნადირობის დროს ყველაზე მთავარია ნადირის დანახვა და მისი დევნა, ხელში ჩაგდების შემდეგ კი – ნანადირევის დათვალიერება. მაგრამ დავითის სიბეჯითე ამასაც სძლეოდა: ნადირობისასაც კი ნიგნი ეჭირა ხელში და როდესაც გადამწყვეტი მომენტი დადგებოდა, მხოლოდ მაშინ ჩააბარებდა ნიგნს რომელიმე მსახურს, თვითონ კი დაედევნებოდა ნადირს. ნუთუ გგონიათ, რომ ხელცარიელი დაბრუნდებოდა და ამაოდ დაშვრებოდა? ვერც ერთი ხორციელი ვერ შეედრებოდა მას ნადირობაში და ვერავინ იმდენს ვერ მოინადირებდა. ვინმე მოსიმახოს ებრაელი მშვილდოსნობაში და ლაშქრის წინამძღოლობაში მხედართა შორის საუკეთესოდ ალექსანდრეს ასახელებს, აქილევი [349] კენტავროსის მიერ ელინთა შორის მშვილდოსნობაში მისაბაძად არის მიჩნეული, სპარსი ბარამ-ჯური კი სპარსელთა შორის გასაოცარ, საკვირველ საქმეთა ჩამდენად, მაგრამ სინამდვილეში, როგორც დავინახეთ, ვერც ერთი ამათგანი ვერ შეედრებოდა დავითს.

კიდევ სხვასაც ვიტყვი, რაც მისი ნიგნის სიყვარულს წარმოაჩენს და ამ ნათქვამში არაფერი იქნება ტყუილი, რადგან წარსწემედს უფალი „ყველას, ვინც კი იცრუებს“: კითხულობდა დავითი სამოციქულოს. როდესაც დაასრულებდა, ნიგნის ბოლოს ნიშანს უკეთებდა. იმ ნიშნებით დავთვალეთ, რომ ერთი წლის მანძილზე ოცდაოთხჯერ წაიკითხა.

კიდევ ბევრი სხვა რამ არსებობს ამ ადამიანის წარმოსაჩენად, მაგრამ მე მხოლოდ ერთს დავუმატებ უკვე თქმულს: ქალაქი ტფილისი,

მართალია, ჯერ სრულად არ იყო დამორჩილებული, როგორც ამჟამად არის, მაგრამ ქრისტიანთა სისხლით კი სავსე იყო – ხან თავს დაესხმოდნენ ხოლმე და ვინც კი ქრისტიანი იყო, ყოველგვარი მიზეზის არსებობის გარეშე გაჟღეჭდნენ, ხან ქარავნებს შემოყოლილ თურქებს ჩაუგდებდნენ ხელში დროებით შემოსულ და უკან წამსვლელ ქრისტიანებს, დაატყვევებდნენ ან დახოცავდნენ. ასე ნადგურდებოდა დიდი ხნის მანძილზე ქვეყანა, რაც დავითის მუდმივი წყრომის მიზეზი იყო.

შემოვიდა ერთხელ დიდი ქარავანი განძიდან და მრავალი თურქი შემოყვა თან. შეიტყო რა ეს მეფემ, გაგზავნა თხუთმეტი რჩეული მსახური, რათა ლოჭინის მხარეს საძოვარზე გაყვანილი ქალაქის ნახირი მოეტაცებინათ და მათ დასაბრუნებლად გამოსული თურქები ამ ხერხით ამოეჟლიტათ. დავითმა მხოლოდ სამასი მხედარი დამალა ავჭალის ღელეებში – არ ენდო სხვას, მეომრები იქ დატოვა და [350] წავიდა მარტო, იარაღის გარეშე, მხოლოდ ხმლის ამარა. თან ნაილო საღმრთო წიგნი და მხედრებს უბრძანა, ადგილიდან არ დაძრულიყვნენ, სანამ თვითონ არ მივიდოდა მათთან.

მსახურებმა შეასრულეს ნაბრძანები, წამოასხეს ნახირი; გამოედევნენ თურქები, დაახლოებით ასი კაცი. დიდი შეტაკების შემდეგ ცხენები დაუხოცეს დავითის მსახურებს, თუმცა ქვეითადაც მამაცურად იბრძოდნენ. მეფეს კი, როდესაც ჩამოქვეითდა, არ ეგონა ჯერ თურქთა მოსვლა და გაერთო კითხვაში. იმდენად მოიცვა მისი გონება ამან, რომ სრულიად დაავიწყდა, რა საქმის გამო იყო მოსული, სანამ ხმაური არ მისწვდა მის ყურთ. მაშინვე შეწყვიტა კითხვა და, ცხენზე ამხედრებულმა, მიაშურა იმ ხმას. როდესაც თავზე წაადგა თავის მსახურებს, ასეთ გასაჭირში მყოფთ, და იმასაც მიხვდა, რომ ვერც მხედრების დასაძახებლად წავიდოდა, რადგან ამასობაში დაუხოცავდნენ მსახურებს, სწრაფად გადაეშვა ბრძოლაში როგორც არწივი, გაფანტა თურქები კაკბებივით და ერთბაშად იმდენი დახოცა, რომ მათი ცხენები საკმარისი აღმოჩნდა მის მსახურთათვის. ამხედრებულებმა გაჟლიტეს თურქები და მათგან მხოლოდ ძალიან მცირეთ შეასწრეს ქალაქში. მთელი გზა თურქთა გვამებით იყო მოფენილი. ამდენი ჯაფისაგან დავითის ხმალიც კი გაიღუნა და ველარ თავსდებოდა ქარქაშში. მხოლოდ მაშინ მივიდა თავის მხედრებთან, რომლებმაც დიდი საყვედური უთხრეს. შეიტყუეთ, თუ როგორი საქმის დროს და როგორი მოუცლელიობის ჟამსაც კი უმნიშვნელოვანესად წიგნის კითხვა მიაჩნდა?! აი, ასე იყო ეს.

ვიტყვი იმასაც, რომ თუ არა ცოდნა წმიდა წერილისა²⁴ და იმისა, რამაც გარდასულ დროთაგან მოაღწია, თუ არა გათვალისწინება, რაც წინა მეფეებმა სწორად მოიმოქმედეს [351] ან ვერ აღასრულეს გარკვეულ მიზეზთა გამო, როგორც სოლომონი ამბობს: „იცის ჟამთა ცვალებადობის შესახებ, შეუძლია იგავთა ახსნა და მომავლის განჭვრეტა წარსულზე დაყრდნობით“, რომ არა ეს, როგორ მოახერხებდა ასე დამდაბლებული მეფობის კვერთხის, ასეთი დაცემული და ძნელად აღსადგენი ქვეყნის ისეთ სიმაღლეზე აყვანას, როგორზეც სხვამ ვერავინ შეძლო? საღმრთო წერილში აღწერილ ბესელიელისა და ეთამ ისრაიტელის სიბრძნეს აღემატა დავითის გონიერება; ვინ აღრაცხოს ის, რაც მეფეებს მოეთხოვებათ: მართვა-გამგებლობა, სამეფოს სხვადასხვა კუთხის დამორჩილება, ქვეყნის საზღვართა დაცვა, შიდა დაპირისპირებათა აღკვეთა, სამეფოს დასაწყნარებლად ზომების მიღება, ლაშქრობები, მთავართა მიერ ჩაფიქრებული მზაკვრობების ამოცნობა, მეომართა შორის წესრიგის დამყარება, საეროთა მორჩილებაში ყოლა, ხელისუფალთა და სასამართლო მოხელეთა შერჩევა, ქვეყნის სახაზინო შემოსავლისათვის თვალის მიდევნება, მოციქულებთან შეხვედრა და მათთვის პასუხის გაცემა, ძღვენის მომრთმევთა ღირსეულად გასტუმრება, შემცოდების წყალობით გამოსწორება, ერთგულთა უხვად დასაჩუქრება, მოჩივართა საქმეების სამართლიანი გამოძიება, მოსაკითხავთა შესატყვისი მოკითხვანი, მხედართა გაძლოლა და ძლიერი ბრძოლები – ვინ მოახერხებს იმ ამოუწურავ სამეფო საქმეთა ჩამოთვლას, რომელთა აღსრულებაში ვერავინ – ვერც ძველი და ვერც ახალი მეფე ვერ შეედრებოდა დავითს: ამას მისი სიბრძნით აღსრულებული საქმენი მოწმობენ, მზის შარავანდედზე უბრწყინვალესნი და ცხადნი.

სულტანი მოხარკედ გაიხადა, ხოლო ბერძენთა მეფე, როგორც ოჯახის წევრი, ისე გაიერთგულა; დაამარცხა წარმართები, გაჟლიტა ყველა მომხდური, გაიუმცროსა მეფენი, დაიმონა ხელმწიფენი; განდევნა არაბები, ააოხრა ისმაიტელნი, მტვრად აქცია სპარსნი, გააღატაკა მათი მთავრები. მოკლედ რომ ვთქვა, [352] საკუთარ თავთან შედარებით არარაობად წარმოაჩინა ყველა წინამორბედი მეფე, გოლიათნი, გმირნი, ოდიტგანვე სახელოვანნი, მხნენი და ძლიერნი.

რომელ გონებას შეუძლია ჩასწვდეს მის ღვთიურ სათნოებებს და სულიერ საქმეებს, ან, თუ ჩასწვდა, რომელმა ენამ შეძლოს ღირსეუ-

ლად თხრობა მათ შესახებ! როგორც უფალი, ისეთი სიმართლითა და მიუკერძოებლობით მართავდა და განსჯიდა თავის სამწყსოს და ისევე, როგორც სოლომონის შესახებ გვსმენია და რასაც გვაუწყებენ მოსეს მიერნი განსჯანი და თხრობანი, მის მიერ სამართლის აღსრულები-სას არსაით გადაიხრებოდა სასწორის პინა. ყველანაირი სათნოების სათავე, სინმიდე, იმდენივე ჰქონდა, რამდენიც დიდ ანტონს. ვერავინ გაიხსენებს თუნდაც მისი სიჭაბუკის დროინდელ მისთვის ჩრდილის მიმაცენებელ რაიმე შემთხვევას, რადგან ამდაგვარის გახსენება თვით უფალს არ ძალუძს! დანამდვილებით ვიცი, რომ ათი წლიდან მოყოლე-ბული მუდმივად ეზიარებოდა ქრისტეს უხრწნელ საიდუმლოს წმიდა ბაგეებითა და განწმედილი გონებით, სვინდისის კარნახით და არა გონების მხილებით: ამის მოწმეა ზეცაში უფალი. ლოცვისა და მარხვის შესახებ ხომ ზედმეტია საუბარი, იმდენად თავის საქმედ მიაჩნდა ეს. მონასტრები, საეპისკოპოსოები და ეკლესიები ლოცვის წესსა და რიგს და მთელ საეკლესიო განგებას დარბაზის კარიდან იღებდნენ, როგორც ზედმინევით შესასრულებელ კანონს, ყველანაირად მშვენიერსა და გამართულს, ლოცვითა და მარხვით სიკეთის მომტანს.

მაცდური სიმღერები, სანახაობები და დროსტარებანი, ღვთის სა-ძულველი გმობა და ყველანაირი უწესობა აღმოფხვრილი იყო მისი ლაშქრიდან და ურიცხვი მოდგმიდან²⁵, როგორც ზეციური არსებები-დან. გლახაკთათვის იმდენი წყალობა ჰქონდა გაცემული, რომ მისმა კეთილმა საქმეებმა აავსო ზღვა და ხმელეთი. არა მხოლოდ თავისი სამეფოს ლავრების, საკრებულოებისა და მონასტრებისათვის [353] ზრუნავდა, არამედ ასევე საბერძნეთის, მთაწმიდის, ბორღალეთის, ასურეთისა და კვიპრის, შავი მთისა და პალესტინისა. განსაკუთრებით გაამდიდრა ნაირგვარი შესანიშნავით საფლავი უფლისა ჩვენისა, იესო ქრისტესი და იერუსალემში არსებული წმიდა ადგილები. მისი წყალობა ამაზე შორს გავრცელდა: სინას მთაზე, სადაც მოსემ და ელიამ ღმერ-თი იხილეს, მონასტერი ააშენა და შესწირა უამრავი ოქრო, ძვირფასი ქსოვილისგან დამზადებული გადასაფარებლები, რაც კი არსებობდა საეკლესიო წიგნი და ყველა საჭირო ნივთი, დამზადებული უძვირ-ფასესი ოქროსაგან. ვინ აღრაცხოს ის, რასაც თავისი ხელით აძლევდა ფარულად, ყოველდღიური ხარჯებისათვის, თუ არა ზეციურმა მამამ, რომელიც მას ამისთვის დაუფარავად მიაგებს. იყო მისი ქისა მსუბ-უქი: აუცილებლად ავსებდა ქისას მისი სანდო ადამიანი ყოველდღე

დრაკნით, დღის ბოლოს ცარიელი მოჭქონდა გახარებულსა და სულიერად კმაყოფილს. ზოგჯერ მის ნახევარს გასცემდა, ზოგჯერ ვერავის ნახავდა, სავსეს შეანახვინებდა მეორე დღისთვის და ამოოხვრით იტყოდა: „დღეს ვერაფერი შევსძინე ქრისტეს ჩემ ცოდვათა გამო“. და ამას აკეთებდა არა მოხელეთაგან მორთმეულის ხარჯზე ან ქვეყნის საჭურჭლეს აკლებდა რაიმეს, არამედ თავისი საკუთარი მონაგებიდან: ერთხელ თავის მოძღვარს, იოვანეს ოცდაოთხი ათასი დრაჰკანი მისცა გლახაკთათვის დასარიგებლად. და ეს მხოლოდ მცირედია იმ მრავლისაგან, რისი მოყოლაც შეიძლება.

არა მარტო მონასტრები და ლავრები გაათავისუფლა შემანუხებელ მიწის მესაკუთრეთაგან, ყველანაირი გაჭირვებისა და ბეგარისაგან, არამედ თავისი სამეფოს მღვდლებიც, რათა შესძლებოდათ მთელი მონდომებით აღველინათ საღმრთო მსახურება.

ყველაფერ ამასთან ერთად რამდენი ეკლესია ააშენა, რამდენი ხიდი გასდო საშიშ მდინარეებზე, რამდენ ძნელად სავალ გზაზე დააგო ქვა, რამდენი [354] ეკლესია, წარმართთაგან შეგინებული, განწმიდა და ღვთის სახლად აქცია, რამდენი ურწმუნო წმიდა ემბაზამდე მიიყვანა და ქრისტეს შეავედრა, რამდენი იღვანა, რათა მთელი ქვეყანა ეხსნა ეშმაკისაგან და ღმერთისთვის დაესაკუთრებინა! ამის გამო გადმოვიდა მასზე მოციქულობის მადლი, როგორც პავლესა და დიდ კოსტანტინეზე.

ბევრ სიკეთესთან ერთად შემდეგიც დაადგინა: რადგან მრავალრიცხოვან ლაშქართან ერთად მისი სწრაფი გადაადგილების გამო ადვილად ვერ მიდიოდნენ მასთან მოჩივარნი, გაჭირვებულნი და დაჩაგრულნი, ისინი, ვისაც განკითხვა და მეფობრივი შეწევნა სჭირდებოდა, გზის მახლობლად მდებარე რომელიმე ბორცვზე ან კლდეზე, გინდაც ხეზე უნდა ასულიყვნენ, როგორც ზაქნი. თუ ვინმე ამგვარს შენიშნავდა მეფე, გაგზავნიდა მასთან მის მიერვე დადგენილ სამართლიან კაცებს, რომელთაც უნდა გამოეძიებინათ მოჩივარის საქმე და დახმარება გაეწიათ მისთვის. ბევრჯელ გვიხილავს იგი ცრემლმდინარე ნაირგვარი მძიმე სენით შეპყრობილთა დანახვისას, სენით, რომელიც ხშირად ემართება ხრწნად და უბადრუკ სხეულს – ასეთი დაავადებები სხვაზე მეტად ქუთათისის მხარეში ჩნდება; ვინ აღრაცხოს იმ ყივჩაყ ტყვეთა რაოდენობა, რომლებიც მან გაანთავისუფლა და საფასურის ფასად დაიბრუნა; ვინ აღწეროს ჯეროვნად ის პატივი, რომლითაც დავითი მონაზვნებს ექცეოდა, თავმდაბლური შეხვედრები და მათი

მოკითხვა, სიყვარულით ურთიერთობა და თითოეული მათგანისათვის მირთმეული საბოძვარი – ყოველივე ის, რაც მათ ყოველდღიურ ყოფაში სჭირდებოდათ.

ამ ყოვლადბრძენ მეფეზე კიდევ ერთი რამ უნდა ითქვას, რითაც ის ყველასათვის „საშიშად საზარელი“ იყო, რადგან ეს ნიჭი და სრულიად განსაცვიფრებელი უნარი მას ღვთისაგან ჰქონდა ბოძებული. სამეფოს თუნდაც მოშორებულ კუთხეში ან მის ლაშქარში არ მოიძევებოდა დიდი თუ მცირე, ვისი ჩადენილი [355] საქმეც, კეთილი ან ბოროტი ნათქვამი, მეფისათვის დაფარული დარჩებოდა. არაფერი რჩებოდა დასაიდუმლოებული – ყველაფარი, ფარულად ქმნილი თუ თქმული, მისთვის გაცხადებული ხდებოდა; ისეთ შიშის ზარს სცემდა, რომ დამნაშავეთა ზრახვებსა და ფიქრებსაც კი მოახსენებდნენ მას. მონაზონთა ღვანლისა და კეთილ საქმეთა შესახებაც, რომელთაც ისინი თავიანთ განმარტოებულ სენაკებში აკეთებდნენ, უწყოდა დავითმა; კარგად იცოდა, რა შორი მანძილი იყო გასავლელი ეკლესიამდე და მოთმინებისათვის აქებდა და შენატროდა მათ. ნუ იძიებ, მკითხველო, თუ როგორ ახერხებდა ამას: კარგად უწყოდა, თუ რა სარგებლობა მოყვებოდა მისთვის ამგვარ სიმკაცრეს. ეს იმისთვის როდი კეთდებოდა, რომ მხოლოდ ვილაცყები გაეკიცხა მათ მიერ ჩადენილ საქმეთა გამო. არ იყო ასე. დამიგდე ყური!²⁶

დიდი და საშური საქმეები მოაგვარა ამ გზით მეფემ, რაც ბევრი სიკეთის მიზეზად იქცა: უწინდებური ორგულობის, მზაკვრობისა და ღალატის გულში გავლებასაც კი ვერავინ გაბედავდა, ვერც დიდი და ვერც პატარა, არათუ თქმას თუნდაც თავისი მეუღლისა და თანამეცხედრისათვის, ახლობლისათვის თუ შვილებისათვის, რადგან ყველამ დანამდვილებით უწყოდა, რომ სიტყვის პირიდან ამოსვლისთანავე ეს სიტყვა მეფისათვის ცნობილი გახდებოდა. მრავალი სწორედ ამის გამო იქნა დასჯილი და მხილებული. ამის გამო მისი მეფობის მანძილზე ვერავინ გაივლო გულში ღალატი – დავითი ყველასათვის მოსარიდებელი და პატივსაცემი იყო.

ყველანი – მღვდელთმოძღვარნი, მღვდელნი, დიაკონნი, მონაზონნი – თავიანთ საქმეს წესიერად ასრულებდნენ და სათავეს უდებდნენ ყოველგვარ სათნოებას, რადგან დავითის შიშით ვერავინ გაბედავდა უწესო საქციელის ჩადენას; იცოდნენ, რომ [356] არაფერი დაიფარებოდა მისგან; ისიც იცოდნენ, როგორ აქებდა მეფე ყოველგვარ სათნოებას და აძაგებდა არანმიდა და უწესო საქმეებს. ვერც სოფლის და

ვერც ქალაქის მკვიდრი, ვერც მხედარი და ვერც ნებისმიერი პატივითა და ასაკით შემკული ადამიანი გაბედავდა უწესო გზით სიარულს: ყველგან გამეფებული იყო წესიერება, კანონმორჩილება, პატიოსნება; თვით მეძავნიც კი დაცულნი იყვნენ – შიში აიძულებდა ყველას საღმრთო და მშვიდობის გზით სიარულს.

ეს დიდი საქმეები, რომლებიც მხოლოდ ღვთის მიერ შეიძლება ყოფილიყო აღსრულებული, ისეთი სიადვილით წარმართა, როგორც სხვა ვერავინ მოახერხებდა. ამიტომ მთელ ქვეყანას განეფინა შიში და ზარი და ყველა მკვიდრს ჰქონდა მისი დიდი კრძალვა.

წარსდგნენ ერთხელაც მეფის წინაშე ვერაგი ხალხის წარმომადგენლები – ყოვლად ბოროტი სომხების ეპისკოპოსები, მათი მონასტრების წინამძღვრები, მრავალნი, რომლებიც თვლიდნენ, რომ მიაღწიეს განსწავლულობისა და მეცნიერების მწვერვალს. სთხოვეს, რომ ებრძანებინა კრების მოწვევა, სადაც ისინი პასუხს გასცემდნენ საცილობელ კითხვებს თავიანთი რწმენის შესახებ. თუ ამ კამათში სომხები დამარცხდებოდნენ, ისინი ქართველთა რჯულზე გადავიდოდნენ და საკუთარს შეაჩვენებდნენ, ხოლო თუ გაიმარჯვებდნენ, ითხოვდნენ, რომ აღარ ეწოდებინათ მათთვის მწვალელები და აღარ შეეჩვენებინათ.

მაშინ იხმო მეფემ იოანე, ქართლის კათალიკოსი, მის დაქვემდებარებაში მყოფი ეპისკოპოსები და მეუდებონენი, აგრეთვე ბერძნულ და ქართულ ენებზე მთარგმნელი და მეცნიერი, მთელი ეკლესიის განმანათლებელი არსენ იყალთოელი, და კიდევ სხვა მცოდნე და ბრძენი ადამიანები.

პაექრობა გაგრძელდა ცისკრიდან საღამოს ცხრა საათამდე და ვერ შეძლეს კამათის დასრულება, რადგან ორივე მხრიდან მხოლოდ გამარჯვების სურვილი იყო და ერთმანეთისთვის შეურაცხყოფის მიყენება: იჭრებოდნენ ისეთ საკითხებში, საიდანაც ძნელად არსებობდა გამოსავალი. [357] მოსწყინდა მეფეს ამისი სმენა და უთხრა მათ: „თქვენ, მამანო, როგორც ფილოსოფოსნი, სიღრმეებში და ჩვენთვის უცნობი ცოდნის სფეროში შეხვედით; არაფერი გვესმის, როგორც უსწავლეებს და ერისკაცებს. მინდა იცოდეთ, რომ მე, როგორც მხედრობაში აღზრდილი, შორს ვარ სწავლულებისა და ცოდნისაგან, ამიტომ უსწავლელი, ლიტონი და მარტივი სიტყვებით დაგელაპარაკებით”.

თქვა რა ეს, იწყო მათთან საუბარი იმ სიტყვებით, რომელთაც, უეჭველად, ღმერთი შთააგონებდა. იმდენი იგავი და მაგალითი მოუ-

ტანა, იმდენი გასაოცარი და დამაჯერებელი განმარტება მოიშველია, რომ ისევე დაამარცხა ისინი, როგორც ოდესღაც ეგვიპტელნი დამარცხდნენ და აიძულა დადუმებულიყვნენ; ვერ გასცეს ვერაფერზე პასუხი, როგორც ოდესღაც დიდ ბასილს ათინაში.

ეს მწვალებლები იმდენად შეაშინა და იმდენად უსუსურად აგრძობინა თავი, რომ აშკარად აღიარეს თავიანთი დამარცხება და მხოლოდ ესლა თქვეს: „მეფეო, ჩვენ შენ ამ მოძღვართა მონაფე გვეგონე, მაგრამ ვხედავთ, რომ თვითონ ყოფილხარ მოძღვართა მოძღვარი და შენს ქუსლამდეც კი ვერ ამალღებულან ისინი, ვინც თქვენ მოძღვრად არის მიჩნეული“. და ასეთნაირად დამადანაშაულებელნი საკუთარი თავისანი, შერცხვენილნი გაბრუნდნენ და აღარასოდეს გაუბედიათ იგივეს გაკეთება.

არსებობენ ისეთებიც, რომლებიც ადანაშაულებენ მეფეს ასეთი ბეჯითი მოღვაწეობისა და ამდენი ბრძოლების, ლაშქრის შეუსვენებელი მიმოსვლისა და განსაცდელში ყოფნის გამო. მათი თქმით, „მშვილდიც ვერ აიტანს მუდმივად მოზიდულობას, ვერც ორღანოს სიმი²⁷ – განუწყვეტელ დაჭიმულობას, რადგან ხმარების მანძილზე [358] ისინი გაცვდებიან“. ამგვარად, სრულიად უმიზეზოდ კიცხავდნენ მას.

მაგრამ ამის მთქმელებმა ჯერ ის მოისმინონ, რომ ამ დროს აფხაზეთის სამეფო დასუსტებული და დაუძღვრებული იყო; ტყვეობისა და ზემოთ ნახსენებ გაჭირვებათა გამო ლაშქარი ძალიან იყო შემცირებული და ვინც იყო, ისინიც გალაჩრებულნი, მტერთაგან ბევრჯელ დამარცხებულნი, უიარალოდ და უცხენოდ დარჩენილები, თურქებთან ბრძოლაში სრულიად გამოუცდელნი და მათ წინაშე დიდი შიშის მქონენი. რომ არა ეს ამდენი ლაშქრობა, პატარ-პატარა ბრძოლები, სწორი და მამაცური წინამძღოლობით მხედართა ბრძოლებში განვრთნა, მრავალი გამარჯვებით მოლაშქრეთა გამონრთობა, მათთვის მხნეობის ჩანერგვა ძლიერი ბრძოლების გადატანის შედეგად – შექებითა და დასაჩუქრებით, ჯაბანთა ლაჩრებად გამოცხადებით – შერცხვენითა და გაკიცხვით, რის შედეგადაც მის მხედართა შორის აღარავინ იპოვებოდა მხდალად შერაცხული, რომ არა ყოველივე ეს, როგორ მოეპოვებინა ამდენი გამარჯვება, ან როგორ მოეშორებინა ქვეყნისთვის ამდენი მტრული სამეფო? ნუთუ შეიძლებოდა ამის მიღწევა ძილით, ამწვანებულ ადგილებში ღვინის სმითა და განცხრომით, ლაჩრული ქცევით? არა, ვერ მოხერხდებოდა ეს; არც ალექსანდრე მოქცეუ-

ლა ასე: ჯერ თავისი თანამემამულეები შეკრიბა და მათი მეშვეობით დაიპყრო ევროპის დასავლეთი: იტალია, რომი და აფრიკეთი; შემდეგ, ამათი დახმარებით, კარქედონში შესულმა დაიპყრო ეგვიპტე; ეგვიპტიდან – პალესტინე და ფინიკე; კილიკიის ხელში ჩაგდების შემდეგ შეებრძოლა დარიოსს. მხოლოდ მას შემდეგ, რაც სპარსეთი შეიერთა, გაიმარჯვა ჰინდოს პიროსზე – ამ გზით შემოიარა მთელი მსოფლიო და მიაღწია იმას, რასაც მიაღწია. [359] მხოლოდ ქართველთა ლაშქრით ვერც ალექსანდრე ვერაფერს გახდებოდა. ხოლო დავითი რომ სპარსთა მეფე ყოფილიყო, ან ბერძენთა და ჰრომთა ლაშქარი ჰყოლოდა, ან სხვა რომელიმე დიდი სამეფოსი, მაშინ გენახათ მის მიერ ჩადენილი საქმენი, აღმატებულნი ყოველივე იმაზე, რაც აქ იქნა შექებული.

ვიტყვი მეორე მიზეზსაც: ქართველებს ოდითგანვე ორგულობა ახასიათებთ თავიანთ უფალთა მიმართ. როდესაც აღზევდებიან, გამდიდრდებიან, განდიდდებიან და განცხრომით იწყებენ ცხოვრებას, მაშინვე ბოროტი ზრახვები უჩნდებათ, როგორც ამის შესახებ მოგვითხრობს ქართლის ძველი მატრიანე და რაზეც მეტყველებს ისიც, რისი დანახვაც ჩვენ თვითონ შეგვიძლია ამჟამად. დავითმა, უბრძნესმა კაცთა შორის, ეს კარგად იცოდა. ამიტომ არასდროს არავის მისცა მოცლა იმისათვის, რომ ასეთი რამ ჩაეფიქრებინათ, განცხრომის დრო ჰქონოდათ, შეკრებილიყვნენ და რაიმე მსგავსი მოემოქმედებინათ. ყველაფერი, რისი გაკეთებაც დაიწყო, მშვენივრად და ღირსეულად განასრულა კიდევ. ლომსაც შეიძლება ბრალი წაუყენონ, რომ მაიმუზნივით არ აღიქვამს გარემოს და არც კვერნასავით მფრთხალია.

კიდევ სხვაგვარ ბრალსაც სდებენ, ამბობენ რა: „ზოგს შეიყვარებს და განადიდებს, ზოგს მოიძულებს და დაამცირებს; ზოგიერთს აღამაღლებს, ზოგიერთს დაამდაბლებს“. ეჰა, უსამართლობავ, ჰოი, უგუნურებავ! იმ საქმის გამო სდებ ბრალს მინიერ ადამიანს, რითაც ღმერთს მიემსგავსა? ვის გაუგონია, რომ ოდესმე ასეთი რამ მომხდარიყო, ჰოი, ადამიანო! მამ ღმერთსაც რატომ არ უყენებ ბრალს, უგუნურო? განა ხუთი ქანქარის ათად მქცევს არ მისცა ის ათი ქანქარი? განა ერთის შემნახველს არ წაართვა ის ერთიც და არ დაუმატა იმ ათზე მეთერთმეტედ?

რის გამო არის ნაქადაგები სამოთხის შვებანი და სასუფევლის ნეტარებანი ღვთის ნების ქვეშარიტად აღმსრულებელთათვის, ხოლო ურჩთა და უღირსთათვის – საშინელებანი?²⁸ განა უსამართლობას ჩაიდენს მეფე, თუ განადიდებს ერთგულთ, ფრთხილთ და მამაცთ

ნაცვლად ორგულთა, ჯაბანთა და უღირსთა? ნუთუ გონჯმა ბრალი [360] უნდა დასდოს სარკეს, რადგან მასში თავის გამოსახულებას ცხადად ხედავს: უღირსებმა და გამოუსადეგარებმა ამაში საკუთარი თავი უნდა დაადანაშაულონ და არა სარკე. ნუთუ არავინ იყო ისეთი, ვინც სწორად შეაფასებდა ყველაფერს და გაერკვეოდა იმ ადამიანში, რომლის ჩრდილქვეშაც იყვნენ შეკრებილნი ერები, ტომები, ენები, ოვსეთისა და ყივჩაყეთის მეფენი, სომხეთისა და ფრანგეთისანი, შარვანისა და სპარსეთისანი. მოვიშველიოთ ნაბუქოდონოსორის ხილვა: „ვხედავო, ამბობს, დედამინაზე ხეთა შორის ისეთს, რომელიც თავისი სიმაღლით ცას სწვდება, ხოლო მისი რტოები – ცის კიდეს. ფოთლები მისი მშვენიერია, ნაყოფი კი – უხვი და საკმარისი ყველა გარშემო მყოფის დასანაყრებლად. მის ქვეშ დამკვიდრდნენ მხეცნი ქვეყანისანი, მის ტოტებში ბინადრობენ ცის ფრინველნი: მისით საზრდოობს ყოველი ხორციელი”.

აი, ნიმუში არა შეუფერებელი, არამედ მეფობის ღირსი პიროვნებისა! სიტყვებით არის გამოთქმული ჩვენ მიერ დანახული! მისი სიტკბოების, სიკეთისა და სიბრძნის ხილვის მსურველნი ქვეყნის კიდეთაგან იკრიბებოდნენ მის წინაშე. ვინ იყო მისებრ ტკბილი შეხვედრათა ჟამს, მოსაწონი თავისი განზრახვებითა და თავშეკავებით, მშვენიერი სახით, წარმოსადეგი, ახოვანი ტანით, სხეულის აწყობილი აღნაგობით, ღონით ძლიერი, უძლიერესი თავისი შემართებით²⁹, მომხიბლავი ღიმილით, დარდით იმაზე, რაც სადარდებელი იყო, მონყალე მზერით, შიშის ზარის დამცემი თავისი ლომებრივი სისხარტით, ბრძენი გონებით, უბრძნესი თავისი გადაწყვეტილებებით, უბრალო ქცევით, მრავალგვარად წარმმართავი საქმეთა, სიმშვიდით დამსჯელი, შემქმნელი საქმის ცოდნით, ყველანაირი სიკეთისათვის გზის მიმცემი; მაღალი უმაღლესათვის და მდაბალი უმდაბლესათვის; თვით მტრებისთვისაც კი სანადელი, საყვარელი და მათი შემარცხვენელი გამოჩენილი ღმობიერების გამო. ვის ახასიათებს [361] ერთი მაინც ამ სიკეთეთაგანი? ვინ მოუყარა ყველა მათგანს ერთად თავი? ეს წარმოსადგენადაც კი ძნელია, არათუ მისაბაძად. ისე იყო იგი აღსავსე ყველაფერ ამით, როგორც ნავი სათნოებათა უძვირფასესი ტვირთით და შეუძლებელი იყო ამაზე ზემოთ აღსვლა.

მშვიდობა და სიწყნარე სუფევდა დავითის სამეფოში. მაშინ ჩვენი ცხოვრების დიდმა გამგებელმა და თავისი განგებით ყველაფრის

უკეთესობისაკენ წარმმართველმა, რომელმაც უწყის და რომელიც გვინებს ამქვეყნიური ცხოვრების ჟამსა და წლებს, ისე განაგო, როგორც კეთილმა მუშაკმა: როდესაც იხილა მარცვლით სავსე და მიწისკენ დაზნექილი თავთავები, იჩქარა ნაყოფის დაუნჯება ისევე, როგორც ნავის გონიერი მმართველი ისწრაფვის ნავსადგურისაკენ თავისი მრავალგვარი ტვირთით სავსე ნავით, რათა არაფერი ევნოს მას ქვეყნის მღელვარე ზღვისაგან.

ზამთრის ჟამს, დამშვიდებულ და დანყნარებულ სამეფოში, არა მის რომელიმე განაპირა ადგილას, არამედ შუაგულში, თვით მის მიერვე თავის განსასვენებლად და მისაძინებლად წინასწარ დადგენილ ადგილას დაიძინა მშვენიერი ძილით და მიეახლა თავის წინაპრებს. მხოლოდ ესეც კი საკმარისია მისი ღმერთთან სიახლოვის საღიარებლად. მრავალჯერ და მრავალი მიზეზით ემოქრებოდა მას სიკვდილის საფრთხე – მათგან მხოლოდ მცირეს ვიტყვით: ნადირის დეენისას ერთხელ მუხნარში ცხენი წაექცა და ისე დაშავდა, რომ სამი დღის მანძილზე უსულოდ და უძრავად იყო, მხოლოდ სუნთქვით ხვდებოდნენ მის ცოცხლად ყოფნას. სამი დღის თავზე, შედედებული სისხლის აღმონთხვევის შემდეგ, დაუბრუნდა სიცოცხლე და მეტყველების უნარი, აღდგა მკვდრეთით. ასეთი რამ ბევრჯერ შეემთხვა და ღმერთმა იხსნა სიკვდილისაგან.

კიდევ გავიხსენებ სხვა შემთხვევას: რომელიღაცა ციხისთვის იბრძოდნენ ქართლში; იდგა მეფე შუადღისას თავისი კარვის წინ, მხოლოდ პერანგით მოსილი. ციხიდან გამოტყორცნა ვილაცამ ისარი და [362] მოხვდა მთავარანგელოზის პატარა ოქროს ხატს, რომელიც გულზე ეკიდა დავითს – საღმრთო ძალამ იხსნა იგი სიკვდილისაგან. რამდენჯერ განიზრახეს მისმა ყივჩაყებმა ღალატი და მიუგზავნეს ამ მიზნით მამაცი კაცები, ზოგი ხმლით, ზოგიც შუბითა თუ ისრით. და ეს მოხდა არა ერთხელ და ორჯერ, გინდაც სამჯერ, არამედ მრავალგზის. არასდროს მიუშვა „ღმერთმან კუერთხი ცოდვილთა მართალსა მას ზედა“, ³⁰ არასდროს „მისცა იგი ბელთა მეძიებელთა მისთასა“ ³¹, რადგან მრავალჯერ თურქებისაგან გამოდევნებული, მარტო, უირალო ყოფილა, მაგრამ ყოველთვის იფარავდა მას ზეციური ძალა მდევართაგან; ყოველთვის და ყველანაირ საქმეში იყო ბედნიერი და სვიანი, მაღლით აღსავსე.

მშვენიერ და შესაფერის დროს მოუწოდა ღმერთმა თავისთან უფლის-მოყვარე დავითს; სურდა, რომ სამარადისო მეფობა დაემკვიდრებინა

მისთვის: აღარ დაღალა ხანგრძლივი იძულებით ყოფილიყო მკვიდრი ჩვეულებრივ მოკვდავთათვის განკუთვნილი ამ მძიმე, მინიური საუფლოსი, არ აიძულა მისი ამაღლებული სული შებოჭილი ყოფილიყო მინიური სხეულით; არც ის იყო საჭირო დავითისთვის, რომ დიდი ხნის მანძილზე შეექცია თავი წარმავალი, ხრწნადი გვირგვინითა და სამეფო სამოსლით, არამედ შეამკო ნამდვილად ჭეშმარიტით, დაუსრულებელითა და სამარადისოთი, სადაც თვით ბუნებით ღმერთი მეუფებს „მადლით ღმერთ-ქმნილთა ზედა“ – იქ, თავისთან აიყვანა სამეფოდ, შემკული უხრწნელი, ბრწყინვალე გვირგვინითა და პორფირით: იქ მკვიდრობს იგი ამჟამად და გარემოცულია ღმრთაების ნათელით.

მოხდა ეს იანვრის თვეში, ოცდაოთხ რიცხვში, შაბათ დღეს, ქორონიკონის 345-ში; იყო დავითი გარდაცვალების ჟამს ორმოცდაცამეტი წლის. [363] იმეფა ოცდათექვსმეტი წელი და, როგორც ადრე დავითმა გაამეფა სოლომონი, ამანაც თვითონ აიყვანა ტახტზე თავისი ძე დიმიტრი, მისგან მხოლოდ სახელით განსხვავებული, სრულად მომცველი და მსგავსი მამულთა ძირების; დაადგა თავზე პატიოსანი ქვებით შემკული მშვენიერი გვირგვინი – წინაპართა სათნოებათა სიმბოლო; შემოარტყა წელზე ძლიერი მახვილი – ეჭა, როგორი ღირსებით ხმარებული! შემოსა პორფირი ლომებრივ მკლავებზე და ახოვან ტანზე. დალოცა წარმატებული ცხოვრებისათვის და ბედნიერი დღეებისათვის, უანდერძა ამ ქვეყნის წინა მეფეების თაყვანისცემა და წარმართთა დამორჩილება, თავისი მეფობის ჟამს სიმართლით მართვა ქვეყნისა და მშვიდობიანობა. ასე გაცვალა ამქვეყნის მკვიდრობა ზენა სასუფეველზე, რომლის ბინადარნიც თავისუფალნი არიან შრომისაგან, ოფლისა და ზრუნვისაგან; მეფობს იქ დავითი იმ სიმდიდრეთა წყალობით, რაც წინ წაიმძღვარა, იმ მაღალი საუჯის წყალობით, რომელსაც მპარავთაგან ვერც მოაკლდება და ვერც შემცირდება, ქალაქში, რომლის მშვენიერება არ უხილავს მოკვდავის თვალს და რომლის ბრწყინვალეობას ვერ დაიტევს ხორციელის გული, ხოლო მონათხრობს მის შესახებ – სასმენელი, რადგან იქ არის შვება და სიხარული, რომელსაც თან არ ახლავს მწუხარება და სიმდიდრე, რომელსაც თან არ მოყვება სიღატაკე და მხიარულება, რომელსაც ვერ შეცვლის მწუხარება და მეფობა, რომელსაც არა აქვს დასასრული – იქ არის სიცოცხლე, რომელსაც ვერ შეეხება სიკვდილი.

სუმბატ დავითის ქე

ცხოვრება და უწყება ქართველთა მეფეების, ბაგრატიონების, შესახებ, თუ საიდან მოვიდნენ ისინი ამ ქვეყანაში, ანუ რა დროიდან ფლობენ ქართლში მეფობას, რომელიც აღწერა სუმბატ დავითის ქემ



დამმა შვა სეითი. სეითმა შვა ენოსი. ენოსმა შვა კაინანი. კაინანმა შვა მალელი. მალელმა შვა იარედი. იარედმა შვა ენოქი. ენოქმა შვა მათუსალა. მათუსალამ შვა ლამექი. ლამექმა შვა ნოე. ნოემ შვა სემი. სემმა შვა არფაქსადი. არფაქსადმა შვა კაინანი. კაინანმა შვა სალა. სალამ შვა ებერი. ებერმა შვა ფალეგი. ფალეგმა შვა რაგავი. რაგავმა შვა სერუქი. სერუქმა შვა ნაქორი. ნაქორმა შვა თარა. თარამ შვა აბრამი. აბრამმა შვა ისაკი. ისაკმა შვა იაკობი. იაკობმა შვა იუდა. იუდამ შვა ფარეზი. ფარეზმა შვა ესრომი. ესრომმა შვა არამი. არამმა შვა ამინადაბი. ამინადაბმა შვა ნაასონი. ნაასონმა შვა სალმონი. სალმონმა შვა ბოოსი. ბოოსმა შვა იობედი. იობედმა შვა იესე. იესემ შვა დავით მეფე. დავით მეფემ შვა სოლომონი. სოლომონმა შვა რობუამი. რობუამმა შვა აბია. აბიამ შვა ასაფი. ასაფმა შვა იოსაფატი. იოსაფატმა შვა იორამი. იორამმა შვა ოზია. ოზიამ შვა იოთამი. იოთამმა შვა აქაზი. აქაზმა შვა ეზეკია. ეზეკიამ შვა მანასე. მანასემ შვა ამონი. ამონმა შვა იოსია. იოსიამ შვა იოვაკიმი. იოვაკიმმა შვა იექონია. იექონიამ შვა სალათაელი. სალათაელმა შვა ზორაბაბელი. ზორაბაბელმა შვა აბიუდი. აბიუდმა შვა ელიაკიმი. ელიაკიმმა შვა აზორი. აზორმა შვა სადუკი. სადუკმა შვა აქიმი. აქიმმა შვა ელიუდი. ელიუდმა შვა ელიაზარი. ელიაზარმა შვა მატათანი. მატათანმა შვა იაკობი. იაკობმა შვა იოსები, ქმარი მარიამისი და ძმა კლეოპასი. კლეოპამ შვა ნაომი. ნაომმა შვა სალა. სალამ შვა

რობუამი. რობუამმა შვა მოხთარი. მოხთარმა შვა ელიაკიმი. ელიაკი-
მა შვა ბენიამენი. ბენიამენმა შვა იერობემი. იერობემმა [373] შვა მოსე.
მოსემ შვა იუდა. იუდამ შვა ელიაზარი. ელიაზარმა შვა ლევი. ლევიმ
შვა იორამი. იორამმა შვა მანასე. მანასემ შვა იაკობი. იაკობმა შვა
მიქია. მიქიამ შვა იოვაკიმი. იოვაკიმმა შვა იერუბემი. იერუბემმა შვა
აბრაჰამი. აბრაჰამმა შვა იობი. იობმა შვა აქაბი. აქაბმა შვა სვიმონი.
სვიმონმა შვა იზაქარი. იზაქარმა შვა აბია. აბიამ შვა გაადი. გაადმა შვა
ასერი. ასერმა შვა ისაკი. ისაკმა შვა დანი. დანმა შვა სოლომონი. სოლ-
ომონმა შვა შვიდი ძმა, რომლებიც მას ღმერთმა ტყვეობის ჟამს უბოძა.

ეს შვიდი ძმა, ძენი სოლომონისნი, ტყვეობიდან წამოსული ჰურიები,
წამოვიდნენ ფილისტიმთა ქვეყნიდან, ჩამოვიდნენ ეკლესიაში, რაქაელ
დედოფლის წინაშე და მის მიერ მოინათლნენ. დარჩნენ ისინი სომხეთის
ქვეყანაში და დღემდე მათი შთამომავლები განაგებენ სომხეთს.

მათი ოთხი ძმა მოვიდა ქართლში: ერთ-ერთი მათგანი, სახელად
გუარამი, დაადგინეს ერისთავად. ეს არის ქართლის ერისთავი და
ბაგრატიონთა პირველი წინაპარი. ქართლის ბაგრატიონნი იმ გუარა-
მის შვილიშვილნი და შთამომავალნი არიან.

გუარამის ძმა, სახელად საჰაკი, წავიდა კახეთში და დაუმოყვრდა ნერს-
ეს. ამათი ორი სხვა ძმა, სახელად ასამი და ვარაზვარდი, წავიდნენ კამბე-
ჩანში, მოკლეს სპარსელთა სპასალარი, დაიპყრეს კამბეჩიანი და დასახლდ-
ნენ ხორნაბუჯში. ამ დრომდე მათი შთამომავლები იქ მთავრობენ.

მას შემდეგ, რაც გორგასლის შთამომავლებმა დაკარგეს მეფობა,
ქართლში ძალაუფლება ამათ დრომდე ეპყრათ აზნაურებს, მაგრამ
მათი უკეთური საქმეების გამო მათაც დაკარგეს ქართლის გამგე-
ბლობა.

იმ დროს მცხეთაში კათალიკოსი იყო სვიმონ-პეტრე; მცხეთაში მოსახ-
ლეობამ კლება იწყო, ხოლო ტფილისის აღმშენებლობის გზაზე იდგა; არ-
მაზი კნინდებოდა და კალა განდიდებოდა. სპარსელები ბატონობდნენ
ქართლში, კახეთში, ჰერეთში, სომხეთში, სივნიეთში, ასპურანგში.

[მოკვდა კათალიკოსი სვიმონი და დაჯდა მეცხრე კათალიკოსად
სამოელი].

[374] იმ დროს მცხეთაში კათალიკოსი იყო სამოელი; შეიკრიბა
მთელი ქართლი და აირჩიეს გუარამი, დავითის შთამომავალთაგანი,
რომელიც მოსული იყო ჩვენ მიერ უკვე ნახსენებ თავის ძმებთან,
ასამთან და ვარაზვარდთან ერთად. შვიდნი ძმანი ჰურიანი, ფილისტიმ-

თა ქვეყნიდან ტყვეობიდან თავდახსნილნი, ეკლესიიდან წამოვიდნენ, სადაც ისინი მონათლა რაქაელ დედოფალმა. დედოფალმა სამ მათგანს სახელი შეუცვალა: ერთს დაარქვა მუშელი, მეორეს – ბაგრატი, რომელიც არის ბაგრატიოვანთა წინაპარი, ხოლო მესამეს – აბგავარი. ერთი სიძედ შემოიყვანა, ორი კი დაამოყვრა სომხითის მეფეებთან.

ეს ოთხი ძმა, როგორც უკვე ვთქვით, გამოემართა ქართლისკენ. გუარამი დასვეს ერისთავად. ბერძენთა მეფემ მას კურაპალატობის პატივი უბოძა და გამოგზავნა მცხეთაში. გუარამმა ჩაუყარა საფუძველი ჯვრის ეკლესიას, რომელიც მცხეთაშია.

დანარჩენი სამი ძმა წავიდა კახეთში; საჰაკი დაუმძახლდა ბაკურს, ნერსეს ძეს, ხოლო ასამი და ვარაზვარდი წავიდნენ კამბეჩოანში და აუმხედრეს ხალხი ვეზანს, ბაჰარ ჩუბინის ერისთავს; მოკლეს ვეზანი და დაიპყრეს კამბეჩოანი.

იმ დროს მცხეთაში კათალიკოსი იყო სამოელი. მის დროს ტფილისის მცხოვრებლებმა დაიწყეს ეკლესიის შენება: ნახევარს მთელი მოსახლეობა აშენებდა, ხოლო მეორე ნახევარს – ერთი ვინმე დედაკაცი.

კათალიკოსი მცხეთაში იყო ბართლომე.

ამ გუარამის შემდეგ ერისთავობდა ძე მისი სტეფანოზი, დემეტრეს ძმა. აგრძელებდნენ მცხეთაში ჯვრის ეკლესიის შენებას.

მის დროს წამოვიდა ბერძენთა მეფე ერეკლე და ჩავიდა ტფილისში. განლაგდა კალის ციხის პირდაპირ. ციხისთავი შეეხმიანა მას გალმიდან და დაუძახა ერეკლეს: „ვაცის წვერი გაქვს, ხოლო კისერი – მამალი თხისა“³⁴. როდესაც გაიგო ეს სიტყვები ერეკლე მეფემ, განრისხდა და დანიელ წინასწარმეტყველის წიგნიდან ასეთი რამ ამოიკითხა: „აღმოვა ვაცი დასავლეთიდან და შეუმუსრავს რქებს აღმოსავლეთის ვერძს“. და უპასუხა მეფემ ციხისთავს: „თუ [375] ეგ სიტყვები მე მეკუთვნის, კადნიერებისათვის ორმაგად დაგსჯი“. დატოვა ტფილისში ციხის ასაღებად ჯიბლუ ერისთავი, თვითონ კი ბაღდადისკენ გაემართა. მივიდა გარდაბანში ვარაზ გაგელთან და იმ ადგილას დაბანაკდა, რომელსაც ჰქვია ხუზაშენი. მონათლა ერეკლემ ვარაზ გაგელი და მთელი მისი ხალხი. იწყო ეკლესიის შენება, რომელიც უბრწყინვალესია ყველა სხვა ეკლესიაზე. წავიდა ბერდუჯში, განლაგდა სოფლის შუაგულში, აღმართა ქვის ჯვარი და საფუძველი ჩაუყარა წმიდა ღვთისმშობლის ეკლესიას; დაასრულა მისი გუმბათის მშენებლობა. ხოლო ჯიბლუმ აიღო კალა, აგრეთვე ტფილისის ციხე, ციხისთავი კი შეიპყრო. ამოუვსო მას პირი დრაჰმებით, რადგან

თქვა მან ერეკლე მეფის სადიდებელი, ხოლო მეფის შეურაცხყოფისათვის ტყავი გააძრო და გაუგზავნა ერეკლეს გარდაბანში, ვარაზ გაგელთან. გარდაბანიდან მეფემ გადაინაცვლა ლალში, იხმო თავისთან მენეკვენელთა მთავარი, მონათლა ის და წავიდა ბაღდადში. ხელში ჩაიგდო ბაღდადი, შეიპყრო მეფე ხუასრო და მოატანინა „ძელი ცხორებისა“³⁵. დაიწყო იერუსალიმის აღდგენა, დასვა პატრიარქად მოდისტო და უკანვე გამოემართა. დაბრუნდა თავისი წასვლიდან მეშვიდე წელს. მის დაბრუნებამდე ტფილისში სიონის ეკლესიის მშენებლობა დასრულდა, ხოლო ჯვრის ეკლესია ჯერ კიდევ დასამთავრებელი იყო.

ერეკლე მეფემ ტფილისში, მცხეთასა და უჯარმაში მქადაგებელნი წარავლინა, რათა ყველა ქრისტიანი ეკლესიაში შესულიყო, ხოლო მოგვები და ცეცხლის მსახურნი, ვინც არ მოინათლებოდა, ბრძანა, რომ მოეკლათ. მათ მონათვლა არ ისურვეს, არამედ ცბიერებით შეერივნენ ქრისტიანებს. აღმართეს ყველა მათგანზე მახვილი და ეკლესიებში იწყო სისხლის მდინარეებმა დენა. განწმიდა რა ქრისტეს რჯული, ღვთისა ჩვენისა, დაბრუნდა ერეკლე მეფე თავის სამეფოში.

ქართლში მთავრობდა იგივე სტეფანოზ დიდი. კათალიკოსი კი იყო მეორე ბართლომე.

ქართლში მის დროს და მის შემდეგ მთავრობდა ადარნასე, ძე სტეფანოზისა. მის დროს სამი კათალიკოსი გამოიცვალა: იოვანე, ბაბილა და თაბორი. ამის შემდეგ მოკვდა ადარნასე მთავარი და მის ნაცვლად დაჯდა ძე მისი, სტეფანოზი. მან დაასრულა ჯვრის ეკლესია, დაანესა ჯვრის დღესასწაული და დასახლდა ტფილისში. კათალიკოსნი იყვნენ სამოელი და ენონი. მის დროს აღწერეს ქართლი [376] და წაიღეს [ეს საბუთი] საბერძნეთში. მოაღწია ამბავმა, რომ აგარიანელებმა დაიპყრეს ბაღდადი.

ამ სტეფანოზის შემდეგ ერისთავობდა მისი ძე, გუარამ კურაპალატი.

მის შემდეგ – ვარაზ ბაკური; შემდეგ – ძე მისი, ანთიპატროსი, რომელმაც მოაქცია გარდაბანელი; შემდეგ – ნერსე და მისი ძენი: ფილიპე, სტეფანოზი და ადარნასე; შემდეგ – ადარნასეს ძენი: გურგენ ერისთავი და აშოტ კურაპალატი.

აშოტ კურაპალატი, როდესაც განაგებდა ამ ქვეყანას, დამკვიდრებული იყო ბარდავსა და ტფილისში; მის მფლობელობაში იყო გარშემო მდებარე მხარეებიც. მაშინ გაძლიერდნენ აგარიანელები და დაიწყეს აშოტ კურაპალატის დევნა. ვერ გაუწია მათ აშოტმა წინააღმდეგობა

და გაცლა გადაწყვიტა. გაემართა საბერძნეთისკენ. თან ჰყავდა დედა, ცოლი და ორი მცირეწლოვანი ძე: უფროსი ადარნასე და მისი შემდეგომი, ბაგრატი. უმცროსი ძე, გუარამი, ჯერ არ იყო დაბადებული. თავისი ხალხი, სამეფოს მკვიდრნი, მცირე რაოდენობით ახლდნენ: ვინც მიჰყვებოდა, იყვნენ ცოლშვილითურთ. მოადგნენ ჯავახეთის მთას, დიდი ტბის, ფარავნის ნაპირს; მგზავრობისაგან დაღლილნი, განლაგდნენ დასასვენებლად ტბის ნაპირზე. საკვების მიღების შემდეგ მცირე ხნით დაიძინეს. მძინარეებს დაესხათ თავს სარკინოზთა დიდი ლაშქარი. მაშინ შეენია ღმერთი აშოტ კურაპალატს და მის პატარა ლაშქარს მიანიჭა მტერზე გამარჯვება: მოისრა ურიცხვი სარკინოზი. წამოვიდნენ იქიდან და ჩამოაღნიეს შავშეთის ხეობაში.

შავშეთის ხეობა მაშინ დაუსახლებელი იყო, მხოლოდ რამდენიმე სოფელი არსებობდა, რადგან სპარსთა ბატონობის დროს აოხრდა იქაურობა, როდესაც ყრუ ბაღდადეღმა შემუსრა ყველა ციხე. ვერც შავშეთი და ლადონი გადაურჩა მას. და ამის შემდეგ მუცლის სენმა განწყვიტა შავშეთისა და კლარჯეთის მოსახლეობა და მცირედნი გადარჩნენ მხოლოდ ალაგ-ალაგ. შავშეთის დარჩენილმა მოსახლეობამ ისინი სიხარულითა და სიყვარულით მიიღო და დამკვიდრდა აშოტი იქ. კეთილად წარუმართა ღმერთმა აშოტს და ამეფა შავშეთ-კლარჯეთზე. ზოგი სოფელი იყიდა, ზოგიც, დანგრეული, ხელახლა ააშენა და ამ გზით გაამრავლა სოფლები მათ მხარეში. ღმერთი შეენია და ბერძენთა მეფის ნებით განმტკიცდა მისი ხელმწიფება.

[377] კლარჯეთის ტყეებში მიაგნო აშოტ კურაპალატმა ერთ კლდეს, რომელზეც ადრე ვახტანგ გორგასალს ციხე ჰქონდა აშენებული, სახელად არტანუჯი. დანგრეული იყო ეს ციხე ყრუ ბაღდადეღის დროიდან. განაახლა ის აშოტმა და კვლავ ციხედ აქცია, მის მოპირდაპირე მხარეს კი, ციხის ქვემოთ, ქალაქი ააშენა. ციხის შიგნით აღმართა ნმიდა მოციქულთა, პეტრესი და პავლეს, ეკლესია. მოიშადა ეკლესიაში საფლავი და დამკვიდრდა ამ ციხეში. შემდეგ კვლავ დაეუფლა ქვეყანას ქალაქ ბარდავის მისადგომებამდე. ბევრჯერ მიანიჭა ღმერთმა აშოტს ძლევა და დიდი დიდება ბრძოლებში.

გავიდა ერთხელ აშოტი, რათა შეეკრიბა ლაშქარი სარკინოზთა წინააღმდეგ საბრძოლველად. მივიდა ერთ ადგილას და დაგზავნა იქიდან ლაშქრის შემგროვებელნი. სანამ ლაშქარი შეიკრიბებოდა, დაესხნენ მას მოულოდნელად სარკინოზნი და გააქციეს. გამოემართა აშოტი, მოვიდა

ნიგალის ხევში და დაიწყო ხალხის შეგროვება, რათა გაეზარდა ლაშქარი. ისინი, ვისაც მან მოსვლა უბრძანა, გამოემართნენ, მაგრამ მოდიოდნენ თურმე მის მოსაკლავად. სანამ მის კარამდე მოაღწევდნენ, არაფერი იცოდა აშოტმა მათი მზაკვრობის შესახებ; მხოლოდ მათი მოსვლის შემდეგ შეიტყო, რა განზრახვა ჰქონდათ. აშოტს მცირე ლაშქარი ჰყავდა და ვერ გაუწევდა წინააღმდეგობას. ამიტომ თავი ეკლესიას შეაფარა. საკურთხეველზე მოკლეს ის მახვილით, დაისვარა საკურთხეველი მეფის სისხლით, რადგან დაკლეს აშოტი მის საფეხურებთან, როგორც ცხვარი და მისი დაღვრილი სისხლი დღესაც ამჩნევია იქაურობას.

როდესაც აშოტის ქვეშევრდომებმა, რომლებიც დოლისყანაში იყვნენ, შეიტყეს თავიანთი პატრონის, აშოტის, მოკვლის შესახებ ოროზ-მოროზის ძეთა მიერ, გამოემუშრნენ დოლისყანიდან და დაედევნენ მეფის მკვლელებს; დაენივნენ მათ ჭოროხთან და დაუნდობლად დახოცეს ყველა. წამოიღეს მკვდარი აშოტ კურაპალატი და დაკრძალეს ის თავის საფლავში არტანუჯის ციხეში, წმიდა მოციქულთა ეკლესიაში. მოკლეს აშოტ კურაპალატი „დასაბამითგან წელსა 6830-სა, „ქორონიკონსა მეთცამეტედ მოქცეულსა შინა 46-სა“ (826 წ.), ოცდაცხრა იანვარს.“

დარჩა აშოტს სამი ძე: უფროსი ადარნასე, მისი შემდეგი – ბაგრატი; ეს ორი [378] მას თან ჰყავდა, როდესაც შავშეთ-კლარჯეთში მოვიდა. უმცროსი, გუარამი, მისი არტანუჯში მოსვლის შემდეგ დაიბადა.

მამის, აშოტის, სიკვდილის შემდეგ მისმა შვილებმა დაკარგეს ყველა გარე სამფლობელო, რადგან მცირეწლოვანნი იყვნენ და სარკინოზებმა მიიტაცეს ეს მიწები. როდესაც სრულწლოვანნი შეიქნენ, ღმერთმა კვლავ დაუბრუნა ყოველივე, რასაც მათი მამა ფლობდა. სანამ მცირეწლოვანნი იყვნენ, იზრდებოდნენ არტანუჯის ციხეში; შავშეთ-კლარჯეთ-ნიგალის მთელი ხეობა სარკინოზებს ხარკს უხდიდა. შემდეგ აშოტის შვილებმა დაიპყრეს არტანუჯის აქეთა მხარეს თავიანთი მამის ნაქონები მამულები, დასვეს კურაპალატად ბაგრატი. ღმერთმა კეთილად წარმართა მათი ხელმწიფება.

მათ უფროს ძმას, აშოტის ძეს, ადარნასეს, ჰყავდა სამი ძე: გურგენი, რომელიც სიბერის ჟამს დასვეს კურაპალატად და მისი ძმები: აშოტ კეკელა და სუმბატ არტანუჯელი, რომელმაც ბაგრატის ხელმწიფობის ჟამს მიიღო ანთიპატროს-პატრიკობა. ბაგრატი კურაპალატს ჰყავდა სამი ძე: დავითი, რომელიც თავისი მამის შემდეგ გახდა კურაპალატი, ადარნასე და აშოტი. აშოტის უმცროს ძეს, გუარამს, ჰყავდა ორი ძე:

ნასრა და აშოტი.

აშოტ კეკელა, ადარნასეს ძე, გარდაიცვალა ქორონიკონის 87-ს (867 წ.); დატოვა გურგენი, რომელიც შემდეგ კურაპალატად დასვეს და სუმბატ არტანუჯელი ანთიპატრიკი.

აშოტი, მამფალ გუარამის ძე, თავის მამაზე ადრე გარდაიცვალა, ქორონიკონის 89-ში (869 წ.). ძე არ დაუტოვებია.

ადარნასე, ბაგრატ კურაპალატის ძე, გარდაიცვალა ქორონიკონის 94-ში (874 წ.), თავისი მამის სიცოცხლეშივე; შვილი არ დაუტოვებია. მისი მამა, ბაგრატ კურაპალატი, აშოტ კურაპალატის ძე, გარდაიცვალა ქორონიკონის 96-ში (876 წ.) და დატოვა ძენი: დავითი, რომელიც მამის შემდეგ გახადეს კურაპალატი; იგი მამის ძმისწულმა, ნასრა გუარამის ძემ მოკლა გუარამისავე სიცოცხლეში ქორონიკონის 101-ში (881 წ.). გუარამ მამფალი, მისი მამის ძმა, მამა ნასრასი, უდანაშაულო იყო დავით კურაპალატის მკვლელობაში. ამ მოკლულმა დავითმა [379] დატოვა მცირეწლოვანი, მოუწიფავი ძე, ადარნასე. მკვლელი ნასრა კი გაიქცა კონსტანტინოპოლის სამეფოში და დაჰყო იქ მრავალი წელი.

ამის შემდეგ დასვეს კურაპალატად დიდი აშოტ კურაპალატის ძის, ადარნასეს ძე, გურგენი.

გარდაიცვალა გუარამ მამფალი, აშოტ დიდის ძე, მამა ნასრასი, ქორონიკონის 102-ში (882 წ.).

გარდაიცვალა აშოტი, ძე ბაგრატ კურაპალატისა, ქორონიკონის 105-ში (885 წ.).

ამის შემდეგ გამოვიდა ნასრა ბერძენთა სამეფოდან და მოვიდა აფხაზეთში. აფხაზეთში მაშინ მეფობდა ნასრას დის ქმარი, ბაგრატი. დაეხმარა აფხაზეთის მეფე ნასრას დიდი ლაშქრით; გადმოვიდა ნასრა იქიდან სამცხეში და კიდევ უფრო დიდი ლაშქარი შეკრიბა. ადარნასე, მოკლული კურაპალატის ძე, გამოვიდა მის წინააღმდეგ საბრძოლველად; დაეხმარნენ ადარნასეს გურგენ კურაპალატი და მისი შვილები. გადაიხადეს დიდი ბრძოლა და ომი ნასრას წინააღმდეგ. შეენია ღმერთი ადარნასეს მცირერიცხოვან მომხრეებს და დაამარცხეს ნასრა, გააქციეს, შეიპყრეს და მოკლეს სამცხის ხევში, სოფელ ასპინძაში, ქორონიკონის 105-ში (885 წ.). არ დაუტოვებია შვილი ნასრას და წაიშალა მისი სახსენებელი.

ქართველთა მეფედ დასვეს ადარნასე, ძე დავით კურაპალატისა, ნაცვლად მოკლული დავითისა. ადარნასემ, ძემ დავით მოკლულისა, ააშენა ბანა კვირიკე ბანელის ხელით, რომელიც შემდეგ გახდა პირველი

ბანელი ეპისკოპოსი.

მამფალი სუმბატ არტანუჯელი, აშოტ დიდის ძის, ადარნასეს ძე, გარდაიცვალა ქორონიკონის 109-ში (889 წ.). დატოვა ორი ძე: ბაგრატ მამფალი არტანუჯელი და დავით მამფალი.

სუმბატ არტანუჯელის სიცოცხლეშივე მოკლეს ნასრა. მისი მიწები სხვა მთავრებმა დაიპყრეს.

გურგენ კურაპალატი თავისი მამულიდან, ტაო-კალმახიდან, საცხოვრებლად შავშეთსა და არტანში გადავიდა. ამის შემდეგ მტრად მოეკიდნენ და ერთმანეთის წინააღმდეგ ლაშქარი შეჰყარეს, ერთი მხრივ, გურგენ კურაპალატმა და მისმა ხალხმა, მეორე მხრივ, ქართველთა მეფე ადარნასემ და ბაგრატ არტანუჯელმა. შეხვდნენ ერთმანეთს არტანის ხევში, სოფელ მგლინავში, და შეებრძოლნენ. გაიქცა გურგენ კურაპალატი, დაჭრეს და შეიპყრეს. ამ ჭრილობებისაგან მოკვდა გურგენ კურაპალატი, აშოტ დიდის ძის, ადარნასეს ძე, ქორონიკონის 111-ში (891 წ.). დატოვა ორი ძე: ადარნასე და აშოტ ერისთავთერისთავი.

[380] ადარნასე გარდაიცვალა თავისი მამის, გურგენ კურაპალატის, შემდეგ, ქორონიკონის 116-ში (896 წ.) და დატოვა ორი მცირეწლოვანი ძე: დავით ერისთავთერისთავი და გურგენი, რომელიც შემდეგ დიდი ერისთავთერისთავი გახდა.

ბაგრატ მამფალი არტანუჯელი, სუმბატის ძე, გარდაიცვალა ქორონიკონის 129-ში (909 წ.), აპრილის თვეში, 20 რიცხვში, აღდგომა დღეს და დატოვა ოთხი ძე: ადარნასე, რომელიც შემდეგ ბერი გახდა და ინოდა ბასილად; გურგენ ერისთავი, აშოტი და დავითი.

დავით ერისთავი, გურგენ კურაპალატის ძის, ადარნასეს ძე, ძმა დიდი გურგენისი, გარდაიცვალა ქორონიკონის 128-ში (908 წ.) და არ დაუტოვებია შვილი.

აშოტ ერისთავთერისთავმა, გურგენ კურაპალატის ძემ, რომელსაც უწოდეს კუხი, ააშენა შავშეთში ტბეთის ტაძარი, გამართა ის ყველაფერი აუცილებელით და პირველ ეპისკოპოსად, სული წმიდის უწყებით, დასვა სანატრელი სტეფანე. გარდაიცვალა აშოტ კუხი ქორონიკონის 138-ში (918 წ.) და არ დარჩენია შვილი.

მის შემდეგ ერისთავთერისთავად დასვეს მისი ძმისწული, გურგენი, ძე ადარნასესი.

დავითი, ბაგრატ არტანუჯელის ძე, გარდაიცვალა ქორონიკონის 142-ში (922 წ.) და დატოვა ჯერ კიდევ დაუბადებელი ძე, რომელსაც

დაარქვეს ბაგრატი.

ქართველთა მეფე ადარნასე, ძე დავით მოკლულისა, გარდაიცვალა ქორონიკონის 143-ში (923 წ.) და დატოვა ოთხი ძე: დავითი, რომელიც თავისი მამის შემდეგ ქართველთა მეფე გახდა; აშოტ კურაპალატი, ბაგრატ მაგისტროსი და სუმბატი, რომელიც ძმების შემდეგ დასვეს კურაპალატად.

გურგენ ერისთავი, ბაგრატ არტანუჯელის ძე, გარდაიცვალა ქორონიკონის 143-ში (923 წ.), იმავე წელს, როდესაც მიიცვალა ქართველთა მეფე ადარნასე. და დატოვა გურგენმა ჯერ კიდევ დაუბადებელი ძე, რომელსაც ეწოდა აგრეთვე გურგენი, თავისი მამის სახელი.

ქართველთა მეფე დავითი, ძე ქართველთა მეფის, ადარნასესი, გარდაიცვალა ქორონიკონის 157-ში (937 წ.) და არ დარჩენია მას ძე.

აშოტი, ბაგრატ არტანუჯელის ძე, გარდაიცვალა ქორონიკონის 159-ში (939 წ.), ივნისის თვეში, და არ დარჩენია მას ძე.

გურგენი, დიდი ერისთავთერისთავი, ადარნასეს ძე, რომელმაც ყველა თავის წინაპარზე მეტი მამაცობა გამოიჩინა, უამრავი ბრძოლა გადაიტანა და დაიმორჩილა ყველა გარშემო მყოფი, გარდაიცვალა ქორონიკონის 161-ში (941 წ.), თებერვლის თვეში, 14 რიცხვში. არ დარჩენია მას ძე.

[381] დავით მამფალი, სუმბატ არტანუჯელის ძე, გარდაიცვალა ბერობაში, ქორონიკონის 163-ში (943 წ.), თებერვლის თვეში, ოც რიცხვში. დატოვა ძე სუმბატი, რომელიც დასვეს ერისთავთერისთავად.

ბაგრატ მაგისტროსი, ადარნასე ქართველთა მეფის ძე, გარდაიცვალა ქორონიკონის 165-ში (945 წ.), მარტის თვეში, და დატოვა ძე ადარნასე, რომელიც თავისი მამის შემდეგ მაგისტროსი გახდა, ხოლო მამის ძმების შემდეგ კურაპალატი შეიქნა. ბაგრატ მაგისტროსის გარდაცვალების წელსვე გარდაიცვალა ბასილი, კლარჯელი ბერი, ბაგრატ მამფალის ძე.

აშოტ კურაპალატი, ადარნასე ქართველთა მეფის ძე, გარდაიცვალა ქორონიკონის 174-ში (954 წ.). არ ჰყავდა მას შვილი. ამავე წელს გარდაიცვალა აშოტი, სუმბატის ძე. არ დარჩენია მას ძე.

აშოტ კურაპალატის შემდეგ კურაპალატად დასვეს მისი ძმა, სუმბატი. სუმბატ კურაპალატი, ადარნასე ქართველთა მეფის ძე, გარდაიცვალა ქორონიკონის 178-ში (958 წ.) და დატოვა ორი ძე: ბაგრატ ერისთავთერისთავი, რეგვენი, რომელიც ქართველთა მეფედ დასვეს, და ადარნასე კურაპალატი.

ადარნასე კურაპალატი, ბაგრატ მაგისტროსის ძე, გარდაიცვალა

ქორონიკონის 181-ში (961 წ.). იგი თავისმა შვილებმა შეიპყრეს და ბერად აღკვეცეს. მოკვდა ბერობაში იძულებით მყოფი და დატოვა ძენი: ბაგრატი და დავით ერისთავთერისთავი. გარდაიცვალა ეს ბაგრატი ერისთავთერისთავი, ადარნასე კურაპალატის ძე, ქორონიკონის 186-ში (966 წ.), ხოლო მისი ძმა, დავით კურაპალატი, განდიდდა.

გურგენი, ბაგრატი მამფალის ძის, გურგენის ძე, გარდაიცვალა ქორონიკონის 188-ში (968 წ.).

ადარნასე, სუმბატ კურაპალატის ძე, ბაგრატი რეგვენის ძმა, გარდაიცვალა ქორონიკონის 203-ში (983 წ.) და დატოვა ძე, დავით მცირე.

სუმბატ არტანუჯელი, ერისთავთერისთავი, ძე დავით მამფალისა, სამართლიანი ადამიანი, გარდაიცვალა ქორონიკონის 208-ში (988 წ.) და დატოვა ორი ძე: დავითი და ბაგრატი. მამის გარდაცვალებიდან მეორმოცე დღეს გარდაიცვალა მისი ძე ბაგრატი და დატოვა ორი ძე: სუმბატი და გურგენი.

სუმბატი, ქართველთა მეფის, ბაგრატი რეგვენის ძე, გარდაიცვალა ქორონიკონის 212-ში (992 წ.) და არ დარჩენია შვილი.

გარდაიცვალა დავითი, ძე სამართლიანი და დიდებული სუმბატ ერისთავთერისთავისა; გარდაიცვალა ქართველთა მეფე, ბაგრატი რეგვენი, ძე კურთხეული [382] სუმბატ კურაპალატისა, ქორონიკონის 214-ში (994 წ.) და დატოვა თავისი პირმშო, გურგენი, რომელსაც უწოდეს მეფეთ მეფე. ამ გურგენს ჰყავდა ძე ბაგრატი, რომელიც დედის მხრიდან იყო აფხაზთა მეფეების, დემეტრესა და თევდოსეს, დისწული. გურგენის გამეფებამდე ეს ბაგრატი მეფობდა აფხაზეთში, ამიტომ ეწოდა გურგენს მეფეთ მეფე.

გარდაიცვალა დავით დიდი კურაპალატი, ადარნასე კურაპალატის ძე, ქორონიკონის 221-ში (1001 წ.) და არ დარჩენია მას ძე.

გაჩანაგდა იმიერ-ტაო. მოვიდა ბერძენთა მეფე ბასილი და ამ დავითის აზნაურებმა ჩააბარეს მას ციხეები; დაიპყრო ბასილი მეფემ დავით კურაპალატის სამფლობელო. ეახლნენ მას აფხაზთა მეფე დავითი და მისი მამა გურგენი; უბოძა ბასილმა პატივის ნიშნად გურგენს მაგისტროსობა, ხოლო ბაგრატს – კურაპალატობა. ასეთი ვერაგობით მას სურდა ერთმანეთისთვის გადაემტერებინა მამა-შვილი, მაგრამ გურგენი პატიოსანი და სამართლიანი იყო და ამ მიზეზით ვერ აღუძრა მას შური და ვერც სხვა გზით მოახერხა ეს ბასილმა.

გურგენ მეფეთ მეფე, ძე ბაგრატი ქართველთა მეფისა, გარდაიცვ-

ალა ქორონიკონის 228-ში (1008 წ.) და დატოვა თავისი ძე, აფხაზთა მეფე დავითი, დიდი კურაპალატი. ბაგრატი განაგებდა თავის მამულს, ტაოს, ძალაუფლება განავრცო მთელ კავკასიაზე ჯიქეთიდან გურგენამდე. ადარბადაგანი და შარვანი სომხითის მოხარკედ აქცია. მშვიდად განაგებდა ბაგრატი. თავისი სიბრძნისა და ძლიერების წყალობით სპარსეთის მეფე საკუთარი ოჯახის წევრებზე უფრო მეტად დაიმეგობრა და გაიერთოულა. ბერძენთა მეფესაც მუდმივად მისი შიში ჰქონდა.

ამ ბაგრატი კურაპალატმა დაიბარა ფანასკერტის ციხეში თავისი მამის დისწულები, კლარჯი ხელმწიფენი, სუმბატი და გურგენი, ბაგრატი არტანუჯელის ძენი. შეიპყრო ისინი, ხელში ჩაიგდო მათი ციხეები და სამფლობელოები, ხოლო ისინი დაატყვევა თმოგვის ციხეში. და იქ, თმოგვის ციხეში, გარდაიცვალა სუმბატი არტანუჯელი ქორონიკონის 231-ში (1011 წ.). იმავე წელს გარდაიცვალა გურგენიც, სუმბატის ძმა, ქორონიკონის 232-ში (1012 წ.). ამათი შვილები წავიდნენ კონსტანტინოპოლში, ბასილ მეფესთან: ძე სუმბატისა, ბაგრატი და ძე გურგენისა, დემეტრე. კლარჯთა მეფეთა შთამომავლები, ვინც კი დარჩა საკუთარ ქვეყანაში, ყველამ პატიმრობაში დაასრულა სიცოცხლე.

ამის შემდეგ შემოიარა ბაგრატი მთელი თავისი სამეფო, აფხაზეთი, ჰერეთი და კახეთი; მოვიდა და გამოიზამთრა ტაოს ხევში. როდესაც დადგა ზაფხული, მოვიდა [383] იმავე ფანასკერტის ციხეში, მესამე წელს. იქ გარდაიცვალა ბაგრატი ქორონიკონის 234-ში (1014 წ.), მაისის თვეში, 7 რიცხვში, პარასკევ დღეს. დატოვა თავისი ძე გიორგი, რომელიც გამეფდა 18 წლის ასაკში.

გამეფდა თუ არა გიორგი, განუდგა მას ჰერეთ-კახეთი. აზნაურთა სივერაგის გამოისობით შეიპყრეს ერისთავები: ამ მხარეს კვლავ დაეუფლნენ მათი ადრინდელი გამგებელნი.

გიორგის მეფობის მეშვიდე წელს ბერძენთა მეფემ, ბასილმა, გამოილაშქრა მის წინააღმდეგ. გიორგი დიდი ლაშქრით გამოვიდა და ორივე მრავალი დღის მანძილზე დაბანაკებული იყო ბასიანის მხარეში. არც ერთი მხარე არ იწყებდა ბრძოლას. გამოერიდა გიორგი, წამოვიდა და დანვა ქალაქი ოლთისი; იქიდან მოვიდა კოლაში. ფეხდაფეხ დაედევნა მას ბერძენთა მეფე და როდესაც შეხვდნენ ერთმანეთს გიორგის უკანა რაზმები და ბასილის ლაშქრის წინამავალი მხედრობა, გაიმართა დიდი ბრძოლა სოფელში, რომელსაც ჰქვია შირიმთა. მრავალი დაიღუპა ორივე მხრიდან. დაიღუპნენ დიდი ერისთავები: ლიპარიტის

ძე რატი და ხურსი. ესმა რა გიორგი მეფეს ომის ხმა, განრისხდა, და-
იძრა და მოვიდა იმ ადგილას, სადაც ბრძოლა მიმდინარეობდა. მოვიდა
იქ მეფე ბასილიც დიდი ლაშქრით.

დაუპირისპირდნენ ისინი ორი მხრიდან ერთმანეთს. გაიმართა სას-
ტიკი ბრძოლა და დაიღუპა ბევრი სახელგანთქმული ბერძენი. გიორ-
გის მხარემ ნადავლი წამოიღო. იმდენად დიდი ბრძოლა იყო, რომ ბასი-
ლი მეფე უკვე გასაქცევად ემზადებოდა, მაგრამ გიორგის მხედრებმა
სულმოკლეობა გამოიჩინეს, რადგან განერიდნენ და მიატოვეს ბრძო-
ლის ველი. ბასილი დაედევნა მათ, მოვიდა არტანუში და დანვა ის. ვინც
კი ხელში ჩაიგდო, ყველა დაატყვევა. გიორგი ნიალის გავლით წავიდა
სამცხეში, დაედევნა მას ბასილი ჯავახეთის მხრიდან და თავის გზაზე
ყველაფერი გაანადგურა. გადავიდა გიორგი თრიალეთში, ბასილიც
უკან მიჰყვა. შეხვდნენ რა აქ ერთმანეთს, გიორგის ლაშქარი უკვე გა-
ძლიერებული იყო, რადგან შეიერთა მან წანარები და შაქნი. დაინახა
ეს ბასილმა, მიბრუნდა თრიალეთისკენ, გადაიარა ჯავახეთსა და არ-
ტანზე ზამთარში და კვლავ საშინლად ააოხრა იქაურობა. წავიდა და
გამოიზამთრა ხალდიაში, ქალაქ ტრაპიზონთში. და მიმოდიოდნენ ამ
ორი მეფის მოციქულები ერთმანეთთან ზავისა და მშვიდობისათვის.

ამ დროს საბერძნეთში დიდი მღელვარება იყო, რადგან გაერთიანდ-
ნენ ბასილის სპასპეტი და წარვეზი, ფოკა განდგომილის ძე. გამეფდა
ქსიფი. გადაიბირეს მთელი აღმოსავლეთის მხარე. ღმერთმა დიდად
შეშინებულ ბასილს [384] წყალობა მოუვლინა, რადგან განუდგა ქსიფე-
ნი წარვეზს, ყველა მისი მომხრე შეიტყუეს ციხეში, წარვეზი შეიპყრეს
და გამოგზავნეს ბასილის წინაშე. ბასილმა ის კუნძულზე გადაასახლა,
ხოლო მის მრავალ მომხრეს თავი მოჰკვეთა. მათ შორის იყო ფერისი,
ჯოჯიკის ძე, ქართველი.

მეფე ბასილი კვლავ დაბრუნდა და მოვიდა ბასიანში. ითხოვდა ის
მეფე გიორგისაგან ციხეებსა და მხარეებს და აღუთქვამდა ზავსა და მშ-
ვიდობას. გიორგი მეფემ წინ გაგზავნა ზვიადი დიდი ლაშქრით. თითქოს
გამოსაზამთრებლად დაბანაკდა ზვიადი ბასიანის აქეთა მხარეს. თვით
გიორგი მეფე დიდი და ძლიერი ლაშქრით, მაგრამ დაზავების სურვილ-
ით, უკან გამოჰყვა. მზაკვარმა აზნაურებმა ორივე მხრიდან არ მისცეს
გიორგის დაზავების საშუალება, რადგან არ სურდათ მშვიდობა, არამედ
განაწყვეს ის საბრძოლველად ბასილის წინააღმდეგ. ბასილს ეგონა, რომ
ისინი ზავისა და მშვიდობისათვის მიდიოდნენ მასთან და ელოდებოდა

მათ. გიორგის მხარემ დაიწყო ბრძოლა და ბასილის ლაშქრის ნაწილი გააქცია. მაშინ ბრძანა ბასილ მეფემ შუბის წვერზე ჩამოკიდება გიორგის მიერ მონერილი წერილისა კავშირისა და ზავის შესახებ. შუბის წვერით ამართა მეფე ბასილმა წერილი და ღმერთს მიმართა: „იხილე, უფალო, მათი წერილი და ის, რასაც ან სჩადიან“.

კვლავ აიღო ბასილმა წმინდა ხელსახოცში გამოხვეული ძელი ცხოვრებისა, დაადო ის მინაზე და თქვა: „თუ ჩამაგდებ მტრის ხელში, აღარასოდეს გცემ თაყვანს“. როგორც კი ეს გააკეთა და თქვა, მაშინვე დამარცხდნენ გიორგის მხედრები და ის ლაშქარი, რომელიც უფრო ადრე მივიდა, გაიქცა ბრძოლის ველიდან. მეორე მხრიდან გამოვიდნენ მეფის მომხრე რუსთა რაზმები, ხოლო ადრე მოსულთაგან, ძალიან მცირე რაოდენობის გარდა, არავინ დარჩა. თვით მეფე გიორგი თავისი უძლიერესი ლაშქრით ჯერ არ იყო იქ მისული. იმ დღეს დაიხოცნენ ისინი, ვისაც მშვიდობა არ სურდა. გააქციეს ყველა. ურიცხვი რაოდენობა გაქცეულებისა მახვილით დახოცეს. ბერძნებმა დიდი ნადავლი ჩაიგდეს ხელთ და მთელი სამეფო განძი, რომელიც თან ჰქონდათ ქართველებს წაღებული.

წინ წამოინია ოდნავ ბასილმა და უკან მოუდგა მეფე გიორგის. კვლავ ჩამოადო სიტყვა დაზავებისა და მშვიდობის შესახებ, რადგან საბერძნეთში არეულობის დაწყების შიში ჰქონდა. დაამყარეს მაშინ მშვიდობა და დაზავდნენ.

მძევლად მეფე გიორგიმ ბასილს თავისი სამი წლის ჩვილი ყრმა ბაგრატი მისცა; ჩააბარა თორმეტი ციხე და დავით კურაპალატის მფლობელობაში მყოფი მხარეები ტაოში, ბასიანში, [385] ჯავახეთსა და შავშეთში. ასე წავიდა ბერძენთა მეფე ბასილი და თან წაიყვანა მცირეწლოვანი ყრმა ბაგრატი. მისი დაბრუნება სამი წლის შემდეგ აღუთქვა მეფე გიორგის.

გავიდა რა სამი წელი, გამოგზავნა მეფე ბასილმა ბაგრატი, ძე გიორგისი, ქალაქ კონსტანტინოპოლიდან, როგორც აღუთქვა. მოაღწია ბაგრატმა ტაომდე და შემოვიდა თავის მამულში, ბანაში. აღმოსავლეთის კატაბანი თან ახლდა მას მისი მამულის საზღვრამდე. გაბრუნდა თუ არა კატაბანი, შემოხვდნენ მას მანდატურნი ასეთი წერილით: „მიიცვალა ჩემი ძმა, მეფე ბასილი. მე გავმეფდი მთელ საბერძნეთში. და ან, სადამდეც გინდა იყოს მისული სახელმწიფოში გიორგის ძე ბაგრატი, სწრაფად დააბრუნე და გამოგზავნე ჩვენ წინაშე.“ როგორც კი ეს კატაბანმა წაიკითხა, სწრაფად გაბრუნდა და დაედევნა ბაგრატს,

მაგრამ ვერ დაენია, რადგან ის უკვე შესული იყო თავის მამულში და გაძლიერებული იყო ლაშქრით, რომელთან შებრძოლების ძალა კატაბანს არ შესწევდა. ამიტომ გატრიალდა და წავიდა. ეჰა, ღვთის დიდი და საკვირველი მოწყალეობა! ასე დააღწია თავი მართალმა თავის დამტყვევებელთა და მტერთ ქორონიკონის 245-ში (1025 წ.).

ჩამოვიდა ბაგრატი საბერძნეთიდან თავის მამასთან, მეფე გიორგისთან და დედასთან, მარიამ დედოფალთან ქალაქ ქუთათისში. და ასე მშვიდობით შეიკრიბნენ, მადლობა აღავლინეს უფლის მიმართ მათთვის ამგვარი სიკეთის მინიჭებისათვის. ამის შემდეგ, გავიდა რა ორი წელი, გარდაიცვალა გიორგი, ბაგრატის მამა, თრიალეთში, იმ ადგილას, რომელსაც ეწოდება მყინვარი, ქორონიკონის 247-ში (1027 წ.), აგვისტოს თვეში, 16 რიცხვში. დაკრძალეს ის ქუთათისში.

გიორგის შემდეგ, ცხრა წლის ასაკში, გამეფდა ძე მისი ბაგრატი. ტაოელი აზნაურები წავიდნენ საბერძნეთში: ვაჩე კარიჭის ძე, ბანელი ეპისკოპოსი იოვანე და მათთან ერთად ტაოს აზნაურთა უმეტესობა, ზოგი ციხის მფლობელი, ზოგნიც – უციხონი, განუდგნენ ბაგრატს და მიემხრნენ კოსტანტინეს, ბერძენთა მეფის, ბასილის ძმას, რომელიც ბასილის შემდეგ გამეფდა.

თავისი გამეფების მეორე წელს გამოგზავნა მეფე კოსტანტინემ პარკიმანოსი³⁶ უზარმაზარი ლაშქრითა და ურიცხვი განძით, გაცლილებით დიდი ძალებით, ვიდრე ადრე გამოილაშქრა მისმა ძმამ, მეფე ბასილმა. მოიარა და მოაოხრა ის მხარეები, რომლებიც ადრე უკვე მოოხრებული ჰქონდა მეფე ბასილს. მივიდა ის თრიალეთში, კლდეკარის ციხესთან, სადაც მაშინ იყვნენ ბაგრატის აზნაურები. შეებრძოლნენ ისინი კოსტანტინეს, მაგრამ მსუბუქად და კვლავ განუდგნენ მეფეს: ჩააბარეს ბერძნებს ციხეები. ჩანჩახამ, შავშეთის ერისთავმა, მისცა წეფთის ციხე. თვითონ აზნაურები კი წავიდნენ საბერძნეთში.

[386] ტბეთის ეკლესიის მახლობლად მტბეევარმა ეპისკოპოსმა საბამ ააშენა სიმაგრე და უწოდა მას „სვეტი“. შეკრიბა ეპისკოპოსმა თავისი მრევლი და შევიდა შიგ; გამაგრდნენ იქ აგრეთვე ეზრა, ანჩელი ეპისკოპოსი, და შავშეთის აზნაურები.

გამოგზავნა პარკიმანოსმა დიდი ლაშქრით იოვანე ხარტულარი, ზედწოდებით ვალანგი. გამოაყოლა მას დემეტრე, ძე გურგენ კლარჯისა, იმ მხარის მკვიდრთა მოსატყუებლად. და მართლაც ასე მოხდა: გადავიდნენ ბერძენთა მხარეზე სოფლის მაცხოვრებელნი, უგუნურ-

ნი და უსუსურნი თავიანთი გონებითა და სურვილებით. შემოერთცა ლაშქარი ტბეთის სვეტს და იბრძოდა ძლიერად. მაგრამ ღმერთმა გააძლიერა სვეტში მყოფნი წმიდა მოციქულთა მადლითა და მეოხებითა და მღვდელთმოდღვართა ლოცვით. მათ, როგორც ერთგულმა და ჭემმარიტმა საღმრთო მოწამეებმა, სასიკვდილოდ განირეს თავი, მოციქულთა სიტყვისაებრ, მზად იყვნენ მომკვდარიყვნენ თავიანთი ხორციელი უფლისათვის, სისხლს ღვრიდნენ, ძლიერდებოდნენ და ყველას ეუბნებოდნენ: „ნუ შეგვაცდენენ ჩვენ მაცდური სიტყვები და სწრაფად წარმავალი სიმდიდრე, არამედ მოვიპოვოთ ერთგულების მადლი და სიმამაცის გვირგვინი“. ამას ამბობდნენ იმიტომ, რომ გარს შემორტყმული მტერი ცდილობდა მათ შეცდენას ყველანაირი სიკეთისა და სიმდიდრის აღთქმითა და დაპირებით.

მაშინ, როდესაც აღმოსავლეთი, მღელვარებით მოცული, ამგვარად იგვემებოდა, უსამართლო მეფე კოსტანტინეს, მსგავსად ივლიანე ურჯულოსი, ღვთის რისხვა ეწია ჩვენი მეფის, ბაგრატის მიმართ ჩადენილი უმონყალობის – მისი მამულის აოხრების გამო. სწრაფად მოსწერა თავის პარკიმანოს-პროედროსს, რათა მაშინვე დაბრუნებულიყო ის ლაშქრითურთ კონსტანტინოპოლში. გაიგო რა ეს პარკიმანოსმა, წავიდა. როდესაც გარდაიცვალა კოსტანტინე მეფე, მეფობა დაუტოვა რომანოზს, თავის ნათესავსა და მომხრეს.

ამ ამბებიდან მესამე წელს სანატრელი დედოფალი მარია მი, ბაგრატ მეფის დედა, აღიჭურვა მხნეობითა და სიმამაცით, რადგან იყო ბრწყინვალე, ძლიერი და დიდი არშაკუნიანთა სამეფო საგვარეულოს შთამომავალი, და წავიდა კონსტანტინოპოლში რომანოზ მეფესთან, რათა შევედრებოდა მას მშვიდობას აღმოსავლეთისათვის, ეთხოვა, რომ აღარ ყოფილიყო ბრძოლა ბერძენთა და ქართველთა შორის, რათა გლახაკთ დანყნარებული და მშვიდობიანი ცხოვრება ჰქონოდათ და რათა მიეღო მის ძეს, ბაგრატ მეფეს, თავისი შესაფერისი პატივი.



ცხოვრება მეფეთ მეფისა თამარისი



ორონიკონის [115]³⁷ 375 წელს (1155 წ.) გამეფდა დავითის ძის, დემეტრეს ვაჟი გიორგი. ძლიერებაში გაატარა მან ცხოვრება, იმეფა კეთილად, შემატა საყდრებს, მონასტრებს, ეპისკოპოსებს. მეფის წუხილის საგანი უშვილობა იყო, მაგრამ უფალმა მოიღო მასზე წყალობა, დაბერა საამო ნიაჴმა და შეეძინათ ქალი, ყოველმხრივ უნაკლო და ღირსეული. დაარქვეს სახელად თამარი.

გავიდა რამდენიმე წელი და გარდაიცვალა მეფე გიორგი. შეიქნა უზომო გლოვა და მწუხარება. განსაკუთრებულად იგლოვდა მისი და, რუსუდანი.

რუსუდანი შამირამეთის დიდი სულტნების რძალ-ყოფილი იყო – ხვარასნელთა³⁸ მთელი სამფლობელოს დედოფალი. დაქვრივების შემდეგ სამშობლოში დააბრუნეს და ქართველთა დედოფლად დასვეს, სადიდებლად მისი გვარისა და სამეფოსი. იმ დროისათვის თამარი თავის დასთან ერთად, რომელსაც აგრეთვე რუსუდანი ერქვა, მამიდასთან იმყოფებოდა. აქ ვერ გაიმბობთ იმის შესახებ, თუ რამდენად იყო ის შემეკული და აღმატებული თავის წინამორბედ დედოფლებთან შედარებით. გავზედავ და ვიტყვი მხოლოდ, რომ ოთხმოცი წლის ასაკში რუსუდანი იყო სინმიდითა და სიკეთით აღსავსე და „შეიყუარა მტკიცედ ქალწულება“.³⁹

დავუბრუნდეთ ჩვენს თხრობას. იგლოვდნენ ქეშმარიტად ღირსეულნი, მაგრამ სამეფოს წარჩინებულებმა თამარზე ზრუნვის გამო გლოვა არ გააგრძელეს. დასცეს საყვირი, როგორც ეს ოდესღაც სოლომონის გამო მოხდა, დადგეს ვახტანგიანთა სვიანი ტახტი, დავითიანთა საყდარი, რომელიც ადრე მთვარისთვის განამზადა მეფეთ მეფემ, საბაოთ ელოიმმა, რათა ამ გვარს ემართა ქვეყანა ზღვიდან-ზღვამდე და მდინარეებიდან ქვეყნიერების კიდემდე. დიდებულებმა აღმართეს სკიპტრა, ძელი ჯვარისა და მასთან ერთად დავითის დროშა [116], რომელსაც არასდროს ხვდომია წილად დამარცხება. ერთსულოვნად ჩააბარეს მათ თამარს მამულის ხმალი მამისგან მინიჭებული ტახტითურთ.

დაუმსახურებლად მიიღო ეს ყველაფერი ამ დიდი გონების პატრონმა? არა, არ ყოფილა ასე! გვირგვინი და მეფობა შეუფერებელს მიანიჭეს? განა არ მოხიბლა ყველა თავისი მშვენიერებით? ძველად ნათქვამს გავიმეორებთ: ის, ვინც თამარი ვერ ნახა, ბრმადშობილი ბრმადვე დატოვებს ამ ქვეყანას. მის კარგ აღნაგობას ამშვენებდა თვალთა სილურჯე, ღანვთა სპეტაკთა ვარდებრივი ფეროვანება, მორცხვი გამოხედვა, ლალი მიმოხვრა, ტკბილი, მხიარული და თავშეკავებული საუბარი, გამბედავი ბუნება. ტყუილად როდი შეამკო ღმერთმა თამარი ასე. ვფიქრობ, სწორი იქნება თუ ვიტყვი, რომ ადრევე იქნა ის შექებული დავითის ნათქვამით, რომელიც თამარსაც შეიძლება მიუხსადაგოთ: თავყანი უნდა ეცათ მისთვის მეფეებსა და მთავრებს და წინამძღვრად უნდა ეღიარებინა მთელ გვარს.

ღმერთს ადიდებდა ყველა. იხილეს რა მღვდელთმთავართა მიერ გვირგვინდადგმული მეფე, ქება-დიდება შეასხეს მას, თქვეს, რომ ზეციური ძალებიც მონანილენი იყვნენ ამქვეყნის მკვიდრთა სიხარულისა. საკვირველებად მიმაჩნია, რომ იმ დროს არ გამოჩენილა მისებრ მამაცი მამაკაცი მეფე და ადამიანები, თითქოს უკვე გამოცდილებაშიღებულნი, იმედით აღსავსენი მიისწრაფოდნენ და ერთმანეთს მიუძღოდნენ, სიხარულით აღვსილნი ღმერთს მადლობას სწირავდნენ, მეფეს აქებდნენ და თავიანთ ბედს შენატროდნენ.

ღვთის ნებით, გამეფდა თამარი დასაბამიდან ექვსი ათას ექვსას ოთხმოცდაექვს წელს, ქორონიკონის 403-ში (1183 წ.), ასული მეფეთ მეფისა გიორგისი, რომელიც იყო დიდი დავითის ძის, დემეტრეს ვაჟი. გიორგის ცოლი, ოვსთა მეფის ასული ბურდუხანი, ყველა ქალზე აღმატებული იყო არა მხოლოდ თამარის დედობის გამო, არამედ თავისი

სიკეთითაც – სხვა მისებრი რძალი იმ დრომდე არ ეხილა ქართლს. იგი ღირსია აქონ თაობიდან თაობამდე.

[117] რა შეიძლება ითქვას თამარის შესახებ თუ არა ის, რომ სამეფოსა და ერისათვის იგი ღვთის მონაცვალე იყო. მაღალი გონებით და თავმდაბლობით, მასზე დაკისრებული საქმის მნიშვნელობისა და სიდიდის შეგნებით მიაპყრო მზერა მამულს და სულიწმიდის დახმარებით იწყო ქვეყნის მართვა. მახვილი თვალის წყალობით ადვილად გაერკვა თავის გარემოში: იმაში, თუ ვინ იყო წრფელი და ვინ – უკეთური, არამართალი და უმანკო, ერთგული და ორგული. ბრძნული გადაწყვეტილებით თავიდან ყველას თანაბრად მიანიჭა უხვი წყალობა, რათა ნაწილს ერთგულების გამო გამოეხატა თავისი მადლიერება, ხოლო მეორენი გასამრჯელოს მიღების გამო დადუმებულიყვნენ.

რჯულთან მიმართებით თამარმა კოსტანტინეს არ დაუდო ტოლი – მის მსგავსად ეშურებოდა საღმრთო საქმეთა დანყებას, ალესილი მახვილით ბოროტების თესლის მოსრვას: საჭიროდ მიიჩნია საეკლესიო კრების მოწვევა და მსოფლიო კრებათა დადგენილებების აღიარება.

პირველ რიგში წმიდა ქალაქ იერუსალიმიდან მოუწოდა ნიკოლოზ გულაბერის ძეს, რომელსაც თავმდაბლობის გამო უარი ჰქონდა ნათქვამი ქართლის კათალიკოსობაზე⁴⁰. მისი მოსვლის შემდეგ შეკრიბა სამეფოს მღვდელთმთავარნი, მონაზონნი და მეუდაბნოენი, ადამიანები, რომლებიც კარგად იცნობდნენ საღმრთო რჯულს და გაანდო მათ სურვილი [118] თავის სამეფოში აღმოეფხვრა მართლმადიდებლობაში შემოთესილი ბოროტი თესლი. უფლის რწმენითა და იმედით თამარმა სწრაფად მიაღწია მიზანს.

როდესაც თავი მოიყარეს ორივე სამთავროს ეპისკოპოსებმა, რომელთაც წინამძღვრობდა ზემოთ ნახსენები ნიკოლოზი, მსგავსი თავისი თანამოსახელისა, და ანტონი ქუთათელი საღირის ძე, დიდად განთქმული სათნოებით, სიტყვითა და ძლიერი საქმით, მიეგება მათ თამარი საოცარი თავმდაბლობით, არა როგორც მეფე, არამედ როგორც ჩვეულებრივი ადამიანი, მიეგება არა როგორც კაცებს, არამედ როგორც ანგელოზებს. შეკრიბა ისინი ერთ შენობაში, დასხა პატივით, ხოლო თვითონ დაჯდა განმარტოებით, არა როგორც მეფე, და ასე მიმართა:

„წმიდანო მამანო, ღვთის მიერ ხართ დადგენილნი ჩვენ დასამოძღვრად და წმიდა ეკლესიის მესაჭეებად, ჩვენი სულებისათვის საზრდოს მოსაცემად. გამოიძიეთ ყოველივე სრულყოფილად, დაადასტურეთ მართალთა სიმართლე, ხოლო ვერაგნი განდევნეთ. დაიწყეთ

ჩემგან, რადგან თავს მადგას მეფის და არა ღვთისმბრძოლის გვირგვინი. ნუ იქნებით მიკერძოებულნი მთავრებისადმი მათი სიმდიდრის გამო და ნურც ლატაკებს მოექცევით უდიერად უქონელობისათვის. ერთად დავიცვათ შევინებისაგან საღმრთო რჯული – თქვენ სიტყვით, მე – საქმით; თქვენ – დამოძღვრით, მე – დასჯით; თქვენ – სწავლებით, მე – წვრთნით. გავაკეთოთ ეს იმისათვის, რათა არ დავისაჯოთ: თქვენ – როგორც მღვდელნი, ხოლო მე – როგორც მეფე; თქვენ – როგორც გამგებელნი, ხოლო მე – როგორც მცველი“.

ესმა რა მამათა კრებულს ყოველივე ეს, მადლობა შესწირა ღმერთსა და ღმრთივგანბრძნობილ მეფეს. კიდევ მცირე ხანი დაჰყო მათთან თამარმა, შემდეგ მიიღო კურთხევა და დაბრუნდა სასახლეში.

კრების წინამძღვრებმა, ნიკოლოზმა და ანტონმა, რომლებიც როგორც ცისკრის ვარსკვლავი ისე აღემატებოდნენ დანარჩენთ სიკაშკაშით, არ ინებეს, რომ მათ შორის ყოფილიყო ქართლის მაშინდელი კათალიკოსი, რადგან გადაუხვია მან ეკლესიის წესებს, მზაკვრობით მოიპოვა უფლისაგან ჭყონდიდელ-მანყვერელობა და მწიგნობართუხუცესობა. ვერ გადააყენეს, მიუხედავად იმისა, რომ ბევრს ეცადნენ [119], მაგრამ მალევე გადააყენა იგი უფლის სასჯელმა. ზოგიერთი ეპისკოპოსიც შეიცვალა და მათ ნაცვლად საღმრთო კაცები დასხეს, ბევრი საეკლესიო წესიც აღადგინეს, უკეთურთა მიერ დარღვეული.

კრების დამთავრებისას შემოვიდნენ სპასალარნი და სამეფოს ერისთავნი და მოახსენეს მამებს, რომ საჭირო იყო ზრუნვა იმაზე, რომ შეერჩიათ სიძე, თამარის მომავალი ქმარი. ასეც მოიქცნენ. ეახლნენ რუსუდან დედოფალს და ერთობლივი გადანყვეტილებით გაგზავნეს კაცი რუსთა სამეფოში, როგორც ქრისტიანულ და მართლმადიდებელ ქვეყანაში. ვერ წარმართეს კარგად საქმე, რადგან არც წარგზავნილი კაცი იყო იმ დავალების ღირსი და არც მისმა წარმგზავნელებმა იცოდნენ, თუ ვის ჩამოიყვანდა ის.

გარკვეული დროის შემდეგ დაბრუნდა წარვლინებული და ჩამოიყვანა კაცი დიდგვაროვანი, იმ მხარის ყველა მეფეზე აღმატებული. არც გარეგნობით იყო დასაწინი. როდესაც იგი იხილეს, ყველას მოეწონა, რადგან არავინ იცნობდა მის ბუნებასა და ზნეს.

შეიკრიბნენ რუსუდან დედოფალთან პატრიარქი და დიდებულნი, სპასპეტნი და ერისთავნი: აცნობეს თამარს, შესთავაზეს ქორწინება და თანაც აჩქარებდნენ.

[120] მაგრამ თამარის პასუხი ასეთი იყო: „კაცნო, როგორ შეიძლება ასეთი მოუფიქრებელი ნაბიჯის გადადგმა? ამ უცხო კაცის შესახებ არაფერი ვიცით – მისი ქცევის, საქმის, მხედრობის, ბუნების, ზნის. დრო მომეცით, სანამ გაირკვევა მისი სიკეთე, ან სიმრუდე“.

ისინი კი წინააღმდეგობას უწევდნენ, უშვილობას ახსენებდნენ, სამეფო სახლის უნაყოფოების გამო შფოთავდნენ, სპათა წინამძღოლს ითხოვდნენ და ყველანაირად აფორიაქებდნენ თამარის სულს, ემსგავსებოდნენ ირემს, რომელსაც შეუძლია მხოლოდ სახის დანახვა, სპილოს მსგავსად არ ამოწმებდნენ, ჰქონდათ თუ არა საყრდენი – ყველანაირად აწუხებდნენ და უფორიაქებდნენ სულს და ასეთ რთულ საქმეს მსუბუქად უყურებდნენ.

რალა ბევრი გავაგრძელოთ? ხანგრძლივი კამათის შემდეგ თამარის სურვილის გარეშე ქმნეს ქორწილი და დიდი ხნის მანძილზე ილხენდნენ, როგორც ეს მსგავს საქმეს შეეფერებოდა.

არცთუ დიდი დროის შემდეგ ახდა თამარის ნათქვამი: რუსმა გამოავლინა სკვითური ბუნების უარყოფითი მხარე – სიმთვრალეში მრავალ საძაგელ, უნესო საქციელს სჩადიოდა. ამის შესახებ ზედმეტად მიგვაჩნია წერა და საუბარი, რათა სიტყვა არ გაგვიგრძელდეს.

ორნახევარი წლის მანძილზე, ვითარცა გრდემლი, ისე ითმენდა მხნე თამარი რუსის უკეთურებას, მაგრამ სხვამ ველარავინ მოითმინა. იწყეს წუხილი და, ამასთან ერთად, ყველას რცხვენოდა თამარის თავიანთი ადრინდელი დავის გამო.

[121] ბრძენმა თამარმა მრავალი რამ იღონა რუსის განსაკურნავად და სანდო მონაზონთა პირით ბევრჯერ მიმართა მას, მაგრამ ამან რუსს სარგებლობა ვერ მოუტანა. ამის გამო თამარმა პირისპირ იწყო მისი მხილება, რამაც რუსი, ღვთის მიერ გამოაშკარავებული, კიდევე უფრო განარისხა. როგორც წერილი ამბობს, „გკურნავდით ბაბილონს და არ იკურნებოდა“. არათუ არ შეიგონა, არამედ უარესად იწყო მოქცევა – წარჩინებული ადამიანები უდანაშაულოდ გვემა და „ასოთა აღმოგდებით“⁴¹ აწამა.

აუტანელი შეიქნა ეს ყოველივე თამარისთვის და ყველას წინაშე განუცხადა რუსს: „მართალია, საღმრთო რჯულიდან ვიცი, „არა განშორებად პირველსა სანოლსა“⁴², მაგრამ არავინ არის ვალდებული აიტანოს იმასთან ყოფნა, ვინც წმიდად არ დაიცავს თავის სარეცელს: იგი ამით ღვთის ტაძარს აგინებს. მე არ ძალმიძს მრუდე ხის აჩრდილის

გასწორება და ამიტომ უდანაშაულო ვარ, ჩამოვიბერტყავ იმ მტვერს, რომელიც შენ გამო აღმეკრა“.

თქვა ეს, ადგა და მიატოვა იგი, ხოლო რუსუდან დედოფალმა და მთავრებმა გააძევეს რუსი, შესაბრალისი არა იმდენად მეფობის ჩამორთმევის, რამდენადაც თამარის მშვენიერების დაკარგვის გამო.

კვლავ დაიწყო ყველამ ნუხილი, რადგან ხედავდნენ თამარს უშვილოდ და მარტოდ მყოფს თავის სასახლეში.

ოვსთა მეფეს ჰყავდა შვილი, რუსუდან დედოფლის გაზრდილი [122], შესაფერისი ასაკის და, როგორც ეს მეფეთა შთამომავალს შვენის, კარგად აღზრდილი; მხნე და ძლიერი მხედარი, შეუდარებელი რაინდი, მამაცი მშვილდოსანი, ტანით ახოვანი და სიკეთით სრული. ყველამ ერთხმად ინება მისი თამარისთვის შერთვა და ეს საქმე ღმერთს მიანდეს. თამარი, რომელიც იცნობდა ყრმას, დაემორჩილა მათ სურვილს. აღარ დააყოვნეს, არამედ შეიყარნენ დიდუბეს და შერთეს თამარს დავითი.

შემოვიდნენ ტფილისში, დასხდნენ ბედნიერ ტახტზე ორნი მნათობნი, ორნი მზენი, ორნი განმანათებელნი. გაიხარა მთელმა ერმა, დიდიდან მცირემდე. მათი წარმატებული ცხოვრების ნიშანი მაშინვე გამოჩნდა: ყველა ლაშქრობა, ზემო და ქვემო მხარეებში, გამარჯვებით სრულდებოდა და არსად ჩანდა მათთვის მეტოქეობის გამწევი.

გარდაიცვალა ქართლის კათალიკოსი, ჭყონდიდელ-მწიგნობართუხუცესი, ქართველი, მირიანის ძე მიქაელი, რომლის მფლობელობაში იყო სამთავისიც. არავინ შეწუხებულა, არც დიდი და არც პატარა, რადგან ყველას სძულდა იგი.

გარდაიცვალა ამირსპასალარი გამრეკელი და ის ყველამ იგლოვა.

ამ დროს მცირე შფოთი მოაწყეს იმერლებმა და სვანებმა თავიანთი ჩვეული ურჯულობის გამო და მოიყვანეს რუსი კვლავ გასამეფებლად. სურდათ მესხთა მიმხრობაც, მაგრამ ვერ მოახერხეს, მხოლოდ უფრო გადაიმტერეს. გააქციეს შერცხვენილი მემამბოხეები, რადგან ღმერთი ზრუნავდა თამარისთვის.

თამარი ევედრებოდა ღმერთს და ფიქრობდა, თუ ვისთვის მიენდოდავითი, თავისი ჯარი და მთელი სამფლობელო. არ მიატოვა იგი უფალმა, არამედ აღავსო სიბრძნითა და მეცნიერებით: გონების თვალთ მიმოიხილა თამარმა სამეფოს მთავრები და ღმერთის შეწევნის იმედით მოიყვანა გარეჯიდან ანტონ გლონისთავის ძე, რომელიც ადრე ჭყონდიდელი იყო, მაგრამ მიქაელ კათალიკოსმა მოსტაცა მას ეს პატივი მე-

ფის ვერაგი მრჩევლების დახმარებით. სწორედ იგი მოიყვანეს – კაცი, ნამდვილად ღირსი ქებისა, ჭეშმარიტი ქრისტიანი, მართალი, წრფელი [123], უმანკო, სახიერი, ყველას მოწყალე, ტკბილი, მდაბალი, პატრონის უზომოდ ერთგული; ეკლესია-მონასტრებზე საუბარი ხომ ზედმეტია: ამაზე თვითონ მეტყველებენ ანტონის საქმეები როგორც ყველგან სხვაგან, ასევე მღვიმეში და კლარჯეთში, თვით მის მიერ აგებულ მონასტრებში. დასვეს ის ვაზირად, მისცეს ჭყონდიდი, სამთავისი, კისის-ხევი და მნიგნობართუხუცესობა: მართალ ადამიანს თუ ხელს შეუშლი, მაინც ვერ გაანადგურებ.

ინყეს კეთილად ზრუნვა სამეფოსათვის და კიდევ უფრო მეტად – ერისათვის. მოიყვანეს სარგის ამირსპასალარ მხარგრძელის ორი ძე, ზაქარია და ივანე, კაცნი ბრძენნი, მხნენი, ბრძოლებში გამოცდილნი და ჩამომავლობითაც მეფის ერთგულნი, ამის გამო დიდად საყვარელნი თამარის მამა-პაპათათვის. მათკენ მიაპყრო თამარმა მზერა, ამაშიც ღმერთს მიენდო, უბოძა წყალობა: ზაქარიას – ამირსპასალარობა, მასზე უმცროს ივანეს – მსახურთუხუცესობა. ღირსეული ადამიანები იყვნენ: მართალია, რჯულით სომხები, მაგრამ მართლმადიდებლობის სრულად აღმსარებელნი. ივანე ზედმინვენით იყო განსწავლული საღმრთო წერილში და ამიტომ გაიგო სომეხთა რჯულის სიმრუდე: მოინათლა და გახდა ჭეშმარიტი ქრისტიანი.

ამის შემდეგ მოიყვანეს ჭიაბერი, კაცი მართალი და ერთგული, მისცეს მანდატურთუხუცესობა. დღითიდღე წარმატებულად მიდიოდა თამარის საქმეები, რადგან საუკეთესოდ და სამართლიანად განაგებდა ქვეყანას.

ამიერიდან აღმატებული თვისებებია საჭირო იმისათვის, რომ შესაძლებელი გახდეს თამარის საქმეთა წარმატებების ღირსეულად აღწერა: როგორც საკუთარ თმას სათითაოდ ვერავინ დათვლის, ასევე ამასაც ვერავინ გააკეთებს და თუ ვინმე შეძლებს, მაინც საეჭვოდ მიმაჩნია, რომ მოახერხოს მომავალში შემდგომთა დარწმუნება. როგორც ლომი იცნობა ბრჭყალებით, ასევე თამარი – თავისი საქმეებით. ვისაც ამის გაგება სურს, იხილოს ქალაქნი, ციხენი და მხარენი [124], რომლებიც ადრე სულტანს ეკუთვნოდა და რომლებიც თამარმა ქართველთათვის განაღო, იხილოს ქვეყნის ორჯერ გაფართოებული საზღვრები და ამის მიხედვით იმსჯელოს საქმის გამოძიების მსურველმა. შეიტყოს ქვემოთ, ერაცამდე და ბაღდადის მხარედან მარლამდე

მის მიერ დაწესებული ხარკის შესახებ; და ბოლოს, ამის დასტურია შეშინებული, მავედრებელი, მუხლმოყრილი ხალიფა.

წმიდა წერილში ნათქვამია: „დაუძღურდა ბაბილონი და აღაშენა ერმონის მთა, მოისპო კვამლი სუბაკთა და გაძლიერდა კარიბჭე სილიმისა“.

ამგვარ ღვთის წყალობაში იშვებდა ქრისტიანი ერი. ისინი მხოლოდ თამარის უშვილობის გამო წუხდნენ. ღმერთმა, რომელმაც ადრე იზრუნა მანოესა და აბრაამის გამო, ქალების – ანნასა და ელისაბედისათვის, არც ამჟამად დააყოვნა, რადგან მცირე ხნის შემდეგ თამარი დაორსულდა. როდესაც ეს მისმა ქვეშევრდომებმა შეიტყვეს, ლიტანიობით, მარხვით, ლოცვითა და ცრემლით უფალს ევედრებოდნენ, რომ მიეცა მისთვის ვაჟი. ასეც მოხდა – შვა ძე, ყველაფრით პაპას მიმსგავსებული და დაარქვეს მას სახელად გიორგი. ყველამ ენით აუნერგელი სიხარულით გაიხარა.

ერთი წლის შემდეგ კვლავ დაორსულდა და შვა ასული, თავისივე მსგავსი, რუსუდანი, რომლის დაბადებამაც კვლავ დიდი სიხარული მოუტანა ყველას.

კიდევ უფრო გაზარდა ქვეყნის კეთილდღეობა [125] ლაშქრის წარმატებებმა. იწყეს ყოველ მხარეს სპარსელთა რბევა და მოიპოვეს საკვირველი გამარჯვებები: ციხეთა ხელში ჩამგდებთათვის ბრძანება იყო საკმარისი, რათა ეს ციხეები დაეცალათ. ტყვეებითა და ალაფით აივსნენ. გადარჩენილი მტრები მელიებივით იმალებოდნენ და თხუნელებივით მიწაში ძვრებოდნენ.

შევიწროვდნენ სპარსელნი ყველგან, სადაც კი იყვნენ, უღონობამ მოიცვა ისინი და გადარჩენის ერთი იმედიღა დარჩათ – ეს იყო სიკვდილით თავის ხსნა. ამიტომ მოილაპარაკეს და ყოველი მხრიდან შეიკრიბნენ, შეიღებეს სამოსელი და სახე, მივიდნენ ხალიფასთან, აუწყეს თავიანთი გასაჭირი და მოუწოდებდნენ ებრძანებინა სპარსეთისათვის დახმარებოდა მათ. ხალიფა ასე მოიქცა: გახსნა ძველი საგანძური და საიდუმლოდ გაგზავნა კაცი სპარსეთში. მისცა მას აურაცხელი ოქრო, რათა შეეკრიბა ყველა მხრიდან ურიცხვი ლაშქარი. ამასთანავე უბრძანა, რომ სპარსთა სამთავროს, საიდანაც არ წამოვიდოდნენ, თავს დასხმოდნენ და გაენადგურებინათ.

ასეც მოხდა: იწყეს ამოსვლა რომ-გვიროსიდან და ინდოეთიდან, ქვედა მხარეებიდან – სამარყანდამდე და დარუბანდამდე. შეიკრიბა იმდენი, რომ ვერც დათვლა იყო მათი შესაძლებელი და ვერც რომე-

ლიმე მხარეში დატევა. თავი მოიყარეს ადარბადაგანში და მხოლოდ მაშინ გაამჟღავნეს თავიანთი განზრახვა.

გაიგო რა ეს თამარმა, იხმო ყველა ვაზირი და იწყო დავალებათა მიცემა: უბრძანა ანტონ ჭყონდიდელს არა უკმეხად, მაგრამ არც ქალური მორიდებით, არამედ ამგვარად: „ირქარეთ ბრძანების გაცემა, რათა სწრაფად შეიკრიბოს მხედრობა და ასევე ამცნეთ ყველა ეკლესიასა და მონასტერს, რათა განუწყვეტელი ღამისთევანი და ლიტანიობანი აღასრულონ ყველგან. გაგზავნეთ ქონება და სიმდიდრე გლახაკთათვის, რათა მოიცალონ ლოცვისათვის, მოწყალება მივილოთ ღმერთისაგან და არ ვათქმევინოთ წარმართებს: სად არის მათი ღმერთი?“

ასე ბრძანა მან და ბრძანება საქმედ იქცა. ათი დღის მანძილზე, როგორც შევარდენთა გუნდი, ისე მოფრინავდნენ ყოველი მხრიდან მხედარნი, აღსავსენი სიხარულით და [126] ძლივს იმორჩილებდნენ თავს. შეიკრიბნენ სომხითში. მივიდა თამარიც. მცირე დროით მხედრებიც შეფერხდნენ ლოცვისათვის. შემდეგ თამარმა უთხრა მათ:

„ძმანო ჩემო, ნუ შეშინდებით მათი სიმრავლისა და თქვენი სიმცირის გამო, რადგან ღმერთი ჩვენთანაა. გსმენიათ გედეონის სამასი მხედრისა და მათ მიერ განადგურებული მადიამელთა ურიცხვი სიმრავლის შესახებ? ასევე ეზეკიელის ლოცვით ანგელოზის მიერ ასურ-ასტანელთა ბანაკის უეცარი განადგურების ამბავი? მხოლოდ ღმერთს მიენდეთ, მართალნი იყავით მის წინაშე და იმედი გქონდეთ ქრისტეს ჯვარისა. ისწრაფეთ მათკენ ყოვლადწმიდისა ღვთისმშობელის შეწევნითა და უძლეველი ჯვრის ძალით.“

დალოცა ისინი და შეავედრა ღმერთს, ნაუძღვარა ძელი ცხორებისა და თან გააყოლა ანტონ ჭყონდიდელი.

თვითონ კი გაიხადა ფეხზე და ფეხშიშველი ჩავიდა მეტეხის ღვთისმშობლის ტაძარში; წმიდა ხატის წინაშე დაჩოქილმა არ შეწყვიტა ცრემლით ვედრება, სანამ ღმერთმა არ შეასრულა მისი სათხოვარი – ცოტა ხნის შემდეგ ეახლა სარგის მხარგრძელი თმოგველი და აცნობა ლაშქრის გამარჯვება და მხედრების გადარჩენა.

საჭიროა თქმა იმისაც, თუ როგორი შეწევნა მიიღეს ჩვენმა მხედრებმა თამარის ცრემლთაგან. შევიდნენ რა მათ მხარეში, იხილეს მტერი, განძასა და შამქორს შორის დაბანაკებული, სიმრავლით კალიებზე აღმატებული.

[127] მაშინვე ჩამოქვეითდნენ, თაყვანი სცეს ღმერთს, ცრემლით შეევედრნენ წმიდა ჯვარს. როგორც არწივნი, შეიმართნენ და როგორც

ვეფხვნი, ისე ეკვეთნენ მონინააღმდეგეს. პირველსავე შეტევისას მტრის ათჯერ აღმატებული რაზმი დაშალეს, თავიანთი მახვილისა და ღვთის ძალის მეშვეობით როგორც თავგებს, ისე ანადგურებდნენ, როგორც ქათმებს, ისე იპყრობდნენ მათ ამირებს – ბაღდადელთ და მუსულელთ, აფრიკელთ და ერაყელთ, ადარბადაგანელთ და ირანელთ და კიდევ სხვა მრავალი ადგილიდან მაშველი ლაშქრით ჩამოსულთ; ერთ-ერთი ასეთი მაშველი რაზმი იყო ინდოეთიდან ჩამოსული მკვლელებისა; წვერებით მიათრევდნენ მათ დავით მეფის წინაშე. ცხადი იყო დიდი, საკვირველი და აღმატებული შეწევნა ღვთისა, რადგან მტერს თავად მოჰქონდა თავისი ქონება, აკიდებული ჯორ-აქლემებზე, და თვითონვე დარაჯობდა ტყვეებსა და ნადავლს. ხოლო ათაბაგმა ბუბაქარ „აქო თჳსი ღონე და ღონიერება“⁴³ რადგან, მიინია რა ერთ პატარა ორმოსთან, მასში დაიძალა.

ამგვარად ავსებულნი ღვთის მონყალეებით მივიდნენ განძამდე, სადაც გამოეგებნენ ქალაქის მცხოვრებნი, ითხოვეს თავიანთთვის მშვიდობა და ქალაქი ნებით ჩააბარეს. შეიყვანეს დავითი დარბაზში, დასვეს სულტნის ტახტზე, „ფანჯანობათასა“⁴⁴ სასულტნოსა უკრეს“ და ღორის ხორციით დიდი ნადიმი გადაიხადეს. ყველა განძელმა ძღვენი და ხარკი მოართვა. ქართველებმა გახსნეს მათი საჭურჭლეები და მრავალი მშვენიერი ფიალა და ჯამი, თეფში და კიდევ სხვა ურიცხვი განძი წამოიღეს. ცოტა ხნით ქალაქგარეთ დაბანაკდნენ, რადგან ეძებდნენ ათაბაგს, მაგრამ ვერ იპოვეს.

ასევე ითხოვეს შამქორელებმა მშვიდობა და ქვეშევრდომობა.

ამჯერად სწორად ვერ მოიქცნენ ზაქარია და ივანე. მხოლოდ ეს იყო ამ გამარჯვების ნაკლი. იყო ვინმე სპარსი, შირვანშახის სიძე, სახელად მირმირანი. იგი რალაცა თხოვნით თამართან იმყოფებოდა, იმ დროს [128] დავითის სამსახურში მდგომი. ამ მირმირანმა ითხოვა განძა და მისცეს თამარისთვის შეტყობინების გარეშე.

გაიგო თუ არა ბუბაქარმა ჩვენი ლაშქრის შინ დაბრუნება, მოვიდა და განძელებმა ქალაქი მას გადასცეს, თუმცა მირმირანი შიშის გამო ცოცხალი გამოუშვეს.

ცოტა ხნის შემდეგ ლაშქარი უკან გამოემართა, დიდად მოხარული ამ ოლიმპიური ძღვევის გამო, რომელიც უფრო მეტ ქებას იმსახურებს, ვიდრე ალექსანდრეს მიერ დარიოსზე მოპოვებული გამარჯვება.

როდესაც მოახლოვდნენ, გამოეგებათ თამარი, რადგან სარგის თმოგველი უკვე მისული იყო მახარობლად. მეფე ხარობდა და ღმერ-

თს მადლობას სწირავდა, თითოეულს მოიკითხავდა, როგორც შვილს. ისინიც ხარობდნენ მისი შემხედვარენი.

აივსო ყველა ველი ტფილისის გარშემო და ველარ იტევდა კაცს, ცხენს, ჯორსა და აქლემს. იმდენად შემანუხებელი იყო ტყვეთა სიმრავლე, რომ შეჰყავდათ ისინი ქალაქში და ფქვილის ერთ სანყაოდ ყიდდნენ. ამისი მოწმე თვით შეუმცდარი ღმერთია, რომელსაც ვიმონმებ, რათა ვინმეს ტყუილი არ ეგონოს და მომავალში ზღაპრად არ მიიჩნიოს აქ თქმული.

ერმიონებზე უფრო სახელოვანმა კაცებმა, ზაქარიამ და ივანემ, დამარცხებულთაგან აკრიფეს გადასახადი სამეფო ხაზინისათვის და დიდუბის ველიდან ავჭალამდე გაამწკრივეს დატვირთული აქლემები, შეკაზმული ცხენები, აგრეთვე ყველა ამირა თავ-თავისი დროშით: პირველი იყო ხალიფას დროშა, შემდეგ – ათაბაგის... და ასე ერთი მეორეს მიჰყვებოდნენ. ქალაქის ბჭეებიდან გლდანის ხევამდე გაამწკრივეს ყველა ტყვე. მიიყვანეს თამარი და ეს ყველაფერი მას შესწირეს, თაყვანი აცემინეს მისთვის ყველა სპარს დიდებულს. ბოლოს თვითონაც სცეს თაყვანი და მიულოცეს ღვთის მიერ ბოძებული ბედნიერი მეფობა.

ამის შემდეგ შევიდნენ ქალაქში და თითოეულმა იხყო ძღვენის მირთმევა: ოქროსი და სამკაულის, ძვირფასი ჭურჭლისა და პატიოსანი თვლების, უძვირფასესი მარგალიტების, ჯაჭვების, მუზარადების, ბრძოლებში გამოწრობილი ხმლების, ფერად-ფერადი ოქროქსოვილებისა და მდიდრული ტანსაცმლის, ცხენებისა და ჯორების, ოქროს ყელსაბამების, მრავალნაირი სულნელების [129] და სპილენძის ჭურჭლით ჩამოტანილი არომატული ნელსაცხებლების. ამას აკეთებდა ყველა – ანაკოფიის ციხიდან გულისტანის ციხემდე. სეფე აზნაურები აივსნენ რჩეული ტყვეებით, ხოლო საჭურჭლენი – ოქროთი, ვითარცა მინით, ინდური ქვებითა და ურიცხვი რაოდენობის პატიოსანი მარგალიტით.

გაამაყდა ზედმეტად ყველაფერ ამის გამო თამარის გული? ერთხელ მაინც გამოსხატა მან ამპარტავანება წარბთა აღზიდვით? არა, არ მომხდარა ასე! კიდევ უფრო დამდაბლდა უფლის წინაშე, მმადლობელი და მისგან წყალობის მთხოველი; უხვად აძლევდა გლახაკთ, უბოძებდა მათ, ვინც ეკლესიებზე, ქვრივებზე, ობლებსა და დავრდომილებზე, გარშემო მყოფებზე ზრუნავდა. უფლის მიბაძვით სწირავდა ძღვენს მას, ვინც სამეფო ჩააბარა და იმასვე უბრუნებდა, ვინც მისცა თავისი უშრეტი და მდიდარი წიალიდან⁴⁵. ძველ მეფეთაგან განსხვავდებოდა

თავისი საქმეებით, ახლებს წინ უსწრებდა, აკეთებდა რა აქამდე არ-
ნახულს, როგორც ამაზე ზემოთ უკვე ვთქვით. ჩვენ კი გავიმეორებთ
წერილში ნათქვამს: „იყო სიმტკიცე ჩვენს ქვეყანაში და მშვიდობა მის
მთათა მწვერვალებზე“.

მხოლოდ ალაფით არ ამდიდრებდა ქვეყანას თამარი, სარწმუნოე-
ბაც მტკიცდებოდა. წმიდა ეკლესიები მრავალფერი სამკაულით იმ-
კობოდა, იმატა ლოცვამ და ღამისთევებმა, თვით სასახლეში განუწ-
ყვეტილ სრულდებოდა წმიდა საიდუმლონი. რაღა ბევრი გავაგრძე-
ლო? გამრავლდა ღვთის წყალობა და შესუსტდა ეშმაკის სიბოროტე.

ყველა თავ-თავის საქმეს აკეთებდა, რათა თამარი მოემადლიერე-
ბინა. საქებელი საქმეების ჩამდენთ არ უკარგავდნენ სიკეთეს. მონა-
პირენი⁴⁶ დღესა და ღამეს ასწორებდნენ, ვინც ქვეყნის შიგნით იყო,
ისიც განაპირა მხარეებში გაშვებას ითხოვდა. სწორედ ამგვარმა
გულმოდგინებამ და მოწადინებამ შექმნა ასეთი სამეფო:

პირველი ქვედა სანაპირო იყო გაგი, რომელიც ჩაბარებული ჰქონდა
ვარამის მამას, ზაქარია მხარგრძელს. ეს ორნი იცავდნენ ამ მხარეს,
კაცნი მხნენი, ბრძოლაში მრავალჯერ გამოცდილნი და გამარჯვებულ-
ნი, ღვთის შიშითა და პატრონის ერთგულების გამო დიდად საქებელნი.

აღმა იყო ძორაკერტი და ტაშირი, საიდანაც დაიწყეს თავიანთი
ლომებრივი ბრძოლა ზემოთ და ქვემოთ და ყოველ მხარეს ზაქარიამა
და ივანემ.

ზემოთ – ჯავახეთი, რომელსაც იცავდნენ სარგის მხარგრძელი
თმოგველი და შალვა თორელი.

კიდევ უფრო ზემოთ – არტანი, სადაც მესხნი იდგნენ. მათ შორის
იყო ყვარყვარე, სამცხის სპასალარი, ჯაყელი, კაცი დიდად გამარჯვე-
ბული და მეფეთა ერთგული.

[130] შავშეთისა და სპერის მხრიდან ფანასკერტი იყო. შავშეთის
მთებში გამოჩნდა ვინმე კაცი, ასპანისძე, არა მდაბალი თავისი გვარ-
ითა და ქცევით და, ღვთის მადლით, არც უბედო. სახელად ზაქარია
ერქვა. არც სახელი შეარცხვინა, არც პატრონის წყალობას დაუკარგა
ფასი, არამედ საქებელი საქმეები ჩაიდინა. მარტომ განასრულა მრავა-
ლი და დიდი საქმე: აიღო ბანა, ხახული და სხვა ბევრი სახელოვანი ციხე
და ადგილი.

ქვემოთ, განაპირა მხარეს, მცველებად იდგნენ გრიგოლის ძენი,
განსაკუთრებით კი ტბელი და მახატლის ძენი. მათი შიშით განძასა და

ბარდავში ყრმა ვერ აუტირდებოდა დედას და ვერც თურქნი ვერაფერს ავნებდნენ ივრისა და მტკვრის პირის საძოვრებს.

კითხულობთ რა ყოველივე ამას, ნურავინ იფიქრებთ, რომ თამარის ნების გარეშე ვინმეს რაიმე გაებედა, არამედ ამგვარად გაიგეთ თქმული: მონაპირენი აღმოაჩინდნენ ასაღებელ ციხეს, შემოდგომილ თურქმენებს, დასაპყრობ ქალაქს ან დასარბევ ქვეყანას. მოახსენებდნენ თამარს, რომელიც განსჯიდა და გამოიძიებდა ამ საქმეს; თუ საჭიროდ მიიჩნევდა ლაშქრის შეკრებას, უბრძანებდა ზაქარიასა და ივანეს, რომლებიც შეყრიდნენ ჯარს, თვით დავით მეფე ნაუძღვებოდა მას და არსაიდან დამარცხებული არ დაბრუნდებოდა. თუ ნაკლებ მნიშვნელოვანი საქმე იყო, უბრძანებდა კარის მხედრობას და ისინიც, როგორც შევარდენნი, აღასრულებდნენ დავალებულს. არავითარი მნიშვნელობა არ ჰქონდა იმას, თუ სად იმყოფებოდა თვითონ ამ დროს – სადმე მინდორში ნადირობდა თუ სასახლეში იყო: შეიტყობდა თუ არა რაიმე მსგავსს, მაშინვე აამხედრებდა ღირსეულთ და როგორც არწივნი კაკებებს, ისე დასცემდნენ შიშის ზარს მოწინააღმდეგეს.

არც თვითონ იყო უქმად და არც თავის ყმებს აძლევდა ამის უფლებას – იგივეს ვამბობთ, რაც თქვა ერთმა ჟამთააღმწერელმა ალექსანდრეზე. ამის დასტურად საკმარისია ის, რომ დიდად სახელგანთქმული ქალაქის, ტფილისის, ერთი წლის შემოსავალი ვერ დაფარავდა იმავე წლის მანძილზე მახარობელთათვის გასაცემ თანხას. ხშირად ერთ დღეს სამი და ოთხი მახარობელი მოვიდოდა ხოლმე და აი, რატომ: აღასრულებდნენ რომელიმე ერთ საქმეს და, გამარჯვებულნი, მახარობელს გამოგზავნიდნენ. არ იკმარებდნენ იმ დღეს მხოლოდ ამას – შეენეოდათ ღმერთი სხვაშიც და ისევ გამოგზავნიდნენ მახარობელს. ამგვარი წარმატებები აურაცხელი იყო, რადგან ზემო მხარეებში მყოფნი ერთს სჩადიოდნენ, ქვემოთები კიდევ მეორეს და ასე, ერთი დღის მანძილზე მრავალი რამ ხდებოდა, მახარობელიც ბევრი მოდიოდა – შეუძლებელია, ყველაფერი ამის აღწერა, თვით ღმერთმა უწყის ყოველივე.

აკეთებდა რა ყოველივე ამას თამარი დაუღალავად, საკუთარი ქონების გაზრდაზე როდი ზრუნავდა; არც სამეფოს გასაფართოებლად ეუფლებოდა ამდენ ქალაქსა და ციხეს. ისევ იმათ აძლევდა, ვისაც ასე დაუზოგავად ასაქმებდა – თავის ლაშქარს. ამაზე მეტყველებს სომეხ მეფეთა დიდი და სახელგანთქმული სამყოფელი, ქალაქი ანისი, რომელიც წაართვა სპარსელებს შანშეობასთან ერთად და რომელიც მანამდე დიდი ხნის მანძილზე

მათ ხელში იყო. იგივე შეიძლება ითქვას სპარსთა სახელოვან ქალაქ დვინზე. [131] ამას იგი ორი მიზეზით სჩადიოდა: ერთი მხრივ, რათა წარმართები შურით აღესილიყვნენ ერთმანეთის მიმართ და სურვილი ჰქონოდათ კვლავ დაებრუნებინათ თავიანთი კუთვნილი, მეორე მხრივ, რათა მოესპო ყველანაირი მიზეზი ქვეშევრდომთა ორგულობისა.

და, გარდა ამისა, კიდევ იმიტომ არ აძლევდა საშუალებას მისცემოდნენ განსვენებას, რომ მოცლილებს სიმხდალე არ დაუფლებოდათ და იმათზე არ გამხდარიყვნენ დამოკიდებულნი, ვინც სიმდიდრის მეშვეობით იყო აღზევებული, ან კიდევ, არ მოეცალათ ერთმანეთის სამტროდ და ერთმანეთთან საბრძოლველად, როგორც ეს უკვე გააკეთეს მისი მეფობის დასაწყისში: ლიპარიტთა საგვარეულოს მრუდ ძირებზე აღმოცენებულმა კახაბერის შვილებმა იწყეს ვერაგობა და ახლობლების წინააღმდეგ ბრძოლა. მათ ვერც მხილებით შეაგონეს, ვერც თამარის წყალობამ შეარცხვინა. გამართლდა მათზე ძველად ნათქვამი: „კუდსა ძაღლისასა, გინა კუთხსა ფლასისასა ემსგავსებოდეს“⁴⁷; ჩაიდინეს დიდი ბოროტება: დახოცეს ანტონ ჭყონდიდელის ორი ძე, სასონარკვეთილებაში ჩააგდეს მოკლულთა მამა, კაცი მართალი, განარისხეს უფალი და თამარი: ჭალაში მყოფმა მეფემ დაიბარა ხუთივე და თავისი ბრძნული გადანყვეტილებით შეიპყრო, ცალ-ცალკე ჩასვა სხვადასხვა ციხესიმაგრეში, რათა იქ გამოსწორებულიყვნენ. მაგრამ ისინი ისეთივენი დარჩნენ, ამიტომ გააძევა საბერძნეთის მაკედონიაში და იქ, როგორც გვესმა, ყივჩაყბთან ბრძოლაში დაილუპნენ და კარგ შემორებად წარმოაჩინეს თავი.

ამის გამო არავის აძლევდა უქმად ყოფნის უფლებას: ან თავის კარზე ამყოფებდა, ახარებდა დამსახურების შესატყვისი საბოძვართ, ასვენებდა, ან კიდევ თვითონ წარუძღვებოდა სანადიროდ ივრისა და მტკვრის ნაპირებზე. შემდეგ გადაინაცვლებდნენ ტყიან ადგილებში და იქ შვებას ეძლეოდნენ, სანამ თოვლი არ დაამძიმებდა კარავს. იქიდან სომხითში შედიოდნენ და ნადირობდნენ, თითქოს სასიამოვნო თამაშს იყვნენ მიცემულნი. და თუ ამასობაში რაიმე საფრთხის შესახებ საიდანმე შეიტყობდნენ ან ასეთს დაინახავდნენ, არც ერთი წუთით აღარ დაყოვნდებოდნენ მოსვენებულ მდგომარეობაში და არავის მისცემდნენ საშუალებას რაიმე მოემოქმედა სამეფოსა და თამარის წინააღმდეგ.

ივსებოდა ნილოსი და აკლდებოდა ეგვიპტეს. ლატაკდებოდა ისმაილი, ნუხდა აგარი, იკურთხებოდა ისაკი. ეს სხვამ სხვაზე თქვა, მე კი

აქ შესავლის სახით იმიტომ მომაქვს, რომ აკლდებოდათ მაჰმადიანებს ძალები, ებანზე დაკვრაც აღარ ისმოდა, რადგან ქრისტიანთა ორლანონი ხმოვანებდნენ კიდიდან კიდემდე. დაკარგეს იმედი მუსულმანებმა და ყველა ღონეს ხმარობდნენ, რათა წყალობა [132] მიეღოთ წყალობისმოყვარე თამარისაგან. ამიტომ კვლავ წავიდნენ ხალიფასთან, მაგრამ არა ისე, როგორც პირველად, არამედ სრულიად სხვაგვარად, სთხოვდნენ, რომ შევედრებოდა თამარს მათგან მხოლოდ ხარკი აეღო, შეეჩერებინა მომსრველი მახვილი და აეხსნა მათთვის ბორკილები. ხალიფა ასეც მოიქცა და ორჯერ გამოგზავნა მოციქულები ძვირფასი და ნაირგვარი, მანამდე უნახავი ძღვენით და დიდი თავმდაბლობით შეევედრა თამარს, რათა აეღო ხარკი და შეენყვიტა რბევა. მოისმინა თამარმა მისი მუდარა და ასე უპასუხა: „აღვასრულებ შენს თხოვნას და ვინც ინებებს საკუთარი თავისათვის მშვიდობას და გადამიხდის ხარკს, შენი ვედრების გამო ვუნწყალობებ სიცოცხლეს.“ ასეც მოიქცა.

[ეს ყველაფერი აწუხებდა საბერძნეთის დიდ სულტანს, ჩარასლანის ძეს, სახელით ნუქარდინს, რომელიც ყველა სხვა სულტანს აღემატებოდა, ვინც კი ოდესმე განაგებდა დიდ საბერძნეთს, აზიასა და კაბადოკიას პონტოს ზღვამდე].

ვერაგულად იჩემებდა სულტანი სიყვარულს, ხშირად გზავნიდა მოციქულებს, ვითომ მშვიდობისათვის, მშვენიერი ძღვენითურთ. ასევე იქცეოდა თამარიც – ისიც პასუხად მოციქულებს უგზავნიდა ძღვენით. მაგრამ სულტანი ცბიერ განზრახვას მალავდა, ფიცის უკან იმალებოდა და სამეფოს სამტროდ იყო გამზადებული.

[მოუწოდა მან მეომრებს და შეიკრიბა რვაასი ათასი კაცი].

გახსნა სულტანმა მამა-პაპათა საგანძური, გამოყარა აურაცხელი ოქრო და გაგზავნა ის ლაშქრის შესაგროვებლად, თან ატყობინებდა, რომ დადგენილთან შედარებით ორმაგად გადაუხდოდა. გაგზავნა ხალხი სამეფოს ყველა საზღვრის მიმართულებით და იწყო მხედრობის შეკრება მესოპოტამიაში, კალონეროში, გალატიაში, ლანგრაში, ანკვირიაში, ისავრიაში, კაბადუკიაში, დიდ სომხეთში, ბითონიაში, პაფლაგონიის საზღვრებთან და დედაკაცთა გარდა არავინ დატოვა ამ ქვეყნებში, არამედ ყველა აამხედრა.

თვითონ სწრაფად გაემართა უჯად სახელდებული თურქებისაკენ, რომლებიც განთქმულნი იყვნენ ბრძოლებში თავიანთი სიმამაცით და იყვნენ ურიცხვნი, ვითარცა კალიები თუ ჭიანჭველები. მისცა მათ აუ-

რაცხელი ოქრო და კიდევ სხვა ბევრი საბოძვარი და შეკრიბა მათგან ასი ათასი შეიარაღებული მხედარი.

[133] შიშის ქვეშ, მათი ნებისდა მიუხედავად, შეიერთა ეზინკელნი, ხალფერდელნი, ქალაქ კარნუს მცხოვრებნი; სალდუხის ძეს, განეული სამსახურის დაფასების ნაცვლად, წაართვა ქალაქი კარნუ და იქ თავისი ძმა დასვა.

როგორც ამბობენ, ხმელეთის ზღარბი, რომელიც მრავალშვილიანი ცხოველია, იხილავს რა თავის ურიცხვ ნაშობთ, გამოდის სოროდან ნაშიერებითურთ, გაამწკრივებს მათ, თვითონ კი ზემოდან მოექცევა. ასევე მოიქცა ნუქარდინიც: იხილა რა აურაცხელი სიმრავლე შეკრებილი მხედრებისა, გაამაყდა, მსგავსად სენაქერიმისა, მოინდომა უფალზე აღმატებულება, არ შეეშინდა ადრე ცბიერებით დადებული მრავალი ფიცისა და სიყვარულის აღთქმისა, არამედ სულ სანინააღმდეგოდ ამისა დაიწყო მოქცევა – მიიწია ქალაქ სევასტიამდე და შეუდგა საომარ აღჭურვილობათა მზადებას.

[მაშინ წარმოავლინა თამარის წინაშე მოციქული ამგვარი უსტარით]:

„მე, ნუქარდინი, ცისქვეშეთის უმაღლესი სულტანი, ძლიერებით ანგელოსთა მსგავსი, უფლის სწორი, მოვლინებული დიდი მუჰამედისაგან, გამცნობ თამარს, ქართველთა მეფეს:

[„ყველა დიაცი რეგვენია. შენ გიბრძანებია ქართველთათვის ხმლის აღება და დახოცვა მუსულმანთა, ისლამის ერისა]; გარდა ამისა, თავისუფალი ხალხისათვის, როგორც ყმათათვის, ხარკი დაგინესებია. ეხლა მე მოვდივარ, რათა სპარსთა გვარს აღვუდგინო სამართალი, ჭკუა გასწავლო და შენმა ხალხმა ველარასოდეს გაბედოს ხელში აღება ხმლისა, რომელიც ღმერთმა ჩვენ გვიბოძა. მხოლოდ მას დავტოვებ ცოცხალს, ვინც მანდ მოსვლამდე ჩემი კარვის წინ მცემს თავყანს, აღიარებს მუჰამედ მოციქულის მოძღვრებას, უარყოფს შენს სჯულს და ჩემ თვალწინ თავისი ხელით დაიწყებს იმ ჯვრის ლენვას [134], რომლის იმედიც ტყუილად გაქვთ. მოლოდინში იყავი იმის სამაგიეროსი, რაც სპარსთ შეამთხვიე“.

მიართვეს რა თამარს წერილი, არ აჩქარებულა, არამედ თავისი მოთმინებით ეზეკიას ემსგავსა. უფლისკენ მიმართა მიღებული ეპისტოლე, ღრმად ამოიოხრა, ცრემლების ღვრითა და ღვთის იმედით მოიხბო ყველა, ვინც მაშინ ახლომახლო იმყოფებოდა და დაიწყო მათთან თათბირი – არა ლაჩრულად, არც მდედრულად და მოუფიქრებლად.

მაღემსრბოლთა მეშვეობით ელვისებური სისწრაფით ვრცელდებოდა თამარის ბრძანებები და ეპისტოლეები. ძალიან სწრაფად შეიკრიბნენ მხედრები, სიმკვირცხლით ვეფხვთა მსგავსნი, სიმამაცით კი – ლომთა. ქრისტე ღმერთის იმედი ჰქონდათ. არ დააყოვნეს, არამედ სწრაფად გაეშურნენ ყოვლადნმიდა ღვთისმშობლის ტაძრისაკენ [ვარძიაში. ვარძიის ღვთისმშობელს ცრემლით შეავედრა თამარმა დავით სოსლანი, მისი ლაშქარი და დროშა, რომელსაც მხოლოდ გამარჯვებები მოჰქონდა. წარმომართა ვარძიიდან ლაშქარი], რომელსაც თვით ფეხშიშველი, ცრემლმდინარე თამარი მიუძღოდა. წარუძღვა მათ ბასიანისკენ და კარიდან ერთი დღის სავალზე დააბანაკა.

[მხოლოდ მაშინ წარუგზავნა სულტანს უკან მოციქულები, გაგზავნა მათთან ერთად თავისი მოციქულიც და საპასუხოდ მისწერა:

„მივენდე რა ძალას ყოვლისმპყრობელი ღვთისა, ვევედრე რა მარადქალწულ მარიამს და აღვივსე პატიოსანი ჯვრის იმედით, ნავიკითხე შენი ღვთის [135] განმარისხებელი შემონათვალი, ო ნუქარდინ, შევიტყე შენ სიცრუეთა შესახებ, რომელთა განმკითხავი უფალი იყოს: არ გაგიგონია, რომ ვინც ღმერთის სახელს ცრუდ დაიფიცებს, ღმერთისავე მიერ იქნება განადგურებული?

შენ ოქროთი შეკრებილ მევირეთა სიმრავლეს ხარ მინდობილი, უმეცარი ღვთის განაჩენის, მე კი იმედი მაქვს არა სიმდიდრის, მეომართა სიმრავლის ან სხვა რაიმე კაცობრივი საქმის, არამედ ყოვლისმპყრობელი ღმერთისა და ქრისტეს ჯვრის, რომელსაც შენ გმობ.

შენი შემონათვალის შემდეგ წარმოვავლინე ქრისტესმოყვარე მხედრობა არა შენთვის თაყვანის-საცემად, არამედ შენი ამაყი და ამპარტავანი გულის დასამხოზად, რათა განისწავლო ღვთის მიერ, რომ არ უნდა დაგმო უფლის სახელი. აღსრულდეს უფლის ნება და არა შენი! იყოს მისი სამართალი და არა შენი! ვიცი შენი მსახურების სიზარმაცე, ამიტომ წარმოვავლინე ჩემი მსახური, რათა დროზე მოგართვას პასუხი წერილზე და გაგაფრთხილოს, რომ ჩემი წარმოგზავნილი მხედრები უკვე შენს კართან დგანან.“

მისცეს ეს ეპისტოლე, შემოსეს, დაასაჩუქრეს და წარავლინეს სულტნის მოციქული.]

[136] უბრძანა თამარმა ლაშქარს ამხედრება, თვითონ ავიდა ამაღლებულ ადგილას, საიდანაც ყველაფერს ხედავდა, დაეცა მუხლებზე და დიდხანს ტირილით ლოცულობდა. როდესაც წამოდგა, იქაურობა ცრემლით იყო სველი.

შემდეგ დაიბარა თავისთან ყველა წარჩინებული და უბრძანა ერისთავებს, რომ თითოეული მათგანი დაჩოქილიყო წმიდა ჯვრის წინაშე და მთხვეოდა მას, აგრეთვე ხელზე მთხვეოდნენ თამარსაც. და ავედრებდნენ დიდებულები მეფეს თავიანთ სახლს, შვილებსა და სულს, რადგან ერთი ხელით თვით თამარს ეპყრა ძელი ჯვარისა, ხოლო მეორეთი – ჯვრის მტვირთველს, ეზოსმოძღვარ ბასილს. როდესაც დასრულდა ჯვრის ამგვარი თაყვანისცემა, თამარმა აიღო პატიოსანი ჯვარი და სამჯერ გადასახა ის ამხედრებულებს, დალოცა და ლაშქარი, მინდობილი ღმერთსა და თამარის ცრემლებს, წარემართა.

[მეთაურობდნენ ლაშქარს ზაქარია მხარგრძელი ამირსპასალარი და ორი ახალციხელი ძმა – შალვა და ივანე, რადგან შალვა მანდატურთუხუცესი იყო, აგრეთვე ჭიაბერი და სხვა თორელები. და გაემართა ჯარი ბასიანისკენ.]

მეფე თამარი მიბრუნდა სამცხისკენ, ჩავიდა ოძრხეში და იწყო ლოცვა და მარხვა. იქ მას თან ახლდა ქართლის კათალიკოსი თევდორე, კაცი წმიდა და სიკეთით სავსე, აგრეთვე მრავალი ეპისკოპოსი და ღვთის სათნო მონაზონი.

[მათთან ერთად იყო შავთელი, განთქმული თავისი საოცარი საქმეებითა და ლექსთა გამომთქმელი, აგრეთვე ევლოგი⁴⁸, ქრისტესთვის „სულელი“, რომელსაც ჰქონდა წინასწარმეტყველების მადლი].

იყვნენ მუდმივ ღამისთევასში და სავედრებელ ლოცვებში.

[137] ახლა კი საჭიროა იმის თქმა, თუ როგორი წყალობა მოუვლინა ღმერთმა თავის ერს, ყოვლადწმიდა ღვთისმშობელისა და ცხოველმყოფელი ჯვრის შენევნით. როდესაც ჯარი ბასიანში ჩავიდა, იქ სულტანი იყო დაბანაკებული [ადგილსა, წოდებულსა ბოლოსციხედ. მიუახლოვდნენ რა სულტნის ბანაკს, იხილეს ურიცხვი ცხენი, ჯორი და აქლემი, ფარდაგებით მორთული კარვები, რომელთაც მინდორი ძლივს იტევდა].

უშიშრად გრძნობდნენ თავს, მცველები არ ედგა სულტანს. იქ გაანყვეს ქართველებმა ლაშქარი. მეთაურობდნენ მას ზაქარია მხარგრძელი ამირსპასალარი, ახალციხელი – შალვა და ივანე და კიდევ – თორელნი. ერთ მხარეს იდგნენ აფხაზნი და იმერნი, მეორე მხარეს – ამერნი და ჰერ-კახნი. როდესაც ქართველებმა სულტანი იხილეს, ცხენები ცოტა ააჩქარეს და მისკენ წარემართნენ. დაინახეს რა სპარსელებმა, რომ ქართველებს ძლიერი იერიში მიჰქონდათ მათზე, სასწრაფოდ დატოვეს

ბანაკი და სიმაგრეებისაკენ უკუიქცნენ, რადგან დიდი შიში მოუვლინა მათ ღმერთმა. როდესაც ქრისტიანებმა დაინახეს გაქცეული მტერი, დაედევნენ, არ მისცეს გაქცევის საშუალება და ალყაში მოიქცის.

შეიქნა ფიცხელი, ძლიერი ომი და გაგრძელდა დიდხანს. ორივე მხრიდან ურიცხვი მეომარი დაიღუპა, მაგრამ ძირითადად სულტნის მხედრები დაიხოცნენ. ომი ისე გაგრძელდა, რომ ცხენები დაუხოცეს მსახურთუხუცეს ივანეს, ზაქარია გაგელს, ახალციხელ შალვასა და ივანეს და კიდევ ბევრ სხვა თავადს. თითქმის გააქცის ქართველნი – რაზმის მამაცი მხედრები ცხენების გარეშე დარჩნენ.

როდესაც მოლაშქრეებმა თავიანთი მეთაურები ქვეითად მყოფნი იხილეს, სასიკვდილოდ განირეს საკუთარი თავები, თვითონაც ჩამოქვეითდნენ, პატრონებს გვერდში დაუდგნენ, ქვეითნი – ქვეითებს. შეიქნა ძლიერი ომი. დაინახა რა ეს ყველაფერი მხნე დავითმა, თავისი მხრიდან უკან დაიხია, ასევე მოიქცა მარჯვენა მხარეს ზაქარია მხარგრძელიც, რათა მათ ცხენებს არ გადაეთელათ ქვეითი მეომრები. ყველამ ერთბაშად შეუტია სპარსელებს [138] – ერთი მხრიდან დავით სოსლანმა, მეორე მხრიდან – ზაქარიამ და, როგორც მგლები ცხვრებში, ისე შეცვივდნენ სულტნის ურიცხვ მეომართა შორის.

პირველივე შეტაკებისას და ხმალთა ხეთქებისას უზომოდ მოწყალე ღმერთმა გადმოხედა ჯვრის მმოსავ ქართველებს, ვარძიის ღვთისმშობელმა განადიდა დავითი და თამარი. უეცრად იქნა ძლეული და გაფანტული ეგეოდენი სიმრავლე. ეს თვალუნვდენელი გაქცეული სიმრავლე ლაშქრისა წააგავდა მინიანად ამოგლეჯილ ტყეს – სადამდეც კი თვალი სწვდებოდა, ყველგან ტყის მსგავსი გაქცეული ლაშქარი ჩანდა.

იმის მოყოლაც საჭიროა, რა მოხდა ოძრხეში, სადაც მეფე თამართან ერთად მყოფნი განუწყვეტილ ლოცულობდნენ და ღამეებს ათევდნენ ლაშქრის გამარჯვებისათვის. ერთ დღეს, აღესრულა რა საღმრთო ჟამისწირვა ზემოთ ნახსენები ევლოგის მიერ, ჩვენება იხილა მან უეცრად და იწყო ღაღადება სულელის მსგავსად და ზემოთ ცქერა. იხილა რა რალაც, მწუხარედ დაიძახა და სამჯერ დაეცა. შემდეგ უცბად წამოხტა, ხელები აღმართა და დაიძახა: „აჰა, დიდება ღმერთსა! ქრისტე ძლიერია. ევლოგის პატრონო, აღარ უნდა გეშინოდეთ სპარსელების, განუტყვეთ იგი, რათა წავიდეს მშვიდობით თავის გზაზე.“ ყველა მიხვდა, რომ წინასწარმეტყველება იყო მისი სიტყვები, მაგრამ ევლოგმა არავის გაანდო საიდუმლო, მხოლოდ იოანე შავთელს

აუნყა, რომ ღმერთმა ქრისტიანებს მიანიჭა ბარბაროსთა ძლევა. ამის შემდეგ სწრაფად გაშორდა იქ მყოფთ და დაიმალა].

[139] ღმერთმა ხელში ჩაუგდო ქართველებს მტერი და მოხდა საკვირველი რამ – ვინც მახვილს გადაურჩა, თვითონ იპყრობდნენ ერთმანეთს: უფრო დანიინაურებულნი – ნაკლებად აღმატებულთ; უწარჩინებულესნი ცხენის ძუაზე გამობმული მოჰყავდათ. თითო კაცს ოცი კაცი ჰყავდა ერთი საბლით შეკრული, ერთმანეთზე თმებით გადაბმული. ყრმები ერთი-ერთმანეთზე უკეთეს მეომრებს, როგორც თიკნებს, ისე მოასხამდნენ. გარშემო ყველა ადგილი გაჩხრიკეს და გაქცეულები დახოცეს, დანარჩენებს, როგორც წინილებს, ისე აგროვებდნენ; აურაცხელი სიმრავლე მათი გაანთავისუფლეს, რადგან ას სპარსელზე ერთი წამომყვანი ქრისტიანი ძლივს მოდიოდა.

[ასე აღსრულდა ევლოგის წინასწარმეტყველება სწორედ მაშინ, როდესაც მან ჩვენება იხილა].

ასეთი დიდებული გამარჯვებით დააჯილდოვა ღმერთმა თამარის ცრემლები და მტკიცე იმედი. როდესაც ეს ყველაფერი დასრულდა, მოიცალეს მტრის ტვირთისთვისაც – შეუძლებელი იყო თვალის განვდენა და აღრიცხვა ოქროსა და ვერცხლის ჭურჭლის სიმრავლის, ქსოვილებისა, ოქროს სასმისების, თვალ-მარგალიტით შემკული ლანგრების და ჯამების, დოქებისა და ქვაბების, რომლებიც უთვლელი ნადავლით იყო სავსე. ვის შეეძლო დათვლა ცხენ-ჯორთა და აქლემთა, კარვებისა და ფარდაგებისა, რომლითაც სავსე იყო მათი ბანაკი და რაც მათ გაქცევისას დაყარეს?

[140] [და ამგვარად, გამარჯვებულნი და ღვთის მადიდებელნი, დაბრუნდნენ საკუთარ კარვებში].

ამის შემდეგ ტფილისის მცხოვრებლებმა მოკაზმეს ქალაქი – შევიდნენ იქ თამარი და დავითი; როგორც მზე, ისე ჰფენდნენ გარშემო სხივებს; შეიტანეს თან ნუქარდინის დროშა. თამარის წინაშე ჯერ ეზინკელი წარადგინეს, შემდეგ – სხვა წარჩინებულნი, რომელთა ხილვაც მას სურდა. თამარმა ყველა ანუგეშა, გაუმართა ნადიმი, ღირსებისამებრ დააჯილდოვა ტყვეები და სხვადასხვა ციხე-სიმაგრეებში წარგზავნა, გარდა ეზინკელისა, რომელიც ტფილისში დატოვა პატიმრად, ადრინდელი პატივისა და სიყვარულის ნაცვლად, ბოლოს კი ასეთი სახელოვანი და დიდებული კაცი ცხენის ნალში გაცვალა – ეს მან თავისი სახლის პატივისა და დიდებისათვის გააკეთა. ამგვარი რამ

დასაბამიდან არავის უქნია: თამარმა ამით განადიდა საკუთარი თავი და დატოვა სამუდამოდ გასასხენებლად.

სამეფო საჭურჭლენი კვლავ აივსო ოქროთი და ოქროს ჭურჭლით, რადგან როგორც მიწას, ისე ყრიდნენ მათში ოქროს; თვალ-მარგალიტს რწყავდნენ და ინახავდნენ, ხოლო ბერძნულ ოქროქსოვილს და სხვა იშვიათ ქსოვილებს, როგორც ცუდ სამოსელს, ისე უპატიოდ ახვავედნენ. ვერცხლის ჭურჭელი აღარ ფასობდა მეფის სასახლეში, რადგან ხმარებაში მხოლოდ ოქროსი და ბროლისა იყო, ინდური ქვებით შემკული. ასეთი ჭურჭლით აავსო მეფემ ეკლესიები, უბოძა მათ ის ნმიდა საიდუმლოთა აღსასრულებლად; ყველა მთხოვნელი უხვად დაასაჩუქრა, დააპურა გლახაკები, აუვსო კალთები.

ასე განადიდებს ღმერთი თავის მადიდებელთ, ასე აღამაღლებს მის წინაშე დამდაბლებულთ, ასე შეენევა მისი იმედის მქონეთ, ასე დაასაჩუქრებს [141] მასზე მინდობილთ; ასევე მოექცა თამარს, რადგან სხვა არაფერი ჰქონდა მას გულში, თუ არა ის, რომ „დასაბამი სიბრძნისა უფლის შიშია“ და რომ ყველას მიმართ თანასწორად უნდა განანილდეს სამართალი და წყალობა.

თამარის მეფობის დროს დამყარებული იყო სამართლიანობა და უსასრულო მშვიდობა – მის ბაგეთა მაღლი ეფინა ირგვლივ ყველაფერს. ამის გამო აკურთხა თამარი ღმერთმა უკუნისამდე და დაადგა პატიოსნების გვირგვინი, შემოარტყა წელზე ძლიერების მახვილი და დაუმკვიდრა სასუფეველი მისი სიმართლის, სიმშვიდისა და სამართლიანობისათვის.

იმის თქმაც საჭიროა, რომ მრავალმა სხვა ქალმაც იღვანა ძლიერებით, მაგრამ ვერავინ შეედრება თამარს: არა ცბიერებით ანიჭებდა თამარი თავის ერს ხსნას, არამედ დავითიანთა სიბრძნით, სიმართლითა და უმანკოებით, იაკობის მსგავსი სიმშვიდით, აბრაამისებრი სიუხვით, იესო ღვთის მსგავსი მოწყალებით და სამართლით.

თამარის მეფობისას არავისზე უხმარიათ ძალა მისი ბრძანებით და არც არავინ დასჯილა, თუ არ ჩავთვლით ძველი კანონის გამოყენებას, რომლითაც ავაზაკებს ჩამოხრჩობას უსჯიდნენ. იმათთვისაც კი, ვინც სიკვდილისა და დასჯის ღირსი იყო, არ გადაუხდიათ სამაგიერო, თამარის ბრძანებით არავისთვის მოუკვეთიათ სხეულის რომელიმე ნაწილი, არც თვალეები დაუთხრიათ, გარდა გუზანისა, რომელიც ღალატით განუდგა და სადღაც კოლას მთებში ფარულად ავაზაკობდა. თივის მთიბავებმა

შეიპყრეს ის და მიიყვანეს დავით მეფის წინაშე. იცოდა რა დავითმა თამარის მონყალების შესახებ, მის უკითხავად ამოშანთა თვალები გუზანს მის მიერ დაღვრილი მრავალი ქრისტიანის სისხლის სანაცვლოდ.

არა მხოლოდ თამარის სამეფოში სუფევდა კეთილდღეობა, არამედ მთელ საქრისტიანოში. ყველა ქრისტიანს, ვისზედაც ძალას ხმარობდნენ, ამცნო, რომ შეენარჩუნებინათ თავისუფლება და არ დამორჩილებოდნენ მტერს თამარის სიყვარულისა და შიშის გამო⁴⁹.

გზავნიდა სანდო ადამიანებს და ასე აბარებდა: „დაინყეთ ალექსანდრიიდან და მოიარეთ ლუბიამდე და სინას მთამდე“. ასე იტყობდა ეკლესიების, მონასტრებისა და ქრისტიან ხალხთა საჭიროებათა შესახებ. იერუსალიმის შესახებ არც არის საჭირო საუბარი, რადგან ყველა იქაურ ეკლესიაში აგზავნიდა ბარძიმ-ფეშხუმებს, სინმიდეთა საბურავებს, აურაცხელ ოქროს მონაზონთა და გლახაკათვის.

[142] ტყვეებს ურჯულოთაგან გამოისყიდდა, ხალხისათვის დაწესებულ ხარკს თვითონ იხდიდა და ამით ყველანაირი გასაჭირისაგან ათავისუფლებდა მათ.

იგივეს აკეთებდა ელადისა და მთანმიდის მხარეებში, აგრეთვე მაკედონიასა და პეტრიწონში, თრაკიის ირგვლივ და კონსტანტინოპოლის მონასტრებში, რომანაში და კიდეც ბევრ სხვა ადგილას, ისავრიაში, კურუსეთში, შავი მთის შემოგარენში და კვიპროსზე. ყველა ეს მხარე ალავსო კეთილი საქმეებით. ყური დამიგდეთ, თუ როგორ მფარველობდა ღმერთი მის ქველმოქმედებას.

ერთხელ, ჩვეულებისამებრ, ეახლნენ მას თხოვნით მონაზონნი შავი მთიდან, ანტიოქიიდან, კუნძულ კვიპროსიდან, მთანმიდიდან და კიდეც ბევრი სხვა ადგილიდან. თამარმა, როგორც ამას საერთოდ აკეთებდა, ისინი, როგორც ანგელოზნი, ისე მიიღო; მრავალი დღის მანძილზე არ გაუშვა, შემდეგ ყველა დიდად დაასაჩუქრა და ყოველივე საჭიროთი აავსო. ყველაზე შორიდან მოსულთ მისცა დიდძალი ოქრო თვით მათთვის და, აგრეთვე, მონასტრებისთვის. წავიდნენ მონაზონნი და როდესაც კონსტანტინოპოლს მიაღწიეს, შეიტყო ეს ბერძენთა ანგარებიანმა მეფემ, ალექსიმ, რომელმაც თავის ძმას, ისაკს, თვალები ამოშანთა და მეფობა წარსტაცა. იგი ყველანაირად ბოროტი კაცი იყო და მეფობისათვის შეუფერებელი, თავისი ანგარების გამო კი ყველასგან განსაკუთრებით შეძაგებული. იხილა რა დიდძალი ოქრო, რომელიც თამარმა მისცა მონაზვნებს, წაართვა მათ ბოძებული.

როდესაც ეს თამარ მეფემ შეიტყო, იმ წმიდა კაცთათვის კიდევ უფრო მეტი საბოძვარი გაგზავნა და ამით ეშმაკს სძლია. განრისხდა თამარი ბერძენთა მეფეზე, ლიხთ იქითა მხრიდან მცირე ლაშქარი წარგზავნა და წაართვა მას ლაზიკა, ტრაპიზონი, ლიმონი, სამისონი, კერასუნდი, კიტიორა, ამასტრია, არაკლია და ფებლალონისა და პონტოს მთელი მიწები. ჩააბარა ეს ყველაფერი თავის ნათესავს, ალექსი კომნენს, ანდრონიკეს შვილს, რომელიც მაშინ თამარ მეფესთან აფარებდა თავს.

გაიგეს რა ფრანგებმა, რომ ბერძნებს აღარ ჰქონდათ დახმარება აღმოსავლეთიდან, გამოვიდნენ ვენეტიკნი და წაართვეს სატახტო ქალაქი მეფის ხელისუფლებასთან ერთად. გაიქცა [143] უბადრუკი ალექსი ბულგარეთში თავის სიძესთან. იხილა რა იგი ბულგარელთა მეფემ, თავისმა სიძემ, შეიყვანა ერთ ციხე-სიმაგრეში, დაუყარა წინ დიდძალი ოქრო და უთხრა: „აჰა, ალექსი, ის, რაც შენ ყველაზე მეტად გსურს. მიიღე ეს ოქრო ყველანაირი საკვებისა და წყლის ნაცვლად, რადგან ამ ოქროს გამო გაანადგურე ქრისტიანთა სამეფო სახლი და ბოლო მოუღე ბერძენთა თვითმპყრობელობას“. და ასე მოკვდა ის უბედური შიმშილით, მოკლებული ღვთის შეწევნას.

ასეთი შიშის მომგვრელი იყო თამარი მტერთათვის, მაგრამ, ამავე დროს, კეთილი და ბოროტების მალე დამვიწყებელი: როდესაც ეს ყველაფერი შეიტყო, დიდი მწუხარებით იგლოვა, თუმცა არ იყო ალექსი ამის ღირსი – თუ ვინმემ რაიმე დაუმსახურებლად მოიპოვა, დიდხანს ვერ შეინარჩუნებს, მაგრამ თამარი დავრდომილთა და უცხოთა მიმართაც კი ღმობიერი იყო და მოწყალე. ამჯერად ასეთივე აღმოჩნდა ალექსის მიმართ.

ვთქვათ იმის შესახებაც, რომ თავისი მეფობის ოცდამესამე თუ ოცდამეოთხე წელს მოიკითხა თამარმა კარის⁵⁰ საქმეები. დიდი ხნის მანძილზე იბრძოდნენ სარგის თმოგველი, შალვა თორელი და მესხნი მის ასაღებად, მაგრამ ვერაფერი გააწყვეს: სასტიკი ზამთრისა და ყინვის გამო ახლოს ვერ მიდიოდნენ მასთან, ყინვების დროს გაყინული წყლის გამო ბრძოლა შეუძლებელი იყო. გარშემო ყველა ციხე და სოფელი აიღეს და მხოლოდ კარილა ჰქონდათ დარჩენილი სპარსელებს. თავისი მაღალი გონებით გადაწყვიტა თამარმა გაეგზავნა დავითი ზემო ლაშქრით. თან ივანე და ზაქარია გააყოლა, უბრძანა, რომ იქ განლაგებულიყვნენ და მთელი ძალით შებრძოლებოდნენ მონინალმდეგეს. ამას ხანგრძლივი დრო დასჭირდა. თვით თამარი ჯავახეთში ელოდა მათგან ამბავს.

მივიდნენ რა წარგზავნილები, დაიწყეს წყალსაცავის დამცველი კედლის ნგრევა. დიდი დრო დასჭირდათ ამისთვის: დაარღვიეს კედელი, გამოიღია წყალი და ამ წყალთან ერთად ბოლო მოეღო ქალაქის მკვიდრთა უმრავლესობასაც. დარჩენილებმა სთხოვეს დავითს, რათა თვით თამარი მისულიყო და მას მინდობოდნენ – ეშინოდათ იმ სალანძღავ სიტყვათა გამო, რომელთაც ადრე ციხიდან ყვიროდნენ.

მოახსენეს ეს ყველაფერი თამარს და იგიც მივიდა. მეციხოვნეებმა მიუტანეს ციხის კლიტენი ჯერ თამარის ძეს, გიორგის, შემდეგ კი თვით თამარს მიაართვეს: [144] ითხოვდნენ მისგან მშვიდობასა და ფიცს, რომ მეფე სხვას არ გადასცემდა კარს, როგორც ეს გააკეთა ანისისა და დვინის შემთხვევაში, არამედ თვითონ დაიტოვებდა თავისი სამფლობელოს ფარგლებში. თამარმა მტკიცე პირობა დაუდო და უბრძანა თავის ძეს, გიორგის, რათა შესულიყო და ჩაებარებინა ქალაქი და ციხე. ასეც მოხდა: მხოლოდ ეს ერთი ქალაქი და ციხე დაიტოვა თავისთვის თამარმა ყველა იმათთაგან, რომელნიც აიღო ზორაკერტიდან განძამდე და ჯავახეთიდან სპერამდე.

ვისაც ეცოტავება თამარისა და მისი ლაშქრის მიერ ჩვიდმეტი წლის მანძილზე აღსრულებული საქმენი, ნახოს ის, რაც მათ ერთი წლის მანძილზე შეძლეს: მხოლოდ მხარგრძელთა საგვარეულო ციხეების ხილვა, ზემოთ და ქვემოთ მდებარეთა, საკმარისია ამაში დასარწმუნებლად⁵¹.

აქამდე მხოლოდ მხიარულ ამბებზე მოსაუბრე იძულებული ვარ მწუხარებისაკენ მივიქცე, რადგან მთელი ქვეყნის გლოვის მიზეზზე უნდა მოგითხროთ.

ნაჭარმაგევში იმყოფებოდა თამარი, გარშემორტყმული დიდებულთა და წარჩინებულთაგან. იზრუნა და მოაწესრიგა სამეფო საქმეები, განსაკუთრებით ეკლესია-მონასტრებისანი. იქ ყოფნის დროს იჩინა თავი თამარის სენმა, რომელმაც ჩვენ ყველას უბედურება მოგვიტანა. დღითიდღე ძლიერდებოდა ეს სენი თამარში, მაგრამ დიდი ხნის მანძილზე ფარავდა, რათა არავინ შეეწუხებინა. როდესაც სენს ვერანაირმა მკურნალობამ ვერ უშველა, მხოლოდ მაშინ განაცხადა მის შესახებ: ქალის ნაზმა აგებულებამ ვერ აიტანა ის ხანგრძლივი სამხედრო საქმეები, რომლითაც თამარი იყო დაკავებული.

მებრალეებიან მისი დიდად ერთგული ადამიანები, რომელთაც გამოეპარათ თამარის ავადმყოფობა. ტახტრევანიტ წამოიყვანეს

ტფილისში. რამდენიმე დღის შემდეგ, ჩვეულებისამებრ, იწვევს ტყეში გასვლა. ჩქარობდნენ, ისევ ტახტრევანით აიყვანეს იქაც, მაგრამ უმონყალო სენი გართულდა და კვლავ დააბრუნეს აგარის ციხეში.

ამაო აღმოჩნდა მისთვის მკურნალთა ხელოვანება. ამიტომ იქაც, სადაც თამარი იმყოფებოდა, და ყველგან სხვაგანაც, ტარდებოდა უწყვეტი ლიტანიობა, ღამისთევები, ცრემლებად იღვრებოდნენ როგორც მდიდარნი, ასევე ღარიბნი. მაგრამ განგების შეცვლა შეუძლებელი იყო: დღემ იწყო კლება, [145] მზემ – ჩასვლა, სინათლე გაუფერულდა; ცისკარი ბნელი ღრუბლებით შეიმოსა – თამარის ვარდისებრმა ღანვებმა იწყეს ქცნობა, თვალები, რომლებიც ტბის მსგავსად მზეს ირეკლავდნენ, ჩაქრნენ; ხელები, რომელთაც არასდროს სწყინდებოდათ გლახაკათათვის მონყალების გაცემა, დაუძღურდნენ; ფეხნი, რომლებიც არასოდეს იღლებოდნენ საღმრთო საქმეთა კეთებისას, მოდუნდნენ – სიცოცხლის ყველა გამოვლინებამ იცვალა სახე.

საერთო უძღურებამ მოიცვა ყველა და არ იცოდნენ, რა მოემოქმედათ. მთავრები სახეში იცემდნენ ხელს, გლახაკნი – თავში. თამარის სიცოცხლის სანაცვლოდ ღმერთს საკუთარ თავებსა და შვილებს სთავაზობდნენ: „მხოლოდ ეს დატოვე და ჩვენ ყველა დაგვხოცე“ – ამას ამბობდნენ თამარის მოსასვენებელ პალატას გარშემორტყემულნი, სადაც მათი საერთო მწუხარების მიზეზი იმყოფებოდა. რაიმე გამოსავალი რომ ყოფილიყო, ეცდებოდნენ, არ შეეშვათ მასთან სიკვდილი. არაფერი დარჩა, რაც არ სცადეს, ლოცვისა და მწუხარების ჩათვლით, მაგრამ მწოდებელი უკვე კართან იდგა და შეუძლებელი იყო მის ბრძანებას წინ აღდგომოდნენ.

ბრძენმა თამარმა ამჯერადაც გამოიჩინა სიბრძნე: უხმო სამეფოს ყველა წარჩინებულს, მოიკრიბა ძალა და, მხნედ მჯდომმა, ასე მიმართა მათ: „ძმანო ჩემნო და შვილნო! მე მიხმობს საშინელი მსაჯუელი, რომელიც უფრო საშიშია, ვიდრე ამქვეყნის მეფეები, რომელსაც ძალუძს სული წარსტაცოს მთავრებს. ყველანი მოწმენი ხართ, რომ მუდამ თქვენი სიყვარული მამოძრავებდა და არავის დავაკელი ჯეროვანი პატივი, სიკეთე და კეთილდღეობა, სანამ ღვთის განგებით თქვენი მეფე ვიყავი. ახლა მეც ჩვენი მამების ჩემთვის უცნობ გზას დავადგები, საშინელი ბრძანებითა და საკვირველი გადანყვეტილებით. გვედრებით, ჩემი ხსოვნის გამო მუდამ კეთილ საქმეებში იყოთ. ჩემ მემკვიდრეებად გიტოვებთ ღმერთის მიერ მოცემულ შვილებს – გიორ-

გისა და რუსუდანს. ესენი მიიღეთ ჩემ სანაცვლოდ და ამათ აღმოგივსონ ჩემგან დაკლებული“.

ასე შეავედრა იქ მყოფთ თავისი შვილები ხატისა და ცხოველმყოფელი ჯვრის წინაშე. შემდეგ უკანასკნელად ამოიღო ხმა და ყველას მშვიდობა უსურვა სიტყვებით: „ქრისტე, ჩემო ერთადერთო ღმერთო, დაუსრულებლო ღმერთო ცისა და ქვეყნისა! შენ გავედრებ ამ სამეფოს, რომელიც შენგან მქონდა ჩაბარებული, და ამ ერს, შენი პატიოსანი სისხლით გამოსყიდულს, და ამ ჩემს შვილებს, რომლებიც შენ მომეცი, და ბოლოს – ჩემს სულს“.

[146] მწარედ ატირებული გამოვიდა ყველა. დაიძინა თამარმა მართალთა ძილით იანვრის თვეში, თვრამეტ რიცხვში; ჩაესვენა მზე ქართლისა; მისი საფლავის სადიდებლად ამ ქვეყნის ქრისტიანები ვალდებული ვართ გავაგრძელოთ ცხოვრება.

რა შეიძლება კიდევ ითქვას იმის გარდა, რომ გარშემო გაისმოდა მხოლოდ მწუხარე მოთქმა, გამეფდა ბნელი, რომელშიც არ აღწევდა ნათელი, იყო უნუგეშო გლოვა,⁵² რადგან ვის უნდა ეცა ნუგეში ამ საყოველთაო გლოვის დროს?! ქვეყანამ დაკარგა თავისი მომხიბვლელობა – საზარლად შეიცვალა; შეიკვეცა ყველამ თმა, ვისაც კი ოდესმე თამარის სახელი ჰქონდა გაგონილი; გოდების ხმამ ქვესკნელიც კი შეძრა; ადამიანები ძაძით შეიმოსნენ. თითქოს ჩვენთან ერთად გლოვობდა ცა და მთელი ქვეყანა.

რამდენიმე დღის მანძილზე იყო დასვენებული მისი ნეშტი მცხეთაში და ბოლოს დაამკვიდრეს გელათში, სამარხში, სადაც განისვენებდნენ მისი მამა-პაპანი, რათა განდიდებულიყო მათთან – სახელოვან დიდ მეფეებთან ერთად.

შეიცვალა ქართველთა მხიარულება მწუხარებით, ფერი დაკარგეს მათმა ბაგეებმა. ადრე, მის სიკვდილამდე, მათ ხომ პირზე მხოლოდ თამარის სახელი ეკერათ: სახლის კედლებზე აკროსტიხით მის შესხმას წერდნენ, ბეჭდებს, დანებსა და ჯოხებსაც თამარის საქებარი სიტყვებით ამკობდნენ; ყველას ბაგე მუდამ მზად იყო, რათა თამარის სახობობო სიტყვა აღმოეთქვა: ხნულის გაკვეთისას მეორნატე ყრმები თამარის საქებარ ლექსებს ამბობდნენ; ერაყში მყოფი მუსიკოსები, ებანზე თუ ჩანგზე დამკვრელნი, თამარის შესასხმელ ჰანგებს გამოსცემდნენ; ფრანგი და ბერძენი მენავეები, ზღვაში მშვიდი ამინდის დროს მცურავნი, თამარს აქებდნენ. ამგვარად, მთელი ქვეყანა სავსე იყო მისი ქებით

– ყველა ენაზე, სადაც კი ოდესმე მისი სახელი ჰქონდათ გაგონილი, თამარს აღიდებდნენ.

რისთვისღაა საჭირო თამარის საქმეთა შესახებ საუბარი, თუ კიდით-კიდემდე გახდა ისინი ცნობილი და ბრძენის სიტყვისაებრ, ამის დასტურია ყველაფერი ის, რაც ჩვენ ვიხილეთ?

არა მგონია, რომ შეუმცდარი ვიყო თამარის ღვანლის შეფასებაში, რომელიც ჩემს ძალას აღემატება, რადგან სურვილი და შედეგი ამ მცდელობისა ისე ესადაგება ერთმანეთს, როგორც სიმძიმე [147] და პატიოსნება ოქროსი და ფიჩხის ნაშენისა. ვინ მოახერხებს მის ღირსეულად შემკობას, რა უნდა იყოს შექებული პირველ რიგში და რა – დასასრულს? უზომო თავმდაბლობა, ენით აუნერელი ამაღლებულობა, საქები სიმშვიდე, ზომიერი სიხისტე, თანამგრძობი ღმობიერება და მოწყალება, უზადო უმანკოება, გულწრფელობა, ყოვლისმომცველი სიკეთე, უზომო სიუხვე და, ყველაფრის თავი და თავი, ღვთის შიში და მისი ერთგული მსახურება. ამიტომ მიაღწია მან იმას, რასაც ვერ მიაღწია ვერავინ სხვამ. ამას ადასტურებს ქართლის მახლობლად არსებული ყველა სამეფო: რამდენი დაგლახაკებული მეფე კვლავ გაამდიდრა, რამდენ დამარცხებულს დაუბრუნა სამეფო, რამდენი, საკუთარი სამფლობელოდან გაძევებული, უკან დააბრუნა და რამდენი სიკვდილმისჯილი გაანთავისუფლა. ამის მოწმენი არიან მთავარნი შარვანშეთისა და დარუბანდისა, ღუნძებისა და ოვსთა, ქაშაგთა, კარნუ-ქალაქელთა და ტრაპიზონელთა – ყველა ამათ მიანიჭა თამარმა თავისუფლება და დაიცვა მტერთაგან.

სხვა არავინ იცავდა საღმრთო რჯულს ისეთი თავდადებითა და თავმდაბლობით, როგორც თამარი. ამაში იგი თეოდოსი დიდსაც კი აღემატებოდა. მეექვსეა, რომ მეუღაბნოეთ შესძლებოდათ იმდენი ლოცვა და ღამისთევა, რამდენიც მის სასახლეში აღესრულებოდა. მარხვაზე რალა ვთქვა, ეს მონაზონთათვის არის სავალდებულო და მის დამრღვევთ სასახლის ხალხი ამხელდა.

ზედმეტია აგრეთვე საუბარი მის სიყვარულზე ხუცესთა და მონაზონთა მიმართ, რადგან ადამიანები, რომლებიც მართალი ცხოვრებით ცხოვრობდნენ, მუდამ გარს ეხვივნენ მეფეს. თავისი მოსასვენებელი ადგილის მახლობლად უდებდა მათ ბინას, თვითონ ამარაგებდა საკვებით და არსებობისათვის სხვა ყველაფერი აუცილებელით. თუ ვინმე მათგანი დაუძლურებული იყო, მიდიოდა მოსანახულებლად და ნუგეშის მისაცემად, თვითვე უმზადებდა სარეცელს.

ლატაკთა მისახედად თამარმა სანდო ზედამხედველნი დაანესა: მთელი სამეფოს შიდა და გარე შემოსავლის მეათედი უკლებლივ მათ მიეცემოდათ და ამას ქერის არც ერთი მარცვალი არ დააკლდებოდა. ამას ყველაფერს იგი ღვთის წინაშე ჩადენილ საკმარის სიკეთედ არ მიიჩნევდა, არამედ მოცლილობის ჟამს მიუჯდებოდა საქსოვსა თუ საკერავს და თავისი ხელით გაკეთებულს ხუცესებსა და ლატაკებს თვითონვე უნაწილებდა.

სახიერი ღვთის სათნოებათა გამომხატველ ამ სამუდამოდ დადგენილ წესებს თამარი იცავდა არა მხოლოდ მეფობის დასაწყისში, არამედ ბოლომდე და თავისი შარავანდედის ნათელს ყველას თანაბრად ჰყენდა. გაცემულ წყალობათა მეშვეობით [148] იგი ღვთის წყალობას იზიდავდა. ასე მოიხმარდა თამარი მისთვის ბოძებულ დროს, ამით აძლიერებდა მეგობრებს და არა სიცრუითა და უსამართლობით მოპოვებულთ.

დროის ზენოლით არასოდეს მოდუნებულა, არ შეუსუსტებია სამეფოს მართვის სადავეები; არასოდეს მიუცია გონებისათვის შეღავათი ჩაბარებულ საქმეთა კეთებისას; არ აჰყოლია ისეთ ცდუნებას, რომელიც ადამიანს ძირს დასცემს; არც თავმდაბლობის გამოვლინების ერიდებოდა და არც ის სიმაღლე აკრთობდა, რომელზეც იმყოფებოდა; არც დროულად გამოჩენილი ღმობიერების ეშინოდა და არც სისასტიკეზე ამბობდა უარს – ყველაფერი შეაერთა საკუთარ თავში, რათა მთელი სისრულით წარმოეჩინა თავისი არსი⁵³.

ქვეყნიერების შემოქმედის ნება მტკიცედ დაიცვა, რათა არ დაერღვია დადგენილი ციური წესრიგი და არ გადაეხვია მისგან, არ ჩაეთრევინებინა თავი ამქვეყნიურ ლელვაში. არც იმ თოკს აარიდა თავი, რომელიც მიწისკენ იზიდავდა, მაგრამ, ზედმეტად დამდაბლებულმა, გონიერების მეშვეობით ყველაფერი იღონა, რათა მისი ადამიანური ბუნება არ შეცვლილიყო და ვნებათაგან თავისუფალი დარჩენილიყო⁵⁴. რასაც მოისურვებდა, ის მართლაც სასურველი იყო; რასაც მოინადინებდა, ის ნამდვილად სანადელი იყო. აქებდნენ მას და ნამდვილად ღირსი იყო შექებისა; შენატროდნენ და მართლაც შესანატრი იყო – არ არსებობდა ქვეყნად სიკეთე, რომლის მატარებელიც ის არ ყოფილიყო.

ურჩნი დაამდაბლნა, მოყუარენი აღამაღლნა. არ ცდილობდა უმეზობლოდ დარჩენას, არც საგვარეულოების გაერთიანებას, არც სხვისი მიწების შემოერთებას; საკუთარი საგვარეულო მამულით კმაყოფილ-

დებოდა, რათა უსამართლოდ და მომხვეჭელად არ ჩაეთვალათ, რადგან ზენა სამართლით განისჯება მართალი. დაშინებით კი არ ემუქრებოდა მეზობლებს, არამედ მაშინებელთაგან იცავდა და მტერთა წინააღმდეგ აძლიერებდა. შორს იყო თამარი წურბელას მსგავსი გაუმადლობისაგან, მისი ნამოღვანარის ნაყოფი არ იყო დაგესლილი და მავნე.

მსაჯული იყო თავისსა და მეზობელ მეფეთა შორის, არ აძლევდა მათ ომის დაწყებისა და ერთმანეთის დაჩაგვრის საშუალებას; მაგალითი მათთვის თვითონ იყო და ამის გამო მეფეთა შორის მეორე სოლომონად იქნა აღიარებული. არა მხოლოდ რომელიმე ამ მეფეთაგანს, არამედ ყველას თანაბრად აღედგროდა მისი ხილვის სურვილი და ვინც ამ სურვილს ვერ შეისრულებდა, დიდი მეფენიც კი, თავიანთ ბედს ემდუროდნენ. ცოტადა ეკლდა თამარს, რომ არ შეესრუტა მთელი ზღვის წყალი, როგორც ღრუბელს, რომელიც შემდეგ ყველას თანაბრად ასხურებს გამაგრილებელ წვიმას.

[149] გადახედეთ ძველ თუ ახალ მეფეთა მაქებელ ყველა მატყანეს – სიმართლით შექებული თამარის საქმეები აღემატება მათსას, როგორც ეს დასაწყისში უკვე ვთქვით. სიხარულის მომტანი იყო ყველაფერი, მის მიერ თქმული; მორიდებული, ფრთხილი და კეთილი იყო დამოძღვრისას, მოწყალე – დასჯისას, შერისხვის დროს – თანამგრძნობი და ეს ყველაფერი იმისათვის, რათა თვალნათლივ დაენახვებინა ღმრთაებრივობის არსი. სანთელი იყო გონიერთა და უგუნურთათვის: პირველთ უნათებდა, მეორეთ – სწავდა; ალვირი იყო სწორი გზიდან გადასულთათვის, დეზი – უკეთურთათვის; ზნეობის დამდგენელი – მოხუცთათვის და რკინის კვერთხი – ჭაბუკთათვის; სიბრძნით დამცველი სწორი გზით მავალთა და მიკერძოების გარეშე ყველა შემცდარის მგვემელი.

მღვდელთმოდვრები ღვთის შიშით აღივსნენ; ხუცესებმა იწყეს თავიანთი მოვალეობის შესრულება, მონაზვნებმა – დადგენილი წესით ცხოვრება, მთავრებმა – სინმიდისა და სიმართლის გზით სვლა; ერს განუმტკიცდა ღვთის შიში და თავისი პატრონის ერთგულება; ყრმები გამოიწვრთნენ ურჯულოების სიძულვილში, რადგან თამარის დროს კვალიც კი გაქრა ბილწებისა და ყრმებრივი თავაშვებულობისა; შეუძლებელია უპატიოდ მოიხსენიო ის, ვინც ღირსი აღმოჩნდა სასახლეში ყოფნისა თუ მეფის კარზე სამსახურისა.

ღვთის მცნებათა ამგვარი დაცვით დაიმსახურა უფლის წყალობა: აკურთხა ღმერთმა მისი ცხოვრება, განამრავლა ნაყოფი მისი – ნაყ-

ოფსავსე შეიქნა ის, როგორც წერილშია ნათქვამი: „ნათელი აღმოუბრწყინდა მართალსა“ განთიადისა თანა, და მეუღლე მისი სიხარული შუადღე, და მწუხრი მშკდობით დაიძინა სარეცელსა ზედა თქსსა“. შეამკო ღმერთმა მისი დღეები პატიოსნებით და მისი ჟამი – მშვიდობით. თავისი მეფობის მანძილზე არასოდეს გამოსახვია სახეზე ყოყმანი, რადგან არ დაუტოვებია უპასუხოდ ქვრივთა, ობოლთა და დაჩაგრულთა სათხოვარი. გაიარა მისმა ცხოვრებამ სიხარულში, ყოველდღე ანიჭებდა შვებას გლახაკთ და დავრდომილთ. და ბოლოს, მიეახლა თავის წინაპრებს. დატოვა ორი შვილი – გიორგი და რუსუდანი, მშვენიერნი, სანადელნი, სასურველნი და საქებელნი, სამეფო იერის მქონენი, გონიერებით სავსენი [150], სიბრძნით შემკობილნი, ყველანაირი სიკეთით აღსავსენი. „თამარ ოცდასამთა შინა წელიწადთა შეაწყუდია ყოველი გვარი კეთილ-მეფობისა.“

აქ ვამთავრებ თხრობას. დაე, მომავალმა თაობამ შეძლოს მისი ყველა სხვა ამჟამინდელი გამარჯვების აღსაწერად უფრო შესაფერისი სიტყვების პოვნა, ჩვენ კი, პატივისცემით აღვსილნი, დავდუმდებით.



ლაშა-გიორგის დროინდელი მემატიანე

ცხოვრება დემეტრე მეფისა



აასრულა დავითმა მეფობა ქორონიკონის 345 წელს (1125 წ.) და სამუდამო სასუფეველში დამკვიდრდა. თავისსავე სიცოცხლეში გაამეფა თავისი ძე, დემეტრე და საკუთარი ხელით დაადგა მას გვირგვინი. ლომებრივ ძლიერი მკლავით მართავდა დავითი სამეფოს, რათა მოეთხროთ ამის შესახებ შექების მოყვარე ბრძენთ. სოლომონ მეფე ამბობს: „მეფეთა რწმენა არის მშვიდობიანობის საფუძველი“. თავიდანვე ღვთისმოსიში იყო, სვიანი და მძლე; თავის აღმატებულებაში და სიმდიდრეში – თავმდაბალი, ლატაკთა შემწყნარებელი, ობოლთა და ქვრივთა განმკითხველი, საყდართა და ეკლესიათა, მღვდელთა და მონაზონთა კეთილისმყოფელი, მათთვის სოფელთა და აგარაკთა შემწირველი; სამეფოს დიდებულებთან და თავის კარზე მყოფებთან – ტკბილად მოუბარი, უხვი და მბოძებელი. განაგრცო და ააყვავა თავისი სამეფო: როდესაც დიდმა დავითმა ტფილისი აიღო, ჰერეთი და კახეთი შეიერთა, ციხეებისა და ქალაქების გარდა მოსახლეობა არსად იყო. ჰერეთი, სომხითი, ტაშირი, ჯავახეთი, ქვემო და ზემო არტანი, ტაოს

განაპირა მხარე მისი მეფობის დროს აღორძინდა.

ჯერ არ იყო დემეტრე გამეფებული, როდესაც დიდმა დავითმა ის შარვანში გაგზავნა. ისეთი ომები და ბრძოლები გადაიტანა, რომ ამის მნახველი ყველა განაცვიფრა. აილო [366] ციხე ქალაქორი და აივსო უთვალავი ალაფითა და ურიცხვი ტყვით. გააქცია სუქმანეთნი (დემეტრემ სუქმანეთნი ქორონიკონის 350-ში (1130 წ.) გააქცია) – სპარსეთის მთავარი ძალა, დახოცა და ამონყვიცა ისინი, აავსო საჭურჭლეები და თავისი ლაშქარი.

იყო ერთგულთა შემწყნარებელი და შემცოდეთა სამართლიანად დამსჯელი, რადგან ერთნაირად არ უნდა შეფასდეს ცოდვა მღვდლისა და მეომრისა, მრევლისა და მღვდელთმთავრისა: „ვინც იცის თავისი უფლის ნება და არ ასრულებს მას, მკაცრად დაისჯება“. ყველაფრით მიმსგავსებული იყო დავითის კეთილ ძირს, ღმრთივდანერგილ და ცხებულ ხეს. გაიარა ცხოვრება და სრულყოფილმა მიაღწია სიბერეს. აღიკვეცა ბერად. ბერობაში გაატარა ერთი წელი და მიიცვალა.

გამეფეს მისი ძე, დავითი. იმეფა ექვსი თვე და მიიცვალა.

მის შემდეგ, ქორონიკონის 375-ში (1155 წ.), გამეფდა მისივე (დემეტრეს) ძე, გიორგი.

ამავე წელს მოკვდა მეფე დემეტრე. დემეტრეს და, თამარი, თიღვის აღმშენებელი, აგრეთვე მონაზონობაში გარდაიცვალა. მეორე და, დედოფალი კატა, საბერძნეთში იყო გათხოვილი.

[367] ამ დავითს დარჩა შვილი დემეტრე, გიორგის ძმისწული. როდესაც ორბელნი განუდგნენ გიორგი მეფეს, დემეტრეც თან წაიყვანეს და ლორეში გამაგრდნენ. გამოდევნა მეფემ იქიდან ორბელნი, შეიპყრო და დახოცა. დემეტრე კლდეკარში დაატყვევეს და თვალები ამოშანთეს. მოკვდა და მცხეთაში დამარხეს.

დემეტრე მეფე ბელტის ციხეში მიიცვალა. გელათში წაასვენეს, მის მიერვე კურთხეულ ახალ მონასტერში. ეს მოხდა ქორონიკონის 374-ში (1154 წ.). დემეტრე აბუღეთის ძეს, ივანეს, თავი მოჰკვეთა ჩხერეს მერეში, თავისი მეფობის მეოცე წელს და „მეტეხთა დადვა ფიცისა არ გატეხვისათვის“.

ცხოვრება გიორგი მეფისა

გამეფდა გიორგი, ყველა მეფეზე აღმატებული, მძლე და მორჭმული მტერთა და შეცოდებულთათვის, კეთილმსახური ღვთისა. იყო სიკეთის მქნელი საყდართა, ეპისკოპოსთა, მეუდაბნოეთა, მღვდელთათვის. ვერც დიდი და ვერც პატარა ვერ უბედავდა ურჩობას; იყო შემწყალებელი გლახაკთა და ქვრივთა, უხვი და მბოძებელი ერთგულთათვის.

სპარსეთის სულტნები, შორს და ახლოს მყოფნი, ყველა მისი მოხარკე და ძღვენის მიმრთმევი იყო. თავისი სამეფოს ყველა საზღვარი გამაგრებული ჰქონდა.

ქორონიკონის 380-ში (1160 წ.) აიღო ანისი, ადრიდანვე თურქთაგან წართმეული. შეიპყრო სალდუხი, გაანადგურა მთელი მისი მხედრობა. აიძულა ის, ურიცხვი ძღვენი და საჭურჭლეები მიერთმია. აივსო მისი სამეფო და ლაშქარი.

საფრთხეს აღარ წარმოადგენდნენ განძისა და ხლათის სულტნები. შამისა, ჯაზირისა და არდოხის ძე სალდუხი გააქცია და დახოცა. მოვიდა ილდღუზი სპარსეთის დიდი ლაშქრით, დაარბია შავშეთი, კლარჯეთი. გავალის ჯართან ისე დახოცეს, რომ ამბის წამლებიც ვერ გადარჩა.

ორბელნი განუდგნენ გიორგის ქორონიკონის 397-ში (1177 წ.).

აფხაზეთი, სვანეთი და მთელი ერი ჰყავდა დამშვიდებული. ოვსები და ყივჩაყები, რამდენ ათასსაც უბრძანებდა, იმდენი მოდიოდა. ასევე შარვანის გვარიდან.

უბოძა ღმერთმა შვილი გვირგვინის ცოლის, ბურდუხანისაგან, მსგავსად აღთქმით შობილისა, როგორც ანნას სამოელი, რომლისგანაც გამობრწყინდა სიმართლე და დიდი მშვიდობა მისი მმართველობის დროს. იმეფა ოცდარვა წელიწადს და მიიცვალა კახეთში, სტაგირში, მარტის თვეში, ოცდაშვიდ რიცხვში, ვნების კვირის სამშაბათ დღეს. დამარხეს მცხეთაში მძიმე დროის გამო. იმავე წელს გადაასვენეს გელათში.

[368] ცხოვრება დიდისა მეფეთ მეფისა თამარისი

იყო ყველა მეფეზე აღმატებული, სვიანი და ბედნიერი, ღვთისმოში-ში, ტკბილი, სიკეთით სავსე (ყოველივე კეთილის სათავე არის ღვთის-

მოშიშება და თავმდაბლობა), ეკლესიათა და მონაზონთა მოყვარე, ლატაკთა და მომჩივართა განმკითხავი.

საბერძნეთის მთანმიდა, იერუსალიმისა და შავი მთის საყდრები და ეკლესიანი, რომლებიც დანგრეული იყო, განაახლა; ზოგიერთი გამოისყიდა უცხოტომელთა ხარკისაგან. საკუთარი ხელით დართული ძაფისგან, რაც საჭირო იყო ღვთის სამსხვერპლოდ და სინმიდეთა მსახურებისათვის აკერვინებდა, რაც საჭირო იყო და იქაც და აქაც, აღმოსავლეთის ეკლესიებშიც, ადებინებდა.

ლოცვის მოყვარე იყო და მუდმივად აკეთებდა ამას: მონაზონთა მსგავსად ყოველდამ, დაძინებამდე, ლოცულობდა და ფსალმუნებს კითხულობდა.

ვაზირთა და ლაშქართა მიმართ ღმობიერი იყო; ვინც იმსახურებდა, მშობელივით მიაგებდა ნყალობას. იმდენად ზრუნავდა ყველაზე, რომ მის სამეფოში არც ერთი მსახური არ დასჯილა, გარდა გუზან ტაოსკარელისა: მას თვალები ამოშანთეს. გაღმა გასული სპარსეთში ზაქარია ასპანის ძემ შეიპყრო და დარბაზს მიჰგვარა.

მისი მეფობის დროს გააქციეს შემდეგი სულტნები, თანაც ქალაქები და ციხეები წართვეს: განძის ათაბაგი გააქციეს ქორონიკონის 408-ში (1188 წ.); აივსო ტყვეებითა და ალაფით სამეფო. ზაქარია მხარგრძელმა, მანდატურთუხუცესმა და სპასალარმა, და მისმა ძმამ, ივანე ათაბაგმა, დვინი აიღეს თამარის მეფობის მეცხრე წელს, ქორონიკონის 433-ში (1213 წ.).

მათვე აიღეს გელაქუნი, ბიჯნისი, ამბერდი და ბარგუშატი ზემოთ ანისამდე³² და ხუაფრიდის ხიდამდე. არც ვის გაუგია და არც ყოფილან სხვა რომელიმე ხელმწიფის ასეთი ერთგული, სვიანი და მძლე მხედარნი.

მოვიდა რუქნადინი, რათა დაეპყრო სამეფო და თან ჰყავდა ლაშქარი „დიმუშკითა და ალაბით“³³. წინ მიეგებნენ ბასიანის მხარეში, გააქციეს, დახოცეს მხედრები და ამოსწყვიტეს. ტყვედ აიყვანეს სულტნები და ამირები, ერზინკიელი, შამელი და ბივრიტელი; ხელში ჩაიგდეს საჭურჭლის ზანდუკები, სავსე ოქროთი და მარგალიტით, მრავალი სასულტანოს დროშები, ვერცხლისა და ოქროს ჭურჭელი, აქლემთა, ჯორთა და ცხენთა სიმრავლემ აავსო მინდორ-ველნი. მოხდა ეს ქორონიკონის 435-ში (1215 წ.).

ამის შემდეგ აიღეს კარი, კარნიფორისა და ვანანდისის ციხეები, რახსის წინ მდებარე ციხეები; მანამდე აიღეს ადრე დაკარგული ხახული, ოშკი და ბანა.

[369] ღვთის ამდენი წყალობის გამო მათ ღვთის კრძალვაც ემატებოდათ. ვერავინ გაბედავდა საყდართა და მონასტერთა ნგრევას. ამერსა და იმერში ვერავინ ძარცვავდა ქარავნებს. აფხაზეთის ძველ სამეფოშიც სიმშვიდე იყო, ერთი ქათამიც კი არსად დაიკვლებოდა: ქურდი და ავის ჩამდენი აღარ არსებობდა. თუ ვინმე მოპარულს იპოვიდა, სამეფო კარზე მიიტანდა და დროშათა ქვეშ დადებდა. ოვსი, მთიული, ყივჩაყი და სვანი ვერ ბედავდა მოპარვას. ისეთი მდიდარი იყო სამეფო, რომ აზნაურთა ყმანი პატრონთა მსგავსად იმოსებოდნენ.

თამარის ქმარი იყო ოვსთა მეფე, დავითი, ბაგრატიონთა გვარიდან; ახალგაზრდა და მამაცი, ყოველმხრივ შესაქები, თამარის ყველა გამარჯვების და მიღწევის თანამონაწილე და შემოქმედი, მარჯვე, სწრაფი მეომარი.

დაანგრიეს სპარსეთის ქალაქები, მარანდი და ერანის მხარე გაანადგურეს. იმ მანძილზე მივიდნენ, სადაც ქართველთა სახელიც კი არ ჰქონდათ გაგონილი.

ორი შვილი მიეცათ: გიორგი და რუსუდანი. გიორგის შობისას გაილაშქრა და აიღო კარი. ამაშიც გამოჩნდა დავითისა და თამარ მეფის ბედნიერება.

თამარის მამის, გიორგის ასული, რუსუდან დედოფალი იყო კეთილი და მონყალე, გაჭირვებულთა ნუგეშისმცემელი და შემწყნარებელი, ობოლთა და ჩვილთა მზრდელი: მათგან ღირსეულთ აახლებდნენ მას აღსაზრდელად. თავისი ხელით გაკეთებულ შესამკობელს საყდრებსა და ეკლესიებში აგზავნიდა.

ახლომახლო მყოფი სულტნები თამარმა მოხარკედ გაიხადა და სამეფო დაურღვევლად შეინარჩუნა, ყველა შეიტკბო და ყველას მშვიდობა მოუპოვა. ოცდასამი წელი იმეფა და აღვიდა ღმერთთან, იქ, სადაც მკვიდრობენ წინასწარმეტყველნი, მამათმთავარნი და მეფენი, იანვრის თორმეტში, ოთხშაბათ დღეს, სომხითის აგარაში, ქორონიკონის 427-ში (1207 წ.). დამარხეს გელათის ახალ მონასტერში.

დიდი გლოვის, ვაებისა და თმის გლეჯვის ჟამი დადგა იმათთვის, ვინც იმსახურებდა და ვისაც მოაკლდა თამარის ღმობიერება, სიტკბო, მშობლიური მზრუნველობა და ბოძება. საჭირო იყო (ამ გლოვის ჟამს) ბრძენთაგან გულისხმიერების გამოჩენა, ხოლო ნუგეშისმცემელთაგან – მოთქმა. მთელმა სამეფომ იგლოვა იმდენ ხანს, რამდენიც შეეფერებოდა ამ ამბავს. იმავე წელს გაამეფეს მისი ძე, გიორგი. დაე, მისი

ცხოვრება იყოს ხანგრძლივი და წარმატებული ამ ცვალებად ქვეყანაში და შემდეგ კი დაიმკვიდროს სასუფეველი.

ცხოვრება გიორგი მეფისა, თამარის ძისა

დაიბადა ქორონიკონის 413-ში (1193 წ.).

მრავალი გასაჭირი ემუქრებოდა მართალთ, ამბობს წინასწარმეტყველი, და ყველა ამ ბოროტებისაგან იხსნის უფალი მისი რიდის მქონეთ. და კვლავ მოციქული: „ჟ სიბრძნე სიმდიდრისა და სიბრძნისა ღვთისა!“ როგორი ამოუცნობია მისი გზები! ვინ შეიცნობს უფლის გონებას, ანუ ვინ მოახერხებს მისი ნების აღსრულებას?!

[370] თამარ მეფეთ მეფის გარდაცვალების შემდეგ მთელი სამეფო უიმედობამ მოიცვა, მაგრამ ღმერთი, რომელიც არ ჩქარობს მრისხანების გამოჩენას, სწრაფია მოწყალების ბოძებისას: მისცა (ქართველთ) მშობლის მსგავსი, მისგანვე ნაშობი ლაშა.

თორმეტი წლისა გამეფდა ნერგი კეთილ-მოზარდი და ყველა ფერთ შემკული ყვავილი, ძალით ლომი და გონებით უმანკო, დიდთა და მცირეთა მოყვარული; ყველას მიაგებდა მათი მდგომარეობის შესატყვის პატივს: მთავრებს, მონაზონთ, მღვდელთ. მშვიდი იყო და განურისხებელი – შვიდი სამეფოს მეფეს არც ერთი ქვეშევრდომისთვის არასოდეს მათრახი არ გადაეჭირა; მშვილდოსანი და მამაცი ცხენოსანი: თავის ახალგაზრდა ასაკში მამა-პაპათა თანაბარი ომები გადაიხადა. ბედი სწყალობდა ლაშქრობებში, ბედნიერი იყო აყვავებული ქვეყნის გამო; იყო გაჭირვებულთა განმკითხველი, სამართლიანი მსაჯული, თავისი ასაკისათვის გასაოცრად კარგი პატრონი ქვეყნისა.

სამეფოში დიდი მშვიდობა სუფევდა. ყველა მისი საქმის თანამონაწილენი და მრჩეველნი იყვნენ ჯერ კიდევ მისი მშობლისდროინდელი ზაქარია მხარგრძელი, მანდატურთუხუცესი და ამირსპასალარი, და ივანე ათაბაგი. პირველ მათგანს მისმა მშობელმა, დიდმა თამარ მეფეთ მეფემ მისდა საბედნიეროდ გაალაშქრებინა და აიღო კარი; შემდეგ გაილაშქრა, წავიდა და შევიდა დიდ სპარსეთში, გაიმარჯვა არდაველზე, დაამხო ციხე-ქალაქნი და აავსო სამეფო ალაფით.

ამის შემდეგ გადანვა და დაარბია ხლათის ქვეყანა, შეივედრა ხლათელნი და გამარჯვებულმა აღუთქვა ზავი მორჩილების შემთხ-

ვევაში. და კიდევ: თავისი სამეფოს მოყვრად და ერთგულად გაიხადა კარნუს მოსახლეობა, დაბანაკდა ბასიანში და იქ დრო გაატარეს და განისვენეს ერთად. შალვა თორელმა თავისი ხმლითა და ხოტბის შესხმის ღირსი ომით აიღო კეჩროლი: კაცთა შორის არ მოიპოვებოდა მისებრი ჭაბუკი და მეომარი.

აილო მეფემ ოროტი და მის გარშემო ყველა ციხე ნახჭევანამდე და განძის მისადგომებამდე, აილო შანქორიც.

შემოვიდნენ უცხოტომელთა ლაშქრები სომხითსა და ჰერეთში; მცირე ზიანი მიაყენეს მათ ქვეყანას. უკან გაბრუნებულებს დაენია ბაღის წყალთან; პირველი გამარჯვება მტრის მხარეს აღმოჩნდა. შემდეგ, ღვთის წყალობითა და მეფე გიორგის მშვიდი სარდლობით, გააქციეს და ამონყვიტეს გაქცეულები. შემდეგ წელს კვლავ მობრუნდნენ და დაბანაკდნენ ბარდავის ქალაში. შეიყარა მთელი სამეფო, შემოუერთდათ კარნუ-ქალაქის ლაშქარიც, დადგნენ ლომთა-გორსა და აგარანს შუა: შებმამდე გაიქცა და გადაიხვეწა მტერი, წავიდნენ დარუბანდის გზით.

ვაქებთ მას ყველას გასაგონად, არ ვცრუობთ და არც გვრცხვენია. როგორც ამბობს დავითი მამა ღმერთის შესახებ: „იქმნენ მშვილდ რგალისა მკლავნი მისნი და ექმნა შემწედ მაცხოვარება მისი“.

[371] ამგვარი წარმატებებისა და ბედნიერების დროს დიდმა სულტანმა მელიქმა ითხოვა გიორგის დის, რუსუდანის ხელი ხლათში სად ედოფლოდ. მელიქი განაგებდა სპარსეთს ეგვიპტიდან ხლათამდე. ღვთის მოწყალებამ ჩაშალა ეს ამბავი და არ მოხდა ასე.

ამის შემდეგ დიდი ვედრებით ითხოვა იგივე შარვან-შაჰმა. დაჰპირდნენ, რომ შეუსრულებდნენ თხოვნას. გაგზავნა გიორგიმ შარვანში ქართლის ერისთავი და თვითონ ბაგავანში ჩავიდა, რათა ყველაფერი მოემზადებინა დის გასათხოვებლად. დაჰყო იქ ათი დღე; დადგა მისი წასვლის დრო, მაგრამ მოგვაგო ღმერთმა სასჯელი ჩვენი ცოდვების გამო: მოკვდა გიორგი მეფე ბაგავანში იანვრის თვრამეტში, ოთხშაბათ დღეს, ქორონიკონის 442-ში (1222 წ.).

ყველა საშინელმა ტკივილმა მოიცვა, ცრემლის ნაცვლად გულიდან სისხლი სდიოდათ, მისი თანააღზრდილნი და ისინი, ვისაც ახსოვდა მისგან სიკეთე, მზად იყვნენ სიცოცხლეს თვითონაც გამოსთხოვებოდნენ; იყო უზარმაზარი მწუხარება და თავზე ნაცრის დაყრა ვაზირთაგან, დიდებულთაგან, მთელი სამეფოსაგან და თვით მისი გამზრდელის, ივანე ათაბაგისაგან.

ღმერთმა, რომელიც მდიდარია მოწყალებით და მიუწვდომელი ძლიერებით, გადმოხედა და არ განირა სამეფო, რისხვა წყალობით შეცვალა: ღვთის ნებით სამეფოში დარჩენილი რუსუდანი იმავე წელს გაამეფეს. ღმერთს რომ დაღუპვისაგან არ ვეხსნეთ, საეჭვო იყო ვინმე გადარჩენილიყო მისი ძმის სიკვდილით მიყენებული ტკივილისაგან.

ნაასვენეს მაშინვე გელათში, დაკრძალეს თავისი მამის საფლავში. არ დარჩა გვირგვინის ცოლთან შვილი.

ყოვლადსახიერო ღმერთო, რომელიც არ განირავ ღვთისმობიშთ, დაიცავი სამეფო და მეფე ჩვენი, ღმრთივგვირგვინოსანი რუსუდანი და, ჩვენ გასახარად, ამრავლე მისი ნაშვირნი და მიეცი მეფეს, პირველ რიგში, სიმრავლე წელთა და შემდეგ დაუმკვიდრე სასუფეველი ცათა.



ქამთააღმწერელი

მესამოცე მეფე ლაშა-გიორგი



მ სანატრელმა სიცოცხლეშივე დაადგა გვირგვინი თავის ძეს, გიორგის, რომელსაც ლაშასაც ეძახდა. ცამეტი წლის იყო ლაშა, როდესაც მეფობის გვირგვინი დაიდგა და მეფე თამარმა მიულოცა. ხოლო როდესაც თამარი გარდაიცვალა, ლაშა თვრამეტი წლის იყო. თამარმა თავის ძეს მეფობა დაუტოვა, ხოლო ქართველ ხალხს – გვემა, მწუხარება, ვაება და გლოვა, რადგან მისი სამეფოს მკვიდრნი ცოცხლად იყვნენ ჩასულნი ჯოჯოხეთში; თამარი იმსახურებდა ასეთ გლოვას.

თამარის შემდეგ გამეფდა მისი ძე, ლაშა-გიორგი. იყო ძლიერი აღნაგობის, მამაცურად მოისარი, ნადიმების მოტრფიალე, ლალი და თავნება. უფრო იმიტომ იყო გათამამებული, რომ ყველა მონინაღმდეგე დაიმორჩილა მისმა კეთილად მოხსენებულმა და ღვთისმოყვარე დედამ და უშფოთველი და დანყნარებული ჰქონდა დატოვებული თავისი სამეფო; ყველა მათი მეზობელი მოხარკედ გაეხადა, როგორც, მაგალითად, განძელები და მათ ახლოს მოსახლენი, ნახჭევანელები და კარნუქალაქელები. მრავალი სხვაც ძღვენითა და ხარკით მოდიოდა მასთან. იმ დროს ლაშა იშვებდა, იხარებდა და ყველგან იყო განცხრომა და მხიარულება.

[152] მაშინ განძელებმა დაიწყეს განდგომა და მეფეს ხარკის მიცემა შეუნწყვიტეს. შეიტყო რა ეს ლაშამ, იხმო საქართველოს ყველა სპა, იმერნი და ამერნი, მხარგრძელი ივანე, რომელსაც მაშინ ათაბაგობის პატივი ჰქონდა ბოძებული მისი დედის, თამარისაგან. ათაბაგობის პატივი იმდენად იყო განდიდებული, რომ ათაბაგი სხვა ერისთავებზე აღმატებული იყო, მეფის კარის ვეზირი გახლდათ.

მეფემ თქვა: „რადგან ხელმწიფეთა შორის ბრწყინვალე და სანატრელმა დედამ ჩემმა დამიტოვა მეფობა, ჩემი მამა-პაპათა ყველა მოწინააღმდეგე მოხარკედ აქცია და დღევანდლამდე ჩემი ბრძანების მორჩილნი არიან, ხოლო ახლა განძის ათაბაგს თვალში არ მოუვედი და ხარკის მოცემა არ ნებავეს, მე განვიზრახე, რომ განძაზე შური ვიძიო და თქვენ გაგსარჯოთ. რადგან ჩვენს სანატრელ მამა-პაპათ თქვენი ძალითა და თანადგომით დაუშხიათ დიდი სულტნების ძლიერება, ახლა მიიღეთ ჩემგან პატივი და საბოძვარი და გავილაშქროთ განძაზე, რათა სხვა მტრების დასაცინი არ გავხდეთ. ღვთის შეწევნით, პატიოსანი ჯვრის წინამძღოლობითა და თქვენი სიქველით ვსძლიოთ მტრებსა და ჩვენს მოწინააღმდეგეებს“.

როცა სამეფოს წარჩინებულებმა მოისმინეს, გაიხარეს, შეჰფიცეს და უთხრეს: „ღვთის მიერ დიდი ნუგეშისცემა მოგვემადლა, რადგან გნახეთ ახოვანი და გოლიათი, გორგასლიანი და დავითიანი, მათი მსგავსი. ღვთის მინდობით და თქვენი ძალით დავიმორჩილოთ თქვენი მეფობის ურჩნი და ყველას შევანანოთ თქვენი ორგულობა“.

მაშინ გადაწყვიტეს ლაშქრობა და მეფე დიდი სპით გაემართა განძის დასარბევად. განძელებმა წინააღმდეგობა ვერ გაუწიეს და მოაოხრეს განძის ქვეყანა. [153] ხელთ იგდეს ტყვე და ურიცხვი ალაფი და მოადგნენ ქალაქ განძას. მრავალი დღე იბრძოდნენ. ყოველდღე ნაწილ-ნაწილ გამოდიოდნენ ქალაქის კართან საომრად; აქედანაც და იქიდანაც ურჩეულები იბრძოდნენ. მაშინ მეფემ გადაწყვიტა მცირე ლაშქრით ქალაქის გარშემოვლა. და როცა მტკვარს ქვემოდან უვლიდა, შეიტყვეს ეს განძაში მყოფებმა, ყველანი აღიჭურვნენ. შეიარაღებული კაცი იყო ათი ათასი.

მეფეს მხოლოდ ოთხი ათასი კაცი ჰყავდა, ამათ შორის უმეტესობა მესხები იყვნენ. ერთ მხარეს მხარგრძელები იდგნენ და მეორე მხარეს – ჰერ-კახელები და სომხითარები, ქართველები და თორელები, კიდევ სხვა მხარეს – აფხაზები, დადიან-ბედიანელები და ლიხს იქითურები, ერთიმეორის მიყოლებით. იმ დროს, როდესაც მეფემ ქვემოდან შე-

მოუარა, იგი იცნეს, სწრაფად გააღეს ქალაქის კარები და როგორც მხეცნი, ზედ მიესივნენ. მეფე ლაშა არ შეუშინდა მათ სიმრავლეს და თავის მოლაშქრეებს ამხნევებდა. მეფის სპანიც, თავიანთი თავის სასიკვდილოდ გამწირველნი, ეუბნებოდნენ: „სიკვდილამდის ვიბრძობთ, თავს სასიკვდილოდ დავდებთ და არ შევარცხვენთ შენი მეფობის პირველ ომს“. ელვის სისწრაფით მიესივნენ ერთმანეთს, შეიქმნა ძლიერი და ფრიად სასტიკი ბრძოლა. მახვილით დაეცა განძის მრავალი რჩეული. თვითონ მეფე ლაშა, სვიანი მკლავითა და გოლიათი ხელით, მხნედ და ძლიერად გაიჭრა წინ, მასთან ერთად მამაცურად იბრძოდნენ ყვარყვარე ჯაყელის პირმშო შვილი ბიბილა გურკელი, ბოცო ბოცოს ძე, მემნას ძმა, რადგან ესენი წინ დაეყენებინათ.

ხოლო როცა განძელებმა მათი მამაცობა იხილეს, სწრაფად იქცეეს მათგან პირი; ქართველებმა სდიეს მათ ქალაქის კარამდე. მცირე ნაწილმა შეაღწია შიგნით, უმრავლესობა დაატყვევეს და ზოგიერთები დახოცეს. [154] ამის მხილველი ქალები სასტიკად იხოკავდნენ გულმკერდს, იგლეჯდნენ თმებს – ყოველი მხრიდან გაძლიერდა წივილკივილი. ესმათ რა ეს გარშემო მდგარ მოლაშქრეებს, მსწრაფლ გაემართნენ მეფისაკენ.

ღმრთის განგებით უვნებლად გადარჩნენ მეფე და მისი თანამებრძოლნი. სახელოვანი თავადები წინ მოეგებნენ ლაშას. დიდებულმა მებრძოლებმა და მოლაშქრეებმა მოახსენეს მეფეს, რომ ამიერიდან უარს იტყოდნენ მის ჯარში და მეფის კარზე სამსახურზე. მეფე ცხენიდან ჩამოხტა და უმეცრებით ჩადენილისათვის შენდობა ითხოვა.⁵⁵ ამნაირი სიხარულით მივიდნენ მეფის კარვამდე და შვიდეულის კვირამდე იყო მხიარულება და ლაშქრის დაჯილდოება.

ამგვარად შეჭირვებული განძის ათაბაგი ევედრა მეფეს, რომ დაეკისრებინა მისთვის იგივე ხარკი, რაც ადრე ჰქონდა. მეფე დათანხმდა და მრავალი ძღვენის, თვალ-მარგალიტის, ოქროსა და ვერცხლის ფასად უკან დაუბრუნა ტყვეები. თვითონ მეფე მივიდა თბილისში და საბოძვარით აავსო საქართველო, რადგან იყო ყველა მეფეზე უმეტესად უხვი და არავის მოშურნე, მლოცველი, მმარხველი, განმკითხველი და მონყალე. მაგრამ ბოლოს, უწესო კაცთა მიბაძვით, ცუდ გზას დაადგა. როგორც სოლომონის შესახებ წერია, რომ აცთუნეს იგი ქალებმა, ისე ესეც აცთუნეს უწესო კაცებმა. ამას ცხადყოფს ქვემოთ მოთხრობილი. ერთობოდა ნადირობით და მოქეიფებთან ერთად უკეთურ

გზაზე შედგა ისე, როგორც წერია ისრაელის შესახებ: „დასხდა ერი ქამად და სმად და აღდგეს სიმღერად“. [155] ხოლო სმამ სიმღერასა და ღრეობაზე და უზომო ქამაზე და სიბილნეზე უფრო მეტად გადარია. მოიშორა ის ვეზირები, ვინც სანატრელი დედოფლისა და მისი დედის მიერ დადგენილი წესების დაცვას ურჩევდნენ, შეიყვარა ქეიფობასა და უწესო ქალებთან დროსტარებას აყოლილი თანატოლები, ისეთი უმსგავსობა ჩაიდინა, რომ ერთხელაც, ტფილისში ყოფნისას, თაფლუჭის ღვინით სასტიკად მთვრალი რინდებთან წაიყვანეს, რომ იქ უფრო მეტად ჩაფლულიყო სიბილნეში. ღვინისგან უგონოდ მთვრალი რინდები, რომელთაც არ იცოდნენ, რომ მოსული მეფე იყო, მიესივნენ და სასტიკად სცემეს, ისე, რომ მარჯვენა თვალი დაუბრმავეს.

ამის გამგონე საქართველოს თავადებმა, ფრიად შეწუხებულებმა, განსაკუთრებით ივანე ათაბაგმა და ვარამ გაგელმა, ზაქარიას ძემ, დატოვეს სამეფო დარბაზი. „არ ვცნობთო, ეუბნებოდნენ, შენს მეფედ ყოფნას, თუ არ მოშორდები ბოროტ კაცებთან სიახლოვეს და ავ ჩვეულებას, რომელსაც მისდევ“. ხოლო მეფემ მოინანია და ფიცით აღუთქვა, რომ არაფერს გააკეთებდა მათი დასტურის გარეშე. ასრულებდა [ნათქვამს], მაგრამ ძლიერი იყო უჩინო მტერი; გულისწადილის გამო ქალების მიმართ ვერ დაარწმუნეს ცოლის შერთვა. კახეთის ერთ სოფელში, ველისციხეში, მისულმა ნახა მშვენიერი გარეგნობის ქალი, მაშინვე აიტაცა გულისთქმამ და დაივიწყა რა დავითისა და ურიის ცოლის ამბავი, თავისთან წაიყვანა და ფრიად შეიყვარა. ქალი დაფხმძიმდა და შვა ყრმა, რომელსაც სახელად უწოდეს დავით. ეს ის დავითია, რომელიც მრავალი განსაცდელის შემდეგ მეფე გახდა, რასაც ქვემოთ მოთხრობილი ამბავი გამოაჩენს. [156] ყრმა აღსაზრდელად მისცა თავის დას, რუსუდანს, რომელიც ლაშას გარდა ჰყავდა თამარს; დიდი დამძური სიყვარული ჰქონდათ ერთმანეთისა.

ამ წარმატებებსა და მშვიდობიანობაში იყო მეფე და ყოველი მხრიდან მოხარკეებისაგან საჩუქარი და ძღვენი შემოსდიოდა. განსაგებელი საქმეებისთვის სახემხიარული მიმოდიოდა თავის სამეფოში. ქვეითად გადადიოდა აჯამეთს, ნადირობდა ცხუმსა და აფხაზეთში და იქაურ საქმეებს განაგებდა. შემოდგომაზე ტფილისში ჩადიოდა, ხოლო ზამთარს სომხეთის დურში რჩებოდა და იქიდან ებრძოდა განძელებს. ზაფხულში მტკვრის თავზე ადიოდა და კოლაში ჩერდებოდა. და მოდიოდნენ მის წინაშე მოხარკენი ძღვენით ხლათიდან და საბერძნეთიდან.

ასეთ განსვენებაში მყოფმა არ ისურვა ცოლის შერთვა. ამ მიზეზით შეიკრიბნენ კათალიკოსი, ეპისკოპოსები და ვეზირები და მოახსენეს: „წესი არ არის, მხევალი გესვას და არა ცოლი, როგორც წერს პავლე მოციქული, ქრისტეს პირი: ქორწილი წმინდა არის და საწოლი შეუგინებელი, ხოლო მეძავეებსა და მემრუშეებს დასჯის ღმერთი.“ მაგრამ მეფეს არ სურდა ცოლის შერთვა, არც უსმენდა. ამიტომ მოაშორეს ქალი, დავითის დედა, და მისსავე ქმარს დაუბრუნეს. არც ამის შემდეგ შეირთო მეუღლე, დარჩა უქორწინებელი.

ლაშა-გიორგი იყო მხნე, ახოვანი, ძლიერი, ლალი, ამპარტავანი, თავხედი, თავნება; როგორც ვთქვი, უხვი, გართობის, ღვინისა და ნაყროვანების მოყვარე. [157] მის სამეფოში იყო მშვიდობა. ხალხი გადასული იყო ჭამა-სმაზე, რის შესახებაც წერენ მამანი: სამი მიზეზია ვნებისა, რომლისგანაც წარმოიშვება ყოველი ბოროტი: გემოთმოყვარეობა, ვერცხლისმოყვარეობა და დიდებისმოყვარეობა. ამათგან შობილია: სიძვა, მრუშება, რისხვა, წყენა, ამპარტავნება. ამ ბოროტებათაგან იშვებიან ხორციელი სიამენი, ზნედაცემულობა, რომელთა სათითაოდ აღსაწერი დრო არ არის. როგორც ამბობს წინასწარმეტყველი: „ჭამა იაკობმა, გაძლა, გამსხვილიდა, გასუქდა და დაივიწყა ღმერთი, თავისი შემოქმედი და განუდგა ღმერთს, თავის მაცხოვარს“.

ასევე დაემართა ქართველ ერსაც, რადგან გაძლნენ და დროს ატარებდნენ; სიძვისა და სიმთვრალის უწესოებაში ჩაეფლნენ უგუნური ადამიანები, რომელნიც მეფის კარზე იყვნენ და არ იყვნენ ღირსნი იქ ყოფნისა. რადგანაც ორივე კათალიკოსს და ამ სამეფოს თავადებს, განსაკუთრებით ივანე ათაბაგს, ემძიმებოდათ ეს საქმე, არ ინებეს მეფესთან სამუდამოდ ყოფნა, განშორდნენ და თავ-თავიანთთვის იყვნენ. ცოდვათა სიმრავლის გამო გაჩნდა მიზეზები საქართველოს მოოხრებისა, რასაც ქვემოთ თქმული ცხადჰყოფს.

ამბავი ჩინგიზ-ყაენისა, თუ როგორ გამოჩნდა აღმოსავლეთის ქვეყანაში

აღმოსავლეთის მხარეს, მზის ქვეყანაში, რომელსაც ეწოდება ჩინმა-ჩინი, ყარყურუმად წოდებულ ადგილას გამოჩნდა ხალხი საკვირველი: უცხონი ცხოვრების წესითა და შესახედაობით. არც ძველ წიგნებში

მოიპოვება [158] მათი ამბავი, რადგან არიან უცხო ენისა, უცხო სახისა, უცხო ცხოვრებისა; არ იცოდნენ პურის გემო, იკვებებოდნენ ხორციითა და პირუტყვის რძით. ტანით იყვნენ სრულნი, სხეულით ახოვანნი და ფეხმარდნი; ფერ-ხორციით თეთრნი და მშვენიერნი, წვრილი და ლურჯი, გაზიდული და მახვილი თვალებით; იყვნენ დიდთავიანნი, შავი და ხშირი თმით, შუბლ-ბრტყელნი, დაბალი ცხვირით, ისეთით, რომ ლოყები ცხვირზე მალლა ჰქონდათ და ცხვირის ნაცვლად პატარა ნესტოები უჩანდათ; პატარა ტუჩებით, ჩანყობილი და თეთრი კბილებით, სრულიად უწვერულნი. ასეთი განსხვავებული სახე ჰქონდათ და ნურავის გაუკვირდება, რომ ამათ ყველას, კაცებსა და ქალებს, აღმატებული რალაც მშვენიერება გააჩნდათ. ამასთან ერთად, მხნენი იყვნენ და რჩეული მოისარნი, უცთომელად ისროდნენ მაგარი მშვილდებიდან, მათ ნაკრავს ვერარა საჭურველი დაუდგებოდა წინ. ცხენზე [მსხდომნი] უფრო მამაცნი იყვნენ, ვინაიდან ცხენზე იყვნენ გაზრდილნი; იარაღი არაფერი გააჩნდათ, ისრისა და მშვილდის გარდა.

საოცარი ხალხი იყო, რომ შეხედავდი, ბრიყვები გეგონებოდა, სინამდვილეში დიდი სიბრძნე იყო მათში და სავსენი იყვნენ ყოველგვარი გონიერებით; ცოტა ლაპარაკი იცოდნენ და სიცრუის თქმა არ ახასიათებდათ. არ პირფერობდნენ ადამიანებთან, არც დიდთან, არც პატარასთან, განსაკუთრებით, საბჭოზე, რადგან ჩინგიზ-ყაენისგან დადგენილ სამართლიან წესებს მისდევდნენ, რომელთა სათითაოდ გადმოცემას დიდი დრო დასჭირდება.

ამათ რჯულად ჰქონდათ ერთი უკვდავი ღმერთის თაყვანისცემა. პირს აღმოსავლეთით, მზისკენ იქცევდნენ. სამჯერ იჩოქებდნენ და სამჯერ სცემდნენ თაყვანს, შუა თითის წვერს ხელის გულზე ატკაცუნებდნენ. სულ ეს იყო.

ხოლო უღურნი იყვნენ კერპისმსახურნი, რომელსაც ქუჯნს უწოდებდნენ. [159] შექმნეს დამწერლობა მცირე რაოდენობის ასოებით, რადგან თექვსმეტი ასოთი წერდნენ წიგნს, რაც სასწავლელადაც ადვილი იყო და გასაგებადაც. ამათ შექმნეს ქორონიკონის სახით თორმეტი წელიწადი თორმეტი ცხოველის სახელის მიხედვით. თითო პირუტყვსა და ცხოველს თითო წლის მთავრობა დაუნესეს, როგორც ოდესლაც ძველმა ელინმა ბრძენებმა თორმეტი ზოდიაქოს მზისა და მთვარის ეტლებს. თითოეულ ეტლს მისცეს მზის საჯდომად ოცდაათი დღე (არიან არა ცხოველნი, არამედ ზოდიაქოები), თითო წელიწადს თითო პირუ-

ტყვეს დაუნესეს მთავრობა; როდესაც თორმეტივე გათავდება, თავიდან დაიწყება, როგორც ცხრამეტეული, ცამეტეული, ზედნადები და ზედექვსეული, რადგან ცხრამეტი წელი გაგრძელდება და მერე თავიდან დაიწყება. ასე გაივლის თორმეტი წელი და შემდეგ თავიდან დაიწყება. მათი სახელებია: ყულლუნჯილი, უქურჯილი, ფარსინჯილი, თავლანჯილი, ლუილჯილი, მოლილჯილი, მორინჯილი, ყონიჯილი, მეჩინჯილი, თალანჯილი, ნოხინჯილი, ყაყაინჯილი. ეს იმ ცხოველთა სახელებია, რომელთაგან თითოეულს დაუნესეს თითო წლის მთავრობა. მათგან პირველია ყალლუნი, ანუ თავგი, შემდეგ – ძროხა, ავაზა, კურდღელი, ვეშაპი, გველი, ცხენი, ცხვარი, მაიმუნი, ქათამი, ძაღლი და ღორი. ასეთია მათი წელთაღრიცხვა, როგორც ჩვენი ქორონიკონი.

მონღოლები თავყვანს სცემდნენ ერთ ღმერთს, რომელთაც თავიანთ ენაზე თენგრი უწოდეს. წერილს ასე აწერდნენ: „მანგუ თენგრი ქუჩუნდურ“, რაც ნიშნავს: „უკვდავი ღვთის ძალით“.

[160] მონღოლები მცირე საკვებით კმაყოფილდებიან, რადგან ჭამენ ძაღლის, კატისა და ნებისმიერი სხვა სულიერის ხორცს. მათი მოდგმა მრავალ ტომად იყოფოდა და იყოფა; მხოლოდ თორმეტი მათგანის სახელს გავიხსენებ: საყირები, ყათები, ჰინდები, ჯალირები, ოირდი, სულდუხი, ნიჰიმები, ყონღარდები, მანღუთები, თანღუტები, ყიათები, უღურები. უღურები კერპთმსახურები არიან და მათ უწოდებენ ქუნჯითს. ესენი თავიანთ ენაზე თავს მანღოლებს უწოდებენ, ქართველები კი თათრად მოიხსენიებენ, რაც მე ერთი და იგივე მგონია.

ყიათთა ტომში გამოჩნდა ერთი კაცი, სახელად თემურჩი, იგივე ჩინგიზ-ყაენი. ის იყო ახოვანი, მშვენიერი, ნითურთმიანი, ძლიერი, მხნე, ნამქეზებელი, დახელოვნებული მოისარი, სწრაფად მოაზროვნე, სწორი გადანყვეტილებების მიმღები. წავიდა საბოძვარისა და პატივის მისაღებად მონღოლთა უმთავრესთან – მონღოლები თავიანთ ხელმწიფეს ხანს უწოდებენ. ხანს ონხანი ერქვა. როგორც კი მან თემურჩი დაინახა, მაშინვე შეიყვარა მისი ღირსებების გამო; დიდი პატივით მიიღო, თავის უწარჩინებულესებს გაუტოლა და მხედართმთავრობა დააკისრა. თემურჩი სპობდა ურჩებს, ორგულებს და თავის პატრონს, ონხან ხელმწიფეს, გამარჯვებული უბრუნდებოდა. მან კი ის უფრო დიდ პატივში აიყვანა.

თემურჩის ღილება შეშურდათ ონხანის ძმა უთქინს და მის ძეს, ქოლაქს და ცილი დასწამეს ონხანთან: „თავად ნებავეს გამეფებო“. მეფეს

ისინი ხანს ან ყაენს უწოდებენ. ონხანმა განიზრახა თემურჩის მოკვლა, [161] შეიტყო თემურჩიმ მისი განზრახვა. ორმა კაცმა, ქოლაქმა და ბადმა, აუწყა ეს ამბავი – ონხანს შენი სიკვდილი სურსო.

გაიქცა თემურჩი იმ ორ კაცთან ერთად; მივიდა თავის სახლსა და კარავში, აჰყარა ოჯახი, იარა ერთი დღე და ღამე. მერე დატოვა ოჯახი, ქონება, საქონელი, მივიდა წყლის პირთან, რომელსაც ჰქვია ბლაჯუნი, ლაშქარი მოშორებით დააყენა და თვითონ ხევის პირას გაჩერდა.

ონხანმა შეიტყო თემურჩის გაქცევა, სასწრაფოდ გაეკიდა; მიადგა მის ოჯახს, ქონებას, ხელთ იგდო ურიცხვი ტყვე, აურაცხელი ალაფი. გამოჩნდა თემურჩიც. დაიწყო სასტიკი და ძლიერი ომი, ონხანი დამარცხდა; იგი შეიპყრეს და მოკლეს. თემურჩი მსწრაფლ დაესხა თავს ონხანის ოჯახს, ტყვედ იგდო მისი ცოლი, შვილები, გარდა უფროსი ძის, ქოლაქისა, დაეპატრონა მთელ მის სიმდიდრეს.

დაჯდა სამეფო ტახტზე თემურჩი და იწოდა ჩინგიზ-ყაენად. შემდეგ შეებრძოლა ყონღარდთა ხელმწიფე ალთუხანს, დაამარცხა იგი, მოკლა, ხელთ იგდო მისი სამეფო. მერე ქოლაქი, ონხანის შვილი, მივიდა ჩინგიზ-ყაენტან ვინმე გორხანთან ერთად და შეებრძოლა. მან კი დაამარცხა ისინი, მოკლა გორხანი.

ამის შემდეგ ჩინგიზ-ყაენი უიღურებზე სალაშქროდ გაემართა. უიღურები მეფეს ედუთს ეძახიან. იმ დროს უიღურთა მთავარი იყო ვინმე სარჩუყი. [162] მათი ტომის საქმენი საკვირველია, როგორც ცუდი ზღაპარი, ამიტომაც არაა საჭირო აქ მოყოლა. ჩინგიზ-ყაენმა შეიწყალა ის, პატივით მიიღო. ყაენმა მრავალი თათარი დაიმორჩილა, დაიმორჩილა ასევე ყარყითიც.

როცა დაიმორჩილა თათრები, გამოჩნდა საკვირველი კაცი, სახელად თებთუნი. იგი მივიდა ყაენტან და უთხრა: ავალ იმ მთაზე, რომელსაც ბალიყი ჰქვია; მე ღვთის სიტყვა მესმის. ამას ბრძანებს ღმერთი: „ყოველი ქვეყანა თემურჩისა და მისი ლაშქრისთვის მიმიცია და სახელად ჩინგიზ-ყაენი ერქვას.“

ნათქვამია ესეც, რომ ჩინგიზ-ყაენი ავიდა მაღალ მთაზე და ეჩვენა უფალი იესო ქრისტე, ღმერთი ყოველთა. მან ასწავლა სამართალი, სარწმუნოება, სინმინდე და სიმართლე; სიცრუის, ქურდობისა და ყოველგვარი ბოროტებისგან შორს ყოფნა და უთხრა: „თუ ამ მცნებებს დაიმარხავ, მთელ ქვეყანას შენ და შენს ნათესავებს გიბოძებთ, წადი და დაიპყარი ყოველი ქვეყანა, რამდენიც შეგიძლია.“

გახდა რა თემურჩი ყაენი, ნავიდა ხატაეთში, შევიდა ეკლესიაში, იხილა იქ მაცხოვარ იესო ქრისტეს ხატი, მყისვე თაყვანი სცა და თქვა: “აჰა, კაცი, რომელიც ჩინეთის მთაზე ვიხილე, ასეთი იყო, ამან მასწავლა ყველა ეს წესი.” ასე შეიყვარა ჩინგიზ-ყაენმა ქრისტე, მას ლოცავდა, მისი მცნება, რამდენიც ამცნო, ყველა დაიცვა მტკიცედ. შემდეგ შეებრძოლა ხატაელთა მეფე არსლან-ხანს და დაამარცხა, ორასი ათასი კაცი დაუხოცა. ეს რომ შეიტყო არსლან-ხანმა, შევიდა სახლში ცოლ-შვილთან ერთად, უბრძანა მსახურებს, ცეცხლი წაეკიდებინათ სახლისთვის. [163] ისინიც ასე მოიქცნენ. არსლან-ხანი ოჯახთან ერთად ცეცხლში დაიწვა. მოვიდა ჩინგიზ-ყაენი, დაჯდა ტახტზე და დაიპყრო ხატაეთი. ეს აქამდე იყო.

ვახსენოთ შვილები ჩინგიზ-ყაენის და კიდევ ცოტა რამ

ჩინგიზ-ყაენს მრავალი ცოლი ჰყავდა და, ასევე, მრავალი შვილი. უფროსი ცოლის, სევინჯისგან, შობილს ერქვა თუბისი, ქართველები ჯოჩიდს უწოდებდნენ; მეორე შვილი იყო ჩალათა, მესამე – ოქროფა, მეოთხე – თული. ესენი ოთხ ყაენად განაჩინა ხატაეთში მყოფმა თემურჩიმ. უფროს შვილს მისცა ლაშქრის ნახევარი და წარავლინა დიდ საყვირაყეთში, ოვსეთში, ხაზარეთსა და რუსეთში, ვიდრე ბნელეთამდე. და ეს ყოველი მას უბოძა. სხვები შემდეგ ვახსენოთ.

შეიტყო ეს მაღალმა და ყველა ხელმწიფეზე აღმატებულმა ხვარაზმმამ. იგი მაშინ წელთა სიმრავლით დაბერებულიყო და ამიტომაც ქვეყნებს, რომლებიც მას დაეპყრო ამუდარიის აქეთ, ხორასანსა და ერანს, განაგებდა მისი ძე, სულტანი ჯალალდინი. მან შეიტყო თათართა მოახლოება, შეკრიბა ექვსასათასკაციანი ლაშქარი და გაემართა ჩინგიზ-ყაენთან შესახვედრად.

ჩინგიზ-ყაენი ხვარაზმმას წინ დაუხვდა. გაიმართა ფიცხელი და ძლიერი ომი. ორივე მხარეს უამრავი მეომარი დაეცა, ხვარაზმელები დამარცხდნენ.

მოხუცი ხვარაზმმა დარჩა მცირედი ლაშქრით. მას ალყა შემოარტყეს თათრებმა. ცნა ეს მისმა ძემ, ჯალალდინმა, რომელიც იყო კაცი მხნე, ქველი, კარგი მებრძოლი, უშიშარი, როგორც უხორცო, ძლიერებით განთქმული, [164] ომებში უძლეველი. მივიდა იგი მცირედი ჯარით მამის საშველად და მასთან ერთად გაიქცა ხორასანში.

ამის შემდგომაც მრავალჯერ შეებრძოლა სულტანი ჯალალდინი, სამჯერ ჯეონს იქით შეება, ოთხჯერ – ხორასანში, ჯეონს აქეთ. ხოლო რაკი ღმერთს ცოდვათა ჩვენთათვის მიეცა ჩინგიზ-ყაენისთვის ყოველი ქვეყანა, დამარცხდა ჯალალდინი და გაიქცა. გაიგო რა ჩინგიზ-ყაენმა ჯალალდინის გაქცევა და სიმაგრეში ჩაკეტვა, იხმო ზემოხსენებული ორი თავადი, იამა და სალპიანი, რომლებსაც ქართველები სებაჯებას ეძახდნენ, რათა მოევლოთ ქვეყანა ხორასნისა და ერაყის, სანამდეც შეეძლოთ მისვლა, და დაეთვალიერებინათ იქაურობა. ნამოვიდნენ ისინი თორმეტი ათასი მხედრით, იარაღისა და საგზლის გარეშე, უხმლოდ, მხოლოდ მშვილდი ეპყრათ.

გაიარეს თურანი, ჯეონი, ხორასანი, ერაყი, ადარბადაგანი და მივიდნენ განძაში. ვერავინ აღუდგა წინ. თუ ვინმე წინააღმდეგობას გაუწევდა, ყველას ამარცხებდნენ. მეომრებმა მოაღწიეს საქართველოს საზღვრებამდე, დაიწყეს გაგის დარბევა. ეს რომ შეიტყვეს ვარამ გაგელმა და ივანე ათაბაგმა, აცნობეს მეფე ლაშას უცხოთა მოსვლა სომხითის ასაოხრებლად. მეფემ კი მოუწოდა თავის ჯარს, იმერამერთ, შეკრიბა ოთხმოცდაათათასი მხედარი და მიაშურეს გაგის ბოლოს მდგარ მტერს. მათ შეუერთდათ ივანე ათაბაგი და ძმისწული მისი შანშე, ამირსპასალარ ზაქარიას ძე, და მსახურთუხუცესი ვარამ გაგელი დიდი ლაშქრით და წარემართნენ.

მტერი დაბანაკებული იყო მდინარე ბერდუჯთან, რომელსაც ამჟამად საგიმი ჰქვია. ისინი მყისვე ამხედრდნენ და საომრად გაემზადნენ. დაიწყო ძლიერი ომი. თათართა ნახევარი გაიქცა, მეორე ნახევარი ჩასაფრდა და ზურგიდან მოუარა მტერს. მაშინ ქართველთ [165] თავს დაგვატყდა უზომო რისხვა ჩვენი ურჯულოებისა და ცოდვებისათვის. გარბოდნენ ქართველები, მთელი ჯარი, თვით მეფე ლაშა. აურაცხელი ქრისტიანი დაიღუპა; დიდი ივანე სპასალარი, სამცხის ათაბაგი, ძლივს გადარჩა ცოცხალი, მეჭურჭლეთუხუცეს ყვარყვარეს შვილი ბექა, რომელიც თავგანწირვით იბრძოდა, ბრძოლის ველზე დაიღუპა. ღვთის რისხვა დაგვატყდა და გაიწირა ქართველთა ნათესავი იმ აურაცხელი ცოდვებისათვის, რაც ჩავიდინეთ. უკუქცეულ იქნა სვებედნიერი დავითიანი დროშა: ვინაიდან მისცა ღმერთმა დავითს გამარჯვება, აქამდე სვიანი და გამარჯვებული დავითიანი და გორგასლიანი დროშა არსად ძლეულა, აქ კი შეიცვალა ქართველთა მოდგმის ბედი, არ მიეცა ძლევა თათრებზე ჩვენს ჟამამდე.

ასე გამოქცეულებმა მოაღწიეს ქალაქს; მათი ძლიერება და სახელოვანება ოხვრამ და ნალველმა შეცვალა. რაკი შევანუხეთ ღმერთი ჩვენი ბოროტი საქმეებით, მან ალავსო ჩვენი გული მნუხარებით და მტრის წინაშე შეგვარცხინა.

თათრები მივიდნენ სამშვილდემდე და შემდეგ გაბრუნდნენ უკან. მათ საოცარი საქმენი ქმნეს: ნავიდნენ დარუბანდის გზით, რადგან ვერც შარვანშა აღუდგა წინ და ვერც დარუბანდელები, განვლეს დარუბანდის კარი, შევიდნენ ყივჩაყეთში, დაიწყეს ბრძოლა; მრავალგან შეებნენ ყივჩაყნი, ყველგან გაიმარჯვეს თათრებმა და ნავიდნენ ასეთი ომით. როგორც უკვე ვთქვი, უსაჭურვლოდ, დაუჭედელი ცხენებით გაიარეს ამხელა გზა, განვლეს ყივჩაყეთი, შემოუარეს ამ დარუბანდს ზღვიდან, მივიდნენ თავიანთ ხელმწიფე ჩინგიზ-ყაენთან ყარაყურუმში. ქმნეს საკვირველი საქმე: შეუსვენებლად იარეს ამ გზაზე დაუჭედელი ცხენით. ყარაყურუმიდან ნასულები ყარაყურუმშივე დაბრუნდნენ.

[166] თათართა ძლევა მოსილებაში დარწმუნებულმა ჩინგიზ-ყაენმა შვილები გაგზავნა ხორასნის სულტან ჯალალდინის საძებნად. რა შეიტყო ეს ჯალალდინმა, ჯარი შეჰყარა, მრავალგზის შეებრძოლა, როგორც ვთქვი, და მიხვდა, რომ დამარცხებული იყო. აიყარა თავისი ოჯახით, თან ჰყავდა ლაშქარი, ას ორმოცი ათასი კაცი დედანუღიანად. გაექცნენ თათრებს და ჩვენკენ გამოემართნენ, როგორც ქვემოთ ნათქვამიდან გახდება ცხადი.

ჩანართი

დიდმა სულტანმა მელიქმა, რომელიც ეგვიპტიდან ხლათამდე ფლობდა სპარსეთს, მეფის და რუსუდანი ითხოვა ხლათის დედოფლად. მონყალე ღმერთმა ეს საქმე ჩაშალა. ამის შემდგომ დიდი ხვეწნით ითხოვა შარვაშემ რუსუდანი. ქართველებმა თანხმობა ბრძანეს, გაგზავნეს შარვანს ქართლის ერისთავი; თვით გიორგი მეფე ბავაჯანს მივიდა დის გასათხოვებლად. ათი დღე იყო დარჩენილი მის წასვლამდე და ღმერთმა აქაც დააყოვნა ეს საქმე.

არ დაცხრა გულისწყრომა მრავალმონყალე და სახიერი ღმერთისა, რომელიც განვარისხეთ – აღესრულა მეფე ლაშა.

მეფემ, როდესაც გარდაცვალების მოახლოება იგრძნო, დაუძახა თავისი სამეფოს ყველა წარჩინებულს, თვალცრემლიანმა შეავედრა თავისი და რუსუდანი და უთხრა: „იცით მეფეთა ოჯახის უმანკოება და ერთ-

გულება საქართველოს მკვიდრთადმი. ღვთის ნებით, გაბარებთ ჩემს დას, რუსუდანს, რომ ჩემ შემდეგ გაამეფოთ. თქვენი მოდგმის ჩვევისამებრ, უერთგულეთ, თქვენი სიმხნევით დაიცავით მეფობის ტახტი მტერთაგან უვნებლად. თუმცა მამაკაცი არ არის, ქალია, მაგრამ არ აკლია სიბრძნე და სამეფო [167] საქმეთა ცოდნა. თქვენ, ამ სამეფოს წარჩინებულებმა, იცით და გახსოვთ ნყალობა, ნიჭი და პატივი სანატრელისა და კეთილად მოხსენებულის, მეფეთა შორის ბრწყინვალე დედისა ჩემისა. ასევე, თუ ღმერთს ენდომება, ჩემს დასაც პატივში ეყოლებით. ღვთის წინაშე გვევ-დრებით, რომ ჩემ შემდეგ გაამეფოთ ის. ხოლო ჩემს დას, რუსუდანს, ვუბარებ ღვთის წინაშე და ყველა თქვენგანის გასაგონად, აღზარდოს ჩემი ძე დავითი და როცა მეფობა და მხედრობა შეეძლება, გაამეფოს. და იყოს იგი მემკვიდრე ჩემი ტახტის. ჯერ ყრმაა, მაგრამ თუ ინება ღმერთმა მისი გაზრდა, ვფიქრობ, შეძლებს მეფობას, რამეთუ „კეთილითა ასაკითა არს და ჰაეროვან“. ეს სიტყვები რომ დაამთავრა, მეფე აღესრულა.

ეს მოხდა ბაგავანში, იანვრის თვეში, 18 რიცხვში, ქორონიკონი იყო 442 (1222 წ.) დღე – ოთხშაბათი. იწყეს ქართველთ გლოვა და უნუგეშო მწუხარება, გაუსაძლისი იყო ტკივილი, ცრემლის წილ გულიდან სის-ხლის დენა, სიცოცხლისა და გადარჩენის იმედის დაკარგვა თანშეზრ-დილებში, იმათში, ვისაც ახსოვდა მისი სიკეთე და მასთან გატარებუ-ლი საამო წუთები. იყო ტკივილი და თავზე ნაცრის ყრა დიდებულებისა და მთელი სამეფოსი და თვით მისი გამზრდელის, ივანე ათაბაგისა.

ენით აუნერელია მწუხარება, რომელიც მისმა დამ, რუსუდანმა განიცადა, გოდებდა მრავალი დღე. ლაშა ნაასვენეს საგვარეულო ად-გილსამყოფელში, გელათში.

[168] სამოცდამეერთე მეფე, რუსუდანი, შვილი თამარ მეფისა, მეფე ლაშა გიორგის და, ბაგრატიონი

როცა აღესრულა მეფე, შეიკრიბა მისი სამეფოს ყველა წარჩინებ-ული, იმერ-ამერნი, ორივე კათალიკოსი და ეპისკოპოსები, ყველა ქვეშევრდომი ნიკოფსიიდან დარუბანდამდე და გაამეფეს რუსუდანი, დასვეს სამეფო ტახტზე და მიულოცეს მეფობა წესისამებრ.

რუსუდანი მშვენიერი იყო გარეგნობით, ისევე, როგორც მისი სანა-ტრელი დედა; თავმდაბალი, უხვი, ღირსეულ კაცთა პატივისმცემელი,

მოსიყვარულე. მან მშვიდობით მოიწყო თავისი საბრძანებელი და მეფობა. მთელი სამეფო აივსო სიკეთით.

მაგრამ სიხარბე და განცხრომა შეიყვარა ყველამ და ბოროტებისკენ მიიდრიკნენ. ამიტომაც ღმერთმა ისინი უმსგავსო შეურაცხყოფისა და წარმართთაგან დახოცვისთვის განირა. რუსუდანიც, ისევე როგორც მის ძმას სჩვეოდა, განცხრომითა და ლხენით ცხოვრობდა. ამიტომაც აღზევდა ბოროტება.

ზემოხსენებულმა სულტანმა ჯალალდინმა, დამარცხდა რა თათრებთან ომში, იხმო თავისი მეომრები და უთხრა მათ: „ჩემი მამა-პაპის წყალობა და სიკეთე ყოველმა გამგებელმა და ერისთავმა იცით, იცით ისიც, რა დაგვატეხა თათართა მოდგმამ. ჩვენ მრავალჯერ შევებრძოლეთ, მრავალი განსაცდელი გადავიტანეთ და განგების ნებით ყველგან დავმარცხდით. ახლა მტერი მდინარე ამუდარიას მოუახლოვდა და სარდლად მისი (ჩინგიზ-ყაენის) უფროსი ძე მოუძღვის. ჩემი გადანყვეტილება ასეთია: რაკი ღმერთმა მათ გამარჯვება მიანიჭა, თუ დამთანხმდებით, დაუფტოვოთ მათ ეს ქვეყანა და ჩვენი [169] ოჯახებიანად, სიმდიდრითა და ჯოგით, წავიდეთ საბერძნეთს და იქ დავემკვიდროთ. თუკი ჩვენ თათრები გვძლევენ, ყველა დანარჩენთ ჩვენ ვძლევთ. ვისაც სურს, წამოვიდეს ჩვენთან, ვისაც უნდა, აქ დარჩეს. აღსრულდეს ყველას ნება უკუნისამდე.

ეს ნათქვამი ყველას მოეწონა. შეგროვდა ას ორმოცი ათასი კაცი. ოჯახითა და ქონებით წავიდნენ, მიაღწიეს ადარბადაგანს. მივიდნენ მხარგრძელთა სამკვიდრებელში, რადგან ივანე ათაბაგს დაპყრობილი ჰქონდა დვინი, ანისი კი თავისი ძმისწულის, მანდატურთუხუცეს შანშესთვის მიეცა. ხვარაზმელები მოვიდნენ ლაშა-გიორგის გარდაცვალების მესამე წელს, დვინისა და მისი შემოგარენის დაპყრობისა და აოხრებისათვის. ივანე ათაბაგმა და ვარამ გაგელმა შეიტყვეს ეს ამბავი, მივიდნენ მეფე რუსუდანთან, მოახსენეს ხვარაზმელებისა და თვით დიდი სულტნის, ჯალალდინის მოსვლის შესახებ ქრისტიანთა ხოცვა-ჟლეტისთვის. ეს უღმობელი ადამიანები ქალებსა და ყრმებსაც არ ინდობდნენ.

შეიტყო რუსუდანმა მის სამეფოში ხვარაზმელების შემოსვლა, უხმო რაინდებს იმერ-ამერიდან, აილო სამეფო დროშა, მოიხმო ივანე ათაბაგი, რომელიც უკვე ასაკოვანი იყო და ფარულად ბერად აღკვეცილი. მეფემ იგი სარდლად განამწესა, უბოძა დროშა სვიანი და წარავლინა სულტან ჯალალდინთან საომრად.

მიალნიეს დვინსა და ამობერდს, დაიბანაკეს ხვარაზმელებმა სოფელში, რომელსაც ჰქვია გარნისი. გამოცხადდა მეფის ლაშქარი. წინა განენყო სულტანი ჯალალდინი. ივანე ათაბაგმა გაშალა იმერ-ამერთა ჯარი. წინამძღოლებად თორელები და ორი ძმა, შალვა და ივანე ახალციხელები დაადგინა, სახელოვანი მებრძოლები; მეთაურობა წესად ჰქონდათ მათ გვარში.

[170] როცა მოწინააღმდეგენი დაახლოვდნენ, შეეყვნდა ივანე ათაბაგი. ამბობენ, ასე შალვა და ივანე ახალციხელების შურით მოიქცაო. ჰოი შური, ყოველგვარი უკეთურების დასაბამი, ადამიანთა მოდგმის ბოროტად მომსპობი! მან ჩააგონა ებრაელებს ღმერთის მოკვლა, მან მოინდომა უბოროტესი და უსაძაგლესი რამ: საქართველოს სრული განადგურება, როგორც ქვემოთ ნათქვამიდან გახდება ცხადი. შურმა ივანე ათაბაგს შთააგონა, რომ ომისა და შფოთის ჟამს უკან მდგარიყო და მებრძოლებში არ გარეუღიყო.

მენინავე მებრძოლებმა კაცი მიუგზავნეს და შეუთვალეს: „სულტანსა და მის ჯარს ვუახლოვდებით, ძალიან ცოტანი ვართ. წინ დიდი ომი გველის. იჩქარეთ შენ და მეფის მამაცმა მეომრებმა.” ეს ორჯერ და სამჯერ შეუთვალეს. ის კი არ პასუხობდა. რაკი მენინავე მეომრები – თორელები და, კიდევ უფრო მეტად, შალვა და ივანე ახალციხელები შეუდრეკელები იყვნენ და ომებში სახელგანთქმულნი, აღარ მოერიდნენ სულტანის მეომართა სიმრავლეს, როგორც მხეცნი, შეებრძოლნენ და დაიწყო დიდი ომი. ორივე მხარემ აურაცხელი მებრძოლი დაკარგა. საოცრად იბრძოდნენ შალვა და ივანე, მუსრს ავლებდნენ ახოვანსა და ძლიერ მეომრებს. და გრძელდებოდა სასტიკი ომი. ივანე ათაბაგი და ქართველთა ჯარი თვალს ადევნებდნენ ამ ხოცვა-ჟლეტას, მაგრამ არ შებრალებიათ თანამონათესავენი, ერთმორწმუნე, ქრისტეს აღმსარებელი თორელები და მათთან ერთად მრავალნი სახელოვანნი, არამედ შორს იდგნენ, არ მოინადინა შველა ივანე ათაბაგმა. ამბობენ, რომ ამის მიზეზი იყო შური და არა შიში.

და გრძელდებოდა ომი. ორივე ძმა ახალციხელს დაუხოცეს ცხენები, ქვეთნი მხნედ იბრძოდნენ და აურაცხელი მეომარი განადგურდა, უფრო მეტად, თორელები. გაცხარდა ომი. ახალციხელებს ხმლები გადაუტყდათ მუზარადზე. მაშინ გაიქცნენ ქართველები; შალვა იქვე შეიპყრო გარსმოხვეულმა ურიცხვმა მტერმა, ხოლო ივანე, გარნისის კლდისკენ გაქცეული, ზემოდან ჩამოვარდნილმა ქვამ მოკლა. შალვა,

რომელიც იცნეს ნახჭევანელებმა და ადარბადაგანელებმა, [171] წარუდგინეს სულტან ჯალალდინს, მოახსენეს მის სიმამაცესა და ომში გამოჩენილ სიქველზე. ჯალალდინმა არ მოკლა, თავისთან დაიტოვა დიდი პატივით, უბოძა ადარბადაგანის ქალაქები, თავისი თავადების სწორი პატივი სცა, ერთი წლის შემდეგ კი მოაკვლევინა, რადგან შალვამ არ უარყო ქრისტეს რჯული.

ჩანართი

შალვას სარწმუნოების დატოვებას აიძულებდა სულტანი, ჰპირდებოდა დიდ პატივს. მან კი არ ისმინა, წამითაც არ შეეყოყმანებულა, არ უარუყვია სახელი ქრისტესი. სულტანი ეპირფერებოდა და უჩიჩინებდა ქრისტეს უარყოფას, ახალციხელი არ თანხმდებოდა. სულტანი მრავალგვარ სატანჯველს უქადდა და აშინებდა, ის კი შეურყეველი იყო. დიდი წამების შემდეგ მწარე სიკვდილით განემორა ნუთისოფელს წმიდა შალვა და, მონამის გვირგვინით შემკული, ეახლა ქრისტეს. ძალიან მოკლედ გაიამბეთ ამის შესახებ.

ივანე ათაბაგი გაიქცა ბიჯნისში, სულტანმა კი მოვლო ადარბადაგანი, ნახჭევანი. აოხრებდა საქართველოს, არბევდა, ატყვევებდა, უწყალოდ ხოცავდა ქართველებს, არავინ იყო ნუგეშისმცემელი მათი.

ორი წლის შემდეგ ივანე ათაბაგი გარდაიცვალა. მთავარი გახდა მისი ძე ავაგი, მასვე ებოძა ამირსპასალარობა.

ამის შემდეგ უდიდესი უბედურება დაატყდა თავს ქართველთა მოდგმას: ჩვენ მიერ ჩადენილი უსამართლობებისთვის სრული მოსპობა იყო მოახლოებული. სულტანი ამხედრდა საქართველოში შემოსასვლელად, გასამეფებლად, მივიდა და მოაოხრა ქვეყანა დვინისა, კუსტის დვინის, მთელი ანისი, სომხითი, გაგი განძამდე, შანქორი. მანამდე შანქორს ვარამ გაგელი, [172] კაცი გონიერი და ლაშქრობაში წარჩინებული, ფლობდა. ის განაგებდა შანქორს და მის მიმდებარე ქვეყნებს. ასეთი ჭირი და შფოთი აღიძრა.

ამ დროს მეფე რუსუდანს მოყვანილი ჰყავდა ტოლრილის შვილი ერთგულებისთვის მძევლად. ჭაბუკი სრულასაკოვანი იყო, მშვენიერი გარეგნობის, მამაცი და ძლიერი. როცა გაიცნო, მოეწონა მეფე რუსუდანს და ინება მასზე დაქორწინება, თავისი გადაწყვეტილება შეასრულა კიდევ. დაქორწინდა რუსუდანი ტოლრილის შვილზე. მათ ეყოლათ ულამაზესი ასული და უწოდა რუსუდანმა დედის სახელი, თამარი.

შემდეგ ვაჟიშვილიც შეეძინათ და უნოდეს დავითი. შვილებთან ერთად ზრდიდა რუსუდანი ძმისწულს, დავითს, ლაშა გიორგის ძეს.

როცა გაიზარდა მეფის ასული თამარი, საბერძნეთის სულტან ყიასდინს, ნუქარდინის ძეს, ესმა ასულის ქება. მან აურაცხელი ძღვენი გაგზავნა და ითხოვა თამარი ცოლად, თან აღთქმა დადო, რომ არ დაატოვებინებდა ქრისტეს რჯულს. რუსუდანმა შეინყნარა მისი თხოვნა და მიათხოვა ასული ყიასდინს, რაც შეუფერებელი საქციელი იყო ქრისტიანის მხრიდან. მზითვად აწყური მისცეს.

პირველხსენებული სპარსი ხვარაზმელები მოუახლოვდნენ საქართველოს და აოხრებდნენ ქვეყანას.

მაშინ გაიგო სულტანმა ჯალალდინმა ათაბაგისა და ამირსპასალარის, ავაგის ბიჯნისში ყოფნა და მოინადინა მისი ნახვა. მიუვლინა მოციქულები და შეუთვალა: „შენ ხარ ვაზირთუხუცესი მეფისა და ზრუნავ საქართველოზე, შევიკრიბოთ, რადგან შენთან საუბარი მსურს.“ [173] ავაგი დათანხმდა და წავიდა შეიარაღებული; გამოცხადდა ბიჯნისის ხრამზე სულტანი, ისიც შეიარაღებული. დადგნენ ერთმანეთის მახლობლად და დაიწყო სულტანმა საუბარი: „მე საქართველოს დასარბევად არ მოვსულვარ, არამედ ზავისა და მშვიდობისათვის, თქვენ კი სასწრაფოდ აღიჭურვეთ საომრად და შემებით; ვერ დამყარდა მშვიდობა. რაკი წარჩინებული ხარ ქართველთა შორის და მეფის ვეზირი, ყური დამიგდე: გსმენია ჩემს შთამომავლობასა და მოდგმაზე, ჩემი სამეფოს სიდიდესა და სიმრავლეზე, იმაზე, რომ არავის ძალუძს ჩემთან გათანაბრება? მე ვარ მაღალი და დიდი ხელმწიფის, ხვარაზმშას ძე, განვაგებდი სრულიად სპარსეთს ადარბადაგანიდან ამუდარიამდე და ამუდარიიდან ინდოეთამდე, თურანს, ხატაეთს, ჩინმაჩინს და მთელ აღმოსავლეთს. ზეცის განგებით, ჩინეთის ქვეყანაში, უმნიშვნელო ადგილას, ყარაყურუმს რომ ეძახიან, გამოჩნდნენ საოცარი ადამიანები, უცხონი, უცხო ენით, უცხო ცხოვრების წესით. მათ დაიმორჩილეს სრულიად აღმოსავლეთი და მრავალი ხელმწიფე მოაკვდინეს. მათი მეფე ჩინგიზ-ყაენი საოცარი კაცია, საქმის ღრმად მცოდნე, ომში მხნე. იგდო რა ჩინგიზ-ყაენმა ხელთ ხატაეთი, მსწრაფლ წარვემართე ერანელების, თურანელების, სპარსელებისა და თურქმანების ლაშქრით. მათ მრავალგზის იბრძოლეს ჯეონს იქით, ბოლოს ჯეონს აქეთაც. ხვარაზმშას სახლს ბედმა ზურგი აქცია და ყველგან დავმარცხდი. ისინი კიდევ უფრო გაძლიერდნენ. მე მივხვდი, რომ ძალა არ შემწევდა მათთან გამკლავების, დავტოვე ჩემი სამეფო

და წამოვედი საქართველოში მშვიდობისა და ზავისთვის. მესმა თქვენი ქვეყნის სიძლიერე, ქართველთა მოდგმის სიმხნევე ომში. ახლა მსურს, შევკავშირდეთ მტკიცე ფიცით და ვებრძოლოთ მტერს. გამიგია, რომ თქვენი მეფე ქალია. [174] მინდა გავხდე მისი ქმარი და თქვენი მეფე, და დავამარცხებთ მტრებს. თუ არ დამიჯერებთ, თქვენი სამეფო აოხრდება. მე რომც წავიდე, თათრები აქ არიან. თქვენ მათ წინ ვერ აღუდგებით, ვერც შეებრძოლებით. წარავლინე კაცი შენი მეფის წინაშე, აუწყე ჩემი ნათქვამი. მე საქართველოს აოხრება კი არ მსურს, არამედ მისი დაცვა მტრებისაგან. თქვენი მეშვეობით მე გავძლიერდები და ვიცხოვროთ მშვიდობიანად.“

სულტნის სიტყვები ავაგმა მოისმინა, თვითონ პასუხი არ გასცა, არამედ უთხრა: „ვაუწყებ თქვენს ნათქვამს მეფესა და მის ვეზირებს.“ ავაგმა სასწრაფოდ გაგზავნა კაცი მეფესთან და გადასცა თქმული. როცა მეფემ ეს წერილი იხილა, გოცდა და დიდად იუცხოვა. ავაგს შეუთვალეს, რომ ამ ამბის მოსმენაც არ სურდათ. ავაგმა სასწრაფოდ აცნობა სულტანს. ჯალალდინი აიყარა და ტფილისისკენ საომრად დაიძრა.

როგორც კი შეიტყო მეფემ სულტნის მოსვლა, ტფილისს განერიდა და ქუთათისში გადავიდა. ქალაქის დასაცავად ლაშქარი დატოვა და წინამძღოლობა ბოცოს ვაჟებს, ორ ძმას, მემნასა და ბოცოს მიანდო. სულტანი სომხითს მიადგა და მთლიანად ააოხრა; მისი მკვიდრნი მახვილით მოისრნენ.

ჯალალდინი ტფილისს მოადგა. ლაშქარი მყის აღიჭურვა და მხნედ შეება მტერს. ქართველებმა ბრწყინვალე ბრძოლა აჩვენეს. იმ ღამეს ტფილისელმა სპარსებმა მიუგზავნეს კაცი ჯალალდინს და ქალაქის ჩაბარებას შეჰპირდნენ – აღუთქვეს იმ კარის გაღება, რომელსაც სპარსნი იცავდნენ. [175] დილით სპარსი შინაგამცემებით გამხნეებული სულტანი საომრად აღიჭურვა. ქალაქის მცველებმა ლაღის შესახებ არაფერი იცოდნენ, ისინი საომრად აღიჭურვნენ და განძის კართან მივიდნენ. იქ იყვნენ მემნა ბოცოს ძე და მისი ძმა ბოცო. სანამ მემნა მუზარადს დაიხურავდა, ვილაც სპარსმა მახვილით გაუპო უმუზარადო თავი. მემნამ მაშინვე განუტევა სული.

ომი იყო შიგნით, რადგან სპარსნი გალავნის მიღმა იბრძოდნენ. ტფილისელმა სპარსებმა ქალაქის კარი გააღეს. ეს რომ დაინახეს მცველებმა, გაიქცნენ და ისანთან გაჩერდნენ. ბოცო ბოცოს ძემ გაამაგრა ისანი და დაიწყო ძლიერი ომი.

გული მტკივა და არ ძალმიძს გადმოგცეთ, როგორ იქცეოდნენ ხვარაზმელები ქალაქში. ვინმეს შეეძლო გაძლება ქრისტიანებზე თავს დატეხილი განსაცდელისა?

აქ დადუმება მერჩივნა მტკივნეული ამბების მოყოლას, რადგან ისე მძვინვარედ იწყეს მოქმედება, რომ თოთო ბავშვებს ძუძუს წყვეტდნენ და დედის თვალწინ ქვაზე ანარცხებდნენ; ზოგს თვალი უფარდებოდა ბუდიდან, ზოგის ტვინი მიწას დაეთხოდა. მერე დედებს ხოცავდნენ; [176] მოხუცებს ქუჩაში ცხენები თელავდნენ, ჭაბუკებს სიცოცხლეს ასალმებდნენ. ქალაქში სისხლის მდინარეები მოჩქეფდა. ერთმანეთში იყო აზელილი ქალის, კაცის, მოხუცის, ყრმის სისხლი და ტვინი, აქა-იქ მხართაგან განშორებული თავი გორავდა. ზოგს ილღიაში ურჭობდნენ მახვილს, ზოგს – მკერდში, ზოგს – მუცელში, ზოგსაც – ზურგში.

ჰოი სულისშემძვრელი და ცრემლთა დიდი ღალადი! ყვირილის, ძახილისა და ვაების საზარელ ხმათაგან ძრწოდა მთელი ქალაქი, რადგან მცხოვრებთა დიდი ნაწილი, როგორც ცხვარი, შეკრიბეს და ადამიანები საკუთარი თვალით ხედავდნენ საყვარელი შვილების, ძმების, მამების, ქმრებისა თუ ცოლების უდიერად მიგდებულ გვამებს – ზოგი ცხენებისგან იყო გათელილი, ზოგსაც ძაღლები დაათრევდნენ ქუჩებში. მათ დამარხვაც კი არ ეღირსათ. მტერი ლენდა ეკლესიებსა და სამსხვერპლოებს, ხატებთან და ჯვრებთან ერთად მუსრს ავლებდნენ მოძღვრებსაც.

ასეთი ჭირი არ აღწერილა არასოდეს არც ერთ ძველ წიგნში. ამის შედარება შეიძლება იერუსალიმის სრულ მოსპობასთან ტიტესა და ვესპასიანეს მიერ, რაც მათ თავს დაატეხეს ქრისტეს ჯვარზე გამკვრელ იუდეველებს. ჟამთააღმწერელი, მრავლისმთხრობელი იოსიპოსი აღწერს იუდეველთა ძნელბედობას, სამ [177] მილიონ მამაკაცს აღრიცხავს, შიმშილითა და მახვილით მკვდარს. მსგავსი რამ მოხდა სარკინოზთა მიერ ტფილისში შემოსვლისასაც.

რაკი მეტი გზა აღარ იყო, მეფე რუსუდანმა ბოცოსა და ქალაქის სხვა მცველებს შეუთვალა, რომ დაეტოვებინათ ისანი და წასულიყვნენ. ვინმე ბერი მღვიმელის სიტყვებით, მეფე რუსუდანმა მრავალგზის მისცა ქალაქის დატოვების დასტური ბოცოს და ძლივს დაითანხმა.

ქალაქში შესული სულტანი რისხვად დაატყდა ქრისტიანებს. ისე მძვინვარებდა, რომ ქუჩები, ხრამები, თხრილები გარდაცვლილთ ვერ იტყვდა. გვამებით გაივსო მტკვარი. აღარ დაოკდა ბილწი მტერი. ისე-

თი ბოროტება მოიგონა, რომლის ხსენებაც სირცხვილს მგვრის, გლოვა და ცრემლი არ მასვენებს; ისე როგორ განვარისხეთ მონყალე ღმერთი, რომ აღარ შეგვიწყალა. იწყო მტერმა ეკლესიათა რღვევა და აღფხვრა, გაბედა და სიონის გუმბათი შემუსრა. ზედ თავისი ბილნი ტახტი დაადგმევინა, რომელთანაც მაღალი და გრძელი ხიდით შეიძლებოდა ასვლა. უფალი იესო ქრისტესა და ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის ხატები, რომლებიც სიონში იყვნენ დაბრძანებულნი, გამოატანინა და ხიდზე პირალმა დაადებინა. [178] უბრძანა ყველა დატყვევებულ ქრისტიანს, კაცსა და ქალს, გაეთელათ პატიოსანი ხატები და დაეტოვებინათ ქრისტეს რჯული. ვინც ასე არ მოიქცეოდა, თავს კვეთდნენ. მოჰყავდათ ქალები, კაცები და აიძულებდნენ ამის ჩადენას. მრავალმა მედგრად გაუძლო ამ გამოცდას, თავს არ იდო რჯულის დატოვება და ხატთა შეურაცხყოფა, უამრავი ქალი და მამაკაცი გაძლიერდა რწმენაში. შეუძლებელია იმ ადამიანთა აღწერა, რომელთაც წამების გვირგვინი დაიდგეს, მათმა რიცხვმა, ვგონებ, ასი ათასს გადააჭარბა.

ტფილისი რომ მოაოხრეს, სომხითის, კამბეჩიანის, ივრისპირეთის, ქართლის, თრიალეთის, ჯავახეთის, არტაანის, სამცხეს, ტაოს, კარნიფორას და ანისის მიმდებარე ტერიტორიებს მიადგნენ. იწყეს მოსახლეობის რბევა, დატყვევება, ხოცვა.

ეს გასაჭირი და ზეციდან მომავალი რისხვა ხუთი წელი გაგრძელდა. პირველ ორ წელს ააოხრეს ქვეყანა და ხუთი წელი ქალაქში დარჩნენ. ანადგურებდნენ ზემოხსენებულ ქვეყნებს. მხოლოდ ციხე-სიმაგრეები შენდებოდა. საქართველო გავერანდა. მეფეებმა და მთავრებმა დაივიწყეს სამართალი, მონყალეობა, სიყვარული, სინრფელი, სიმშვიდე, სიმართლე და ამის ნაცვლად იწყეს ამპარტავნება, ზაკვა, შური, მტრობა, სიძულვილი, ანგარება, ძალადობა, კვლა, პარვა, სიძვა, უწყობა. წინასწარმეტყველი იტყვის: „ვაი მათ, რომლებიც ბალამის კვალს შეუდგნენ და სოდომელთა საქმეებს სჩადიან“. ყველა ასაკის ადამიანი, მოხუცები და ჭაბუკები, დიდიან-პატარიანად ბოროტებაში ჩაეფლნენ. სოდომელთა და გომორელთა სენი მომძლავრდა. ასე გასწირა ღმერთმა ქვეყანა ბოროტი [179] წარწყმედისთვის, რადგან ზურგი ვაქციეთ ღმერთს და მანაც სამართლიანად დაგვივიწყა. აოხრდა საქართველო ლიხს იქით. როგორც იტყვის ესაია წინასწარმეტყველი: „ვაი ცოდვილ მოდგმას, ერს, რომელიც სავსეა ცოდვით, ბოროტ შთამომავლობას, ურჯულოთა შვილებს! დაივიწყეთ უფალი და განარისხეთ იგი. რისთ-

ვის წყლულდებით და ურჯულოვდებით, ყოველი თავი ტკივილისთვის, ყოველი გული მწუხარებისთვის თავიდან ფეხებამდე? არ არის მასში მწუხარება, სიცოცხლე, არ არის წყლული, არც ნაგვემი, არც ნაიარევი გასიებული, არ არის სალბუნი დასადები, არც ზეთი, არც შესახვევი. ქვეყანა თქვენი აოხრებულია და ქალაქი თქვენი ცეცხლშია დამწვარი. ქვეყანას თქვენ თვალწინ უცხოტომელები ავერანებენ და დაქცეულია უცხო თესლის ერისგან. დარჩა სიონის ასული, როგორც კრავი ვენახში და როგორც ხილისსაცავი და ქალაქი ალყაშემორტყმული. თუკი უფალმა საბოთმა არ დაგვიტოვა თესლი, გავხდებით როგორც სოდომელები და გომორელებს დავემსგავსებით.“

ასეთ ულხინო ჭირში იყო ქვეყანა საქართველოსი და სხვა უდიდესი ძნელბედობაც დაერთო ზედ. კვლავ განვაგრძობ აღმართ ამბიჯებელთა ზემოთ დაწყებულ ამბავს. მტერთაგან შევიწროებული მეფე რუსუდანი ხან ქუთათისსა და ხან აფხაზეთის სხვა ადგილებში ცხოვრობდა. ამასობაში მისი ძე, დავითი ხუთი წლის გახდა. თამარმა მისი გამეფება ინება. როგორც ამქვეყნიური ცხოვრების მოყვარეთა წესია, შეიყვარა [180] წარმავალი წუთისოფელი, დაივიწყა უფლის შიში და ძმის სიყვარული. ქმნა საქმე ყოველთა განსაკრთომი. ზემოხსენებული ძმისწული დავითი, რომელიც მისი ძმის, გიორგის, ანდერძისამებრ, მან აღზარდა, გაგზავნა ფარულად ასულთან და სიძესთან – სულთან ყიასდინთან საბერძნეთში, რათა მოეკლათ. რუსუდანს სურდა, მის ძეს მეფობაში მოცილე არ ჰყოლოდა და უშფოთველად ემართა ქვეყანა.

დავითი გამოცხადდა მამის დისწულთან, რუსუდანის ასულ თამართან, რომელსაც სულტანი გურჯი-ხათუნს ეძახდა. ცოლ-ქმარმა იგი პატივით მიიღო, დიდად შეიყვარეს. დედოფალი გურჯი-ხათუნი სიყვარულით ეპყრობოდა ყრმას, ბიძის ძეს, დავითს. მათ არ ისმინეს მეფე რუსუდანის ბრძანება ყრმის მოკვლის შესახებ და დიდ პატივში ჰყავდათ ის.

როგორც კი ძმისწული საბერძნეთში გაგზავნა, რუსუდანმა უხმო თავის სპას, აფხაზებს, დადიან-ბედიანებს, რაჭის ერისთავს, აფხაზეთის კათალიკოსს და გაამეფეს დავითი, ძე რუსუდანისა; აკურთხეს ქუთათისში, დაადგეს თავზე გვირგვინი, დასვეს სამეფო ტახტზე, მიულოცეს მეფობა წესისამებრ. სრულყო კათალიკოსმა კურთხევის წესი.

სამეფოს აღმოსავლეთი ხვარაზმელებისგან იყო შეწუხებული. მანდატურთუხუცესი შანშე ანისში იმყოფებოდა, ამირსპასალარი ავაგი –

ბიჯნისში, ვარამ გაგელი, ჰერეზი, კახელები, სომხითარნი, ქართველნი, თორელები, შავშელები, კლარჯელები, ტაოელები – ყველანი ციხესიმაგრეებში იყვნენ შეფარებულნი. ყოველი მათგანი მეფე რუსუდანს ემორჩილებდა, მაგრამ მეფე დავითის დალოცვას ვერ დაესწრნენ.

დავუბრუნდეთ ისევ ჩინგიზ-ყაენს. როცა მოვიდნენ თათრები [181] ჩვენს ქვეყანაში, ჯალალდინი გაიქცა და დატოვა თავისი სამეფო. თათრებმა ადვილად იგდეს ხელთ თურანი, თურქეთი და მთელი ხორასანი. ჩინგიზ-ყაენმა ოთხად გაყო თავისი ლაშქარი და ოთხი შვილი ყაენად დასვა.

ლაშქრის ნახევარი მისცა თავის პირმშოს და წარავლინა დიდ ყივჩაყეთში, ვიდრე ბნელეთამდე, ოსეთში, ხაზარეთში, რუსეთში, ვიდრე ბულგარეთამდე და სერბეთამდე, კავკასიის ჩრდილოეთში.

მეორე შვილს, ჩალათას, მისცა ლაშქარი და უიღურთა ქვეყანა სამარყანდამდე, ბუხარა აღმუთის ქვეყანამდე. ვგონებ ეს იყო თურანი.

მესამე შვილს, ოქოთას, მისცა თავისი ტახტი საჯდომად, ყარაყურუმი, ჩინმაჩინი, ემელისა და ყუთაყის ქვეყანა და ხატაეთი.

მეოთხე შვილს თული ერქვა. ამას მისცა ოქოთას ზემოთ აღმოსავლეთის ქვეყანა.

ეს ოთხნი განაწესა ყაენად და ამცნო: ნელინადში ერთხელ მისულიყვნენ უფროსი ძმები ოქოთასთან სადარბაზოდ, რადგან ტახტი ოქოთას დაუთმო.

ამის შემდეგ ჩინგიზ-ყაენი წავიდა თურანში და უმცროსი შვილი წარავლინა ხორასნის ჩასაბარებლად. გაიარა ამუდარია და მივიდა ნიშაბურში. იქ ნიშაბურელები სამჯერ შეებრძოლნენ. პირველ ომში ხელთ იგდო [182] ქალაქი, სადაც თავი მოკვეთა სამას ათას კაცს, ხოლო მეორედ – ასი ათასს, მესამედ — ოცდათორმეტ ათასს. ძნელია ამის დაჯერება. დიდი ვეზირის, ხოჯა შამშადინის ძმა, ამ ამბის მომსწრე, ყვება ნიშაბურის მოოხრების შესახებ. წავიდა ეს თული, გაიარა ხორასანი, მახდარანი, მიუახლოვდა ერაყს.

გაიგო ეს სულტანმა ჯალალდინმა, აიყარა ტფილისიდან დედაწულიანად, ქონებით და გაემართა თათრებთან საბრძოლველად; მიაღწია ადარბადაგანს, მიუგზავნა მოციქული ხლათის სულტანს და ხალიფას, ბაღდადის მპყრობელს, რომ დახმარებოდნენ მასაც და საკუთარ თავებსაც. მან ერაყის სულტანს შეუთვალა: „თუ თვითონ არ გნებავთ თათრებთან ბრძოლა, წარმოავლინეთ ლაშქარი და მე შევებრძოლები,

რადგან ვიცნობ მათ საომარ წყობას. თუ არ შეისმენთ ჩემსას, უჩემოდ თქვენ მას წინ ვერ აღუდგებით.“ მივიდა სულტნის მოციქული, მაგრამ არ ინებეს ბრძოლა თათრებმა.

გაიგო ეს სულტანმა და გაიაზრა, რომ მხოლოდ მისი სპა და ადარბადაგანელები წინ ვერ აღუდგებოდნენ მტერს; დატოვა ადარბადაგანი და მეორედ დაიძრა ტფილისისკენ. როდესაც ეს რუსუდანმა შეიტყო, მოუწოდა თავის სპას, იმერ-ამერს, შანშე მანდატურთუხუცესს, ავაგ ამირსპასალარს, ვარამ მსახურთუხუცესს, ჰერეთელებსა და კახელებს, სომხითართ, ჯავახებს, მესხებს, ტაოელებს, წარჩინებულ და სათნოებით სავსე ცოტნე დადიანს, აფხაზებს, ჯიქებს, „ყოველსა იმერ სამეფოს“, [183] რომელთა სათითაოდ ჩამოთვლის დრო აქ არ არის, გაალო დარიალის კარი, გადმოიყვანა ოსები, დურძუკები, მათთან ერთად მთიულნი; შეიკრიბა ნაჭარმაგევში ურიცხვი სიმრავლე და წარავლინა მეფემ ხვარაზმელებთან საომრად.

სეფე დროშა არ წარუგზავნია ივანე ათაბაგის გამო. წავიდნენ, გაიარეს ტფილისი. სულტანი დაბანაკებული იყო სომხითში, ბოლნისის ხევში.

სულტანს დარაჯებმა აცნობეს მტრის შემოსვლა. იგი მოემზადა საბრძოლველად, რადგან იყო უშიშარი ომში. დაიწყო სასტიკი ბრძოლა. პირველივე შეტაკებისას სძლიეს ქართველებმა. როცა გაცხარდა ომი, ორივე მხარეს ურიცხვი მეომარი დაეღუპა. ღმერთმა რისხვით მოხედა ქართველთა მოდგმას, რადგან არ დაცხრა უფლის გულისწყრომა, ხელი მისი ისევ აღმართული იყო მათ დასასჯელად; გაიხსენა ჩვენი უსჯულოება. ხვარაზმელებმა სძლიეს ქართველთ, ქართველები გაიქცნენ. სულტანი კვლავ დაბრუნდა ტფილისში, თუ სადმე ვინმე დასარბევი დარჩა, გააგრძელა მათი რბევა ზემოხსენებულ ქვეყნებში.

თათართა მთავარი, თული მივიდა ერაყში ყაზვინამდე, [184] ააოხრა ქვეყანა, ამოწყვიტა ურჩები, განვლო ხორასანი, ჯვონი, მივიდა მამასთან, ჩინგიზ-ყაენთან, და ძმებთან. როცა სულტან ჯალალდინის გაქცევა გაიგო, დაუძახა ოთხ ერისმთავარს: ჩორმაღანს – უპირველესს, ჩალატას – მეორეს, იოსურსა და ბიჩოს. ამათ ათიათას-ათიათასი კაცი მისცეს დედანულიანად და წარავლინეს სულტნის საძებნელად. ეს ნოინები ყაენის შვილები იყვნენ. თითოეულს ამცნეს, რომ სადაც მივიდოდნენ, მორჩილები უნდა შეეწყნარებინათ, ურჩები გაეწყვიტათ; ხარკი ოთხად უნდა გაეყოთ და თავიანთ ხელმწიფეთათვის გაეგზავნათ.

დაიძრა ეს ოთხი ნოინი: ჩორმალანი, ჩალატა, იოსური და ბიჩო, გაიარეს ჯეონი და ხორასანი და ორმოცი ათასი კაცითა და ოჯახით მივიდნენ ალმოთის ქვეყანაში, შეებრძოლნენ და გაანადგურეს. მერე წავიდნენ ერასში და ააოხრეს იქაურობა. ვინც მორჩილებას ითხოვდა, იწყალებდნენ. შემდეგ მივიდნენ ადარბადაგანში, ანუ თავრეჟში. ადარბადაგანელები მიეგებნენ ურიცხვი ძღვენით, ასევე შეხვდნენ ქალაქ არდავლის მცხოვრებნი; გაიარეს რახსი და მივიდნენ განძაში, რომელიც მტკიცედ იყო გამაგრებული და [185] სამი დღე ებრძოდნენ თათრებს, ქალაქი ხელთ იგდეს, ააოხრეს, ხალხი ამოხოცეს, რადგან სძაგდათ მაჰმადის რჯული.

ეს რომ შეიტყო, სულტანი აიყარა დედანულიანად და საბერძნეთში გაიქცა. თათრები დაედევნენ და ბასიანთან დაეწინენ. მტრის დანახვაზე ყველა აქეთ-იქით დაიფანტა. მარტო დარჩენილმა სულტანმა ერთ მივარდნილ სოფელში, ხის ძირას ჩათვლიმა. მძინარეს თავზე ვილაც მდაბიო დაადგა. კაცს თვალი მოსტაცა სულტნის უძვირფასესი თვლებით შემკულმა უნაგირმა, სარტყელმა და კაპარჭმა, სიხარბემ სძლია და მოკლა სახელოვანი და მაღალი ხელმწიფე. რა უგნურებაა წუთისოფლის მინდობა! იტყვის ეკლესიასტე: „ამაოება ამაოებათა და ყოველივე ამაო არს.“ ვერაფერი უშველა სულტანს ვერც აურაცხელმა ჯარმა, ვერც ქედუხრელობამ, ვერც უზარმაზარმა ქონებამ. ყოველივე ამაოა, თვინიერ საუკუნო და უკვდავი ცხოვრებისა.

ასე რომ, ხვარაზმელები დაიფანტნენ, უმრავლესობა გარმიანში გაიქცა, სულტანი ჯალალდინი განიგმირა. ასე დასრულდა მისი მაღალი ხელმწიფობა. სულტნის, ხვარაზმელის ძის სიკვდილი რომ შეიტყო, სულტანმა ყიასდინმა იპოვა კაცი, რომელმაც სულტნის იშვიათი თვლებით შემკული ქამარი, კაპარჭი და უნაგირი მიითვისა. [186] გაოცდა ყველა ამ სიმდიდრის ხილვისას. სულტნის მკვლელი ცეცხლში დანვეს.

როცა დაბრუნდნენ სულტანს გაკიდებული თათრები, ააოხრეს ხლათისა და ვალაშკერტის ქვეყნები. ნინ ვერ აღუდგა ხლათის სულტანი და ქალაქში ჩაიკეტა. თათრები წავიდნენ ადარბადაგანში, ზავი დადეს თავრეჟელებთან. აიღეს თავრეჟი და მისი მიმდებარე ქვეყანა. მეორე წელს მიადგნენ ბარდავს, განძას, მულანს, იწყეს საქართველოს რბევა. დაიწყეს დარუბანდიდან, ამოყვნენ ზემოთ, დაარბიეს შარვაში, კაბალა, ჰერეთი, კახეთი, არშაკუნიანთა დვინი და ანისი. ვინაიდან საქართველო ამ ქვეყნების მიმდებარე იყო, უდიდესი და უბოროტესი

განსაცდელი, ზემოხსენებულის მსგავსი, უარესი და უმძვინვარესი, დაატყდა მის საზღვრებს. ქართველები დაისაჯნენ უკეთურებისთვის, რადგან ნებისმიერი ასაკის ადამიანი: მოხუცი თუ ყრმა, მეფე თუ მთავარი, დიდი თუ მცირე მიდრკა ბოროტებისაკენ. მათ ზურგი აქციეს სიმართლესა და ჭეშმარიტებას. თვით მღვდლებშიც იყვნენ არასწორი ცხოვრების მიმდევრები; მთელი ერი სიბილნეში იყო ჩაფლული, ისე, როგორც ოდესღაც ბენიამენის მოდგმა. ქართველებიც მათსავით განირა ღმერთმა.

იტყვის წინასწარმეტყველი ესაია: [187] „უფალი, უფალი საბოთ უბრძანებს შეიარაღებულ ხალხს, მოვიდნენ შორი ქვეყნიდან, ცის კიდიდან. უფალი და მისი შეიარაღებული მეომრები დააქცევენ ქვეყანას, რათა მოისპოს ცოდვა. გოდებდეთ, რადგან მოახლოებულია უფლის დღე და შემუსვრა ღვთისაგან მოიწევა.“ ისევ იტყვის: „უფლის დღე დადგება გარდაუვლად, რისხვითა და გულისწყრომით. მთელი ქვეყანა აოხრდება, ცოდვილები წარწყმდებიან.“ ამის მსგავსად განადგურდა მთელი ქართლის ქვეყანა.

ვითარ ცნა მეფე რუსუდანმა თათართა მოახლოება, გაეცალა ტფილისს და ქუთათისში წავიდა. მან მცველად დატოვა მუხას-ძე და დაუბარა, თუ თათრები დმანისამდე მოვიდოდნენ, გადაეწვა ტფილისი, დაეტოვებინა მხოლოდ პალატა და ისანნი, რომ ხვარაზმელები იქ არ დამკვიდრებულიყვნენ.

როცა გაიგო მუხას-ძემ თათართა მოახლოება, გადანვა მთელი ქალაქი, სასახლესთან და ისნებთან ერთად. ასე აოხრდა ქალაქი ტფილისი.

ზემოხსენებული ნოინები შემოვიდნენ ქართლში, თრიალეთში, სომხითში, ჯავახეთში, სამცხეში, შავშეთში, კლარჯეთში, ტაოში, კოლაში, არტაანში, ანისში. კალიებივით მოეფინნენ ირგვლივ და დაიწყეს ხოცვა-ჟლეტა; აღარსად იყო ღვინი, უმონყალოდ ნადგურდებოდა ქვეყანა. მანდატურთუხუცესი შანშე აჭარაში გაიქცა, ამირსპასალარი ავაგი კანის ციხეში შევიდა, ვარამ გაგელი ქუთათისში გაიქცა, [188] ჰერნი, კახნი, სომხითარ-ქართლელნი, მესხნი, ტაოელნი, თორელ-არტაან-კოლაელნი – გარბოდნენ კავკასიისა და მთიულეთის ციხეებსა და მთებში, ტყეებსა და სიმაგრეებში.

და გაგრძელდა ქვეყნის მოსპობა და განადგურება ჩვენივე ურჯულოების გამო, რადგან ყველა ასაკის ადამიანმა მიიღო მონაწილეობა

მის აოხრებაში. ეს დაემართა არა მხოლოდ საქართველოს, არამედ სპარსეთს, ბაბილონს, საბერძნეთს. ქართველებს ან მწარე ტყვეობა ელოდათ, ან უმონყალო სიკვდილი. შებრალება არ იცოდა მტერმა. ქალაქები, სოფლები, ველები, ტყეები, მთები, ხევები დახოცილებს ვერ იტყვდა. ციხე-სიმაგრეთა გარდა, ძნელად ვინმე სადმე დარჩენილიყო. გოდებამ მოიცვა აღმოსავლეთ საქართველოს ყოველი მკვიდრი, ხე-დავდნენ მამა-დედები მოკლულ შვილებს, შვილები – დახოცილ მშობლებს, სხვები – ძმებს, ნათესავებსა და დატყვევებულ დებს, ცოლებსა და შვილებს, მიმოზნეულ ქონებას. თათრები ისეთ თავზარს სცემდნენ ქართველებს, რომ უმრავლესობა ტოვებდა ციხეებსა და გამაგრებულ ადგილებს და კავკასიის მთას აფარებდა თავს.

როდესაც ქვეყანა ამ გაუთავებელმა უბედურებამ მოიცვა, ძლიერი ერისთავები განცალკევდნენ, ყველა მხოლოდ საკუთარ თავზე ზრუნავდა, რადგან მეფე რუსუდანი საფუძვლიანად დამკვიდრდა ლიხსიქით, ლიხს-აქეთ ვერ გადმოდიოდა, ვერც აღმოსავლელი ვეზირები მიდიოდნენ მასთან მტრისგან შევიწროების გამო. მეფეს მხოლოდ ლტოლვილები ხედავდნენ.

[189] ქართველები არ იყვნენ ერთ მუშტად შეკრულნი და ერთსულოვანნი. საქართველოს ძლიერი და სახელგანთქმული ადამიანები უძღურნი იყვნენ, ვერც კი ახსენებდნენ თათრებთან შებრძოლების აუცილებლობას, რადგან კახეთ-ჰერეთი უღრანი ტყეებით იყო გარშემორტყმული და დაცული. საქართველოს მკვიდრნი, ომში მამაცი და სახელოვანი ერისთავები, სრულიად განადგურდნენ. ასევე მათ ზემოთ მცხოვრებნი ყოველნი.

ამ ბოროტების შემყურე ავაგ ამირსპასალარმა, ივანე ათაბაგის ძემ, მოციქულები გაგზავნა ბარდავში, სადაც დაბანაკებული იყვნენ ზემოხსენებული მთავრები. მათი ზამთრის სამყოფელი ბარდავი იყო, ზაფხულს გელაქუნისა და არარატის მთებში ატარებდნენ, რადგან ანისს ჩორმალანი ფლობდა. ითხოვდა რა ზავს, ავაგი ჰპირდებოდა მათთან გამოცხადებას, მსახურებას, ხარკის გადახდას, თავისი ქვეყნის მათთვის დამორჩილებას. მან ითხოვა ხელშეუხებლობის ფიცი. თათრებმა სიხარულით მიიღეს ავაგის მოციქულობა და თანხმობა ფიცით განამტკიცეს.

მტერი ერთ ღმერთს ეთაყვანებოდა. წესად ჰქონდათ დილით, მზის ამოსვლისას, აღმოსავლეთის მხარეს სამჯერ დაჩოქება. მათი ღვთის-

მოსავობა ამით ამოიწურებოდა. ხოლო ფიცს ასე განამტკიცებდნენ: ამოავლებდნენ ოქროს წყალში და ამ წყალს დამორჩილებულს შეასმევდნენ და შეინყნარებდნენ; ამ ფიცს არ გატეხდნენ, ტყუილი სიტყვა მათი [190] პირიდან არ ამოვიდოდა, ყაჩაღსა და მამათმავალს გასამართლების გარეშე კლავდნენ. სხვა მრავალი კარგი წესი განეჩინა ზემოხსენებულ მთავარს, ჩინგიზ-ყაენს. ამგვარი ოქროს საფიცრით დაუმტკიცეს ავაგის მოციქულებს ფიცი. მათაც დაიჯერეს, რადგან ცრუ და ტყუილი ფიცი თათრებს არ სჩვეოდათ.

ავაგის მოციქულები დაბრუნდნენ და უამბეს მას ყოველივე. ამირსპასალარი ავაგი თავისი ქვეყნისთვის სულს განირავდა. იგი წავიდა და გამოცხადდა ჩორმალანის, ჩალატას, ბიჩუსა და იოსურის წინაშე. მათ პატივისცემით მიიღეს ავაგი, შეიყვარეს და დაუდგინეს ქალაქის მცველები, რომელსაც მათ ენაზე შანა ჰქვია.

დამშვიდდა ავაგის სამფლობელო. შეიტყო შანშე მანდატურთუხუცესმა ავაგისა და თათრების ზავის შესახებ, მანაც მოინდომა ქვეყნის უვნებლად დაცვა, ეს კი მხოლოდ ზავით იყო შესაძლებელი. შანშემ სთხოვა ავაგს, წასულიყო და ემოციქულა მისთვის თათრებთან. თათრებმა ეს მოციქულობა სიხარულით მიიღეს და ოქროს საფიცრითვე დადეს უვნებელობის ფიცი. შანშეც მათ ეახლა, თათრები მასაც პატივით შეხვდნენ, ანისი და მათ მიერ წართმეული სამფლობელო მთლიანად დაუბრუნეს და იქ მცველები დაუდგინეს. თუ რომელიმე ქართველი თავადი მივიდოდა, სიხარულით ლებულობდნენ, ურჩების სამფლობელოს კი მიწასთან ასწორებდნენ. ეს რომ შეიტყო, ვარამ გაგელმა, ზაქარიას ძემ, დამორჩილდა ისიც მტერს და ზავით შეწყნარებული მისი სამფლობელოც დამშვიდდა.

ჰერეთი და კახეთი, სომხითი და ქართლი და ზემოთ, კარნუ ქალაქამდე [191] – ყველა ეს ქვეყანა აოხრებული იყო – არბევდნენ ატყვევებდნენ, მუსრავდნენ მამაკაცებს, ქალები და ბავშვები ტყვედ მიჰყავდათ.

ქალაქი ტფილისი თათრებმა იგდეს ხელთ.

იწყეს ზამთრისთვის მზადება. ბარდავში დაბანაკდნენ, მტკვრისა და ივრის პირას, და ზემოთ, გაგამდე. სპობდნენ, არბევდნენ ქართლს, სამცხეს, ჯავახეთს საბერძნეთამდე, კახეთსა და ჰერეთს დარუბანდამდე.

ამ გაუსაძლისი გასაჭირით შევიწროებული ქართველი მთავრები დაემორჩილნენ თათრებს: ჰერ-კახნი, ქართველნი, თორელი გამ-

რეკელი, სარგის თმოგველი, კაცი სწავლული და ფილოსოფოსი და ბევრის შემძლე. მესხები, რუსუდან მეფის სიყვარულის გამო, არ მიემხრნენ. ამის გამო გამძვინვარებულმა ჩალატა ნოინმა ილაშქრა სამცხეზე. შიშისგან დამფრთხალი მესხები ციხეში ჩაიკეტნენ. მრავალი სული მოისპო სამცხეში, ბევრი იქნა მოკლული. სხვა გზა არ დარჩა და ივანე ციხისჯვარელმა ჯაყელმა, რომელსაც ყვარყვარესაც უწოდებდნენ და რომელიც თანამდებობით მეჭურჭლეთუხუცესი იყო, ამავე დროს სამცხის მთავარი, მოახსენა მეფე რუსუდანს, რომ თუკი სურდა ეხსნა სამცხის ქვეყანა აოხრებისგან, ისიც დამორჩილებოდა ჩალატას. მეფე დათანხმდა. მაშინ წავიდა ივანე და იხილა ჩალატა, რომელმაც პატივით მიიღო და მის სამფლობელოს მცველები დაუდგინა.

რაკი მთელი ქვეყანა თათრებმა იგდეს ხელთ, ის ოთხმა ერისმთავარმა ოთხად გაყო; ასევე გაიყვეს საერისთავოები, მათი შემოსავალი და ხარკი, რომელსაც იღებდნენ და აგზავნიდნენ. ასე რომ, ქვეყანამ რამდენადმე დაწყნარება იწყო.

[192] რუსუდან მეფემ დაინახა, რომ ქვეყნის აღმოსავლეთი თათრებმა დაიპყრეს. მან გადაწყვიტა, გაეგზავნა თავისი ძე დავითი და დაემორჩილებინა ის თათრებისთვის იმ პირობით, რომ არაფერს ავნებდნენ. მოციქულებად გაგზავნა შანშე, ავაგი, ვარამი, ჰერეთის ერისთავი შოთა, რომელსაც „მანისი ფერობისათვის კუპრობით უწმობდეს“.

სანამ რუსუდანი მოციქულებს გააგზავნიდა, თათრებმა საბერძნეთის მფლობელ დიდ სულტან ყიასდინზე, ნათესავით სელჩუკიანზე, გალაშქრება გადაწყვიტეს. ჯარს ბიჩო ნოინი გაუძღვა. მას თან ქართველი დიდი მთავრები ახლდნენ. მეომრებმა დაარბიეს სევასტისა და ეზინკის ქვეყნები. მაშინ სულტანმა ყიასდინმა უხმო სპას, შეიკრიბა ორმოცი ბევრი ანუ ოთხასი ათასი მეომარი. მხედართ აფხაზი შარვაშიძე უსარდლა, სახელად დარდინი, რომელიც სიმამაცის გამო თავიდანვე დიდ პატივში ჰყავდა; დარდინი ღვთისმოსავი იყო. მას თან ახლდა ფარდავლა, თორელი ახალციხელის, შალვას ძე, კაცი მამაცი და ომში სახელოვანი. ფარდავლა გაქცეული იყო სულტანთან. ესენი მხედართმთავრებად და წინამბრძოლებად განაჩინა ყიასდინმა. სულტნის ჯარი თათრებთან ახლოს დაბანაკდა.

ყიასდინის განზრახვამ გალაღებული თათრები აღაშფოთა. ბიჩო ნოინი მივიდა იქ მყოფ ქართველებთან, რათა ეუწყებინა სულტნის განზრახვა. მან თვალი მოჰკრა ყვარყვარე [193] ჯაყელის დისწულს,

სარგისს, ომში მხნესა და შეუდრეკელს; დაუძახა ბიჩომ და უთხრა: „მახარობლად მოვედი, რითი დამასაჩუქრებ? დიდ სულტანს გაუგია ჩვენი მოსვლა, გვეახლა და ახლო დაბანაკებულა დიდი და უთვალავი ლაშქრით. დილას აპირებს ომის დაწყებას.“

უსმინა სარგისმა და განცვიფრებულმა უპასუხა: „ჰოი, დიდო ნოინო, ომში თქვენი სიმხნევე და გამარჯვება ჩემთვის ცნობილია, მაგრამ მტერი აურაცხელია და ამიტომაც შენი სიხარული ნაადრევი მგონია.“ საპასუხოდ ბიჩომ გაიღიმა და მიუგო: „კარგად ვერ გაგიცნია მონლოლთა მოდგმა. რადგან ღმერთმა ძლევა მოგვცა, არფრად ვაგდებთ მტრის სიმრავლეს, მათ მაინც ვძლევთ და მრავალრიცხოვანთა დამარცხებით უფრო დიდი ალაფითაც ავივსებით. მოემზადეთ ხვალისთვის საბრძოლველად და ვნახოთ, როგორ შევებრძოლებით მტერს.“ ასე გათამამებულნი იყვნენ ყოველ ერზე.

როცა გათენდა, მოვიდა სულტანი ზარდამცემი ჯარით, რადგან იყო ოთხასი ათასი და განალაგეს მეომრები. მოპირდაპირე მხარეს თათრებმა განაწყვეს ჯარი, გამორჩეულები მარცხენა მხარეს დააყენეს. წესად ჰქონდათ, საუკეთესო მეომართა მარცხნივ განლაგება; რაკი სხვები გამორჩეულ და მამაც მეომრებს მარჯვნივ აყენებდნენ, მონლოლების აზრით, ამ გზით საუკეთესო საუკეთესოს შეხვდებოდა. მათი დროშის მენამული ფერი კი მტრის დაღვრილ სისხლზე მიანიშნებდა.

[194] მონლოლებმა ქართველებს მენინავეობა დააკისრეს. როცა მონინაალმდეგენი ერთმანეთს დაუახლოვდნენ, თათრებმა ხმამალა დაიწყეს ძახილი: აჰლა, აჰლა, აჰლა. ეს სიტყვა ძნელად სათარგმნი და უცნობია. წესად ჰქონდათ ამის სამჯერ თქმა და ამის შემდეგ მეყსეულად შეტევა მტერზე. ქართველებმა დაასწრეს და უფრო მეტი სიმხნევით მძლავრად შეუტიეს. დაიწყო სასტიკი ომი და ამონყდა აურაცხელი მეომარი სულტნის სპიდან. დაიღუპა მათი სახელოვანი სარდალი, შარვაშისძე დარდანი, აფხაზი. გარბოდა სულტნის ჯარი, გაეკიდნენ თათრები და ქართველები; ურიცხვი მეომარი დახოცეს და შეიპყრეს. ახალციხელი სულტანმა მოკლა, ქართველებზე შურისძიების მიზნით. ქართველები მენინავენი იყვნენ და მხედართმთავრებს აკვირვებდნენ სიმამაცით. ამიტომ თათრები სიყვარულს, პატივსა და საბოძვარს არ იშურებდნენ და ქებას ასხამდნენ. აივსნენ ქართველები და თათრები ყოველგვარი სიმდიდრით, ოქროთი, ვერცხლით, ოქროსა და ვეცხლის სასმისებითა და ჯამ-ჭურჭლით, საუცხოო ქსოვილებითა და სა-

მოსლით, ცხენის, ჯორისა და აქლემის დათვლა ვერ ხერხდებოდა.

სულტნის დევნაში ასე დატვირთულნი ჩავიდნენ საბერძნეთში, მიჰყვნენ იკონიამდე, სადაც თავს აფარებდა დევნილი სულტანი. ქალაქი იყო დიდი, მტკიცე გალავნით შემოზღუდული. იკონიის კართან იქმნა ძლიერი ომი, რომლის აქ დანვრილებით აღწერის დრო არ არის. მეტწილად გამოდიოდნენ ნაწილ-ნაწილ და ასე იბრძოდნენ. ამგვარად იომეს ქართველებმა სახელოვნად და ძლევამოსილად მრავალი დღე-ღამით მოქანცულმა სულტანმა ითხოვა ზავი, აღუთქვა [195] ხარკი, დიდი და მძიმე; აურაცხელი ძღვენით, ფასდაუდებელი თვლებით, მარგალიტებით დააშოშმინა თათრები. ითხოვა მცველები; ამგვარად, გარკვეული დროის განმავლობაში არ ეყოლებოდათ სულტანი, სანამ არ გააკეთებდნენ უკეთეს არჩევანს. თათრებმა შეინწყნარეს მტერი, უკუიქცნენ და ხლათს მიადგნენ. ხლათის სულტანმა ითხოვა ზავი და დიდი ძღვენით წინ მიეგება. თათრები დათანხმდნენ და ქვეყანას მცველები ანუ შანები დაუდგინეს, შემდეგ კი საზაფხულო ადგილს, გელაქუნსა და არარატის მთას, დაუბრუნდნენ. მათ გაუგზავნეს მოციქულები რუსუდანს ზავისთვის. მეფეს უნდა გაეგზავნა თავისი ძე დავითი, რათა მიეცათ მისთვის მეფობა ტფილისისა და სრულიად საქართველოსი. ესმა რუსუდანს, მოეწონა შემოთავაზება. იგი გულდაჯერებული იყო, რადგან თათრები ფიცს მტკიცედ იცავდნენ და დამორჩილებულს შეინწყნარებდნენ.

ნამოვიდა თავად მეფე და წარმოგზავნა ძე თვისი დავითი. მიეგებნენ მათ შანშე და ავაგი, რომლებიც თათრებმა დიდი პატივით შეინწყნარეს; მიეგება, აგრეთვე, შოთა კუპარი, „არარათა ნიჭთა და სამამაკაცო ზნეთა“ მქონე, გაგელი ვარამ, ქართლის ერისთავი გრიგოლ სურამელი, სამცხის სპასალარი და მეჭურჭლეთუხუცესი ყვარყვარე ციხისჯვარელი, თორელნი, თმოგველნი, შავშ-კლარჯნი და ტაოელნი. წარიყვანეს მეფე, ძე რუსუდანისი, დავითი. მეფე რუსუდანმა თან გაიყოლა ყველა ლიხთ-იმერელი მთავარი, დადიანი ცოტნე, კაცი ღირსეული და სათნო, ბრძოლებში სახელოვანი, ბედიანი; რაჭის ერისთავი, გურიელი, ყველა წარჩინებული. შევიდნენ ტფილისში; იქიდან გაემართნენ ბარდავს, სადაც დაებანაკათ ნოინებს, იქ იყო ავაგიც. მიიყვანეს დავითი დიდი პატივითა და ლაშქრით. როდესაც იხილეს იგი ჩორმალანმა, ჩალატამ, იოსურმა და ბიჩომ, გაიხარეს, პატივით მიიღეს მეფე [196] და საქართველოს მთავრები და დაუბრუნეს მთელი საქართველო, ტფილ-

ისი, სამშვილდე, რომელიც ომით ჰქონდა აღებული იოსურ ნოინსა და ანგურნაგას. ასე კეთილად შეინყნარეს დავითი, რომელსაც დიდებით წარინი ანუ მეფის პირი უწოდეს.

მაშინ წარავლინეს მოციქული დიდ ყაენთან, რომელიც იჯდა ყარაყურუმში ჩინგიზ-ყაენის ტახტზე, რადგან ჩინგიზ-ყაენი გარდაცვლილიყო და ყაენობა ხელთ იგდო მისმა ძემ, ოქროფამ, რომელიც იყო კაცი კეთილი, დიდად უხვი და სამართლიანი. ისიც გარდაიცვალა და დასვეს ყაენად ძე ოქროფასი, სახელით ქუქ. ისიც მოკვდა და ყაენობა ხელთ იგდო ქუქის ძემ, მანგუმ. მოციქულის პირით აუწყეს მანგუმს სპარსეთის, საქართველოსა და საბერძნეთის აღება, გაუგზავნეს თითოეული თემის მოკაზმული ქუდი, აბჯარი და სამოსელი, ამცნეს მათი ზნე-ჩვეულებანი და ის, რომ „ქართველები სრულად მოვიდნენ, მეფე და ყველა მთავარი; მათ აქვთ კეთილი სარწმუნოება, გაურბიან ტყუილს, არ ახასიათებთ ადამიანის მოწამვლა.“ რაც შეეხება სპარსელებს, მათ შესახებ ასე ამცნეს: „არიან სპარსნი ცრუნი, მოღალატენი, ფიცის გამტეხნი და მრავალნი არიან მათ შორის ადამიანის მოწამვლელები და ურცხვი მამათმავლები.“

ელჩი პირველად ბათოსთან მივიდა. ბათო იყო ჩინგიზ-ყაენის შვილის, თუბის ძე. მაშინ უპირველესი ბათო ყაენი იყო. ის ფლობდა ოვსეთს, დიდ ყივჩაყეთს, ხაზარეთსა და რუსეთს ვიდრე [197] ბნელეთამდე და დარუბანდის ზღვამდე. მან კი გაგზავნა ელჩი მანგუ ყაენთან. როცა იხილა მოციქული, მანგუმ გაიხარა, მუზარადის ნახვამ გააოცა. ასე შეუთვალა ნოინთ მანგუ ყაენმა: „რაკი ქართველნი ომში ღირსეულნი არიან, არ არიან ცრუნი, მინდობა იციან, თქვენთან წაიყვანეთ მტრებთან საბრძოლველად, ხოლო სპარსელები ამონყვიტეთ, მათი ქვეყნის თავადები კი აქ წარმოგზავნეთ.“

როცა ეს მოციქული დაბრუნდა, ჩალატა ნოინმა დიდ ყაენ ბათოსთან წარავლინა ავაგი, რომელსაც ამირსპასალარობის შემდეგ ათაბაგობა უბოძა მეფე რუსუდანმა; წარავლინა, აგრეთვე, ხლათის სულტანი. წავიდნენ ქართველთათვის მანამდე უცნობი და უვალი გზით. მათ მიაღწიეს ბათოსთან, რომელიც იყო იმ დროის ყაენთა შორის უმთავრესი, უზენაესი და მშვენიერებით უაღმატებულესი. თან წაიყვანა ავაგ ათაბაგმა ივანე ახალციხელის ძე, სახელად დავითი, ავაგის ეჯიბი, რომელმაც უთხრა ავაგს: „რადგან უცხო ტომელებთან მოხვედი და არ იცი, რა გველის, ასე გირჩევ: ვითომ მე ვარ შენი პატრონი და მთავარი,

ხოლო შენ – მონა. თუკი ყაენს ენდომება შენი მოკვლა, მე მოვკვდები და არა შენ; არა მგონია, ბატონს თუ მოკლავენ, ყმებიც დახოცონ.“ და ამგვარად, დიდი მუდართა და იძულებით დაარწმუნეს ავაგი, რომ ასე მოქცეულიყო. როცა შევიდნენ ბათოსთან, ავაგმა წინ წაიმძღვარა დავითი, როგორც უმთავრესი. ესოდენი სათნოება გამოიჩინა დავითმა, თავისი პატრონისთვის საკუთარი თავის სასიკვდილოდ გამწირველმა. იხილა რა ბათო ყაენმა ავაგი, გაიხარა და დიდი პატივისცემით ექცეოდა მრავალი დღის მანძილზე. ქართველები მიხვდნენ, რომ ბათო კეთილგანწყობილი იყო და სიკვდილის უკვე აღარ ეშინოდათ. ერთ დღეს [198] დაუძახა ბათომ ქართველთ და ახლა ავაგი წარუძღვა მათ წინ. ეს რომ იხილა ყაენმა, გოცებით შეხედა და უთხრა ავაგს: „არ იცი, რომ ის პატრონია შენი, რომელიც შენს უკან დგას და შენ წინ წასძლომიხარ?“ ხოლო დავითმა ღიმილით უთხრა: „დიდო, დიდო გამარჯვებულო ხელმწიფეო, ეგ არის პატრონი და მე – მონა მისი“. განცვიფრებულმა ყაენმა ჰკითხა მიზეზი, თუ რისთვის ჩაიდინა ეს. დავითმა მიუგო: „იმიტომ გავაკეთე ასე, დიდო ყაენო, რომ არ ვიცოდით შენი სიკეთე და თუ რას შეგვამთხვევდი; თუ გენება მისი სიკვდილი, უნინ მე მოვკვდებოდი და არა ჩემი პატრონი.“ ბათო დიდად გოცდა და შეაქო დავითი. თქვა ყაენმა: „თუკი ქართველთა მოდგმა ასეთია, ვბრძანებ, რომ ისინი უმჯობესნი და უწარჩინებულესნი იყვნენ ჩვენს ქვეშევრდომთა შორის და მაღალ მხედრებს გაუთანაბრონ, მისცენ მამული და სიმდიდრე და ყოველმხრივ სანდოდ ჩათვალონ“. ეს ბრძანება დანერა და მისცა. ბრძანა მისი გაგზავნა დიდ მანგუ ყაენტან, ჩინეთსა და ყარაყურუმში. ეს აქამდე იყო.

ხოლო ჩვენ შეწყვეტილ თხრობას მივუბრუნდეთ. გადმოვიდა მეფე რუსუდანი ლიხით და ტფილისში შევიდა. მიეგება მისი სამეფოს ყოველი წარჩინებული. წარავლინა რუსუდანმა თავისი ძე, დავითი ნოინებთან, რომლებმაც იგი დიდი პატივით მიიღეს და უბოძეს მთელი სამეფო, ჩააბარეს წარჩინებულნი და ყოველნი მთავარნი საქართველოსნი. ასე რომ, სამეფო ისევ რუსუდან მეფის ხელში აღმოჩნდა.

აქაც მსურს დუმილი, რადგან შესაშფოთებელი რამ არის მოსათხრობი. არ არის საკადრისი მეფეზე ცუდის თქმა, რადგან ამბობს მოსე, მხილველი ღვთისა: „შენი ერის მთავარზე არ თქვა ბოროტი.“ [199] რაკი ეს წიგნი კეთილისმოქმედთა და ბოროტისმოქმედთა შორის შუამდებარეა, შემენდოს ჩემი სიტყვები: ჟამთააღმწერლობა ჭემმარიტების

მეტყველება და არა ვინმესთვის თვალის აბმა. რუსუდან მეფემ დაივინწა ღვთის შიში, ძმის ანდერძი და ფიცი. განიზრახა უსამართლო რამ, რათა მეფობა მის ძეს, დავითს, მიეღო. წარავლინა კაცი საბერძნეთში თავის სიძე სულტანთან და ასულ თამართან, რათა მისი ძმისწული, ყრმა დავითი, რომელიც ადრე გაეგზავნა მათთან მოსაკვდინებლად (მათ კი არანაირი ბოროტება არ შეუმთხვევიათ მისთვის), ახლა მაინც წარენწყმიდათ, რათა ამიერიდან უზრუნველად ემეფათ მას და მის ძეს, დავითს.

მათ ეს არ შეისმინეს. ისევ გაგზავნა მოციქული რუსუდანმა იმავე მოთხოვნით. ისინი კი არ მტრობდნენ დავითს. რუსუდანმა მესამედ გაგზავნა წერილი, ძმისწულის, გინდაც ძმის მოკვლის განზრახულობით აღსავსე. სიძე-ქალიშვილმა არც მაშინ აღასრულა რუსუდანის ნება. ამით განცვიფრებულმა და გულიწყრომით აღვსილმა მეფემ დაივინწა რჯული, ნათესავის ღმობა და თვით შვილის მიმართ დედობრივი სიყვარულიც კი. როგორც იტყვის ბრძენი სოლომონი: „კაცის გულისწყრომა ღვთის სიმატლეს არ მისდევს.“ ამან, კეთილი ძირის მორჩიმა, არ ქმნა სიმატლეს და წყალობა, მისწერა წერილი თავის სიძეს, სულტან ყიასდინს და ამცნო ასე: „იმიტომ მენება ჩემი ძმისწულის, დავითის, მოკვლა, რომ შენს ცოლსა და ჩემს ასულთან ჩემი ძმისწული დავითი ნება და ამიტომაც არ სურს ჩემს ასულს მისთვის ბოროტება.“ ჰოი გონება, მხეცთა უმძვინვარესი, ვაი მკვლევობა, ოდესმე სმენილ და გარდასულ მკვლევობებზე უბოროტესი, რომელიც აღასრულა შვილსა და ძმაზე დედობრივი და ძმაებრივი თანაგრძნობის დამვიწყებელმა!

[200] წერილმა სულტანი სასტიკად აღაშფოთა; შევიდა სადედოფლო სახლში, უდიერად ათრია ცოლი თმებით, ფეხი ძლიერად ჩასცა მშვენიერ სახეში; ქალის ტანი დაუზოგავი ცემისგან სისხლისფრად შეიღება, ხოლო ხატები, რომლებიც მარადის თავისთან ჰქონდა სავედრებლად, მის წინაშე აგინა და დამუსრა; დედოფლის მსახურები და მოხელენი ექსორია ჰყო, ზოგიც დახოცა, ცოლს კი აშინებდა, შეუბრალებლად უქადდა სიკვდილს, თუკი არ დატოვებდა ქრისტეს რჯულს და მაჰმადიანობას არ მიიღებდა. კიდევ მრავალი ტანჯვა შეამთხვია, რის შემდეგაც ქანცვაცლილმა თამარმა უარყო რჯული ჭეშმარიტი, რომელიც აქამდე მტკიცედ და გაცხადებულად ეპყრა: ხუცესები და ხატები მუდამ მის წინაშე იყო, არა ფარულად, არამედ ცხადად.

ყრმა დავითი შეიპყრეს და საშინლად აწამეს, რათა სიმაართლე ეთქვა, ის კი ამბობდა: „უდანაშაულო ვარ, ღმერთია მოწამე. განა დასაჯერებელია მამიდისა ჩემისა ეს ცილისწამება, რომელმაც მე თითქოს საქართველოს წინაშე ბრალისა და შეცოდებისათვის ექსორია მყო და ჩემი მოკვლა მოგთხოვათ? ირწმუნე, მოწყალეო და მაღალო სულტანო, რომ მას თავიდანვე ჩემი სიკვდილი ჰქონდა განზრახული“.

ეს რომ მოისმინა, სულტანი რამდენადმე მოლბა, ზეცის განგებით, აღარ ინება მისი სიკვდილი, რამეთუ მსჯავრი და განგება ღვთისა შეუცნობელია, როგორც დაწერილა: „ვინ შეიცნოს უფლის განგება, ვინ ეყოს მას თანამზრახველ.“ მაგრამ მაინც არ დაცხრა ბოლომდე სულტანის გულისწყრომა; ვითარცა მძაფრი ალით, ენთებოდა მისი გული. ამიტომ უხმო მენავეთმოძღვარს, ჩააბარა დავითი და უბრძანა ჩაეგდოთ ზღვის სიღრმეში, ხოლო თუ ასე არ მოიქცეოდნენ, გაანადგურებდა მათ სახლებს და ოჯახებს ბოროტად ამონყვეტდა. მენავებმა [201] წაიყვანეს, ჩასვეს ნავში, შესცურეს ზღვაში და ნაპირს დიდად რომ დასცილდნენ, მოისურვეს დავითის გადაგდება.

მაშინ ევედრა დავითი მენავებს, რომ ლოცვის საშუალება მიეცათ. მათაც ადროვეს. როცა წამოდგა, ამოიღო უბიდან ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის ხატი, რომელიც ვედრების სახედ ჰქონდა დასახული, მარად თან დაჰქონდა, მისი იმედით სულდგმულობდა. ეს ხატი დაიდო სახეზე, თვალებზე, სიმწრის ცრემლები ღვარა და თქვა: „ჩვენი მხსნელის, იესო ქრისტეს ყოვლადწმიდაო დედავ, ცოდვილთა შესავედრებელო და ნუგეშისმცემელო! შეივედრე ჩემი სული, რადგან შენ ხარ მანუგეშებელი ჩემი მწარე ობლობის, უსამართლო სიკვდილის; სამარე და მინაში დამარხვაც კი არ მაღირსეს, თევზების შესაჭმელად გამწირეს, არავის ეცოდინება ჩემი საფლავი; შენს მოწყალეობას მინდობილი, გთხოვ ამ უკანასკნელ ჟამს, დამიფარე ჰაერის მცველთა ხელთაგან, საშინელ სატანჯველთაგან, რომელიც ყოველ ჩემნაირ ცოდვილსა და დამნაშავეს მოეღის.“

ამას და ამაზე უმრავლესს ლოცულობდა მუდართით და ცხარე ცრემლების ღვრით. მაშინ გახადეს სამოსელი, წაართვეს ხატი, ის კი შეევედრა, დაებრუნებინათ ყოვლადწმიდის ხატი, რათა თან ჰქონოდა. შეისმინეს მენავებმა, ხატი დაუბრუნეს და ყელზე ჩამოჰკიდეს. ხოლო როცა აპირებდნენ მის გადაგდებას, ერთმა მენავემ მოიღო მოწყალეობა, ღვთის ნებითა და დედაღვთისას ვედრებით, პატარა ფიცარი მისცა

ხელში და ასე ჩააგდეს ზღვაში. დავითი მოეჭიდა ფიცარს. დაუბერა ძლიერმა ქარმა და იგი მყის მიეფარა მენავეთა თვალს. მიმოჰქონდა ფიცარი ყრმითურთ ზღვის ლელვას, როგორც ნოეს კიდობანი და ბოლოს ხმელეთზე გამოორიყა. [202] ერთმა მგზავრმა ვაჭარმა თვალი მოჰკრა და მაშველი მიუვლინა, რადგან დავითი ჯერ კიდევ ერთი უტევანით იყო ხმელეთს მოშორებული. გამოიყვანა ვაჭარმა. მყის მიანოდეს შესამოსელი და საზრდელი, დაამშვიდეს. სული მოითქვა შიმშილისა და ნყურვილისგან ღონემიხდილმა დავითმა, თვალს ძლივს რომ ახელდა. გამოჰკითხა ვაჭარმა მისი ზღვაში გადაგდების მიზეზი. მან კი ყოველი ზემოხსენებული აუწყა. გაიხარა ამის მომსმენმა ვაჭარმა, წაიყვანა სახლში და ექვსი თვე, როგორც საყვარელ შვილს, თავს ევლებოდა. შეიტყო ყველამ, თუ როგორ იპოვა ვინმე ვაჭარმა ზღვაში გადაგდებული ქართველი უფლისწული. ეს ამბავი სულტანმა ყიასდინმაც გაიგო. გულისწყრომით აღვსილმა წარავლინა მხედრები, მოაყვანინა დავითი და ვაჭარი. შეაპყრობინა ის მენავეები და სიკვდილს უქადდა, მაგრამ როცა შეიტყო ვაჭრისგან, რომ მან დავითი ზღვიდან გამოიყვანა, მენავეები გაათავისუფლა.

დავითზე ბრაზი ყიასდინს არ განელებია, პირიქით, როგორც ჰეროდემ გააკეთა, მანაც კაცისკვლას ისევ კაცისკვლა დაამატა და უბოროტესი სატანჯველი განუჩინა. იყო ერთი უწყლო ღრმა ჯურღმული, სავსე გამძვინვარებული და ცოფიანი გველებით; თავზე ლოდი ეხურა და შიგნით ბნელოდა; ასეთი მწარე სიკვდილით განიზრახა ყიასდინმა დავითის მოკვლა: ბრძანა, დავითი ორმოში ჩაეგდოთ. როცა წაიყვანეს დავითი, ის ხატი თან ჰქონდა; მოხადეს ორმოს [203] ქვა, ჩავიდა შიგ დავითი და გველებისგან ისევე იქნა დაცული, როგორც დანიელი ლომის ხახისაგან. სრულებით არაფერი ავნეს ამ ყოვლად გესლიანებმა. ორმოს ისევ დაახურეს ქვა. დავითს თან წაყვანილი ჰყავდა ვინმე სოსანი, მამის, ლაშასგან, მისთვის მიცემული. როცა დავითი წაიყვანეს ჯურღმულში ჩასაგდებად, იგი უკან გაჰყვა და ჯურღმული ნახა. როცა სულტნის წარგზავნილებმა დატოვეს იქაურობა, სოსანმა ქვის ქვეშ მიწა გამოთხარა და ჩაუშვა პური, რომელიც ემათხოვრა. ასე არჩინდა იგი დავითს ხუთი წელი. ორი გუდა ჰქონდა სოსანს, ერთი ნყლისთვის, მეორე – პურისთვის. ორივეს თოკს აბამდა და ასე აწოდებდა დავითს. როცა დავითი დაწვებოდა, ზოგი გველი გვერდით მიუწვებოდა, ზოგი ყელზე შემოეხვეოდა, ზოგი ფეხზე, ზოგი უბეში შეუსრიალდებოდა.

ერთხელ, ძილში გვერდზე გადაბრუნდა და ერთ გველს მხარი დააჭირა, მან კი სასტიკად უკბინა. სხვა გველებმა დაიჭირეს დავითის მკბენელი გველი, ყრმას ენით აულოკეს წყლული და მყის განკურნეს, ის გველი კი შეჭამეს. ასე სასწაულებრივად განაშორა ღმერთმა დავითი ყოველგვარ ხიფათს, რომელიც თავს დაატყდა.

რუსუდანმა განიზრახა თვითონ გაემეფებინა თავისი ძე, ყურად არ ილო ესაია წინასწარმეტყველის სიტყვები: ასურასტანის დიდი მთავრის ზრახვებისა და მისი ქედმაღლური მზერის შემხედვარემ ასე ბრძანა უფალმა: [204] „ძალითა ხელთა ჩემთათა და სიბრძნითა ჩემითა შევცვლი ხალხების საზღვრებს, წამოვიღებ მათ სიმდიდრეს, გავანადგურებ მკვიდრ ქალაქებს, დავიპყრობ მთელ ქვეყანას ხელითა ჩემითა, როგორც ბარტყებს, და დავეუფლები ქვეყანას, როგორც მიტოვებულ კვერცხებს. და არავინ გამოჩნდება, ვინც გადამირჩება ან წინააღმდეგობას გამიწევს. განა შეიქნება თავს ცული და იტყვის, რომ მჩეხავის გარეშე ჩეხდა? ან იამაყებს ხერხი მხერხავის გარეშე? ასევე, ვინ აღმართოს კვერთხი, გინდა ხე? არ მოხდება ასე, არამედ მოავლენს უფალი საბაოთი შენს პატივზე უპატიოებას და შენს დიდებას შთანთქავს ცეცხლი” (ესაია, 10,12-16). ასე დაემართა დიდებულ მეფე რუსუდანს.

მრცხვენია, მაგრამ დუმილიც არ ძალმიძს, რადგან მან შეურაცხყო თავი თვისი იმ ბოროტებით, რომელიც თავის ძმისწულს დაატეხა თავს. განაქარვა მისი ზრახვები ზეციურმა განგებამ, როგორც აქიტოფელისი დავით წინასწარმეტყველის მიმართ. რუსუდანი ვერ მიხვდა იმას, რომ „ამარცხებს ადამიანთა ზრახვებს ღვთის განზრახვა“, როგორც ეს მოხდა ფარაონისა და მოსეს შემთხვევაში: როგორც დააღწია [205] პირველად თავი მისგან გაქცეულმა მოსემ, ჟამთააღმწერელ იოსიპოსის მონათხრობისამებრ, ასევე განერიდა დავითი სულტანს, ვერ შეასრულა რა მან (სულტანმა) თავისი განზრახვა. და სხვასაც გავიხსენებ, რაც მეფე ასტუვავის განზრახვას მოჰყვა: არ იყო ფუჭი მისი ასულის, მანდანის, წარვლენა სპარსთათვის, დაუბრუნეს რა მას ამის შედეგად მისი ძე კვიროსი, რომელიც ასტუვავის შემდგომ მეფე გახდა; ასევე, არ იყო ამაო მისნობა აპოლონის დედოფალ კარისოსზე; ძლეული კარისოსი შეპყრობილ იქნა კვიროსის მიერ. და ამაზე მეტად არ განზილდა მისნობა ასიელთა მეფე პრიამოსსა და სრულიად აღმოსავლეთის მთავარ ალექსანდრე პარიდოსზე, რომელიც ოცდათორმეტი წლით ადრე იქნა წარმოთქმული (ამ მონაკვეთში: „ასევე, არ იყო ამაო მისნო-

ბა...იქნა წარმოთქმული” ტექსტი დამახინჯებულია და სწორი აზრის გამოტანა ჭირს. ნ. მ. შდრ.: ს. ყაუხჩიშვილი, ქართლის ცხოვრება, II, გვ. 205, შენიშვნა №1): მან, მომტაცებელმა აგამემნონის ძმის, მენელაოსის ცოლის, ელენესი, ოცდარვა წლის დაუცხრომელი ბრძოლის შემდეგ დაამარცხა ტროელები და სრულად მოსპო მათი მოდგმა.

განა ეს ყველაფერი შენი განზრახვით არ მოხდა, ჰოი ბრძენო, კეთილთა და ღირსეულთა ფესვთა რტოვ, დედოფალთ დედოფალო, მეფეო რუსუდან, მაგრამ რა მოიგე ამით? ხუთი წელი დაჰყო დავითმა ულხინო ჭირში, ღრმა ჯურღმულში, გველებთან. ზემოხსენებული ზრახვები ჩაშალა ყოვლისმპყრობელი ღვთის ზეციურმა განგებამ. ასევე მოხდა ახლაც.

ხოლო ჩვენ პირველ სიტყვას დავუბრუნდეთ.

დაბრუნდა მეფე რუსუდანი ტფილისში და თავისი ძე დავითი ნოინთა წინაშე წარადგინა.

[206] ხოლო მათ ინებეს მისი წარვლენა დიდ ყაენ ბათოსთან და ყარაყურუმში, მანგუ ყაენთან. და რა შეიტყო რუსუდანმა თავისი ძის წარვლინება უცხო ერში, უცნობი გზით, ტკივილითა და მწუხარებით აღივსო. განუწყვეტელ ცრემლთა ღვრაში იყო, იგონებდა, რა უყო თავის ძმისწულს, დავითს, როგორ გააძევა იგი. ასევე, გაძევებული, წარავლინეს თათრებმა მისი ძე ბათოსთან.

რაკი აღარ იყო სხვა გზა, წავიდა დავით წარინი. რუსუდანმა თან გააყოლა რამდენიმე თანშეზრდილი – ქართლის ერისთავის, სურამელ გრიგოლის შვილი ბეგა, გურკლელი მახუჯაგის ძე, ბეშქენ ამირეჯიბი და თან გაატანა ორი ძვირფასი თვალი. წავიდნენ ისინი ავაგისა და ხლათის სულტნის კვალზე, რადგან ჯერ ისინი წარგზავნეს თათრებმა. მიაღწიეს ზემოხსენებულ ბათოსთან, რომელმაც კეთილად ისტუმრა დავით წარინი და ორი წელი თავისთან ჰყავდა, შემდეგ კი წარავლინა ჩინმაჩინსა და ყარაყურუმში მანგუ ყაენთან. ყაენმა კეთილგანწყობით მიიღო და ავაგს შეახვედრა, რომელიც მასზე ადრე მისულიყო იქ.

ოთხ ნოინს მოეხსენა აღმუთელთა ბოროტების შესახებ, რომელიც შეამთხვიეს მომავალთ. ისინი დაირაზმნენ აღმუთელთა წინააღმდეგ და თანადგომა გაუწიეს ქართველებს, გამოუგზავნეს მოციქული რუსუდანს, რათა მიეცა საკმარისი ლაშქარი [207] აღმუთის დასალაშქრად. მეფე რუსუდანი საყვარელი შვილის გამო უზომოდ სწუხდა; დასწუხებული, ტფილისში გარდაიცვალა. მთავრებმა რუსუდანი დიდი

პატივითა და გოდებით გაასვენეს, რადგან არავინ იყო დარჩენილი მეფის ნათესავთაგან: დავით ნარინი ყარაყურუმში იყო გაგზავნილი, ხოლო მეორე დავითი გარდაცვლილი ეგონათ. რუსუდანი დამარხეს მისი წინაპრების სამარხში, გელათის მონასტერში.

დარჩნენ ქართველნი უნუგეშოდ და უმეფოდ. ერთი დავითი საბერძნეთში იყო წარგზავნილი და არ იცოდნენ, რა შეეშებოდა. თითოეული ერისმთავარი თითო ნოინს დაემორჩილა და თავის სამთავროს განაგებდა. დაადგინეს თათრებმა მრავალი მთავარი, რომელთაც დუმნის თავი უწოდეს. შეარჩიეს მთავრები: ეგარსლან ბაკურციხელი, კაცი ღრმად მოუბარი, მაგრამ არანაირი შეძლების მქონე. მას დაუმორჩილეს ჯარი ჰერეთის, კახეთის, კამბეჩიანის, ტფილისიდან შამახიას მთამდე; [208] შანშეს დაუმორჩილეს თავისი და ავაგის მამული; ვარამ გაგელს – მთელი სომხითი, გრიგოლ სურამელს – ქართლი, თორელ გამრეკელს, ეგარსლანის მსგავსს სიმამაცით, დაუმორჩილეს ჯავახეთი, სამცხე და ზემო მიწები ვიდრე კარნუ ქალაქამდე, ცოტნე დადიანსა და რაჭის ერისთავს – მთელი იმერი სამეფო.

ასე გადაწყვიტეს თათრებმა; დაინაწილეს საქართველო და ნავიდნენ აღმუთს საბრძოლველად. ქართველები თან წაიყვანეს; გაყვეს ორ ნაწილად: მათი ნახევარი ერთ წელს იყო აღმუთში, მეორე ნახევარი – მეორე წელს. შვიდი წელი გაგრძელდა აღმუთის ომი. მათ მუღიდებს უწოდებენ და არიან მიპარვით კაცისმკვლელნი. ებრძოდნენ მათ თათრები: ჩარმალანი, ჩალატა, იოსური და ბიჩო განუწყვეტილად, ზამთარზაფხულს. ქართველები, გაყოფილნი, მათთვის განკუთვნილ წელიწადს იყვნენ აღმუთში, შემდეგ სხვები მიდიოდნენ და ისინიც ერთი წელი იყვნენ იქ, შემდეგ კიდევ სხვები და ასე გრძელდებოდა შვიდი წლის მანძილზე მათი ყოფნა და ბრძოლა აღმუთში.

ერთ დღეს წარმოგზავნეს აღმუთელებმა დახელოვნებული მულიდი. ის მივიდა ღამით, გაუსხლტა ჩალატა ნოინის მცველებს, შევიდა მის კარავში, მიძინარეს გულში ჩასცა დანა და მოკლა ისე, რომ ვერავინ ვერაფერი გაიგო. როცა გათენდა, კარვის მცველებმა ნახეს მოკლული ნოინი და დაიწყეს ტირილი, გოდება და ვაება. ეს რომ გაიგეს ჩალატა ნოინის მეომრებმა, გამოიქცნენ, ნახეს გარდაცვლილი ნოინი და არ იცოდნენ, ვისგან იყო მოკლული.

[209] მაშინ თქვეს: „რაკი ქართველებს დიდი გასაჭირი ადგათ ჩვენგან, მათ მიერ მოიკლა ნოინი შურისძიების გამო.“ ყველას ასე სჯერო-

და, გარდა ჩარმალან ნოინისა, რომლმაც თქვა: „დანყნარდით, კაცნო, არ არის ქართველთა მოდგმა კაცისმკვლელი, არც სარწმუნოება მოუწოდებთ ასეთი საქმისკენ.“ ხოლო ისინი, აღმფოთებულნი და გამძვინვარებულნი პატრონის მოკვლით, გაემართნენ ქართველთა ბანაკისკენ, რომელიც ჩალატა ნოინის ახლოს იყო. შეკრთნენ ქართველნი, უძღურებამ მოიცვა, არ იცოდნენ, რა ექნათ. ზოგმა მათთან შებმა გადაწყვიტა, სხვები აჩერებდნენ, რადგან მცირერიცხოვანნი იყვნენ. მაშინ ქართლის ერისთავმა, გრიგოლ სურამელმა, თქვა: „არ არის ბრძოლის ჟამი, რადგან ცოტანი ვართ. თუ ვიბრძოლებთ, დიდიან-პატარიანად ამოგვწყვეტენ; თუ არ შევებრძოლებით, ვგონებ, მხოლოდ ჩვენ, წარჩინებულებს, დაგვხოცავენ. უმჯობესად მიმაჩნია, ჩვენ დავიხოცოთ და არა მთელი ლაშქარი. ვევედროთ მფარველობა ღმერთს, რამეთუ არავინ არის ჩვენი შემწე, თვინიერ იესო ქრისტესი, უფლის ძისა, და მისი მშობლის, ყოვლადწმიდა მარადის ქალწულ მარიამისა, რომელიც მუდამ მფარველობს მის შვილს მინდობილთ და უფრო კი, ჩვენ, ქრისტიანებს. ან ყველამ მუხლი სამ-სამჯერ მოვიდრიკოთ, ვევედროთ ყოვლადწმიდა ღვთისმშობელს და რომელთაც ვიცით, ვთქვათ მისი შესხმა: „მონყალებისა კარი განგვიღე, კურთხეულო ღვთისმშობელო...“

როცა აღასრულეს ეს სავედრებელი ლოცვა და ქება ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის, მოცვივდნენ ბარბაროსები და უმონყალოდ ავლებდნენ მუსრს ქართველთ. [210] მაშინ ერთი კაცი გამოვიდა ლერწმებიდან ქარქაშიდან ამონვდილი სისხლიანი ლახვრით; ეს ლახვარი ზე აღმართა და შეჰყვირა: „მან ქუშტემ ჩალატა“, რაც სპარსულ ენაზე ნიშნავს: „მე მოვკალი ჩალატა“. ამის გამგონე თათრები მისკენ გაცვივდნენ. ის ლერწმებში შევარდა. თათრებმა ლერწამს ცეცხლი წაუკიდეს. მკვლელი იძულებული გახდა, გამოსულიყო. იგი ჩარმალანს, იოსურსა და ბიჩოს მიჰგვარეს, მათ კი ჰკითხეს, თუ როგორ მოკლა ჩალატა ნოინი. კაცმა აუწყა : „მე ვარ მულიდი, მულიდთა შორის გამორჩეული; მულიდმა თავადებმა მომცეს დიდალი ოქრო, რათა თქვენ ოთხთაგან რომელიმე მომეკალით. წამოვედი, მოვკალი ნოინი და დავიმაღე.“ ხოლო მათ ჰკითხეს: „რა იყო მიზეზი, რომ გამოჩნდი და ხმამალალი ყვირილით გვაუწყე დიდი ნოინის მოკვლა? შენ ხომ დამალული იყავი.“ მულიდმა კი მიუგო: „ხშირ ლერწმებში შევედი, დავიმაღე; უცბად მოვიდა ულამაზესი ქალი და მითხრა: „ეს რა ჩაიდინე, კაცო ? შენ მოკალი

კაცი და დაიმაღლე. ახლა მრავალი დაიხოცება შენ გამო, უდანაშაულო-ნი ამონყდებიან.“ და მე ვკითხე: „რა ვქნა, დედოფალო?“ მან მითხრა: „აღდეგ და შემომიდეგ მე. მიდი და თქვი, რომ შენ მოკალი ის კაცი და ამით ურიცხვი სული სიკვდილს გადაარჩინე“. მე სწრაფად გამოვეყვი და მომიყვანა თქვენთან. როცა დავიყვირე და მიხილეთ, ის დედაკაცი გაუჩინარდა და არც ვიცი, საიდან მოვიდა. მე კი ასე აღმოვჩნდი [211] თქვენთან.“ ამის გამგონე თათრები გაოცდნენ და ის კაცი, მულიდი, ხმლით ორად გაკვეთეს. ასე იხსნა თავისი ერი ყოვლადწმიდა ღვთისმშობელმა და განარიდა უსამართლო სიკვდილს. ასე დაიცვა მან ოდესღაც დიდი ქალაქი კონსტანტინოპოლი მძვინვარე ბარბაროსთა შემოსევისგან. ეს იყო სარვაროსის სარდლობისა და ხალანის მთავრობის ჟამს: დაინთქნენ ზღვაში დედოფალს მინდობილ ქალაქთან მბრძოლნი. აღუღდა ზღვა, დადნა ხომალდის ფისი და მტერი დაინთქა ზღვაში ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის შენევნით. ხომალდში მყოფთ კი ნვიმა აწვიმა, როგორც ოდესღაც სოდომელთ.

არა მგონია, ამაზე ნაკლები სასწაული იყოს ამჟამინდელი სწრაფი და ანაზღეული ხსნა ქრისტიანებისა ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის მიერ. განა ვინმეს შეუძლია საკადრისი დიდებისმეტყველებით სამადლობელის აღვლენა იმ საოცრების გამო, რომლითაც დაიცვა აურაცხელი სული ქართველთა ყოვლადუბინომ, ღვთის სიტყვის მშობელმა, ღვთაებისა და კაცების გუამოვნებით შემაერთებელმა სრულად ღმერთად და სრულად კაცად, ორი შეურევნელი ბუნებითა და ორი ნებით.

უბინო ქალწულის მიერ დაცული ქართველები დიდგასაჭირში იყვნენ ჩაცვენილები თათართაგან, რადგან ამ უკანასკნელთ ხანგრძლივი და უწყვეტი ბრძოლა ჰქონდათ აღმუთებლთან და ქართველებიც თან ჰყავდათ, ორად გაყოფილნი; თითოეული [212] ერისმთავარი თითონონთან იყო. მაშინ ზემოხსენებული ეგარსლანი, კაცი საკვირველი და მეომრული ცოდნით განთქმული, ისე აღზევდა, რომ კინალამ მეფის სახელის დარქმევაც კი გაბედა. მთელი ქართველობა, მათ შორის თვით დიდი და ღირსეული შანშე მანდატურთუხუცესი, გაგელი ვარამ და სხვა ყოველნი მთავარნი, მის ბრძანებას ისე ემორჩილებოდნენ, როგორც მეფისას.

იმ დროს სხვა ბოროტებაც აღმოცენდა. სირიაში მყოფმა თურქებმა გაიგეს ქართველთა უმეფოდ დარჩენა, მათი ლაშქრის საქართველოდან აღმუთში წასვლა, შფოთიანი მდგომარეობა. შეკრიბეს დიდძალი

ჯარი, სამოცი ათასი კაცი. მთავრად და პატრონად ჰყავდათ სახელოვანი ყარახანი. გამოემართნენ საქართველოს ასაოხრებლად. მოაღწიეს ვალაშკერტში, რომელიც მაშინ დაპყრობილი ჰქონდა შანშეს. დაიწყეს აოხრება საქართველოსი და ვალაშკერტის, არაქსს იქით ქვეყნების, ვიდრე სურმანამდე, რომლებიც მაშინ დაეპყრო შანშე მანდატურთუხუცესს. როცა შანშემ იხილა ქვეყნის აოხრება, მოუწოდა თავის და ავაგ ათაბაგის ჯარს; შეიკრიბა ოცდაათი ათასი მხედარი, გაიარეს არაქსი და მივიდნენ ვალაშკერტში, სადაც დაებანაკა ყარახანს. როგორც კი მივიდნენ, განაწყვეს ჯარი და შეუტიეს ერთურთს.

პირველი შანშე გაიჭრა. მან ჰოროლით განგმირა ერთი სახელოვანი თურქი. დაიწყო ძლიერი ომი. აურაცხელი კაცი ამოწყდა თურქთა სპათაგან, შანშეს მეომრები კი, ჯვრის ძალას მინდობილნი, დაცულნი იყვნენ. როცა გაცხარდა ომი, ყარახანი დამარცხდა. ის ჯართან ერთად გაიქცა. ქართველები გაეკიდნენ, ხლათამდე სდიეს, ამოჟლიტეს და [213] ტყვედ ჩაიგდეს აურაცხელი თურქი, აივსნენ ცხენით, ჯორითა და აქლემით, კარვებითა და ურიცხვი ალაფით. ასე სახელოვანი და გამარჯვებული მივიდა შანშე ანისში, სადაც მისი სახლი და ტახტი იყო.

ყველამ შეიტყო საქართველოს უმეფოდ დარჩენა. აღიძრა უამრავი მტერი ქვეყნის ასაოხრებლად – საბერძნეთში მყოფი თურქმანები, ეზინკის სულტანი, სხვა ქალაქში მყოფი ამირები. ურიცხვი სიმრავლე შეიკრიბა. გამოემართნენ საქართველოსკენ. როცა ეს გაიგეს ტაოელებმა, შავშ-კლარჯელებმა, კოლა-არტან-კარნიფორელებმა, დაფროთხნენ, გაგზავნეს კაცი სამცხეს, ყვარყვარე ციხისჯვარელ-ჯაყელთან, რათა დახმარებოდა მათ. ყვარყვარემ მოუწოდა მესხ ერისთავებს, სასახლის რაზმებს, შეკრიბა ათი ათასი მხედარი და გამოემართა. მტერი ბანას გარემოსდგომოდა – ოლთისი, ბულათაყური უკვე აღებული ჰქონდათ და ტაოს აოხრებდნენ.

უნინამძღვრა ყვარყვარემ მესხთა სპას და მოვიდნენ კალმახისთავში. როცა გაიგეს თურქმანებმა მესხების მოსვლა, აღიჭურვნენ ისინიც ალთუხანისა და ონხანის მეთაურობით. მესხები ჩავიდნენ ვანის ვაკედ ნოდებულ მინდორში.

შეებნენ ერთურთს. დაიწყო ძლიერი და სასტიკი ომი. ბერძნები და თურქები, თავიანთი მრავალრიცხოვნებით გულმოცემულნი, უკან არ დახეულან; ასევე მესხებიც, საკუთარ სიმამაცეს მინდობილნი, მედგრად იბრძოდნენ. ერთმა [214] რომელიღაც აზნაურმა ერთ თურქს

მუზარადიანი თავი ხმლით გაუპო და მოკლა, მეორემ ონხანის მამაც მებრძოლს აძგერა ხმალი, ზურგი გაუპო და უსულოდ დასცა. ასე გაგრძელდა ომი. ორივე მხრიდან დიდძალი მეომარი დაიღუპა. დამარცხდნენ ბერძნები და თურქები და გაიქცნენ. ქართველებმა ხელთ იგდეს უამრავი ტყვე და ნატყუენავი, ცხენი და ჯორი, აქლემი, კარვები და ყველანაირი სიმდიდრე, რაც კი მტერს გააჩნდა. ასე სავსენი მივიდნენ სამცხეში, ისეთნაირად გამარჯვებულნი, რომ მათ ლაშქარში სახელოვანი არავინ მომკვდარა. იმ ომს უწოდეს ბანის ჯარი. მხედრობა ძლივს ეტეოდა ბანასა და ვანის ვაკეზე მრავალრიცხოვანების გამო.

ამ ამბის შემდეგ იმავე ერისთავმა, სამცხის სპასალარმა ყვარყვარემ თავისი შვილიშვილები – ივანე, რომელსაც ეწოდა პაპა, და უმცროსი სარგისი – წარავლინა საომრად. ორივე ძმა იყო ძლიერი, სიმბნევით ყველაზე აღმატებული, ომში უშიშარი და გამბედავი. იბრძოლეს ოლთისში, აიღეს ოლთისისა და ბულათაყურის ციხეები და დიდ ომში ძღვევამოსილად გამარჯვებულნი და ნაომარნი დაბრუნდნენ მშვიდობით. სიმაართლით არის იმდროინდელი ამბები მოთხრობილი.

[215] ამ შფოთის ჟამს კობტას თავს შეიკრიბნენ საქართველოს მთავრები, იმერ-ამერნი: ეგარსლანი, ცოტნე დადიანი, ვარამ გაგელი, ყვარყვარე, კუპარი შოთა, თორღა, ჰერ-კახნი, ქართლელი, თორელ-გამრეკელი, სარგის თმოგველი, მესხები, ტაოელები. ყველა ამბობდა: „რა მოვიმოქმედოთ? აღარ გვყავს ქართველებს მეფე, რომ გვინინამძღვროს და ვებრძოლოთ თათრებს; ერთმანეთისგან განდგომილნი ვართ. ვერ ვუწევთ წინააღმდეგობას თათრებს და ისინი ბოროტად გვანუხებენ. ყოველ წელს აღმუთს მივდივართ ჭირთან და განსაცდელთან შესახვედრად. აღარ გვაქვს სხვა გამოსავალი: თუმცა უმეფოდ ვართ, შევიკრიბოთ და შევებრძოლოთ თათართ.“ გადანყდა ომი, დათქვეს ჟამი ქართლში შეკრებისა და გაიყარნენ. უფრო შორს მცხოვრები აფხაზნი – დადიანი ცოტნე და ბედიანი, კაცი კეთილი, სულიერი და ხორციელი ღირსებებით შემკული, და რაჭის ერისთავი, ნავიდნენ ბრძოლისათვის მოსამზადებლად.

თათრებმა გაიგეს ქართველთა თავყრილობის შესახებ; წამოვიდნენ ბიჩუ და ანგურგი, მივიდნენ კობტასთავთან და დახვდათ ქართველი წარჩინებულები, ერთად შეყრილნი. ლაშქარი უკვე წასულიყო. ქართველებმა წინააღმდეგობა ვერ გაუწიეს. შეიპყრეს ისინი თათრებმა და წაიყვანეს ანისის ქვეყანაში, რომელსაც შირაკავანი ეწოდება.

როცა მივიდნენ ჩარმაღან ნოინთან, მან ჰკითხა: „რისთვის შეიკრიბეთ, თუ არა განდგომილებისთვის?“ ხოლო მათ უპასუხეს: „ჩვენ ამბობება კი არ განგვიზრახავს, არამედ მოვსულვართ თქვენი საქმის მოსანეს-რიგებლად, ხარკის ასაკრეფად“. [216] ნოინმა არ დაიჯერა. ბრძანა, გაეშიშვლებინათ ყველა, ხელები შეეკრათ, სიციხეში მოედანზე დაეყარათ და ყოველდღე გამოეკითხათ შეკრების მიზეზი; თუ სიმართლეს არ აღიარებდნენ, სიკვდილით დაესაჯათ ზემოხსენებული მთავრები. ისინი კი ირწმუნებოდნენ, ხარკის ასაკრეფად შევიკრიბეთო. ასე ამყოფეს მრავალი დღე, რადგან ვერ დაარწმუნეს ნოინი.

დადგა დათქმული დღე. მივიდა ცოტნე დადიანი ლაშქრით იმ ადგილას, რომელსაც ჰქვია რკინის-ჯვარი, სამცხესა და ლაღოს შორის. აუწყეს მას ქართველი მთავრების წასხმა ანისში, დატყვევებულთა ბოროტი გვემა. ცოტნე უზომოდ შეწუხდა. თავის სიკვდილად და სირცხვილად შერაცხა ეს საქმე. გაუშვა თავისი ლაშქარი და ორი კაცის თანხლებით წავიდა ანისში თავის გასაწირად და უფლის მცნების აღსასრულებლად, რომელიც ამბობს: „უფროს ამისსა არა არს, რათა დადვას კაცმან სული თვისი მოყურისა თვისისათჳს“, რაც აღასრულა კიდევ ამ ღირსეულმა კაცმა. საოცარი იყო მისი სათნოება, საქმე საკვირველი და ქების ღირსი. ცოტნემ განვლო სამცხე და ჯავახეთი და მივიდა ანისში. ქალაქში ნოინები იყვნენ, ქართველი წარჩინებულნი კი მოედანზე, დაკრულნი მხრით, შიშველნი ეყარნენ. როცა ცოტნემ იხილა პატივყარილი და სასიკვდილოდ განწირული თანამემამულენი, გადმოხტა ცხენიდან, სამოსელი შემოიძარცვა, გაშიშვლდა, ხელები შეიკრა და თვითონაც წარჩინებულებს მიუჯდა. გაოცებულმა თათრებმა ყოველივე ნოინთ მიუთხრეს, უამბეს, რომ ცოტნე დადიანი მოვიდა ორი კაცით, სამოსელი [217] გაიხადა და გაკოჭილი დაჯდა ქართველებთან. ნოინები კარგად იცნობდნენ ცოტნეს, გაოცდნენ, მივიდნენ მასთან და ჰკითხეს იქ მისვლის მიზეზი. მან კი უთხრა: „ჩვენ ყველანი შევიკრიბეთ, რათა აგვეკრიფა ხარაჯა და ბრძანება თქვენი შეგვესრულებინა – ეს იყო შეკრების მიზეზი. თქვენ კი ბოროტმოქმედებად შეგვრაცხეთ. მოვედი თქვენთან, რომ გამოიძიოთ, და თუკი სასიკვდილო საქმე ჩაუდენიათ, მეც მათთან ერთად მოვკვდები, რადგან უჩემოდ არაფერი გაუკეთებიათ. ხოლო თუკი გადარჩებიან, მეც მათთან ერთად ვიქნები.“ მოისმინეს ეს ნოინებმა, გაუკვირდათ მისი სათნოება და თქვეს: „ქართველთა ერი სიკეთით არის სავსე. არ ცრუო-

ბენ. აგერ კაცი აფხაზეთიდან მოვიდა, რათა სული მოყვარეთათვის დადოს. განირა თავი სასიკვდილოდ, არ არის სიცრუე მათში. ქართველებს უდანაშაულოდ ვთვლით. ამიტომ გავუშვებთ ყველას“. უთხრეს ცოტნეს: „ჩვენ მემამბოხენი გვეგონეთ. რაკი ასეთი სიკეთე ჩაიდინე, ქართველებს შენ გაჩუქებთ და შენ გენდობით.“ წარჩინებულები გაანთავისუფლეს.

მერე ისევ დაიყვინნ ქართველი მთავრები, დაუპირისპირდნენ ერთმანეთს. მაშინ შეიკრიბნენ დიდებულები, რადგან განზრახული იყო მათ მთავრად ეგარსლანის დადგინება, რომელიც მათზე აღმატებული გვარისა არ იყო. ამიტომაც შეიკრიბნენ აღმოსავლეთ საქართველოს მთავრები: შანშე, ვარამ გაგელი, ყვარყვარე ჯაყელი, სარგის თმოგველი, კაცი მეცნიერი, ფილოსოფოსი და რიტორი, სურამელი გრიგოლ, ქართლის ერისთავი, გამრეკელი, თორელი, ორბელინი და მრავალნი ერისმთავარნი. [218] დაიწყეს დავითის, ლაშას ძის ძებნა. ეუნყათ ვიღაც ვაჭრებისგან, რომ ჯერაც ცოცხალი იყო, ოღონდ დაპატიმრებული და ღრმა ჯურღმულში, გველებთან ჩაგდებული. როცა ეს გაიგეს, წავიდნენ ჩორმაღანთან, იოსურთან, ბიჩოსთან და ანგურაგთან, რადგან ჯერ ყაენი არ აერჩიათ და ეს ზემოხსენებული ნოინები განაგებდნენ ქვეყანას. მოახსენეს: „ჩვენ წარვგზავნეთ დავით ნარინი ყაენთან, არ ვიცით, რა შეემთხვა. მისი დედა, რუსუდანი, გარდაიცვალა. მეფე არ გვყავს, ერთმანეთს არ ვემორჩილებით და არც ეგების დავემორჩილოთ ვინმეს, თუკი მეფური წარმომავლობის არ იქნება. ვიცით, რომ ჩვენს მეფეს, ლაშას ჰყავდა ძე, დავითი, რომელიც დაუტოვა თავის დას, რუსუდანს, რათა გაემეფებინა. რუსუდან მეფემ კი ის წარავლინა საბერძნეთს, სულტანთან, რათა დაეღუპა. ახლა შევიტყვეთ, რომ ცოცხალია, გველებთან ჰყოლიათ ჩაგდებული. ან გვედრებით, წარავლინოთ ვინმე სახელოვანი კაცი, ჩამოგვიყვანოთ დავითი და გაამეფოთ.“

ამის გამგონე ნოინები განცვიფრდნენ რუსუდან მეფის საქციელით, მსწრაფლ წარავლინეს ანგურაგ მოციქული, ვარამ გაგელი და სარგის თმოგველი. ისინი რამდენიმე დღეში ჩავიდნენ საბერძნეთის სულტანთან და აუნყეს: „მოვსულვართ დავითის საქებრად, რომ წავიყვანოთ იგი.“ სულტანს კი ცოცხალი აღარ ეგონა და თქვა: „ყრმა დავითი ქართველთა მეფემ [219] გამომიგზავნა, რათა გადამეკარგა; მეც გავაძვევი იგი ოდესლაც. მას მერე შვიდი წელი გავიდა და არ ვიცი, მკვდარია თუ

ცოცხალი“. მოციქულებმა უთხრეს: „ჩვენ ვიცით, რომ ცოცხალია და გველებთანაა ჯურღმულში.“ თურმე მოციქულთა ჩამოსვლა გაეგო სოსნას, მისულიყო ვარამთან და სარგისთან და ეუნყებინა მათთვის, რომ დავითი ცოცხალი იყო.

ეს რომ გაიგო სულტანმა, წარავლინა კაცი და მოიყვანეს დავითი. მას ძლივს ედგა სული და მხილველს მკვდარი ან გაყინული ეგონებოდა. უფლისწული უჩვეულო სანახავი იყო: სახის კანი გაყვითლებოდა, თმები ბარძაყამდე ჩამოზრდოდა, ფრჩხილები საოცრად დაგრძელებოდა. ყველას გაუკვირდა, დავითი რომ ცოცხალი ნახეს. ვარამ გაგელი და სარგისი ტიროდნენ. სულტანი მოლბა. დავითი განაბანინა და დიდად დაასაჩუქრა: სამოსლით, რჩეული ცხენებით, ოქრო-ვერცხლით; ვეფ-დრა, შეენდო მისთვის, და ასე წარგზავნა საქართველოში. როდესაც მიაღწიეს საქართველომდე, დავითს გამოეგებნენ წარჩინებულები: შანშე, ძე მისი ზაქარია ამირსპასალარი, კაცი სიკეთით სავსე, ყვარყვარე ჯაყელი, სურამელი გრიგოლ, ქართლის ერისთავი, ორბელი, გამრეკელი, შოთა კუპარი და ყველა მთავარი, ეგარსლანის გარდა. ისინი გამოცხადდნენ ნოინებთან. მონღოლებმა დავითი სიხარულით მიიღეს, მაგრამ მეფობა ვერ დაუმტკიცეს; წარავლინეს დიდ ბათო ყაენთან. დავითს თან წაჰყვა შანშეს ძე ზაქარია, ვარამის ძე ალბულა და სარგის თმოგველი. ეახლნენ ისინი ბათო ყაენს.

[220] და როცა მივიდნენ, კარგად მიიღო ბათომ. შანშეს ძე ზაქარია და ვარამის ძე ალბულა თავისთან დატოვა, ხოლო მეფე დავითი მანგუ ყაენთან გაგზავნა. დავით მეფეს ყარაყურუმს თან გაჰყვნენ სარგის თმოგველი და რამდენიმე ქართველი. როცა მივიდნენ მანგუ ყაენთან, რომლისათვის ეცნობებინა ბათო ყაენს, რომ მას განეხილა და განებჭო, თუ ორთაგან რომელი დავითისთვის დაემტკიცებინა მეფობა, იქ დახვდათ მეფე დავით ნარინი, ავაგ ათაბაგი, სურამელი, გამრეკელი, ბეშქენ ამირეჯიბი. და იყვნენ ხატაეთს და ყარაყურუმს დიდხანს.

მაშინ საქართველოში მყოფმა მონღოლმა⁵⁶ ნოინებმა ინებეს ყიასდინ სულტნის მათ წინაშე მიყვანა. მოიხმეს ელჩები და სასწრაფოდ გაგზავნეს. მაშინ ველარ გაუნია წინააღმდეგობა ყიასდინმა და დიდი სიმდიდრით ეახლა ნოინებს. როცა იხილეს ნოინებმა სულტანი თავისი უზომო და გასაოცარი სიმდიდრით, ინებეს მისი გაგზავნა ბათო ყაენთან. ყველა ხელმწიფეს, რომელიც მათ ემორჩილებოდა, ბათოსთან აგზავნიდნენ, ბათო კი მანგუ ყაენის წინაშე წარავლენდა მათ. ასევე

წარავლინა ბათომ სულტანი ყიასდინიც მანგუ ყაენის წინაშე, სადაც ორივე დავითი იმყოფებოდა. იქ იყვნენ ხლათის სულტანი და ავაგ ათაბაგი. იქ დაჰყვეს მათ ხუთი წელი.

[221] იმ დროს კი ასეთი იყო ვითარება: მანგუ ყაენს ჰყავდა ორი ვაჟი – უფროსი, ყუბილ ყაენი და უმცროსი, ულო, რომელსაც ეჯინსაც უწოდებდნენ. მანგუ ყაენმა დანიშნა ყაენად თავისი უფროსი ვაჟი, ყუბილ ყაენი და უბრძანა მას სალაშქროდ წასვლა დასავლეთისკენ, ბაბილონში, რომელიც ბაღდადია და ეგვიპტეში. ხოლო ულოს უბრძანა წასვლა დიდ ინდოეთში და მისი დაპყრობა. მაგრამ ყუბილ ყაენს უძნელდებოდა დასავლეთისკენ წამოსვლა, ხოლო ულოს – ინდოეთის მხარეს. მაშინ შეევედრა ულო ძმას, რათა გაეცვალათ ლაშქრობა და ულო წასულიყო დასავლეთისკენ, ხოლო ყუბილ ყაენი ინდოეთისკენ. ეს რომ გაიგონა ყუბილ ყაენმა, სიხარულით დასთანხმდა ულოს და გაცვალეს ლაშქრობა. და მოახსენეს მამას, მანგუ ყაენს ლაშქრობის გაცვლის შესახებ და ულოს ბაბილონისა და ეგვიპტისკენ წასვლა. მან დართო ნება. მამამ უხმო თავის ვაჟს, ულოს და მისცა მას ლაშქარი სამოცი ათასი მხედრით, თავისი ოჯახებით და საქონლით, რომელნიც ულოს ნოინს და ბეგლარბეგს უწოდებდნენ. მხედართმთავრად მანგუ ყაენმა დანიშნა ელგა ნოინი, ჯალართა მოდემისა, კაცი პატიოსანი, კეთილი და სამართლიანი. ელგა ნოინს მისცა მან ათი ათასი მხედარი. და წავიდნენ ულო და მისი მხედართმთავარი ელგა ნოინი, გაიარეს თურანი და ჯეონი, მივიდნენ ხვარასნის მხარეს და იქიდან ალმუთს. და როცა მივიდნენ ალმუთში საბრძოლველად, მოკვდა მანგუ ყაენი და მამის ტახტზე დასვეს [222] ყუბილ ყაენი, რომელიც მამამისს ადრევე დაენიშნა ყაენად. და დარჩნენ ყარაყურუმში ზემოხსენებული ხელმწიფენი, რადგან მონღოლებს მათთვის არ ეცალათ.

ხოლო ულო სამოცი ათასი მხედრით მივიდა ადარბადაგანს. როცა ეს გაიგეს ნოინებმა – ჩორმაღანმა, იოსურმა, ბიჩუიმ და ანგურაგმა, გაემართნენ ულოს შესახვედრად და თან წაიყვანეს ქართველი დიდებულები და მათ შორის ყველაზე გამორჩეული ეგარსლანი, რომელსაც როგორც მეფეს ემორჩილებოდნენ ქართველი დიდებულები და შეეგებნენ ადარბადაგანში და შეიკრიბნენ ორნივე მონღოლი – ერთნი, თამბიდან მოხმობილი და მეორენი, ულო ყაენთან ერთად მოსულნი.

ქართველი დიდებულებიც ეახლნენ ულოს. იხილა რა ისინი, ტკბილად მიიღო და წაიყვანა ისინიც საბრძოლველად. და დანიშნა ზოგი

ულდაჩად, რაც ნიშნავს მეხმლეს, ვისაც არტყია ხმალი და კართან დგას; ზოგნი – სუქურჩად, ვისაც ყაენის საგრილობელი ქოლგა უჭირავს. ეს არის მრგვალი, დასაკეცი და გასაშლელი საგრილობელი, რომელიც დროშასავითაა დამაგრებული მაღალ ხის ტარზე. ამ საგრილობელს სუქური ეწოდებოდა. სუქურით დაჩრდილების უფლება მხოლოდ ყაენის ნათესავეებს ჰქონდათ; სხუანი – ყუბჩაჩად, რომელთაც დაჰქონდათ ტანსაცმელი და ფეხსაცმელი; სხუანი – ევდრაჩად, [223] რომელნიც არიან კარის მცველნი ანუ მეკარენი; სხუანი – ყორჩად, რომელნიც მშვილდ-ქარქაშს ატარებდნენ. ასეთი სამარცხვინო პატივი მიაგო ყაენმა საქართველოს დიდ მთავრებს და თითოეულს ასეთი თანამდებობა მიუჩინა.

წამოვიდა ულო და მოვიდა იმ ადგილს, რომელსაც ალატალი ეწოდებოდა. ყველა მისი მორჩილი მივიდა მასთან და დაჯდა იგი ხელმწიფის ტახტზე. ილოცეს მათი წესისამებრ და უწოდეს მას ყაენი. ადრე ოთხი თაიჩუთ⁵⁷ ნოინი განაგებდა მათ საბრძანებელს. ეს ქვეყნებია – რომგუარი, რომელიც იგივე ხვარასანია, ერაყი, ადარბადაგანი, მოვკანი, ბარდავი, შარვანი, მთელი საქართველო, ხლათი და დიდი საბერძნეთი აზიამდე. ოთხი ნოინი განაგებდა ამ ქვეყნებს, ისე, როგორც ძველად რომისა და რომოსიონთა ქვეყანას განაგებდა ოთხი იპატოსი. როცა მოვიდა ულო, დაიწყო ამ ქვეყნების მართვა და აღასრულებდა ყაენობის წესებს.

მაშინ გამოგზავნეს სხვა ყაენებმა თავისი შვილები, რომელთაც ქოუნებს უწოდებდნენ: ბათომ – ტური, ჩალატა ყაენის შვილმა – უშან ყული და თულის მოდგმისაგან – ბოლდა. ესენი გამოგზავნეს იმისათვის, რომ მათი წილხვედრი ქვეყნები დაეპყრათ და ხარკიც მათ აეღოთ. იქ მათ დახვდათ ოქოთა ყაენის შვილიშვილი, ყუბილ ყაენის ძმა, [224] ულო. როცა იხილა ულომ ეს სამი ქოუნი, მიიღო ისინი და მისცა მათ მათი წილი ქვეყნები. და ასე დამყარდა მშვიდობა.

ხოლო სამეფო მინები, საყდრები, მცხეთა და მისი შემოგარენი და მონასტრები არ იყო დაცული, რადგან ამ სამეფოს დიდგვაროვნები მხოლოდ თავისი მინებისათვის ზრუნავდნენ. ამიტომ ეახლა ულოს კათალიკოსი ნიკოლოზი, კაცი გულთამხილველი, ანგელოზთა მსგავსი, საკვირველი თავისი მოღვაწეობით, მართლმადიდებელი, ძლიერი და პირუთვნელად მამხილებელი მეფეთა და მთავართა; უმანკოც იყო და არავის ეპირფერებოდა. ყაენი განცვიფრდა მისი ხილვით, რადგან არქუანთა⁵⁸ გარდა სხვა ქრისტიანებს იგი არ იცნობდა. მან პატივით მიიღო

კათალიკოსი და დაუნერა მას იერლაცი, რაც წყალობის წიგნს ნიშნავს და მისცა მას შანად – ნდობის ნიშნად, ოქროს ჯვრები, შემკულნი თვალმარგალიტით და უბოძა ერთი – თვით კათალიკოსს და მეორე – ვარძიის მოძღვარს, რომელიც თან ახლდა კათალიკოსს. მხოლოდ კათალიკოსს კი, ოქროთი შემკული ჯვრიანი არგანი მიართვა და ასე პატივით გამოისტუმრა. და ულომ დაიცვა საყდრები და მონასტრები.

იყო ორივე – დავით და დავით ყუბილ ყაენთან. ორივეს მეფობა სურდა. სარგის თმოგველი დიდ წინააღმდეგობას უწევდა დავით ნარინს და მის თანაზრდილებს, რომელნიც მასთან იყვნენ და ეუბნებოდა მათ: „არ არის წესი, რომ დედაკაცის ნაშობი გახდეს მეფე და არა [225] თვითმპყრობელი მეფის, მამაკაცის ძე.“ ხოლო ისინი მიუგებდნენ: „თუმცა დავით ნარინი დედაკაცის ნაშობია, მაგრამ რუსუდანი გვირგვინოსანი მეფე იყო. მეფობა მან თავისივე ძმისგან, გიორგისგან მიიღო. ამიტომ მეფის ძე არის დავით ნარინი.“ რადგან გაგრძელდა ეს დავა, გამოაგზავნეს ულო ყაენთან ავაგ ამირსპასალარი და მისცეს მას წიგნი შეწყალებისა და თან გააყოლეს დიდგვაროვანთა ნათესავი, ლამაზი ქალი, სახელად ესლომი და ელჩი, რათა კარგად მიეღო ავაგი. ულო ყაენმა პატივით მიიღო და გამოაგზავნა ისინი საქართველოში. და როცა შეიტყვეს ქართველებმა ავაგ ამირსპასალარის მოსვლა, მიეგებნენ მას მთავრები და დიდებულნი, თვით შანშე და ეგარსლანი, რომელსაც მხოლოდ სახელილა ჰქონდა მეფისა. და როცა მიუახლოვდა ავაგი, ეგონა ეგარსლანი ჩამოვიდოდა ცხენიდან. მაგრამ ეგარსლანი ამპარტავანი იყო და არ ინება ცხენიდან ჩამოსვლა, წესისამებრ პატივით შეხვედრა და ამბორი ავაგისა. ეს რომ იხილა, ავაგი განრისხდა და თავზე მათრახი შემოარტყა და უბრძანა თავის ქვეშევრდომთ ცხენიდან გადმოეგდოთ. ასეც გააკეთეს და პატივყარილი გააძევეს. მას შემდეგ ასე პატივყარილი იყო. ასე გააგდეს იგი შანშემ და ავაგმა და ქართველმა თავადებმა.

ხოლო ჩვენ დავუბრუნდეთ ადრე ნათქვამს. დავა იყო მეფეთა შორის და ვერ გადაენწყვიტა ყუბილ ყაენს, რომლისთვის დაემტკიცებინა მეფობა. ამიტომ ისინი მრავალ წელს დარჩნენ ყარაყურუმში. ხოლო სულტანი ყიასდინ და ხლათის სულტანი გამოაგზავნეს ავაგთან ერთად და მოვიდნენ სამეფო სახლში. და რადგან გაგრძელდა ორივე მეფის ყოფნა ყარაყურუმში და ხატაეთში, ყუბილ ყაენმა ორივე მეფე გაგზავნა თავის ძმასთან, ულოსთან. და შეუთვალა, რომ თუ [226] მისი სურვილი იქნებოდა, ორივესთვის მიეცა მეფობა. ბოლოს და ბოლოს

ულო ასეც მოიქცა. და ამგვარად, მივიდნენ ულოსთან, რომელმაც კარგად მიიღო ისინი და ორივეს დაუმტკიცა მეფობა და მისცა მათ მთელი სამეფო. როცა გაიგეს ქართველებმა მეფეთა მოსვლა, უზომო სიხარულით აღვსებულნი მიეგებნენ მათ ალატალში იმერი და ამერი დიდებულები და იყო დიდი სიხარული და მადლობდნენ ღმერთს. მცირე ხანს ულო ყაენთან დაჰყვეს, შემდეგ კი წამოვიდნენ ქართლში, მოვიდნენ თბილისში სიხარულით. შეიკრიბნენ კათალიკოსი და ეპისკოპოსები, მთავარნი და ერისთავნი და დასხდნენ თავისი მამების ტახტზე თბილისში, ორივე – დავითი და დავითი.

მაგრამ მოღწეულია ასევე სხვა ჟამთააღმწერლის მონათხრობი, რომელიც ამბობს, რომ „ორივე მეფის ყარაყურუმში ყოფნის დროს გუ[ფქ]“⁵⁹ ყაენმა გადანყვიტა მეფობა ლაშას ძისთვის დაემტკიცებინა. იმავე ღამეს რუსუდანის ძე დავითი გაიპარა და წავიდა აფხაზეთში“. მაგრამ მე ეს არ მჯერა.

იცოდეთ, რომ⁶⁰ ორივეს მეფობა ყუბილ ყაენმა მისცა და ულო ყაენთან გამოაგზავნა. მან კი ორივეს დაუმტკიცა მეფობა.

სამოცდამეორე მეფენი – დავით, ძე მეფე ლაშა-გიორგისა და დავით, ძე მეფე რუსუდანისა, ბაგრატიონნი

და ორნი დასხდნენ ტახტზე. მართლაც მრავალი სიგელი მოიპოვება და მე თვით მინახავს სიგელები, სადაც თავში წერია – „მეფენი ბაგრატიონნი“ და [227] „ღვთის ნებით, დავით და დავით“. ხელრთვაც ორივესი ახლავს: „მე, დავითი ვამტკიცებ და მე, დავითიც ვამტკიცებ“. და, როგორც ვთქვი, ორივეს მეფობა დამტკიცებული იყო. მაგრამ საეჭვო იყო შანშესგან დავით ლაშას ძის სიყვარული და ავადგან – დავით რუსუდანის ძის მომხრეობა. მაგრამ ეს მათ ვერ განაცხადეს, რადგან ორივე დავითს უყვარდათ ერთმანეთი და არ ეწინააღმდეგებოდნენ ერთმანეთს და ემორჩილებოდნენ ულო ყაენს და ხარაჯას აძლევდნენ მას. თუმცა უპირატესი პატივით სარგებლობდა ლაშას ძე დავითი, არა ლაშას ძეობის გამო, არამედ იმიტომ, რომ იგი უფროსი იყო.

რადგან მონღოლები არ მშვიდდებოდნენ და სხვა ხალხებს ანადგურებდნენ და აოხრებდნენ, ქართველები მუდამ მათთან ერთად იბრძოდნენ თავისი მამაცობის გამო. ამიტომ დიდ გასაჭირში იყვნენ

მეფენი და მთავარნი, რადგან დაუცხრომლად ებრძოდნენ ურჩებს, და განსაკუთრებით, აღმუთს მყოფთ. შვიდ წელს გაგრძელდა მათთან ბრძოლა. ამიტომ გაგზავნა ულომ ნოინები და მათთან ერთად მეფე გიორგის ძე დავითი ქართველთა ჯარით აღმუთს საბრძოლველად. გაიგეს რა ეს ამბავი აღმუთელებმა, იმდენად იყვნენ შენუხებული გაუთავებელი ომებით, რომ ნაიყვანეს თავისი ოჯახები და საქონელი და მთელი თავისი სიმდიდრე და გაიქცნენ ეგვიპტეში, რომელიც მისრეთია. და იქ დაამკვიდრა ისინი მისრეთის სულტანმა. ამჟამად მისრეთიდან გამოსული მულიდები იგივე აღმუთელები არიან.

და ასე ხელში ჩაიგდო რა ულომ აღმუთი და მთელი ხორასანი, ისურვა ყველა ურჩთა განადგურება და ისე ხოცავდა ადამიანებს, რომ ერთ ადგილას თორმეტ დღეზე მეტხანს ვერ რჩებოდნენ, რადგან მოკლული ადამიანებით [228] ყარდა ის ადგილი. ყველაზე მეტი სპარსნი ამონყვიტა, რადგან სძულდა მუსულმანთა რჯული. ამასთანავე მას ჰქონდა თავისი სამართალი. ულოს მუდამ თან ახლდა ორივე მეფე, დავითი და დავითი.

ხოლო იყო ლაშას ძე დავითი ტანით ახოვანი, დიდი და მსხვილი და ძლიერი მოისარი მშვილდით, უმანკო, წრფელი, ადვილად დამჯერი და შემნდობი ავის მკეთებელთა. და რუსუდანის ძე დავითი იყო საშუალო ტანის და გამხდარი, ლამაზი და მშვენიერი, თხელი თმით, სწრაფი, რჩეული მონადირე და ნადირთა კარგად მსროლელი, ენატკბილი და მჭევრმეტყველი, უხვი და თავმდაბალი, კარგი მხედარი და ლაშქრობის დროს გამგონე, სამართლიანი, მრავალზე მზრუნველი. ესენი დიდხანს იყვნენ ულო ყაენთან. ულო ყაენს უყვარდა დავითი, ლაშას ძე, ხოლო დავითი, რუსუდანის ძე სძულდა. როცა რუსუდანის ძე ალატალში იყო ულოსთან, დააკავეს იგი და გაგზავნეს საზამთრო ადგილს – ბარდავს. როცა მივიდნენ ნახჭევანში, იქიდან რუსუდანის ძე მხოლოდ ორი კაციით წავიდა. ესენი იყვნენ გურკლელი ამირეჯიბი და სურამელი ბეგაი, რომელსაც მონღოლები სალინბეგს უწოდებდნენ, ესე იგი კარგ ბეგაის. წავიდა აფხაზეთში, რადგან იმ დროს ლაშას ძე დავითი თბილისში იყო. და როცა მივიდა დავით ნარინი ავაგ ათაბაგთან, იხილა იგი უბრალოდ შემოსილი ნადირობიდან მომავალმა სუმბატ ორბელმა.

ლიპარიტ ორბელი მეფის მიერ ორბელთა დევნის დროს გაიქცა ნახჭევანში. და მივიდა იგი ელიგუნის ქვეყანაში. ელიგუნმა [229] იხილა რა ლიპარიტ ორბელი, დააქორწინა იგი თავის ასულზე, რომელსაც ორი ვაჟი შეეძინა, რომელთაგან ერთს უწოდეს ელიგუნი, ხოლო მეორეს –

სუმბატი. ამ სუმბატის შვილიშვილი, სუმბატი შეხვდა დავითს და წაიყვანა იგი თავის სახლში. დავითი შეევედრა სუმბატს არ გაემჟღავნებინა მისი აქ ყოფნა და გაეგზავნა იგი აფხაზეთში და ძვირფასი თვალიც მისცა, რომელიც მისთვის დედამისს, რუსუდანს დაუტოვებია. და წაიყვანა იგი ისევ უბრალოდ შემოსილი მონღოლთა შიშით. და მოვიდნენ თორს, ლიპარიტ თორელთან, რომელსაც დევის-ყურსაც უწოდებდნენ. მან მიართვა ცხენი და შესამოსელი და წაჰყვა მას ქუთაისში. როცა შეიტყვეს აფხაზეთმა, სვანებმა, დადიანებმა, რაჭის ერისთავმა, ბედიანმა და მთლიანად ლიხთ-იმერთა, შეიკრიბნენ დიდი სიხარულით და აფხაზთა მეფედ დასვეს დავით რუსუდანის ძე, ვიდრე ლიხთამდე.

და ასე გაიყო ეს სამეფო ორ სამთავროდ, მაგრამ დავითს და დავითს ისევ უყვარდათ ერთმანეთი და დარჩა ლიხს-აქათი ლაშას ძე დავითს და ლიხს-იმერი – რუსუდანის ძეს. და დანყნარდა მთელი ქვეყანა და უზომო სიმდიდრე მოიპოვა ლაშას ძემ და განაგებდა სამეფო სახლს კარგად და მონებდა ყაენს.

მაშინ გამოგზავნა ელჩი დიდმა ყაენმა, რომელსაც დაპყრობილი ჰქონდა ყივჩაყეთი და ოსეთი, ხაზარეთი, რუსეთი და ბორღალეთი სერბეთამდე, დარუბანდამდე და ხატაეთამდე და მოიხმო მეფე დავითი. წავიდა ბათოსთან მეფე დავითი, დიდძალი ძღვენით და დატოვა სამეფო სახლის გამგებელად ჯიგდა-ხათუნი და სტუმართმოურავი ჯიქური. ეს ჯიქური იყო ყველაზე ერთგული მეფეთა [230] (იმ დროს მთელ სამეფოში არ იყო არც ქურდი, არც ავაზაკი, და თუ სადმე გაჩნდებოდა ასეთი, იმას ძელზე ჩამოჰკიდებდნენ ხოლმე), სხვა რამ ნიჭი მას არ გააჩნდა. ასე განადიდა იგი მეფე დავითმა და მას ჩააბარა სამეფო და სახლი, და დატოვა იგი თბილისში, დედოფალთან, რომელმაც ააშენა ისნის სასახლე, კარგად მოაწყო და ფხოველნი მოხარკე გახადა და მეჯორეებად ჰყავდა ეს მამაცი ბუნების კაცნი.

და წავიდა მეფე ბათოსთან. მან პატივით მიიღო და ყველა თხოვნა შეუსრულა. და იყო მეფე ბათოსთან დიდხანს, და თითოეული თემის პატრონობა სხვადასხვა კაცებს ჩააბარა. ასე ჩააბარა კახეთი პანკისელ თორღვას და უბრძანა დედოფალს დამორჩილებოდა. თორღვას ეგონა მეფე აღარ მოზრუნდებოდა, დაიკავა პანკისის ციხე და თავისად ჩათვალა კახეთი და აღარ ემორჩილებოდა დედოფალს და სტუმართმოურავ ჯიქურს.

მაშინ შეინყალა ყაენმა დავით მეფე და მისცა მას საჩრდილობელი სუქური, რომელიც მხოლოდ ყაენს და მის ნათესავებს შეიძლებოდა

ჰქონოდათ. და შეუთვალა ულოს, რომ ულოს ურდოში ყოფნის დროს მეფის გარდა არავის ჰქონდა შესვლის უფლება, რადგან ასეთი წესი ჰქონდათ მონღოლებს, რომ არც პურის ქამის დროს შეიძლებოდა ყაენის წინ ვინმე დამჯდარიყო. ასე პატივით გამოისტუმრა ქართლის სამეფოში. და როცა მოვიდა ჰერეთში, მიეგებნენ მისი სამეფოს ყოველნი დიდებულნი. ხოლო შეშინებული თორღვა დარჩა პანკისში. მეფე მოვიდა თბილისში და იყო საქართველოს ყველა მკვიდრის დიდი სიხარული. თორღვა დაიბარა [231] მეფემ, მაგრამ იგი შეშინდა და არ მოვიდა მეფის კარზე. მეფემ მრავალგზის მოიხმო თორღვა თავისთან, მაგრამ მას ვერ გადაეწყვიტა მეფესთან მისვლა. მაშინ ჯიქურის რჩევით ხორნაბუჯელი მივიდა თორღვასთან სახლში და მტკიცე ფიცით შესთავაზა მას მინდობოდა. მაგრამ თორღვამ უთხრა: „წავიდეთ ალავერდში, გიორგის წინაშე და იქ შემომფიცე, მაშინ გენდობი.“ წავიდნენ ალავერდში. თორღვა გამოება ალავერდის მთავარმონაშის სამოსლის კალთას. მივიდა ხორნაბუჯელიც, შეჰფიცა და გამოხსნა კალთისგან. მაშინ თორღვამ თქვა: „რასაც ჩემ მიმართ ჩაიდენ, იგივე გიყოს შენ წმინდა გიორგიმ. მე მარტო ვარ და ჩემი სიკვდილით უმემკვიდროდ დარჩება ჩემი მამული. ასევე უმემკვიდროდ დატოვებს წმინდა მთავარმონაშე შენს სახლს.“ და წამოიყვანა ხორნაბუჯელმა თორღვა ტაბახმელაში, სადაც მან უარყო თავისი პირობა და ფიცი. შეიპყრო თორღვა ჯიქურმა დედოფლის ბრძანებით, თუმცა მეფემ არაფერი იცოდა ამის შესახებ და წაიყვანეს იგი კლდესთან და გადააგდეს.

იხილეთ, როგორ მიეგო ხორნაბუჯელს ალავერდის მთავარმონაშის ალექმისა და ფიცის გატეხვისათვის – ჰყავდა შვილი ხორნაბუჯელს, სახელად შალვა, სიკეთით სავსე კაცი, რომელსაც შვილები ჰყავდა და მაშინვე დაიხოცნენ ისინი. ხორნაბუჯელი ბერი მწუხარებით მოკვდა. და დარჩა მისი შვილი, სახელად შალვა და შემდეგ ისიც მოკლეს მონღოლებმა და უმემკვიდროდ დარჩა მისი სახლი. ასე იძია შური ალავერდის მთავარმონაშემ.

და როცა მოიწყო მეფემ თავისი სამეფო, წავიდა ულო ყაენთან დიდი ძღვენით [232], რომელიც ნახა რა ულო ყაენმა, პატივით მიიღო და დაანესა მისი დგომა და ჯდომა ნოინებთან ერთად, ასევე იყო იგი ბჭე და განმკითხველი.

იმ დროს ინება ულო ყაენმა ბაბილონის, რომელიც ბაღდადია და ბაბილონელთა ხელმწიფის, ხალიფას წინააღმდეგ გალაშქრება და

მოუნოდა თავის ჯარს და გაემართა ბაღდადისკენ, ხალიფასთან საბრძოლველად. მივიდა ბაბილონის ქვეყანაში და ვერ გაუნია მას წინააღმდეგობა ხალიფამ და თავი შეაფარა ბაღდადს. ხოლო ყაენმა ალყაში მოაქცია იგი. ერთ მხარეს, წყალს აქეთ თვით ყაენი მოადგა ქალაქს, წყალს იქით – ელგონ ნოინი და სხვა მხარეს – დავით მეფე, რომელთანაც იყვნენ საქართველოს დიდებულები.

და იბრძოდნენ ძლიერად. არა მრავალი დღის განმავლობაში, არამედ თორმეტ დღეში აიღეს ქალაქი. დავით მეფემ უბრძანა თავის ლაშქარს გაეთხარათ კედლის ქვეშ და გათხარეს კედლის ქვეშ და შევიდნენ ქართველები და იყო დიდი ბრძოლა და დახოცეს ბაღდადელთა ჯარი.⁶¹ დიდად შეშინდნენ ბაღდადელები. და ასე გააღეს ქალაქის კარი და შევიდნენ ქართველები და მონღოლები. როცა გაიგო ხალიფამ, რომ მონღოლები შევიდნენ ქალაქში, გაიქცა ნავით იმ მდინარეზე, რომელიც ქალაქს ჩამოუდიოდა. მაგრამ იგი დაინახა ელგონ ნოინმა, რომელიც მდინარის იქითა მხარეს იყო. ხალიფამ ველარ შეძლო გაქცევა და ისევ თავის სასახლეში დაბრუნდა. ასე ადვილად ხელთ იგდეს სახელგანთქმული ქალაქი ბაბილონი. ვინ გვიამბოს იმ განსაცდელისა და გაჭირვების შესახებ, რომელიც ბაღდადს შეხვდა? დახოცეს მახვილებით ისეთი სიმრავლე, რომ ვერავინ დათვლიდა – მოედნები, [233] ქუჩები და სახლები სავსე იყო მკვდრებით. ვინ აღწეროს ის სიმდიდრე და ალაფი, რაც მათ მოიპოვეს? აივსნენ მონღოლები და ქართველები ოქროთი, ვერცხლით, თვალ-მარგალიტით, ძვირფასი ქსოვილებით და სამოსლით, ოქროსა და ვერცხლის ჭურჭლით. ოქროს, ვერცხლის, თვალ-მარგალიტის ან ძვირფასი სამოსელის გარდა სხვას არაფერს იღებდნენ. ჩინური და ქაშანური ჭურჭელი, ასევე იქაური ნაკეთობანი, სპილენძი და რკინა არაფრად ითვლებოდა. და ასე აივსო ლაშქარი. მეომრები უნაგირებს, კურტნებს და უბრალო ჭურჭელს თვალ-მარგალიტით და ოქროს ფულით ტენიდნენ, ზოგნი ხმალს ვადაში გადატეხდნენ, ქარქაშს ოქროს ფულით ავსებდნენ და ზემოდან ხმლის ნატეხს ჩააგებდნენ, ზოგნი მკვდარ ბაღდადელს გამოშიგნავდნენ, ოქროს ფულით და თვალ-მარგალიტით გამოსტენიდნენ და როგორც თავის მკვდარს, ისე გაიყვანდნენ ქალაქიდან. და ასე რა აოხრებდნენ, ხოცავდნენ და ტყვეებად აჰყავდათ ბაღდადელები, მივიდნენ ხალიფას სასახლესთან. გამოიყვანეს ხალიფა, მისი შვილები და ცოლები, გამოიტანეს მისი გასაოცარი სიმდიდრე და მოიყვანეს ხალიფა ულო ყაენთან.

და როცა წარადგინეს ხალიფა ყაენის წინაშე, უთხრეს თაყვანი ეცა მისთვის. მაგრამ ხალიფამ არ ისურვა, დადგა და უთხრა: „ხელმწიფე ვარ, თვითმპყრობელი და არავის ვემონები. თუ გამიშვებ, დაგემორჩილები; თუ არ გამიშვებ, მე ვერავის ვემონები და მოვკვდები“. მაგრამ ისინი აიძულებდნენ თაყვანი ეცა ყაენისთვის. ფეხი გამოჰკრეს, ხალიფა პირდაპირ [234] დაეცა, მაგრამ თაყვანი არ სცა. ულო ყაენმა ბრძანა მისი გარეთ გაყვანა და გაგზავნა ელგონ ნოინი, რათა მას მოეკლა ხალიფა და მისი შვილები. უთხრა ელგონ ნოინმა ხალიფას: „ყაენმა შეგინყალა“. გახარებულმა ხალიფამ მიუგო: „თუ შემინყალებს, გამიშვას და ბაბილონი მომცეს“. ხოლო ელგონმა უთხრა: „არა, ყაენი თავისი ხელით და ხმლით მოგკლავს, ყაენის შვილი, აბალა კი შენს შვილს მოკლავს.“ გაკვირვებულმა ხალიფამ მიუგო: „თუ მომკლავთ, გინდა ძაღლმა მომკლას, გინდა კაცმა.“ ასე მოკლეს ხალიფა და მთელი მისი ოჯახი. ხოლო სხვა დარჩენილი ბაღდადელები შეინყალა და ბრძანა შენება, დააყენეს მცველები და ასე სავსენი ტყვეებითა და ალაფით მივიდნენ ბანაკში.

იმ დროს ბათო ყაენმა, რომელიც უდიდესი იყო ყაენთა შორის, ინება მთელი ქვეყნის აღწერა და ნახა ერთი კაცი, ოირიდების გვარის, სახელად არღუნი, რომელიც იყო სამართლიანი და სიმართლის მთქმელი, საქმის ღრმა მცოდნე, კარგი მრჩეველი. ეს კაცი წარავლინა მთელ თავის საბრძანებელში – რუსეთში, ხაზარეთში, ოსეთში, ყივჩაყეთიდან ბნელეთამდე, აღმოსავლეთიდან ჩრდილოეთამდე და ხატაეთამდე, რათა აღწეროს და დაადგინოს ნოინის ლაშქარში მიმავალი მხედარი და მეომარი, მათი შესაფერისი ულუფა, რომელიც მიეცემათ სამგზავროდ, ასევე ცხენისა და საპალნის ქირა. და როდესაც დაადგინა ბათოს საბრძანებელში, შემდეგ გააგზავნა ყარაყურუმში, ყუბილ ყაენთან, რათა იქაც აღწერა არღუნს. და როცა მივიდა ყუბილ ყაენთან, მანაც ისურვა იგივეს გაკეთება და წარავლინა არღუნი თავის საბრძანებელში და დაუწესა იგივე წესები. შემდეგ მივიდა [235] ჩალატასა და უშანის წინაშე და განაწესა და დაადგინა იქაც ყოველივე. გამოიარა ჯეონი, მივიდა ხვარასანში, ერაცში, მთელს რომეურში და იქაც ასევე განაგო ყოველივე. მოვიდა იგი ულო ყაენთან, რომელმაც პატივით მიიღო და გამოაგზავნა საქართველოში, მეფე დავითთან და საბერძნეთში და მთელს მის საბრძანებელში დაავალა აღწერა. როდესაც მოვიდა იგი საქართველოში, დიდ გასაჭირში ჩავარდნენ დავითის სამეფოს მკვიდრნი. აღწერეს ყველაფერი – კაციდან პირუტყვამდე, ყანიდან ვე-

ნახამდე, ბალიდან ბოსტნამდე. ცხრა გლესხ ერთი კაცი უნდა გაეგზავნა ლაშქარში. და გამოვიდა, რომ დავითის სამეფოდან ცხრა დუმანი მხედარი უნდა წასულიყო მონღოლთა ლაშქარში ანუ ოთხმოცდაათი ათასი. და განაწესეს ძღვენი სოფლისაგან: ათასი მხედრის მთავარს – ერთი კრავი და ერთი დრაჰკანი, ხოლო ათი ათასის მთავარს – ერთი ცხვარი და ორი დრაჰკანი და ცხენის ქირა – დღეში სამი თეთრი. და ასე განუწესა და წავიდა საბერძნეთში და ბაღდადში.

ეს ყველაფერი არღუნმა დაადგინა ოთხივე საყაენოში, რადგან იგი იყო სამართლიანი კაცი. მაგრამ ხუცესებსა და მონაზონებს, ასევე ეკლესიებს არ დაუწესა გადასახადი, არც ბეგარა, ასევე შეიხები და დერვიშები და ყველა რჯულის კაცი, ღვთისმსახურნი გაათავისუფლა გადასახადისაგან.

იმ დროს ინება ულო ყაენმა ეგვიპტის წინააღმდეგ წასვლა და მოუწოდა დავით მეფეს თავისი ჯარით და წავიდა სულტანთან საბრძოლველად. როცა მიაღწია შუამდინარეთს, დაიწყო მთელი შუამდინარეთის და შამის⁶² აოხრება. როცა ეს შეიტყო ეგვიპტის სულტანმა, წამოვიდა მონღოლთა წინააღმდეგ საბრძოლველად. მოვიდა იგი მდინარე ევფრატთან თავისი ჯარით. მივიდნენ მონღოლები და გადაიარეს მდინარე, რადგან სულტანი ჯერ არ იყო მოსული მდინარესთან. [236] სულტანი შეებრძოლა მათ და იყო დიდი ომი, სადაც დავით მეფე თავის მეომრებთან ერთად წინა რიგებში იბრძოდა. ორივე მხრიდან დიდი იყო მსხვერპლი. ეგვიპტელები გარბოდნენ. სულტანს ბევრი მეომარი დაეხოცა. ყაენი კი დიდი ხნით დაბანაკდა ევფრატის პირას, სადაც იყო პატარა ქალაქი. ეს ქალაქი ძლიერად იყო გამაგრებული – ერთ მხარეს მას კლდე იცავდა, ხოლო მეორე მხრიდან – ევფრატის მინდორი. როდესაც ნახა ყაენმა ქალაქის სიმაგრე, ვერ შეძლო ამ ქალაქის წინააღმდეგ გაბრძოლება. მაგრამ მან მეტად საკვირველი რამ მოიგონა და უთხრა თავის ქვეშევრდომებს: „ამ ქალაქის ბრძოლით დამარცხება არ მოხერხდება. მე მსურს, რომ ავმხედრდეთ და ალყაში მოვაქციოთ ქალაქი და დავიწყოთ ძაღლებივით ყეფა.“ როცა ეს გაიგეს, ძალიან გაუკვირდათ, მაგრამ ამხედრდნენ და ძაღლებივით აყეფდნენ. როცა ქალაქამდე მივიდა ეს ხმები, მოხდა საკვირველი რამ – ქალაქი ორად გაიპო და ნახევარი კლდიანად მდინარეში ჩავარდა. დაიღუპა უამრავი ხალხი. ასე ჩაიგდო ხელში ქალაქი და წავიდა შამში და შუამდინარეთში. მიეგებნენ მას შუამდინარეთის და შამის მკვიდრნი და მიაერთვეს მას ურიცხვი ძღვენი.

მეფე დავითი და ქართველები შეევედრნენ ყაენს გამოეშვა ისინი, რადგან დიდი დრო დაჰყვეს მათ ლაშქრობაში. ულო ყაენმა მისცა მათ თავისუფლება და გამოემართნენ მეფე დავითი და ქართველები ურიცხვი საჩუქრებით და ალაფით გამდიდრებულნი, მივიდნენ ადარბადაგანში და იქიდან, სიხარულით სავსენი, მოვიდნენ თბილისში.

იმ დროს მეფის დიდებულნი მწუხარე იყვნენ, რადგან ჯიგდა უშვილო იყო. მეფემ ინება შვილის გასაჩენად მეუღლედ მოეყვანა ალთუნი, წარმოშობით ოსი, იმ პირობით, რომ თუ იგი გააჩენდა ვაჟიშვილს, უნდა წასულიყო. მცირე ხნის შემდეგ დაფეხმძიმდა ალთუნი და შეეძინა მას ვაჟიშვილი, რომელსაც უწოდეს გიორგი, რომელიც შვილად აიყვანა [237] დედოფალმა ჯიგდა-ხათუნმა. მცირე ხნის შემდეგ კვლავ დაფეხმძიმდა ალთუნი და შეეძინა მას ასული, რომელსაც უწოდეს თამარი. ამის შემდეგ მეფე გაშორდა თავის საყვარელ, ლამაზ ოს ქალს, ალთუნს. არ გასულა დიდი დრო, რომ გარდაიცვალა დედოფალი ჯიგდა-ხათუნი. წაიყვანეს იგი დედოფალთა სამარხში, მცხეთას და იქ დაკრძალეს.

წავიდა მეფე დავით ულო ყაენთან მულანში, რომელიც მისი საზამთრო სადგომი იყო და იქიდან წამოჰყვა მის საზაფხულო სადგომში. იქიდან კი მეფე დავითი ქართლში გამოაგზავნა, რათა იგი მომზადებულიყო ეგვიპტეში სალაშქროდ, რომელიც არის მისრეთი. მეფემ შემოიარა ავაგ ათაბაგის, ივანე ათაბაგის ძის სამფლობელო. ავაგი იმ დროს გარდაცვლილი იყო. მას არ დარჩა ვაჟიშვილი, ჰყავდა ერთი ქალი, სახელად ხვაშაგი. მივიდა მეფე ბიჯნისში სამძიმარზე და ნახა ავაგის ცოლი, რაჭის ერისთავთა, კახაბერის-ძეთა ასული, სახელად გვანცა, ლამაზი ქალი და შეუყვარდა იგი. ცოტა ხნის შემდეგ მოიყვანა იგი ცოლად და დედოფლად და წამოიყვანა თავის სამეფოში. ხოლო ავაგის ქალიშვილი თავის მამულში დატოვა და ჩააბარა მანკაბერდელ სადუნს, რომელიც იყო კაცი ბრძენი და გონიერი, კარგი მრჩეველი, ლამაზი, მეტად ღონიერი, რჩეული მოჭიდავე და კარგი მოისარი. იგი წარდგა ულო ყაენის წინაშე, თაყვანი სცა მას და მუხლმოყრილმა⁶³ უთხრა: „მოგცათ თქვენ ღმერთმა ყველა მტრის ძლევა და ყველა კაცთა შორის გამოგაჩინა. აქ არის ასი ათასი მხედარი. თუ ვინმე შემეჭიდება, ან შემერკინება, ან ისრის სროლაში შემეჯიბრება, მზად ვარ.“ ვერავინ გაბედა მასთან შერკინება. ხოლო ვინც გაბედა, ყველა დაამარცხა. შეუყვარდა იგი ულო ყაენს და გახდა იგი სახელოვანი.

მეფე დავითმაც პატივი სცა მის გონიერებას და ჩააბარა ავაგის სახლი. დედოფალი გვანცა კი დაფეხმძიმდა და შეეძინა მას ვაჟი, რომელსაც დიმიტრი უწოდეს. იგი დავითის შემდეგ მეფე გახდა. ამის შესახებ ქვემოთ შევიტყობთ.

[238] გვანცას დედოფლობა არ მოსწონდა სტუმართმოურავ ჯიქურს, რადგან მტრები იყვნენ. ამიტომ სუმბატ ორბელის რჩევით დაასმინა დედოფალმა, თითქოს ჯიქური აგზავნის კაცებს არღუნთან, რათა მან აუნყოს ულო ყაენს მეფე დავითის სიმდიდრის შესახებ და თითქოს დავითს უნდა განუდგეს ყაენს. რადგან დავითი გულწრფელი იყო, ხოლო გულწრფელების დარწმუნება ადვილია, სასწრაფოდ გაგზავნა მსახურები და ბრძანა ჯიქურის მასთან მოყვანა, ხოლო მისი სახლის იავარყოფა. აღასრულეს მეფის მსახურებმა და წარადგინეს ღამით ჯიქური მეფის წინაშე. მეფე ისანში იყო, მტკვრის პირას. მან არაფერი უთხრა ჯიქურს და განუკითხავად ბრძანა მისი მტკვარში ჩაგდება. როცა გათენდა, ნახეს ჯიქური რიყეზე, გამოგდებული წყლიდან და ყველას გაუკვირდა მისი უეცარი სიკვდილი. მაგრამ არავინ იყო მისი დამმარხავი, რადგან ჯიქურს შვილი არ ჰყავდა. შეიკრიბნენ მათხოვრები და ქვრივ-ობლები და ევედრებოდნენ მეფეს, მიეცა მათთვის ჯიქურის გვამი, რადგან მას ბევრი სიკეთე გაუკეთებია მათთვის. მოუსმინა დავითმა მათ და მისცა ჯიქურის გვამი, რომელიც გოდებით წაიღეს წმინდა ქალწულის, ქრისტინას ეკლესიაში. ეს ეკლესია ადრე ხვარაზმელთა მიერ დანგრეული, ახლად აშენებული იყო და დამარხეს დიდი პატივით, როგორც შეეძლოთ მათხოვრებს.

ამის შემდეგ ისურვა ყაენმა მისრეთის სულტნის წინააღმდეგ გალაშქრება და შეკრიბა ყველა თავისი მთავარი და ჯარი. მან მოიხმო მეფე დავითი და მისი ჯარი, რათა ისინიც წასულიყვნენ ეგვიპტეში. მაგრამ მეფე და მისი საბრძანებელი შევიწროებული იყო არღუნის აღწერისაგან და იმისგან, რაც მან განაწესა – რაც კი გაიყიდებოდა თბილისში, ას თეთრზე სამი თეთრი ყაენისთვის უნდა დაედოთ. ვინმე სპარსი, ხოჯა-აზიზი დაედგინა არღუნს თბილისში ამ საქმის მეთვალყურედ, რომლის უწესობა იმდენად დიდი იყო, რომ თუ მეფის სამზარეულოში ცხვარს ან კრავს იყიდდნენ, მისთვისაც ხარაჯა იყო დაწესებული, რომელსაც ტამლას უწოდებდნენ. ამით მეტად შეწუხებული მეფე ფიქრობდა: „წავიდე ეგვიპტეში, თუ განვუდგე ყაენს?“ [239] მაგრამ ვერ გადაეწყვიტა. იგი მაინც წავიდა მისრეთში საომრად. მაგრამ

როცა ჯავახეთს მიაღწია, გადაწყვიტა განდგომა. მან მოუწოდა თავის მრჩეველებს და უთხრა: „ვისაც სურს, დატოვოს ქვეყანა და წამოვიდეს ჩემთან ერთად, ხოლო ვისაც არ უნდა, წავიდეს მისრეთში და დაიცვას ყაენის ქვეყანა. ყველამ თავისი ნებით გადაწყვიტოს. მე კი აღარ მსურს მონღოლთა მონობა ხოჯა-აზიზის ძალადობის გამო, რომელიც ჩემზე საბატონოდ დაადგინა არღუნმა. მე აღარ შემძლია ასეთი შეურაცხყოფის მოთმენა.“ დიდებულები ზოგი დაეთანხმა, ზოგი კი – არა. მეფემ გადაწყვიტა განდგომოდა ყაენს. უმრავლესობა მაინც წავიდა ყაენთან: შანშეს ძე ივანე, გრიგოლ სურამელი და კახა, ახალქალაქის ერისთავი, თავ-კაცნი ქვეყნისა, ასევე ჰერ-კახთა უმრავლესობა. როცა გაიგო მეფემ დიდებულთა წასვლა, მისცა მათ ამის ნება და განუდგა ყაენს. მეფემ მოუწოდა ციხისჯვარელ სარგის ჯაყელს, რომელიც სამცხის სპასალარი იყო და უთხრა, რომ განდგომოდა ყაენს. სარგისი დასთანხმდა და წამოიყვანა სამცხეში, თავის სახლში და ისეთი პატივით მიიღო, როგორც მეფეს შეეფერებოდა. ხოლო მეფის ჯარის გამოსაკვებად შესთავაზა თავისი ციხე-ქალაქები. მაგრამ მეფემ იუარა და ერთგულთა მცირე ჯგუფით ზაფხული სამცხეში გაატარა. ხოლო დედოფალი გვანცა და მისი პატარა ვაჟი დიმიტრი დატოვა ავაგის სახლში, ბიჯნისში.

დაბრუნდა ეგვიპტელ სულტანთან ბრძოლაში გამარჯვებული ულო ყაენი, რადგან სძლია მათ და ააოხრა. იქ ქართველებმა ძლიერად იბრძოლეს. ჯერ მივიდა თავის საზაფხულო სადგომში, ალატალში. იქიდან წავიდა საზამთრო სადგომში, რომელსაც ახლა [240] ყარაბაღს ან მულანს უწოდებენ. იქ იკითხა დავითის ამბავი და როცა შეიტყო მისი განდგომის ამბავი, მოუწოდა არღუნს და ორას მთავარს, დაადგინა იგი მხედართმთავრად, მისცა ოცი ათასი მხედარი და უბრძანა ქართველებს, რომლებიც მას ემორჩილებოდნენ, წაჰყოლოდნენ არღუნ ოირიდს სამცხეში და შებრძოლებოდნენ მეფეს. წამოვიდა არღუნი ოცი ათასი მხედრით, გაიარა განძა და სომხითი და მოვიდა თბილისში. იქ მას შეუერთდნენ ზემოხსენებული ქართველი მთავრები და გამოემართნენ სამცხისაკენ მეფესთან საბრძოლველად. როცა გაიგო მეფემ არღუნისა და ქართლის მთავართა მოსვლა, მოუწოდა მესხებს, შავშკლარჯებს და მათ, ვინც მის ერთგულად რჩებოდა, შეკრიბა რვა ათასი მხედარი და დაადგინა მხედართმთავრად სარგის ჯაყელი, კაცი მხნე და გამბედავი, მრავალჯერ გამოცდილი და სახელოვანი ბრძოლებში,

ტანით ახოვანი, ჩინებულად მებრძოლი მხედარი, მამაცი მოისარი, კარგი მონადირე. მეფე მას ენდობოდა, რადგან სარგისი მეფის ერთგული იყო. გააგზავნა იგი მეფემ არღუნის შესაგებებლად და მასთან საბრძოლველად. წავიდა იგი და დაბანაკდა ხევთაში. არღუნი შემოვიდა ქართლში და დაბანაკდა სურამში. და წარავლინა წინამბრძოლნი – ექვსი ათასი მხედარი. თვით არღუნი შინდარაში დაბანაკდა. წინამბრძოლნი კი მივიდნენ ტაშისკარში და დაბანაკდნენ სამდინაროზე⁶⁴, რომელსაც შოლა ეწოდება. აიყარა სარგისი ხევთაგან და გააგზავნა ათას ხუთასი რჩეული მხედარი, რომელთაც არ იცოდნენ არღუნის მოახლოება. გაიარეს მათ ახალდაბის ხიდი. იყო ზამთარი, ყინვა, როგორც არის ხოლმე დეკემბრის თვეში. ვიწრო ადგილი გაიარეს და დაინახეს მონღოლთა რაზმი. ქართველები შეებრძოლნენ მონღოლებს. წინ მესხები მიდიოდნენ და პირველივე შეტაკებაში დაამარცხეს მონღოლები, დახოცეს მრავალი სახელოვანი მეომარი. ისე ძლიერად ებრძოდნენ მონღოლებს მესხები, რომ მათი მცირე ნაწილი გადარჩა და გაიქცა არღუნთან გორის შინდარაში. მესხები დაედევნენ და მახვილებით ამოწყვიტეს ისინი. მხედართმთავარ სარგისს და [241] მეფის ჯარს ისინი ველარ დაელოდნენ, რადგან მონღოლთა რაზმი ახლო იყო დაბანაკებული. ასე გამარჯვებულნი, მრავალ სახელოვან მონღოლთა თავებით ხელში, მიეგებნენ ისინი სარგისს და მის ლაშქარს. როცა ნახა ისინი სარგისმა გამხიარულებულები და უვნებელნი, გაიხარა, მაგრამ გული დასწყდა, რომ ვერ მოუსწრო ბრძოლას, რადგან იყო იგი კაცი ძლიერი და გაბედული. მას კვლავ სურდა მესხებთან ერთად ბრძოლა. ამიტომ წავიდა არღუნის წინააღმდეგ მამაცი გულით. ხოლო არღუნმა თავის ჯარს მოუწოდა, მაგრამ ნახა რა ქართველთა ჯარი, გაქცევა უნდოდა. ქართველმა დიდებულებმა დაუშალეს გაქცევა. მათ მეთაურობდა კახა თორელი, რომელმაც უთხრა: „ჩვენ ვიცით ქართველთა ბრძოლის წესი. თქვენ წილ ჩვენ ვიბრძოლებთ“. ასე დაარწმუნეს და ისიც გაჩერდა და მოემზადა საომრად.

როცა მიუახლოვდნენ ერთმანეთს, გალაღებულმა მესხებმა შეუტიეს მონღოლებს. რაზმს მიუძლოდა სარგის ჯაყელი, რომელმაც მონღოლთა უმამაცესი ბადური შუბით ცხენიდან გადმოაგდო და იყო ძლიერი ომი. მრავალი მოიკლა არღუნის მეომართაგან, ბევრიც გაიქცა. პირველივე შეტაკებაში სძლია მათ მეფის ჯარმა. მაგრამ, როგორც აქვთ ჩვეულება მონღოლებს – გაქცევა და უკან მობრუნება, ახლაც

ასე მოიქცნენ და მოულოდნელად მობრუნდნენ. მაშინ დაბნეული მეფის ჯარი სწრაფად გაიქცა. ასე განწირულებს და დაბნეულებს მონღოლები ხოცავდნენ. ჩვენი ცოდვების სიმრავლის გამო განწირა ისინი ღმერთმა და წარმართებს ჩაუგდო ხელში. მონღოლები უწყალოდ ხოცავდნენ ქართველებს. მათ მრავალი სახელოვანი მეომარი მოკლეს. მცირე ნაწილი გადარჩა მხოლოდ და იმათაც ახალდაბის ხიდამდე სდიეს. ზოგი ტყვედ აიყვანეს – გურკელელი მურვანი და მრავალი სხვაც. და ასე დაბრუნდა არღუნი ულო ყაენთან გამარჯვებული, ხოლო სარგისი და მესხები მივიდნენ მეფესთან აწყურში, დამწუხრებულნი თავისი ახლობლების დაღუპვის გამო, რადგან უმრავლესობა იყო მოკლული, ხოლო მცირედი – გადარჩენილი. დაჰყო მეფემ ნახევარი ზამთარი [242] სამცხეში და გადავიდა შავშეთში და კლარჯეთში და ნავიდა ნიგალისხევში. როცა მოვიდა მაისი და ამოვიდა ბალახი, ყაენმა ისევ არღუნი გააგზავნა მეფის საძებრად. მასთან იყვნენ ქართველებიც, ყაენის მომხრეები. ივნისის თვეში მოვიდა არღუნი სამცხეში. მესხთაგან ზოგი მიეგება არღუნს, ზოგი კი მეფეს გაჰყოლოდა. დაიწყო არღუნმა სამცხის აოხრება და მოადგა ციხისჯვარს და დაიწყო მათთან ბრძოლა, რადგან ციხეს მაგარი კედელი არ ჰქონდა შემორტყმული. მაგრამ ციხეში მყოფნი ძლიერად იბრძოდნენ და მრავალი კაცი მოკლეს და დიდად ავნებდნენ გარეთ მყოფთ. დღისით და ღამით გამოდიოდნენ და აქა-იქ კლავდნენ მონღოლებს. და როცა ნახა არღუნმა ციხისჯვარის სიმტკიცე, რომელიც არის ჯვრის ციხე, აიყარა და ნავიდა. ამასთან, მან ყაენის წერილიც მიიღო, რამაც დააჩქარა მისი წასვლა – თურანის ქვეყანაში მყოფი ყაენი ხვარასანს მისულა საომრად. ასე იხსნა ღმერთმა სამცხის ქვეყანა. არღუნი ოცი დღე იყო სამცხეს.

მეფე დავითი კვლავ მოვიდა შავშეთში და სამცხეში. როცა ნახა მოოხრებული სამცხე, მოუწოდა თავის მრჩევლებს და ჰკითხა, თუ რა ექნათ – მონღოლებთან ომი აღარ შეიძლებოდა. მაშინ სარგის ციხისჯვარელმა უთხრა: „სამცხე მცირეა და არ არის კარგი ადგილი მეფეთა საცხოვრებლად. ახლა გირჩევ ნახვიდე ლიხთ-იმერეთში, რუსუდანის ძე დავითთან, რადგან ორივესია თანასწორად ეს სამეფო. მე გაძლევ ჩემს თავს, საქონელს და ლაშქარს, მოიხმარე, როგორც გენებოს. თუ დავითი კარგად მიგიღებს, ხომ კარგი, და თუ არა, ჩემი სიმდიდრე შენს განკარგულებაშია, შენც ნუ დაიშურებ შენს საგანძურს, დაველაპარაკოთ იმერეთის თავადებს, მივცეთ საგანძური და ჩვენს მხარეს დავიყენოთ.“

ყველას მოეწონა ეს რჩევა და გააგზავნეს მოციქული რუსუდანის ძესთან, რათა მიეღო მონღოლთაგან შერისხული. იგი შეჰპირდა და წავიდნენ. მივიდნენ ქუთაისში, სადაც მიეგება მათ რუსუდანის ძე და კარგად მიიღო. დარჩნენ იქ ერთ წელიწადს. რუსუდანის ძემ კარგად უმასპინძლა ლაშას ძე დავითს, მაგრამ ასევე მოექცეოდა იგი უცხოხსაც.

[243] მაშინ მოელაპარაკნენ რაჭის ერისთავს, კახაბერის ძე კახაბერს, ქვაბულისძეებს, ფარაჯანიანთა სარგისს, რომ ლაშას ძე დავითი გამხდარიყო მეფე. ისინი დასთანხმდნენ და მოხდა განხეთქილება ლიხთიმერეთში – ზოგი ლაშას ძეს მიემხრო, ზოგი – რუსუდანის ძეს. დადინი ბედიანი, ჯუანშერის ძე დადგა რუსუდანის ძის მხარეზე. ეს ბედიანი იყო კაცი წარმატებული მაღალი ზნეობით, მეტად უხვი, გონიერი. მან ისე დაალაგა ოდიში, რომ ქურდი და ბოროტმოქმედი აღარ იპოვებოდა. ასევე სვანები გაიყვნენ ორად. მაგრამ ერთმანეთს არაფერს ავნებდნენ ორივე, დავითი და დავითი. ისინი არ გასცემდნენ საგანძურს ლაშქრისათვის. ასეთი იყო აშლილობა და შფოთი იმერეთში.

სხვა ღონე რომ აღარ იყო, გადანყვიტეს ორად გაეყოთ სამეფო და საგანძური. დანიშნეს სამეფოს თავადები და გაჰყვეს ორად: თბილისი ორად, ქუთაისი ორად, თავადები და ერისთავებიც თანაბრად გაჰყვეს, ნიკოფსიდან დარუბანდამდე და გაიყო სამეფო და საგანძურიც. მაგრამ ხვამლის ქვაბში რაც იყო, იქიდან მცირე ნაწილი აიღეს და გაიყვეს, ხოლო უფრო დიდი ნაწილი ხვამლის ქვაბშივე დატოვეს. სალმასურად სახელდებული ჯაჭვი, ძვირფასი თვალი გურდემლი⁶⁵ და დიდი მარგალიტი, რომლის მსგავსი არავის უნახავს – სამივე რუსუდანის ძეს შეხვდა. და ასე მოხდა სამეფოს გაყოფა და შეიქმნა ორი სამეფო. ხოლო უმეფო გახდა ამიერ საქართველოს სამეფო, დაიშალა ლაშქარი და მონღოლთა სამსახური.

კვლავ ინება ყაენმა დაზავება მეფესთან. მოუწოდა არღუნს, რათა გაეგზავნა მოციქული მეფესთან დასაზავებლად და უვნებლობაც შეჰფიცა. დედოფალი გვანცა, ავაგის ყოფილი ცოლი და მისი მცირეწლოვანი ძე ულოს ხელში დარჩნენ და ტყვედ წაიყვანეს ურდოში. ერთ-ერთი ნოინის ცოლმა აიყვანა ყრმა და იშვილა, რათა გადაერჩინა იგი. იგი უშვილო იყო. [244] ამბობენ, რომ როგორც კი კალთაში ჩაისვა ყრმა დიმიტრი, მაშინვე გაეღო მას საშო და დაორსულდა და შვა ვაჟი. ამიტომაც ნოინის ცოლი კარგად ექცეოდა გვანცას და ყრმას. ყაენმა უბრძანა გვანცას გაეგზავნა კაცი მეფესთან დასაზავებლად. და

გააგზავნეს მოციქული ზავისათვის, რათა მისცენ მეფეს მისი სამეფო და გვანცას დაუბრუნდეს ადრინდელი დედოფლობის პატივი. მოვიდნენ ყაენის მოციქულები მეფესთან. მათ მეფემ უთხრა: „ჩემი წამოსვლისა და სამეფოს დატოვების მიზეზი ხოჯა-აზიზი იყო. თუ ყაენს ნებავს ჩემი შეწყნარება, ჩემს უფროს შვილს, გიორგის გამოვავზავნი და უბოძოს მას ჩემი სამეფო. დედოფალი გვანცა და ჩემი ძე დიმიტრი ჩემთან გამოავზავნოს. ხოლო მან მომცეს მე ხოჯა-აზიზი, რათა მისი სიკვდილით შური ვიძიო იმისათვის, რაც მან მე გამიკეთა.“

როცა მივიდნენ ყაენთან, მას მოეწონა მეფის სიტყვა, გამოიხმო მეფის ძე გიორგი, პირობა მისცა უვნებლობისა ოქროს საფიცრის შესმით⁶⁶ და სამეფოს დაბრუნების. თუ დავით მეფე ინახულებს ულო ყაენს, რომელსაც ეჯინსაც უწოდებენ, მისცეს მას ხოჯა-აზიზი. თუ ინებებს, მოკლას, თუ არა – გაუშვას. შუამავალი იყო ენუქ არქუნი, კაცი მართალი და პატიოსანი, ქრისტეს რჯულის პატივისმცემელი, რომელიც თავდები იყო, რომ ყაენი არაფერს ავნებდა მეფეს და მის ძეს, გიორგის. ენუქი თვით მივიდა დავითთან, შეჰფიცა და წაიყვანა მისი ძე, გიორგი. შევიდნენ თბილისში, სადაც მიეგებნენ საქართველოს მთავრები და ერისთავნი და ვინმე შადინი, სომეხი, რომელსაც ჩაბარებული ჰქონდა თბილისი და თვით მეფობაც. არლუნმა დიდძალი ძლუნეი მიართვა გიორგის. მათ მცირე ხანს დაჰყვეს ქალაქში. შემდეგ წავიდნენ ეჯინთან და მივიდნენ ურდოში. პირველად ენუქმა გიორგი მიუყვანა ეჯინის ცოლს, ტონლუზ-ხათუნს, რომელიც იყო კონსტანტინოპოლის ხელმწიფის ასული, [245] რჯულით ქრისტიანი და მართლმადიდებელი. ამიტომაც ტონლუზ-ხათუნი პატივს სცემდა ენუქ არქუნს, რომელიც ასევე ქრისტიანი იყო.

როდესაც ნახა ტონლუზ-ხათუნმა ყრმა, შეიყუარა იგი სიკეთისა და სილამაზის გამო. შემდეგ წაიყვანეს ჭაბუკი ყაენთან და მანაც კარგად მიიღო იგი, პატივიც სცა და ასე პატივცემულმა დაჰყო ერთი წელიწადი. ყაენმა მისცა მას მთელი მისი სამეფო და გააგზავნა შიკრიკი, რომ დავითი ეჯინთან მისულიყო. მაგრამ მეფემ ხოჯა-აზიზის მისთვის არ მიცემა მოიმიზეზა: „თუ არ მომცემთ მას, რომ მოვკლა, არ მოვალ ურდოში“. ეს არლუნმა მოახსენა ყაენს. ყაენი გაბრაზდა, რადგან არ ემეტებოდა ხოჯა-აზიზი სასიკვდილოდ. ამიტომაც უთხრა ყაენს არლუნმა: „მეფე აღარ დაბრუნდება შენს სამსახურში, იგი ამაოდ გვაშრომებს. მე გირჩევ, მოკალი მისი ძე და გამავზავნე მე მის წინააღმდეგ საბრძოლველად და შეკრულს მოვიყვან შენ წინაშე.“

ყაენმა დაუჯერა და დაავალა კაცებს მოეკლათ მეფის ძე და ყველა, ვინც მას ახლდა. როგორც კი გაიგო ეს ამბავი ენუქ არქუნმა, ადგა და მაშინვე მივიდა ტონლუზ-ხათუნთან და შეატყობინა. ტონლუზ-ხათუნი და ენუქ არქუნი მივიდნენ ყაენთან და ტონლუზ-ხათუნმა მოახსენა: „დიდო, მაღალო ხელმწიფეო, ყაენო, რა უსამართლო ბრძანება გაგიცია – სიკვდილი მეფის ძისა და მის მსახურთათვის? შენ არ იცი, რომ იგი წინასწარმეტყველთა, რომელთაც ღმერთი ელაპარაკებოდა და ბრწყინვალე და გამორჩეული გვარის შთამომავალია? შენ ის ფიცით მოიყვანე აქ. მე და ენუქ არქუნი სიკვდილს ვირჩევთ და აჰა, ჩვენ მოგვკალი მეფის ძის ნაცვლად. ისიც იცოდე, რომ შენი ძმა ბათო ყაენის შვილს მრავალ მოციქულს უგზავნის და დიდ საჩუქრებს აძლევს, რათა მისცეს მას დარიალანისა და დასავლეთის გზა, რადგან ორივე მის ხელთაა. და იმასაც გეტყვი, რომ ერთი მოხუცი სპარსი ვაჭრის გამო [246] დიდ ხელმწიფეს მტრად ნუ გაიხდი, რადგან თუ ბათო ულუსი და მეფე შეერთდებიან, დიდი უბედურება იქნება.“

როცა ეს გაიგონა ულომ, გაოცდა, მაშინვე მოიყვანა გიორგი, დიდი პატივი სცა, შემოსა ბრწყინვალე სამოსლით, მისცა იგი ტონლუზ-ხათუნსა და ენუქ არქუნს და თქვა: „აჰა, ძე მეფისა, მტკიცე ფიცს გაძლევთ, არას ვავნებ დავითს, მხოლოდ პატივით მოვეპყრობი. შენ, ენუქ, როგორც შენ და ტონლუზ-ხათუნს გენებოთ, ისე მოიქეცით. ნადი, ენუქ, წაიყვანე მეფის ორივე ძე, ასევე გვანცა დედოფალი და მომიყვანე დავითი.“ როცა ეს გაიგეს, გაიხარეს, თაყვანი სცეს და მოახსენეს: „თუ მოგვცემ ხოჯა-აზიზს და არ მოვიყვანთ დავითს, ჩვენ ვიქნებით დამნაშავე. თუ არ მოგვცემ ხოჯა-აზიზს, დავითი არ მოვა.“ თუმცა მეტად უმძიმდა, არლუნმა მაინც მისცა ხოჯა-აზიზი. წამოიყვანა იგი ენუქმა. ტონლუზ-ხათუნმა „წიგნი ფიცისა“ მისწერა მეფეს: „არ ევნოს ყაენისაგან. თუ იგი ურდოში მოვა, პატივით მიიღებს და სამეფოს მთლიანად მისცემს.“

წამოვიდა ენუქ არქუნი, მოვიდა თბილისში და თან მოიყვანა მეფის ორივე ძე. მან მოციქული გაუგზავნა მეფეს და აუნყა ყოველივე. წამოვიდა მეფე და დადგა ქვიშხეთის ბოლოსა და სურამს შორის. მან მოიხმო არქუნი და ისიც მოვიდა, მოიყვანა ორივე მისი ძე, მიაართვა „წიგნი ფიცისა“ და მოჰგუარა ხოჯა-აზიზი. როგორც კი ნახა მეფემ, ბრძანა მისთვის თავის მოკვება. და მოჰკუეთეს და გაგზავნეს თავი თბილისში, აღმართეს ძელი და ჩამოჰკიდეს თავი ხოჯა-აზიზისა. მეფე კი წაჰყვა ურდოში ენუქს. მიეგებნენ მას მისი ქვეშევრდომნი და წარემართნენ ისინი ურდოსკენ.

მეფეს თან ნაჰყვა სარგის, ციხისჯვარელი ჯაყელი, დიდად დამსახურებული კაცი. იგი მეტად ღირსეულად მოიქცა, როცა მეფის თბილისში ყოფნის დროს მოვიდა ყაენისაგან გამოგზავნილი ელჩი, რომელმაც ყაენის სიტყვები გადასცა: „მეფეს შევიდობ, ხოლო პაპა სარგისს არა.“ [247] სარგისს არ მოეწონა ეს ბრძანება და მეფემ მას უკან დაბრუნება შესთავაზა. მაგრამ სარგისი არ დაემორჩილა და უთხრა: „ნუ დამაბრუნებ შინ. თუ ჩემი ცოდვების გამო ცუდი რამ შეგემთხვევა მონღოლთაგან, ყველა იტყვის: „სარგისის რჩევით განუდგა მეფე მონღოლებს და ახლა ის შინ დაბრუნდა და მეფე გააგზავნა მოსაკლავად ყაენთან“. ღმერთმა ნუ ქნას ესე, რადგან ამით შერცხვება ჩემი გვარი. მაგრამ თუ მომკლავენ, თქვენ ნაცვლად მომკლან, ხოლო თუ გადავრჩები, თქვენთან ვიქნები.“ მეფე იმდენად მადლობელი იყო, რომ ქუაბულიანი, სამცხის ერთი თემი და ტბეთის ერთი საყდარი შავშეთში სიგელით მამულად უბოძა.

ნავიდნენ ურდოში და მივიდნენ ულო ყაენთან ბარდავში, რომელიც მისი საზამთრო სადგომი იყო. მათ არ იცოდნენ, რას უპირებდნენ. რამდენიმე დღის შემდეგ ყაენმა მოიხმო მეფე და მთავრები და იკითხა, თუ რა იყო მეფის განდგომის მიზეზი. ყველას ეგონა, რომ მეფეს და მის დიდებულებს სიკვდილით დასჯიდნენ და ევედრებოდნენ ღმერთს და მეტყვითა ყოვლადნმიდა ღვთისმშობელს, რომელსაც მინდობილი იყვნენ. შევიდნენ ყაენთან, მან კი თავისი ხელით მიართვა დიდი ოქროს თასით ღვინო, როგორც იყო ყაენთა წესი. მეფე და მისი მთავრები მუხლმოყრილნი ისხდნენ. ჰკითხა მას ყაენმა: „რატომ გადამიდექი და ჩემს ბრძანებას რატომ აღარ დაემორჩილე და არღუნს შეებრძოლე? დიდი სიკეთე არ გამიკეთებია შენთვის? დაკარგული და სასიკვდილოდ განწირული გველებიანი ჯურღმულიდან ამოგიყვანე და მეფედ დაგადგინე.“

მეფეს რაკი არ ჰქონდა პასუხი, მოიხედა უკან სარგის ჯაყელისკენ, თითქოს იგი იყო არღუნის წინააღმდეგ გამოსვლისა და მონღოლთა განადგურების მიზეზი. მეფემ სარგისი მბრძღვინავი ლომის წინაშე დატოვა. მაგრამ სარგისი არ შეშინდა, უშიშად ადგა და წარდგა ყაენის წინაშე. მან განწირა თავი, რათა იგი მოეკლათ მეფის მაგივრად და მუხლმოყრილმა თქვა: „მე ვარ, დიდო ყაენო, ის, ვინც შეება არღუნ ალას.“ ხოლო [248] მან ჰკითხა: „პაპა სარგის, შენ ხარ?“ მონღოლები მას პაპა სარგისს უწოდებდნენ. მან თქვა: „მე ვარ.“ ყაენმა უთხრა: „რისთვის განაყენე მეფე ჩემგან და არღუნს შეები?“ სარგისმა არ იცოდა მონ-

ლოლური ენა. ამიტომ წამოაყენეს სადღუნი თარჯიმნად. სადღუნი ძალიან უყვარდა ულოს და დიდ პატივს სცემდა, რადგან იგი იყო გონიერი, კარგი მოსაუბრე და ყაენის წინაშე მარჯვედ მეტყველი.

სარგისმა მიუგო: „დიდო ყაენო, მიზეზი ის იყო, რომ ხოჯა-აზიზმა წაართვა დავითს მეფობა, ქალაქები და სოფლები, მან დაიკავა ეკლესიები, ციხეები დაარღვია. ბედნიერო ყაენო, ვერავინ გაგაგონებდა ამ უსამართლობას, რადგან მან ქრთამით შეკრა შენთან შემოსასვლელი კარი. ამ მიზეზით წავიყვანე მე მეფე, რომ ბედნიერ ყაენს ეკითხა მიზეზი, როგორც ახლა კითხულობ. ესეც იცოდე, ყაენო, რომ სპარსელები ძველთაგან ქართველთა მტრები არიან. იმიტომ შეგები არღუნს, რომ ხოჯა-აზიზს ვერ დავათმობინეთ ის უსამართლობა, რასაც ის მეფის მიმართ ჩადიოდა. ყაენო, მეფე უდანაშაულოა. მე ვარ ის კაცი, ვინც მეფე თქვენი კარისგან განვაცენე.“ და ბევრი ისაუბრეს მათ, მაგრამ ახლა არ არის ამის თქმისა და დანერის დრო. და მეფემაც ბევრი რამ თქვა და ენუქ არქუენმა და დიდმა ნოინმაც. სადღუნი კარგად თარგმნიდა და ალამაზებდა მეფის ნათქვამს, რადგან მეფე ცოტა ენამძიმე იყო, მანკაბერდელი სადღუნი კი კარგი მოსაუბრე. ყველა მოელოდა მეფისათვის ცუდ განაჩენს და სარგისის სიკვდილს.

მაგრამ ღმერთმა მოუვლინა წყალობა მის მოიმიდეებს და დაიცვა, როგორც ყოველთვის იფარავს ხოლმე. და როცა მეფე და ყაენი საუბრობდნენ, მოვიდა დარუბანდიდან გზის მცველი, რომელსაც ყაფულს უწოდებდნენ. ჯერ არ ჰქონდათ დასრულებული ლაპარაკი, რომ შევიდა იგი ყაენთან და მოახსენა: „არ არის ლაპარაკის დრო, რადგან დაიძრა დიდი ყაენის, ბათუს ულუსი და მისი შვილი, ყაენი ბერქაი და მოდიან დარუბანდის გზაზე მეტად დიდი ლაშქრით.“

[249] გაიგონა რა ეს, ყაენმა მაშინვე მოუწოდა თავის ჯარს და ისიც მყის შეიკრიბა მასთან. წამოვიდნენ საომრად. როცა ორივე ჯარი მიუახლოვდა ერთმანეთს, შეევედრა მეფე ყაენს, რათა იგი და მისი ჯარი ყოფილიყო წინამძღოლი (წესიც იყო ქართველთა წინამძღოლობა). ყაენი დაეთანხმა და დანიშნა მეფე წინამძღოლად. მეფე ყაენის მახლობლად უნდა დამდგარიყო. ხოლო სარგის ჯაყელი თავის წინ დაიყენა. რაზმთა დამწყობელმა განაჩინა მარცხენა და მარჯვენა და დაიძრნენ. ამ დროს მოხდა ისეთი რამ, რომ რაზმებს შორის გამოხტა შველი, რომელიც აბჯარასხმულმა სარგისმა მოკლა. ცოტა გაიარეს და მელა მოკლა ისრით, ისიც სარგისმა, შემდეგ კურდღელი მოკლა. ეს სამივე ულო ყაენმა ნახა და დიდად შეაქო სარგისი და მრავალ სიკეთეს შეჰპირდა.

დაუახლოვდა ერთმანეთს ორივე ჯარი. გამოჩნდა ერთი სახელოვანი მათ შორის, რომელიც დიდ ყაენს, ბერქას გამოეგზავნა. თვით ყაენი არ წამოსულა. ეს კაცი მიუახლოვდა მეფე დავითს, რამაც დიდად შეანუხა მეფის ჯარი, რადგან იყო იგი დიდი და ძლიერად და უცთომელად მოისარი. მეფემ ამოიღო მშვილდი ქარქაშიდან, ჰკრა მის ცხენს მკერდზე და გული გაუპო. გახარებულმა ქართველებმა შეჰყვირეს და შეუტიეს. იყო ძლიერი და ფიცხელი ომი შაბურანის ველზე. ძლიერად იბრძოდა მეფე და მისი ჯარი. სარგის ჯაყელმა სახელოვნად იბრძოლა ყაენის წინაშე, რამაც მეტად გააოცა ყაენი. გაგრძელდა ყველგან ბრძოლა და ორივე მხრიდან ურიცხვი დაიღუპა. გარბოდა ბერქას ჯარი და მისდევდნენ ძლიერად. ასეთი რამეც მოხდა: ლაშქრის დევნისას ულო ყაენი ოთხ კაცთან ერთად ერთ მცირე ბორცვზე დარჩა. როგორც კი ეს დაინახეს, შვიდმა რჩეულმა მეომარმა შეუტია მას. ეს დაინახა სამი კაცით მიმავალმა სარგისმა, შეუტია იმ შვიდს და სამი კაცით შეება. ოთხი დახოცეს სარგისმა და მისმა აზნაურებმა, ხოლო სამმა გაქცევა მოახერხა. ულო ყაენმა თავისი თვალთ რა იხილა სარგისის ვაჟკაცობა, [250] გაიხარა და დაედევნა ბერქას ჯარს დარუბანდის კარამდე. და გაიარეს დარუბანდიც და სამი დღე სხვებსაც სდიეს. ასე გამარჯვებულნი და სახელოვანნი მივიდნენ ბარდავში. მეფეს და მის ჯარს დიდი პატივი მიაგო და მრავალი საჩუქარი მიართვა. სარგის ჯაყელს კარნუქალაქი და შემოგარენი მიწები უბოძა წყალობის წიგნით.

მაშინ შეშურდათ მისი ზოგიერთ მტრებს და უთხრეს მეფეს: „ახლა მეფობაც მიეცი სარგისს, რადგან იგი ისე განადიდა ყაენმა, რომ შენი მეფობის მორჩილი აღარ იქნება.“ დაიჯერა მეფემ, რადგან იყო გულუბრყვილო და ადვილად დამჯერი როგორც კარგის, ისე ცუდის. წავიდა იგი ღამით ელგონ ნოინთან და მოახსენა: „თუ ყაენი სარგისს კარნუქალაქს მისცემს, მაშინ მეფობაც მისცეს.“ ელგონ ნოინს გაუკვირდა და უთხრა: „ყაენმა მას კარნუქალაქი იმიტომ მისცა, რომ შენ დაგეხმარა. თუ შენ არ გინდა, არ მისცემს. თქვენ ქართველები სიკეთეს არ უკეთებთ მამაც მებრძოლებს. არ იცი, რომ ყაენი სარგისმა იხსნა მტერთაგან, რომ იგი ძლიერ სახელოვნად იბრძოდა?“ წავიდა ნოინი და მოახსენა ყაენს ყოველივე, რაც ითქვა და აღარ მისცეს სარგისს კარნუქალაქი. როცა ეს გაიგო, სარგისი გულნაკლული და მტერი გახდა თავისი პატრონისა. იმ ზამთარს ყაენმა მეფე ბარდავში დატოვა. გულმოკლული სარგისი კი სამცხეში წავიდა.

ამ დროს განუდგა ულო ყაენს შანშეს ძე ზაქარია ამირსპასალარი, კაცი შემკული ყოველივე სათნოებით და გამოჩენილი. იგი გაიქცა ქუთაისში ნარინ დავითთან, „რადგან ბერქას ლაშქარი მოდის ჩემ წინააღმდეგ“. მეფე დავითმა კარგად მიიღო, დაჰყო მან იქ მცირე ხანს. მერე კი ყაენმა ფიცით მიიყვანა, მაგრამ არ დამშვიდდა ულოს გული და მოკლა ზაქარია ამირსპასალარი, კაცი პატიოსანი და სახელოვანი. როცა ეს გაიგო დიდმა შანშემ, მისმა მამამ, მწუხარებით ისიც აღესრულა. ხოლო გვანცა, ავაგის ყოფილი ცოლი, მოკლეს, როცა ის [251] მონღოლებთან იყო. ამბობენ, მისი ქალიშვილის, ხვაშაგის რჩევით. ხვაშაგი იყო საჰიბ დივანის, ხოჯა შამშადინის ცოლი. მეფე რაკი უცოლო იყო, იქორწინა ქალზე, სახელად ესუქნზე, რომელიც იყო დიდი ჭორომადო ნოინისა და დიდი სირმა ნოინის და⁶⁷ და წავიდა თბილისში და დიდი ქორწილი გადაიხადა.

იმ დროს გადმოვიდნენ ბერქა ყაენისგან ლტოლვილები – საოცარი ქალი, სახელად ლიმაჩავი. მან მოიყვანა მცირეწლოვანი შვილები, გვართ ახასარფაკიანები, უფროსი – ფარეჯნ და უმცროსი – ბაყათარ და სხვა თავადები. მათ გამოიარეს დარუბანდის კარი და მოვიდნენ მეფესთან. მან პატივით მიიღო ისინი და წარავლინა ულო ყაენთან. ყაენმა კარგად მიიღო ისინი, უბოძა ხარაჯა და მოლაშქრეებად და თანამებრძოლებად დანიშნა. შემდეგ კვლავ მეფესთან გამოგზავნა. მეფემ ზოგი დმანისში დაასახლა, სხვები – ჟინვანში.

როცა მოვიდა შემოდგომა, წავიდა ყაენი შარვანშაში, საქართველოს საზღვართან. ამ ადგილს ეწოდებოდა ჩალანუსუნი, იგივე თეთრი წყალი. შეკრეს ღობით წყლის პირი, რომელსაც სიბას⁶⁸ უწოდებდნენ. ეს კი იმიტომ გააკეთეს, რომ ყაენი ბერქა ყაენის შემოტევას ელოდა. ამ დროიდან დაიწყეს სიბაზე დგომა მონღოლებმა და ქართველებმა შემოდგომიდან გაზაფხულამდე. გაზაფხულზე კი მიდიოდნენ საზაფხულო ბანაკებში. მოხდა ისიც, რომ ყაენთა ზემოხსენებული შვილები, ულოსთან გაგზავნილები – ხუთარ, ყული და ბალაღა, შეიპყრო და სამივე მოკლა ულო ყაენმა, ხოლო მათი ქვეყანა და სიმდიდრე დაიპყრო. როცა გაიგეს თავისი პატრონების სიკვდილი მათმა ოჯახის წევრებმა, რომელნიც საბერძნეთში იყვნენ, მათი თავი იყო ვინმე ალათემური, სახელოვანი კაცი, აიყარეს ბარგით და ოჯახებით და გაიქცნენ [252] სამცხისკენ. ულო ყაენის მონღოლებმა როცა გაიგეს ალათემურის გაქცევის ამბავი, დაედევნენ და დაეწინენ. ისინი მობრუნდნენ და შეებნენ და მრავალი

მოკლეს ულოს ლაშქრისა. და სიტყვა რომ არ გამიგრძელდეს, ვიდრე კოლის მთამდე მოვიდოდნენ, თორმეტჯერ დაენივნენ და თორმეტჯერ შეებნენ და თორმეტჯერვე ალათემური მოერია და გააქცია. ამგვარად მიაღწიეს ქვემო არტანს, სოფელს, რომელსაც ეწოდება გლინავი. იქ დახვდათ მურვან გურკელელი, მახუნჯაგის ძე, რომელიც სანადიროდ მიდიოდა და მონღოლებმა შეიპყრეს და კინალამ მოკლეს. მურვანი კი შეევედრა, ოღონდ არ მოეკლათ, ლიხთ-იმერეთში აღუთქვა წაყვანა და ამგვარად გაშვება მათი ბერქა ყაენთან. მონღოლებმა დაუჯერეს. წამოიყვანა მონღოლები სამცხეში, გურკელის ქალაში და დაასმინა: გაგზავნა კაცი და შეატყობინა სარგის თმოგველს და შალვა ბოცოს ძეს, და ყველა მესხს და სარგის ჯაყელის ლაშქარს, რათა შეკრებილიყვნენ ერთად და შეეპყრათ ალათემური და მიეგვარათ იგი ულო ყაენისთვის. მაგრამ გაიგო ეს ალათემურმა, აიყარა ბარგით და ოჯახებით, გამოიარა მტკვარი და წავიდა ჯავახეთისკენ, შემოიარა ელასის შემოღმართი, მივიდა ოშორას ქვემოთ, ადგილზე, რომელსაც ეწოდება ლერძავნი. სარგის თმოგველმა და ბოცოს ძემ იხილეს რა ალათემური, მოერიდნენ და ლაშქარი ერთ მხარეს მისდევდა, ხოლო მურვან გურკელელი სწორ კვალზე მიჰყვებოდა. დაენია გურკელელი მცირე ლაშქრით, რადგან ბოცოს ძე და სარგისის ლაშქარი არ მოვიდნენ მათ დასახმარებლად. ძლიერი შეტაკება იყო და სძლიეს მონღოლებმა და მრავალი ტაძრის აზნაური მოკლეს და გურკელელი გაიქცა. ხოლო მონღოლებმა გაიარეს ჯავახეთი და თრიალეთი და რუსთავში მტკვარზე გადავიდნენ, მრავალგან დაენივნენ ქართველებს მონღოლები და სომხითართა ლაშქარი. ყველაფრის მოყოლის დრო არ არის, ყველგან ალათემური იყო გამარჯვებული. გაიარეს კამბეჩიანი, კახეთი, ჰერეთი, ყველგან ომით და წავიდნენ ბელაქანის გზით. შევიდნენ ლუნძეთში, რადგან მათ წინააღმდეგ გამოვიდა ლუნძთა მეფე და სძლიეს მონღოლებმა და გამარჯვებულები [253] მივიდნენ ბერქა ყაენთან. ასეთი საკვირველი საქმე ქნეს მათ. და სადაც დარჩნენ მონღოლები, იმათ აღნარდომებს ანუ უფროსებს უწოდებდნენ. გამძვინვარებული ბერქა მოემზადა საომრად. ამათ კი, როგორც ვთქვი, წყალზე ღობე შეკრეს და იქ იზამთრებდნენ.

ამ საქმეში უდანაშაულო იყო მეფე: გაძლიერდა ბასილი ქყონდიდელი და უჯარმელი და იწყო ქვეყნის მართვაში ჩარევა მეფის უკითხავად. მეფის იმერეთში ყოფნის დროს დიდი ზიანი მიაყენა სამეფო მამულებს, რომ-

ლებიც თავისად მიაჩნდა. გარდა ამისა, ამბობდნენ, რომ ესუქნთან სასიყვარულო კავშირი გააბა. ამიტომაც დაასმინეს მეფესთან, რომელმაც სასწრაფოდ მოიყვანა ბასილი და ბრძანა მისი ძელზე ჩამოკიდება. მართლაც ჩამოჰკიდეს ბასილი შუა ქალაქში ძელზე, რადგან მეფე იყო ადვილად დამჯერი და გულუბრყვილო. როცა მოვიდა შემოდგომა, კვლავ წავიდა ყაენი სიბაზე და მეფეც მას გაჰყვა. მოვიდა გაზაფხული და ყაენი საქოში წამოვიდა, ხოლო მისი ძე, თანქუში გელაქუნში, რადგან მას გელაქუნში ჰქონდა საზაფხულო ბანაკი და მეფე თან წაიყვანა. მეფე შეევედრა თანქუშს, რათა ეთხოვა ულო ყაენისათვის გაეშვა მეფე თავის სამეფოში. იგი დაეთანხმა და გააგზავნა კაცი საქოში. მაგრამ როცა მივიდნენ საქოში, ულო ყაენი გარდაცვლილი დახვდათ. მაშინ ხათუნებმა და ნოინებმა თხოვეს თანქუშს გაეშვა მეფე თავის სამეფოში. გამოუშვეს მეფე და მოვიდა ის თბილისში და განაგებდა ქართლის და სომხეთის საქმეებს.

ხოლო ნოინებმა დასვეს ტახტზე ულოს უფროსი ძე, აბალა, კაცი კეთილი, უხვი, მონყალე, ტკბილი, თავმდაბალი, განმკითხველი, სამართლიანი, გლახაკთომწყალე და ისეთი შემნდობელი, რომ თუ ვინმე დიდ ბოროტებას ჩაიდენდა, არ მოკლავდა და ამბობდა: „მთელი ქვეყნიერების მპყრობელად დავუდგენივარ ღმერთს და რასაც ვერ მივცემ, არც წავართმევ.“ [254] მრავალჯერ წაიღეს ქურდებმა მისი საგანძური, მაგრამ მან არ მოკლა და ამბობდა: „მე არ მაკლია სიმდიდრე, წაიღონ გლახაკებმა, რადგან მათ არა აქვთ და იმიტომაც იპარავენ.“ იგი იყო ყველას მიმართ უბოროტო და კეთილი. აბალა ყაენმა დანიშნა მხედართმთავრად გამოჩენილი მეომარი, სახელად აბათა, ურდოსა და თავისი სახლის მოურავად – ზემოხსენებული ჭორმალონის შვილი, სირმონი, კაცი გამარჯვებული და სახელოვანი მეომარი. აბალას წინაშე მყოფნი მექრთამეები იყვნენ, ამიტომ მან გამოარჩია ერთი მონყალე და სამართლიანი, მმარხველი და მლოცველი, ქრისტიანთა და ეკლესიათა და ღვთისმოსავთა მოყვარე კაცი, სახელად აღუბაღა. ეს კაცი დანიშნა უმწეოთა და გლახაკთა განმკითხველად. მან არ გამოცვალა ულო ყაენის დროს პატივში მყოფი ნოინები, თუმცა მათი უმეტესობა უკვე გარდაცვლილი იყო, როგორც ელგონ ნოინი და სხვა მრავალი.

ამ აბალასთან წავიდა მეფე დავითი და დიდი პატივით მიიღო აბალამ. და დაემორჩილა აბალას ყველა მონღოლი, მამამისის, ულოს მთელი საბრძანებელი.

იმ დროს ყაენი ბერქა აურაცხელი ლაშქრით გამოვიდა დარუბანდის გზაზე ხუთარესის, ბალალასა და ყულის საქმისათვის შურის საძიებ-

ლად. ეს რომ გაიგო, აბალა ყაენმა მოუწოდა თავის ჯარს და მეფე დავითს და წავიდა შესახვედრად. მაგრამ როცა ნახა ბერქას ჯარის ძლიერება და სიდიდე, აღარ გადავიდა მტკვარზე, მაგრამ დაიკავა ნაპირი, ყველა გასასვლელი, დაგეგმა ყოველივე⁶⁹ და დააყენა ლაშქარი იქ, სადაც მტკვარი და რახსი უერთდება ერთმანეთს, და იქიდან მცხეთამდე. ბერქამ მოაოხრა შირვანი, ჰერეთი, კახეთი და მთელი იორის პირი და მოვიდა თბილისამდე. მონღოლებმა მრავალი ქრისტიანი მოკლეს. ბერქა გარეჯის მთაში დადგა. მაშინ მოხედა ღმერთმა ამ ქვეყანას და აბალა ყაენის წყალობით – ბერქას სენი შეეყარა და მოკვდა. როცა ნახა მისმა ჯარმა ყაენის [255] სიკვდილი, წაიღეს მკვდარი და გაიარეს დარუბანდის კარი. ასე დამშვიდდა ეს ქვეყანა.

მაგრამ მონღოლებს მაინც ჰქონდათ ბერქას ლაშქრის შიში და ამიტომ ყოველ შემოდგომაზე ისევ სიბაზე მიდიოდნენ. როცა მოვიდა სიბაზე წასვლის დრო, მეფემ მოუწოდა თავის ჯარს და სარგის ჯაყელციხისჯვარელს. როცა მივიდა სარგისი თბილისში, მეფემ მოიხმო იგი სასახლეში, დაივიწყა მისი დამსახურება, შეიპყრო იგი და დაატყვევა, რადგან მეფეს უკეთურმა ადამიანებმა უთხრეს, რომ სარგისი ყაენს განუდგა. სარგისთან ერთად მოსული აზნაურები წავიდნენ ყაენთან და მოახსენეს აბათა ნოინს, რათა მას გაერკვია მეფის მიერ სარგისის დაჭერის საქმე და თხოვეს აბალა ყაენისთვის მოეხსენებინა.

აბათა ნოინი მივიდა ყაენთან და შეევედრა ეხსნა სარგისი დავით მეფისაგან. მაშინვე შეისმინა ყაენმა აბათა ნოინის ვედრება და ელჩი გამოაგზავნა თბილისში, რომელიც მოვიდა თბილისში და წაიყვანა სარგისი და მიჰგვარა აბათა ნოინს. და მას შემდეგ ჯაყელები ულუსის მორჩილნი გახდნენ, ვიდრე მეფეთა შორის ბრწყინვალე და სახელოვანი დიდი გიორგის დრომდე.

მეფე ჯერ წასული არ იყო სიბაზე, როცა მის უფროს ძეს, გიორგის შეეყარა მუცლის დაავადება. გიორგი სიკეთით სავსე იყო. ავადმყოფობა ისე დიდხანს გაგრძელდა, რომ მკვდარი გეგონებოდა და იყო უძრავად, სულთმობრძავი. მეფე და მთელი საქართველოს მკვიდრნი მწუხარებასა და სასონარკვეთილებას მოეცვა. მეფეს მოაგონდა დმანისის ღვთისმშობელი და წავიდა და თვით ნახა, როგორ მოჰყვებოდა მას ფეხშიშველი ხალხი, მხურვალე ცრემლებით წყალობას ევედრებოდა. შეისმინა მათი ვედრება წმინდათა შორის უწმინდესმა ღვთისმშობელმა და როგორც კი შეეხო, თვალები გაახილა და [256] როგორც უვნებელი წამოჯდა. ნახეს

რა ეს მეფემ და საქართველოს მკვიდრთა, გაუკვირდათ ეს მოულოდნელი საოცრება და ადიდებდა ყველა ღმერთს.

კვლავ წავიდა მეფე სიბაზე და მისი იქ ყოფნის დროს უკვე წამოსვლისას, დასწულდა მეფეც იმავე მუცლის დაავადებით და ვერ განკურნეს მკურნალებმა. წამოიყვანეს იგი საკაცით და როცა მიუახლოვდა მარტყოფს, მივიდა ხელთუქმნელ ხატთან, რომელიც თვით გამოისახა ტილოზე, ხატის მიერ თიხაზე. ბრძანა მიყვანა მარტყოფის ხატთან და ევედრა ცრემლით და განკურნა ხატმა, როგორც უფლის მიერ საკაცეზე მდებარე. და ასე ჯანმრთელი მივიდა თბილისის სასახლეში და იყო იქ მშვიდად. მხოლოდ ის აწუხებდა მეფეს, რომ მონღოლთა შიშით ვერ ცვლიდა მთავრებს და ერისმთავრებს. ამბობენ იმასაც, რომ როგორც სოლომონ ბრძენი, ესეც სიბერეში ღვთის წინაშე არ იყო მართალი. მონღოლთა ომებში მონაწილეობისაგან მოუცლელმა მეფემ დაიწყო საეპისკოპოსოების დაშლა, რომელნიც სანატრელ მეფეებს შემოსავლად ეჩუქებინათ, ასევე მონასტერთა მიწებსაც გასცემდა. სხვა ბოროტებაც აღადგინა მტერმა, რომლის თქმაც არ ღირს და იმძლავრა მასში ბოროტებამ სიბერეში, ისე, როგორც სოლომონს დაემართა ეს. ამიტომაც ღმერთმა იგი არა ჩვენებით გამოსცადა, არამედ მოუვლინა მას სიკვდილი ძისა, რადგან უგუნურნი ვართ ადამის მოდგმისანი. ადამიანის გული მიდრეკილია სიბოროტის მიმართ, რაც წერია კიდევ: „არა ინებეს შეგონებად, არამედ გარდავწყედით ცხოვრებასა ჩუენსა, და ყოველნი ვართ ამაოებასა შინა,“ „ამაოება ამაოებათა და ყოველივე ამაო არს“ – ამბობს ეკლესიასტე და ყოველივეს, მზის ქვეშ მყოფს, ამაოებას მისცემს.

ჩვენ კი, მცირედ გადავუხვიეთ გზას. ახლა დავუბრუნდეთ თხრობას. როცა მოვიდა სიბაზე წასვლის კვირა, მეფე კვლავ წავიდა. მისი იქ ყოფნის დროს დასწულდა კვლავ მისი ძე გიორგი. მეფეს მისი იმედი ჰქონდა თავის საბრძანებელში. გიორგი სისხლის დენისაგან გარდაიცვალა და დაუტოვა აუნერელი მწუხარება მთელ სამეფოს, დიდდანი პატარამდე. ჭაბუკი გიორგის გვამი სიონის საყდარში დაასვენეს, რათა მეფეს დალოდებოდნენ. [257] მცირე ხნის შემდეგ მოვიდა მეფე თბილისში და რაკი არავინ მიეგება მას გარდა რამდენიმე მოქალაქისა, თავზარდაცემული მივიდა სასახლეში, სადაც დახვდნენ შავით მოსილი ჯარისკაცები და ვეზირები. როცა აუწყეს მეფეს გიორგის სიკვდილი, მყის მკვდარივით დაეცა. იგი ხელში აყვანილი შეიყვანეს სასახლე-

ში და ძლივს მოვიდა გონზე, რადგანაც თუ იღუპება სული, მაშინვე გონებაც ისპობა; ხოლო თუ იღუპება გონება, სული მასთან ერთად არ ისპობა – ასე ამბობს პოეტი. უზომო ტკივილმა მოიცვა მეფე. მან დაკარგა საყვარელი შვილი, თვრამეტი წლის ულამაზესი ქაბუკი, მამაცი, დასრულებული მხედარი. ეს ყველაფერი ტკივილს უორმაგებდა. დიდი ტკივილით გოდებდა და სიკვდილს ნატრობდა, როცა ნახა თავისი ულამაზესი, მშვენიერი ძის, გიორგის უფერული, უმოძრაო გვამი. მას მთელი ერი იგლოვდა. ტირილით წაიღეს მისი გვამი მცხეთაში და იქ დაკრძალეს და დაბრუნდნენ მწუხარებით სავსენი. იმდენად დიდი იყო მეფის ტკივილი საყვარელი შვილის სიკვდილის გამო, რომ მას შემდეგ აღარ გაუხარია, მრავალმა სენმა მოიცვა და დაუძლურდა, თუმცა ყაენ აბალას მაინც ემონებოდა, რადგან მას სხვა გზა არ ჰქონდა.

მაშინ დაიწყო გაძლიერება სადუნ მანკაბერდელმა, რომელიც ადრე ულოს მოეწონა ჭიდაობის გამო. ყაენ აბალას დროსაც პატივში იყო და დიდი საპიბ დივანი სწყალობდა, რადგან მისი ცოლის, ავაგის ასულის, ხვაშაგის ეჯიბი იყო. მეფე დავითსაც ებოძებინა მისთვის მრავალი მამული.

იმ დროს დაიწყო განხეთქილება მონღოლებს შორის, რადგან აბალა ყაენს განუდგა თეგუდარ ყაენი, ბარახას უმცროსი ძმა. იგი იყო ზემოხსენებული ჩინგიზ ყაენის შვილის, ჩალატა ყაენის ნათესავი, რომელსაც ეკუთვნოდა თურანის ქვეყანა [258] და დიდი თურქეთი. ეს ბარახა ყაენი იყო თურანში და გამოგზავნა თავისი ძმა, თეგუდარი, რათა ხარკი, რომელიც მას აღარ ეძლეოდა, როგორც ზემოთ ითქვა, თეგუდარს აეღო. თეგუდარი მივიდა ოცი ათასიანი ლაშქრით. მიიღო იგი აბალამ და მიუჩინა ზაფხულის ბანაკად არარატის მთა, ხოლო ზამთრისად – რახსის პირი და ნახჭევანი.

იყო იქ თეგუდარი, მაგრამ შეშურდა მას აბალას ყაენობა და შეუთვალა თავის ძმას, ბარახა ყაენს, რომელიც ჯვონს იქით იმყოფებოდა: „რად ვაძლევთ ყაენობას და ამ ქვეყანას დიდ აბალას! წამოდი შენ, მე აქედან შემოგიერთდები და შევმუსროთ ორივემ აბალა და დავიპყროთ მისი ქვეყანა.“ მან ასეთი ეშმაკობა მოიფიქრა: ისრის თავზე ღრუ გააკეთა, სამი სარი შეანება სპილოს ძვლით და მათ შორის ჩადო წერილი, რადგან მონღოლებს ძველთაგანვე ყველგან გზის მცველები ჰყავდათ, რომელნიც მგზავრებსაც ამონებდნენ და შიკრიკებსაც. როცა მივიდა თეგუდარის შიკრიკი ბარახა ყაენთან, მოეწონა მას თეგუდარის განზ-

რახვა და შეუთვალა შეკრებილიყვნენ ერთად და დაემხოთ აბალა ყაენი და ძალაუფლება ხელში ჩაეგდოთ. ბარახამ დანიშნა დრო, როცა თეგუდარი უნდა განდგომოდა აბალას, ბარახა კი თავისი ჯარით ჯეონზე უნდა გამოსულიყო. მაგრამ უზენაესმა განგებამ განაქარვა მათი განზრახვა და დაიცვა აბალა თავისი უმანკოების, გულწრფელობისა და სამართლიანობისათვის. მნიგნობარმა, რომელმაც ეს წერილი დანერა, დაუშვა შეცდომა და ორი მთვარით ადრე დანერა თეგუდარის განდგომა (მონღოლების თვეები მთვარით ითვლება). ბარახამ წერილი ისევ ისრის თავში ჩადო და წამოვიდა შიკრიკი, მოვიდა ნახჭევანის ველზე თეგუდართან და გადასცა ისრები. გაალო თეგუდარმა ისრის თავი და იპოვა ძმის, ბარახას წერილი. წერილში დანიშნული დრო უკვე მოახლოებული იყო. ამიტომ თეგუდარი მაშინვე მოემზადა ბარგითა და ოჯახებით. მებრძოლი მხოლოდ ათი ათას ხუთასი ჰყავდა, რადგან ძალიან ჩქარობდა არ გამჟღავნებულიყო მისი განზრახვა და აბალას არ დაესაჯა. [259] აიყარა თეგუდარი და გაემართა ლადოს, კარჩხალისა და კარის მთებისაკენ, შავშეთსა და აჭარას შორის და დადგა შავშეთის ფიჭუთაში. იგი მოელაპარაკა სარგის ჯაყელს, რათა მას მიეცა თეგუდარისათვის გზა აფხაზეთში წასასვლელად დავით მეფესთან და იგი ყოფილიყო შუამავალი თეგუდარსა და დავით მეფეს შორის. თუ თეგუდარი გაიმარჯვებდა, იგი სარგისს დიდებას ჰპირდებოდა.

სარგისს მოეწონა თეგუდარის წინადადება, მოუწოდა თავის ჯარს და დიდი შანშეს შვილს, ივანე მანდატურთუხუცესს და წარგზავნა თეგუდარის გამყოლად. მხედართმთავრად დანიშნა სირმონი, ჩორმალან ნოინის შვილი, რომელიც ბრძოლებში სახელმოხვეჭილი და მამაცი მეომარი იყო. აქვე იყვნენ სხვა ნოინებიც. მივიდნენ ისინი არტანის მთებთან და იქ დაბანაკდნენ.

მოხდა საკვირველი რამ: ლადოს მთებში არის უდაბნო, ოპიზა – უბირველესი თორმეტ უდაბნოთა შორის. ეს არის იოანე ნათლისმცემლის უდაბნო, რომელმაც ნათელი სცა ღვთის სიტყვას, ქალწულისგან შობილ ქრისტეს, ღმერთსა ჩვენსა, რომელსაც ხმა მამისა ზეციდან ესმა, სული წმიდა მტრედის სახით იხილა, წმიდა სამების ერთარსება განაცხადა და გვასწავლა. ამ უდაბნოში არის ყოველთა წინასწარმეტყველთა და მოწამეთა შორის უდიდესის, იოანე ნათლისმცემლის ხორხი, რომელიც არ დადუმდებოდა მოსული ღვთის ქებით, ამხილებდა ჰეროდეს უსჯულოებას. ეს ნათლისმცემლის სადგომი სავსე იყო

სიმდიდრით, მონაზონთა კრებულთ. თეგუდარმა შეიტყო რა ოპიზის უდაბნოს სიმდიდრის, ძვირფასი ხატის და კანდელთა არსებობა, ინება წამოღება ამ სიმდიდრისა. მან გააგზავნა ათასი მხედარი, რათა მოეოხრებინათ იქაურობა. წავიდნენ მთის გზაზე, რომელიც კარჩხალისკენ მიდიოდა. მაგრამ არ დაიდუმა უზენაესმა სამართალმა და ღმერთმა არ განირა წმინდა მამები, რომელნიც იმ დროს ბრწინავდნენ ოპიზაში, სასწაულთა მიერ გაბრწყინებულნი და წინამორბედ იოანეს მინდობილნი, წარმართთა მიერ მოწყუედილნი. ამიტომ დაიცვა თავისი ადგილ-სამყოფელი იოანე ნათლისმცემელმა [260] და მოუვლინა ნისლი და სიბნელე და ველარ მიდიოდნენ თავისი საძაგელი ფეხებით. ისინი უკვე მიახლოებული იყვნენ უდაბნოს. და დადგნენ მთის ძირში, რომელსაც ძეგლი ეწოდება. ამ მთაზეა აშენებული წმინდა გიორგის ეკლესია, ოპიზასა და მიძნადორს შორის. მაშინ მოხედა თავის სამკვიდრებელს იოანე ნათლისმცემელმა, მსგავსად ვლახქერნის ყოვლად უბინო ღვთისმშობელისა და მოავლინა ღადოს მთაზე სასტიკი ქარი, ხომკაკალა სეტყვა და ძლიერი წვიმა. დაიწყო ლელვა, როგორც შუა ზღვაში და წამოვიდა დიდი წყალი მდინარესავით და გაუსწორდა ძეგლის წვერს. ახლაც ჩანს დიდი ნალვარევი, რომელიც შავშურის წყალს უერთდება. წყალმა წაიღო მონღოლები და მათი ცხენები. ერთი კაცის გარდა არავინ გადარჩენილა, რომელიც თეგუდართან მივიდა და როგორც იობმა შეჰლადადა: „ღვთის სახლია ეს ადგილი, ღვთის მონათა სამყოფელი. ერიდეთ იქ მისვლას.“

თეგუდარი იდგა არსიანის მაღალ მთაზე. მოვიდნენ და უთხრეს: „დიდი აბალას ლაშქარი მოვიდა და დადგა ართანის მთაზე და ხვალ აქ მოვლენ.“ თეგუდარმა გაიგონა რა ეს ამბავი, გათენდა თუ არა, აყარა ბარგი და თავისი ოჯახი და კარის მთისკენ გაუშვა, რომლისკენაც ერთი გზა შედის. ხოლო თვითონ და მისმა ლაშქარმა გადმოიარა არსიანი. სირმონმა ჩამოიარა ყუელის მთა და მოვიდნენ ორივე ყუელის თავზე. სირმონ წინ დაუდგა. იგი იყო სახელოვანი მეომარი. ასევე ძლიერი მებრძოლები ჰყავდა თეგუდარს: სეგზი ჯოლაქი, აბიშხანოხი, თელქა-დემური. დიდი ბრძოლა გაიმართა მათ შორის და ორივე მხრიდან ურიცხვი მეომარი დაიღუპა. თეგუდარი დამარცხდა და გაიქცა თავის ოჯახთან ერთად ღადოს მთისკენ, ჯნალის თავზე. უკანა მხრიდან სირმონი მიადგა, თეგუდარი კი მთის სიმაგრეს მიენდო. კვლავ იყო დიდი ბრძოლა, რომელიც ორ დღეს გაგრძელდა.

როცა გაუჭირდა, თეგუდარი ჩუმად გაიქცა – ზოგი აჭარაში წავიდა, [261] ზოგი კი – ნიგალისხევით წავიდა, რომელიც ადამიანთაგან გაუვალი იყო. ვისაც ის მთები უნახავს, ვერ დაიჯერებს, რომ კაცმა და ცხენმა გაიარეს აქ, რადგან ადგილები მეტად ციცაბოა, ტყე ხშირი, შქერით და ეკლით დაფარული, რომელსაც ბერწუმალი ეწოდება. ასევე ველური ყურძენია განრთხმული და ნადირიც ვერ დადიოდა აქ. ასეთი რამეც მოხდა, რომ გაიარეს ერთი ტყე, რომელიც კლდეზე იყო მოშენებული და ეს მთა, როგორც თოვლის ზვავი, ისე მოსწყდა და ჩავიდა აჭარის ხევში და თან ჩაიტანა ათასამდე კაცი თავისი ოჯახებით, ცხენებით და ჩამარხა. ასე საცოდავად დაიღუპნენ. ახლაც კი პოულობენ აჭარლები ამ ადგილებში ქალების ოქროსა და ვერცხლის სამკაულებს.

ჩაიარეს აჭარა და ნიგალისხევი, შემდეგ გურია და მივიდნენ ქუთაისში მეფე დავითთან. იგი სიხარულით მიეგება და დიდი სერობა გაუმართა: მიართვა ხუთასი მოხარშული ძროხა, ასევე ღორი და ცხვარი. ლაშქრის გამოსაკვებად კი იმავე დღეს ექვსასი ცხენი, ათას ხუთასი ძროხა, ათასი ცხვარი, ორი ათასი ღორი მისცა. ეს ყველაფერი იმავე დღეს მიართვა თეგუდარს და გაუყო ლაშქარს, რამაც მეტად გააკვირვა თეგუდარი და მისი მეომრები. ღვინო კი აურაცხელი რაოდენობით იყო – მოიტანეს ურმებით და ჭურებით. ასე ისტუმრა თეგუდარი მეფე დავითმა, რომელიც იყო უხვი და თავმდაბალი, მცოდნე ყველანაირი საქმისა და სახელის მომხვეჭელი. მეფე დავითი როგორც მონა, ისე დაუდგა სამსახურში თეგუდარს.

დედოფალმაც, რომელიც იყო ასული მაღალი ხელმწიფის, პალიალ-ოლოსის, კონსტანტინოპოლის მეფის ასული, პატივი სცა თეგუდარის ცოლს და გაუშინაურდნენ და მიენდვნენ ერთმანეთს. დავით მეფე ხშირად მიდიოდა [262] თეგუდართან და ასრულებდა მის ყველანაირ წესსა და რიგს. და ასე იმყოფებოდა იგი თეგუდართან.

როცა დაბრუნდა გამარჯვებული სირმონი აბალა ყაენთან, მაშინ მოვიდა კაცი გზათა მცველთაგან ხვარასნიდან და შეატყობინა, რომ „დიდი თურანის ულუსი დაიძრა და დიდი ყაენი ბარახა უამრავი ლაშქრით გამოვიდა ჯეონს.“ ბარახა შესახვედრად გამოსული იყო და თეგუდარის გადახვეწა აუნყეს. ეს რომ გაიგო აბალამ, გაუკვირდა და მოუწონდა თავის რაინდებს და ქართველებს. მაშინ დავით მეფე შვილის სიკვდილის გამო დაუძღურებული იყო, მაგრამ მაინც წავიდა მთელი თავისი ჯარით. წავიდნენ ხვარასნის მხარეს და ჰერში და იქიდან ამო-

სის ველზე. იქ შეხვდნენ ერთმანეთს. წარავლინეს მეფე და მისი ჯარი წინ, რათა დაეცვათ აბალას ლაშქარი ბარახასაგან და დაეთვალიერებინათ ულუსი და მისი ჯარი. ასევე სხვა ნოინებიც გაგზავნა აბალამ წინა ხაზზე, მონინააღმდეგისგან ოთხი თუ ხუთი მილიონის დაშორებით.⁷⁰ მათ უნდა ენახათ ბარახას ჯარი და უკან დაბრუნებულიყვნენ. მათ მონლოლურად ყარაულებს უწოდებდნენ.

წავიდნენ მეფე და აბალას მონლოლი ყარაულები. ორი დღის სიარულის შემდეგ, სალამო ხანს, ერთ ადგილას დადგნენ. გათენებისას დაინახეს ამოსის ველზე ამაღლებული მტვრის დიდი ღრუბელი. მიხვდნენ, რომ ბარახა მოდიოდა თავის ჯართან ერთად. ამხედრდნენ მეფე და სიქადური. სიქადურს სურდა უკან გაბრუნება, რაკი აბალასგან ასე ჰქონდა ნაბრძანები და უთხრა მეფეს: „ჩვენ ყარაულები ვართ და მცირე ლაშქარი გვყავს და დავმარცხდებით. წავიდეთ ყაენთან და ვაცნობოთ ბარახას მოსვლა.“ მეფემ კი უპასუხა: „არ არის ჩვენი, ქართველთა წესი, ჩვენ კენ მომავალ მტერს შეუბმელად ზურგი ვაქციოთ, თუნდაც ვიცოდეთ, რომ სიკვდილი გველის.“ ეს რომ გაიგონეს მონლოლებმა, გაუკვირდათ და განრისხდნენ და უთხრეს მეფეს: „არ იცი, რას აკეთებ. შენ არა გაქვს აბალას ბრძანება დიდ ყაენთან შებმისა. თქვენ, ქართველები უგუნურები ხართ და საქმისა არა გაგეგებათ.“ დიდხანს ევედრებოდნენ მეფეს და მის მეომრებს, [263] აბალასგან დასჯითაც ემუქრებოდნენ, მაგრამ ვერ დაარწმუნეს უკან გაბრუნებულიყვნენ. მაშინ გააგზავნეს კაცი ყაენთან და აცნობეს: „აჰა, მოვიდა ბარახა დიდი ლაშქრით. ჩვენ ვხედავთ დიდ მტვერს ამოსის ველზე, რომელიც მტვრისგან დაბნელებულია. ჩვენ, შენი ბრძანებისაებრ გვინდა უკან დაბრუნება და შენთან მოსლვა. მაგრამ ქართველები, უგუნურნი, არ მოგვყვებიან. ამბობენ, არა გვაქვს ჩვეულება, მტერი თვალთ ვნახოთ და უკან გავბრუნდეთ. ახლა თუ შენ, ყაენი მოხვალ და განაგებ, თორემ ჩვენ თავი გაგვიწირავს სასიკვდილოდ და იქარე ჩვენს დასახმარებლად.“

შიკრიკმა მოუტანა აბალას ბარახას მოსვლისა და ყარაულთა იქ დარჩენის ამბავი. მას გაუკვირდა და სასწრაფოდ გაემართა საბრძოლველად გამზადებული რაზმით. მოიყვანა მეფე და უთხრა: „ვიცი თქვენი სიმამაცის ამბავი ბრძოლებში. თქვენ, ქართველები ურჩნი და შმაგნი ხართ. ეს რომ რომელიმე ნოინს გაეკეთებინა, მოვკლავდი. მაგრამ თქვენ არ დაგსჯით, რადგან თქვენ არ იცით ჩვენი წესები. ახლა შენი ლაშქრით წინ დადექი.“

მეფე ჩამოვიდა ცხენიდან, თავყანი სცა ყაენს და თქვა: „დიდო ყაენო, არ არის ქართველთა ჩვეულება მტერს ზურგი აქციოს. ყაენის ბედნიერ-მა თვალმა იხილოს, როგორ დავდებთ თავს სასიკვდილოდ.“ წავიდა მეფე და განენესა წინა ხაზზე, ხოლო დიდი და მამაცი აბათა ნოინი, მხედართ-მთავარი, იგივე ამირსპასალარი, მარცხენა მხარეს გაენყო. ასევე დიდი სირმონიც. ხოლო სიგდურ, ტონლა ბუღა, ჯინილი, არღუნ ალა და იასბუ-ლა მარჯვენა მხარეს დადგნენ. სხვა ნოინები ზოგი მარჯვნივ დააყენეს, ზოგიც – მარცხნივ. საომრად გამზადებული ბარახაც მოვიდა.

მაშინ გამოჩნდა ერთი კაცი, სახელად ალიყან, ასეულის მეთაური. იგი არ იყო გამოჩენილი გვარის შვილი, მაგრამ იყო ტანით დიდი და ახოვანი, ძალით ძლიერი და უშიში, [264] შესახედავად ლამაზი და მშ-ვენიერი. მან თხოვა აბათა ნოინს დაერთო მისთვის ნება წინა რიგებში ბრძოლისა. აბათა ნოინი დაეთანხმა მას. მოწინააღმდეგეები ერთმა-ნეთს მიუახლოვდნენ და დაიწყო დიდი და საშინელი ბრძოლა. ზემოხ-სენებულმა ალიყანმა შეუტია მტრის რაზმს, გააპო იგი და გაიარა რაზმს შორის თავის მეგობრებთან ერთად. შემდეგ კვლავ შეიკრიბნენ, დაიწყო ალა-ალას ყვირილი და მობრუნდა, კვლავ გახეთქა მტრის რაზმი და გამოვიდა აქეთ. მეორედ ისევ გაემართა, გაჭრა მტრის რაზმი და გავიდა მეორე მხარეს, ისევ იწყო ალა-ალას ყვირილი. ქართველებმაც დაიწყეს ძლიერი ომი. ყაენმა თავისი თვალით ნახა, როგორ შეუტია მეფემ და მისმა ჯარმა მტრის მოწინავე რაზმს და გააქცია. აბათა ნოინი ისე ძლი-ერად იბრძოდა, რომ ომის ორომტრიალში⁷¹ შეიარაღებული კაცი აიყვა-ნა უნაგირიდან, კეხზე⁷² შემოიღო და მთელი ომის დროს ხელში ეჭირა, როგორც არწივს კაკაბი. ასევე ძლიერად იბრძოდა სირმონი – მის მხ-არეს მყოფი მტერი მანაც გააქცია. მარჯვენა მხარეს კი, ბარახა ყაენი შეებრძოლა აბალას მეომრებს – სიქადურს, ტონლა ბუღას, ჯინილის და არღუნ ალას და გააქცია ისინი. ბარახა ორი დღე მისდევდა მათ. აბალა კი ორი დღე თავისიანებს მისდევდა და რაზმის სიგრძის გამო ვერ გაიგო, რა მოხდა. ამ დროს ბარახამ გაიგო თავისი ჯარის გაქცევისა და ამონ-ყვეტის ამბავი და უკან მობრუნდა და კვლავ შეხვდნენ ერთმანეთს და დაიწყო ბრძოლა. როცა დაინახა აბათა ნოინმა ყაენი ბარახა, აიღო შუბი და მარტო გაემართა მტრის რაზმისაკენ. აბათა ნოინი იყო ახოვანი, მხარ-ბეჭიანი, მსგავსი ლომისა, უშიშარი, ძლიერი მებრძოლი, ლამაზი, ტკბილი და კეთილი. მისმა მეომრებმა [265] ურიცხვი მტერი დახოცეს, დაატყვევეს და გამარჯვებულები დაბრუნდნენ ურდოში.

როცა აბალა ყაენი ხვარასანში იყო ბარახა ყაენთან საომრად, ზემოხსენებულმა თეგუდარმა გამოგზავნა სამი მხედართმთავარი თავისი ოჯახებით და ბარგით. ესენი იყვნენ – სეგზი ბადური, აბიბახა და თოლაქ დემური და მეოთხე მათთან ერთად – ჯოლაქა. წამოვიდნენ ისინი, მოვიდნენ და დადგნენ ლიხის მთაზე, რომელიც კავკასიონის შტოა. შემდეგ წავიდნენ დასავლეთისკენ, ლადოში, მათა შესაყარზე დემოთში და დაბანაკდნენ მონღოლები ადგილზე, რომელსაც ეწოდება ლომისთავი და იქიდან არბევდნენ ჯავახეთს ფარავნამდე. შემდეგ მონღოლებმა ჩამოიარეს ეკერის ხევი, გაიარეს აწყურთან მტკვრის ფონი და გავიდნენ ჯავახეთში. იქ დახვდათ კახა თორელის, მეჭურჭლეთუხუცესის, ჯოგი და ასევე ჯოგი ყურუმჩისა, რომელიც ათასეულის მეთაური იყო. ეს ყურუმჩი არ იყო ალიყანის შვილი და წამოიყვანეს ჯოგები ლომისთავის ბანაკში. გაიგო ეს ყურუმჩი ბადურმა, შეატყობინა კახა თორელს და დაედევნენ.

თეგუდარიანნი მტკვართან იყვნენ გასული, იქ, სადაც გურკლის წყალი უერთდება მტკვარს. ქართველები და მონღოლები მტკვართან მივიდნენ. მათი ჯარი მრავალრიცხოვანი იყო, ხოლო თეგუდარიანთა – მცირე. მაშინ თოლაქ დემურმა ასეთ ხერხს მიმართა: თოლაქ დემური ოცდაათი კაცით ფარულად გადავიდა მტკვარზე და სხვები დადგნენ მტკვრის პირას. თოლაქ დემურმა აიარა ხევი, ავიდა ქედზე, ააფრიალა ალამი სხვა დროშისა და მაღალ ხმაზე დაიწყეს ყვირილი. ყურუმჩი ბადურმა დაინახა რა წინაც და უკანაც ლაშქარი, ეგონა, დიდი ჯარი ჰყავსო მტერს, შეშინდა და სწრაფად გაიქცა. ბევრი კარგი მეომარი დაიღუპა, [266] ორი კოხტელი იქნა მოკლული, ცხენ-მოკლული სამძივარი ცურვით გადავიდა მდინარეზე და ისე შევიდა აწყურში. მონღოლთა მხედართმთავარი, ბადურ ყურუმჩიც მოკლეს. დამარცხებულები დაბნეულად გარბოდნენ, გზით წასვლა არ შეეძლოთ და რუგეთის მთას აუყვნენ, ძნელად სავალი აღმართით და მივიდნენ სოფელში, რომელსაც კვირიკე-წმინდა ეწოდება. გამარჯვებულები კი მივიდნენ ყაენის ძმასთან, თეგუდართან. გალაღებული თეგუდარი გადმოვიდა ქართლში და მოაოხრა იქაურობა.

მაშინ ევედრა ყაენი აბალა რუსუდანის ძე დავითს, აღარ დახმარებოდა და არ შეეშვა თეგუდარი და დიდ საჩუქრებსაც შეჰპირდა. დავითს ეჭვი ჰქონია, რომ მონღოლები წყლის ამღვრევას დასავლეთ საქართველოშიც აპირებდნენ⁷³ და ეს თეგუდარის კაცებისაგანაც შეუტყვია.

ამიტომ იგი დაემორჩილა აბალას, არაფერს დაეკითხა თეგუდარს და შეკრა საცხენოსნო გზები. თეგუდარმა ეს არ იცოდა. როცა შეიტყო აბალამ, რომ დავით მეფე თეგუდარს აღარ დაეხმარებოდა (გარნა წერილ არს, ვითარ აფროსინელთა შინა სიტყუა, იტყჳს ვინმე, იბრძოლებოდეს რა ანტიპატროს და ყრმა კასანდროს მოაკუდინა)⁷⁴, გამოაგზავნა თავისი მხედართმთავარი სირმონ ბადური და სხვა მრავალი ნოინი დიდი ჯარით და მოვიდნენ ისინი თრიალეთში. მათ მოუხმეს მეფე დავითს, რომელიც მაშინ ავად იყო. მან გამოაგზავნა თავისი მთავრები. სირმონი ქართლში შევიდა. გაიგო თეგუდარმა სირმონის მოსვლა და გაემზადა საომრად. დაიწყო დიდი ბრძოლა. ორივე მხრიდან ურიცხვი ხალხი დაიხოცა. დაღამდა და მეომრები დაშორდნენ ერთმანეთს. გათენდა და ისევ დადგნენ ერთმანეთის პირისპირ. დაიწყო დიდი ბრძოლა. მეფის ჯარი წინა ხაზზე იბრძოდა. როცა შეერივნენ ერთმანეთს, თეგუდარის ჯარი გაიქცა, დაიბნა, ბევრი მოიკლა. დარჩა თეგუდარი თავის ვაჟთან ერთად მეტად გაჭირვებული და მივიდა სირმონთან და ევედრა, რათა მიეყვანა ის და მისი ვაჟი აბალა ყაენთან. სირმონმა არ დააპატიმრა ისინი, აიყვანა ტყვედ მათი ოჯახები, [267] წაიღო მათი ქონება, ბარგი, საქონელი და მიიყვანა თეგუდარი და მისი ვაჟი აბალასთან. აბალამ არაფერი ავნო მათ, რადგან, როგორც ზემოთ ვთქვით, იყო მონყალე და შემნდობელი კაცი, და გააგზავნა ერაციის ქვეყანაში, მისცა მას და მის ვაჟს თორმეტი კაცი, საზრდო და შესამოსელი უხვად, რომ არაფერი მოკლებოდათ. ასევე მისცა ქორ-შეგარდენი და ავაზა და მიუჩინა მცველები, რომ არ წასულიყო თავის ქვეყანაში. ასე განსვენებით იყო იგი და აღესრულა. აბალა ყაენმა მეფე დავითს მრავალი საჩუქარი და ძღვენი მიართვა და ქართლში მისცა მრავალი სოფელი და ატენი.

წავიდა ყაენი სიბაზე და თან წაიყვანა მეფე დავითი. იყო ზამთარი. ზაფხული რომ მოვიდა, წამოვიდნენ. მგზავრობისას მეფეს მუცლის დაავადება შეეყარა. მკურნალებმა ვერაფერი უშველეს. მაშინ კვლავ ევედრა მარტყოფის ხატს და კვლავ მივიდა მასთან, როგორც ჩვეული იყო. ადრე, ამ სნეულებით შეპყრობილი, მომაკვდავი აღადგინა იგი ხორცმეხსმული ღვთის ხატმა. მაგრამ ამჯერად აღარ უშველა, რადგან მოაკლო ღვთისმსახურება, დაიწყო საყდართა დანგრევა. ამიტომაც წყალობის ხელი აღარ გაუწოდა ღმერთმა. უფრო ადრე მოკვდა მისი უფროსი შვილი, სიკეთით სავსე გიორგი და ახლა, ძის გარდაცვალებით დამნუხრებული მეფე გარდაიცვალა. მას სხვა ძეც ჰყავდა – ნეტარხსენებული, მამაცი,

კეთილი, სახელად დიმიტრი, რომელიც შემდგომ მეფე გახდა. დავითი კი, დაასრულა რა ცხოვრება, დამარხეს მეფეთა სამარხში, მცხეთაში. თუმცა იმასაც ამბობენ, რომ თითქოს იგი მოუწამლავს [268] მის ცოლს, ესუქის. როგორც მემატინე ეჭვობს, რომ მაკედონელის თავის ტკივილის მიზეზი მიდოსის და ანტიპატროსის მიერ მიცემული სანამლავი იყო, ასევე ამბობენ ესუქიზე. მან შური იძია ბასილი უჯარმელის გამო, რომელიც მოაკვლევინა მეფემ უწესოებისათვის, რადგან მან სასიყვარულო კავშირი დაამყარა დედოფალთან, შეურაცხყო მეფის პატიოსანი სანოლი, მონაზვნის ანაფორა გაიხადა და ხელისუფლება მიიტაცა. ამ უწესოებისათვის მოკლა მეფემ ბასილი. მეფის გარდაცვალება წესისამებრ იგლოვეს. მრავალი შესანიშნავი მისცეს ეკლესიებს, საყდრებს და გლახაკებს მის მოსახსენებლად. ქართველები მეტად დამნუხრებული იყვნენ, რადგან მეფე დიმიტრი მცირეწლოვანი იყო და მეფობა არ შეეძლო. ამიტომ ქართველთა უმრავლესობა წავიდა და ემსახურებოდა ყაენს. ყაენის შიშით ვერც დავით მეფემ შეაკავა ერისთავნი.⁷⁵

მაშინ ზემოხსენებულმა ლაღლურმა და რაჭის ერისთავმა კახაბერმა მოილაპარაკეს და განუდგნენ მეფე დავითს, რუსუდანის ძეს. ისინი წავიდნენ ყაენთან. მანამდე მოელაპარაკნენ ალიყან ბადურს, რომელიც ჯავახეთის მთებში იყო დაბანაკებული და მან აცნობა ყაენს, რომელიც დიდ საჩუქრებს დაჰპირდა. წავიდნენ ლაღლურ და კახაბერის ძე კახაბერი ყაენთან. კახაბერი ბოროტი იყო, როგორც ამას გვაუწყებს ბალუაშთა მემატინე. როცა მივიდნენ, ყაენმა კარგად მიიღო ისინი და მოუწოდა სირმონ ნოინს და უთხრა: „მეფე დავითი გადაგვიდგა. მან ესეც არ იკმარა და ჩვენგან განდგომილებს შეეწევა, როგორც ადრე თეგუდარს და ახლა ლაღლურს. მე დიდი პატივი მივაგე და საჩუქრებიც მივართვი თეგუდარის საქმეში რომ დაგვეხმარა და ახლა ლაღლური შეინყნარა. ახლა მნებავს შური ვიძიო ამისათვის.“ [269] გაიგონა რა ეს კახაბერმა, წარდგა ყაენის წინაშე და თქვა: „თუ ყაენს ნებავს შური იძიოს დავით მეფეზე, მე ამისთვის ვარ მოსული. შესასვლელი გზები ვიცი და წავიყვან ლაშქარს და მეფეს ხელთ ვიგდებ. ლაღლურმაც იცის გზა და რა ძალებიც ჰყავს დავითის ქვეყანას.“

მაშინ უბრძანა აბალა ყაენმა სირმონ ნოინს, ალიყანს, თაიჩოს და აბჩის, რათა გაილაშქრონ მეფე დავითის წინააღმდეგ. შეკრიბეს ოცდაათ ათასიანი ლაშქარი, გამოიარეს თრიალეთი, გადაიარეს ლიხის მთა და თავს დაესხნენ ქუთაისში აბანოში მყოფ მეფეს, რომელმაც ძლივს

მოასწრო ცხენზე შეჯდომა და მხოლოდ ერთი კაბით მოსიღმა შეძლო გაქცევა. მონღოლებმა მოაოხრეს ეკლესიები, უამრავი ქრისტიანი მოკლეს, ბევრიც ტყვედ აიყვანეს და უვნებელნი მივიდნენ ყაენთან. მეფე ღმერთმა დაიცვა და გადარჩა. მან ვერ შეძლო მონღოლებს შებრძოლებოდა, რადგან ისინი ძალიან სწრაფად გაბრუნდნენ.

ორი წლის შემდეგ კვლავ წამოვიდნენ სირმონი და ალიყანი აბალას ბრძანებით მეფის შესაპყრობად. კახაბერი უთვალთვალებდა მეფეს, რომელსაც აღარ ეგონა, რომ მონღოლები კვლავ მივიდოდნენ. დაესხნენ თავს, მეფემ კვლავ შეძლო გაცლა. მონღოლებმა მოაოხრეს ქვეყანა. მაგრამ, როგორც კი გაიგეს, რომ მეფე მათ წინააღმდეგ მოდიოდა, სწრაფად გაბრუნდნენ, იმავე დღეს, ტყვეებითა და ალაფით...

იმ ხანებში ყველა მთავართა შორის მეტად გაძლიერდა სადუნ მანკაბერდელი. იგი ძალიან შეიყვარა აბალა ყაენმა. იგი განაგებდა საქართველოს საქმეებს. სადუნს თავისი პატრონის, ავაგ ათაბაგის ასული, ხვამაგი ჩააბარა მეფემ. ხვამაგმა კი მას ეჯიბობა უბოძა. შეიკრიბნენ საქართველოს დიდებულები და წაიყვანეს მეფის ძე დიმიტრი ურდოში. ივანე შანშეს ძე, მანდატურთუხუცესიც წაყვა მათ. მიიყვანეს დიმიტრი ყაენთან ურდოში [270] და დაავალეს⁷⁶ მეფობა. ყაენმა, იხილა რა დიმიტრი, შეინყაა და შეიყვარა, რადგან იყო იგი შესახედავად ლამაზი და მშვენიერი. მისცა მას მთელი სამეფო, სარგის ჯაყელის სამფლობელოს გარდა და გამოაყოლა მას სადუნი, რომელსაც მეფე დიმიტრიმ უბოძა ათაბაგობა. მოვიდა დიმიტრი თბილისში, დასვეს იგი თავის მამა-პაპათა ტახტზე და აღასრულეს კურთხევის წესი კათალიკოსმა და ეპისკოპოსებმა და მთავრებმა ჰერეთიდან, კახეთიდან, სომხითიდან, ქართლიდან, ჯავახეთიდან და ტაოდან. მადლობდნენ ღმერთს და იყო დიდი სიხარული. უხვად გასცემდნენ გლახაკებს, ობლებს და დავრდომილებს, რათა კეთილად წარმართულიყო დიმიტრის მეფობა და საქართველოს მმართველობა.

ქართლის სამოცდამესამე მეფე, დიმიტრი, ძე დავით მეფისა, ბაგრატიონი

იმ ხანებში აბალა ყაენმა დაიწყო ბრძოლა ეგვიპტის მთავრისა და სულტნის, ფუნდუყადარის წინააღმდეგ. მან გააგზავნა ძლიერი ჯარი და მათთან ერთად ქართველთა ლაშქარიც. მხედართმთავრად დანიშ-

ნა ვინმე თონდა, სალდუხ ბადურთა გვარისა, გართა მთავარი. სირიაში მიმავალნი ჯერ საბერძნეთში გაგზავნა საბერძნეთის სულტანთან, ფარმანთან. სულტანი, დიდი სალჩუქიანი ყიასდინი, უკვე გარდაცვლილი იყო და მის მონას, ფარმანს მიეტაცებინა სულტნობა და მისი ცოლიც, რუსუდანის ასული, გურჯი-ხათუნი, ცოლად მოეყვანა. მის ხელთ იყო პონტო, ასია და კაბადუკია. ფარმანს ყაენმა შეუთვალა, რომ დახმარებოდა მის ჯარს. აბალას ჯარი წავიდა, მივიდა ფარმანთან და დაბანაკდა ევხაიტში, რომელიც ასურასტანია. როცა გაიგო სულტანმა ფუნდუყადარმა მონღოლთა ჯარის მისვლა, თავს დაესხა მათ ეგვიპტელთა ჯარით განდიადისას. დიდი ბრძოლა დაიწყო, სადაც ისე მამაცურად იბრძოდნენ ქართველები, რომ მონღოლები გააკვირვეს. [271] მაშინ ერთი მონღოლი, სახელად მორლული, მარტო შევარდა არაბთა რაზმში, გაიარა და შემდეგ უკან გამობრუნდა. ვილაც ქვეითმა კაცმა მის ცხენს მარჯვენა ფეხი მოჰკვეთა ჩლიქს ზემოთ. მეტად საკვირველი რამ მოხდა, რადგან აბალას ჯართან ერთად ეს მორლულიც გაიქცა და სამი დღე და ღამე იარა უფეხო ცხენით. ასე მოკვდა ცხენი.

როცა გაიგო აბალამ თავისი ლაშქრის და ქართველთა ამონყვეტა, მეტად შეწუხდა. საბერძნეთის სულტანი ფარმანა დაასმინეს აბალასთან, თითქოს მისი რჩევით მოვიდა სულტანი ფუნდუყადარი. ამიტომ შეიპყრეს ფარმანა. თუმცა აბალას არ უნდოდა მისი მოკვლა, ნოინებმა მაინც მოკლეს იგი და მთელი მისი სიმდიდრე წაიღეს. საბერძნეთის ნოინად დაადგინეს დიდი და კეთილი ერინჯი, პირველ ყაენტა შთამომავალი, ონხანის გვარიდან. მას ჩააბარეს საბერძნეთი და წაართვეს აწყური და სამცხე, რომელიც ფარმანას ცოლეულთაგან ჰქონდა და უბოძეს სარგის ჯაყელს და მის ძეს, ბექას.

მეფე დიმიტრი დავაჟკაცდა. სახელმწიფო საქმეებს კარგად განაგებდა. დიმიტრი იყო ტანით ახოვანი, ლამაზი, შესახედავად მშვენიერი, ღია ფერის თმითა და წვერით, ცისფერთვალეა, მხარბეჭიანი, კარგი მეომარი, რჩეული ცხენოსანი და მშვილდოსანი, უხვი, მონყალე, თავმდაბალი, გლახაკთა, ქვრივთა და დავრდომილთა მონყალე. სხვა, ასეთი მონყალე მეფე, გინდაც სხვა კაცი, არ გვსმენია. მას ასეთი ჩვეულება ჰქონდა – აიღებდა ფულს და ღამით მოივლიდა ქალაქს, მოინახულებდა გლახაკებს, დავრდომილებს, ობლებს და თავისი ხელით დაურიგებდა ფულს. ყველამ იცოდა [272] მეფის მონყალების ამბავი და ამიტომ გლახაკნი ღამით ქუჩებში გამოდიოდნენ, რომ მეფეს შეხვედროდნენ. ამასთან მეფე მარხულობდა,

ლამით ლოცულობდა და იჩოქებდა. მას ათას ხუთასჯერ დაუჩოქია. ასე ყოველმხრივ შემკული და განათლებული იყო მეფე დიმიტრი.

მაგრამ სადუნს დიდი გავლენა ჰქონდა, რადგანაც იგი მეტად გააძლიერა ყაენმა. სადუნმა მეფე დიმიტრისგან მიიღო თელავის, ბელაქნისა და სხვა მრავალი მხარის მმართველობა და სადუნი კარგად განაგებდა საქართველოს საქმეებს, რადგან მისი მმართველობის დროს არ იყო ძალმომრეობა და უსამართლობა არც მონღოლ დიდ ნოინთა და არც ელჩთა მხრიდან. ასე აშენდა და გაძლიერდა საქართველო.

მეფემ დაიწყო სიბაზე წასვლა და ააშენა მოხრებული მხარეები. მანვე ააშენა ისინი სასახლეში მონასტერი მეტეხის ღვთისმშობლის სამყოფელად და შეამკო დიდი მზრუნველობით, შესწირა სოფლები და ვენახები, მონაზვნებს საზრდელი და სამოსელი მისცა და განაგო მონასტერი კეთილად. მეფე წავიდა ურდოში. მისი იქ ყოფნის დროს სადუნის რჩევით მეფეს დიდი რაოდენობით ფული მოსთხოვეს. სადუნმა უთხრა მეფეს: „თუ შენ დმანისს მომცემ, მე ყაენს ფულს გადავუხზი.“ მეფე იძულებული იყო მიეცა დმანისი და მისი შემოგარენი. სადუნი კიდევ უფრო გაძლიერდა. მან ბევრი სიკეთე გააკეთა მონასტრებისა და გლახაკთათვის. გარეჯის თორმეტი უდაბნო გაათავისუფლა ბეგარისაგან და მსახურებდა მეფე დიმიტრის. სადუნი გაძლიერდა როგორც ლაშქრით, ისე ოქროსა და ვერცხლის სიმდიდრით, მისი ჯოგები და საქონელი ხომ უთვალავი იყო, რადგან იგი იყო კაცი მხიარული, თავისი საქმის კარგი მცოდნე, ბრძენი. აბალა ყაენი მას უსმენდა. და „დიდი საჰიბდივანი ავაგ ათაბაგისა ამას აქუნდა“ და მისი ასული, ხუშაგი ცოლად ჰყავდა. [273] ეს საჰიბდივანი ულო ყაენმა გააძლიერა და სადუნიც მან გააძლიერა. ყაენის საბრძანებელი მის ხელში იყო და მის ბრძანებას ემორჩილებოდნენ. მან მრავალი მიწა იყიდა და უბოძეს მას მეფეთა კარი. ისიც დაჯდა კარზე, ახლომდებარე მიწები ახალციხელთაგან მოტყუებით ხელში ჩაიგდო და ახალციხელის ასული ცოლად მოიყვანა. საქართველოს ლაშქრის საქმეები ყაენმა მას ჩააბარა და საქართველოს, სომხითის, და ჰერ-კახეთის დიდებულები მეფის წინაშე იყვნენ.

იმ ხანებში გაძლიერდნენ სამცხის ამირსპასალარი და მეჭურჭლეთუხუცესი, სარგის ჯაყელი და მისი ძე, ბექა. ისინი სამცხეს მართავდნენ. სარგისის საქმეები ზემოთ უკვე აღვწერეთ, ახლა კი ბექას ამბავი ვახსენოთ. ბექა იყო ტანით ახოვანი, მშვენიერი თმითა და ცისფერი თვალებით, მხარბუქიანი, ძლიერი, ომში მამაცურად მებრძოლი, კარგი ცხენოსანი, უბადლო მონადირე, გონებით ფრთხილი, მაშენ-

ეხელი ეკლესიებისა და მონასტრების, ღვთისმოსავ კაცთა პატივისმცემელი, მლოცველი, რომელიც არ დააკლდებოდა ცისკრის, სამხრისა და მწუხრის ლოცვებს, როგორც ტიპიკონითაა დაწესებული. ამიტომაც პატივი სცა ღმერთმა და მეუღლეს შესაფერისი მოუვლინა – მლოცველი, მმარხველი, გლახაკთა მონყალე, მონასტერთა და ხატთა პატივისმცემელი, ობოლთა და უღონოთა შემწე.

ბექამ დაიპყრო ქვეყანა ტაშისკარიდან კარნუქალაქამდე, სამცხე, აჭარა, შავშეთი, კლარჯეთი და ტაოს დიდი ნანილი, ვაშლოვანი, ნიგალისხევი, არტანუჯი, თორმეტი უდაბნო, კოლა, კარნიფოლა და ორივე არტანი და მრავალი სოფელი ჯავახეთში. ასე ძლიერდებოდა იგი დღითი დღე და ემსახურებოდა აბალა ყაენს და ემორჩილებოდა მეფე დიმიტრის. მეფე დიმიტრი გამოირჩეოდა [274] ღვთისმსახურებით და კაცთმოყვარეობით. ყაენი მით უფრო პატივს სცემდა მას. თუმცა ჯერ ისევ ყრმა იყო, ინებეს და წარავლინეს კაცი პონტოში, ბერძენთა მეფესთან, კომნიანოსთან, რომელიც დიდი კონსტანტინეს შთამომავალი იყო. მოიყვანეს კომნიანოსის, ტრაპიზონელი მეფის ასული დიდებით და დიდი სიმდიდრით და გადაიხადეს ქორწილი სამეფო წესისამებრ. ცოტა ხნის შემდეგ დაფეხმძიმდა დედოფალი და შეეძინა ძე და უწოდეს დავითი, რომელიც შემდეგ ქართლის მეფე გახდა.

იმ ხანებში კვლავ მოვიდა არღუნი, რომელსაც უნდა აღენერა ყველა ყაენთა საბრძანებელნი, რათა გაეგო, რომელი მხარე აშენდა და რომელი მოოხრდა. აღნერა და ნახა, რომ უმეტესი აოხრებული იყო, განსაკუთრებით ჰერეთი და კახეთი, რადგან კამბეჩის ვაკე დიდი ყაენის, ბერქას შემოსვლის დროს განადგურდა. თბილისში ყოფნისას არღუნ ოირიდმა მეფეს თხოვა თამარის ხელი და უთხრა: „კეთილად მოხსენებულმა მეფემ, შენმა მამამ მომცა თავისი ასული, შენი და რძლად და ჩემი შვილის ცოლად. მაგრამ მან ვერ მოასწრო. ახლა არ უარყო ჩემი თხოვნა და მომეცი შენი და ჩემი შვილისათვის.“

როცა ეს გაიგო, მეფე მეტად შენუხდა და სულის ტკივილით ეძებდა რაიმე მიზეზს უარის სათქმელად. მას არ უნდოდა ქრისტეს აღმსარებელი და წარმართისათვის მიეთხოვებინა. მაგრამ სხვა გზა არ ჰქონდა, რადგან მამამისს პირობა მიეცა. და მისცეს თამარი ცოლად არღუნის შვილს და აღასრულეს ქორწილის წესი. არღუნი ნავიდა ურდოში, ხოლო თავისი შვილი მეფესთან დატოვა. კვლავ დაფეხმძიმდა დედოფალი და შეეძინა ძე, რომელსაც უწოდეს ვახტანგი.

იმ ხანებში დამშვიდდა ლიხთ-იმერი და ეს გააკეთა დავით მეფემ, რომელიც იყო კეთილი და გონიერი, უხვი, თავმდაბალი და მის წინამორბედ მეფეებზე ბევრად ხელგაშლილი. მეფე დავითი მშვიდობიანად მართავდა იქაურობას.

რაჭის ერისთავი კახაბერი იყო ქართლში და ჰქონდა მას ატენის მიწები. მაგრამ მას არ სწყალობდნენ ყაენი და მეფე დიმიტრი. ამის მიზეზი კი მისი მეფეთა მიმართ ორგულობა იყო. კახაბერი, რაკი შევიწროებული იყო, ევედრა მეფე დავითს, რათა შეენყალებინა და ებოძებინა მისთვის მისი მამული. ტკბილმა და მოწყალე მეფემ შეინყალა კახაბერი და შეუწოდო მტკიცე ფიცით, აპატია აღრინდელი ცოდვები, თუკი იგი მეფის ერთგული იქნებოდა. მეფემ უბოძა მას მთელი მისი მიწები და კვლავ განაგებდა კახაბერი თავის მამულს, რაჭას. მაგრამ მცირე ხნის შემდეგ იგი კვლავ დაადგა თავის მამა-პაპათა კვალს და ღორივით მიისწრაფოდა ტალახისაკენ და გველივით გესლის დათხევისაკენ, რადგან თავისი გვარიდან მოსდგამდა ორგულობა. დაივიწყა ფიცი და დაიწყო მეფეთა ღალატი. კახაბერმა გაგზავნა კაცი და წერილი ათასისთავ ალიყანთან, რომელიც იდგა ჯავახეთის და კოლის მთებში, რათა კვლავ დასხმოდა თავს მეფეს და ადვილად ხელთ ეგდო იგი. მაგრამ ღმერთმა ამაო ჰყო მისი განზრახვა როგორც აქიტობელისა დავითის მიმართ და ცნობილი გახდა მისი წერილის შესახებ. ამიტომაც მიეგო მას ბოროტი მისაგებელი და მისი სიცრუე მასვე დაუბრუნდა. შეიპყრო მეფემ კახაბერი და ჯერ თვალები დაუნვა, შემდეგ ფეხი და ხელი მოჰკვეთა, მისი ორი შვილი გააძევა და კონსტანტინოპოლს გაგზავნა, რადგან მისი ცოლი ასული იყო დიდი მეფის, პალიალოლოსისა. ხოლო კახაბერმა ცოტა ხანს იცოცხლა და მოკვდა. ბალუაშთა, კახაბერის ძეთა ყველა ნათესავი მოისპო, არ დარჩა მათი მოდგმისა არავინ და აღიხოცა მათი სახსენებელი.

[276] იმავე ხანებში ყაენმა ინება გილანის ქვეყნის წინააღმდეგ გალაშქრება, რადგან მხოლოდ ეს ქვეყანა არ ემორჩილებოდა და არც ხარკს უხდიდა. წარავლინა ყაენმა მონღოლთა და ქართველთა ჯარი. მაგრამ მეფე არ გაგზავნა. ჯარის უფროსად დანიშნა სირმონ ბადური. წავიდნენ და შევიდნენ გილანში. შეიკრიბნენ გილანელები და გამაგრდნენ სიმაგრეში. მათი ქვეყანა ერთი მხრივ კლდითა და ტყით არის გამაგრებული, გზებიც ვიწროა, და მეორე მხრივ ზღვით. გამაგრდნენ სიმაგრეში და დაიწყო ძლიერი ბრძოლა. გილანელებმა ისართა წვიმა

დაუშინეს მტერს. გადმოვიდა ცხენიდან სირმონი, დაჯდა და ზურგი შეაქცია მოწინააღმდეგეს. მისი ჯარიც დაქვეითდა. როცა შემცირდა ისართა წვიმა, წამოხტა სირმონი და ვეფხვივით შეუტია მტერს. მასთან ერთად ქართველებიც მამაცურად იბრძოდნენ და გააქციეს გილანელები. სირმონს მარჯვენა ხელის ორი თითი მოსჭრეს. მონღოლები და ქართველები უვნებლად გადარჩნენ. როცა ნახეს ქვეყნის სიმაგრეები, რომელთა ბრძოლით ალება და დაპყრობა შეუძლებელი იყო, წავიდნენ აბალა ყაენთან.

ასე დამშვიდდა ქვეყანა და ყოველ მხრივ იყო მშვიდობა. მოხედა წყალობით ღმერთმა თავის მოიმედებებს და იყო უხვად პური და ღვინო. მეფე დიმიტრი განაგებდა სამეფო საქმეებს.

რადგან ცოტა მოიცალეს ჭირთაგან და მოისვენეს, საღმრთო გზისაგან გადაუხვიეს და იწყეს განდგომა: მეფემ მოიყვანა სამი ცოლი, ასევე სადღუნმაც სამი ცოლი მოიყვანა; მთავრებმა დაიწყეს საყდართა და მონასტერთა შევიწროება – იტაცებდნენ სოფლებსა და სახნავსათეს მიწებს, განსაკუთრებით მესხთა დიდებული აწყურის საყდრისა. ამათ უწესობას დიდად ამხელდნენ ნიკოლოზ [277] კათალიკოსი და ნიკოლოზ მანყურელი ჯუანშერის ძე. მაგრამ მათ სიტყვებს არავინ იღებდა ყურად.

სხვა უამრავი სიბოროტეც აღმოცენდა, რადგან იწყეს ერთმანეთთან ბრძოლა და მოხვეჭა, და არავინ იპოვებოდა სამართლის მყოფელი, რადგან მღვდელთმთავრები და მღვდლები თავხედები და ამპარტავნები, ანგარებიანნი და ბოროტისმყოფელნი, უწესონი იყვნენ. ბევრი რომ არ ვილაპარაკოთ, ისინი ყოველმხრივ ბოროტნი იყვნენ. ჩვენი ცოდვების გამო სამართლიანად დავისაჯეთ.

ზემოსხენებული არღუნი წამოვიდა სამცხეში სარგის ჯაყელის სანახავად. სარგისი სიბერისაგან დასნეულებული იყო. არღუნმა გამოიარა სომხითი, თბილისი და ქართლი ოცი ათასი მხედრით და დიდად ავნებდა ქვეყანას. არღუნი მოულოდნელად მივიდა სამცხეში და გაჩერდა აწყურში. როცა გაიგო სარგისმა არღუნის მისვლა, იგი და მისი ძე, ბექა მივიდნენ მასთან. ორივეს მოსვლა გაუკვირდა არღუნს და სარგისი თან წაიყვანა ურდოში, ხოლო ბექა სამცხეში დატოვა. წმინდა მარხვის მეხუთე კვირა იყო. წამოვიდნენ სამცხიდან და მოვიდნენ სომხითში. ვნების კვირა დადგა. დიდ ოთხშაბათს ძლიერი მიწისძვრა იყო ჩვენი უსჯულოების სამხილებლად. ხუთშაბათს კვლავ იყო მცირე მიწისძვრა,

მაგრამ ვერავინ მიხვდა შემნდობელი ღვთისათვის წყალობა ეთხოვა. პარასკევს, უფლის ვნების დღეს, კვლავ იძრა ქვეყანა, მაგრამ მიწისძვრა დამშვიდდა და აღარ გაგრძელდა. დადგა შაბათი და იქმნა სამ ჟამად დღე, მეორე დღეს სიხარული უნდა ყოფილიყო უფლის აღდგომის გამო და ყველა მოელოდა ამ სიხარულს, მაგრამ ჩვენი უამრავი უსამართლობის გამო ღმერთმა ისეთი რისხვა მოგვივლინა, რომ ისე ძლიერად იძრა და შეძრწუნდა მიწა, რომ დაიქცა საყდრები და მონასტრები, ეკლესიები, ციხეები, ნაშენები სახლები [278] მოოხრდა, მთები და მაღალი ბორცვები დაიშალა, კლდეები მტვრად იქცა, მიწა გაიპო და კუპრის მსგავსი წყალი ამოიჭრა, მაღალი ხეები დაეცა და ირყეოდა მიწისძვრისაგან. აწყურის საყდარი დაიქცა, ყოვლადწმიდა აწყურის ღვთისმშობელი, ლიტანიობით შესუენებული შუა საყდარში ესვენა; გუმბათი ჩამოიჭრა და როგორც კაცის ქუდი, ისე დაეხურა მას თავზე და გადარჩა უვნებელი, თავისივე ძლიერებით. ეს საშინელი რისხვა სამცხეში ერთ თვეს გრძელდებოდა, სხვაგან კი არაფერი დაშავებულა. მცხეთის საყდარიც დაიქცა, სამცხეში უამრავი ხალხი დაიღუპა, არსად დარჩა საყდარი, ეკლესია და ციხე, რომ არ დაქცეულიყო. იყო უზომო გლოვა და ტირილი.

ზემოხსენებული არღუნ ალა იყო ყაენთან, სადაც რალაც სენი შეეყარა და მოკვდა. როცა ეს შეიტყო არღუნის შვილმა, წამოვიდა დიდი მეფის სახლში და თავისი ცოლი თბილისში დატოვა. მეფის და, თამარი გაიქცა მთიულეთში, რადგან სძულდა იგი როგორც ურჯულო და წარმართი. მაშინ სადღუნმა გაიგო რა, რომ მეფის დას აღარ უნდოდა ქმრად არღუნის შვილი, ევაჭრა და ევედრა ყაენ აბალას მიეყიდა მისთვის მეფის და. აბალა დასთანხმდა და მიჰყიდა მას. მეფემ მისცა თავისი და სადღუნს. ასეთი უწესობა ჩაიდინა სადღუნმა – მან სამი ცოლი მოიყვანა. ამისთვის გაუწყრა მას კათალიკოსი ნიკოლოზი, კაცი მოხუცებული და სამართლიანი მსაჯული. მაგრამ სადღუნის ძლიერების გამო მან ვერ შეძლო გაემორებინა, თუმცა შეაჩვენა.

იმ ხანებში, რალაც საქმის გამო განუდგნენ მონღოლებს სარგისი და მისი ძე, ბექა. სარგისი ფეხის ტკივილით იყო შენუხებული. ბულა ნოინმა, თვალად წოდებულმა, გამოგზავნა თავისი ძმა, არუხა სამცხის მოსაოხრებლად. [279] მოვიდა არუხა ოცი ათასიანი ჯარით. ბექამ მთებს შეაფარა თავი, გურიასა და აჭარას შორის. მესხები შევიდნენ ციხეებში, გამოქვაბულებში და ტყეებში. მოიარა ლაშქარმა სამცხე და ვერაფერი ავნო. დაჰყვეს იქ ოცი დღე და წავიდნენ. ქვეყანა მშვიდობით გადარჩა.

და როცა გავიდა წელიწადი, ინება აბალა ყაენმა ეგვიპტეში წასვლა, რათა დაეპყრო და მოხარკე გაეხადა. მან მოიხმო თავის ჯარი, ასევე მეფე დიმიტრი თავის ჯართან ერთად, რათა წასულიყვნენ ეგვიპტის სულტნის წინააღმდეგ საბრძოლველად. მაშინ ფუნდუყადარი გარდაცვლილი იყო და სხვა სულტანი იყო მის მაგივრად, სახელად ნასირ მელიქი. აბალამ მოიხმო თავისი უმცროსი ძმა, მანგუ დემური, დანიშნა იგი მხედართმთავრად, ჩააბარა თავისი ჯარი და უბრძანა სულტნის წინააღმდეგ გაბრძოლება. მანგუ დემურმა კი სამცხის მთავარი, ბექა მოიხმო, რათა ისიც წაჰყოლოდა მას. ბექამ უთხრა: „ჩემი მტრების წაქეზებით შენი ძმა, ყაენი აბალა განყრა ჩემზე და არუხა გამოაგზავნა ჩემი ქვეყნის მოსაოხრებლად. მე გავერიდე და ახლა მეშინია ყაენის. თუ შენ შემომფიცავ, რომ არ დამსჯის და ჩემს ქვეყანას და მამულს მშვიდობით დაიცავს, მე მოვალ შენთან ჩემი ლაშქრით.“

როცა ეს გაიგონა მანგუ დემურმა, ძალიან გაეხარდა და ოქროს წყლის შესმით შეჰფიცა და ფიცის სიმტკიცის ნიშნად მისცა ბეჭედი, რომელიც მას თითზე ეკეთა. აუწყეს შიკრიკებმა ეს ყოველივე ბექას. მან მაშინვე მოუწოდა მესხებს და წავიდა მანგუ დემურთან. მანგუ დემურმა გაიხარა და დიდი პატივი მიაგო და საჩუქრებიც მიართვა და წარადგინა აბალა ყაენთან, რომელმაც დიდი პატივით მიიღო და შეიყვარა იგი სიკეთისათვის. წავიდნენ მისრეთში. იარეს მრავალი დღე და მიაღწიეს ერთ ქალაქს, რომელსაც ერქვა დარბუზაკი. გამოვიდნენ მოქალაქენი ქალაქის კარიდან და იყო ბრძოლა, რომელშიც ბექამ და მასთან მყოფმა მესხებმა მონღოლებზე და სხვა ქართველებზე მეტად გამოიჩინეს თავი, მოქალაქენი ქალაქში შეყარეს და დაცხრა ბრძოლა. მანგუ დემურმა დიდი პატივი მიაგო ბექას, მიართვა მას და მის დიდებულებს და აზნაურებს საკვირველი შესამოსელი და ცხენები.

[280] აიყარნენ იქიდან და წავიდნენ ეგვიპტისკენ და მივიდნენ ქალაქში, რომელსაც ეწოდება ამასია და ამო და დაბანაკდნენ ამ ქალაქის მახლობლად. სულტან მელიქს შეატყობინეს მონღოლთა მოსვლა და წამოვიდა იგი მთელი თავისი ძალებით. როცა იხილა მანგუ დემურმა სულტანი და მისი ჯარი, ამხედრდა და მოემზადა საბრძოლველად. მეფე დიმიტრი, ჯერ ისევ ჭაბუკი, ევედრა მანგუ დემურს წინამბრძოლად დაენიშნა იგი და მისი ჯარი. მანგუ დემური დაეთანხმა. დაიწყო სასტიკი და ძლიერი ბრძოლა, უდიდესი ყველა ძველ და გარდასულ ბრძოლათა შორის. სულტანმა იცოდა მეფისა

და მისი ჯარის ბრძოლაში უძლეველობა, ამიტომ თორმეტი ათასი რჩეული მხედარი თან იყოლია და წინ დაიყენა ორ მამაც მთავართან ერთად, რათა ბრძოლის გაძლიერებისა და გაცხარებისას უკანასკნელ შემტევებს სძლიონ და დაამარცხონ ქართველები. გაძლიერდა ომი და ორივე მხრიდან ურიცხვი მეომარი დაიღუპა. მაშინ მსწრაფლ შეუტიეს მეფეს ყარა-სონლულმა და იაყუბ აფრაშმა თორმეტი ათასი რჩეული მხედრით. კვლავ იყო სასტიკი ბრძოლა. მეფის წინამბრძოლი ორასი მხედარი დაიღუპა. მხოლოდ სამი კაცი ცხენებით და მეფე გადარჩნენ. მაგრამ ყარა-სონლულმა შუბით მოკლა მეფის ცხენი. ამის მხილველმა ქართველებმა გააფთრებული ბრძოლა დაიწყეს და უამრავი ეგვიპტელი მოკლეს. ცხენმოკლული მეფეც ძლიერად იბრძოდა. აბაშმა, სიქანალის ძემ, თავის ცხენზე შესვა მეფე. როგორც კი დაინახეს ქართველებმა ამხედრებული მეფე, ისინიც ამხედრდნენ და გააქციეს ყარა-სონლული და იაყუბი თავის თორმეტი ათას მხედართან ერთად. ასევე გაიქცნენ ნოინები და მონღოლები. თვით მანგუ დემურიც თავის ჯართან ერთად გაიქცა. მაშინ ქართველებიც იძულებული გახდნენ გაქცეულიყვნენ. [281] ქართველთა უმეტესობა დაიღუპა, თუმცა ზეციურმა განგებამ მეფე დაიცვა. მივიდნენ მანგუ დემური და მეფე აბაღასთან. აბაღა სანადიროდ იყო და ლაშქრის ამბავს ელოდებოდა. ერთმა გამოქცეულმა მონღოლმა გაღექსილად უამბო თითოეული მთავრის ამბავი მონღოლურად. ალიყანზე თქვა: „როგორც მალლიდან მომავალი შევარდენი შეება“; მანგუ დემური ვერძს მიაშვავსა, სირმონის შვილი, ებაგანი – მსტომელ ვეფხვს, იასბულა – მოზვერს, ბულა – კამეჩს, თავუნი – დედალ თხას. ქართველთა მეფის შესახებ ასე თქვა მათ ენაზე: „თენგრი მეთუ ქაურქუბა, ბულარ მეთუ ბუირლაჯი“, რაც ნიშნავს: „როგორც ღმერთი გრგვინავდა, როგორც აქლემი ბულრაობდა.“ როცა ქართველები ყაენთან მივიდნენ, ყაენმა მეფე პატივით მიიღო და წარავლინა სახლში. აბაღას კვლავ უნდოდა წასვლა და სულტანზე შურისძიება. მაგრამ მისი ძმა, მანგუ დემური მოკვდა. მცირე ხნის შემდეგ მოკვდა სადუნ ათაბაგი. მისი მამული მეფემ სადუნის ძეს, ხუტლუბულას უბოძა და სპასპეტობის პატივიც მიაგო.

ცოტა ხნის შემდეგ მოკვდა აბაღაც და ნოინებმა ყაენად დასვეს აბაღას ძმა, აჰმადა, რომელსაც არანაირი ნიჭი სახელმწიფოს მართვისა არ გააჩნდა. მეფე დიმიტრი ნავიდა ურდოში. აჰმადამ იგი პატივით მიიღო. იქ ყოფნის დროს მისცა თავისი ასული, რუსუდანი დიდი ბულას შვილს,

რის გამოც დიდად განრისხდა ნიკოლოზ კათალიკოსი და ღვთის სამართლიან სასჯელს ჰპირდებოდა. დიმიტრის იქ ყოფნის დროს აჰმადა ყაენმა ჩაიდინა ბოროტება – საბერძნეთიდან ჩამოიყვანა თავისი ძმა, ყონლარდა და მოაკვლევინა. [282] ხოლო ხუტლუბუღამ, სადუნის ძემ, მოკლა ყონლარდასთან მყოფი ორი ძმა, აბულეთის შვილები, რომელნიც ადრე სადუნს გაქცევიათ.

მეფე დიმიტრიმ, აქამდე კარგმა მმართველმა, სამეფო სკიპტრით შემკობილმა, მოწყალემ, სამართლიანმა, მონაზონთა და ეკლესიათა, ყოველთა საღმრთო და საერო წესთა დამცველმა, გადაუხვია ჭეშმარიტ გზას და შეერია წარმართებს. მან ისწავლა მათი საქმეები, გაუმაძღრობა და სიძვა ჩაიდო გულში, მოიყვანა სამი ცოლი, ერთი ბექას ასული და სხვანი რომელთაც შეაცთუნეს იგი სოლომონისებრ, სიბოროტისკენ გადაიხარა. ნიკოლოზ კათალიკოსი ხშირად ეუბნებოდა და ამხილებდა მას, მაგრამ ვერ დაარწმუნა. ნიკოლოზმა დატოვა კათალიკოსობა და თავისი ხელით აკურთხა კათალიკოსად მეფის ჯვრისმტვირთველი აბრაჰამი. თვით კი წავიდა თავის მამულში და იქ იმყოფებოდა დამაშვრალი მარხვით, მღვიძარებით, გლახაკთა მოწყალებით და სათნოებით სავსე მიიცვალა უფლის მიმართ.

იმ ხანებში მთაწმინდიდან მოვიდა ბასილი მონაზონი, ევფემიოს კათალიკოსის ბიძა, „საღმრთო წესითა აღსავსე“ და წინასწარმეტყველების მადლით გაბრწყინებული. ბასილი მონაზონი ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის გამოცხადებით მივიდა მეფესთან და როგორც მოციქული ამხილებდა და ეწინააღმდეგებოდა მეფეს მისი უწესო ქორწინების გამო. იგი ასწავლიდა მეფეს სინმინდეს და შეახსენებდა, რომ ჩვენ ვართ ტაძარი ღვთისა და სხეული გაუხრწნელი უნდა გვქონდეს. სიძვით გაუხრწნელი ღვთის ტაძარი ღვთის სასუფეველში დამკვიდრდება უპოვართათვის ფასდაუდებელი მარგალიტების მოპოვებით, ლოცვით, მარხვით, გლახაკთა მოწყალებით, [283] ღმობიერებით და უშურველობით. იგი არ უნდა შეუერთდეს ჭუჭყიან და ტალახიან მდინარეს და უთხრა: „თუ უწესო ქორწინებებზე უარს იტყვი, მე პირობას გაძღვევ, რომ შენი მეფობა კარგად წარიმართება.“ იგი ასევე ამხილებდა მთავართა უწესოებას და მათი დაფარული ფიქრებიც უთხრა. ასეთი სათნოებით გაბრწყინებული იყო ეს სანატრელი მონაზონი. მაგრამ როცა ნახა, რომ ვერ დაარწმუნა მეფე, რომელმაც შეურაცხყო მისი სიტყვები, კვლავ უთხრა მეფეს და მის მთავრებს: „თუ მე ჩემით ვამბობ ყოველივე

ამას, როგორც ცრუ წინასწარმეტყველი, ღვთის კაცის მაცთუნებელი, რომელიც მოველინა რობოამს, ნაბოტიანის ძეს, და არა ვარ ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის მიერ მოვლინებული, შემრაცხეთ მე ცრუდ. მაგრამა თუ მე ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის მიერ ვარ მოვლინილი შენს დასარიგებლად, ფუჭი არ იქნება შენი ადრინდელი საქმეები, შენი ლოცვა და ცრემლები. თუ უარს არ იტყვი უნესო ქორწინებებზე და ჩემს სიტყვებს არ დაიჯერებ, ბოროტად და უპატიოდ იქნები მოკლული ძლიერთა მიერ, შენი სამეფო შენი აღარ იქნება, შენი შვილები გაიფანტებიან და სხვა დაიპყრობს შენს მეფობას, შენი სიმდიდრე იავარყოფილი იქნება. აჰა, ამას გეუბნებით შენ და მთავრებს და შევთხოვ ყოვლადწმიდა ღვთისმშობელს, რომ აღსრულდეს ჩემი სიტყვა, თუ განაგრძობ უნესოდ ცხოვრებას. მე მივდივარ.“ გაკვირვებულმა მეფემ არაფერი უპასუხა, რადგან იგი წმინდა კაცთა პატივისმცემელი იყო.

იმ ხანებში ბრწყინავდა პიმენ სალოსი, რომელიც გარეჯიდან წამოვიდა და დაემკვიდრა ბელაქანში, ერთ გამოქვაბულში. მან წარმართი ლეკები ქრისტეს სარწმუნოებაზე მოაქცია. ასევე ბრწყინავდა დიდი მოღვაწე, ანტონი ნაოხრებელის ძე, მესხი.

ჩვენ დავუბრუნდეთ კვლავ ზემოხსენებულ აჰმადა ყაენს. რადგან [284] აჰმადამ თავისი ძმა, ყონლადარი მოკლა, ამ უნესოების შემხედვარე, ხუარასანს მყოფი ნოინები განუდგნენ მას და ყაენად დასვეს აბალა ყაენის ძე, სახელად არღუნი. როცა ეს ამბავი შეიტყო აჰმადა ყაენმა, შეკრიბა თავისი ჯარი და მოიხმო მეფე და მისი ჯარი, რათა წაჰყოლოდა მას არღუნ ყაენის წინააღმდეგ საბრძოლველად. წავიდა მეფე და თან წაიყვანა მთელი თავისი ჯარი, მანდატურთუხუცესი, დიდი შანშეს ძე, ივანე და სადუნის ძე, ხუტლუბულა ამირსპასალარი. წარემართნენ, გაიარეს ერაცი და მივიდნენ არღუნის საზღვართან. არღუნმა როცა ნახა ლაშქრის სიმრავლე, ვერ გაუწია წინააღმდეგობა, გაიქცა და შევიდა ციხეში, რომელსაც ქალსა ეწოდებოდა. ყაენმა აჰმადამ ალყაში მოაქცია ქალსას ციხე. არღუნი უძღური იყო. ამიტომ იგი შევედრა აჰმადას არ დაესაჯა და შეენდო მისთვის და მიეცა უვნებელობის ფიცი. აჰმადამ შეისმინა და მისცა მას უვნებელობის ფიცი, რადგან სპარსთა რჯული მიელო აჰმადას. გამოვიდა არღუნი ციხიდან და მივიდა ბიძასთან და ასე წამოვიდნენ. როცა მიდიოდნენ ხვარასანისკენ, შეიკრიბნენ ვინმე უნესო და ცუდი კაცები, ქრისტიანეთა მტერნი, რომელთაც ქრისტიანი კაცის მოკვლა დიდ ღვანლად მი-

აჩნდათ. ასეთი იყო უღმერთო მოჰამედის მოძღვრება, რომელიც მას თავის ცუდ წიგნში, ყურანში დაუწერია: „თუ ქრისტიანს მოკლავთ, სამოთხეში შეხვალთ. თუ ისინი მოგკლავენ, მაშინაც იქ შეხვალთ.“ შეიკრიბა უღმერთო ჯიმრთა კრებული⁷⁷ და სადაც ნახავდნენ ერთს ან ორ ქართველს, კლავდნენ. გაიგო ეს ამბავი სურამელი ბეგას შვილმა, რატიმ, რომელიც ჯერ კიდევ ყრმა იყო და სამოცი კაციით წავიდა და იპოვა ისინი ერთ მთაზე. ჯიმრნი სამასნი იყვნენ. რატიმ შეუტია და გაჩაღდა ფიცხელი ბრძოლა. პირველივე შეტაკების შემდეგ ზოგი გაიქცა, ზოგიც მოიყვანა [285] რატიმ მეფესთან და ამისთვის მეფემ მას დიდი პატივიც სცა და მრავალი საჩუქარიც უბოძა. იქიდან წამოვიდნენ და მოვიდნენ რეჰში და ყაზმინში. ყაენმა დიდად დაუმაძღლა მეფეს ხვარასანში თანხლება, დიდი პატივი სცა და მისცა მას საქართველოს ყველა მთავრები. გამარჯვებული ყაენი შინ წავიდა თავის ცოლებთან და მეფეც თან წაიყვანა. ხოლო მისი ძმისწული, არლუნი დატოვა რეჰში. იქ დატოვა ნოინები და დაავალა ალიყანს და სხვა ნოინებს, რათა რამდენიმე დღის შემდეგ მოეკლათ არლუნი. ნოინები არლუნთან იყვნენ და განიზრახეს დიდმა ბულამ და იასბულამ, ოირიდთა გვარის მთავარმა, არლუნი დაესვათ ყაენად, ხოლო აჰმადა მოეკლათ. შეასრულეს კიდევ. მივიდნენ ლამით, კარავში მყოფი ალიყანი გამოიყვანეს და მოკლეს. როგორც კი გათენდა, არლუნი ყაენად გამოაცხადეს, ხოლო აჰმადას დაედევნენ. აჰმადა მივიდა თავის ურდოში, უჟანში. იქ დაენივნენ და თოკით მოახრჩვეს.

მეფე დიმიტრის ადრევე შეუთვალეს, რათა განდგომოდა აჰმადას და მეფე ასეც მოიქცა – მობრუნდა და მივიდა არლუნ ყაენთან. მან კარგად მიიღო და მისცა მას მთელი მისი სამეფო და ავაგ ათაბაგის სახლი, რომელიც საჰიბდივანს ჰქონდა, რადგანაც ყაენი ბულას ემორჩილებოდა, ხოლო ბულა მოყვარე და მძახალი იყო მეფისა. გამარჯვებული მეფე მშვიდობით წავიდა შინ, ხოლო თავისი ძე, მცირეწლოვანი დავითი ათაბაგის სახლში გააგზავნა, რათა იქ გაზრდილიყო საუფლისწულოდ. და ასე დღითი დღე ძლიერდებოდა მეფე. კათალიკოსი აბრაჰამი კეთილად მართავდა კათოლიკე ეკლესიის საქეს, რადგან იყო იგი კაცი კეთილი საქმეების მართლმოქმედი და კარგად განაგებდა სამეფო საქმეებს.

მეფე დიმიტრის ტრაპიზონელთა ასულისგან ჰყავდა [286] დავით, ვახტანგ, ლაშა და მანოველი და ასული რუსუდანი, ხოლო მონღოლის ასულისაგან – ორი ძე, ბადურ და იადგარ და ასული ჯიგდა. ბექას

ასულმა მხოლოდ ერთი ძე გაუჩინა – გიორგი, რომელიც თავისი ძმების შემდეგ გახდა მეფე და შემდგომ მეფეთა შორის უდიდესი, რადგან მხოლოდშობილი ძე იყო დედისა, მხოლოდ იგი შვა დედამ; როგორც მარგალიტხეა ნათქვამი, რომ მხოლოდ ერთია საუკეთესო, ასევე გიორგი იყო თავისი დროის კაცთა შორის დიდებული, არა მხოლოდ ხელმწიფეთა, არამედ ყოველთა კაცთა შორის. დიმიტრი მეფემ მეტად დიდი სიმდიდრე მოიპოვა და შეჰმატა მამისგან დანატოვარ სიმდიდრეს. იგი ემსახურებოდა ყაენ არლუნს. მას დიდად შეეწეოდა ნოინი დიდი ბულა, რომელსაც ჩინგიყაენობა მისცა ყაენმა, რაც ყოველთა პატივთა შორის უდიდესია.

არლუნ ყაენს განუდგნენ დარუბანდელეები და ნავიდა ყაენი დარუბანდში და წაიყვანა თან მეფე დიმიტრი. შევიდნენ დარუბანდში. დარუბანდელეებმა ვერ გაუჩინეს წინააღმდეგობა და თავი შეაფარეს ციხე-სიმაგრეს, რომელსაც ანიყი ეწოდებოდა. მონღოლები გარს შემოერტყნენ ციხეს, მაგრამ ვერაფერს გახდნენ. მაშინ ყაენმა არლუნმა უბრძანა მეფეს, რათა შებრძოლებოდა მათ, რადგან იგი მეტად ძლიერი იყო. მეფე და მისი ჯარი შეესივნენ ციხეს და შევიდნენ. ბეგას შვილი, რატი პირველი შევიდა და აიღეს ციხე, მათი თავადები დახოცეს, წამოიყვანეს ტყვეები და მათი ოჯახები, წამოიღეს ურიცხვი განძი და ციხე დანვეს. ყაენი ყველაფერს ხედავდა. მეფის მიმართ იგი მტრულად იყო განწყობილი. ყაენმა სთხოვა მეფეს სახელოვანი ჯაჭვი და მეფემაც მაშინვე უბოძა და წამოვიდა შინ.

როცა გავიდა დიდი დრო და მოიწია წლისთავმა, რომელსაც მათ ენაზე ურდსინგი ეწოდება, თხუთმეტ მარტს,⁷⁸ მიავლინა ყაენმა ნოინეები, რომელნიც თავს დაესხნენ ბულას და შეიპყრეს იგი, [287] აიღეს მთელი მისი სიმდიდრე და მოიყვანეს ყაენთან. მან კი მაშინვე ბრძანა განუკითხავად მისი და მისი ძის მოკვლა. მართლაც მოკლეს ბულა და მისი ყველა ნათესავი. წარავლინეს კაცი საბერძნეთში, შამში და ხვარასანში და მრავალი დიდი ნოინი მოკლეს. ასე მოხდა ნოინთა კვლა და მოსპობა. მეფე დიმიტრისთან გამოგზავნა ელჩი ყაენმა და მოიწვია იგი ურდოში. როცა გაიგო მეფემ ბულას სიკვდილი, მეტად შეწუხდა. მან მოიხმო აბრაჰამ კათალიკოსი და ეპისკოპოსები, მონასტერთა და გარეჯის უდაბნოს მღვდელ-მონაზონნი და თავისი სამეფოს ყველა მთავარი. შეიკრიბნენ მეფესთან. დაჯდა მეფე და დიდებულებიც დასხდნენ. მაშინ მეფემ მიმართა მათ და ბრძანა: „ისმინეთ ჩემი, კათა-

ლიკოსო და ეპისკოპოსებო, ჩემი სამეფოს წარჩინებულებო! როცა გარდაიცვალა მამაჩემი, დავრჩი მცირეწლოვანი ყრმა მონღოლთა ძალადობის წინაშე, მაგრამ ყოვლისმპყრობელმა ღმერთმა, უფალმა ჩვენმა, იესო ქრისტემ და ყოვლადწმიდა ღვთისმშობელმა, რომლის ნაწილიც ვართ ჩვენ და პატიოსანმა ჯვარმა, რომელიც მოგვეცა ჩვენ, მეფეებს, დამიცვეს მე და მიმალწვევინეს სისრულის ასაკამდე, მომემადლა მე მეფობა, სკიპტრა და პორფირი მეფობისა. თქვენი თანადგომით წარმართე მეფობა და აქამდე მშვიდობით არის ჩემი სამეფო. ახლა განრისხებულია ყაენი, ყველა თავისი მთავარი მოუკლავს და ახლა მე მიხმობს თავისთან. თუ ურდოში არ წავალ, ცუდი რამ მელიოდება. თუ მთიულეთში წავალ, იქ გავმავრდები და დავიცავ თავს. მაგრამ მთელი ჩემი სამეფო მათ წინაშეა. წარმოიდგინეთ, რამდენი ქრისტიანი მოკვდება და ტყვედ იქნება წაყვანილი, ეკლესიები შეიგინება და მოოხრდება, ხატები და ჯვრები შეიმუხრება. თუ ურდოში წავალ, დანამდვილებით ვიცი, რომ მომკლავს. ახლა კი თქვენი სიბრძნით განაგეთ ეს საქმე, რადგან მე ასე მგონია: ბოხოქარია ეს საწუთრო, დაუდგრომელი და წარმავალი, ჩვენი ცხოვრება სიზმარივით და აჩრდილივით გაივლის და აუცილებლად და სწრაფად წავალთ ამ სოფლიდან. რა სარგებლობა ექნება ჩემს ცხოვრებას, თუ ჩემ გამო მრავალი ადამიანი მოკვდება და ცოდვით დამძიმებული წავალ ამ სოფლიდან. მე მსურს, რომ წავიდე [288] ყაენთან. იყოს ღვთის ნება: თუ მე მომკლავენ, ჩემი ქვეყანა უვნებელი დარჩება.“

როცა ეს მოისმინეს კათალიკოსმა, ეპისკოპოსებმა, მოძღვრებმა და მთავრებმა, მეტად გაუკვირდათ, როგორ დასდო მეფემ სული თავისი ერისათვის და ასეთი პასუხი მიუგეს: „შენი შემცვლელი არ არის, მეფეო. ღმერთმა გაშოროს მონღოლთაგან სიკვდილი. მოოხრდება ქვეყანა და შენი შვილები მიმოიფანტებიან. თუ ქვეყანა დარჩება, შენ ვინ შეგცვლის? ჩვენ გირჩევთ, წახვიდე მთიულეთში ან აფხაზეთში, როგორც ეს მამაშენმა გააკეთა. არ არის საჭირო თავის განწირვა. ჩვენ მტკიცედ ვრჩებით შენს ერთგულებად.“

მეფემ კი უპასუხა: „თქვენ ჩემი ერთგულებისა და სიყვარულის გამო ამბობთ ამას. მე კი მებრალეა უდანაშაულო ერი, როგორც ცხვარი, რომელსაც არ შეუძლია წინააღმდეგობის გაწევა და არსაიდან აქვს ნუგეშისცემა. მე დავდებ ჩემს სულს ჩემი ერისათვის და არ დავიშლი ურდოში წასვლას.“ მაშინ ყველა გაოცებული ადგა და აბრაჰამ კათა-

ლიკოსმა თქვა: „არ ივარგებს, მეფეო, სულის განწირვა. მრავალი მეფე გასცლია და დაუცავს თავისი თავი. ან, თუ შენ დასდებ შენს სულს ერისათვის, ჩვენ, ეპისკოპოსები ვიტვირთავთ შენს ცოდვებს, ღვთის წინაშე დაგემონმებით, რათა მონამეთა თანა შერაცხილ იქმნე, რადგან უფალი სახარებაში ამბობს: „უფროსს ამისსა სიყუარული არა არს, რათა დადვას კაცმან სული თვისი მოყუსისათჳს.“ თუ ერთი მოყვასისათვის სულის დადებაა სიკეთე, რამდენად უფრო სასარგებლოა ურიცხვი სულის გადარჩენა.“

როცა მეფემ კათალიკოსის სიტყვები მოისმინა, გაიხარა და გადაწყვიტა ურდოში წასვლა დიდი საგანძურით. მას თან წაჰყვა აბრაჰამ კათალიკოსი. იმ მთავრებს კი, რომელნიც არ გაჰყვნენ მას, ჩააბარა თავისი შვილები. ზოგი მთიულეთში გაგზავნა, ზოგი კახეთში. მცირეწლოვანი გიორგი კი ტაოში გაგზავნა, [289] იშხანის ციხეში, ასპარაძენში და თვით წავიდა ურდოში. მეფე მივიდა ავაგის ასულის, ხუაშაგის ქვეყანაში, სადაც დახვდა მისი ვაჟი, დავითი და ისიც თან წაიყვანა, რომ ყაენს მის ერთგულებაში ეჭვი არ შეეტანა. ცოტა იარეს და მიუახლოვდნენ ურდოს. ყაენს ეგონა, რომ მეფე არ მივიდოდა მასთან. ამიტომ გამოაგზავნა ერთი ნოინი, სახელად სიუქოლი, ზემოხსენებული იასბუღას ძე, რათა მიეყვანა მასთან მეფე. ეს ნოინი წინ შემოხვდა მეფეს, წაიღო მთელი მისი ბარგი და სიმდიდრე, ხოლო მეფე შეიპყრო და მიიყვანა არღუნ ყაენთან. ყაენი ყოყმანობდა – თუ იგი დასჯიდა მეფეს, აღარავინ იყო მეფობის ღირსი; ხოლო თუ არ დასჯიდა, მაშინ როგორ გაეშვა ბუღას მომხრე და თანამზრახველი?

ხუტლუბუღამ უთხრა ყაენს: „ნუ დარდობ, მე მოვიყვან აფხაზთა მეფის, დავითის ძეს, ვახტანგს და მას უბოძე მეფობა. მაშინ ორივე სამეფო შენ ბრძანებას დაემორჩილება.“ მოეწონა ეს სიტყვები ყაენს. წარავლინა ხუტლუბუღა იმერეთში, დავით მეფესთან და შეჰპირდა, რომ მის ძეს გაამეფებდა და ცოლად მისცემდა თავის ასულს, ოლჯათს.

როცა წავიდა ხუტლუბუღა, მოსთხოვეს მეფე დიმიტრის აღწერა მთელი თავისი სიმდიდრე, საგანძური, ძროხა და ცხვარი და საქონელი, რადგან მეფე შეპყრობილი იყო და მასთან ერთად მისი მთავრები, გარდა აბრაჰამ კათალიკოსისა, მეფეს სხვა გზა არ ჰქონდა და აღწერა, რაც ჰქონდა სიმდიდრე. გამოგზავნეს კაცები და წაიღეს ყველაფერი. აღარაფერი დატოვეს, რადგან მოქალაქეებმაც იცოდნენ მეფის საგანძურის შესახებ და შინაგამცემლები გახდნენ. იმასაც ამბობენ, რომ ხოჯა-

აზიზის შვილი, რომლის მამაც მეფე დავითმა მოკლა და ხუტლუბულა, მეფის წინააღმდეგ ერთად მოქმედებდნენ. როცა ნახა ყაენმა მეფის საგანძური, მეტად გაოცებული დარჩა და აღარ უნდოდა [290] მისი დასჯა. ნახეს რა განთავისუფლებული მეფე მისმა ვეზირებმა, უთხრეს: „შენი თავი შენ ხელშია. ღამით წაიყვანე მორბენალი ცხენები და წადი, გაექეცი ამათ, რადგან შენი სულის ნაცვალი არა არს.“ მაშინ თქვა მეფემ: „ისმინეთ ჩემი! მე თავიდანვე ვიცოდი, რომ მოგკვებოდით, მაგრამ დავდე თავი და სული ჩემი ერისათვის. ახლა, თუ წავალ, უდანაშაულო ერი დაისჯება. რა სარგებლობას მომიტანს ამქვეყნიური ცხოვრების შექმნა, თუ სულს წარვინწყმედ.“ მეფემ არ შეისმინა თავისი მთავრების რჩევა.

მოვიდა ხუტლუბულა ლიხთ-იმერიდან და მოახსენა ყაენს, რომ დავით მეფე თავის ძეს და აფხაზთა ჯარს გამოაგზავნის ყაენის სამსახურში. როცა ეს გაიგო, ყაენმა კვლავ დააპატიმრა მეფე დიმიტრი. გავიდა ორი დღე და კვლავ შეიპყრეს მეფე და მისი მცირეწლოვანი ძე, დავითი, რომელსაც ნაჰყვა მისი გამზრდელი, მღვდელ-მონაზონი მოსე. მეფე არგნით სცემეს და ყველას ეგონა, რომ მეფეს აღარ მოკლავდნენ, რადგან წესად ჰქონდათ – ვისაც არგნით სცემდნენ, მას აღარ კლავდნენ. მაგრამ არ დამშვიდდა ყაენის გულისწყრომა. წაიყვანეს მეფე სამსჯავროში, რომელსაც დივანხანას უწოდებდნენ და ჰკითხეს, იყო თუ არა იგი ჩინგიშან-ბულას თანამზრახველი და ვერ დასდევს ბრალი. მაშინ წავიდა ერთი ნოინი ყაენთან თხოვნით, რათა არ მოეკლათ მეფე, მაგრამ ვერ აღასრულა თავისი თხოვნა. მოვიდა ყაენის თორმეტი მხედარი მეფის წასაყვანად და მოსაკლავად. როცა შეიტყო მეფემ, რომ მოსაკლავად მიჰყავდათ, მხიარული სახით მოიკითხა საქართველოს დიდებულები, რომელნიც მის ნუგეშის საცემლად იყვნენ მოსულნი. [291] იქვე იყო ხუტლუბულაც. მეფემ თქვა: „თუ შეგიძლია, ყაენთან შეემეჩიე, რომ არ მომკლას. თუ არ გსურს, ჩემი ძე, დავითი მაინც გადაარჩინე, რომ არ მოკლას გულისწყრომით სავსე ყაენმა.“ მეფემ და მთავრებმა ტირილი დაიწყეს. მეფე გავიდა გარეთ, ილოცა და ეზიარა სისხლსა და ხორცსა მეუფისა ჩვენისა ქრისტე ღვთისასა. შესვეს მეფე ცხენზე და წაიყვანეს ერთი მილიონის დაშორებით. იქ ევედრა მტარვალეებს, რათა კვლავ ილოცოს. ლოცულობდა და ცრემლები მიწაზე მოედინებოდა. შემდეგ დახარა თავი. აჰა, საშინელი და შიშის მომგვრელი დღე. ბილწებმა გაბედეს და ღვთის მიერ ცხებულს, მეფე დიმიტრის მოჰკვეთეს თავი.

მაშინვე გამოჩნდა პატივი, რომელიც მიეგო ღვთის მიერ ცხებულს, რადგან მზემ თავისი შარავანდედი უჩინო ჰყო და დაბნელდა სრულიად. წარმართები გაოცდნენ. იყო ათი საათი და მწუხრამდე იყო სიბნელე, როგორც მეუფის ვნების დროს. ასევე იყო ნეტარი და საქართველოსთვის ნამებული მეფის სიკვდილის დროს, რათა გამჟღავნებულიყო, რომ ღვთის მიერ ცხებულნი დიდებულნი არიან.

იყო მესამე შაბათი წმინდა მარხვისა, ებრაელთა მიერ ნისანად წოდებული მეთორმეტე თვისა და ჩვენებურად – მარტისა. აღასრულეს მონღოლებმა გულისწყრომა, რადგან არ დაცხრა მათი რისხვა. შეიპყრეს ყრმა დავითი და მიჰგვარეს ნოინ ტაჩარს, რომელიც მხედართმთავარი იყო. მას ღამესა მწუხარებასა გულისასა⁷⁹ გარშემოერთყენ კარავს, რომელშიც ყრმა დავითი იყო, რათა მოეკლათ იგი, მაგრამ ვერ მოახერხეს. როგორც კი გათენდა, გაიპარა მოსე მღვდელი, რომელიც არასდროს შორდებოდა დავითს და შევიდა ტაჩართან და აუწყა, რომ დავითის მოკვლას აპირებდნენ. ტაჩარი მაშინვე წავიდა ყაენთან და დავითის უდანაშაულობაზე ესაუბრა: „რად გინდა უცოდველი ყრმის სიკვდილი, მე დამითმე იგი.“ შეისმინა ყაენმა და მისცა ყრმა. ტაჩარმა თავის სახლში წაიყვანა დავითი და ჩააბარა თავის ხოჯას, რომელიც შემდგომში საჰიბდივანი გახდა.

[292] მეფე დიმიტრის პატიოსან გვამს მრავალი დღის განმავლობაში იცავდნენ, რათა ქართველებს არ წაეღოთ. ასე აღსრულდა ბასილი მთაწმინდელის წინასწარმეტყველება. იქ იყვნენ ქართველი დიდებულები, მაგრამ ვერავინ გაბედა მეფის გვამის გამოთხოვა. მაშინ კათალიკოსმა და მოსემ მოისყიდეს კაცები, მოსეც თან ნაჰყვა მათ და ღამით მოიპარეს დიმიტრი მეფის გვამი. უზენაესის განგებით გამოჩნდნენ თბილისელი კაცები, რომელთაც თევზი ჰქონდათ წასაღები და თევზთან ერთად წაიღეს დიმიტრი მეფის გვამი, მიიტანეს მცხეთაში და დამარხეს მამათა სამარხში. დავითი, დიმიტრის ძე კეთილად შეინახა ტაჩარ ნოინმა. ხოლო დედოფალი და მეფის სხვა ცოლები დამალეს. სორღალა წავიდა მამამისთან, მონღოლეთში, ბექას ასული – სამცხეში, მამასთან, ვახტანგი მთიულეთში იყო. ყრმამ მისცა სარჩოდ დედოფალს სკორეთის ხევი და მასთან იყვნენ უმცროსი ვაჟები – მანოველი და ლაშა. სორღალას კი მამის სახლში თან ნაჰყვნენ ბადური და იედგარი და დარჩა ქვეყანა უმეფოდ.

მაშინ მოუწოდა ყაენმა ხუტლუბუღას და უთხრა: „აჰა, გავანადგურე ყველა ჩემი მტერი და შენი მტერიც – მეფე დიმიტრი აღარ

არის მეფე. შეასრულე შენი დანაპირები და მოიყვანე აფხაზთა მეფის ძე და იყოს იგი მეფე. მაშინ მოგცემ მთელ საქართველოს და განაგე, როგორც გენებოს. წადი აფხაზეთში.“ წავიდა ხუტლუბულა მეფე დავითთან. როცა იხილა მეფე დავითმა ხუტლუბულა, მოიხმო თავისი ჯარი, წამოვიდა და თან წამოიყვანა თავისი ძე, ვახტანგი. გადმოვიდნენ და დადგნენ ტაშისკარში, ქვიშხეთის მინდორზე. მოვიდნენ სირმონ ნოინის შვილი, ცონციბა, ალიყანის შვილი, ყურუმჩი, რომელიც იდგა ჯავახეთის მთებში, არტანსა და სამცხეს შუა, მთელი საქართველოს დიდებულებიც შეიკრიბნენ და ერთგულების მტკიცე ფიცი დადეს. მისცა მათ თავისი ძე მეფემ და მრავალი თავადი გამოაყოლა და სასწრაფოდ წამოვიდნენ. ხოლო მეფე დაბრუნდა ქუთაისში. მივიდნენ რა არღუნ ყაენთან, იხილა ყაენმა ვახტანგი, შეიყვარა იგი, რადგან იყო ვახტანგი ტანად ახოვანი, პირით ლამაზი, მოწყალე, სამართლიანი, უხვი, თავმდაბალი, ენა-ტკბილი, კარგი მრჩეველი, ყოვლისა საქმის მცოდნე. ყაენმა მისცა მეფობა მთელი საქართველოსი და თავისი და, ოლჯათი ცოლად. გამოგზავნა ვახტანგი და მოვიდა იგი თბილისში.

სამოცდამეოთხე მეფე, ვახტანგი, ძე დავით, აფხაზთა მეფისა, ძისა რუსუდანისი, ბაგრატიონისა

მოვიდა ქართლში მეფე ვახტანგი. შეიკრიბნენ კათალიკოსი, ეპისკოპოსნი, და მთავრები და დაადგეს თავზე სამეფო გვირგვინი, დასვეს სამეფო ტახტზე და აღასრულეს კურთხევის წესი. დაიპყრო მან მთელი საქართველო ნიკოფსიიდან დარუბანდამდე, გარდა ბექა ჯაყელ-ციხისჯვარელისა და გაიხარეს სრულიად საქართველოს მკვიდრთა: „რადგან მოგვეცა ჩვენ მეფე პატიოსანი, ღვთისმოყვარე, ტკბილი და მოსამართლე, ახოვანი და მხნე, კარგი მეომარი.“ მან ხუტლუბულას მიაგო პატივი ათაბაგობისა და ამირსპასალარობისა, ხელში მისცა სამეფოს მართვა. დავითი დარჩა მონღოლებთან, ტაჩარ ნოინთან, ჭირში და გაჭირვებაში, დედოფალი დარჩა სკორეთში, ხოლო მისი სხვა ძმები მიმოიფანტნენ. ხოლო უმცროსი ძე [294] მეფე დიმიტრისა, გიორგი, რომელიც უშვა ბექას ასულმა, წაიყვანა პაპამისმა, ბექამ და აღზარდა საკვირველი და უმჯობესი იმ დროის კაცთა შორის, რასაც ცხადყოფს ქვემოთ მოთხრობილი.

გავიდა ორი წელი. ყაენ არღუნს საშინელი სენი შეეყარა – გაუხმა სხეულის ნაწილები, დაუღპა ხორცი და ძვლები ამოეყარა. საძაგელი და საზარელი იყო სანახავად, მიცვალებულს დაემსგავსა. არღუნის ავადმყოფობის დროს ინება ხუტლუბუღამ დავითის გამეფება. იგი ეცადა ნოინებს ვახტანგისთვის წაერთმიათ მეფობა. ტაჩარი ეხმარებოდა დავითს. ასევე ეხმარებოდა დავითს ოსთა მეფის ძე, სახელად ფარეჯანი. ამიტომ გამართეს ბჭობა, თუ რომელს ეკუთვნოდა მეფობა. სხვა ქართველ თავადებს არ უნდოდათ დავითის გამეფება, რადგან მტკიცედ ერთგულებდნენ ვახტანგს. ამიტომაც არ მისცეს მეფობა დავითს და მხოლოდ ადგილ-ადგილ სოფლები და მიწები მისცეს მას.

როცა გაძლიერდა უზენაესის რისხვა არღუნზე და მისი სნეულება ოთხი თვე გაგრძელდა და იყო იგი თავიდან ფეხებამდე დახსნილი, მობეზრდათ ნოინებს, შეიკრიბნენ და კარავში მოახრჩვეს. ეს მოხდა იმ დღესა და საათს, თორმეტ მარტს, როცა მოკლეს პატიოსანი და სანატრელი, ღვთის მიერ ცხებული მონამე, ბრწყინვალე დიმიტრი. ცხადი იყო, რომ იმიტომაც შეეყარა საშინელი სენი არღუნს, რომ მან მრავალი უდანაშაულო სისხლი დაღვარა და გაბედა ხელი შეეხო ღვთის მიერ ცხებულისათვის.

მოკვდა არღუნი და ყველა მისი მრჩეველი, რომელიც მეფის სიკვდილით დასჯაში მონაწილეობდა, მოისპო. ამიერიდან მიეცა ძალაუფლება დავითს და ნოინებიც დავითისკენ იყვნენ. ასევე მტკიცედ ეპყრა მეფობა ვახტანგს.

[295] ნოინებმა წარავლინეს კაცი და მოიყვანეს ყაენად არღუნის ძმა, ქელთუქონი, დასვეს ტახტზე და ჩააბარეს მთელი საყაენო. ქელთუქონმა შეიყვარა ვახტანგი, რადგან მის გამო ეგონა არღუნზე მოწეული სასტიკი რისხვა. მაგრამ ვახტანგ მეფეს შეეყარა რალაც სენი, რომლისგანაც იგი გარდაიცვალა. და მოკვდა მეფე ვახტანგი, მხოლოდ სამ წელს მეფედ ყოფილი, საღმრთო და საერო საქმეებით სრულყოფილი და შემკობილი, რადგან მისი აღმზრდელი იყო ფარსმანის შვილი, კეთილი და ჭკვიანი კაცი.

როცა შეიტყო ვახტანგის სიკვდილი დავითმა, მეფე დიმიტრის ძემ, შეწუხდა მეტად, რადგან ვახტანგი ახალგაზრდა იყო და სიკეთით სავსე და იგლოვა იგი წესისამებრ, დიდი პატივით დაკრძალა გელათში, მეფეთა სამარხში. როცა გაიგო მამამისმა, მეფე დავითმა, სასურველი და ყველასთვის საყვარელი მისი ძის, ვახტანგის სიკვდილი, ისეთმა

უზომო ტკივილმა და მწუხარებამ მოიცვა იგი, რომ შეუძლებელია ამის მოთხრობა. მეფე იმდენად დამწუხრებული იყო, რომ ველარ ჰპოვა ლხინება და რამდენიმე წლის შემდეგ მანაც შეისვენა, ღირსეული სიბერით აღსავსემ. მან დატოვა სამი ძე, უფროსი – კონსტანტინე, შუათანა – მიქელი და უმცროსი – ალექსანდრე, რომელიც მას უშვა დედოფალმა, კონსტანტინოპოლისა და საბერძნეთის მპყრობელის, დიდი პალიალოლოსის ასულმა. მეფე გახდა უფროსი ძე, კონსტანტინე. მის გამეფებას წინ აღუდგა მისი ძმა, მიქელი და დაიპყრო რაჭა და არგვეთი. მათ ხელში იმლებოდა სამეფო, მათი საქმეები არც არის მოსახსენებელი. და არ დადგა მშვიდობა, ვიდრე არ გარდაიცვალნენ, რადგან როგორც კი დაზავდებოდნენ, მაშინვე კვლავ ეწინააღმდეგებოდნენ ერთმანეთს.

[296] დაუზბრუნდეთ ძველ თხრობას, რომელსაც ჩვენ მცირედ გადავუხვიეთ. დაჯდა რა ტახტზე ქელათუ, განუდგა მას საბერძნეთის ქალაქი ტუნღუზალო. ქელათუ საბერძნეთიდან წამოსული იყო და ეგონათ, ყაენი მათთვის ვერ მოიცლიდა და ამიტომ განუდგნენ. მაშინ მოიხმო ქელათუმ თავისი ჯარი, მეფე დიმიტრის ძე, დავითი და ქართლის თავადები, ჩააბარა ტახტი, თავისი ცოლი და ხათუნები ელგონ ნოინს. ხოლო ხუტლუბულა და სხვა ქართველი მთავრები დატოვა მულანში, რადგან ეშინოდა ბერქალნთა შემოტევისა და თვით წავიდა და დავითი, დიმიტრის ძე თან წაიყვანა. ისინი გარშემოერტყნენ ქალაქს. ალყა ოთხი თვე გრძელდებოდა, მაგრამ ვერ აიღეს ქალაქი. ბოლოს, მეხუთე თვეს, როცა უკვე ძალიან გაუჭირდათ, იწყეს ძლიერი ბრძოლა. იბრძოდნენ დავითი და ქართველთა მცირე რაზმი. აიღეს ქალაქი და შევიდნენ. იქ, ერთ ყურეში ქრისტიანენი იყვნენ შეკრებილნი და შეევედრნენ დავითს, რათა შეენყალებინა ისინი და დაეცვა ყაენისაგან. შეისმინა დავითმა, მცველები დაუყენა და დაიცვა, აიღო ხარაჯა და ურიცხვი სიმდიდრე და წამოვიდა იქიდან. ფარეჯანის, ოსთა მეფის ძის იქ ყოფნის დროს იწყეს ოსებმა ქართლის აოხრება, დარბევა და აკლება, ხოლო ქალაქი გორი მოაოხრეს და დაიპყრეს. მაშინ შეიკრიბნენ ქართლის ერისთავ ბეგას ძე ამადასთან ქართველები და მოადგნენ გორს. მრავალგზის შეებნენ და ქალაქში მრავალი ოსი და ქართველი მოკვდა, გორი მთლიანად დაინვა. როცა გაუჭირდათ ოსებს, ციხიდან გადმოუშვეს თოკით კაცი, რომელიც გაგზავნეს მუხრანში მდგომ მონღოლებთან და დახმარება ითხოვეს. მონღოლები შუაში ჩადგნენ და დააზავეს მონინააღმდეგეები. ამიერიდან დაიწყო მტრობა ოსებსა და

ქართველებს შორის, ვიდრე მეფეთა შორის ბრწყინვალე, დიდმა და სახელგანთქმულმა გიორგიმ არ მოსპო ეს მტრობა. როცა ყაენი შინ დაბრუნდა, [297] მოიხმო დავითი და უთხრა: „ვინაიდან ჩემი სამსახურისთვის დადე თავი და ჩემი ერთგული ხარ, მომიცია შენთვის მეფობა და მთელი შენი სამეფო.“ ყაენმა გამოაგზავნა დავითი თბილისში, დასვა მამამისის ტახტზე და თან გამოაყოლა ქართველთა ჯარი, შანშე, ხუტლუბულა და ყველა დიდებულები. მოიხმეს ასევე ბექა სამცხიდან, მაგრამ მან არ ინება მოსვლა, რადგან ფრიად გაამპარტავნებული იყო და არც ყაენთან მიდიოდა, და არც მეფესთან. მან გამოგზავნა თავისი უფროსი ძე, სამცხის სპასალარი სარგისი და მთელი განძი, რაც მეფე დიმიტრისგან ჰქონდა მიზარებული, ასევე უძვირფასესი სარტყელი. მოვიდა სარგისი და დაუკლებლად მოუტანა ყოველივე მეფე დავითს. დასვეს მეფე ტახტზე და აკურთხეს კათალიკოსმა აბრაჰამმა და ეპისკოპოსებმა.

სამოცდამეხუთე მეფე ქართლისა, დავით, ძე დიმიტრი მეფისა, ბაგრატიონი

მისცა ყაენმა მეფე დავითს თავისი და, ოლჯათი, რომელიც ვახტანგს ჰყავდა ცოლად. მეფე დავითმა დაიპყრო მამამისის, დიმიტრის მთელი სამეფო, გარდა სამცხისა, რომელიც ბექას მპყრობელობაში იყო. მაგრამ ბექა პატივს სცემდა მეფე დავითს, მრავალ საჩუქარსა და ძღვენს უგზავნიდა. დავითი უმეტეს დროს ყაენთან იყო. თუმცა ოსთა მთავარი ფარეჯანი ერთგულად ემსახურებოდა მეფეს, ოსებს და ქართველებს მაინც მტრობა ჰქონდათ. იმდენად გადაეკიდნენ ერთმანეთს, რომ მოსაკლავად იმეტებდნენ. ნავიდნენ ოსები სავაჭროდ ქალაქში და როცა მობრუნდნენ, ნახეს ერთი მათხოვარი და მისცეს მას მონყალება ოსებმა, რომელთაგან ერთს ერქვა [298] სათხე, ხოლო მეორეს – უზურაბეგ და უთხრეს: „მათხოვარო, ევედრე ღმერთს, რომ დღეს ჩვენი და სურამელი ბეგას შვილის ხმლები ერთად შეიყაროს.“ ცოტა გაიარეს და შემოხვდათ ნადირობას მყოფი რატი, უიარაღო. მას მცირე ჯგუფი ახლდა. მაშინვე შეუტიეს ოსებმა. აიღო ფარი რატიმ, დადგა წყლის ვინრო გასასვლელში და პირველად სათხეს დაარტყა მუზარადში, გაუპო და ჩამოაგდო. სათხე მოკვდა. შემდეგ უზურაბეგ-

მა შეუტია. ჰკრა მასაც რატიმ ჯაჭვიან მხარში, განუკვეთა მხარი და ჩამოაგდო. რატის მეგობრებმა მოკლეს იგი. ნახეს რა ეს, სხვა ოსებს შეეშინდათ და გაიქცნენ. ამაზე ამბობს წინასწარმეტყველი: „უფალი ამპარტავანთა შეჰმუსრავს.“ ასევე სხვა ამბობს: „აღვოცენინ უფალ-მან ყოველნი ბაგენი მზაკუარნი, და ენა დიდად მეტყუელი.“

მოვიდა ყაენ თუქალის მაცნე დავითთან და ნავიდა დავითი თუქალ-თან, რომელიც არარატის მთებში იყო დაბანაკებული. როცა ნახა თუქალმა დავით მეფე, შეიყვარა იგი და ინება ფიცით დამტკიცება სი-ყვარულისა. ასეც მოიქცნენ და წამოვიდა მეფე შინ. მისცა მას ყაენმა დმანისი, რომელიც ჰქონდა ხუტლუბულას, მანგასარის ძმას.

ცოტა ხნის შემდეგ ნავიდნენ თუქალისგან ლტოლვილი ნოინები – ნავროზი, დიდი არლუნის შვილი, რომელიც იყო კაცი მხნე, ახოვანი, ცბიერი, მეტად მარჯვე და ალიყანის შვილი, ყურუმჩი, რომლის ძმა, ბულა მოკლა თუქალმა. ესენი მივიდნენ ხუარასანში, არლუნის შვილთ-ან, ყაზანთან. მას ჰქონდა საუფლისწულოდ ხუარასანი. შეიყარნენ და ინებეს, რათა ყაზანი ყოფილიყო მთავარი და ყაენი. შეიკრიბნენ და წა-რემართნენ ბაიდოს წინააღმდეგ საბრძოლველად. როცა გაიგო ყაზა-ნის მოსვლა, მოუწოდა ბაიდომ ლაშქარს. თუქალიც სწრაფად ნავიდა. ველარ მოუცადაეს მეფეს, აქაც დაიცვა იგი ღმერთმა. შეხვდნენ ერთ პატარა ქალაქში, ზანგანში და [299] თანასწორი ბრძოლის შედეგად ორივემ უკან დაიხია და გაიყარნენ. ყაზანი იქ არ იყო. მას ნავროზი და ხუტლუბულა გამოეგზავნა. ნავროზი ხელთ იგდეს. ძლიერად იბრძო-ლა ჯალირმა. ყაზანი ნავიდა ხუარასანიდან. ნავროზი ევედრა თუქალს გაეშვა იგი და შეჰფიცა, რომ ყაზანს ხელშეკრულს მოუყვანდა. ირწმუ-ნა თუქალმა და გაუშვა. როცა მივიდა ყაზანთან, შეკრა სპილენძის ქვა-ბი და გაუგზავნა თუქალს, რადგან თურქულად ქვაბს ყაზანი ეწოდება. მოვიდა თოკით შეკრული ქვაბი, გაუკვირდა და ეწყინა თუქალს. იგი არარატის მთებში იყო.

კვლავ წამოვიდა ყაზანი დიდი ჯარით და მოულოდნელად დაესხა თავს ბაიდოს უყანში. შეკრეს და დაახრჩვეს ბაიდო და მასთან ერთად მრავალი ნოინი. აქაც დაიცვა ღმერთმა მეფე. როცა გაიგო ბაიდო ყაენის სიკვდილი თუქალმა, გაიქცა და მივიდა სამცხეში, ბექასთან, რომელიც ბატონობდა ტაშისკარიდან კარნუქალაქამდე. შვილი კი მეფე დავითთან გაგზავნა და მას ჩააბარა. როცა მივიდა ყაზანი ადარ-ბადაგანში, რომელიც თავრეზია, ორგზის გამოუგზავნა მოციქული

მეფეს და ბექას, რათა მიეცათ მისთვის თუქალი და მისი შვილი. მაგრამ მათ არ მისცეს და იზრუნეს, რათა შეენყალებინა ისინი. ყაზანმა მისცა პირობა და უვნებლობის ბეჭედი და მისცეს თუქალი. როცა ყურუმჩიმ გაიგო, რომ თუქალი ურდოში წაიყვანეს, მიეგება ყაენ ყაზანის ელჩს ნახიდურში, წაართვა მას თუქალი და მოკლა, თავისი ძმის, ბაიდოს სიკვდილისათვის. მეფე დავითმა მისცა თუქალის შვილი და სიმდიდრე, რომელიც ოსთა მთავარს, ფარეჯანს ჰქონდა მიბარებული. ფარეჯანი ატენის ციხეში იდგა, რადგან ასე გადაუხადა მას მადლობა ყაზან ყაენმა. მაგრამ მეფემ არ მოინდომა [300] ურდოში წასვლა. მას ეშინოდა, რადგან მას თუქალი უყვარდა. სხვაც იყო მისი შიშის მიზეზი – ზემოხსენებული ნავროზი, არღუნ ალას შვილი, ქრისტიანთა მტერი იყო. ვისაც შეატყობდა, რომ მერყევი ქრისტიანი იყო, დაპატიჟებდა და მუსულმანად მოაქცევდა. ამას აკეთებდა ყაზანი ყაენისგან დაფარულად. სხვა სიბოროტესაც სჩადიოდა, ამიტომაც ბოროტად მოკვდა, რასაც ცხადყოფს ქვემოთ ნათქვამი.

ეს ნავროზი მეტად გადიდკაცდა და ყაენის უკითხავად განაგებდა სახელმწიფო საქმეებს. მას ძალიან არ უყვარდა ქრისტიანები და აპირებდა მათ სრულიად ამოწყვეტას და ეკლესიების დანგრევას თავრეზში და სხვა ქალაქებში. ნავროზმა მოიყვანა ქალაქ მარლას ეპისკოპოსი, ტომით და სარწმუნოებით ნასრანი, რომელიც იყო კაცი მონყალე და კეთილი, ფრიად სათნო, ადრინდელ ყაენთაგან პატივცემული და მამად სახელდებული. ეს ეპისკოპოსი შეიპყრო ნავროზმა და მრავალი ტკივილი და შეურაცხყოფა მიაყენა, რათა მას რჯული დაეტოვებინა. მაგრამ იგი ძლიერად წინაღუდგებოდა და ითმენდა და ამით შეურაცხყოფდა მაჰმადის რჯულს. ამისათვის გააძევეს იგი. ეპისკოპოსი მეტად მოხუცებული იყო. ამას კიდევ ის უბედურება დაამატა ნავროზმა, რომ გამოაგზავნა ერთი თავისი უკეთური ნათესავი საქართველოს ეკლესიების მოსაოხრებლად. პირველად მას უნდა მოეოხრებინა ვარძიის ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის საყდარი და შემდეგ მთელ საქართველოში და რასაც სიმდიდრეს ნახავდა, წაეღო. მას ეგონა, რომ ვარძიაში უზომო სიმდიდრე, ოქრო, ვერცხლი, ძვირფასი თვლები და მარგალიტები ინახებოდა.

როცა წამოვიდა, ჯერ მივიდა ნახჭევანში და დაიწყო ეკლესიების დანგრევა. მაგრამ მოინია მასზე [301] ყოვლადწმიდა ვარძიის ღვთისმშობლის რისხვა, რადგან იგი მიდიოდა ვარძიის ღვთისმშობლის

მოსაოხრებლად და პატიოსანი ჯვრის დასამხობად. ამისთვის დაეცა მას მეხი, რომელმაც სრულიად გააცამტვერა და დაწვა ძვლიანად. ასეთი საკვირველებით დაიცვა თავისი სამყოფელი ვარძიის ღვთისმშობელმა. ნავროზზეც მოინია ღვთის რისხვა, რადგან განრისხდა ყაენი ყაზანი მისი უსამართლო და ბოროტი საქმეებისათვის. ყაზანი იყო კეთილი და უბოროტო, ყველა ადრინდელ ყაენებზე სამართლიანი. მან ჯაჭვი გააბა ორ შეშაზე და მრავლად მოაბა ეჟენები, რათა ესმოდეს ეჟენთა ხმა და გაიგოს, თუ რა სასჯელი აქვთ გლახაკ და მდაბიო კაცებს და თვით განიკითხოს. მას ისე უყვარდა სამართალი, რომ მისი ყაენობის დროს არ იყო უსამართლობა და ძალადობა, არც დიდთაგან და არც მცირეთაგან. ამიტომაც შერისხული ნავროზი გაიქცა ხუარასანში. მას დაედევნა ზემოხსენებული ხუტლუბუღა ნოინი, დაენია და მოკლა იგი და მისი შვილი და ყველა მისი ნათესავი. მოისპო სახსენებელი მისი, როგორც ამბობს საღმრთო წერილი „მოისპენ უღმრთო, რათა არა იხილოს დიდება ღვთისა.“ ასე წარწყმდა მისი სახსენებელი და დამშვიდდნენ მონღოლები. ყაზან ყაენმა იწყო ქვეყნის მართვა სამართლიანად.

გამოაგზავნა შიკრიკი ყაზან ყაენმა და მოიხმო დავით მეფე. იგი სასწრაფოდ გაემზადა და მივიდა კახეთსა და ჰერეთში. მივიდნენ მასთან ჰერ-კახეთის დიდებულები და აზნაურები, ერისთავი სამადავლა, კაცი [302] შემკული მეომრის საუკეთესო თვისებებით, რჩეული ისრის მტყორცნელი, მსგავსი ებრაელი მოსომახოსი, გინდაც სახელოვანი მირმიდონთა წინამძღოლის, ნეოპტოლემეოს პილასი რჩეულისა. მეფე დავითმა რჩევა ჰკითხა ვეზირებს, წასულიყო ურდოში თუ არა. ვეზირებმა წასვლა ურჩიეს. მაგრამ მეფემ მათ არ დაუჯერა და უკან დაბრუნდა, რადგან მონღოლთა ყაენის ხილვის ეშინოდა. იგი წავიდა მთიულეთში, დადგა ჟინვანში, შეკრა სიბა და მცველები დააყენა. თვით მეფე კი მთიულეთში დაბანაკდა. მან თავისი უმცროსი ძმა, ვახტანგი ელჩად გაგზავნა ბათოს შვილიშვილთან და შეჰპირდა, რომ გზას მისცემდა ყაენის წინააღმდეგ წასასვლელად. მან მიიღო ეს პირობა და თავის მხრივ შესთავაზა ქვეყანა და დიდი სიმდიდრე. როცა ყაზან ყაენმა გაიგო მეფე დავითის განდგომის ამბავი, გამოგზავნა მხედართმთავარი ხუტლუბუღა, რომელსაც ბეგლარ-ბეგს უწოდებდნენ, დიდი ჯარით. მოვიდა ხუტლუბუღა და დადგა თბილისში, გაგზავნა მოციქული მეფე დავითთან, ითხოვა კაცები, რომელთა ნდობაც შეიძლებოდა და შესთავაზა ზავი და თხოვა ყაზანის ერთგულება, რათა არ გადა-

სულიყო მტრის მხარეზე. მეფემ გამოგზავნა კათალიკოსი აბრაჰამი, ბურსელი ივანე და თბილისის მოსამართლე. მან ითხოვა მძევლები და ფიცს შეჰპირდა. ხოლო მონღოლებმა შეჰფიცეს თავისი რჯულისამებრ და მისცეს მძევლებად ხუტლუბულას შვილი სიბუჩი, ყურუმჩის ძმა არფა და სხვა ნოინთა შვილები, ყაენის ბექედი და მტკიცე ხელშეუხებლობა. მეფე მოვიდა მათ სანახავად და აღუთქვა ურდოში წასვლა. ხუტლუბულამ პატივით მიიღო იგი და გაუშვა. დავითი შინ დაბრუნდა, მძევლები დაასაჩუქრა და გაუშვა.

როცა დადგა გაზაფხული, კვლავ იხმეს დავითი ურდოში. მაგრამ [303] მან კვლავ არ ინება წასვლა, რადგან ეშინოდა. ამიტომ გაგზავნა თავისი ძმა, ბადური დიდ ყაენთან, თოხთასთან. როცა ეს გაიგო ყაზან ყაენმა, კვლავ გამოგზავნა მხედართმთავარი ხუტლუბულა ურიცხვი ჯარით. მოვიდნენ სომხითში და კვლავ იხმეს მეფე და შეჰპირდნენ დიდ საჩუქრებს. კვლავ წარავლინა კათალიკოსი აბრაჰამი, თბილისის მოსამართლე და ივანე ბურსელი და შეჰპირდა, რომ მივიდოდა. მონღოლები მიხვდნენ, რომ დავითი მიზეზს ეძებდა, რომ არ მისულიყო, შეიპყრეს ივანე ბურსელი და მოკლეს, კათალიკოსი და მოსამართლე კი უვნებლად გაუშვეს. ნამოვიდნენ მთიულეთისკენ, მოაოხრეს სომხითი, ქართლი, თრიალეთი, ერწო და დადგნენ მუხრანში, ხერკში, ბაზალეთში, ერწოში და თიანეთში. მაგრამ ამ ადგილებში ვერ ეტეოდნენ, რომ დაბანაკებულიყვნენ და არბევდნენ ქართლს და ზემოხსენებულ ადგილებს. ურიცხვი დაატყვევეს და მახვილით მოსპეს და მიეცა ქვეყანა გასანადგურებლად ჩვენივე ცოდვების გამო. იმ წელს გამოჩნდა შუბის მსგავსი კუდიანი ვარსკვლავი ჩრდილოეთის მხარეს და იდგა ოთხი თვე და ყოველ ღამე ჩნდებოდა ეს შუბის სახის ვარსკვლავი და ამბობდნენ: „შუბით მოსპობას მოასწავებს.“

კვლავ ინებეს მონღოლებმა მეფესთან დაზავება და გაუგზავნეს მოციქული, რათა მეფემ შეჰფიცოს ყაზანს ერთგულება და არ მისცეს გზა ბათოს შვილიშვილს, დიდ ყაენ თოხთას. მეფე დათანხმდა. მას მისცეს მისი სამეფო და დადეს ფიცი. დავითმა გააგზავნა ურდოში დედა დედოფალი, თავისი უმცროსი ძმა, მანოველი, კათალიკოსი აბრაჰამი და დედოფალი, მისი ცოლი, ოლჯათი, რათა მოეგვარებინათ მისი საქმეები. როცა მივიდნენ ურდოში, ხუტლუბულამ პატივით მიიღო ისინი, სწრაფად დაბრუნდა და მისცა დავით მეფეს თბილისი და მისი სამეფო და წავიდა ურდოში და თან წაიყვანა დედოფალი ოლჯათი. კვლავ დამშვიდდა მოოხრებული ქვეყანა.

როცა გავიდა ზამთარი და დადგა ზაფხული, გამოგზავნეს მოციქული მეფე დავითთან, რათა გაეგოთ, იყო თუ არა მეფე კვლავ [304] ყაენის ერთგული. ამ კაცმა შეიტყო, რომ დავითს ბადური გაეგზავნა ყაენ თოხთასთან და გამოსასვლელ გზას შეჰპირებია. აცნობა ყაზანს, ხოლო იგი განყრა და გამოაგზავნა ყურუმჩი, თავისი შინაური კაცი, აღნაჯი და შანშე მხარგრძელი. მოიხმეს დავითის ძმა, ყრმა გიორგი, რომელიც ბექას ასულმა შვა და აღზარდა. მხოლოდ იგი შვა დედამ, როგორც მარტორქა, რადგან დედა ვერ შეძლებდა სხვა ასეთის გაჩენას. ამას ცხადყოფს ქვემოთ მონათხრობი.

გიორგი იყო ბექას სახლში. ბექა გადიდკაცებული იყო. მის მფლობელობაში იყო ტაშისკარიდან სპერამდე და თვით ზღვამდე: სამცხე, აჭარა, შავშეთი, კლარჯეთი, ნიგალისხევი, ხოლო ჭანეთი მთლიანად მისცა მას ბერძენთა მეფემ, კომნინოსმა ალექსიმ, რომელმაც ბექას ასული ცოლად მოიყვანა. მას ეკუთვნოდა ტაო, არტანი, კოლა, კარნიფორა და კარი, ასევე მიწები და ციხეები, არტანუჯი და კლარჯეთის თორმეტი უდაბნო, დიდებული აზნაურები, მონასტრები. ბექა ხარკს უხდიდა ყაზანს და ლაშქრითაც შეენწოდა. მას სთხოვეს ყრმა გიორგი, რათა მეფედ დაესვათ თავისი ძმის, დავითის წილ. ბექამ აღასრულა და მისცა, თან დიდი ლაშქარი გააყოლა. წაიყვანეს გიორგი და მეფედ დასვეს. თუმცა ასაკით მცირე იყო გიორგი, მას უწინასწარმეტყველეს უძლეველობა.

სამოცდამეექვსე მეფე ქართლისა, გიორგი, ძე დიმიტრი მეფისა და ძმა დავით მეფისა, ბაგრატიონი

ყრმა გიორგი თბილისის მეფე იყო. როცა მოვიდა გაზაფხული, კვლავ გამოგზავნა ყაზან ყაენმა იგივე ხუტლუბუღა ძლიერი ჯარით და [305] მრავალი სხვა ნოინიც და დადგნენ ზემოხსენებულ ადგილებში და საშინლად მოაოხრეს ქართლი. ხოლო მეფე დავითი დადგა ხადაში. ქუენიფლეველი შალვა გამოექცა მეფეს, რომლისგანაც მრავლად იყო დასაჩუქრებული. შალვამ დაივიწყა ესოდენ დიდი წყალობა და მივიდა ხუტლუბუღა ნოინთან, რომელსაც ძალიან გაეხარდა, პატივით მიიღო და მეგზურად დანიშნა. შეუდგნენ ცხრაზმის ხევის გზას და გავიდნენ ცხავატის მთას და ცხრაზმის ხევს შორის, ადგილზე, რომელსაც ეწოდებოდა ლომისა. როცა გაიგო დავითმა შალვა ქუენიფლევლის

ორგულობა, დაბანაკდა ციკარეში, რადგან ციკარე მტრისათვის შეუვალი იყო. ჩაიარა ხუტლუბულამ, გაიარა ხადა, გადავიდა ხევზე და გაემართა გველეთისაკენ, რადგან იქ ეგულებოდა მეფე დავითი. მოადგნენ სტეფანწმინდას, მაგრამ სოფელი ღვთის განგებით გამაგრდა. წინა რიგებში იყვნენ ქუენიფლეველი შალვა, ოსთა მთავარი ბაყათარ და მუხრანში მდგომი მონღოლი ბანთანალუთი. როცა ნახეს, რომ სტეფანელებს ვერაფერს ავნებდნენ და მეფეც იქ არ იყო, ითხოვეს ცოტაოდენი საკვები. სტეფანელებმა მისცეს და აიყარნენ, გადმოვიდნენ ხადაში. მეფე კი ციკარეში იყო. მეფესთან ერთგულად დადგნენ სურამელი ჰამადა, ამირეჯიბი აბაზას ძე, ჭილა და ქართველი და სომხითარი აზნაურები და დიდი ერთგულება აჩვენეს.

როცა შეიტყო ხუტლუბულამ, რომ მეფე ციკარეში იყო, გაყო ლაშქარი და ნაწილი გააგზავნა ცხავატის გზით, რათა ასე შემოუარონ და შევიდნენ ციკარეში. სხვანაირად იქ შესვლა შეუძლებელი იყო. მაშინ მეორე ლაშქარმა ქვემოდან შემოუარა და გავიდნენ ცხავატში. როცა ეს გაიგო მეფემ, გაგზავნა მცირე ლაშქარი და იყო დიდი ბრძოლა [306] და მოკვდა ურიცხვი მონღოლი, რადგან ვინრო გზაზე შემოსული იყო ხუთასი მეომარი და გზის სივინროვის გამო ველარ შეძლეს გაღწევა. ხუთასივე შეიპყრეს: ზოგი მოკლეს, ვინც ცოცხალი გადარჩა, მეფეს მოჰგვარეს. ხოლო სხვები გაიქცნენ. მეფის ჯარი გამოვიდა ხადის თავზე, ერთ გორაზე, რომელიც ციკარეს პირისპირაა და იყო დიდი ომი. კარგად იბრძოდნენ მეფის სახლეულნი, ხადელები, ზოგნი, ხევიდან მოსული რჩეულები. განსაკუთრებით ბევრი მონღოლი მოკლეს მთიულებმა, რადგან ფეხით სწრაფად მოძრაობდნენ. ცხენოსნები ვერ შედიოდნენ იქ და მონღოლები ქვეითად იბრძოდნენ. მათ ეხმარებოდნენ ივანეს ძე შანშე, ოსები, რომელთაც გორი ჰქონდათ დაპყრობილი, მესხთა ლაშქარი, რომელიც სამცხის მთავარს, ბექას გამოეგზავნა: თორელნი, თმოგველნი, ტაოელნი. ომი საღამომდე გაგრძელდა. გზის სივინროვის გამო ვერ შეერივნენ ერთმანეთს და გაიყარნენ. მონღოლები ხადაში დაბრუნდნენ. უშველა მეფეს ღმერთმა, ცხავატიდან შესული ლაშქარი გაიქცა, მხოლოდ ხუთასი კაცი დარჩა. ხუტლუბულასაც დიდად ევნო. იგი მიხვდა, რომ არ ღირდა ციკარეში შესვლა, აიყარა ლამით, დაადგა ლომისთავის გზას, დაესხა ქართლს და თუ ვინმე იყო დარჩენილი, დახოცა და დაატყვევა. მოაოხრეს ქართლი და წავიდნენ ყაენ ყაზანთან.

მოვიდა გაზაფხული. ყაენის ბრძანებით იგივე ხუტლუბულა უძლიერესი ჯარით წამოვიდა და მოვიდა თბილისში. მას მთიულეთში უნდოდა შესვლა. როცა ეს გაიგეს ქვეყნის დიდებულებმა, მეტად შეწუხდნენ და ეძებდნენ ხერხს, როგორმე გადაერჩინათ ქვეყანა მონღოლთაგან, თუკი რამ იყო დარჩენილი ქვეყნისაგან. შეიკრიბნენ მეფე დავითთან და თხოვეს წასულიყო ყაზანთან [307] და უვნებლობის და სიმტკიცის ფიცი მიელო მისგან. ისმინა მეფემ და გადაწყვიტა ურდოში წასვლა, სთხოვა ყაენს ზავი და ფიცი. ყაენმა დიდად გაიხარა და აღუთქვა მეფეს უვნებლობა და ქვეყნის დაცვა იმ პირობით, თუ მეფე ყაენს ეახლებოდა. მაშინ იგი მეფეს მშვიდობით დააბრუნებდა ქვეყანაში. ზავის და უვნებლობის ფიცის მისაღებად ივანე ბურსელი გააგზავნეს. მან აიღო ფიცი და მოვიდა მეფესთან და მოახსენა: „ხუტლუბულა სარწმუნო კაცია და პირობას არ დაარღვევს, ვგონებ, შეთანხმება მოხდება.“ მონღოლებმა მძევლებიც შესთავაზეს.⁸⁰ როცა ეს გაიგეს ქართველებმა, ჰერ-კახთა, გაიხარეს დიდად და ურჩევდნენ მეფეს წასვლას. მაგრამ მეფემ არ შეისმინა, რადგან მონღოლების ეშინოდა და დადგა გუელეთში. დიდებულებმა იცოდნენ, რომ ხუტლუბულა ქვეყანას ააოხრებდა. მეფის ნებართვით ბევრი მათგანი ხუტლუბულასთან წავიდა ქვეყნის გადასარჩენად და მანაც სიხარულით მიიღო ისინი. ქართლის ქვეყანა კი კვლავ მოაოხრა. მხოლოდ მთიულეთი გადარჩა. ხუტლუბულა ურდოში წავიდა.

შემოდგომაზე მეფე დავითი ჩავიდა ცხრაზმის ხევში და დაიწყო შალვა ქუენიფლეველის მამულის აოხრება მისი ორგულობის გამო. გასაჭირში ჩავარდნილმა შალვამ თხოვა სურამელ მსახურთუხუცესს და ქართლის ერისთავს, ჰამადას, მეფისთვის ეთხოვა პატიება. ჰამადამ მოახსენა მეფეს. მეფემ არ მოინდომა შალვას დაჭერა და ჰამადას უბოძა მისი თავი. შალვამ გადაიყარა თავზე ნაცარი და თქვა: „ეს არის მეფის ორგულთა მისაგებელი.“ მეფემ შეუნდო შალვას.

ამ დროს მეფის ძმა ვახტანგი, რომელიც შეიძულა დავითმა და შეიპყრო [308] და ჟინვანის ციხეში ჰყავდა გამომწყვდეული, გამოიპარა და მივიდა ივანე ბურსელთან და უთხრა: „არანაირი დანაშაული არ ჩამიდენია ჩემი ძმის წინააღმდეგ. მე ახლა არ წავალ ურდოში, მის მტრებთან. გაგზავნე კაცი მეფესთან და შეატყობინე ჩემი აქ ყოფნა. თუ შემომფიცავს, რომ ზიანს არ მომაყენებს და არ შემიპყრობს, მასთან მივალ და ცოტა სარჩოც მომცეს.“ ივანემ გაგზავნა კაცი მეფე და-

ვითან და ყოველივე მოახსენა. მეფემ გაიხარა და ფიცით მისცა პირობა, წაიყვანა თავისი ძმა და კარგად ექცეოდა. მაგრამ კვლავ შეეპარა ეჭვი ვახტანგის ერთგულებაში, რადგან ვახტანგმა ცოლად შეირთო შაბურის ძის ასული. ვახტანგმა პატივყრილად ყოფნა ვედარ აიტანა და წავიდა ურდოში ყაზან ყაენთან. მან კარგად მიიღო ვახტანგი და მისცა მეფობა. ყაენმა ვახტანგს თან გამოაყოლა ხუტლუბუღა ნოინი უძლიერესი ჯარით და მოვიდნენ თბილისში. იქ მათ მხარეს იყვნენ მონღოლები და ქართველები, სამცხის ბატონის, ბექას შვილი, სარგის სპასალარი, ტაოელნი, თორელნი, თმოგველნი და სომხითარნი, მით უმეტეს, რომ შანშე თავიდანვე თბილისში იყო.

სამოცდამეშვიდე მეფე ქართლისა, ვახტანგ, ძე დიმიტრი მეფისა და ძმა დავით მეფისა და გიორგი მეფისა, ბაგრატიონანი

როცა გაიგო მეფე დავითმა, რომ ვახტანგი უნდა მეფე გამხდარიყო, გააგზავნა იგივე ბურსელი ზავისათვის და აღუთქვა ურდოში წასვლა, თუ სიმტკიცის ფიცს და მძევლებს მისცემდნენ. ხუტლუბუღამ შეჰფიცა და ყველა თხოვნა შეუსრულა. წავიდა ბურსელი მეფესთან. მეფეს გაუხარდა და გააგზავნა დედოფალი, აბრაჰამ კათალიკოსი და ბურსელი. მოვიდა ხუტლუბუღა მუხრანში, სხვა ნოინები კი ბაზალეთში მიეგებნენ ოლჯათს და ყაენის მსგავსი პატივით შეხვდნენ. მათ მისცეს ოლჯათს სიმტკიცის პირობა, ყაენის ბეჭედი და ხელსახოცი, რადგან ასეთი იყო ფიცის სანდოობის წესი. ასევე მისცეს მას მძევლად ხუტლუბუღას შვილი, სიბურჩი. ოლჯათი იქ დაიტოვეს, ხოლო აბრაჰამ კათალიკოსი, მოსამართლე და ბურსელი მეფის მოსაყვანად გააგზავნა. როცა მეფემ შეიტყო, რომ ოლჯათი მონღოლებმა დაიტოვეს, ეს მოიმიზეზა და არ ისურვა მონღოლთა ნახვა, რადგან დიდი შიში ჰქონდა მათი. გააგზავნა ისევ კათალიკოსი, მოსამართლე და ბურსელი და ითხოვა ოლჯათი და მხოლოდ ამის შემდეგ აღუთქვა ნახვა. როცა მივიდნენ ხუტლუბუღასთან და მან გაიგო, რომ მეფე არ მოვიდა, უთხრა ბურსელს: „კაცო, ტყუილი რა არის. მე მტკიცე ფიცით შემოგფიცეთ და არ მოვიდა. ახლა მიიღე ტყუილის სანაცვლო პატივი.“ განრისხებულმა ხუტლუბუღამ მოკლა ბურსელი. მისი გვამი აიღო შანშემ

და გაგზავნა მის სასაფლაოზე. ვახტანგს დაუმტკიცეს მეფობა, ოლჯათი კი გაგზავნეს ურდოში.

მონღოლები კვლავ წავიდნენ მთიულეთში და გადავიდნენ გუელეთში, რადგან მეფე იქ იყო გამაგრებული და დიდად ავნებდა მონღოლებს. როცა დარწმუნდნენ მონღოლები, რომ გუელეთის აღება შეუძლებელი იყო, აიყარნენ და წამოვიდნენ. ამას ქარებიც დაერთო. მთიულებმა მრავალი მონღოლი მოკლეს. უამრავი მონღოლი დაიღუპა ზანდუკის ხევში. ჩამოვიდნენ ქართლში და წავიდნენ ყაზანთან და მიჰგუარეს მას ოლჯათი. როცა მეფე დარწმუნდა, რომ მას მის ცოლს, ოლჯათს აღარ მისცემდნენ, იქორწინა ქართლის ერისთავის, ჰამადას ასულზე, ფრიად ლამაზ ქალზე. ამ არეულობის დროს ქართლში არ იყო არც თესვა, არც [309] შენება, როგორც აქაბ მეფის დროს ელიას მიერ სამი წელი და ექვსი თვე. მაგრამ აქ ხუთ წელს გაგრძელდა უბედურება, რადგან განრისხდა ღმერთი სიბილნეთა და სოდომურ ცოდვათათვის. პირველად მწარე ტყვეობაში ვიყავით, მეორედ – ბარბაროსთა მიერ მოსპობილნი და დახოცილნი და მესამედ – პური აღარ იყო. არც დიდ ფასად შეიძლებოდა მისი ყიდვა. შიმშილი ისე მძვინვარებდა, რომ უწმინდური მძორის ჭამასაც არ ერიდებოდნენ. ქუჩები და მოედნები, გზები, მინდვრები, ქალაქები და სოფლები სავსე იყო მკვდრებით. ჩვილები მკვდარ დედათა ძუძუს სწოვდნენ. უმრავლესობა ქართლიდან სამცხეში წავიდა, ბექას მამულში, სადაც პურის ყიდვა შეიძლებოდა. ბექას მეუღლე ვახახი, ყოვლად შემკული ქალი, დიდ და უზომო მონყალებას გასცემდა.

ვახტანგის მეფობა დამტკიცდა. ყაზანმა მას მისცა თბილისი, სომხთი, დმანისი და სამშვილდე. ვახტანგი არ ეწინააღმდეგებოდა თავის ძმას, დავითს, რადგან იგი იყო ყოველმხრივ სრულყოფილი, სარწმუნოებით მტკიცე, ეკლესიათა პატივისმცემელი, მშვიდი, თავმდაბალი, არავისი შურდა. ვახტანგი იყო წყნარი და უშფოთველი.

იმ ხანებში მეტად გაძლიერდა სამცხის მთავარი, ბექა. სწორედ მაშინ გამოჩნდნენ საბერძნეთში მყოფი თურქები, რომელნიც ზაფხულში პარხლის მთებში იყვნენ დაბანაკებული, ხოლო ზამთარში – პონტოს მახლობლად. შეიკრიბა სამოცი ათასი კაცი აზატ-მოსეს, მხნე და ძლიერი კაცის მეთაურობით. ეს აზატ-მოსე მთელი თავისი [311] ძალებით წამოვიდა მთელი საქართველოს მოსაოხრებლად. როცა მოვიდა ბასიანსა და ტაოში, დაიწყო საშინელი აოხრება და ხოცვა-ჟლეტა. შეუძლებელია იმის მოთხრობა, რამდენი ადამიანი იქნა მოკლული და ტყვედ აყვანილი,

როგორ უწყალოდ ხოცავდნენ ბერებს, ყრმებს და ჭაბუკებს, ჩვილებს დედის ძუძუს აკლავდნენ. არავინ ელოდა თურქთა გამოჩენას, ამიტომ ტაო მოუმზადებელი დახვდა და ვერავინ შეძლო გაქცევა. ტაო იმდენად მოოხრდა, რომ ვაშლოვანიდან წამოსული თურქები შევიდნენ მურლულში და ნიგალისხევის უვალ ადგილებში, სადაც ხერხემალის ძეთა აზნაურებმა ბევრი დახოცეს. ტაოს ერისთავს, თაყა ფანასკერტელს, მცირე ლაშქარი ჰყავდა. ამიტომ იგი კი შეებრძოლა თურქებს თორთომის ძირში, ციხესთან და დიდადაც ავნო, მაგრამ თურქთა სიმრავლის გამო ისინი ქვეყნიდან ვერ გააძევა. პირიქით, თურქები უფრო გამძვინვარდნენ და აოხრებდნენ ტაოს. ამ ამბავმა ბექამდე მოაღწია. ბექა, გონიერი და ბრძენი მთავარი, მეტად შეწუხდა და მოუწოდა ყველა თავის ქვეშევრდომს და წავიდა თურქებთან საომრად. მაგრამ მან ვერ მიუსწრო, რადგან თურქები თავის საზამთრო ბანაკში წასულიყვნენ. შეწუხდა ბექა ტაოს მოოხრების გამო და დაბრუნდა სახლში.

მის სულს მეტად უმძიმდა ტაოში მისვლა. რაკი თურქთა წინააღმდეგ საბრძოლველად იყო ანთებული მისი სული, მოიხმო სამცხის და შავშეთ-კლარჯეთის დიდებულები და თქვა: „ისმინეთ ჩემი სიტყვა, მთავარნო საქართველოსანო, ძმანო და ჩემო თანამონათესავენო! დიდმა და სახელოვანმა, სკიპტრისა და პორფირის მქონებელთა შორის ყველაზე განთქმულმა მეფემ, დავითმა, დასცა და დაამხო თურქთა მოდგმის ძლიერება და გააძევა ისინი თავისი სამეფოდან. იმ დროიდან აღარ გამოჩენილან თურქები. და ახლა, ჩვენი ცოდვების გამო კვლავ გამძვინვარდნენ და მოაოხრეს ტაო, ურიცხვი ადამიანი ტყვედ აიყვანეს [312] და მახვილით მოკლეს, ეკლესიები დაანგრეს, სინმინდენი შეაგინეს და კვლავ ემზადებიან ქრისტიანთა გასანადგურებლად და მოსაოხრებლად. მეფე შევიწროებულია მონღოლთა მიერ, საქართველოს თავკაცნი განდგომილან და არავინაა თურქთა წინააღმდეგობის გამწევი. ან ისმინეთ ჩემი, ნათესავნო და ერთმორწმუნენო! შევკრიბოთ ჩვენი ძალები და შევებრძოლოთ თურქებს, არ მივცეთ ჩვენი თავი და ჩვენი შვილები. ღმერთი არ გაგვწირავს მასზე მინდობილებს და მორწმუნეებს და მოგვცემს ძალას დავამარცხოთ ისინი, როგორც მისცა მან ძალა ჩვენს მამებს. დავდოთ თავი ჩვენი რჯულის შეუგინებლობისათვის და ჩვენი ძმებისათვის. ღმერთი უეჭველად გვიხსნის.“

როცა ეს მოისმინეს მთავრებმა და ბექას მეომრებმა, სიხარულით დაეთანხმნენ და გადაწყვიტეს თურქთა წინააღმდეგ გალაშქრება. მცირე

ხნით, ზაფხულამდე დაიშალნენ. დაინყეს თურქებმა ზემოთ სვლა და შეკრიბეს სამოცი ათასი კაცი, რადგან ყველა ქალაქიდან გამოჰყვინნ მათ სარკინოზები ქრისტიანთა დასახოცად, არა მხოლოდ თურქნი, არამედ სპარსნიც. გაიგო თუ არა ბექამ თურქთა მოსვლის ამბავი, მოიხმო ყველა თავისი ქვეშევრდომი, ტაშისკარიდან ბასიანამდე, მესხნი, შავშელნი, კლარჯნი, კოლა-არტან-კარნიფორელნი, ტაოელნი, რადგან მას ეკუთვნოდა ეს მიწები. ასევე მოიხმო მან თმოგველნი და თორელნი და შეიკრიბა თორმეტი ათასი კაცი და გაემართა თურქთა წინააღმდეგ საბრძოლველად. თურქები კი პარხლის მთებში ამოვიდნენ და იქ დაბანაკდნენ. გაგზავნეს ჯარი ვაშლოვანის მოსაოხრებლად და უნდოდათ ბექას სამფლობელოში, სამცხეში და ქართლში და სომხითში მისვლა. როცა მივიდნენ თურქები ვაშლოვანში ათი ათასი კაცით, მათ წინააღმდეგ გამოვიდნენ ბექას მებრძოლები – ხუთასი კაცი, რომელნიც მცველებად გაეგზავნათ და დადგნენ ციხე-სიმაგრეებში. იყო ძლიერი ბრძოლა და გაიქცნენ თურქები. [313] ბევრი თურქი ამონყვიტეს ამ ციხე-სიმაგრეებში. ასე ეხმარებოდა ღმერთი ბექას თურქებზე გამარჯვებაში.

გაიგო რა ბექამ თურქთა ვაშლოვანიდან გაქცევის ამბავი, ფრიად გაიხარა და სასწრაფოდ წავიდა სპერში და ბაბერდში, სადაც იდგნენ თურქები. თურქებმა როცა ნახეს თავისი ჯარის მცირე ლაშქრით დამარცხება, განრისხდნენ და აღრჭენდნენ კბილებს. მათმა მთავარმა, აზატ-მოსემ, მოუწოდა თურქებს, გამოარჩია ოცდაათი ათასი კაცი და გაემართა ვაშლოვანისკენ თავისი მეომრების სისხლის საძებნელად. მან არ იცოდა, რომ ბექა ვაშლოვანს უახლოვდებოდა. ოცდაათი ათასი მეომარი აზატ-მოსემ ტაოსკენ გაუშვა და უთხრა: „მე წავალ ვაშლოვანში, მოვაოხრებ და ჩემს სისხლს ავინაზლაურებ. თქვენ წადით ტაოში, მოსპეთ, თუ ვინმეა დარჩენილი და დაბანაკდით. მეც გამარჯვებული მოვბრუნდები და მოვალ ბანაში. იქ შევიკრიბოთ და მოვსპოთ მთელი საქართველო.“ და ასე წავიდა ვაშლოვანისკენ.

მაშინ შეიარაღდა მანდატურთუხუცესი ბექა და მისი ჯარი და გაემართნენ თურქებისკენ. მათ არ იცოდნენ, რომ თურქები ვაშლოვანში წავიდნენ. მცირე ხნის შემდეგ ოთხი თურქი დაიჭირეს და მოუყვანეს ბექას. მან ჰკითხა თურქთა ამბავი, თუ სად იყვნენ ახლა ისინი. ოთხივეს ცალ-ცალკე ჰკითხა და ოთხივემ ერთი და იგივე უპასუხა: „აზატ-მოსე ოცდაათი ათასი მხედრით ვაშლოვანში წავიდა, ორმოცი ათასი დატოვა და გამოაგზავნა ტაოში. ხვალ ან ზეგ აქ იქნება.“

დაიჯერა მათი სიტყვები ბექამ და ორად გაყო თავისი ლაშქარი. რჩეული და რიცხოვრივად უფრო დიდი ლაშქარი მისცა თავის უფროს შვილს, სარგისს, რომელიც აბჯრისმტვირთველი იყო და გაგზავნა აზატ-მოსეს წინააღმდეგ ვაშლოვანში. სასწრაფოდ წავიდა სარგისი და დაენია ვაშლოვანის მთებზე მიმავალ თურქებს. დაინახეს თურქებმა მათ უკან მომავალი ლაშქარი, გაოცდნენ, მოაბრუნეს თავისი ცხენები სარგისისკენ. [314] იხილეს ქართველთა ლაშქრის სიმცირე – მესხები მხოლოდ ხუთასი კაცი იყო, ხოლო თურქნი – ოცდაათი ათასი, გაიხარეს და ეგონათ, რომ ყველას განადგურებდნენ. მაგრამ სარგისის მხედრებმა უშიშრად შეუტიეს. თვით სარგისი წინ მიუძღოდა ჯარს. მისმა მეომრებმა მხნედ შეუტიეს მტერს. სასტიკი ბრძოლა გაჩაღდა. პირველივე შეტაკების შედეგად გაიქცნენ თურქები. უკან მობრუნებულმა მესხებმა ხუთასცამეტი მკვდარი თურქი დათვალეს. ბევრი დევნისას მოკვდა. დევნეს თურქები მზის ჩასვლამდე. მოხედა ღმერთმა წყალობით ჯვრის მოსავთ, რადგან საოცარია ის, რომ ასეთი ომის დროს ბექას ლაშქრიდან ხუთ უსახელო მეომარზე მეტი არ დაღუპულა. ასე მისცა ღმერთმა ძლევა და გამარჯვება თურქებზე ბექას ლაშქარს. სარგისი, მიუხედავად იმისა, რომ ჭაბუკი იყო, მამაცურად იბრძოდა, რადგან მას თავისი გვარისგან მოსდგამდა მხნეობა და მამაპაპისეული ვაჟკაცობა.

ბექა გაემართა თურქთა ოჯახებისაკენ. შორიდან დაინახეს თურქებმა მთიდან მომავალი ბექა და მისი ჯარი. სწრაფად მობრუნდნენ და გაიქცნენ. მათმა ოჯახებმა კი მთებს მიაშურეს, აღარც თავისი სიმდიდრის დარდი ჰქონდათ და ყველაფერს ჰყრიდნენ. ბექა და მისი ჯარი დაედევნა მათ, იჭერდნენ და ხოცავდნენ. მათი რიცხვი უთვალავი იყო. მცირე რაოდენობით თურქები სპერის ციხეში და ნორქალაქში შევიდნენ. დაენივნენ მათ ბექას მეომრები და შეავინროვეს. გზა ვინრო იყო, ხოლო თურქთა ოჯახები უამრავი. ამიტომ მათ გაქცევა არ შეეძლოთ. შევიწროვდნენ თურქები და როგორც ცხვარს, ისე იჭერდნენ მათ და ხოცავდნენ. მაგრამ [315] ასეთი რამეც მოხდა: სარგისისგან გაქცეული თურქები უკნიდან დაენივნენ მანდატურთუხუცეს ბექას. მაგრამ მესხებმა კვლავ დაამარცხეს თურქები, მიადგნენ ქალაქ სპერს და პირველივე შეტაკებაში აიღეს ქალაქი, გარდა ციხისა და აივსნენ საქონლით, ოქროთი, ვერცხლით, ფარჩით, ჯოგით, ცხენით და აქლემით, ძროხით და ცხვრით და მათსავე სახედრებს აჰკიდეს და ძლივს წამოიღეს. ისეთი ძალა მისცა ღმერთმა ბექას, რომ მის მეომართაგან ერთიც არ დაღუპულა.

აილო ბექამ ქალაქი სპერი და ორასი გაქცეული თურქი ჩავიდა პონტოს მხარეს. გამარჯვებული სარგისი მამისკენ წამოვიდა და მომავალმა ააოხრა ნორაქალაქი, აავსო თავისი ჯარი საქონლით, ალაფით, ტყვეებით და ასე ძლევამოსილი მოვიდა მამასთან. როცა გაძლიერდა სპერის ალყა, მოუგზავნეს ბექას მოციქული: „ჩვენ ყაენ ყაზანისანი ვართ, თურქები პონტოს მხარეს გადაიხვეწნენ. ან გევედრებით, გაგვეცალე და უკან დაიხიე. ჩვენ უზომო ოქროს, ვერცხლს, ჯორს და ცხენს მოგცემთ.“ ისმინა ბექამ, აილო ურიცხვი განძი სპერიდან და ბაბერდიდან და ძლევამოსილი მობრუნდა. მიეგებნენ მას მთავრები კარნუქალაქიდან და მოართვეს მათაც ძღვენი, ალაფი და არც მათ ავნო. ასეთი ძლევა მიანიჭა ღმერთმა ბექას და დაბრუნდა იგი შინ უამრავი საქონლით. რადგან ბექა იყო მონასტერთა და ეკლესიათა მამულებელი, მონაზონთა, ხუცესთა და მონესე კაცთა პატივისმცემელი და არ აკლდებოდა ლოცვას ცისკარზე, შუადღეზე და საღამოს. არც მისი ლაშქარი აკლდებოდა სამივე ლოცვას, ამიტომაც უმარჯვებდა მას ღმერთი და მისცა მას ყაენმა ყაზანმა კარი და მისი შემოგარენი.

ჩვენ დავუბრუნდეთ ადრე ნათქვამს. იმ ხანებში დაიწყო ყაზან ყაენმა ეგვიპტელთა წინააღმდეგ ლაშქრობა და მოუწოდა მეფე ვახტანგს. ბექამაც მისცა თავისი რჩეული ლაშქარი, რომელიც სიით ჩააბარა.⁸¹ წავიდა ყაზანი და შევიდა ასურასტანისა და შამის ქვეყნებში და მოაოხრა. მისი ლაშქარი დიდი იყო – ასოცდაათი ათასი კაცი. როცა ეს გაიგო მისრის სულტანმა, რომელსაც სახელად [316] ერქვა ნასარ მელიქი, შეკრიბა მთელი თავისი ჯარი, მივიდა და მოემზადა საომრად. იყო სასტიკი ომი, სადაც ხუტლუბულა ნოინი ათასი მხედრით წინ დაუდგა ყაზანს, რადგან ყაზანის წინააღმდეგ მიმართეს ეგვიპტელებმა დიდი ძალები. ათასი კაციდან ექვსასი დახოცეს. ხუტლუბულას ოთხასილა დარჩა და მაინც სძლია და გააქცია მტერი. მას დაეხმარა ჩოფან სულდური ხუთასი კაცი. მათ შორის იყო ვახტანგი თავისი ჯარით, რომელიც მამაცურად იბრძოდა. ორივე მხრიდან ურიცხვი დაიღუპა. ეგვიპტელები და სულტანი ნასარ მელიქი გაიქცნენ. ყაზანი მათ დაედევნა. შემდეგ უკან მობრუნდა და სამი დღე დაისვენა. ხოლო მეოთხე დღეს კვლავ დაედევნენ, დაენივნენ და ამოწყვიტეს. მოედევნენ იქაურობას მონღოლები და ააოხრეს. ლაშქარმა წმინდა ქალაქამდე, იერუსალიმამდე მიაღწია, სადაც უამრავი ქრისტიანი, უფრო მეტი კი სპარსი მოკლეს. ყაზანი წავიდა დიამუშეს წინააღმდეგ, რომელიც იგივე დამასკოა. მათ კი, ღვთის სახელით შეწყალების მთხ-

ოვნელებმა, მისცეს ქალაქი და ურიცხვი საქონელი. გაამაგრა ყაზანმა დამასკო და ახლომდებარე ქალაქები და დაჰყო იქ ოთხი თვე. შემდეგ დატოვა ქალაქის მცველები და წამოვიდა თავის სახლში, თავრეზში. როცა დადგა ზაფხული, დამასკელებმა გამოყარეს ყაზანის მცველები. როგორც კი ეს გაიგო ყაზანმა, მოიხმო თავისი სპასპეტი ხუტლუბულა, მეფე ვახტანგი და საქართველოს მთავრები და გააგზავნა სულტნის წინააღმდეგ საომრად. მივიდნენ და შევიდნენ შამში და დამასკოში. აოხრებდნენ დამასკოს, მაგრამ ვერ აიღეს. გაიარეს დიდი ანტიოქია და მივიდნენ ლაზამდე. სულტანმა ვერ გაბედა მათთან ომი. ექვსი თვე აოხრებდნენ. შემდეგ წამოვიდნენ და მოვიდნენ გამარჯვებულები ყაზანთან.

დავით მეფე არ ენდობოდა მონღოლებს. ზაფხულს იგი მთიულეთში ატარებდა, ხოლო ზამთარს – ქართლში. ამიტომაც იძულებოდა ქართლის სამეფო. მთავარი ბაყათარი გაძლიერდა და აოხრებდა ქართლს და თრიალეთს. აზნაურებს თავიანთი მამულებიდან აძევებდა. დიდ გაჭირვებაში იყო ქართლი. მეფე დავითმა შეკრიბა მთიულეები და მივიდა თბილისში. მას ჰყავდა ცხენოსანი და ქვეითი თხუთმეტი ათასი კაცი. იგი თავს დაესხა საზაფხულოდ მიმავალ ყივჩაყებს. ზოგმა ყივჩაყმა ქალაქში შეაღწია, ზოგიც მტკვრის ნაპირით გაიქცა. ეს ამბავი გაიგო ვახტანგმა, რომელიც ტაბახმელაში იყო და წავიდა მცირე რაზმით, გაიარა ხიდი და სახიუდაბელი, გავიდა მახათაზე, რადგან დავითი თავისი ლაშქრით მახათას ქედის თავზე იდგა. ვახტანგი ქვემოდან მიადგა, დადგა, მაგრამ ვერ გაბედა შებმა, რადგან დავითის ლაშქარი დიდი იყო. მაშინ ორივე მხრიდან [317] მცირე ჯგუფები გამოეყო და შეებნენ. დავითის მხარე გააქციეს. ორი ძმა და მათი შვილები დახოცეს. როცა ომი გაცხარდა, ათასი გაქცეული ყივჩაყი შეურთდა ვახტანგის ჯარს. მოინია ღვთის რისხვა და გაიქცა დავითი, მისი ძლიერი ჯარი კი უმოქმედო იყო. დავითს ომი ვეღარ გაებედა. ყივჩაყები და ქართველები უკან დაუდგნენ და დევნეს ჯაჭვამდე, უამრავი კაცი დახოცეს. ვახტანგი არ იყო ძმის მტერი, მაგრამ მონღოლთა შიშით იძულებული იყო ძმას შებმოდა. გაიგო რა დავითის დამარცხების ამბავი, ბაყათარმა სასტიკად ააოხრა ქართლი. დავითი წინააღმდეგობას ვერ უწევდა. თანაც საშინელი სენი შეეყარა – ნეკრესის ქარი და ხელფეხი წაერთვა. დავითი ურწმუნო იყო, ღვთის შიში არ ჰქონდა. ამიტომაც უღონო იყო სენს შებრძობებოდა. ბაყათარი კი აოხრებდა ქვეყანას, ხოცავდა ხალხს. სურამელი ჰამადა და რატი ძლიერ წინააღმდეგობას უწევდნენ. ბაყათარმა გამრეკელს, კახას ძეს, ძამის ციხე წაართვა. გაიგო

ეს ბექამ, მოვიდა დიდი ლაშქრით. ციხიდან გამოსული ბაყათარი წინ დახვდა ბექას მონინავე რაზმს. ფიცხელი ომი დაიწყო. პირველივე შებმის შემდეგ ბაყათარი გაიქცა და შევიდა ციხეში. მივიდა ბექა და მიადგა ციხეს მთელი თავისი ძალებით. როცა ნახეს ოსებმა ბექას ძალა, ითხოვეს ღვთის სახელით შეწყალება და აღუთქვეს, რომ აღარ შეანუხებდნენ. ასე ჩაბარდა ბაყათარი ბექას. შემდეგ ბაყათარი მოკვდა.

ახლა მონღოლთა ამბავს მოგითხრობთ. ეგვიპტელებმა დამასკოს მცველები რომ გამოყარეს, განრისხებულმა ყაზანმა იგივე ხუტლუბუღა გაგზავნა ძლიერი ჯარით და ვახტანგიც ქართველთა ჯარით. სულტანმა როცა გაიგო მათი მისვლა, მიეგება მათ საომრად და იყო ძლიერი ომი. ორივე მხრიდან ურიცხვი ადამიანი დაიღუპა. იმ დღეს ომის ბედი ვერ გადაწყდა, ღამემ დააშორა მონინალმდეგეები. როცა უკან დაიხიეს, მონღოლებმა ნახეს დიდი ქედი და იქ დადგა ხუტლუბუღა თავისი ხალხით. მასთან იყვნენ უსეინი და სევიზჯი. ხოლო სიბუჩი, ხუტლუბუღას შვილი, მიუახლოვდა სულტანს და დადგა ვაკეში. მას ახლდა ბექას ლაშქარი, ყველას ცხენი თან ჰყავდა. სულტანმა მოახერხა და მონღოლთა უკან წყალი ჩამოუშვა. იმ ღამეს ისეთი ლაფი დადგა, რომ ცხენი და კაცი, ორივე დაფარა. როცა გათენდა, ნახეს მონღოლებმა მათ უკან ლაფი და წინ ლაშქრის სიმრავლე, უძღურნი გახდნენ, იპოვეს ერთი ვინრო გასასვლელი ლაფში, რომელშიც უამრავი კაცი და ცხენი დაიხოცა. როცა ეს გასასვლელი კაცით და ცხენით აივსო, დაიწყო გასვლა მდევარმა ლაშქარმა. ურიცხვი მონღოლი და ქართველი დაიღუპა. ვახტანგი და ნოინები მშვიდობით გადარჩნენ და მივიდნენ ყაზანთან, რომელიც განრისხდა და [318] ყველა ნოინი საპყრობილეში ჩასვა. თვით კი კვლავ მოემზადა სულტნის წინააღმდეგ საომრად. მაგრამ მუცლის სენით დასნეულდა და მოკვდა. ყველამ იგლოვა იგი სამართლიანობისა და იმის გამო, რომ მის საყაენოში ბოროტმოქმედი, ყაჩაღი და უსამართლო კაცი აღარ იპოვებოდა. ამიტომაც ყველას მნუხარება დაუტოვა.

მის შემდეგ ყაენებმა ტახტზე დასვეს მისი ძმა, სახელად ხარბანდა, „რომლისა უკანასკნელ ოლჯათა სულტანსა მისცა“.⁸² ხარბანდა ერთი თვალით ვერ ხედავდა და როგორც შეეძლო იცავდა თავისი ძმის, ყაზანის წესებს, რადგან ისიც კეთილი კაცი იყო. მან მოაწესრიგა თავისი საბრძანებელი. იგი ვახტანგს მეტად კარგად ეპყრობოდა. ხარბანდამ იწინააღმდეგო გილანში წასვლა და მოუწოდა მონღოლთა ჯარებს და თვით მეფე ვახტანგსაც. მან ოთხად გაჰყო თავისი ჯარი: უკეთესი და გამორჩეული

ჯარი მას და ვახტანგს შეხვდა; ერთი ნაწილი ხუტლუბუღას და ბექას ჩააბარა, ეს ლაშქარი თავიდანვე ბექასი იყო; ერთი ლაშქარი და გორში მსხდომი ოსები ჯალაღარს მისცა; ერთი ნაწილი სალდუხ ჩოფანისა იყო. თითო მეთაური თითო გზაზე ჩაგზავნა, ერთ გზაზე თვით ყაენი ხარბანდა ჩავიდა. წინამბრძოლად მეფე ვახტანგი განაწესა. მიუხედავად იმისა, რომ გილანელნი ცოტანი იყვნენ, არ შეშინდნენ. მათაც ოთხი მეთაური ჰყავდათ: ერქაბაზნი, უბაში, როსტანი და ასანი, რომელიც გამაგრდა და შეკრა ხირხალი.⁸³ ერქაბაზნი ხარბანდას დაუდგა წინ და შეება. ძლიერი ბრძოლა დაიწყო. ვახტანგი წინამბრძოლობდა. ქვეითებს გზის სივინროვისა და ტყის სიხშირის გამო უჭირდათ სიარული; სადაც მცირე ვაკე იყო, იქაც გაუვალი ტალახი იყო.

გაგრძელდა ომი. თავიდან ისრით, ხოლო შემდეგ ხმლით იბრძოდნენ მონღოლები და ქართველები. ხარბანდა უყურებდა ბრძოლას და [319] ხმით ამხნევებდა მებრძოლებს. გაცხარდა ომი. არ შებრუნებულა მეფე ვახტანგი, არც მისი ჯარი, მაგრამ გზის სივინროვის გამო იმდენი დაიხოცა, რომ ათი კაციდან ორი თუ გადარჩა ცოცხალი. ცხენოსანი სომხითარნი ახლდნენ ვახტანგს, და ისინიც ამოხოცეს. მრავალი აზნაური დარჩა უმემკვიდროდ, რადგან ერთად იბრძოდნენ მამა, შვილი და ძმა. ვახტანგი მხნედ და ძლიერად იბრძოდა. უკვირდათ მონღოლებს ქართველთა ვაჟკაცობა. ვახტანგი მხნე იყო ომში და მამაცურად იბრძოდა. იგი მსუბუქად დაიჭრა ფეხში. ჩავიდა მზე, მოახლოვდა ღამე და დაშორდნენ ერთმანეთს.

როცა ნახა ყაენმა, რომ ამ ქვეყნის სიძლიერე ტყეებსა და კლდეებში იყო, ღამით წამოვიდა. მაგრამ გილანელებმა ეს გაიგეს და დაედევნენ. ვისაც დაეწინა, ცუდ დღეში ჩააგდეს. ერთ მხარეს ხუტლუბუღას შვილი დაუდგათ წინ. გილანელთა მეთაურმა, უბიშმა, შეკრა ხირხალი და შეება ვინრო კარი შესასვლელს და დაუდგა წინ ხუტლუბუღას. ხუტლუბუღა კი გადმოვიდა ცხენიდან, დაჯდა სკამზე და უბრძანა ბექას ლაშქარს ქვეითად შესვლა. ასეც მოიქცნენ და შევიდნენ ხირხალში. დაიწყო ძლიერი ბრძოლა. აქაც ქართველები და მესხები იბრძოდნენ. არც მათ შეაქციეს ზურგი, მხნედ იბრძოდნენ, უფროსი გილანელები დახოცეს. ვიღაცამ სტყორცნა ისარი, რომელიც ხუტლუბუღას მოხვდა შიშველ თავში და მაშინვე მკვდარი გადავარდა სკამიდან. როცა მისმა შვილმა, სიბუჩიმ, ნახა მამის სიკვდილი, სასწრაფოდ გაიქცა თავის მეომრებთან ერთად. მესხები ხირხალში დარჩნენ. ზოგმა გაქცე-

ვა მოახერხა, უმეტესობა კი მოკლეს. ღვთის უზომო რისხვა დაატყდათ მონღოლებს და მესხებს, რადგან უკანა მხარეს, სადაც ბრინჯი იყო დათესილი, წყალი მიეშვათ და [320] ისეთი ლაფი იდგა, რომ ვერც ცხენი და ვერც ქვეითი ვერ გაივლიდა. ამიტომ უამრავი ხალხი დაიხოცა.

ჩოფანს როსტან მელიქი შეება ვაკე ადგილზე. ჩოფანმა სძლია და გააქცია, მაგრამ სიმაგრეში აღარ შეჰყვა, წყნარად დაბრუნდა. მხედარნი მას უკან მოჰყვებოდნენ. ჯავახის შვილი, გამრეკელი მხნედ იბრძოდა და მშვიდობით დაბრუნდა. უსენს და ოსებს შეება ასანი. თანასწორი ბრძოლა იყო. ისინიც გაიქცნენ და მივიდნენ უჟანში ხარბანდა ყაენთან. ხუტლუბუღა ნოინის ნაცვლად მხედართმთავრად სულდუსი ჩოფანი დანიშნეს. მეფე ვახტანგი და მისი დიდებულები მამაცურად ბრძოლისათვის დიდი საჩუქრებით დააჯილდოვეს და შინ გამოუშვეს.

როცაწავიდა ვახტანგი, მოვიდნენ ყაენ ხარბანდასთან ხოდრისელები, რჯულით სარკინოზები და ქრისტეს აღმსარებლების და ყველა ქრისტიანების მტერნი და უთხრეს: „თუ ყველა ქრისტიანს არ დაატოვებინებ თავის რჯულს და ეკლესიებს არ დააქცევ, ვერ გაიმარჯვებ მტერზე და შენი მეფობა და ხელმწიფება არ იქნება წარმატებული.“ ეს სიბილნე გადმონათხიეს ურჯულოებმა. ყაენმა დაუჯერა მათ და დაინყო ეკლესიების დანგრევა. მან გამოაგზავნა ლაშქარი და ერთი ნოინთა მთავარი საქართველოში, რათა მეფე ვახტანგს და ყველა ქართველს იძულებით დაეტოვებინა თავისი რჯული და სარკინოზები გამხდარიყვნენ. მას უნდა დაენგრია ეკლესიები მთელ საქართველოში. ეს გამოგზავნილი ნოინი ვახტანგს ნახჭევანში დაენია. მაგრამ მეფე ვახტანგი არ შეშინდა, უფრო გაძლიერდა და თავის ჯარს მოაგონა ქრისტე ღმერთის სიმხნე და ღვანლი და თქვა: „[321] ძმებო, ერთმორწმუნენო, ქრისტეს რჯულის ჭეშმარიტო აღმსარებლებო! თქვენ იცნობთ მამათა რჯულს, მოგისმენიათ წმინდა მოციქულთა ქადაგება, იცით ღვანლი და სიმხნე მონამეთა; თქვენ თქვენი თვალთ გინახავთ მათ ტაძრებში უამრავი სასწაული და მოგისმენიათ სახარებაში ნათქვამი ჭეშმარიტება: „რომელმან აღმიაროს მე წინაშე კაცთა, მეცა აღვიარო იგი წინაშე მამისა ჩემისა ზეცათასა“ და ასევე, „მოვედით ჩემდა ყოველნი მაშურალნი და ტვრთმძიმენი, და მე განგისუენო თქუენ.“ ნუ შეშინდებით, წავიდეთ ყაენთან და დავდოთ ჩვენი სულები მისთვის, რომელმაც ჩვენთვის დასდო თავისი სული. ჯერ ჩვენ გავწიროთ ჩვენი თავები სასიკვდილოდ, შემდეგ კი, იყოს ნება ღვთისა და მან დაიცვას თავისი სამწყსო.“

ვახტანგის ჯარმა სიხარულით მიიღო მისი ნათქვამი და მაშინვე წავიდნენ ურდოსკენ და მივიდნენ ყაენის კარზე, დაიჩოქეს და თქვა მეფემ ხმამალა: „ისმინე, მალალო და ძლიერო ყაენო, მოვიდა ბრძანება, რათა ყველა ქრისტიანმა დავტოვოთ ჩვენი რჯული. ახლა ისმინე: თქვენს ბედნიერ მამა-პაპას ემონებოდა და ემსახურებოდა ჩვენი მამა-პაპა ამ რჯულით და არასოდეს გაგვიგია, რომ ქართველთა რჯული ცუდია. ჩვენ ყოველთვის გამორჩეულნი ვიყავით. სპარსელთა რჯული მუდამ საძაგელად მიაჩნდათ ადრინდელ ყაენებს. ამიტომაც ამონყვიტეს ისინი, რადგან იყვნენ მომწამვლელნი, მამათმავალნი და კაცისმკვლელნი. და ახლა თუ სპარსთა სიტყვას ისმენ, ყაენო, მე ვარ ქართველთა მეფე და საქართველოს დიდებულები შენ წინაშე არიან. მე მზად ვარ მოვკვდე ქრისტეს რჯულისათვის და ასევე ყველა, შენ წინაშე მყოფი ქრისტიანი. აჰა, მოგვკვეთე თავები.“ და მიუშვირა ქედი. როცა გაიგონა [322] ყაენმა მისი სიტყვები, გაუკვირდა და პატივი სცა მეფეს, ტკბილი სიტყვით ააყენა და შეინყალა. ყაენმა დაადანაშაულა ისინი, ვინც ეს გააკეთებინა.

ასეთი რამეც მოხდა, რომ როცა ანგრევდნენ თავრეჟში ეკლესიებს, ოთხ დღეში ოთხი შვილი მოუკვდა ხარბანდას, სახელად ბარტამი და შემდგომნი. ასეთნაირად წარდგა მეფე ყაენის წინაშე და მოსპო უბედურება, რაც საქართველოს ელოდა. წამოვიდა ვახტანგი პატივცემული და მოვიდა ნახჭევანში, სადაც შეეყარა მუცლის სენი და მოკვდა, შემკული მეფობის გვირგვინით. წამოიყვანეს იგი და დამარხეს დმანისში. მას დარჩა ორი შვილი: დიმიტრი და გიორგი. დიმიტრის დმანისი ეკუთვნოდა, ხოლო გიორგის – სამშვილდე. როცა ჩოფანი ხუტლუბულას ნაცვლად გახდა მხედართმთავარი, წამოვიდა იგი ურიცხვი ჯარით. ჯერ მივიდა კოლასა და არტანში, არსიანამდე. მოიხმო ბექა, რათა მას ყაენი ანუ ჩოფანი ენახა. მაგრამ ბექამ არ ისურვა. მან თავისი უმცროსი შვილი, სახელად შალვა გააყოლა. წავიდა ჩოფანი და ჩაიარა სომხითი და ასე გადარჩა ბექას სამფლობელო მშვიდობით.

აქ დაიწყო აღმოზრნყინება მეფის ძემ, გიორგიმ, რომელიც აღზარდა მისმა პაპამ, დიდმა ბექამ.

ეს ის გიორგია, რომელსაც ვახტანგზე ადრე მისცა ყაენმა მეფობა. იგი არის დიმიტრი თავდადებულის ძე და დავით მეფისა და ვახტანგ მეფის ძმა.

გიორგი გაგზავნა ბექამ ჩოფანთან ერთად, რომელმაც მიიყვანა იგი ყაენთან. მან პატივით მიიღო გიორგი. ყაენს ადრევე დაესახა მიზნად მისი გამეფება. [323] ყაენმა მოციქული გამოუგზავნა დავითს და სთხო-

ვა შვილი, რათა ის გაემეფებინა. მაშინ დავითმა მისცა ყრმა გიორგი და გაგზავნეს იგი ურდოში. ყაენმა მას მისცა მეფობა და თბილისი. აღმზრდელად და საქმის მოურავად მას დაუნიშნეს დიდი გიორგი და მოვიდნენ თბილისში. იმავე წელს გარდაიცვალა სამცხის მთავარი ბექა, კაცი დიდად წარმატებული, სიკეთით სავსე როგორც საღმრთო, ისე საერო საქმეებში, სამართლიანი, ეკლესიათა და მონასტერთა მაშენებელი, დიდად მორწმუნე და გლახაკთა უშურველად დამხმარე.

მისი საყვარელი მეუღლე დიდად ეხმარებოდა ეპისკოპოსებს და ბერებს, სამღვდელოებას და ეკლესიებს. როცა გაიგებდა, რომ სადმე მოღვაწეობს კეთილი და ქკვიანი ეპისკოპოსი ან ბერი, მაშინვე მოიყვანდა თავისთან, ასაჩუქრებდა და პატივში ამყოფებდა. მისი სახლი სავსე იყო ბერებით და ხუცეცხებით. ამასთან იგი ქვრივ-ობლებისა და დავრდომილების შემწე იყო. მის სახლში ყოველთვის სრულდებოდა სამი ლოცვა. ამიტომაც კეთილად წარმართა ღმერთმა ბექას ცხოვრება: მტერს სძლია და მშვიდობასა და სინყნარეში გარდაიცვალა სამოცდაექვსი წლისა და მწუხარე დატოვა სამცხის მკვიდრნი.

დაიპყრეს სამცხე მისმა სამთავე ძემ: უფროსმა სარგისმა, შუათანა ყვარყვარემ და უმცროსმა შალვამ. ორი წლის შემდეგ გარდაიცვალა მძიმე სენით დაავადებული მეფე დავითი და დამარხეს იგი მეფეთა სამარხში, მცხეთას. მის ნაცვლად დატოვეს მისი უმცროსი შვილი გიორგი, უკვე ორ წელიწადს მეფედ კურთხეული.

ამის შემდეგ ინება ყაენმა შამის ქვეყნის წინააღმდეგ გალაშქრება და ალება ციხისა, რომელსაც ეწოდება რაბაშანი. ეს ციხე მისრელი სულტნის ხელში იყო. ყაენი მთელი თავისი ძალებით წავიდა – დიდი ლაშქარი წაიყვანა და ალყაში მოაქცია რაბაშანი, [324] ხუთი თვე იდგა იქ, მაგრამ ვერ აიღო. აიყარა და წავიდა. მას ჰყავდა ექვსი არწივი, ასევე სხვა ფრინველები და ავაზები. ასეთი ძლიერი იყო იგი. დაბრუნდა ყაენი შინ და მას შემდეგ აღარ წასულა სალაშქროდ. იყო მშვიდად და ნებიერად. იგი ცამეტ წელს იყო ყაენი.

ოღჯათ სულტანმა გამოგზავნა გიორგი მეფედ და თან გამოაყოლა ვინმე სპარსი, ზაალ მელიქი და ახრუნჩი, ჩოფანის მამის ძმა, რათა მთელი საქართველო გაეერთიანებინათ გიორგის მეფობის ქვეშ და დანიშნეს მათ შანშე მხარგრძელი და ზაქარია, ავაგის ასულის, ხუაშაგის ძე. მივიდნენ ჯავახეთში, შემდეგ კობტასთავს და მოუხმეს სარგისს და ყვარყვარეს. მაგრამ მათ არ ინებეს მისვლა.

იმ ხანებში საბერძნეთში ოლჯათ სულტანს განუდგნენ ფარმანის შვილები და დიდი კონის ქალაქი. ყაენმა ჩოფანი გააგზავნა საბერძნეთში თავისი ჯარით და თან გააყოლა ქართველებიც. გიორგი ჩოფანს გაჰყვა. ხოლო გოგაზილა მალაქი, შანშე და ზაქარია არ წაჰყვნენ. ისინი წავიდნენ და შევიდნენ თბილისში. მეფე გიორგი საბერძნეთში წაიყვანეს. ერთი წლის განმავლობაში ვერ უწევდნენ წინააღმდეგობას ფარმანის შვილები. გიორგის ლაშქარში ყველა ქართველი გაერთიანდა. ასევე მასთან იყვნენ ჯავახელები და თორელები. სადაც კი მივიდოდნენ საომრად, ყველგან მამაცურად იბრძოდა მეფე გიორგი და მასთან მყოფი ყველა ქართველი. ასე დაიმორჩილეს განდგომილები და ურჩები და ერთი წლის თავზე დაბრუნდნენ შინ. შემოდგომაზე ჩოფანი ყაენთან მივიდა. იქ ერთი თვე დარჩა. მოკვდა ოლჯათ სულტანი და დატოვა თავისი შვიდი წლის შვილი, სახელად მუსაითი. ხოლო სულტანი მიასვენეს და დაკრძალეს ქალაქში, რომელსაც ეწოდება [325] ყორლოილანგი. ეს ქალაქი მან ააშენა და თავრეზზე დიდი გახადა და უწოდა სახელად სული.

მეფე გიორგიმ გაიგო თუ არა ყაენის სიკვდილი და მის წილ მუსაითის დაყენება, წავიდა ურდოში. ჩოფანმა გაიხარა და ტკბილად მიიღო იგი, როგორც შვილი და მისცა მას მთელი საქართველო, საქართველოს ყველა მთავარი, დავით მეფის შვილები და მესხები – ბექას შვილები.

და იწყო მნათობმა აღმოზრწყინება. მე ენით ვერ გამოვთქვამ მის საკვირველ და საოცარ საქმეებს.

არსებითაჲ და დაუსაბამოსა ღვთისათა მამისა, ძისა და სულისა მზიდისაჲთა.

ჩანართ-შენიშვნა

გიორგი მეფის ცხოვრება რაც აქ წერია, მეტი ვერ ვიპოვეთ. ვიცით, რომ გიორგის მეფობის დროს ჩინგიზ ყაენთა შემოსევები იყო, მაგრამ ისინი დამარცხდნენ. იმერეთში ნარინ დავითის შვილები ერთმანეთს დაუპირისპირდნენ. მეფე გიორგიმ ჰერ-კახთა და სომხითის ერისთავები, რომელნიც ჩინგიზთ მიემხრნენ, კახეთში, ცივზე შეჰყარა და ამოწყვიტა. იმერნი და ამერნი გააერთიანა და მთელი საქართველო ნებით დაიპყრო.

(ეს ჩანართი ეკუთვნის ვახტანგის სწავლულ კაცთა კომისიას).

- * დასაწყისიდან, მე-3 გვერდიდან, 136-ე გვერდამდე ტექსტი ახალ ქართულ ენაზე გადმოიტანა ნინო მელიქიშვილმა; გვ. 136-დან გვ. 180-მდე – ნანა ჩიკვატამ ნინო მელიქიშვილის რედაქტორობით; გვ. 180-256 – თამარ მარ-გიანმა.
1. დედნისეული გვერდები მითითებულია შემდეგი გამოცემის მიხედვით: „ქართლის ცხოვრება“, ტექსტი დადგენილია ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ტ. I, თბ., 1955 წ.
 2. რელიგიური დღესასწაული, რომელიც ქრისტიანულ საქართველოში წარმართობიდან გადმოვიდა (ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, I, 1960, გვ. 57).
 3. ეს ჩანართი მოიპოვება მხოლოდ Tk ნუსხებში და ამოღებულია გიორგი მთაწმიდელის შრომიდან – „ცხოვრება იოვანესი და ეფთვიმესი“.
 4. ნ. ბერძენიშვილს „გარდათხრილი“ ესმის როგორც ხელოვნურად გაჭრილი გზა (იხ. ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს გზები რუსთაველის ეპოქაში, თბ., 1966, გვ. 95), ხოლო მ. ბროსეს, როგორც საკუთარი სახელი (იხ. მ. ბროსე, „ქართლის ცხოვრება“, ვახტანგის რედაქცია, სანკტ-პეტერბურგი, 1849, გვ. 269, ფრანგულ ენაზე). ზ. სარჯველაძე ამ სიტყვას განმარტავს როგორც „მოოხრებული, გაძარცვული“ (ძვ. ქართ. ენის სიტყვის კონა, თბ., 2001, გვ. 49).
 5. „გაგზავნა“ აქ მოულოდნელი ჩანს, ბაგრატი ხომ ეახლა დავითს. ზოგიერთ ხელნაწერში ეს წაკითხვა არ არის (იხ. ქართლის ცხოვრება, I, თბ., 1955, ს. ყაუხჩიშვილის გამოცემა, გვ. 277).
 6. „სვინდაქსი“ ბერძნული სიტყვაა და ნიშნავს „საბრძოლველად დარაზმვას“ (ქართლის ცხოვრება, I, გვ. 287, სქოლიო).“
 7. პაშტი=მსახური (ი. აბულაძე, თსუ შრომები, 49, 155). =ჰურის საკაზმავე ცხრილი (სულხან-საბა ორბელიანი, ლექსიკონი ქართული. ტ. I, გვ. 618).
 8. ჯეონი=მდინარე ამუდარია.
 9. ტექსტშია: „და არა აფრინდა ყოველსა შინა მამულსა მისსა ერთიცა ქათამი“.
 10. მ. ბროსე „ალაგთა ზედა“-ს ადგილას კითხულობს „გლახაკთა ზედა“ და ამ ადგილს თარგმნის როგორც „იყო უხვი გლახაკთა მიმართ“ (მ. ბროსე, გვ. 342).
 11. იგულისხმებიან ჯვაროსნები.
 12. ე. ი. ადამიანი, რომელიც გამეფებისას უკვე აღსავსე იყო ნაირგვარი ვნებებით, ანუ სამეფოდ უვარგისი პიროვნება.

13. იგულისხმება რუის-ურბნისის კრების ძეგლისწერა.
14. მზ. შანიძე უკლებლივ ყველა ნუსხაში არსებული “სანთლითა”-ს ადგილას აღადგენს სიტყვას: “სამალავთათ”. ეჭვი “სანთლითა”-ს, როგორც მცდარი იკითხვისის შესახებ, ადრევე გაჩენილა (მ. წერეთელი). ე. ი. აქ საუბარია ტყეებში არსებული სამალავებიდან მტრის გამოყვანის შესახებ [ცხოვრება მეფეთ-მეფისა დავითისი, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა, ლექსიკონი და საძიებლები დაურთო მზექალა შანიძემ, ქართული საისტორიო მწერლობის ძეგლები, IX, თბილისი, 1992, გვ. 52-56].
15. “კიდელნი” ს. ყაუხჩიშვილს კითხვის ნიშნით განმარტებული აქვს როგორც “ჭალი”. მთელ რიგ ნუსხებში არის მზ. შანიძის მოსაზრებით, სწორი წაკითხვა: „საკიდელნი” (იხ.: მზ. შანიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 25).
16. ტექსტშია: „და რაოდენ სანუთოთა და ჯორციელთა შინა იგი მისთა სწორთა და მისგან და მის ჟამისათა ყოველთა უმაღლეს და უზეშთაეს იყო...” მზ. შანიძის აზრით, სწორია C ნუსხის წაკითხვა: „მოჟამისათა” (ნაცვლად „მისგან და მისთა ჟამისათა”), რაც „მის (ანუ ალექსანდრეს) თანამედროვეს” უნდა ნიშნავდეს (იხ.: მზ. შანიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 57-59).
17. ტექსტშია: „მასვე შკდეულსა პირმარხვასა დღესა...”
18. მხარი=საზომი: ოთხი წერთა; დაახლოებით 1,5-2 მეტრი (ქართლის ცხოვრების ს. ყაუხჩიშვილისეული გამოცემის I ტომის ლექსიკონი, გვ. 448).
19. „დაჰმანი” ს. ყაუხჩიშვილისეულ ლექსიკონში კითხვის ნიშნით განმარტებულია როგორც „მოხერხებული” (ქართლის ცხოვრება, ტ. I, გვ. 438).
20. “ქოსი”, საბას მიხედვით, თურქული სიტყვაა და ნიშნავს „სპილენძ-ჭურს”; „ფილაკავანი”, საბასავე განმარტებით, დიდი ლოდის სასროლი მონყობილობაა (სასლეთი) ციხის შესამუსრავად.
21. ტექსტშია: „საბანელთა და სამზარეულოთათა”.
22. იგულისხმება ჰომეროსი.
23. ტექსტშია: „მნიგნობარნი”. ზოგიერთ ნუსხაში არის „მენიგნე”; ამ სიტყვას „დიდ სჯულისკანონში” აქვს „შუამავლის, მოციქულის” მნიშვნელობა (იხ. მზ. შანიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 60-61).
24. ტექსტშია: „წერილთა მეცნიერებანი”.
25. ტექსტშია: „და ურიცხუსა მას შინა სიმრავლესა ენათა ნათესავთასა”.
26. ტექსტშია: „წარვედ”.
27. ორლანო= საკრავი საბერვლიანი (სულხან-საბა, ლექსიკონი ქართული, I, თბ., 1991, გვ. 607); მუსიკალური ინსტრუმენტი (ზ. სარჯველაძე, ძვ. ქართ. ენის სიტყვის კონა, თბ., 2001).

28. მზ. შანიძე თავის გამოცემაში ამ ადგილას აღადგენს M ნუსხათა ნაკითხვას: „გაენისანი“: „საშინელებანი გეჰენიასანი“ (იხ.: დასახ. ნაშრ., გვ. 39-41).
29. ტექსტშია: „უძლიერესი სიმახვლითა“.
30. ეს არის პერიფრაზი ფსალმუნის (124, 3) ციტატისა: „რამეთუ არა დაუტეოს უფალმან კუერთხი ცოდვილთა ნაწილსა ზედა მართალთასა“.
31. მოტანილია ბიბლიური ციტატა (იერემია, 22, 25): „და მიგცე შენ ჴელებსა მეძიებელთა შენისათა“.
32. ტექსტში ასეა: „ბარგუმატი ზემოთ ანისთ“ და დასმული აქვს ძახილის ნიშანი (ს. ყაუხჩიშვილი, ტ. I, გვ. 368).
33. ლექსიკონებში ვერ დავადასტურეთ ლექსიკური ერთეულები: „დიმუშკი და ალაბი“.
34. ზოგიერთ ნუსხაში არის არა „ვაც-ბოტი“, რაც ჩვენ ვთარგმნეთ, არამედ „ვაც-ბოროტი“ (თეიმურაზის ნუსხაში და ბროსეს გამოცემაში).
35. ჯვარი.
36. მესანოლეთუხუცესი.
37. დედნის გვერდები მითითებული გვაქვს შემდეგი გამოცემის მიხედვით: ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილია ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით სიმონ ყაუხჩიშვილის მიერ, ტ. II, თბილისი, 1959.
38. საკუთარი სახელები ყველგან დედნისეული ფორმით გადმოგვაქვს.
39. „ქალწულება“=დაუქორწინებლობა (ზ. სარჯველაძე, ძვ. ქართ. ენის სიტყვის კონა, თბ., 2001). ამ კონტექსტში იგულისხმება მონაზვნური, საღმრთო ცხოვრება.
40. დედნისეული „კათალიკოსი“ (ძირითადად) და „კათალიკოზი“ (შედარებით იშვიათად) გადმოგვაქვს „კათალიკოსი“ ფორმით.
41. ნიშნავს: სხეულის ნაწილების მოკვეთით.
42. ნიშნავს: არ უნდა დაარღვიო ქორწინება.
43. ეს ფრაზა ავტორის მიერ ირონიით არის ნათქვამი: მან ხაზი გაუსვა ათაბაგის სიმხდალეს.
44. “ფანჯანობათი“=საკრავი, რომელიც წინ მიუძღოდა მეფეთა და სულტანთა კორტეჟს (ქართლის ცხოვრება, გამოსაცემად მოამზადეს, წინასიტყვაობა და ტერმინთა განმარტება დაურთეს ი. ანთელავამ და ნ. შოშიაშვილმა, თბილისი, 1966, გვ. 557).
45. ტექსტში ამ ადგილას არის: „ღვთისა ჴელობად მიუჰყრობდა მასვე ძღუნად, რომელმან არწმუნა განგებად, და მასვე მიუზღვიდა, რომელი მისცემდა მდიდართაგან და მოუკლებელთა წიაღთა“.

46. “მონაპირე” ს. ყაუხჩიშვილს განმარტებული აქვს როგორც „საზღვრის დამცველი”. ტექსტში მას ზოგჯერ „მზვერავის” მნიშვნელობა აქვს.
47. ეს იდიომური გამოთქმა დღევანდელის – „ძაღლის კუდს ვერაფერი გაასწორებს” – ტოლფასი უნდა იყოს. „ფლასი”=ჩვარი, ძონძი.
48. ევლოგია: ბერძნულად „კურთხეული” (სულხან-საბა, ლექსიკონი ქართული). ეს იგივე სალოსია. ჩვენ ქვემოთაც, ტექსტზე დაყრდნობით, მოვიხსენებთ მას როგორც „ევლოგს”.
49. ტექსტშია: „და რომელნი მძლავრობდეს ქრისტიანეთა, ყოველთა მიუმცნო, რათა აზადად იყვნენ და ფიცხლად დამორჩილდნენ შიშითა და სიყუარულითა მისითა”. სქოლიოში ვკითხულობთ: „აზადად ორს ამის წიგნში ასე ეწერა d.”
50. იგულისხმება „ყარსი”.
51. სქოლიოში ამ რამდენადმე გაუგებარ ადგილს გაკეთებული აქვს შენიშვნა: „V-ში ამას მოსდევს მოკლე თხრობა „ისტორიათა და აზმათაგან”, იხ. ზემოთ, გვ. 112, 8-17. დასახელებულ თხზულებაში შედარებით ვრცლად არის საუბარი იმაზე, თუ როგორ სძლიეს ქართველებმა მტერს და დაიბრუნეს მხარგრძელთა ციხეები (ნ.მ.).
52. ეს ადგილი ტექსტში ძალიან ხატოვნად არის გადმოცემული: „აქა რალა ჯერ არს თქმა, გარნა ბავთისა ღალადი, ბნელი უნათლო და გლოვა უნუგეშინისცემო...”.
53. ტექსტშია: „...ყოველი განაზავა ყოვლითა, რათა სრულებით სრულისაგან წარმოაჩინოს თავს შორის თვისა”.
54. ტექსტშია: „ულაფრობა მაარსებელისა განუგმობელად დაიცვა, რათა მოქცევსა შინა სიმრგულისასა არარად ელმად და უცხოდ მიდრკეს, არცა გარდაყვეს სავსებელისა დულილსა შინა, არცა მოაკლდა შთაზიდვასა შინა საბლისასა, არამედ მეტად დამდაბლებულმან გონიერისა გონებისაგან იყოვლისფერა გარემოდ, რათა მოქცევი თვისი მარტიობით იხილვოს გუარსა შინა ანაგისასა შეუყოფელად ვნებათა”.
55. მოლაშქრეებისა და დიდებულების რისხვა იმან გამოიწვია, რომ ლაშა-გიორგიმ მათთან მოთათბირების გარეშე ჩაატარა განძის ალების ოპერაცია და ძლივს გადაურჩა სიკვდილს.
56. ავტორი „თათრებს” უწოდებს მონღოლებს. ამიტომ „თათარი”, „თათრული” შევცვალეთ „მონღოლით” „მონღოლურით”.
57. თაიჩუთ – თავადი, აზნაური (მონღ.)
58. არქუანი – ქრისტიანი (მონღ.); იხ. ჟამთააღმწერელი, გვ. 245₂ – ენუქ არქუანს, რომელი იგიცა ქრისტიანე იყო (ს. ყაუხჩიშვილი).

59. ასეა ტექსტში.
60. რომელ ყაენსა მას არა გაუყო და მან განუყვნა და ულოს მამასა – ეს ფრაზა ბუნდოვანია (ს. ყაუხჩიშვილი). ამიტომ არ ვთარგმნეთ.
61. ტექსტში გვაქვს „სპარსთა“, თუმცა ერთ-ერთი ხელნაწერის ჩვენებაა „სპათა“.
62. შუამდინარეთი და შამი – მესოპოტამია და სირია.
63. ტექსტშია: ჳელაპყრობილმა. ერთ-ერთი ხელნაწერის ჩვენებაა მუჳლ-მოყრილმა.
64. სამდინარო – სარწყავი ადგილი? (ს. ყაუხჩიშვილი).
65. გურდემელი – თვალი, რომელიც გათლილი იყო გრდემლზე (ს. ყაუხჩიშვილი).
66. მონღოლური საფიცარი: ფიცთა სიმტკიცედ ოქრო წმინდა სამჯერ წყალსა ჩაყონ, და განავლონ იგი და შეასუან (ს. ყაუხჩიშვილი).
67. დიდისა ქორთვლო ნოინისა და დიდისა სირმა-ნოინისა და (ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, III, 1966, გვ. 149).
68. სიბა – კედლით მოზღუდვილი ადგილი (ივ. ჯავახიშვილი, III, 184).
69. აღილო ზომი (?) (ივ. ჯავახიშვილი, III, 185).
70. მილიონი – სიგრძის საზომი, დაახლოებით 1,5 კმ.
71. ოხჭანსა შინა ომისასა. ოხჭანი – ბოლო, დასასრული. ომის ორომტრიალში? (ს. ყაუხჩიშვილი).
72. ტახტა – კეხი (ს. ყაუხჩიშვილი).
73. ჟამთააღმწერელის თხრობაში ბუნდოვანია, რისი ეჭვი ჰქონდა დავითს. გავასწორეთ ივ. ჯავახიშვილის მიხედვით (ივ. ჯავახიშვილი, III, 266).
74. ეს წიაღსვლა მხოლოდ Mm ნუსხაშია (ს. ყაუხჩიშვილი).
75. ასე აქვს ახსნილი ს. ყაუხჩიშვილს ეს ადგილი.
76. დაუურვეს.
77. ჯიმრი – შესაძლებელია არღუნის მომხრე ტომთაგანი იყო (ივ. ჯავახიშვილი, III, 219).
78. ივ. ჯავახიშვილის აზრით აქ დიდი მონაკვეთი უნდა გამოჩენოდეთ გადამწერლებს, ამიტომაც არის აზრობრივად გაუმართავი (ივ. ჯავახიშვილი, III, 223).
79. აქ ტექსტს რამდენიმე სიტყვა უნდა აკლდეს (ს. ყაუხჩიშვილი).
80. ეს ადგილი ტექსტში გაუგებარია. გავასწორეთ ივ. ჯავახიშვილის მიხედვით (ივ. ჯავახიშვილი, III, 246).
81. „დივინთა ხუდებოდა“. ასე აქვს ახსნილი ს. ყაუხჩიშვილს.

82. როგორც ს. ყაუხჩიშვილი აღნიშნავს „რომლისა უკანასკნელ ოლჯათა სულტანსა მისცა“ გაუგებარია. მ. ბროსეს ვარაუდით: რომელსაც უკანასკნელად ოლჯატ-სულტანი ეწოდა“. ვახუშტი: ხარბად ყაენის შემდეგ დაჯდა ყაენად ულჯათ-სულტანი.
83. ხირხალი არს ძელთაგან სიგრძეზე სამ-ოთხად ზე-ქვეობით მოზღუდვილი (სულხან-საბა, ლექსიკონი ქართული, 1991, I, 293).

შ ი ნ ა ა რ ს ი

უცნობი ავტორი

მატიანე ქართლისა 3

უცნობი ავტორი

ცხოვრება მეფეთ მეფისა დავითისი 51

სუმბატ დავითის ძე

ცხოვრება და უწყება ქართველთა მეფეების, ბაგრატიონების,
შესახებ, თუ საიდან მოვიდნენ ისინი ამ ქვეყანაში,
ანუ რა დროიდან ფლობენ ქართლში მეფობას 84

ბასილი ეზოსმოძღვარი

ცხოვრება მეფეთ მეფე თამარისი 99

ლაშა-გიორგის დროინდელი მემატინე 129

ჟამთააღმწერელი 137

პირველ ტომში
ჯუანშერისეული „ვახტანგ გორგასალის ცხოვრება“
ძველი ქართულიდან ახალ ქართულზე გადმოიტანა
მაია რაფაევამ

ამავე სერიის **„მამული, ენა სარწმუნოება“**
III ტომში გამოსაცემად მზადდება
ქართლის ცხოვრების წიგნი
**„წმიდა თამარ მეფის ცხოვრება — ისტორიანი და აზმანი
შარავანდედთანი“**
და
„ბერი ეგნატაშვილის — ახალი ქართლის ცხოვრება“